


ცოცხალ ლივინსი

ამი
პანიკალოან



„ნაკადული“
თბილისი
1981

9(M)03
63.3(0)3
9(3) + 9(3) (092 პანიბალი)
ლ 591

ამ წიგნს გატაცებით კითხულობდნენ მრავალი თაობის მოზარდები. იგი იყო ახალგაზრდა სუეოროვის საყვარელი საკითხავი წიგნი, სუეოროვისა, რომელიც შემდეგ პანიბალის ნაკვალევზე, ალპებზე, გადაიყვანს რუსთა პოლკებს. ეს წიგნი გაგიტოცხლებთ ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოს სტრიქონებს და მოგიახლოებთ უკვე დიდი ხნის გარდასულ ამბებს.

რუსულიდან თარგმნა

ლი ა ბ რ ი ს თ ა ვ ვ ა

ვიწყებ მსოფლიოში ყველაზე დიდი ომის—
მეორე პუნიკური ომის — აღწერას. რომელ-
საც კართაგენელები გამოჩენილი მხედართ-
მთავერის, ჰანიბალის მეთაურობით ეწე-
ოდნენ რომაელების წინააღმდეგ.

მანამდე არასოდეს შებმიან ერთმანეთს
ესოდენ მძლავრი და საუკეთესოდ შეიარა-
ღებული სახელმწიფოები ანდა ტომები.
ამასთან, მოწინააღმდეგენი ჩინებულად იც-
ნობდნენ ერთმანეთს პირველი პუნიკური
ომის დროიდან, ოცდასამი წელი რომ გაგრ-
ძელდა და რომის გამარჯვებით დამთავრდა.
პირველ და მეორე პუნიკურ ომებს შორის
შუალედით ასევე ოცდასამ წელიწადს მოი-
ცავდა.

ბრძოლის ბედი იმდენად ცვალებადი იყო,
ხშირად ესა თუ ის გამარჯვებული უფსკრუ-
ლის პირას დამდგარა. ორივე მხარეს ძალები
განუზომელი ჰქონდა, ურთიერთსიძულვილი
კი — ამ ძალებზე აღმატებული.

როგორ დაიწყო ომი

ჰანიბალს ცხრა წელი შეუსრულდა, როდესაც მამამისი, ჰამილკარი, პირველი პუნიკური ომის ბოლო წლებში კართაგენელების სარდალი, ესპანეთში ჯარის გადასაყვანად ემზადებოდა. მას მერე, რაც სიცილია დაკარგა, კართაგენი იმედოვნებდა, დანაკლისი ესპანეთის მიწების დაპყრობით აენაზღაურებინა. ბიჭი ბავშვურად ეალერსებოდა მამას და სთხოვდა, თან წამიყვანეო. ჰამილკარმა შვილი საკურთხეველთან მიიყვანა, უბრძანა, ხელით შეჭხებოდა ზვარაკად შეწირული საქონლის შიგანს და ფიცი დაედო, რომ სამარადისოდ რომაელების დაუძინებელი მტერი იქნებოდა.

იმათი აზგავნი, ვინც ესპანეთში ჯარს ჰანიბალამდე მეთაურობდა

ცხრა წელი დაჰყო ჰამილკარმა ესპანეთში. დაუცხრომლად აფართოებდა იგი კართაგენის სახელმწიფო სამფლობელოებს, მაგრამ, ჩანდა გულით სულ სხვა, უფრო დიდი ომი ეწადა. ჰამილკარს რომ დასცლოდა, პუნები, ალბათ, ჰანიბალის კი არა, მისი მეთაურობით შეიჭრებოდნენ იტალიაში. მაგრამ ჰამილკარი გარდაიცვალა, ჰანიბალი ძალზე ახალგაზრდა იყო, რომ სარდლის ადგილზე მამა შეეცვალა. რვა წელი უმალღესი მთავარსარდლობა ხელთ ეპყრა ჰასდრუბალს, რომლის მშვენიებითა და გამჭრიახობით მოხიბლულმა ჰამილკარმა მას თავისი ასული შერთო ცოლად. ჯარისკაცებსა და უბრალო ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდა ბარკიდების¹ პარტია. სწორედ ამ პარტიამ დააყენა ხელისუფლების სათავეში ჰამილკარის სიძე. ჰასდრუბალი უფრო ჭკუას ეყრდნობოდა, ვიდრე იარაღის ძალას, ამიტომაც იმდენს არ ომობდა, რამდენსაც კართაგენისათვის ახალ-ახალ მოკავშირეებს ეძებდა. იმეგობრებ-

¹ რომაელებთან ომის მომხრეთა პარტია. სახელწოდება მათი ბელადის— ჰამილკარ ბარკას სახელის მიხედვით ეწოდათ.

და მეზობელ ხალხებს, მათს მეფეებსა თუ ბელადებს, თუმცა სამშვიდობო პოლიტიკამაც ვერ უშველა ჰასდრუბალს, იგი ერთ-ერთმა მონამ ხალხის თვალწინ მოკლა. მონამ შური იძია თავის ბატონისათვის, რომელიც ჰასდრუბალის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

მკვლელი იქვე შეიპყრეს, მაგრამ მას ისე არხეინად, ისე მხიარულად ეჭირა თავი, თითქოს სამშვიდობოს იყო გასული. მაშინაც კი იცინოდა, როცა აწამებდნენ და ასო-ასო კაფავდნენ, — სიმხნევე ტანჯვას უადვილებდა.

რომაელები ხედავდნენ, როგორი ხელოვნებით უძღვებოდა ჰასდრუბალი სახელმწიფო საქმეებს და მასთან ხელშეკრულება დადეს — რომის და კართაგენის სახელმწიფოების საზღვრად მდინარე იბერი დააწესეს, ამასთანავე გადაწყვიტეს, ქალაქ საგუნტს თავისუფლება შეენარჩუნებინა, რადგან იმ ადგილას იყო გაშენებული, რომელიც არცერთ მხარეს არ ეკუთვნოდა¹.

ვის უნდა დაეკავებინა ჰასდრუბალის ადგილი, იოტის ოდენადაც არავის აეჭვებდა: მეომრებმა დაუყოვნებლივ ხელში აიტაცეს ახალგაზრდა ჰანიბალი, მიიყვანეს ბანაჰის მთავარ მოედანზე და მოწონების ყიყინაში ერთხმად აირჩიეს იმპერატორად.

მამის სიკვდილის მერე ჰანიბალი ჯერ კართაგენში ცხოვრობდა, შემდეგ ჰასდრუბალმა სენატს წერილი გაუგზავნა და მისი ესპანეთში გაგზავნა ითხოვა. შეიკრიბა სენატი. ბარკიდები ამბობდნენ, — ჰამილკარის შვილი სამხედრო საქმეს უნდა შეეჩვიოს და მამის მეჰკვიდრე ვახდესო, მოწინააღმდეგე პარტიის მეთაური ჰანონი კი ჰასდრუბალისათვის უარის შეთვლას მოითხოვდა.

— რისი გვეშინია? — კითხულობდა იგი. — იმისი ხომ არა, ჰამილკარის ვაჟი ძლიერ გვიან გაუგებს გემოს განუსაზღვრელ ძალაუფლებასა და მეფობის სამშვენიერეს? იქნებ იმისა, რომ ჩვენ დაგვიგვიანდება მის მონებად გადაქცევა? არა, ეს ჭაბუკი შინ უნდა ვიყოლიოთ, რომ ვასწავლოთ კანონებისა და ძა-

¹ ეს ნიშნავს, რომ რომაელები იბერს (ახლანდელი ებრო) ჯერ კიდევ არ მისდგომოდნენ მკვიდროდ ჩრდილოეთიდან, ხოლო კართაგენელები — სამხრეთიდან.

ლაუფლების მორჩილება, ისევე, როგორც ემორჩილება მათ ყველა ადამიანი კართაგენში! არადა, უფრთხილდით — ეს ნაპერწყალი ხანძრად არ გადაიქცეს!

ზენი, ღირსება და მანკიერება ჰანიბალისა

სენატის საუკეთესო ადამიანები ჰანონს მიემხრნენ. მაგრამ ისინი ცოტანი იყვნენ და, როგორც ხდება ხოლმე, უმრავლესობამ უკეთესს აჯობა. ჰანიბალი ესპანეთში გაგზავნეს. იგი მაშინვე შეიყვარა ჯარმა. ძველი ჯარისკაცები მზად იყვნენ ერწმუნებინათ, რომ ისევ ახალგაზრდა ჰამილკარს ხედავდნენ: იგივე გარეგნობა, იგივე მკვირცხლი და გამჭრიახი გამოსხედევა. მაგრამ მამასთან მსგავსება მალე ყველას მიაფიწყდა. სამაგიეროდ, ერთხმად აღაპარაკდნენ, რომ დედამიწის ზურგზე ჯერ არ დაბადებულა ისეთი ადამიანი, რომელიც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებით, მეთაურისა და ხელქვეითის თვისებებით, ასე თანაბრად ყოფილიყო დაჯილდოებული; ამიტომ ძნელი იყო იმის თქმა, ვისთვის უფრო ძვირფასი იყო ჰანიბალი — სარდლობისთვის თუ ჯარისთვის: ჰასდრუბალი, თუკი საჭირო იყო გაბედული და შეუპოვარი მოქმედება, დანარჩენებს ჰანიბალს ამჯობინებდა. მისნაირად არცერთ მეთაურს არ შეეძლო მეომრებში ნდობისა და მამაცობის შთანერგვა.

არავინ იყო ჰანიბალივით უშიშარი საფრთხის უამს, არც არავინ იჩენდა მასსავით წინდახედულობას ყველაზე მძიმე წუთებში. არავითარ შრომას არ შეეძლო გაეტეხა იგი ფიზიკურად და სულიერად. სიცხესა და სიცივეს ერთნაირი მოთმინებით იტანდა. არასოდეს ჭამდა და სვამდა სიამოვნებისათვის. თამბაქოსა და წყურვილს იკლავდა მხოლოდ. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა დღესა და ღამეს, ისე ელვიდა ან ეძინა. მხოლოდ იმ დროში ისვენებდა, სამუშაოს რომ გადაარჩებოდა. არც მაშინ დაეძებდა რბილ ლოგინსა და სიმყუდროვეს: ბევრს უნახავს, როგორ გაეხვეოდა ხოლმე ჯარისკაცურ მოსახამში და საგუშაგოებს შორის ზედ მიწაზე გაიშხლართებოდა.

ჰანიბალი ჩაცმულობით არ გამოირჩეოდა თავისი თანატოლებისაგან, სამაგიეროდ, მისი იარაღი და ცხენი ყველას თვალში ეცემოდა. როგორც მხედრებს, ისე ქვეით ჯარისკაცებს შორის ჰანიბალზე გაწაფული მეომარი არ იყო. ბრძოლაში პირველი გადაეშვებოდა, ბრძოლის ველს უკანასკნელი ტოვებდა.

ამ დიდ ღირსებებთან ერთად ასევე დიდი ნაკლოვანებანიც ახასიათებდა: — არაადამიანური სიმკაცრე და გაუგონარი მუხანათობა. მისთვის არ არსებობდა არავითარი ჭეშმარიტება, არავითარი სიწმინდე, სრულიად არ ჰქონდა ღმერთების შიში, არაფრად უღირდა ფიცის გატეხა.

სამი წელი იყო ჰანიბალი ჰასდრუბალის ხელქვეითი და შეისწავლა ყოველივე, რაც უნდა სცოდნოდა და შეძლებოდა მოძვეალ დიდ მხედართმთავარს, იმ დღიდან კი, რაც უმაღლესი მთავარსარდლობა მიიღო, რომაელების წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. დაყოვნება არ შეიძლება, ფიქრობდა იგი, ზოზინს ათასი შემთხვევითობა მოსდევს, ხოლო საბედისწერო შემთხვევითობას — სიკვდილი; ასე დაიღუპა მამაჩემი — ჰამილკარი, ჩემი სიძე — ჰასდრუბალი. დაიღუპნენ ისე, რომ თავიანთი განაზრახი ვეღარ განახორციელეს. ჰოდა, ჰანიბალმა გადაწყვიტა, თავს დასხმოდა საგუნტს, უფრო სწორად, ჯერ საგუნტის მეზობლებს, რათა თავი ისე მოეჩვენებინა, ვითომ ომში მოვლენათა მსვლელობამ ჩაითრია.

ჰანიბალი საბუნტს ეპარება

პირველ წელს ჰანიბალმა ოლკადების ტომი დაიმორჩილა, მეორე წელს — ვაკეებისა. მაგრამ დამარცხებულებმა შეძლეს კართაგენელების წინააღმდეგ კარპეტანების ძლიერი ხალხის ამხედრება. გაერთიანებული ძალებით დაარტყეს ჰანიბალის ჯარს, რომელიც ვაკეების მიწაზე ნაშოვნნი ალაფით მძიმედ იყო დატვირთული.

ეს თავდასხმა მდინარე ტაგუსის მახლობლად მოხდა. ჰანიბალმა ბრძოლას თავი აარიდა და საჩქაროდ ბანაკი დასცა. მაგ-

რამ როგორც კი დაბნელდა, მოწინააღმდეგე მიუყრდა და ლამის გასათევად დაბანაკდა, ჰანიბალმა მდინარის ფონი მოძებნა, გაღმა გავიდა და იქ ახალი ბანაკი დასცა, მტერს კი მდინარის გადასალახავად ადგილი დაუტოვა. ცხენოსნებს ნაბრძანები ჰქონდათ: როგორც კი მტრის ქვეითი ჯარი მდინარეში შევიდოდა, მაშინვე შეტევაზე გადასულიყვნენ. მდინარის ნაპირას ორმოცი სპილო დააყენეს.

კარპეტანები ვაკცეებისა და ოლკადების მაშველ რაზმებთან ერთად ასი ათას კაცს შეადგენდნენ. გაშლილ მინდორზე ეს ჯარი უძლეველი იქნებოდა. თავიანთი მრავალრიცხოვნებით დაიმედებულებმა და დარწმუნებულებმა, მტერმა შიშისაგან დაიხია უკანო, მიიჩნიეს, გამარჯვების მოსაპოვებლად მხოლოდ მდინარის გადალახვაა საჭიროო, ამიტომაც ბრძანებას აღარ დაელოდნენ და მდინარეში უწესრიგოდ გადაეშენენ, იმისდა მიხედვით, ვინ სად იდგა.

მაშინ მოწინააღმდეგე მხრიდან მდინარეში ცხენოსნების დიდი რაზმი შეიჭრა. ბრძოლა მდინარის შუაგულში გაჩაღდა. მხედრები უიარაღონიკ რომ ყოფილიყვნენ, ბრძოლა მაინც უთანასწორო იქნებოდა, რადგან ქვეითები ფეხზე ძლივს იდგნენ და ცხენებით მათი წაქცევა იოლი საქმე იყო. ესპანელების მნიშვნელოვანი ნაწილი მდინარის ტალღებში დაიხრჩო, მცირე ნაწილი, მოწინააღმდეგის ნაპირს რომ გააღწია, სპილოებმა გათელეს. ბოლო რიგები კი, რომლებიც უკან გაბრუნდნენ და მშვიდობიანად მიაღწიეს თავიანთ ნაპირს, მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტნენ, შემდეგ ისევ დაიწყეს თავმოყრა, მაგრამ ჰანიბალმა გონზე მოსვლის საშუალება არ მისცა. კართაგენელები ოთხკუთხა მწყობრით დაიძრნენ და კარპეტანები ველარ გაუმკლავდნენ.

რამდენიმე დღის მერე ამ ტომმაც სრული და უსიტყვო შორჩილება გახუტხადა ჰანიბალს. ახლა იბერიის მთელი სამხრეთი მიწები, გარდა საგუნტის სამფლობელოსი, კართაგენელების ხელში იყო.

საგუნტელებს კარგად ესმოდათ, რომ კართაგენელებთან შეტაკება გარდუვალი იყო და რომში ელჩები გაგზავნეს, ჰანიბალს უჩიოდნენ, ჰასდრუბალის ხელშეკრულებას არღევესო. კონსულებმა საგუნტის წარმოგზავნილები სენატს

წარუდგინეს. ელჩებმა სენატს უთხრეს, ჰანიბალი საგუნტელებს მეზობელ ხალხს ტურდეტანებს უსისინებს და ამავე დროს გადამტერებულთა შემრიგებლის როლში გამოდისო. ნუთუ ძნელი გამოსაცნობია, გაიძახოდნენ ელჩები, რომ ჰანიბალი ეძებს მიზეზს, ჩაერიოს ქალაქის საქმეებში და საბოლოოდ წაართვას მას თავისუფლება?! სენატმა დაადგინა, ელჩები გაეგზავნათ ესპანეთში და მოეთხოვათ რომელი ხალხის მოკავშირე საგუნტის წინააღმდეგ ყოველგვარი მტრული მოქმედებას შეწყვეტა. ამის შემდეგ დესპანები თვით კართაგენს უნდა სწვევოდნენ და იქაურ სენატისათვის საგუნტელების საჩივარი მოესენებინათ. ელჩები არც გასდგომოდნენ გზას, რომ ახალი ცნობა მოვიდა: ჰანიბალი საგუნტს ალყას არტყამსო.

ყველანი დაიბნენ, ასეთ უეცარ თავდასხმას არავინ ელოდა, ვერც წარმოედგინათ. რომის სენატს რაიმე ახალი დადგენილება აღარ მიუღია, ელჩებიც სასწრაფოდ დაბრუნდნენ ესპანეთში.

საგუნტის ალყა დაიწყო

ქალაქი საგუნტი, რომელიც იბერის სამხრეთით მდებარეობდა, ესპანეთის ქალაქებს შორის ყველაზე მდიდარი და ხალხმრავალი იყო. იგი ზღვიდან კილომეტრნახევარზე იყო გაშენებული, ამიტომ მისი სიმდიდრის პირველ წყაროს სწორედ საზღვაო ვაჭრობა შეადგენდა, მეორე წყაროს კი — ნაყოფიერი მიწები.

ჰანიბალმა ომი სწორედ ამ მიწების აოხრებით დაიწყო. შემდეგ საგუნტს იმ მხრიდან მიადგა, სადაც ქალაქის გალავანი შედარებით სწორ ველზე გადიოდა. ჰანიბალის გადაწყვეტილებით, იქიდან ადვილი იქნებოდა საალყო ჩარდახებისა და მათ ქვეშ შეფარებულ ტარანების მიახლოება.

მაგრამ ეს ადგილი მხოლოდ ერთი შეხედვით იყო თავდასხმელებისათვის ხელსაყრელი. სიმაგრეებს თავზე მაღალი კოშკი გადმოჰყურებდა, გალავანიც იქ უფრო მაღალი იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ კედელს იცავდნენ რჩეული ახალ-

გაზრდა მეომრები, რომლებიც უმაღლესი განდობიდან, სადაც მეტი საფრთხე იყო. მეომრებმა მტრებს ჯერ ისრები და ქვები დაუშინეს, რათა საიმედო თავშესაფრის აგების ან დადგმის საშუალება არ მიეცათ. შემდეგ, გალავნიდან სროლა მოსწყინდათ, თან გათამამდნენ კიდეც და გარეთ გამოხტომა დაიწყეს. იმართებოდა ხანმოკლე, უწესრიგო შეტაკებანი, რომლებშიც კართაგენელები უფრო მეტ ჯარისკაცს კარგავდნენ, ვიდრე საგუნტელები. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ თვით ჰანიბალი ხელშუბით მძიმედ დაიჭრა ბარძაყში. კართაგენელებმა რომ დაინახეს, ჰანიბალი დაეცაო, საოცრად დაიბნენ და უკან გაიქცნენ. კიდეც ცოტა ხანიც და ყველა სააღყო ჩარდახი, მთელი დაწყებული ნამუშევარი მტრებს ხელში ჩაუვარდებოდა.

რამდენიმე დღე, სანამ ჰანიბალს იარა უხორცდებოდა, კართაგენელებმა შეწყვიტეს საომარი მოქმედება, თუმცა სამშენებლო სამუშაოები არ შეჩერებულა. მალე ომი ახალი ძალით გაჩაღდა. სააღყო ჩარდახები და ტარანები ახლა ქალაქის კედელს რამდენიმე ადგილას მიაყენეს მოაღყეებმა და გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ თავიანთი რიცხობრივი უპირატესობა. მოაღყეთა რიცხვი, დაახლოებით, ას ორმოცდაათი ათასი იყო, ისინი ბევრად ჰარბობდნენ ალყაშემორტყმულებს, რომლებიც ყველა ადგილზე მისვლას ვერც ასწრებდნენ. ტარანები კი უკვე გალავანს ურტყამდნენ. სიმაგრეები დაინგრა და გალავანი კარგა მანძილზე გადაიხსნა — სამი კოშკი და მათი დამაკავშირებელი ორი კედელი ერთიმეორის მიყოლებით საშინელი ხმაურით ჩამოიქცა.

კართაგენელები დარწმუნებულნი იყვნენ, ქალაქი დაეცა და ალყაშემორტყმულები თავს გაქცევით უშველიანო, მაგრამ ასე როდი მოხდა, თითქოს გალავანი, სანამ ჩამოინგროდა, ერთნაირად ხელს უშლიდა საგუნტელებსაც და პუნებსაც. ახლა კი მოწინააღმდეგენი გააფთრებით ეკვეთნენ ერთმანეთს. გაიმართა ნამდვილი ბრძოლა, სრულიად რომ არ ჰგავდა სასოწარკვეთილ შეტაკებებს, როგორც ქალაქის აღების დროს ხდება ხოლმე, როცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია და გამარჯვებულნი მტერს საბოლოოდ უსწორდებიან. აქ. თითქოს გაშლილ ველზე არიანო, იბრძოდნენ ნანგრევები-

საგან თავისუფალ თითოეულ მტკაველ გუნჯზე, ჩამონგრეულ ზღუდეებსა და სახლებს შორის.

მოწინააღმდეგეთა ერთ მხარეს იმედი აღაგზნებდა, მეორეს — სასოწარკვეთა. პირველს სჯეროდა, რომ საგუნტი უკვე აღებულია და საბოლოო გამარჯვებისათვის კიდევ ერთი, სულ მცირე მოწადინებაა საჭირო, ხოლო გალავანშემორღვეული საგუნტელები საკუთარი სხეულით იცავდნენ სამშობლოს. არც ერთი ნაბიჯით უკან არ იხევდნენ, რადგან იცოდნენ, მათ მიერ დატოვებულ ადგილზე მაშინვე მტერი დაადგამდა ფეხს! რაც უფრო გამძვინვარებით ებრძოდნენ ერთმანეთს, რაც უფრო მჭიდროვდებოდა მეომართა რიგები, მით უფრო მეტი დაჭრილი ეცემოდა ორივე მხარეს, რადგან არც ერთი დარტყმა ფუჟად არ იკარგებოდა.

საგუნტელები ხმარობდნენ გრძელ შუბებს, რომელთაც ნაძვის მრგვალი ტარი და ოთხწახნაგა რკინის ბუნიკი ჰქონდა. ბუნიკის ქვედა ნაწილს ფისში დასველებულ ძენძს ახვევდნენ. ბუნიკი ერთი მეტრი სიგრძისა იყო, ასე რომ, მოწინააღმდეგის ფარსაც კვეთავდა და მკერდსაც. თუ ბუნიკი ფარში გაიჭედებოდა, მებრძოლი შიშისაგან ხელს უშვებდა, რადგან შუბის ძვლებამდე ძენძს ცეცხლს უკიდებდნენ, შუბის მოძრაობისას კი ცეცხლი უცხად იფეთქებდა ხოლმე.

ომის ბედი დიდხანს გაურკვეველი იყო: თავდაპირველად საგუნტელები ვერც იფიქრებდნენ, მტერს ამდენ ხანს გავუმკლავდებითო, ამიტომაც ახლა სულიერად გამხნევდნენ, მოულოდნელად გამაყრუებელი ყიჟინა დასცეს და მტერი გალავნის ნანგრევებიდან გამოყარეს. პუნები დაიბნენ, — გამარჯვების იმედი დაკარგეს, მაშინვე თავი დამარცხებულად მიიჩინეს, ყველანი უკანმოუხედავად გაიქცნენ და თავიანთ ბანაკში შეიმალნენ.

რომაელი ელჩები ჰანიბალთან და კართაგინში

ჰანიბალს აცნობეს, რომიდან ელჩები ჩამოვიდნენო. მათ შესახვედრად ზღვის სანაპიროსაკენ მიკრიკები აფრინეს, რომლებმაც რომაელებს განუცხადეს: იმის გამო, რომ ირგვლივ ამდენი სხვადასხვა ტომის გამძვინვარებული ჯარისკაცია,

კართაგენელების სარდალი თქვენს სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს და თავდებად ვერ დაგიდგებათ. გარდა ამისა, ჰანიბალს თქვენთან სასაუბროდ დრო არა აქვს — ვითარება ძალზე რთული და დამაბუთლიაო. უეჭველი იყო, რახან ელჩებმა ჰანიბალამდე ვერ მიაღწიეს, სასწრაფოდ კართაგენისაკენ გასწევდნენ. ჰანიბალმა ასევე სასწრაფოდ გაუგზავნა წერილი ბარკიდების ხელმძღვანელებს სენატში, მოწინააღმდეგე პარტიასთან საბრძოლველად მოემზადეთ და რომელი ხალხის სასარგებლოდ არაფერი დათმობთ.

კართაგენში ელჩები მიიღეს და მოუსმინეს. მაგრამ შედეგი იგივე იყო, რაც საგუნტის გალაფანთან. ერთადერთმა ჰანონმა გამოიღო თავი რომაელებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დასაცავად. სენატორები უსმენდნენ, მაგრამ ღუმდნენ, რადგან აშკარად უკმაყოფილონი იყვნენ.

— მე თქვენ გაფრთხილებდით, — ამბობდა ჰანონი, — ჰამილკარის შვილი ჯარებს არ გააკაროთ-მეთქი. არც იმ კაცის სულს, იქ, საიქიოში და არც მის ცოცხალ ნაშიერთ არ ძალუძთ მშვიდი ცხოვრება. ვიდრე იქნება ბარკას სახსენებელი და იარსებებს თუნდაც ერთი წვეთი მისი სისხლი, რომაელებთან მშვიდობიანობა არ გვიწერია-მეთქი. მაგრამ თქვენ ყური არ დამიგდეთ, თვითონ გააღვივეთ ცეცხლი, თვითონვე გააჩაღეთ ის ხანძარი, ახლა რომ გიზგიზებს. თქვენმა მემორებმა დაარღვიეს ხელშეკრულება, რომელიც მათ საგუნტთან მიახლოებას უკრძალავდა და ქალაქს ალყა შემოარტყეს. მაგრამ მალე რომის ლეგიონები ალყას შემოარტყამენ კართაგენს იმავე ღმერთების შემწეობით, რომლებმაც წარსულ ომში¹ უშველეს მათ, შური ეძიათ შეურაცხყოფისა და ხელშეკრულების ფეხქვეშ გათელვისათვის! გაიხსენეთ ყოველივე, რაც გადაიტანეთ ხმელეთსა და ზღვაზე, იმ ომის ოცდასამი წლის განმავლობაში, მაშინ ხომ სარდალი ეს ლაწირაკი კი არა, ჰამილკარი იყო — „მეორე მარსი“, როგორც მეგობრები იხსენიებენ. მაშასადამე, ღმერთებმა გაიმარჯვეს ადამიანებზე და თვით ომის დასასრულმა მიუყერძობებელ მოსამართლისდაგვარად გადაწყვიტა დავა შეტაკებ-

¹ იგულისხმება პირველი პუნიკური ომი.

ბის მოთავეთა და ხელშეკრულებების დამრღვევეთა საწინააღმდეგოდ — გამარჯვება იმათ არგუნა, ვის მხარეზეც სიმართლე იყო.

დამიჯერეთ, საგუნტის გალავანთან კი არა, ჩვენს საკუთარ გალავანთან მოიტანა ჰანიბალმა საალყო იარაღები, მისი ტარანის დარტყმა ჩვენს გალავანს არყევს და საგუნტის ნამსხვრევები ჩვენ გვაცვივა თავზე, რადგან საგუნტელებს წინააღმდეგ დაწყებული ომი რომაელთა წინააღმდეგ უნდა გაფაგრძელოთ.

„მაშ, გავცეთ ჰანიბალი?“ — შემეკითხებით. — ვიცი, რომ ჩემს რჩევას არ მიიღებთ, მაგრამ, რასაც ვფიქრობ, ყოველივეს გეტყვი. ის არათუ უნდა გავცეთ ხელშეკრულების ასე თავზედურად დარღვევისათვის, არამედ, რომც არავინ მოითხოვოს, ქვეყნის დასალიერს, ცხრა მთას იქით უნდა გადავკარგოთ, რათა მისი ბაიბური არ ისმოდეს, რათა ველარასოდეს დაარღვიოს ჩვენი სახელმწიფოს სიმშვიდე!

ჰანონს არავინ შეკამათებია — სენატი ისე ერთსულოვნად უჭერდა მხარს ჰანიბალს, რომ ყოველგვარი დავა ზედმეტი იყო. რომაელებს ასეთი პასუხი მისცეს: ომი საგუნტელებმა დაიწყეს და არა ჰანიბალმა. რომაელი ხალხი უსამართლოდ იქცევა, რაკი საგუნტელების გულისათვის კართაგენელებთან ძველისძველ მეგობრობასა და კავშირს ღალატობსო.

საბუნტის დაცემა

იმ დროს, როცა რომაელები ელჩების დაბრუნების მოლოდინში დროს ტყუილუბრალოდ კარგავდნენ, ომითა და საალყო სამუშაოებით დაქანცულმა ჰანიბალის მეომრებმა რამდენიმე დღე შეისვენეს: ყველა საომარი მოქმედება შეწყდა. ჰანიბალმა ეს დღეები იმისათვის გამოიყენა, რომ თავის ხალხში მტრისადმი სიძულვილი გაეღვივებინა და დიდძალი ნადავლის მოპოვების იმედი ჩაესახა. საერთო შეკრებაზე მან განაცხადა, ქალაქი გასაძარცვავად გამარჯვებულებს გადაეცემაო. ნათქვამმა ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომ საკმარისი

იყო იმ წამს შეტევის სიგნალი დარბეულიყო და, მათ ვერა-
ვითარი ძალა ველარ შეაკავებდა. შესვენება ალყაშემორტყმუ-
ლებმაც გამოიყენეს: დღე და ღამე შეუსვენებლივ მუშაობდ-
ნენ, რათა გალავნის გამონგრეული ადგილები ამოეშენები-
ნათ.

კართაგენელების ახალი შეტევა უწინდელზე მძვინვარე
იყო. ყვირილი ყველა მხრიდან ერთდროულად გაისმოდა და
არავინ იცოდა, თავდაპირველად რომელი ადგილის დაცვაზე
ეზრუნათ. თვითონ ჰანიბალი თვლებიან ვეება კოშკთან იმყო-
ფებოდა. ეს კოშკი ქალაქის ყველა სიმაგრეზე მაღალი იყო.
ამ კოშკის თითოეული სართული კატაპულტებისა და ბალი-
სტების სიმძიმისაგან იზნიქებოდა. როცა კოშკი გალავანთან
ახლოს მისწიეს, ალყაშემორტყმულები ისრებისა და ქვების
წვიმაში მოექცნენ და გალავნიდან ძირს ჩაცვივდნენ. ჰანი-
ბალმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ ესარგებლა წარმატებით და
განემტკიცებინა იგი. მან წინ გაუშვა წერაქვებით შეიარაღე-
ბული ხეთასიოდე აფრიკელი, რომ გალავანი ქვემოდან გამო-
ენგრიათ. სამუშაო ადვილი გამოდგა, რადგან ქვები დულაბით
კი არ იყო შეკრული, არამედ ძველებურად, თხიერი თიხით
ნაშენი. თვალის დახამხამებაში გალავანი აქა-იქ გამოინგრა
და მტრის რაზმები ქალაქში შეიჭრნენ, აქ მათ რომელიღაც
სომალღე დაიკავეს, ზედ კატაპულტები და ბალისტები აათ-
რიეს და ირგვლივ მიწაყრილი შემოავლეს. ასე რომ, მტრის
ქალაქში თავიანთი სიმაგრე გაიჩინეს. მაგრამ საგუნტელებმაც
აღმართეს ახალი გალავანი, — ჯერ კიდევ დაუპყრობელი ქა-
ლაქის ნაწილი შემოზღუდეს. მოწინააღმდეგეთა ორივე მხარე
ძალების უაღრესი დაძაბვით კიდევ აშენებდა და კიდევ იბრ-
ძოდა. მაგრამ საგუნტის დამცველთა თავმესაფარი ყოველ-
დღიურად ვიწროვდებოდა. ხანგრძლივმა ალყამ დიდ გაჭირ-
ვებაში ჩააგდო ალყაშემორტყმულები, გარედან დახმარების
იმედი სულ გადაეწურათ, რადგან რომაელები შორს იყვნენ,
მთელი შემოგარენი კი მტერს ეკავა.

ჰანიბალმა დროებით მიატოვა საგუნტი, რომ ორი აჯან-
ყებული ტომი დაეთრგუნა, მაგრამ ამით მოალყეთა შეტევა
სრულებით არ შენელებულა. პირიქით, ტარანის მეშვეობით
გალავანი სხვადასხვა ადგილას გამოანგრის და უკან მობრუ-

ნებული ჰანიბალი თავისიანებს ციტადელის ასაღებად წა-
რუძღვა. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, რომელიც ძალიან
ძვირი დაუჯდა ორივე მხარეს, ციტადელის ნაწილი მტერმა
აიღო.

ამ დროს ორი შუამავალი — ერთი საგუნტელი და მეორე
ესპანელი — ცდილობდა მოძალადესთან ზავის შეეკრას, მაგ-
რამ უშედეგოდ. საგუნტელი ალკონი საკუთარი თაოსნობით,
ისე, რომ თანამემამულეებისათვის არაფერი გაუძედავებია,
დამით მტრის ბანაკში მივიდა, რათა ცრემლით და ვედრებით
როგორმე მოეღბო ჰანიბალი, მაგრამ როცა გაიგო, რა საზა-
რელი პირობებით დათანხმდებოდა გამძვინვარებული მძლე-
ველი საგუნტელებთან ზავის დადებას, იგი შუამავლიდან
ლტოლვილად იქცა და მოწინააღმდეგეებთან დარჩა: ვინც
გაბედავს და საგუნტელებს ასეთ პირობებს აუწყებს, სიკე-
დილი არ ასცდებარ, ამტკიცებდა იგი. მაგრამ ესპანელმა
ალორკმა მაინც გაბედა წასვლა. იგი ჰანიბალის მეომარი იყო,
მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე ქალაქ საგუნტის მეგობრისა და
სტუმრის საპატიო სახელი ჰქონდა მიღებული.

დარწმუნებული ალორკი, ფიზიკურად დამარცხე-
ბულნი სულიერადაც დამარცხებულნი არიან, ამიტომაც არ
სურს ალკონს ალყაშემორტყმულ ქალაქში დაბრუნებაო,
გაბედულად მიუახლოვდა მტრის გუშაგებს, გადასცა მათ
თავისი იარაღი და უთხრა, ქალაქის თავთან ლაპარაკი
მსურსო. ალორკს მაშინვე უამრავი ხალხი შემოეხვია, მაგრამ
მცველებმა ყველანი გარეყეს. დარჩნენ მხოლოდ სენატორები.
მაშინ ალორკმა ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

— თუკი თქვენი თანამემამულე ალკონი, ჩვენთან ზავის
სათხოვნელად რომ მოვიდა, ჰანიბალის მიერ წაყენებული
პირობებით საგუნტში დაბრუნდებოდა, მე აქ ვერ მიხილავ-
დით. მაგრამ იგი მტრებთან დარჩა: ან საკუთარი დანაშაუ-
ლის გამო — თუკი ითვალთმაქცა, ჩვენთანების რისხვის მეში-
ნაო, ან თქვენივე დანაშაულის გამო — თუკი თქვენთან
სიმატლის თქმა მართლაც საშიშია. ამიტომ გავისხენე ჩემი
თქვენდამი ძველი მეგობრობა და მე გეახელით. უნდა იცო-
დეთ, რომ ჯერ კიდევ არის გზა ხსნისა და ზავისა, თუმცა
თქვენი ძალები ამოიწურა, ხოლო რომიდან დახმარების იმედი

ალარაა. რა თქმა უნდა, ამ ზაეს სამართლიანს ვერ უწოდებ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. გამარჯვებულს ეკუთვნის ყველაფერი და რაც არ უნდა მოგცეთ დამარცხებულებს, საჩუქრად უნდა ჩათვალოთ და გულუხვობისათვის მადლობა შესწიროთ, ხოლო, რაც უნდა წაგართვათ — შეურიგდეთ და დანაკარგზე აღარ იფიქროთ. გამარჯვებული გართმევთ ქალაქს, რომელიც ისედაც თითქმის მის ხელშია, მაგრამ გინარჩუნებთ მინდვრებს და თვითონ მიგიითითებთ ადგილს, სადაც ახალ ქალაქს ააგებთ. ოქრო და ვერცხლი, რაც კი არსებობს კერძო სახლებსა და ხაზინაში, უნდა ჩააბაროთ, სამაგაეროდ, თუკი დათანხმდებით და საგუნტს უიარალოდ დატოვებთ და ბარგს არ წაიღებთ, სიცოცხლეს და თავისუფლებას შეინარჩუნებთ თქვენც, თქვენი ცოლებიც და შვილებიც. აი, ასეთია ჰანიბალის პირობები. თუმცა ეს პირობები მძიმეა და მკაცრი, თქვენივე ბედი გაიძულებთ, რომ დათანხმდეთ. მეც გირჩევთ: მიიღოთ იგი, დაემორჩილოთ — ეს ჯობს, ვიდრე მტრის მახვილს მიუშვიროთ მკერდი და თქვენს ცოლ-შვილს მონის ხვედრი არგუნოთ.

სანამ ალორკი ლაპარაკობდა, ბრბო, სენატს გარს რომ ერტყა, თანდათანობით შენობაში შევიდა, და უბრალო ხალხი სენატორებში აირია, ქალაქის ხელისუფლებამ არაეითარი პასუხი არ გასცა ესპანელს. ყველანი საჩქაროდ გარეთ გამოცვივდნენ, ხაზინიდან და საკუთარი სახლებიდან ოქრო-ვერცხლი გამოიტანეს, ყველაფერი მოედანზე გაზიდეს და ცეცხლში ჩაყარეს, ზოგიერთმა იქვე ცეცხლს მისცა თავი. მთელი ქალაქი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა. ამ დროს ციტადელის მხრიდან ახალი იერიშის ხმა მოისმა. კოშკი, რომელსაც დიდი ხანია ტარანებს ურტყამდნენ, ჩამოიქცა და განგრეულ ადგილში პუნები შეიჭრნენ. მათ მიმოიხედეს და სარდალს აცნობეს, არსად, არც გალავანზე, არც ახლომახლო ქუჩებში გუშაგები არ არიანო, ჰანიბალმა გადაწყვიტა, ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა. მან მთელი ჯარი წინ დაძრა და წუთში ქალაქი ხელთ იგდო.

მეომრებმა განკარგულება მიიღეს, დიდები არ დაინდოთო. შემდეგში საქმის ვითარებამ აშკარა გახადა, რომ ეს სასტიკი ბრძანება აუცილებელი იყო: მოქალაქეები ან შინ იკეტებოდ-

ნენ, სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ და ცოლ-შვილთან ერთად ცოცხლად იწვოდნენ, ანდა იარაღით ხელში მტრებს ესხმოდნენ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდნენ. თუმცა საგუბტელებმა დიდძალი ქონება საგანგებოდ გააფუჭეს და განადგურეს, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა მაინც დიდი ალაფი იგდეს ხელთ. არც უყვეები იყო მაინცდამაინც ბევრი — გამძვინვარებული ჯარისკაცები არც დიდებს ინდობდნენ და არც პატარებს, ყველას კლავდნენ. საგუნტის ალყა რვა თვეს გაგრძელდა.

ომის პირველი წელი

ომის დაარსებიდან 536 (218 წელი ჩვენს ერამდე)

საგუნტის დაცემის ამბავმა რომში თითქმის იმ დროს ჩააღწია, როცა კართაგენიდან ელჩები დაბრუნდნენ. დიდად დამწუხრდნენ სენატორები, შერცხვათ თავიანთი უგერგილობისა. კართაგენელების მიმართ რისხვით აღივსნენ, მომავალს შიშით დაუწყეს ცქერა (თითქოს მტერი უკვე კარიბჭესთან იდგა). ერთბაშად ამდენმა გრძნობათა ჭიდილმა მათ სალი მსჯელობის უნარი წაართვა. თითოეული მათგანი მხოლოდ იმასლა ფიქრობდა, რომაელები არასოდეს შეჯახებიან ასეთ დაუცხრომელ და მებრძოლ მოწინააღმდეგეს, ხოლო თვით რომი არასოდეს ყოფილა მსგავსი ომისათვის ესოდენ ცუდად მომზადებულიო. პატარ-პატარა შეტაკებები საზღვრებზე მცირერიცხოვან ტომებთან რომაელ ჯარისკაცებს უფრო იარაღის ხმარებას ავიწყებდა, ვიდრე ფიზიკურად და სულიერად აწრთობდა. პუნებს კი ოცდასამი წელი გაუგონარ და მძიმე პირობებში უხდებოდათ ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ხნის მანძილზე არც ერთი დამარცხება არ უგემიათ. ისინი მიეჩვივნენ თავიანთ ბელადსა და ენდობოდნენ მას. უმდიდრესი ქალაქის განადგურებისა და დიდძალი, ნადავლის

ხელში ჩაგდების მერე, ჯერ ისევ დაუმცხრალმა პუნებმა იბერი გადალახეს. შეჩვეული ადგილებიდან უამრავი ესპანელი აყარეს და თან წაიყვანეს: ისინი იარაღისაკენ მოუწოდებენ ჯანყისათვის მუდამ მზადმყოფ გალებს — ჩვენ მთელ მსოფლიოსთან ომი თვით იტალიაში, ან იქნებ თვით რომის გალავანთანაც მოგვიხდესო.

აი, ასე ფიქრობდნენ შეძრწუნებული სენატორები.

ომი გამოცხადდა

სენატმა უკვე განსაზღვრა რომელ მხარეებში იბრძოლებდა რომის ჯარი. ბრძოლის ასეთ ოლქებს ლათინურ ენაზე პროვინციები ეწოდებოდა. სენატმა კონსულებს უბრძანა, პროვინციები ერთმანეთში წილისყრით გაენაწილებინათ. კონსულებმა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა და ტიბერიუს სემპრონიუსმა წილი ყარეს. კორნელიუსს ესპანეთი ერგო, სემპრონიუსს კი — აფრიკა და სიცილია. სენატმა ნება დართო კონსულებს ექვსი ლეგიონი შეეგროვებინათ, ხოლო მოკავშირე ლაშქრის¹ რაოდენობა თვითონ განესაზღვრათ. გემები, რაც შეიძლება, ბევრი უნდა შეეიარაღებინათ. ექვსი ლეგიონი — ეს იყო ოცდახუთი ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ათას რვაასი მხედარი. მოკავშირეებმა დროშის ქვეშ დააყენეს ორმოცო ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ოთხი ათას ხუთასი ცხენოსანი. ზღვაში გამოვიდა ორას ორმოცი ხომალდი.

შემდეგ მოიწვიეს სახალხო კრება. კონსულების შეკითხვაზე, რომაელებს სურთ თუ არა ომი გამოუცხადონ კართაგენელებს, ხალხმა უპასუხა: „გვსურს!“ ყველა ტაძარში ქურუმები საკურთხეველთან ლოცულობდნენ, რომ ღმერთებს მომავალი ომი მათთვის კეთილად დაემთავრებინა.

¹ გარდა ლეგიონებისა, რომლებიც სრულუფლებიანი რომაელი მოქალაქეებისაგან დგებოდა, ჯარში იყვნენ ქვეგანაყოფება ლათინებისა (რომთან ახლოს მდებარე იტალიის ოლქის — ლათინის მცხოვრებლებისა) და იტალიის სხვა მოკავშირე ტომებისა. მოკავშირეთა შორის ლათინებს ყველაზე მაღალი, პრივილეგირებული მდგომარეობა ექირათ.

სემპრონიუსი ორი ლეგიონითა და მოკავშირეების თექვსმეტი ათასი ქვეითი ჯარით სიცილიაში გაემგზავრა, რომ იქიდან აფრიკაში გადასულიყო, თუკი, რა თქმა უნდა, მეორე კონსული საკუთარი ძალებით მოიგერიებდა იტალიაზე პუნების თავდასხმას. კორნელიუსმაც ორი ლეგიონი მიიღო, ოღონდ მოკავშირეთა ქვეითი ჯარი სემპრონიუსთან შედარებით ნაკლები ერგო.

დარჩენილი ორი ლეგიონი და მოკავშირეთა აფიათასიანი ჯარი თავის გამგებლობაში მიიღო პრეტორმა ლუციუს მანლიუსმა და რომის გალიაში¹ გაიგზავნა კართაგენელების გზის შესაკრავად.

მეორე ელჩობა კართაგენში

სამზადისის დამთავრების შემდეგ სენატმა, რომელსაც სურდა ომი ყველა წესისა და სამართლიანობის დაცვით გამოეცხადებინა, აფრიკაში მეორე ელჩობა გაგზავნა. რომის ელჩები კართაგენის სენატმა მიიღო. ელჩების მეთაურმა კვინტუს ფაბიუსმა იკითხა:

— ბატონო სენატორებო, ჰანიბალმა თქვენი თანხმობითა და მხარდაჭერით შემოარტყა ალყა საგუნტს, თუ საკუთარი თაოსნობით?

ამაზე ერთ-ერთმა კართაგენელმა მაშინვე უპასუხა:

— რომაელებო, თქვენი პირველი ელჩობის დროს, როცა ჰანიბალის გაცემას მოითხოვდით, საკმაოდ უხეშად და წინდაუხედავად მოიქეციით, ვერც ახლანდელზე იტყვის კაცი, ნაკლებად უხეში და მოუფიქრებელიაო, თუმცა უფრო რბილად და თავშეკავებულად კი ლაპარაკობთ. დიახ, ამჟამად საუბარი ჰანიბალს კი არ შეეხება, არამედ საკუთრივ ჩვენ: ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული და დაუყოვნებლივ უნდა დაგაკმაყოფილოთ, მაგრამ საქმის არსი, მე მგონი, ის კი არაა, საგუნტის ალყა ჩვენი ნებართვით დაიწყო თუ არა, —

¹ რომის გალიაში, ანუ ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც გალი ტომებისათვის იყო დასახლებული, მაგრამ რომს ჰყავდა დამორჩილებული.

აქ მნიშვნელოვანი სულ სხვაა: ამით შეილახა თუ არა კანონი და სამართლიანობა. რაც შეეხება ჩვენი მოქალაქის დანაშაულს, ამას ჩვენ თვითონ განვსჯით, თქვენთან კი მხოლოდ ერთ საკითხს განვიხილავთ, — დაირღვა თუ არა თქვენსა და ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება.

გაიხსენეთ, რომ ხელშეკრულებაში რომსაც და კართაგენსაც უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი მოკავშირეები, საგუნტელები კი იქ ერთი სიტყვითაც არ არიან მოხსენებულნი, რადგან მაშინ საგუნტელები თქვენი მოკავშირეები არ იყვნენ. მართალია, იტყვიან თქვენ, მაგრამ ეს ძველი ხელშეკრულებაა, მას მერე ჰასდრუბალთან ახალი დაიდო. მაგრამ აქი თქვენც უბოჭილი ხართ ისეთი ხელშეკრულებით, რომელიც ხალხისა და სენატის ნებით არის შედგენილი, ამასთანავე ჰასდრუბალმა არც კი შეგვატყობინა რომაელებთან მოლაპარაკების ამბავი. ასე რომ, დაეხსენით საგუნტსა და მდინარე იბერს და ბოლოსდაბოლოს გვითხარით, რაც დიდი ხანია გულში გაქვთ.

მაშინ კვინტუს ფაბიუსმა თავისი ტოგას კალთა აიკეცა და მკეახედ განაცხადა:

— შეხედეთ, ამ ტოგაში მიძევს ომი და მშვიდობა, რომელიც თქვენ ჩამოგიტანეთ. აირჩიეთ!

არანაკლებ უკმეხი იყო სენატორთა პასუხი:

— რაც გსურს, ის მოგვეცი!

— მაშინ ომს გარგუნებთ! — სთქვა რომაელმა და აკეცილ კალთას ხელი გაუშვა.

ყველამ ერთხმად შესძახა:

— ვღებულობთ! და ვიბრძობებთ ისეთივე შემართებით, როგორითაც მივიღეთ თქვენი ძღვენი!

მოკავშირეების ამაო ძმბნაში

რომაელი ელჩები კართაგენიდან ესპანეთში გაემგზავრნენ, რომ იქაური სახელმწიფოები და ტომები რომის მოკავშირეებად გაეხადათ, ანდა პუნებთან მათი მეგობრობა დაერ-

ღვიათ. პირველად ისინი ბარგუსებთან მივიდნენ, რომლებმაც საკმაოდ გულლიად მიიღეს. კართაგენელების ძლევამოსილება ბარგუსებს მძიმე ტვირთად აწევბოდათ. ამ წარმატებით გამ-
ხევებულმა ელჩებმა ახლა იბერის სამხრეთით დასახლებულ
სხვა ხალხებთან გასწიეს და ისინიც საამბოხოდ აღანთეს.
შემდეგ ჭერი ვოლკიანებზე მიდგა. ვოლკიანთა პასუხმა, მა-
შინვე რომ მოედო მთელ ესპანეთს, რომაელებს წინანდელი
წარმატება წყალში ჩაუყარა, მომავლის იმედი დაუკარგა და
თავზე ლაფი დაასხა. შეკრებაზე, რომელზედაც ელჩები წარს-
დგნენ, სიტყვა წარმოთქვა ბერიკაცმა, იქნებ ტომის ყველაზე
უხუცესმა კაცმა. მან თქვა:

— რომაელებო, არც სირცხვილი გაგაჩნიათ თურმე და
არც სინდისი, რაკი გვირჩევთ, კართაგენელებთან მეგობრო-
ბას თქვენთან მეგობრობა ვამჯობინოთ! თქვენ ხომ უღალა-
ტეთ თქვენს მოკავშირეებს, რომლებიც ასეთსავე წინადადე-
ბაზე დაგთანხმდნენ. თქვენს ლალატში უფრო მეტი სისასტი-
კეა, ვიდრე გამძვინვარებულ მტრების, პუნების რისხვაში.
მოკავშირეები იქ ეძიეთ, სადაც საგუნტის დაღუპვის ამბავი
არავინ იცის. ესპანელებისათვის საგუნტის ნანგრევები მუდამ
საშინელი გაკვეთილი და მრისხანე გაფრთხილება იქნება.

ელჩებს წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაეტოვები-
ნათ ვოლკიანთა მიწა-წყალი. ამის შემდეგ ესპანეთში მათ
ერთი და იგივე პასუხი ელოდათ. როცა დარწმუნდნენ, ყოვე-
ლი ცდა ამაო და უნაყოფო იქნებაო, ელჩები გალიაში გაემ-
გზავრნენ.

გალები რომაელებისა და ესპანელებისაგან იმით განსხვავ-
დებიან, რომ შეკრებაზე შეიარაღებულნი მოდიან. ლაპლაპა
იარალის დანახვამ შეაშფოთა და შეაშინა ელჩები, მაგრამ
მაღე სძლიეს თავს. თავდაპირველად ელჩებმა ილაპარაკეს
რომაელი ხალხის სიდიადესა და ქველობაზე, თქვეს, რა შორს
ვრცელდება მათი ძალაუფლება, ბოლოს გალებს სთხოვეს
იტალიაში საომრად მომავალი კართაგენელები თქვენს მიხედ-
რებსა და ქალაქებზე არ გაატაროთო. თხოვნა იმდენად სულე-
ლური და თავხედური იყო, პასუხად გამაყრუებელი ხარხარი
ატყდა. გამოდიოდა, რომ გალებს იტალია უნდა ეხსნათ,
საკუთარი თავისთვის კი საშინელი ომი დაეტეხათ. მეთაურებ-

მა და მოხუცებმა ძლივს აღადგინეს წესრიგი, როცა ხმაური შეწყდა, ელჩებს უპასუხეს, არც რომაელებისაგან გვახსოვს ისეთი სიკეთე, არც კართაგენელებისაგან ისეთი წყენა, რომ ხელში იარაღი ავიღოთ, რათა ერთი დავიცივათ, მეორეს კი — ვებრძოლოთ. ესეც არ იყოს, ხმაა დარხეული, თითქოს გაღების უახლოეს თვისტომებს რომაელები ყოველმხრივ ავიწროებენ, იტალიიდან ერეკებიან და აძალებენ ხარკი გადაიხადონ.

რომაელ ელჩებს ყველგან ასეთი პასუხი ესმოდათ გალიაში. ბოლოს, ელჩები მასილიაში მივიდნენ: ეს ქალაქი ჭეშმარიტად ერთგული მოკავშირე იყო რომისა. მასილიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ძირფესვიანად გამოჰკითხეს ყველაფერი, რაც აწუხებდა და აშინებდა ელჩებს. აღმოჩნდა, რომ ჰანიბალს უკვე პირი შეეკრა გალებთან. თუმცა ვერც ჰანიბალი შეძლებდა დიდხანს თანხმობა ჰქონოდა ამ ველურ და მოუთვინიერებელ ხალხთან, თუ მათ ბელადებს ოქროთი დროდადრო გულს არ გაუხარებდა. გალები ხომ ოქროზე მეტისმეტად იყვნენ დახარბებულნი.

ესპანეთსა და გალიაში ნოვატორების შემდეგ ელჩები რომში დაბრუნდნენ, სადაც ყველა შიშსა და დაძაბულ მოლოდინს მოეცვა. ხმები დადიოდა, რომელიც სარწმუნოდ მიაჩნდათ — პუნებმა იბერი გადმოლახესო.

სალაშპრო სამზადისი

საგუნტის აღების შემდეგ ჰანიბალმა გამოსაზამთრებლად ახალ კართაგენს მიაშურა. როცა რომსა და კართაგენში მომხდარი ბოლოდროინდელი ამბები შეიტყო, მან დარჩენილი ნადავლი საჩუქრად დაარიგა და დაყიდა, მერე ესპანური წარმოშობის მეომრები შეკრიბა და უთხრა:

— თქვენ კარგად გესმით, ჩემო მეგობარ-მოკავშირენო, რომ ახლა, როცა ესპანეთის ყველა ხალხი დამორჩილებულია, ისღა დაგვრჩენია, ან ჯარი დავითხოვოთ, ანდა სხვა მხარეებში ახალი ომი დავიწყოთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ესპანეთის ტომები მხოლოდ მაშინ შეძლებენ ისარგებლონ არა მარ-

ტო მშვიდობის, არამედ გამარჯვების სიკეთით, როცა უცხო მხარეებში დავიწყებთ ნადავლისა და დიდების ძიებას.

მაშ ასე, თქვენ გელით შორეული და ხანგრძლივი ლაშქრობა, თქვენ კარგა ხანს ვეღარ იხილავთ თქვენს ოჯახებსა და ახლობლებს, ამიტომ ყველას, ვისაც სურს, მოინახულოს ახლობლები, შეუძლია შევებულება აილოს, მაგრამ გაზაფხულის დადგომისთანავე უკანვე უნდა დაბრუნდეთ.

ღმერთების ხელშეწყობით ჩვენ დავიწყებთ ომს, რომელიც განუზომელ დიდებასა და ურიცხვ ნადავლს მოგვიტანს.

შინ წასვლის ნებართვამ ყველა გაახარა. მონატრებოდათ საკუთარი სახლი, თანაც, როგორც ირკვეოდა, წინანდელზე უფრო დიდი ხნით მოუწევდათ განშორება. მთელი ზამთარი ისვენებდნენ მეომრები. ამ შესვენებამ ფიზიკურად და სულიერად ახალი გამოცდისათვის მოამზადა ისინი. ჰანიბალის ჯარმა ზუსტად შეასრულა ბრძანება და ადრეულ გაზაფხულზე კვლავ შეიკრიბა.

სანამ კართაგენელები იტალიას მიაღწევდნენ, რომაელებს შეეძლოთ სიცილიიდან დასხმოდნენ აფრიკას. ამის შიშით ჰანიბალმა გადაწყვიტა კართაგენში და სხვა აფრიკულ ქალაქებში ესპანელთა ძლიერი სადარაჯო რაზმები ჩაეყენებინა, სამაგიეროდ, შეესება აფრიკიდან მოითხოვა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყოველი მეომარი სამშობლოდან დაშორებით უკეთ იბრძოლებდა, რაკი კართაგენის სახელმწიფოს ორივე ნახევარი თითქოსდა ერთმანეთში მძევლებს გაცვლიდა. ესპანეთის უმალღესი მთავარსარდლობა მან თავის ძმას, ჰასდრუბალს ჩააბარა და დაუტოვა საკმაოდ დიდი ქვეითი ჯარი, სანაპიროების დასაცავად ფლოტი და მეზრძოლი სპილოები.

ჰანიბალი ბზაში. იბერიიდან რომანუსამდე

დამთავრდა თუ არა სამზადისი, ჰანიბალი მაშინვე შეუდგა ლაშქრობას. ამბობდნენ, იბერთან ახლოს მან წინასწარმეტყველური სიზმარი ნახაო. ღვთიური გარეგნობის ჰაბტუკი გამოეცხადა და თავი იუპიტერის მოციქულად გააცნოო.

„მე გაგიძღვები იტალიაში, — მომყევი, ოღონდ არც უკან მიბრუნება გაბედო, არც აქეთ-იქით გახედვა“, — უთხრა ჭაბუკმა ჰანიბალს.

შეშინებული ჰანიბალი თავდაპირველად ბრძანებას დაემორჩილა და უკანმოუხედავად მიდიოდა, მაგრამ თანდათანობით ადამიანისათვის დამახასიათებელმა ცნობისმოყვარეობამ შიშს სძლია და უკან მიიხედა, მიიხედა და ვეება გველი დაინახა, გველი ფეხდაფეხ მისდევდა, ტყესა და ბუჩქებს აჩანაგებდა. გველის კვლდაკვალ საავდრო ღრუბელი მიცურავდა და ჭექა-ქუხილი არემარეს აყრუებდა.

— ეს საშინელება რას მიგვანიშნებს? — ჰკითხა ჰანიბალმა მეგზურს.

— იტალიის განადგურებას, — მოესმა პასუხად. — მაგრამ იჩქარე, წინ იარე. სხვა აღარაფერი იკითხო. ნუ ეცდები გაიგო, რას გიქადის მომავალი.

იბერის გადაცურვის შემდეგ (სიჩქარისათვის ჯარი სამ ნაწილად გაიყო და სამივე ნაწილმა — ოთხმოცდაათმა ათასმა ქვეითმა მებრძოლმა და თორმეტმა ათასმა ცხენოსანმა — მდინარე ერთდროულად გადალახა, ჰანიბალმა თავისი ხალხი გალლებთან, იმ მიწების პატრონებთან გაგზავნა, რომლებიც გზად უნდა გაევიღო. ელჩებს გალების გული საჩუქრებით უნდა მოეგოთ და ალპების უღელტეხილები დაეზვერათ.

ჰანიბალის პირველი მოწინააღმდეგენი ესპანელი ტომები აღმოჩნდნენ, რომლებიც იბერსა და პირენეის მთებს შორის მოსახლეობდნენ. ესენი იყვნენ: ილერგეტები, ბარგუსელები, ავსეტანები და ლაცეტანები, კართაგენის ჯარმა ისინი დაიმორჩილა და პირენეიზე გადასვლა დაიწყო. ბარბაროსები მხოლოდ ახლა მიხედნენ, რომ ეს ლაშქრობა „რომთან ომს“ ნიშნავდა. კარპეტანის ტომთა სამი ათასი ქვეითი ჯარისკაცი დეზერტირად გაიქცა, ყველამ იცოდა, რომ ისინი იმდენად ომს არ შეუშინდნენ, რამდენადაც შორეულ გზასა და მიუდგომელ ალპებს. მათი დაყოლიება, უკან თავისივე ნებით დაბრუნებულიყვნენ, ჰანიბალს თითქმის მიუღწევლად მიაჩნდა, ძალით დაბრუნება კი — საშიშად, შეიძლებოდა მას გალიზიანებული და თავაწყვეტილი დანარჩენი ესპანელების ამბოხი მოჰყოლოდა. ამიტომაც ჰანიბალმა შვიდი ათასი სულმოკლე

ჯარისკაცი კიდევ სხვა გაუშვა შინ და ისე დაიჭირა თავი, თითქოს კარპეტანებიც ჩემი თანხმობით წავიდნენ.

შემდეგ უსაქმურობას რომ არ შეეწუხებინა და არ გაელიზიანებინა მეომრები, ჰანიბალმა სწრაფად გადალახა მთები და ჩრდილოეთით, მთების ძირას ბანაკი დასცა. გალებმა ელჩებისგან იცოდნენ, რომ ომი იტალიის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ხმა დადიოდა, კარათაგენლებმა ესპანელები ძალით დაიპყრესო, რაც გალებს ძალზე აშინებდა. გალების ზოგიერთმა ტომმა იარაღს მოჰკიდა ხელი. გალებთან ომზე მეტად ჰანიბალს შეფერხებისა და დაყოვნებისა ეშინოდა. ამიტომ მისი ელჩები ამ ტომების ბელადებთან გამოცხადდნენ სასწრაფოდ და სარდლის სახელით განუცხადეს:

— ჰანიბალს სურს პირადად მოგელაპარაკოთ და მზადაა შეგხვდეთ, სადაც კი ადგილს დაუთქვამთ: იგი სიხარულით მიგიღებთ საკუთარ ბანაკში, მაგრამ ასევე დიდი სიამოვნებით მოვა თქვენთან. ექვი ნუ გაქვთ. იგი გალიას მტრად კი არა, სტუმრად ეწვია, და თავის მახვილს ქარქაშიდან მანამ არ ამოიღებს, სანამ იტალიის საზღვარს არ გადალახავს, თუკი თქვენვე არ აიძულებთ, ამ გადაწყვეტილებას უღალატოს...

გალთა ბელადები ჰანიბალს მისსავე ბანაკში შეხვდნენ და დასაჩუქრებულებმა ჯარი თავიანთ სამფლობელოებზე მშვიდობიანად გაატარეს...

ამასობაში გალთა ტომები თვით იტალიაში ამბოხდნენ, თითქოს ჰანიბალს პირენეი კი არა, ალპები გადმოელახოს. აჯანყებულები ისე წარმატებით უტევდნენ, რომ სენატმა კონსულ პუბლიუს კორნელიუსს უბრძანა, პრეტორ ლუციუს მანლიუსის დასახმარებლად და გალებთან საომრად ერთი ლეგიონი და მოკავშირეთა ხუთი ათასი ქვეითი ჯარისკაცი გაეგზავნა. კონსულმა გალების წინააღმდეგ გაგზავნილთა ნაცვლად ახალი ლეგიონი შეკრიბა და სამოცი სატვირთო გემით რომიდან გავიდა.

ხანგრძლივი ცურვის შემდეგ, კორნელიუსი შეჩერდა და ჯარი როდანუსის აღმოსავლეთ შესართავთან გადასხა — ეს მდინარე ზღვას რამდენიმე განტოტებით უერთდება. კორნელიუსს ჯერ კიდევ ვერ დაეჭვებინა, რომ ჰანიბალმა პირე-

ნეი გადმოლახა. მალე გამოირკვა, რომ ჰუნი, საცაა, როდანუსსაც გადმოლახაედა, მხოლოდ რომელ ადგილას, არავინ იცოდა. კონსულმა დასაწვერად რომის ცხენოსანთა რჩეული რაზმი გაგზავნა, რომელსაც მასალიელი გამყოლები მიუძღოდნენ. ამ დაწვერვამ საშუალება მისცა კორნელიუსს, არა მარტო შეეკრიბა საჭირო ცნობები მოწინააღმდეგეზე, არამედ დაესვენებინა ზღვის რყევისაგან გატანჯული ჯარისკაცები.

როდანუსის გადალახვა

ჰანიბალი ამ დროისათვის გალების ძლიერი ტომის ვოლკების სამფლობელოებში იმყოფებოდა. ეს ტომი როდანუსის ორივე ნაპირზე მოსახლეობდა, ვოლკებს იმედი არ ჰქონდათ, რომ ჰუნს გაშლილ ადგილს გაუმკლავდებოდნენ, თითქმის მთელი ტომი მარცხენა ნაპირზე გადავიდა, იქ გამაგრდა და მდინარე ზღუდედ დატოვა, სამაგიეროდ, მდინარე როდანუსის გასწვრივ დასახლებულმა დანარჩენმა გალებმა, აგრეთვე ვოლკებს შორის იმათაც, რომელთაც არ სურდათ დასახლებული ადგილების დატოვება, ჰანიბალს დაუჭერეს, მის გულუხვობას აპყვნენ და თუ რამ ნავი და ხომალდი მოიხელთეს, კართაგენელებს მიუყვანეს, ის კი არა, ახლებიც ბევრი აუგეს, ოღონდ რაც შეიძლება, სწრაფად გაეცილებინათ თავიანთი შინდვრებიდან ხარბი და გაუმადლარი უცხოელი ჯარისკაცები.

და აი, დიდ-პატარა ნაევებით გაივსო მდინარე.. ნაევები ისე იყო აღქურვილი, რომ მოკლე გზას თუ გაუძლებდა.

გალები პატარა ნაევებს მთლიანი მორებისაგან თლიდნენ... ჯარისკაცებმა რომ დაინახეს, რა ადვილი იყო ნაევების კეთება, თვითონაც წამოავლეს ცულებს ხელი. მართალია, მათი ნახელავი ვარცლს უფრო მიაგავდა, ვიდრე ნაევებს, მაგრამ კართაგენელებს სულ არ ანაღვლებდა ეს ამბავი: ოღონდ ვარცლები წყალში არ ჩაძირულიყო და ტვირთი გადაეზიდათ.

როცა ყველაფერი მზად იყო, ჰანიბალმა ბომილკარის შვი-

ლი ჰანონი იხმო და უბრძანა, პირველ საგუშაგო ღამეს¹ ბანაკიდან ცხენოსანთა რაზმი და ესპანელთა ქვეითი ჯარი წაეყვანა, როდნუსის აყოლებით ერთი დღის სავალზე ასულიყო და პირველსავე მარჯვე ადგილს ვოლკების შეუმჩნეველად მდინარე გადაელახა, რათა შემდეგ, საჭირო წუთებში მათთვის ზურგიდან დაერთყა. მეგზურმა გალებმა უთხრეს, ბანაკიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით ძალზე ფართო, მაგრამ, სამაგიეროდ, წყალმარჩხი ადგილია: იქ მდინარე ორ ტოტად იყოფა და პატარა კუნძულს გარს უვლისო. მივიდნენ თუ არა იმ ადგილზე, სახელდახლოდ ტივები შეკრეს და ცხენები, მხედრები და ტვირთი მეორე ნაპირზე გადაიხროლეს.

ესპანელებმა კი ტყავის საბერველები გაბერეს, რომლებშიც წინასწარ ტანსაცმელი ჩაალაგეს, ზემოდან ფარი დააკრეს და ამ ტივტივაზე ხელჩაკიდებულებმა როდნუსი გადაცურეს.

ღამის ლაშქრობითა და ჯაფით მეომრები დაქანცულები იყვნენ, მაგრამ ჰანონმა მათ დასასვენებლად ერთი დღის მეტი არ მისცა — თავისი სარდლის ჩანაფიქრის შესრულებას ეშურებოდა. მათ გზა განაგრძეს, რომელიღაც გორაკზე ავიდნენ და კოცონი გააჩადეს. როგორც კი ჰანიბალმა ბოლი დაინახა, მიხვდა, არცერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებაო, და მდინარის გადალახვა ბრძანა. ქვეით ჯარს დიდი და პატარა ნაევები ჰქონდა მზად, მხედრებს — ცხენების გადასაყვანად მოზრდილი გემები. მდინარეზე გადასვლისას ნაევებს ქვემოთა მხარე ეჭირათ, გემებს — ზემოთა, რომ პირველები დახვედროდნენ დინებას და მისი დარტყმის ძალა შეემცივებინათ: ცხენების უმეტესი ნაწილი ნაევების კიჩობებზე გამობმული ძიცურავდა, ის ნაწილი კი, რომლებიც გემებში ჩააყენეს, წინასწარ ლაგამამოდებულები და ჩულადადებულნი² იდგნენ, რათა ნაპირზე გადასვლისთანავე მხედრებს ბრძოლაში ჩაბმა შეძლებოდათ.

¹ „ღამეს“ რომაულ ჯარში ითვლიდნენ, დაახლოებით, საღამოს ექვსი საათიდან დღის ექვს საათამდე. ამ თორმეტი საათის განმავლობაში გუშაგები ოთხჯერ იცვლებოდნენ, ე. ი. ღამე ოთხ გუშაგზე ნაწილებოდა.

² ტყავის უნაგირი, რომელიც ახლანდელს ჩამოგავდა, მეორე პუნიკური ომიდან ორას ორმოცდაათი-სამასი წლის შემდეგ გაჩნდა. მანამდე უნაგირის მაგივრობას ჩულა, იგივე ასალი სწევდა.

ვოლკები მდინარის ნაპირს ყვირილითა და საბრძოლო სიმღერების მოძახილით მიაწყდნენ. თითოეულს მარცხენა ხელში ფარი ეჭირა და თავს ზემოთ იქნევდა, ხოლო მარჯვენაში — ხელშუბი. სურათი, რომელიც მათ იხილეს, შემადრწუნებელი იყო: ღრიალით მომსკდარი, აქაფებული მდინარე აურაცხელ გემს დაეფარა, ისმოდა მენავეთა და ჭარისკაცთა არეული ხმები: — ყვიროდნენ ისინიც, დინებას რომ ებრძოდნენ და ისინიც, ჭერ ისევ გაღმა ნაპირზე რომ იდგნენ და ამხანაგებს ამხნევებდნენ. გალები დაფრთხნენ. ამ დროს ზურგიდან საშინელი ხმაური მოისმა — მათ ბანაკში ჰანონი შეიჭრა. თვალის დახამხამებაში იგი სანაპიროზე გაჩნდა და გალები ორ ცეცხლს შუა მოექცნენ. გალებმა რამდენჯერმე სცადეს თავიდან აეცილებინათ საფრთხე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს იმ მხარეს მიაწყდნენ, სადაც ჭერ კიდევ იყო გასაქცევი გზა. შეძრწუნებულებმა თავიანთი სოფლებისაკენ მოკურცხლეს. ჰანიბალს არც კი უფიქრია დადევნებოდა.

მდინარეზე სპილოების გადაყვანის ამბავს სხვადასხვანაირად მოგვითხრობენ. ერთნი ამბობენ, სპილოები სანაპიროზე ერთად მოაგროვეს, გამრეკმა სპილოებს შორის ყველაზე ავსა და ეინიანს გაღიზიანება დაუწყო, როცა მხეცი გამძვინვარდა, გამრეკი მდინარეში შეხტა და გაცუკრა, სპილო გამოეკიდა. მათ დანარჩენებიც მიჰყვა, მართალია, სპილოებს წყლის სიღრმის ეშინოდათ, მაგრამ ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ თუ არა, დინებამ მთელი ჯოგი გაიყოლა და თვალის დახამხამებაში მოპირდაპირე ნაპირს გაიყვანათ.

უფრო სარწმუნოა მეორე მონათხრობი — სპილოები ბორნით გადაიყვანესო. სამოციოდე მეტრი სიგრძისა და თხუთმეტი მეტრი სიგანის ტივის ერთი ბოლო წყალში ჩაუშვეს, ხოლო მეორე მსხვილი ბაგირებით ნაპირზე მაგრად მიაბეს. გამოვიდა ხიდის მსგავსი რამ. ცხოველები არ დაფრთხნენო, ტივს ზემოდან მიწა დააყარეს. ამის შემდეგ „ხიდი“ მეორე ტივით დააგრძელეს, რომელსაც სიგანე ისეთივე ჰქონდა, სიგრძე კი — ორჯერ ნაკლები. შემდეგ სპილოები გაამწყრივეს, თავში დედალი სპილოები დააყენეს და გარეკეს. როცა ცხოველები უძრავი ტივიდან მოცურავე ტივზე გადავიდნენ, იგი მაშინვე ასხნეს და სწრაფმავალმა ნაეებმა ბორანი

ითრიეს. ამრიგად, რამდენიმე გზობაზე გადაიყვანეს ყველა სპილო.

სანამ ბორანი „ხიღზე“ იყო მიდგმული, ცხოველებს აინუნში არ მოსდიოდათ, მაგრამ მდინარის შუაგულში ტივის კიდეში მდგომი სპილოები, შიშით ეკვროდნენ დანარჩენებს, შიში წყლისადმი, რომელიც ოთხივე მხრიდან ტყლაშუნობდა, ცხოველებში წესრიგს აწყარებდა. თუმცა ზოგიერთი მაინც ვერ დამშვიდდა და წყალში გადახტა. მიუხედავად ამისა, არც ერთი სპილო არ დამხრჩვალა, ნელ-ნელა ყველამ მოძებნა ფონი და ნაპირზე გავიდა.

სანამ სპილოები გადაჰყავდათ, ხუთასი ნუმიდიელი ცხენოსანი ჰანიბალის ბრძანებით დასაზვერად გაემართა, რომ გამოერკვია, სად იყვნენ რომაელები დაბანაკებულნი, რამდენნი იყვნენ და რას აპირებდნენ. ეს მხედრები რომაელ მზვერავთა ცხენოსან რაზმს გადაეყარნენ, რომელიც როდანუსის სათავედან მოდიოდა. შეტაკება მეტად სასტიკი გამოდგა. მაშინლა, როცა რომაელებს დაღლილობისაგან უკვე ჰანცი გაუწყდათ, ნუმიდიელები შედრკნენ და ცხენები შემოაბრუნეს. გამარჯვებულებმა ას სამოცი კაცი დაკარგეს, დამარცხებულებმა — ორასზე მეტი. მტრებთან პირველმა შეტაკებამ რომაელები დაარწმუნა, რომ ომს მოიგებდნენ, ოღონდ ბრძოლა დიდხანს გასტანდა, სისხლისღვრითა და მათთვის მკიმი მოულოდნელობით აღსავსე იქნებოდა.

როდანუსიდან ალკებამდე

ჰანიბალი ორქოფობდა: ლაშქრობა გავაგრძელო, თუ ჯერ იმათ შევება, ვინც გზას მილობავსო. ის იყო, იგი მეორე გადაწყვეტილებას უნდა დასდგომოდა, რომ მოვიდნენ ბოიების ელჩები — გალთა ერთ-ერთი იმ ტომის წარმომადგენლები, რომლებიც იტალიაში რომაელების წინააღმდეგ აღსდგნენ. ისინი ჰანიბალს მეგზურობას სთავაზობდნენ და კართაგენელების ყოველგვარი განსაცდელის გაზიარებას კისრულობდნენ.

— მთელი ძალები უნდა დაზოგოთ, იტალიაში შესაჭრელად, — აცხადებდნენ ბოიების წარმოგზავნილები.

ჯარისკაცებს კი მტრისა ეშინოდათ, მათ იმდენად ის არ აფრთხობდა, პირველ პუნიკურ ომში რომაელთა გამარჯვება რომ ახსოვდათ, რამდენადაც გრძელი, ჯერ კიდევ გაუქვალავი გზა და ალპები, ამიტომაც ჰანიბალი დაეთანხმა ბოიებს და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ წინ ევლო. ჰანიბალმა კრება გაძარტა და ენამზიანი სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც თან სირცხვილში აგდებდა თავის მეომრებს, თან აგულიანებდა.

— ახლა, როცა გზის უმეტესი ნაწილი უკან მოვიტოვეთ, პირენეი გადავიარეთ, მძვინვარე ბარბაროსებს შორის გზა გავიკაფეთ, რამდენიმე ათასი გალის წინააღმდეგობა დავძლიეთ, მდინარე როდანუსი გადავლახეთ და წყლის დინების ძალა ნადირივით დავიურვეთ, ნუთუ ახლა, როცა ალპების წინაშე ვდგევართ, რომლის გადაღმა იტალიაა, ზედ მტრის კარიბჭესთან ღონემიხდილნი უნდა შევჩერდეთ? და განა რას წარმოადგენს ეს ალპები? ერთი მაღალი მთებია და მეტი არაფერი! იქნებ ის გაშინებთ, რომ იგი პირენეიზე მაღალია? მერე რა, იყოს მაღალი. არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი მწვერვალი, ცასაც რომ სწვდებოდეს, და ადამიანისათვის მიუდგომელი იყოს. ალპები! — იქ ხომ ადამიანები სახლობენ, მოჰყავთ პური, აძოვენებენ ცხვარს! ვინ დაამტკიცებს, რომ მათი ზეკარები ჯარებისათვის ჩარაზულია? მაშ, როგორღა მთაღწიეს ჩვენამდე ამ ელჩებმა, თქვენ რომ ხედავთ? ფრთები ხომ არ გამოისხეს! ანდა გგონიათ, მათი წინაპრები იტალიაში დაიბადნენ? არა, ისინი იტალიაში სწორედ ამ ალპებით გადავიდნენ. ჩადიოდნენ მშვიდად, დიდ-დიდ ჯგუფებად, ცოლ-შვილიანად. ჩვეულებრივი ახალმონაშენეთა მსგავსად. რა შეიძლება იყოს მიუდგომელი და დაუძლეველი ჯარისკაცისათვის, რომელსაც იარაღის გარდა არაფერი ამძიმებს? იმისათვის, რომ საგუნტი აკველო, რვა თვის ალყის მანძილზე რა გასაჭირი არ გამოვიარეთ. ახლა ჩვენი მიზანია რომი, მთელი სამყაროს დედაქალაქი და ნუთუ შევეუშინდებით მსხვერპლს, ტანჯვა-წვალებას, ჯაფასა და მიზანზე უარს ვიტყვით? თავის დროზე ეს ქალაქი გალებმა¹ აიღეს, პუნს კი

¹ გალებმა რომი მეორე პუნიკურ ომამდე, დაახლოებით, ას ორმოცდაათი წლის წინათ აიღეს.

მის გალავანთან მისვლის იმედიც აღარ აქვს? რა გაეწყობა, მაშ, გინდათ ვადიაროთ, რომ ჩვენ იმ ხალხზე ლაჩარნი და სულმდაბალნი ვართ, რომლებიც არაერთხელ დავარბიეთ ამ ბოლო დღეებში.. არ გინდათ?—მაშ, გახსოვდეთ, რომ ჩვენი გზა დასრულდება მარსის მინდორზე, ტიბრსა და რომის გალავანს შორის!

მეორე დღეს ბანაკი აიყარა. ჰანიბალი ზოდანუსს ზემოთ აჰყვავს, უნდოდა რაც შეიძლება, შორს გასცლოდა ზღვასა და კონსულ კორნელიუსს. საჭირო იყო თბილ ტანსაცმელზე ეზრუნა, რათა ჭარისკაცები ალპების სასტიკი ყინვისაგან დაეცვა. მოახერხა კიდევ: გზა-გზა საზამთრო ტანსაცმელი უხვად მოიმარაგა.

მათი პირველი დაბრკოლება გზაზე მდინარე დრუენცია იყო. გალიის მდინარეებს შორის, წყალუხვობის გამო, იგი ყველაზე ძნელი გადასალახავია. ამ მდინარეზე არამც თუ გემი, ნავიც ვერ დაცურავს. მუდმივი, მყარი ნაპირი არ გააჩნია, კალაპოტს წამდაუწუმ იცვლის და მეჩეჩებსა თუ ღრანტეებს ქმნის, თანაც წვეტიან ქვებს მიაგორებს. რა თქმა უნდა, ეს მდინარე არანაკლებ საშიშია ქვეითი ჭარისათვის, რომელიც ფონს ეძებს. ადვილი წარმოსადგენია, რა შიში და ძრწოლა ექნებოდათ კართაგენელებს მდინარის გადალახვის დროს, მით უმეტეს, რომ კოკისპირული წვიმების შედეგად დრუენცია იმხანად აღიდებული იყო.

ალპები ალპები

დრუენციის გადალახვის შემდეგ, ჰანიბალმა ადვილად მიადწია ალპების ძირას. დარჩეული ხმები მუდამ ყველაფერს აზვიადებს ხოლმე, ჭარისკაცები თითქოს ყოველი განსაცდელისათვის მზად იყვნენ, მაგრამ როცა საკუთარი თვალით დაინახეს თოვლით დაფარული ცამდე აწვილილი მწვერვალები, კლდეებზე მიკრული უბადრუკი ქოხმახები, სიცივისაგან დაღუღილი საჭონელი, წვერგაუპარსავი და თმამოშვებული ჭუჭყიანი ხალხი, შეძრწუნდნენ.

ჯარმა დაიწყო ალპებზე ასვლა. ბორცვებზე, რომლის ფერდობებზეც კართაგენელები მიფოფხავდნენ, მყის მთიელები გადმოდგნენ. მთიელებს სხვა, უფრო დაფარული პოზიცია რომ აერჩიათ, შეეძლოთ სრულიად მოულოდნელად დაერტყათ კართაგენელებისათვის და მესრი გაეცლოთ. ჰანიბალმა ბრძანა შეჩერებულიყვნენ და წინ გალები გაგზავნა, რომელთათვისაც ეს ადგილები ნაცნობი იყო. როცა მზვერავებმა მოახსენეს, მთიელებს უღელტეხილის მისადგომები გულდაგულ აქვთ ჩაკეტილიო, ბრძანა, ბანაჯი ზედ ფერდობზე დაეცათ.

გალი მზვერავები, რომლებიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ მთიელებისაგან და მათი ენა კარგად ესმოდათ, შეუმჩნევლად შეერივნენ მთიელებს და საუბარი გაუბეს. მზვერავებმა მალე შეიტყვეს, რომ მთიელები ღამე საგუშაგოებს ტოვებდნენ და შინ მიდიოდნენ. დილით ჰანიბალი ბორცვებთან უფრო ახლოს მიიწია, თითქოს უნდოდა უღელტეხილისაკენ დღისით ძალით გაქრილიყო. მთელი დღე მოწინააღმდეგის მოტყუებაში გავიდა, ხოლო საღამოს კართაგენელები თავიანთ ძველ ბანაკში დაბრუნდნენ. ჰანიბალი თვალს არ აცილებდა ბორცვებს. როგორც კი დარწმუნდა, დაპყველები წავიდნენ და თითო-თითო გუშაგოდა დატოვესო, დაუყოვნებლივ ქვეითი ჯარის რამდენიმე რაზმით ყველა სიმაღლე დაიკავა.

გარიჟრაჟზე პუნების ჯარი აიყარა. გაიღვიძეს მთიელებმაც და გუშინდელი საგუშაგოებისაკენ დააპირეს წასვლა, მაგრამ რას ხედავენ — მტრის ერთ ნაწილს ხელთ უგდია მათი სიმაგრეები, ხოლო მეორე ნაწილი ბილაკით დაბლა ეშვება და ფერდობს გარს უკლის.

მთიელები თავდაპირველად გაკვირვებისაგან გაშეშდნენ, მაგრამ, რომ დაინახეს, ბილიკებზე არეულობა და უწყესრიგობა არისო, ადამიანები შიშისაგან ერთმანეთს აწვებიან და სიარულში ხელს უშლიან, ხოლო გაცოფებული ცხენები სადავეებს გლეჯენო, მიხვდნენ, უფრო მეტი არევ-დარევა უნდა შეეტანათ მტრის რიგებში, რომ ერთმანეთი თვითონვე მოესრათ. მართლაც, მთიელები უგზო-უკვლოდ დაეშენენ თავქვე და სულ მალე პუნები უნდობი ბილიკის სივიწროვესა

და შტერს ერთდროულად ებრძოდნენ. ისინი უფრო ერთმანეთს ხოცავდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეს, რადგან მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ღვიძრობდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მალე დაეღწიათ თავი განსაცდელისათვის.

ყველაზე დიდი ზიანი კართაგენელებს საკუთარმა ცხენებმა მიაყენა. ისინი მეტისმეტად დაეფრთხო მეომართა ყვირილს, მრავალგზის რომ იმეორებდა და აძლიერებდა ექო და ხეობებში იკარგებოდა. ამ ხმებით დამფრთხალ ცხენს ყოველგვარი ჭრილობა, ძალზე მსუბუქიეც კი, ამძვინვარებდა. ისინი ძირს ყრიდნენ ბარდანებს, გზიდან იცილებდნენ გამრეკებს და ყველაფერი ეს უძირო უფსკრულში ინთქმებოდა. მეომარიც ბევრი დაიმტვრა.

სამძიმო, საზიზლარი სანახავი იყო ჰანიბალისათვის ყოველივე, მაგრამ იგი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა, რათა ხალხით გაქედნილ ბილიკებზე არეულობა კიდევ უფრო მეტად არ გაეძლიერებინა. ამასობაში მთიელებმა ალალი ძირითად ძალებს ჩამოაცილეს, ხოლო ალალის გარეშე დარჩენილი ჯარი, მთელი და უვნებელიც რომ იყოს, არაფრად ღირს. ამიტომაც ჰანიბალი იძულებული გახდა თავქვე დაშვებულყო. მსუბუქმა ქვეითმა ჯარმა, ერთი დარტყმით მტრები გაფანტა, სამაგიეროდ, პუნებს შორის პანიკამ ახალი ძალით იფეთქა, თუმცა პანიკა დიდხანს არ გაგრძელებულა. მთიელები გაიქცნენ, გზა გაიწმინდა და ალალმა სიჩუმესა და სიმყუდროვეში დაუბრკოლებლად გაიარა.

მომდევნო სამ დღეში ჰანიბალმა კარგა მანძილით წაიწია წინ, რადგან აღარც გზა იყო წინანდებურად ძნელად სავალი და აღარც მთიელები გამოჩენილან.

ახლა კართაგენელები მთის სხვა ტომების სამფლობელოებში იყვნენ. აქ პუნებმა კინალამ თავი წააგეს იმით, რითაც თვით იყვნენ განსაკუთრებით ძლიერი — ვერაგობითა და სიცრუით. ჰანიბალთან რამდენიმე ციხესიმაგრის უხუცესი გამოცხადდა და ასე უთხრა:

— ჩვენი მეზობლების მაგალითი ჩვენთვისაც კარგი გაკვეთილია. ჩვენ შენი მეგობრობა გვინდა, შენი ძალის გამოცდა კი სრულიად არა გვსურს. ჩვენ ყველაფერს აგისრულებთ, რასაც გვიბრძანებ. მიიღე ჯარისკაცებისათვის სურსათ-სანო-

ვაგე, საქობლისთვის—საკვები და გამცილებლები; ამასთანავე მიიღე მძევლები, რათა მშვიდად იგრძნო თავი.

ჰანიბალმა მათ ფარისევლურ სიტყვებს არ დაუჭერა, მაგრამ პასუხი ალერსიანი და კეთილგანწყობილი ჰქონდა, რადგან უიშობდა, სხვანაირმა პასუხმა ეს ფარისევლები აშკარა მტრებად არ მიქციოსო. მძევლებიც მიიღო და საკმელ-სასამელიც, მაგრამ ჯარი გადასასვლელად ისე როდი განალაგა, როგორც მეგობრის მიწა-წყალს შეეფერებოდა. წინ სპილოები და ცხენოსანთა ჯარი გაიძლოლა, თვითონ კი ქვეითი ჯარის მთავარი ძალებით ფეხდაფეხ მიჰყვა, თან აქეთ-იქით ფხიზლად იტყირებოდა და ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზად იყო.

თავდაპირველად სიწყინარე სუფევდა, მაგრამ როგორც კი გზა შევიწროვდა და მის ცალ მხარეს ციცაბო ფერდობი აღიმართა, საფარიდან მოულოდნელად ბარბაროსები გამოცვივდნენ.

ბარბაროსები კართაგენელებს ზურგიდან და წინიდან ერთდროულად ეკვეთნენ, გაუმართეს ხელჩართული ბრძოლა, ზემოდან ვეება ქვეები დააყარეს. ყველაზე მეტად მტრები ჯარს ზურგიდან აწვებოდნენ და კართაგენელების კოლონას ასე საიმედოდ რომ არ ჰქონოდა ბოლო გამაგრებულნი, უბედურება გარდუვალი და გამოუსწორებელი იქნებოდა.

ჰანიბალი აყოვნებდა, ვერ გადაეწყვიტა, უკან მიებრუნებინა თუ არა ქვეითი ჯარი, რომელიც უშუალოდ მას ექვემდებარებოდა. სანამ აყოვნებდა, მთიელები სწრაფად ჩაცურდნენ ხრამში, მტრის მწყობრი ორად გაყვეს და გზას დაეპატრონენ. მთელი ღამე ჰანიბალი ცხენოსანთა ჯარსა და ალაღს მოწყვეტილი იყო. მხოლოდ მეორე დილით მოხერხდა ლაშქრის ორივე ნაწილის შეერთება და ის ბედნავსი ხეობა ჯარმა, როგორც იყო, გაიარა. ბარბაროსების იმდღევანდელი შემოტევა კი წინანდელთან შედარებით გაცილებით სუსტი იყო.

ამის მერე მთიელთა მოქმედება ყაჩაღთა თავდასხმებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ომს, ისინი მცირე ჯგუფებად გამოჩნდებოდნენ და მწყობრს ხან თავში შეუტევდნენ, ხან ბოლოში. იყენებდნენ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც მთის ადგილმდებარეობა ანდა თვით კართაგენელების გაუფრთხილებლობა აძლივდა.

ვიწრო. ბილიკებზე, ხრამებსა და უფსკრულების პირას, სპილოები, ცხადია, ძალიან ნელა მოძრაობდნენ, სამაგიეროდ, ლაშქარს მშვენივრად იცავდნენ: მთიელებს უწინ არასოდეს ენახათ ეს ცხოველები, მათი ეშინოდათ და მიახლოებას ვერ ბედავდნენ.

მეცხრე დღეს კართაგენელებმა ალპების ქედის მწვერვალს მიაღწიეს.

თითქმის მთელი გზა უგზო-უკვალოდ, ალაღბედზე მიბობ-ღავდნენ. ამის შიშეში ან გალელ გამყოლთა მზაკვრობა იყო, ანდა მეტისმეტი სიფრთხილე ჰუნებისა, რომლებიც არ ენდობოდნენ გამყოლებს და მათ რჩევას ყურს არ უგდებდნენ. აქ ჰანიბალმა ბანაკი დასცა და ჯარისკაცები ორი დღით შეასვენა. ბევრი საპალნეაკიდებული ჯორი და ცხენი, რომლებიც კლდეებში დაიკარგნენ, ჯარის მიერ გზადაგზა დატოვებულ კვალს გამოჰყოლოდა და ბანაკს მოადგა. ყველა ამ გასაჭირს, რაც კართაგენელებმა გამოიარეს, ახლა თოვაც დაემატა. განთიადისას ჯარმა ჩამოსვლა იწყო. მოლაშქრეები თოვლში ეფლობოდნენ და ფეხებს ძლივს ადგამდნენ.

სახეზე ყველას გულგატეხილობა და სასოწარკვეთილება ეწერა. ჰანიბალმა, რომელიც დროშების წინ მიაბიჯებდა, ლაშქარი კლდის ფართო შვერილზე გააჩერა, საიდანაც ალპების შოშიჯნავე პადას ველი მოჩანდა, ჯარისკაცებს გამამხნევებელი სიტყვებით მიმართა:

— გახედეთ, თქვენს წინ იტალიაა, დღეს თქვენ არა მარტო მის კედლებზე ახვედით, არამედ თვით ქალაქ რომის კედლებზეც. ამიერიდან გზა სწორი და იოლი გექნებათ. ერთი, ჰა, დიდი-დიდი, ორი შეტაკება და იტალიის დედაქალაქი თქვენს ხელთ და თქვენს განკარგულებაში აღმოჩნდება.

მტრები მეტად აღარ გამოჩენილან, თუ არ ჩავთვლით შემთხვევით თავდასხმებს. სამაგიეროდ, თავდაღმართზე გაუგონარ სიძნელეებს წააწყდნენ, რადგან ალპების სამხრეთი ფერდობი ჩრდილოეთთან შედარებით უფრო მოკლე და გაცილებით ციცაბოა.

ყველა ბილიკი ფრიალო, ვიწრო და მოლიბული გამოდგა, საკმარისი იყო, წონასწორობის დაკარგვა, რომ ფეხზე ველა-

რაფრით დადგებოდი. ადამიანები და ცხოველები ერთმანეთს აწყდებოდნენ და წინ მიმავალთ აქცევდნენ.

და მაინც კართაგენელები წინ მიიწევდნენ, სანამ არ მიადგნენ ძალზე ვიწრო, თითქმის შევეულ ნაპრალს. ლოდებშუა ამოჩრილ ბუჩქებსა და ფესვებს ჩაბლაუქებული მეომრები უბარგოდაც კი ძლივძლივობით მიბობლავდნენ ქვევით. ნაპრალის სიღრმე სამას მეტრს აღწევდა.

ცხენოსანი ჯარი შეჩერდა: მათთვის გზა გადაჭრილი იყო. ჰანიბალმა თვითონ დაათვალიერა გარშემო ყველაფერი და დარწმუნდა, რომ ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა: ნაპრალისთვის უნდა შემოევლო და ჯარი ადამიანისაგან ჯერ ფეხდაუკარებელი ადგილებით წაეყვანა, მაგრამ კვლავ წინააღმდეგობას წააწყდა: ძველ ყინულზე ახალჩამოყრილი, ფაფუკი თოვლი იღო. თოვლი ღრმა არ იყო და თავდაპირველად არც სიარული ჭირდა. მაგრამ იმდენი ჯარისკაცის ფეხმა და ცხენთა ფლოქვებმა თოვლი გაალხო და გლუვ ყინულზე გადასხმულ წუმპედ აქცია.

მეტად გულსატკენი, აუტანელი სანახავი იყო, როგორ ებრძოდნენ ადამიანები მოლობულ, ციკაბო ფერდობს. მოცურებული ჯარისკაცები ოთხით მიფოფხავდნენ, მაგრამ მუხლიცა და ხელისგულიც ფეხივით უსხლტებოდათ ყინულზე და კვლავ ქვევით მიცურავდნენ. არსად არც ბალახი იყო, არც ფესვი, რომ ჩასჭიდებოდნენ, ან ფეხი მოეკიდებინათ, გარშემო მხოლოდ ყინული და ლელმა იღო.

ცხოველებს კი ზოგჯერ თოვლის ქვედა ფენაც უტყდებოდათ და თითქმის მახეში ებმებოდნენ. განწირული ცხოველები თავის დაღწევას ცდილობდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. შედეგად ყინულის ქერქი ნამსხვრევებად იქცეოდა და ცხოველები სამუდამოდ თოვლში რჩებოდნენ.

ცხოველებსა და ადამიანებს ტყუილ-უბრალოდ გამოეცალათ ძალ-ღონე. ბოლოს ჰანიბალმა ბრძანა, ზედ ქედზე დაბანაკებულიყვნენ. ბანაკისათვის ადგილი რომ გაეწმინდათ, ვეება თოვლის მთის მოთხრა და გადაყრა დასჭირდათ. როცა მეომრებმა ცოტათი სული მოითქვეს, ისინი გზის გასაყვანად ისევ იმ ნაპრალისაკენ წაიყვანეს, რომელიც წინათ ჰანიბალს გაუვალი ეჩვენა. ჯარისკაცები ჭრიდნენ შალასა და მსხვილ

ხეებს, კაფავდნენ ტოტებს, ერთიმეორეზე აწყობდნენ მო-
რებს, როგორც კი ქარი ამოვარდებოდა, დიდ კოცონს დაან-
თებდნენ, რომ ცეცხლი უფრო აგიზგიზებულებოდა. როცა კო-
ცონი ჩაქრებოდა, გავარვარებულ ლოდებს ძმარს ასხამდნენ,
რომ კლდე დაშლილიყო, შემდეგ რკინის წერაქვებით გზას
ჭრიდნენ, რათა ამით დაკლავნილი ციცაბოები ცოტათი მაინც
გაემართათ, რომ ზედ არა მარტო ჯორებსა და ცხენებს
გაეკლო, არამედ სპილოებსაც.

სამუშაოს ოთხ დღეს მოუხდნენ. საქონელი შიმშილისგან
დავარდა, რადგან მთის მწვერვალზე თითქმის არაფერი ხა-
რობს და თუკი რაიმე ხარობს, ისიც თოვლითაა დაფარული.
სამაგიეროდ, უფრო ქვევით კართაგენელებს ელოდათ თბილი,
წნიური ხეობები, ნაკადულები, ტყეები და მდელოები. აქ
ძალ-ღონე მოიკრიბეს ადამიანებმა და საქონელიც გააძლეს.
დასვენების შემდეგ სამ დღეში გაიარეს მთისწინეთი და
ვაკეზე გავიდნენ.

ესპანეთიდან იტალიაში ჩასვლას ხუთ თვეს მოუხდნენ,
აღებებზე გადასვლას — თხუთმეტ დღეს. რამდენი ჯარი მოიყ-
ვანა ჰანიბალმა იტალიაში, ზუსტად არავინ იცის; დაახლოე-
ბით ოთხმოცი ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ათი ათასი ცხე-
ნოსანი ივარაუდება.

ალკებიდან ტიცინუსამდე

კართაგენელები გალებ-ტავრინების სამფლობელოებში
დაბანაკდნენ. ჰანიბალისათვის მეტად ხელსაყრელი მდგომარე-
ობა შეიქმნა: ტავრინები თავიანთ მეზობელ გალებ-ინსუმბ-
რებს ეომებოდნენ. საკმარისი იყო ჰანიბალი რომელიმე მხა-
რეს მიშველებოდა, რომ მაშინვე პირველი მოკავშირეები შეე-
ძინა, მაგრამ მეომრებმა მხოლოდ ახლა, დასვენების უამს
იგრძნეს მთელი სიცხადით, რა გასაჭირი გამოიარეს. როცა
დიდ ჭაფას დასვენება მოჰყვა, გაჭირვებას — სიუხვე, სიცი-
ვეს, სინესტესა და ტალახს — სითბო და სისუფთავე — ჭრილო-
ბები განუახლდათ და მოეშვნენ. ჰანიბალი ველარ შეძლებდა

აქტულებიან თავისი ხალხი, ერთბაშად ბრძოლის ველზე გასულიყო.

ყოველივე მშვენივრად ესმოდა კონსულ პუბლიუს კორნელიუსსაც, რომელიც გალიიდან ზღვით დაბრუნდა და იმხანად შეკრებილ ჯარს სათავეში ჩაუდგა (თავისი ლაშქარი, რომელსაც მისივე ძმა გნეუს კორნელიუს სციპიონი სარდლობდა, გალიიდან ესპანეთში გაგზავნა). იგი სწრაფად დაიძრა მდინარე პადუსისაკენ, რომ ჯერ კიდევ ძალღონემოუკრებავ ჯარს იქ შეებოდა. მაგრამ ამ დროისათვის ჰანიბალმა მოასწრო ბანაიკის აყრა და ტავრიანების¹ მთავარი ქალაქის აღება, ტავრიანებმა არ ისურვეს ჰანიბალის მეგობრობა, თუმცა არ ისურვესო. ვერ ვიტყვით: ისინიცა და მდინარე პადუსის გაყოლებაზე დასახლებული სხვა გალთა ტომებიც სიამოვნებით შეუერთდებოდნენ ჰანიბალს, რომ კონსულს არ შინებოდათ და დღე-ღღეზე მისი მოლოდინი არ ჰქონოდათ. ჰანიბალი დარწმუნდა, გალები მუდამ იმას დაუჭერდნენ მხარს, ვინც მათთან ანლოს აღმოჩნდებაო, და ტავრიანების სამფლობელოები მიატოვა, კორნელიუსის შესახვედრად დაიძრა.

კორნელიუსმა მდინარე პადუსი გადალახა და მდინარე ტიციუსს მიადგა. ორივე ჯარი თითქმის ერთმანეთის გვერდი-გვერდ იდგა, სადაცაა, ომი უნდა დაწყებულიყო და თავისი ხალხის გასამხნეველად კორნელიუსმა, დაახლოებით, ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

— მე რომ ის ლაშქარი მახლდეს, რომელსაც გალიაში დავცილდი, სიტყვას არ დავძრავდი. აბა, რა საჭიროა გამამხნევებელი სიტყვით მიმართო იმ ცხენოსანთა ჯარს, რომელმაც გაანადგურა მტერი როდანუსთან, ანდა იმ ქვეით ჯარს, რომელმაც ჰანიბალს ფეხდაფეხ სდია და ზურგზე ბოლი ადინა. თუ მტერი უკან იხევს და ბრძოლას თავს არიდებს, მაშასადამე, გამარჯვებას ხელში გვაჩეჩებს! თქვენთვის, ჯარისკაცებო, მე ახალი უფროსი ვარ, ხოლო თქვენ ჩემთვის ახალი ხელქვეითები, ამიტომაც მოახლოებული ბრძოლის წინ მოისმინეთ რამდენიმე სიტყვა.

¹ ახლანდელი ტურინი. ამ იტალიური გეოგრაფიული სახელწოდებით — თუმცა შეცვლილი სახით — მოაღწია ჩვენამდე აწ გამქრალი გალთა ერთ-ერთი ტომის სახელმა.

უწინარეს ყოვლისა, ვინ არიან ჩვენი მტრები?—სწორედ ის კართაგენელები, რომელთაც პუნიკური ომის დროს კუდით ქვა ვასროლინეთ ხმელეთზეც და ზღვაზეც. მაშასადამე, მძლეველის სიხარულით ფრთაშესხმულნი ჩვენ დღესაც გაბედულად ვიბრძოლებთ, ხოლო ისინი ძლეულის ნალველით გულმოკლულნი შიშით იომებენ. შემდეგ: ალპების გადალახვის დროს მათ დაკარგეს ქვეითი ჯარის ორი მესამედი და ამდენივე ცხენოსანთა ჯარი, ხოლო ისინი, ვინც ცოცხალი დაჩა, შიმშილით, სიცივით და ქუჩყით გატანჯულნი ადამიანებს კი არა, აჩრდილებს ჰგვანან. მათ ხელ-ფეხი, ზურგი, გვერდები დაჩეჩქვილ-დამტვრეული, გადაყვლეფილი აქვთ ქვებსა და კლდეებზე ხოხვით, ყინვისაგან დამზრალნი არიან. იარაღი დაუჩლუნგდათ, ცხენები დაუკოჭლდათ. მე ის მაშინებს, ჩვენი გამარჯვების შემდეგ არა თქვან, ჰანიბალი რომაელებმა კი არა, ალპებმა დაამარცხო.

ჰანიბალთან ბრძოლის დროს, თქვენ არა მარტო ის ჩვეულებრივი გრძნობა გექნებათ, ყოველი ბრძოლისას რომ გეუფლებათ ხოლმე, ახლა ამას დაემატება განსაკუთრებული სიძულვილი და განსაკუთრებული მრისხანება, თითქოს აჯანყებულ მონებს თრგუნავდეთ. ჩვენ ხომ კართაგენელებთან პირველი ომის დროს შეგვეძლო შიმშილით ამოგვეხოცა სოცილიაში ალყაშემორტყმული მთელი ჯარი, შეგვეძლო გადაგვეცურა აფრიკაში და მთელი ქალაქი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აღგვეგავა პირისაგან მიწისა, მაგრამ ჩვენ შევიცოდეთ დამარცხებულები, მშვიდობა შევეუნარჩუნეთ და ჩვენი მფარველობის ქვეშაც კი ავიყვანეთ. მერედა, რით გადაგვიხადეს მადლობა? — რომზე მოდიან!

გამიგეთ, თუმცა ძალზე ძნელია ამის დაჭერება, რომ ამ ომში დიდებას კი არ ვეძებთ, არამედ სამშობლოს გადარჩენისათვის ვიბრძვით, სიცილიისა და სარდინიისათვის კი არ ვომობთ, როგორც ამ ოცდაათი წლის წინათ, არამედ იტალიისათვის. ჩვენ ზურგს უკან არ დგას სხვა ჯარი, რომელიც მოწინააღმდეგეს შეაჩერებდა, თუ ბრძოლის ველიდან გავიქცევით, არ არსებობს სხვა ალპები, რომელიც გადაეღობებოდა მტერს და ახალი ძალების თავმოყრის საშუალებას მოგვ-

ცემდა. ამიტომაც, ჩვენ აქ ვიბრძოლებთ ისეთი შეუპოვრობით, როგორც ვიბრძოლებდით თვით რომის გალავანთან.

ჰანიბალმაც მიმართა თავის ჯარს სიტყვით. მაგრამ სანამ სიტყვას წარმოთქვამდა, წინასწარ ბრძანა, ტყვე მთიელები მომგვარეთო და უთქრა: თქვენს შორის ვინც თანახმა იქნება და ერთმანეთს შეებრძოლება, გამარჯვებულს თავისუფლებას, საქურველს და ცხენს ვუბოძებო. ყველამ, როგორც ერთმა, მოინდომა ხელში იარაღი აეღო და ბედი ეცადა. მაშინ, ჰანიბალმა ტყვეებს შესთავაზა, ერთმანეთში კენჭი ეყარათ. ვისაც კენჭი შეხვდებოდა, სიხარულისგან ბუქნავდა, გალების ზნეჩვეულების მიხედვით თავაწყვეტილი როკავდა და ხტუნავდა. ასე შედგა რამდენიმე წყვილი და დაიწყო ორთაბრძოლა. ამან ისე აღაგზნო და გააფიცხა ყველა მაყურებელი — არა მარტო ტყვეები, არამედ კართაგენელები, — რომ დახოცილ მამაც მებრძოლებს ლამის უფრო მეტად აქებდნენ, ვიდრე ცოცხლად დარჩენილებს.

ჰანიბალმა რა დაინახა ეს საყოველთაო აღტყინება, სასწრაფოდ შეჰყარა ჯარი. იგი თავისი ჯარისკაცების ხვედრს ადარებდა ხვედრს ტყვეებისას, რომლებიც მათ თვალწინ ბრძოლით იხოებოდნენ და ასაბუთებდა, ჩვენი მდგომარეობა მათზე სახარბიელო სრულებით არ არისო. მარცხნივ და მარჯვნივ ორი ზღვა გვაკრავს, ჩვენს ზურგს უკან ალპებია, წინ კი ბობოქარი, განიერი პადუსი. პირველსავე ბრძოლაში ან უნდა გავიმარჯვოთ, ან დავიხოცოთ, სხვა გამოსავალი არ არის. გამარჯვებულს ბედი გაუგონარი საჩუქრებით აავსებს.

იგი თავისიანებს არწმუნებდა, რომაელებზე გამარჯვება არც ისე ძნელია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ კართაგენელების ჯარი რომაელებისაზე უფრო გამოცდილი და ძლიერია, ხოლო თავად ჰანიბალი კონსულ კორნელიუსზე იმდენად მალლა დგას, რომ მეთაურების შედარებაზე ლაპარაკი არცა ღირსო.

— ჩვენ ვესხმით თავს, თავდამსხმელი კი ყოველთვის იმაზე მხნე და მაძაცია, ვინც იძულებულია, თავდასხმა მოიგერიოს. ჩვენ გასაქცევი არსად გვაქვს, ამიტომ ლაჩრობა და სულმდაბლობა მიუტყევებელია. თუ ბედის სასწორი მტრისკენ გადაიხარა, მაშინ ბრძოლაში უნდა ვეძებოთ სიკვდილი და

არა გაქცევაში ხსნა. თუ ყველამ გაიგო და დაიმახსოვრა ეს სიტყვები, თქვენ უკვე გამარჯვებულები ხართ, რადგან ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლევამოსილი იარაღი, რომელიც უკვდავ ღმერთებს ხალხისათვის მიუწიკვებია, სიკვდილის სიძულვილია.

ბრძოლა მღინარე ტიცინუსთან

რომაელებმა ტიცინუსზე ხიდის გაღება დაიწყეს, ჰანიბალმა კი ამასობაში რომაელების მოკავშირე გალთა ტომების სამფლობელოთა დასარბევად ნუმიდელების ცხენოსანთა ჯარი გაგზავნა. ჰანიბალს სურდა, გალთა ამ ტომებს რომთან კავშირი გაეწყვიტა. როცა რომაელებმა ხიდის აგება დაამთავრეს, გალთა ნაპირზე გადავიდნენ და კართაგენელთაგან შეიდი-რვა კილომეტრის მოშორებით დაბანაკდნენ, ჰანიბალმა ერთხელ კიდევ შეკრიბა ჯარი და მეომრებს ისევ აღუთქვა დიდი ჯილდო — ფული, მიწები იტალიაში, აფრიკაში, ესპანეთში (ვისაც სად სურდა), კართაგენის სრულუფლებიანი მოქალაქეობა (ვისაც არ გააჩნდა), თავისუფლება თვით მონებსაც კი, რომლებიც თავიანთ პატრონებთან ერთად მონაწილეობას შიიღებდნენ ომში (პატრონებს კი ყოველი გათავისუფლებული მონის სანაცვლოდ ორი ახალი მონა აღუთქვა). მის დაპირებაში ექვი არავის რომ არ შეჰპარვოდა, ჰანიბალმა მარჯვენა ხელში ქვა აიღო, მარცხენა ხელი კრავს კისერში ჩასკიდა და იუპიტერსა და სხვა ღმერთებს ასე შელაღადა:

— თუ ჩემს სიტყვას არ შევასრულებ, ისეთივე სიკვდილი მარგუნეთ, ღმერთებო, როგორითაც ახლა ამ კრავს მოვკვავ! — და ჰანიბალმა კრავს თავი გაუჭიქვია.

ასეთი ფიცის შემდეგ კართაგენელებმა მიიჩნიეს, თითოეული ჩვენგანის მფარველი თვით ღმერთები არიან, იმედები შეგვისრულდებოდა და ყველა მოუთმენლად დაელოდა ბრძოლის დაწყებას. რომაელების ბანაკი კი, პირიქით, სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. გარდა იმისა, რომ რომაელებს ძალზე აეჭვებდათ საკუთარი ძალები — მათ აშინებდათ ცუდი ნიშანი: დღისით, მზისით, ბანაკში მგელი შევარდა, გზაზე გინც კი შეხვდა, ყველა დაგლიჯა და მღევარსაც ადვილად

დაუსხლტა. ხეზე, რომლას ძირში კონსულის კარავი იდგა, ფუტკრების გუნდი დაჯდა. კორნელიუსმა, ღმერთების რისხვა რომ დაეცხო, რომლის მომასწავებელი ეს ცუდი ნიშნები იყო, მსხვერპლი შესწირა, შემდეგ ცხენოსან და მსუბუქ ქვეით ჯარს წინ წარუძღვა და დასასვერად გაემართა. მტრის ბანაკისაკენ ნახევარი გზა რომ გაიარა, პანიბალს შეხვდა, რომელიც ცხნოსანთა რაზმის თანხლებით ასევე მიდამოს ათვალეირებდა. მოახლოებული მტრის კორიანტელი რომ დაინახეს, რომაელებიცა და კართაგენელებიც შეჩერდნენ და საბრძოლველად მოემზადნენ.

წინა ხაზზე კონსულმა კორნელიუს სციპიონმა მხოლოდ ხელშუბებით მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცები და გალი ცხენოსნები განალაგა. მძიმედ შეიარაღებულ რომაელთა ქვეითი ჯარი და მოკავშირეთა საუკეთესო ძალები კი ზურგში მოაქცია. პანიბალს მწყობრის შუაში ესპანელი მხედრები ეყენა, ორივე ფრთაზე კი — ნუმიდიელები. როგორც კი საბრძოლო ყიჟინა გაისმა, რომაელთა მსუბუქმა ქვეითმა ჯარმა პირი იბრუნა და ზურგში მდგარ რაზმებს შორის დაიძალა, მეტიც, მათს ზურგს ამოეფარა. გალებიც გაიქცნენ. ბრძოლაში რომაელი ცხენოსნები ჩაებნენ, მაგრამ ესპანელებმა მძიმედ შეიარაღებული ქვეით ჯართან შემჭიდროება მოასწრეს. ქვეითნი კი ცხენებს აფრთხობდნენ, რითაც არევე-დარევა შეპქონდათ მხედრების მოქმედებაში, ბევრი ცხენოსანი ძირს ცვიოდა, ბევრიც ხტებოდა ცხენიდან, რომ ამხანაგებს მიწველებოდა.

ცხენოსანი და ქვეითი ჯარის უწყესრიგო შეტაკება მანამ გაგრძელდა, სანამ ნუმიდიელებმა რომაელებს ორივე მხრიდან არ დაუარეს და ზურგიდან არ დაარტყეს. ატყდა პანიკა. უცებ ხმა დაირხა, კონსული დაიჭრაო და პანიკა ერთი-ორად გაიზარდა. მაგრამ განსაცდელისაგან, რომელიც სციპიონს ემუქრებოდა, მისი ვაჟის გამბედაობამ და მოხერხებულობამ იხსნა. სციპიონის ვაჟი იმ დროს ჩვიდმეტი წლისა არც იყო (ამ ჭაბუკს წილად ხვდა კარგა ხნის მერე დიდებით დაემთავრებინა ომი და ბრწყინვალე გამარჯვებისათვის „აფრიკელის“ სახელი მიეღო). მხედრები გარს შემოერთყნენ დაჭრილს, არა თუ იარაღით, საკუთარი მკერდით დაიცვეს იგი და მკაცრი წესრიგით თავიანთი ბანაკისაკენ დაიხიეს.

ჰანიბალთან პირველმა ბრძოლამ რომაელები დაარწმუნა, რომ მტერთან შედარებით სუსტი ცხენოსანთა ჯარი ჰყავდათ, და, მაშასადამე, ალპებსა და მდინარე პადუსს შორის გადაჭიმული ფართო ვაკე მათთვის ხელსაყრელი არ იყო. იმავე ღამეს ბანაკი აშალეს და მდინარე პადუსს მიაშურეს. ჰანიბალი დაედევნა, მაგრამ რომაელები მშვიდობიანად გავიდნენ გაღმა ნაპირზე. მტერს ხელში ჩაუვარდა მხოლოდ ექვსასამდე კაცი, რომლებიც ხიდის დანგრევის დროს შეყოვნდნენ (ხიდს ორივე მხრიდან ერთდროულად ანგრევდნენ, მისი შუა ნაწილი კიღვე დინებამ დაშალა და წაიღო).

ჰანიბალი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაეწია მტერს. ინათა თუ არა, ჯარი ველზე განალაგა და კონსულს ომი შესთავაზა, მაგრამ რომაელებს ბანაკიდან ფეხი არ გამოუდგამთ. ალბათ, ისინი შემდეგშიაც ფეხს არ მოიცილდნენ, რომ გალთა მაშველ ნაწილებს რომაელებისათვის არ ეღალატათ: ღამით გაღებმა ბანაკის ჭიშკართან გუშაგები დახოცეს და ორი ათასამდე ქვეითი ჯარისკაცი და ორასი მხედარი ჰანიბალთან გაიქცა. პუნი მათ ყოველნაირად მოეფერა და თავისუფლება უბოძა.

ჰანიბალი იმედოვნებდა, ეს ხალხი თავის ტომებს ჩემი გულუხვობის და დიდსულოვნების ამბავს მოუთხრობსო და მათაც ლალატისათვის განაწყობსო.

სციპიონმა იფიქრა, ყველა გალი შემლილია და მზადაა რომის წინააღმდეგ იარაღი აღმართოსო. მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობა მეტისმეტად აწუხებდა, მომდევნო მეოთხე საგუშაგოს ღამეს ბანაკი მდინარე ტრებიას გაღმა, ცხენოსნებისათვის მიუვალ მაღლობებზე გადაიტანა. ჰანიბალმა თავდაპირველად მათ ნუმიდელები დაადევნა, შემდეგ კი ცხენოსანთა მთელი ჯარი. რომაელები ალბათ ძალიან დაზარალდებოდნენ, რომ ნუმიდელებს სინარბე არ გამოეჩინათ და მიტოვებულ ბანაკში არ შეცვივნლიყვნენ. სანამ ისინი ყოველ კუთხე-კუნჭულს ქეჩავდნენ, სადაც, სხვათა შორის, ვერაფერ ძვირფასს ვერ პოულობდნენ, მოწინააღმდეგე იქაურობას გაეცალა.

რომაელებმა ახალი ბანაკი თითქმის ზედ მდინარის ნაპირთან დასცეს: ჯერ ერთი, ნჯღრევამ სციპიონს ჭრილობები გაუ-

მიზეზა, მეორეც, საჭირო იყო დალოდებოდნენ მეორე კონსულს, სემპრონიუსს, რომელიც სენატმა სიცილიიდან გამოიხმო. ჰანიბალი შორიახლოს დაბანაკდა.

სიცილიაში რომაელმა ნაცვალმა მარკუს ემილიუსმა წარმატებით მოიგერია კართაგენელთა ფლოტის თავდასხმა ჯერ კიდევ კონსულ სემპრონიუსის ჩასვლამდე. კონსულმა კი კართაგენელებისგან სიცილიის სამხრეთით მდებარე კუნძული მელიტუს¹ წართმევა მოახერხა, მაგრამ ამ დროს რომიდან ცნობა მოვიდა, ჰანიბალი იტალიაში შეიჭრა და კორნელიუს სციპიონს დაუყოვნებლივ მიეშველეთო. სემპრონიუსმა მაშინვე გეძებზე დასვა ჯარი და ადრიატიკის ზღვით არიმინუმში გაგზავნა, თვითონ კი რამდენიმე დღის მერე კვალდაკვალ მიჰყვა მათ. არიმინუმიდან იგი ტრებიისაკენ გაემართა და იქ საკონსულოს თანაამხანაგს შეუერთდა.

ახლა ჰანიბალის პირისპირ ორივე კონსული და რომის მთელი სამხედრო ძალა იდგა. ყველამ იცოდა: თუ რომის სახელმწიფოს დასაცავად ეს ძალა არ იქმარებდა, მაშინ აღარაფრის იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ.

მაგრამ კონსულებს შორის თანხმობა როდი სუფევდა: ერთი, წარუმატებლობისაგან თავგზააბნეული და ჭრილობებისაგან დასუსტებული, მტერთან შებმას არ ჩქარობდა, მეორე კი ყოველგვარი დაყოვნების წინააღმდეგი იყო.

ბრძოლა ტრებიასთან

იმ დროს ტრებიასა და პაღუსს შორის ადგილები მთლიანად გალებით იყო დასახლებული. ისინი ჯერჯერობით სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ და არც ერთ მხარეს არ ემხრობოდნენ, მაგრამ მზად იყვნენ მოწყალება ეთხოვათ მომავალში გამარჯვებულისათვის. რომაელები ამ ამბავს გულგრილად უყურებდნენ, სამაგიეროდ, ჰანიბალი ჰყრიდა ცოფებს. მას მრავალჯერ განუცხადებია, იტალიაში გალების თხოვნით მო-

¹ ახლანდელი მალტა.

ველი, — თავისუფლება უნდა დაეუბრუნოო! იმისათვის რომ „უშადურნი“ დაეძორჩილეინა (ამასთანავე მის ჯარისკაცებს სარგებლობა ენახათ), ჰანიბალმა ორი ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ათასი ცხენოსანი გაგზავნა და დაავალა, მთელი ველი თვით პადუსის ნაპირებამდე აეოხრებინათ. კართაგენელების თავდასხმამ მყის ზღვარი დაუღო გალების ყოყმანს. ისინი კოსსულებთან გაიქცნენ და მოითხოვეს, დაგვიცავითო, თანაც ირწმუნებოდნენ, ჰანიბალის რისხვა რომისადმი ჩვენი ერთგულებითაა გამოწვეულიო.

კორნელიუსს მიაჩნდა, რომ რომაელებს სხვათა საქმეების შოგვარების დრო არა ჰქონდათ, მეტადრე ისეთი მუხანათი ხალხის საქმეებისა, როგორიც გალები იყვნენ, მაგრამ სემპრონიუსი ამტკიცებდა, რომ მოკავშირეთა გადმობირებისა და მათი ერთგულების შენარჩუნებისათვის არ არსებობს უკეთესი გზა, ვიდრე დახმარების ხელი გაუწოდო მათ შორის იმ ხალხს, რომელიც პირველი გთხოვს შველასო. სემპრონიუსი არ დაელოდა ამხანაგის თანხმობას და თავისი ცხენოსანი ჯარი მდინარე ტრებიის გაღმა გაგზავნა. ნადავლით დაყატრული კართაგენელები, რომლებიც უდარდელად გაფანტულიყვნენ მინდვრებში, ამ მოულოდნელმა თავდასხმამ ძლიერ შეაძრწუნა. ძალიან ცოტა გადაურჩა სიკვდილს და ბანაკში დაბრუნდა. რომაელებმა საგუშაგომდე სდიეს მათ, იქ კი ბანაკიდან გამოცვივნულმა მტრებმა მომხედურნი უკუაგდეს, მაგრამ ამასობაში სემპრონიუსისაგან მაშველი ჯარი მოვიდა და ბრძოლა განახლდა. მას გადამწყვეტი წარმატება არც ერთი მხარისათვის არ მოუტანია და არც მეორისათვის, მაგრამ კართაგენელებს შორის მეტი აღმოჩნდა მოკლული და მძიმედ დაჭრილი, ამიტომაც გამარჯვებულის სახელი რომაელებს დარჩათ.

სემპრონიუსს ყველაზე მეტად ის ახარებდა, რომ ეს სახელი შოპოვებული იყო ცხენოსანთა ჯარის ბრძოლაში, ზუსტად ისეთსავე ბრძოლაში, რომელმაც მის ამხანაგს კორნელიუსს დამარცხების სირცხვილი აჭამა. მაშასადამე, ფიქრობდა სემპრონიუსი, გადამწყვეტი ბრძოლა ახლავე უნდა გავმართოთ. ავადმყოფი კორნელიუსის სასთუმალთან მჯდარი სემპრონიუსი ამბობდა:

— ჩვენი მამები მიჩვეულნი იყვნენ მტრის განადგურებას

კართაგენის გალავანთან. მათ რომ დაენახათ, ორი საკონსულო არძიის სათავეში მდგარი ორი რომაელი კონსული როგორ ვცახცახებთ ჩვესსავე ბანაკში, შიგ შუაგულ იტალიაში, ხოლო პუნი პარპაშებს ალპებსა და აპენინებს შორის, მწუხარების ოხვრა აღმოხდებოდათ!

იგივე სიტყვები წარმოთქვა მან ჯარისკაცების წინაშე ბანაკის მთავარ მოედანზე. გარდა იმისა, რომ თავდაჯერებული იყო, სემპრონიუსს რომში მოსალოდნელი არჩევნებიც აჩქარებდა. მას ეშინოდა, რომის ხელმძღვანელობა ახალ კონსულებს არ ჩააბარონო, რომელთაც დარჩებოდათ პატივი, დიდება და ჯილდოები. აქ კი, სანამ მისი ამხანაგი ავად იყო, დიდების მოზიარე არავინ ჰყავდა. ამიტომ ყური არ ათხოვა კორნელიუსის პროტესტს და მეომრებს უბრძანა, საბრძოლველად მომზადებულიყვნენ.

ჰანიბალსაც ამისი იმედი ჰქონდა. მან წინასწარ იცოდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება რომაელებისათვის წინდაუხედავი და საშიშიც კი იყო. მან თავდაპირველად ყურმოკრულად, მერე კი აშკარად შეიტყო ერთ-ერთი კონსულის ხასიათი და დარწმუნდა, ხელსაყრელი შემთხვევა ადრე თუ გვიან დაუდგებოდა. მაგრამ სურდა ეს შემთხვევა მალე დამდგარიყო, სანამ მტრის მეომრები ბრძოლაში არ გამოწრთობილიყვნენ, სანამ ორ სარდალს შორის საუკეთესო სარდალი სარეცელზე იყო მიჯაჭვული, სანამ მის არმიასი მყოფი გალები სამსახურიით არ დაღლილიყვნენ და სახლება არ მონატრებოდათ. როგორც კი მზვერავებმა სემპრონიუსის ბრძანება ამცნეს, ჰანიბალმა ჯარის ჩასასაფრებლად ადგილის ძებნა დაიწყო.

კართაგენელების ბანაკსა და მდინარეს შორის ნაკადული მიედინებოდა, რომელსაც ქაობის ბალახითა და ჯავით დაფარული ნაპირები მიუყვებოდა. დარწმუნებულმა ჰანიბალმა, აქ ცხენოსნების დამალვაც კი შეიძლებაო, თავის ძმას, მაგონს, უხმო და უთხრა:

— შენ აქ ჩასაფრდები, მერე ყოველი ქვეითი და ცხენოსანი ჯარიდან ას-ას კაცს ამოარჩევ და პირველ საგუშაგო დამეს ჩემთან მოხვალთ. ახლა კი უნდა დავისვენოთ.

როცა მაგონი თავისი ხალხით კარავში ეახლა, ჰანიბალმა ასეთი სიტყვებით მიმართა მათ:

— ვატყობ, თქვენზე ყოჩაღნი მთელ ჯარში არავენაა, ხოლო ძალა მარტო მამაცობით კი არა, სიმრავლითაც რომ შეგემატოთ, წადით, თქვენივე ტურმიდან ან მანიპულიდან თქვენდაგვარი ცხრა-ცხრა კაცი აიყვანეთ და ჩაუსაფრდით მტერს, რომელსაც სამხედრო ეშმაკობის არაფერი გაეგება.

ამრიგად, მაგონის ხელქვეით აღმოჩნდა ათასი ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი ჯარისკაცი.

გახთიადისას ჰანიბალმა ნუმიდიელთა მხედრობას უბრძანა, ტრებიი გადაელახათ და ბანაკის შესასვლელთან განლაგებულ საგუშაგოებისათვის ხელშუბები დაეშინათ, რათა მოწინააღმდეგე ბრძოლაში ჩაებათ, ხოლო მერე ნელ-ნელა უკან დაეხიათ და მტერი მდინარის მეორე მხარეს გაეტყუებინათ. დანარჩენ რაზმებს — ქვეითებსაც და ცხენოსნებსაც — ებრძანათ, მოემზადებინათ საუზმე, შემდეგ კი იარაღი აესხათ, ცხენები შეეკაზმათ და ნიშანს დალოდებოდნენ.

ნუმიდიელები გამოჩნდნენ თუ არა, სემპრონიუსმა, წინასწარ დასახული გეგმის თანახმად, ჰიშკრის გარეთ ჯერ ცხენოსნები გამოიყვანა, შემდეგ ექვსი ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ბოლოს, მთელი დანარჩენი ძალები. მზის მოქცევის დრო იყო და აღპებსა და აპენინებს შორის ყველგან თოვდა, ხოლო მდინარისა და ჰაობის მიდამოებში სუსხმა ერთიორად იმატა. მეომრები ჰაიპარად გამორბოდნენ, ვერც ჰამა მოესწროთ, ვერც რიგიანად ჩაცმა. პირველი წუთიდანვე იყინებოდნენ, და რაც უფრო უახლოვდებოდნენ მდინარეს, მით უფრო უარესი დღე ადგებოდათ. ბოლოს, ნუმიდიელთა დევნაში, მდინარეში შევიდნენ. წყალი თითქმის ყელამდე მისწვდათ — იმ ღამით წვიმდა და მდინარე აღიდებული იყო. მეორე ნაპირზე გასულები უკვე ისე იყვნენ გათოშილნი, რომ იარაღი ხელიდან უცვიოდათ.

ამასობაში ჰანიბალის მეომრებმა კარვების წინ ცეცხლი დაანთეს, ტანი ერბოთი გაიპოხეს, — ჰანიბალმა წინასწარ ბრძანა, მანიპულებს ერბო დაურიგეთო, — და აუჩქარებლად ისაუზმეს. როგორც კი ცნობა მოვიდა, მტერმა მდინარე გადმოლახაო, ყველანი ერთბაშად ადგნენ და დაიწყეს საომრად მზადება, პირველ ხაზს ქმნიდა ბალეარელი მეშურდულენი და მსუბუქი ქვეითი ჯარი — დაახლოებით რვა ათასი კაცი. მეო-

რეს — მძიმე ქვეითი ჯარი. ათი ათასი ცხენოსანი ჯარი ჰანი-
ბალმა ფლანგებზე განალაგა, ხოლო ცხენოსნების წინ სპილო-
ები დააყენა.

ნუშიდიელებმა შეწყვიტეს მოჩვენებითი უკანდახევა, მო-
ბრუნდნენ და რომაელებს ისრების სეტყვა დააყარეს. ეს რომ
სეპტროხიუსმა დაინახა, ცხენოსანთა ჯარი გაიწვია და ქვეითს
ფლანგებზე ჩაუმწყვია.

მთლიანად ბრძოლის ველზე იყო თვრამეტი ათასი რომაე-
ლი მოქალაქე, ოცი ათასი ლათინთა მოკავშირე და მაშველი
რაზმები ცენომანებისა — გალელთა ერთადერთი ტომისა,
რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა რომის ერთგულება.

კართაგენელების პირველი შემოტევა, რომელიც რომაელ-
თა საბრძოლო ხაზის შუაგულისაკენ იყო მიპართული, მოიგე-
რიეს. მაშინ ბაღეარები და მსუბუქი ქვეითი ჯარი, რომლებიც
ხელშუბებით იყვნენ შეიარაღებულნი, ორად გაიყვნენ და ფლან-
გებს ეკვეთნენ, სადაც უკვე იბრძოდნენ ცხენოსნები. რომაელი
ცხენოსნები უამისოდაც ძლივს უმკლავდებოდნენ მტრებს. ჯერ
ერთი, მოწინააღმდეგეებზე ორჯერ ნაკლებნი იყვნენ, მეორეც,
აოა თუ სპილოების ნახვა, მათი სუნიც კი აკოფვებდა ცხენებს.
ქვეითი ჯარის ნატყორცნმა ქვებმა და ხელშუბებმა საბოლოოდ
დააგვირგვინეს საქმე. რომაელთა ცხენოსანმა ჯარმა ერთბაშად
იბრუნა პირი და მოკურცხლა.

რომაელთა ქვეითი ჯარი უდიდესი მამაცობითა და შეუპოვ-
რობით იბრძოდა, თუმცა ყველა უპირატესობა აქაც მტრის
მხარეზე იყო. პუნები ომის დაწყების წინ დანაყრებულნი და
კარგად დასვენებულნი იყვნენ, რომაელები კი — უკმელნი,
სასტიკად გათოშილები და დაღლილები. ცხენოსნებმა პირი
იბრუნეს თუ არა, ბაღეარელები და სპილოები მაშინვე ქვეით
ჯარს მიუბრუნდნენ. იმავე წამს მაგონიც გამოვიდა თავშესაფ-
რიდან. ლეგიონერები ორ ცეცხლს შუა მოექცნენ, მაგრამ არც
ახლა შეუწყვეტიათ წინააღმდეგობა. ის კი არა, სპილოებიც
უკუაგდეს, რომლის იმედი ყველაზე მეტად ჰქონდა ჰანიბალს.
ცხოველს თავში უთვალავი ხელშუბი ხვდებოდა, ამიტომაც
ჩერდებოდა და ნელ-ნელა პირს იბრუნებდა. პირს იბრუნებდა
თუ არა, წინასწარ შერჩეული მეომრები წინ გამოიჭრებოდნენ
და შუბებით ჩხვლეტდნენ კულქვეშ, სადაც კანი უფრო თხე-

ლია და ჩხვლეტაც ადვილია. სპილოები ტკივილისაგან ცოფდებოდნენ და ვინც კი შეხვდებოდათ, ყველას თელავდნენ.

მაშინ ჰანიბალმა ბრძანა ხელახლა განელაგებინა სპილოები ფლანგებზე და ცენომანების წინააღმდეგ დაეძრათ. ცენომანებმა მაშინვე უკან დაიხიეს და ერთადერთი მეოხება, რისი იმედი რომაელებს კიდევ შეიძლებოდა ჰქონოდა, ხელიდან გამოეცალათ. მტრის რკალი შეიკრა — ომის ბედი გადაწყდა. რომაელები ახლა გამარჯვებაზე კი არა, გადარჩენაზე ფიქრობდნენ. ათი ათასამდე კაცმა კონსული სემპრონიუსის მეთაურობით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის შუაგულში გზა გაიკვალა — იქ იმყოფებოდნენ გალთა მოკავშირე რაზმები, — მაგრამ გადაუღებელი წვიმა ხედვას აძნელებდა და საშუალებას არ აძლევდა გაერჩიათ, რა ხდებოდა ბრძოლის ველზე. ამის გამო მებრძოლები თავისიანებს ვერ მიეშველნენ. რომაელებს მდინარის გაღმა მხარეს, ბანაკში დაბრუნება არც უცდიათ, დაუყოვნებლივ ქალაქ პლაცენციაში გაეშურნენ.

დანარჩენებმაც სცადეს რკალის გარღვევა, მაგრამ ისე გაუბედვად და შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, რომ უმეტესმა ნაწილმა მიზანს ვერ მიაღწია. ბევრი წყალში დაიხრჩო, ბევრი, განსაკუთრებით ისინი, ვინც ფეხს ითრევდა და ყინულივით ცივ წყალში შესვლისა ეშინოდა, პუნებმა ამოხოცეს. ხოლო ბევრს სასოწარკვეთილებამ გამბედაობა შემატა, მათ მშვიდობიანად გადაცურეს მდინარე და ბანაკამდე მიაღწიეს.

გამარჯვებულებს კი თითქმის ძალა აღარ შესწევდათ სიხარულისათვის. გამარჯვება ძალზე ძვირი დაუჯდათ. მტრის იარაღმა, განსაკუთრებით სასტიკმა სიცივემ უამრავი ხალხი, სასაპალნე ცხოველები და თითქმის ყველა სპილო იმსხვერპლა. კართაგენელებმა თავიანთ კარვებს მიაშურეს, რომ გამთბარიყვნენ, მათ თითქოს დაავიწყდათ კიდევ, მოწინააღმდეგის არსებობა და ღამით, როცა რომაელები — ბანაკის მცველები, რომელთაც ბრძოლაში არ მიუღიათ მონაწილეობა და გადარჩენილი ნაწილები — ტრებიასთან დაბრუნდნენ და ტივებით იწყეს მისი გადაცურვა, არავინ ცდილა მათ შეჩერებას. იქნებ მართლაც წვიმის გამო არაფერი ისმოდა, მაგრამ ის უფრო სარწმუნოა, სიცივის, დაღლილობისა და ჭრილობები-საგან უკიდურესად გატანჯულ კართაგენელებს თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოს ვერაფერი გაიგონეს.

ასე იყო, თუ ისე, კორნელიუს სციპიონმა თავისი გადაჩეხილი ნაწილები დაუბრკოლებლად წაიყვანა პლაცენციაში, ხოლო იქიდან კრემონაში. მას არ უნდოდა, რომ ორი კონსულის არმია საზამთროდ ერთ ქალაქში დაბანაკებულიყო და სარჩენად მხოლოდ ერთ ქალაქს დასწოლოდა.

ტრებიასთან დამარცხებან რომი მეტისმეტად შეაძრწუნა, ყოველ წუთს რომის გალავანთან ჰანიბალის გამოჩენას ელოდნენ, მაგრამ ჰანიბალის ნაცვლად, რომის ბჟესთან გაჭირნდა კონსული სემპრონიუსი. კონსულთა არჩევნების დრო დადგა და სემპრონიუსი მტრის ცხენოსნებით სავსე ველზე გავლით სამხრეთისაკენ გაეშურა¹, ყოველ წუთს მისი სიცოცხლე ბეწვზე ეყიდა. მხოლოდ ბრმა ბედისწერის წყალობით ჩავიდა იგი რომში ცოცხალი და უვნებელი, რადგან, თუკი დაედევნებოდნენ, მტრის მოტყუებაზე, მისგან თავის დაძვრენაზე ან ძალით დახსნაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ხალხმა კონსულებად გნეუს სერვილიუსი და გაიუს ფლამინიუსი აირჩია. როგორც კი არჩევნები დამთავრდა, სემპრონიუსმა თავის ხალხს მიაშურა პლაცენციაში.

გამოჯამთრება. ქარიშხალი აპენინებში

რომაელებს მეტად მძიმე ზამთარი დაუდგათ. პლაცენციისა და კრემონის მიდამოებში ყველგან ნუმიდიელი და ესპანელი ცხენოსნები თარეშობდნენ, იჭერდნენ შიკრიკებს, სურსათ-სანოვაგითა და ცხენების საკვებით დატვირთულ ალალებს. თავისუფლად მიმოსვლა მხოლოდ მდინარე პადუსზე შეიძლებოდა, მაგრამ ჰანიბალმა გადაწყვიტა, ეს გზაც გადაეჭრა მოწინააღმდეგისათვის და ხელთ ეგდო პატარა გამაგრებული ნავმისადგომი პლაცენციის მახლობლად, მაგრამ ამ საქმეს წარმატება არ მოჰყოლია, ჰანიბალიც დაიჭრა. კრილობები

¹ მომავალი წლის კონსულთა არჩევნები აუცილებლად მიმდინარე წლის ერთ-ერთი კონსულის ხელმძღვანელობით ტარდებოდა.

არც კი მოშუშებოდა, რომ იგი სხვა ციხესიმაგრისაკენ დაიძრა, სადაც რომაელებს პურის საწყობები ჰქონდათ გამართული. ამ ციხესიმაგრეს ომის დასაწყისიდანვე ახლომახლო მცხოვრებმა გლეხებმა შეათარეს თავი. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და გადაწყვიტეს, იარაღით დახვედროდნენ ჰანიბალს. როგორც შეძლეს, გლეხები ისე შეიარაღდნენ და პუნების მოახლოებისთანავე უწესრიგოდ გამოცვივდნენ ციხესიმაგრიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, პირველი შეტაკებისთანავე, კულამოდებულნი გაიქცნენ. მეორე დღეს ციხესიმაგრის დამცველებმა ხებაყოფლობით გაუღეს მტერს კიშკარი. მიუხედავად ამისა, ჰანიბალი სასტიკად გაუსწორდა მათ, სისხლით მორწყო ციხესიმაგრე და ისე გაძარცვა, თითქოს იერიშით აეღოს.

როგორც კი გაზაფხულის სუნი დატრიალდა, ჰანიბალი საზამთრო ბანაკიდან აიყარა და ეტრუსკების მიწებისაკენ დაიძრა, რომ ეს ხალხიც თავის მხარეზე გადაებირებინა. მაგრამ აჩქარდა, ზამთარი ჯერ არ გასულიყო და როცა კართაგენელები აპენინებს მიუახლოვდნენ და სვლა დაიწყეს, ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, ალპებზე გადასვლა სახალისო გასიერებად მოეჩვენათ. ქარი უმოწყალოდ სცემდა მებრძოლებს სახეში, ფეხზე არ აყენებდა, სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, გულზე მარწუხებივით უქერდა. მეომრები შეჩერდნენ, იარაღი დაყარეს, რომ სახე ხელებით დაეფარათ, შემდეგ ქარს ზურგი შეაქციეს და ჩასხდნენ. ამ დროს დაიქექა, ელვა გაიკლაკნა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. შიშისაგან ყველანი გაქვედნენ. ოდნავ გონს მოეგნენ თუ არა, მიხვდნენ, დაუყოვნებლივ იქვე უნდა დაბანაკებულიყვნენ. მაგრამ ტილოს გაქიმვა შეუძლებელი შეიქნა, ბოძების ჩასობაც კი არ ხერხდებოდა. რამოდენიმე კარავი, რომელთა გაშლა რაღაც სასწაულით მოახერხეს, ქარმა მაშინვე მოგლიჯა და ნაფლეთებად აქცია. წვიმამ გადაიღო, სამაგიეროდ, თოვლნარევი სეტყვა წამოვიდა. სასოწარკვეთილი კართაგენელები მიწაზე დაემხნენ და კარვები წაიფარეს. მალე საშინელმა ყინვამ მოუჭირა და ისე შებოქა სხეულთა ეს უფორმო გროვები, მოყინული ხელ-ფეხის განქრევა და აღგომა აღარავის შეეძლო. ბოლოს ყველაზე ძლიერნი და ამტანნი მაინც აღგნენ, კოცონები გააჩა-

ღეს და დაეხმარნენ იმათ, ვინც სხვებზე მეტად დასუსტდა და სულით დაეცა.

კართაგენელები, ალყაშემორტყმულებივით, ორი დღე გამოემწყვდნენ ამ სიმაღლეებზე, დაკარგეს უამრავი ხალხი, ჭორები, ცხენები და შვიდი სპილო. მესამე დღეს ყველანი უკან გამობრუნდნენ.

ჰანიბალი ისევ მიადგა ქალაქ პლატენციას და სემპრონიუსს ახალი ომი შესთავაზა. მან საბრძოლველად თორმეტი ათასი ქვეითი და ხუთი ათასი ცხენოსანი ჯარი გამოიყვანა. სემპრონიუსმა გამოწვევა მიიღო. რომაელებმა დაჯაბნეს მტერი, ბანაკამდე სდიეს, კინალამ ბანაკშიც კი შეიჭრნენ, მაგრამ ბანაკის სიმაგრეების გადალახვა მაინც ვერ შეძლეს. მაშინ სემპრონიუსმა უკან დახევის სიგნალი მისცა, მით უმეტეს, რომ უკვე ბინდებოდა. ახლა ჰანიბალი დაედევნა და მებრძოლები ღამეს რომ არ გაეყარა, ალბათ ერთმანეთს უკანასკნელ კაცამდე ამოხოცავდნენ, იმდენად დიდი იყო ორივე მხარის გამძვინვარება.

კართაგენელებმა და რომაელებმა ამ ბრძოლაში დაახლოებით ექვსას-ექვსასი ქვეითი ჯარისკაცი და სამას-სამასი ცხენოსანი დაკარგეს. ჰანიბალმა ლიგურების ტომთა ადგილ-მამული-საკენ დაიხია, სემპრონიუსმა — ქალაქ ლუკისაკენ.

ახალი კონსულები — ბაიუს ფლამინიუსი და ბნეუს სერვილიუსი

სემპრონიუსმა წერილი მიიღო გაიუს ფლამინიუსისაგან, რომელიც კონსულის თანამდებობის მისაღებად ემზადებოდა. ფლამინიუსი უბრძანებდა სემპრონიუსს, მარტის იღებისათვის ჯარი ქალაქ არიმინუმში¹ მოეყვანა. საქმე ის იყო, რომ

¹ ჩვენს წ. 6-დღე III საუკუნის დასასრულს კონსულების არჩევა შემოდგომობით, ანდა ზამთრის პირზე ხდებოდა. ხოლო ახალი კონსულების მიერ თანამდებობის დაკავების აღსანიშნავი საზეიმო ცერემონიალი — 15: მარტს. ამ თარიღებამდე ძალაუფლება წინანდელ კონსულს ეკუთვნოდა, მაგრამ ახლებსაც შეეძლოთ თავისი ბრძანების წინასწარ გაცემა, იღები რომაულ კალენდარში თვის შუაშია: მარტში, მაისში, ივლისში და ოქტომბერში — მე-15 დღე, დანარჩენ თვეებში მე-13 დღე.

ფლამინიუსი დიდი ხანია შეუპოვრად ებრძოდა სენატს და იცავდა ხალხის უფლებებს. დიდგვაროვანთ სძულდათ იგი, ამიტომაც მან გადაწყვიტა, თავისი კონსულობის წელი რომში კი არა, პროვინციაში დაეწყო. ემინოდა, ქურუმებსა და მკითხავეებს — დიდებულთა წრის ყველა ადამიანს — ავი წინათ-გრძნობა და ზეცის მკვიდრთა რისხვა არ მოესაბაბებინათ და დედაქალაქში განგებ არ დაეტოვებინათ. მან რალაც მოიმიზეზა, რომი მიატოვა და ფარულად არიმინუმში გაემგზავრა.

როცა ეს შეიტყვეს, სენატორების რისხვამ ახალი ძალით იფეთქა:

— ახლა გაიუს ფლამინიუსი მარტო სენატს კი არა, თვით უკვდავ ღმერთებსაც ებრძვის. მას არ სურს თავი დახაროს კაპიტოლიუმის გორაზე აღმართულ ყოვლადკეთილ და ყოვლისმძლე იუპიტერის ტაძარში, არ სურს წმინდა ალთქმა დადოს და საზეიმოდ მსხვერპლი შესწიროს, არ სურს გაემგზავროს ყველას დასანახად, თორმეტი ლიქტორის თანხლებით მხედართმთავრის მეწამულ მოსასხამში გამოწყობილმა. არა, იგი მეწვრილმანე ვაჭარივით, მარკიტანტივით, ქურდულად გაემგზავრა ჯართან. უფრო სწორად, გაიქცა, როგორც გაძევებული დამნაშავე. მას ფუნდუკი უფრო საპატიო ადგილად მიაჩნია, ვიდრე საკუთარი სახლი, რომ იქ კონსულის ტოგა ჩაიცვას.

სენატორებმა ერთხმად დაადგინეს, ლტოლვილი ნებით თუ ძალით უკან დაებრუნებინათ და აეძულებინათ ღმერთებისა და ადამიანების წინაშე ყველა მოვალეობა შეესრულებინა. საგანგებო ელჩებმა, რომლებიც მას კვალდაკვალ მიჰყვნენ, ვერაფერს მიაღწიეს. რამოდენიმე დღის შემდეგ იგი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ამ ამბის გამო, როგორც ხდება ხოლმე, დაკლეს ზვარაკი. ქურუმმა კურატს ყელში დანა გამოუსვა, მაგრამ კურატი უცებ ხელიდან გაუსხლტა და ხალხი სისხლით შეღებდა. ამ ამბავმა ყველა შეაშფოთა — მეტადრე ისინი, ვინც მოშორებით იდგა. მათ ვერ დაინახეს, რა მოხდა და შიშის მიზეზიც ვერ გაიგეს. ბევრმა ეს ამბავი აშკარად ავის მომასწავებლად მიიჩნია.

როგორც კი ახალმა კონსულმა ოთხი ლეგიონი ჩაიბარა, ისინი აპენინების გავლით ეტრურიაში წაიყვანა.

თავისი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა მეორე კონსულიც — გნეუს სერვილიუსიც. მისი პირველი საზრუნავი განრისხებული ღმერთების გულის მოღობვა იყო. ყოველი ძირიდან, იტალიის ყველა კუთხიდან, სიცილიიდან, სარდინიიდან ცულ წინასწარმეტყველურ ნიშნებს იტყობინებოდნენ. სერვილიუსმა ეს ამბავი სენატს მოახსენა, მოიშველია. საიმედო მოწმეები, მნახველნი და სენატორებმა დაადგინეს, რა შეეწირათ მსხვერპლად, როგორ ელოცათ, როგორი საზოგადო ნადიში გაეძარტათ, რა ძღვენი მიერთმიათ იუპიტერისათვის, სატურნისათვის, იუნონასათვის, მინერვასათვის...

ომის მეორე წელი

რომის დაარსებიდან 537 წელი (217 წელი ჩვენს დრამდე)

მასობაში ნამდვილი გაზაფხული დადგა. ჰანიბალი აჩქარდა, რომ საზამთრო ბინებიდან აყრილიყო და ბოლოს და ბოლოს აპენინები გადაელახა. დაყოვნება არათუ უაზრობა, საშიშიც იყო, რადგან თავქარიანი გალები უცებ რომისადმი სიყვარულით განიმსჭვალნენ. გალებს იმედი ჰქონდათ, სხვის მიწებს გავძარცვავთო, ამის სანაცვლოდ კი ომი მათსავე ადგილებს ანადგურებდა. ამიტომაც წინანდელ მოკავშირეებთან, რომაელებთან, ღალატი მოინანიეს.

ტომის ბელადებმა ჰანიბალს ბევრჯერ მკვლელები მიუგზავნეს, მაგრამ ჰანიბალი სიკვდილისაგან ისევ გალების თავქარიანობამ იხსნა:

ტომის ბელადები დაუფიქრებლად ებმებოდნენ შეთქმულებაში და ასევე განუსჯელად ასმენდნენ ერთმანეთს მტერთან.

თვითონ ჰანიბალიც ყოველნაირად იცავდა საკუთარ თავს. ხშირად იცვლიდა გარეგნობას, ხან ახალ, ყველასათვის უცხო ტანსაცმელში გამოჩნდებოდა, ხანაც პარიკს ატარებდა.

ქნელი გზა ჰაოგებუნი

გადალახა თუ არა აპენინები, ჰანიბალმა შეიტყო, ფლამინიუსი უკვე ქალაქ არეციუმის მახლობლად იმყოფებო. ამ ამბავმა ჰანიბალი აიძულა ყველაზე მოკლე, მაგრამ ყველაზე უხეირო გზა აერჩია. ეს გზა ქაობებიან დაბლობზე გადადიოდა და გაზაფხულზე მდინარე არნოს წყლით იფარებოდა.

ჰანიბალმა წინ ყველაზე საუკეთესო და გამოცდილი მეომრები — ესპანელები და აფრიკელები გაუშვა, თან თავ-თავიანთი ტვირთი გაატანა, რომ ყველგან შეძლებოდათ შეჩერება და არაფერი დასჭირვებოდათ. შუაში გალები მიდიოდნენ, ლაშქრის ბოლოს ცხენოსნები მიჰყვებოდნენ, უფრო შორს კი, საერთო მწყობრიდან განცალკევებით, ნუმიდიელთა ცხენოსნები მიდიოდნენ, რომელთაც მაგონი ხელმძღვანელობდა. ცხენოსნები უნდა გადალობებოდნენ გალებს, თუკი დიდი და ქნელი გზით დაღლილები უცებ უკან დაბრუნებას მოიწადინებდნენ და გაქცევას დააპირებდნენ.

ხალხი ცვიოდა წყლითა და ლაფით სავსე ღრმა ორმოებში, იძირებოდნენ მხრებამდე, ყელამდე, ზოგჯერ მთლიანადაც კი. მიუხედავად ამისა, მოწინავენი მეგზურებს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ. მაგრამ თუ ფეხი გალებს დაუსხლტებოდათ, თავს ველარ იმაგრებდნენ, თუ დაეცემოდნენ, დამოუკიდებლად ფეხზე ველარ დგებოდნენ. ზოგიერთები ძლივს მილასლასებდნენ. ზოგიერთები არც კი ფიქრობდნენ გამკლავებოდნენ დაღლილობას, ჩაეშვებოდნენ წყალში და უდრტვინველად ელოდებოდნენ სიკვდილს საპალნეაკიდებულის ცხოველებივით, რომლებიც მათთან ერთად სულს დაფავდნენ.

ოთხი დღე და სამი ღამე გრძელდებოდა ლაშქრობა. არსად სულ მცირე მშრალი ადგილიც არ შეხვედრიათ, რომ ერთი საათით მაინც დაყრილიყვნენ და თვალი მოეტყუებინათ. ჯარისკაცები თავიანთ ბარგს¹ ერთად დაახვევებდნენ, ზედ წვებოდნენ, ანდა ცხენთა ლეშებზე მოიკალათებდნენ, თუმცა ისინიც ძლივს მოჩანდნენ წყლის ზედაპირზე.

¹ ბარგს ის საჭირო ნივთები შეადგენდა, რომლებიც თითოეულ მეომარს ლაშქრად მიჰქონდა: იარაღი, ერთი ხელი ტანისამოსი, რამოდენიმე დღისათვის სურსათის მარაგი, კერძის მოსახარში ჭურჭელი.

ჰანიბალს ადრე დაუავადდა თვალები — გაზაფხულის ცვა-
ლებადი ამინდები მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებდა.
ახლა ჰანიბალი ერთადერთ სპილოზე იჯდა, რომელიც ზამ-
თარს გადარჩენოდა, და ამიტომაც დანარჩენებთან შედარებით
წყლის ზედაპირიდან მალლა იმყოფებოდა, მაგრამ დიდი ხნის
უძილობამ, ღამის ნესტმა და არაჯანსაღმა ჰაერმა ავადმყოფო-
ბა გაუმწვავა, სამკურნალოდ კი არც ღრო იყო, არც ადგილი
და იგი ცალი თვალით დაბრმავდა.

დაბანაკდა თუ არა, ჰანიბალმა მზვერავები გაგზავნა, რომ-
ლებმაც დაუდასტურეს, რომაელთა ჯარი არეციუმის გალავან-
თანაა დაბანაკებული. ჰანიბალმა ყოველი ღონე იხმარა, რა-
თა გაეგო კონსულის ხასიათი, მისი გეგმები, ასევე გაცნობო-
და ადგილმდებარეობას, გზებს, შეეტყო შეძლებდა თუ არა
სურსათ-სანოვაგით ჯარის მომარაგებას და ბევრი რამ ისეთი,
რაც საჭიროა იცოდე უცხო და მტრულ ქვეყანაზე.

გამორჩევა, რომ ეს ადგილები იტალიაში ერთ-ერთი ყვე-
ლაზე ნაყოფიერია, — მდიდარია პურითაც და საქონლითაც,
რომ კონსული ფიცხი და ქედმაღალი კაცია, არ ეშინია არც
კანონებისა, არც სენატის, თვით ღმერთებისაც კი. რო-
გორც ჩანდა, იგი იმოქმედებდა განუსჯელად და წინდაუხე-
დავად, სხვას არაფერს შეეკითხებოდა და არც რჩევას მიიღებ-
და. ჰანიბალმა გადაწყვიტა, უკეთ ესარგებლა მოწინააღმდეგე-
თანდაყოლილი ნაკლით, — გაეგულისებინა, მოთმინებიდან
გამოეყვანა, ამიტომ ხელი მიჰყო ეტრურის გაძარცვას. ჰანი-
ბალი შორიდან აღიზიანებდა კონსულს ხანძრის კვამლითა და
სისხლის სუნით.

ფლამინიუსმა შეერიბა სამხედრო საბჭო. საბჭოზე ყველა
ერთსა და იმავეს ამბობდა: მეორე კონსულის მოსვლას უნდა
დაველოდოთ და ერთობლივად ვიმოქმედოთ, მანამდე კი იმ
მხარეში გავგზავნოთ ცხენოსნებისა და მსუბუქად შეიარაღე-
ბული ქვეითი ჯარის რაზმები, ისინი მოუღებენ ბოლოს თავ-
ხედ და დაუსჯელად მოთარეშე მძარცველებსო.

კონსული იმდენად განარისხა ამ ერთსულოვნებამ, რომ
იგი კარვიდან გაიჭრა და ბრძანა ერთბაშად ორი სიგნალი მიე-
ცათ: სალაშქრო და საომარი. მერე საბჭოს წევრებთან დაბ-
რუნდა და შესძახა:

— აბა, რა საკიროა რალაც რაზმების გაგზავნა?! უმჯობესია არეციუმის კედლებში მშვიდობიანად ვისხდეთ. ეს ხომ ჩვენი სამშობლოა. ასე არ არის? აქა ჩვენი მშობლიური კერა! ჰანიბალს წინ ნუ გადაველობებით, სადაც სურს, იქ წავიდეს. დე, გადაწვას და გააჩანაგოს მთელი იტალია, თუნდა რომსაც მიაღგეს! ჩვენ კი მანამ ადგილიდან ფეხს ნუ მოვიცვლით, სანამ ბატონი სენატორები არ გვისმობენ, როგორც ერთ დროს იხმეს კამილუსი ვეიდან¹.

იგი ისევ გარეთ გაიქრა, ბრძანება გასცა, საჩქაროდ ამოიღეთ დროშებიო², და ცხენს მოახტა, მაგრამ მოულოდნელად ცხენმა წინა ფეხებზე წაიჩოქა და მხედარი გადმოაგდო. ყველა შეძრწუნდა. ამას ისიც დაემატა, რომ უცებ მოვარდა მაცნე და მოახსენა, ერთ-ერთი მეზაირაღე თავს არ იზოგავს, მაგრამ დროშას ადგილიდან ვერ ძრავსო. კონსული მაცნეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— იქნებ სენატისაგან წერილიც მომიტანე, რომ ბრძოლა არ გავებდო?.. უკან გასწი! დაე, დროშის ტარი ბარით ამოთხარონ, თუკი შიშისაგან ხელები წაერთვათ!

და ჯარიც დაიძრა.

მეთაურებს არ მოსწონდათ ფლამინიუსის გადაწყვეტილება და ეშინოდათ უბედურებისა, რომელიც სავსებით გარკვეულად, ორჯერ ზედიზედ ამცნეს ღმერთებმა, მაგრამ ჯარისკაცები კმაყოფილნი იყვნენ კონსულის გაბედულებითა და შეუპოვრობით. ეს ჯარისკაცებს უნერგავდა იმედს, ხოლო რამდენად საფუძვლიანი იყო ეს იმედი, ამაზე აღარ ფიქრობდნენ.

¹ სახელგანთქმულ მხედართმთავარ მარკუს ფერეუს კამილუსს უსამართლოდ ბრალი დასდეს და რომიდან გააძევეს. როცა 390 წელს ჩვენს ერამდე იტალიაში გაღები შემოიქრნენ და რომაელები დაამარცხეს, სენატმა კამილუსი გადასახლებიდან გამოიწვია და დიქტატორად დანიშნა. ვეი ქალაქი რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქ იყვნენ თავმოყრილი სიკვდილს გადაარჩენილი რომის ჯარის ნაწილები.

² სამხედრო დროშებად სხვადასხვა ნიშნები იყო გამოყენებული (უმთავრესად არწივების გამოსახულება). დროშები გრძელ ტარებზე იყო მიმაგრებული და დაბნაყების ან შეჩერების აჯვალას ტარებით ასობდნენ მიწაში.

ტრაზიმენის ბრძოლა

ამასობაში ჰანიბალი ტრაზიმენის ტბის იმ ადგილს მიადგა, რომელიც თითქოს თვით ბუნებას შეუქმნიაო საფრად. ტბა თითქმის ზედ ეკვრის მთას, მათ შუა სანაპიროს მხოლოდ ვიწრო ზოლი რჩება, მოშორებით ეს ზოლი ფართოვდება და მომცრო მინდორს ქმნის, რომელიც ციცაბო გორაკებითაა შეპოზლულული. ჰანიბალმა სწორედ აქ დასცა ბანაკი, მაგრამ მინდორში მხოლოდ აფრიკელები და ესპანელები დააბანაკა. ბალეარები და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარი მან გორაკებს გაღმა გაიყვანა, ხოლო ცხენოსანი ჯარი ამ ხათანგის შესასვლელთან ჩაასაფრა.

ფლამინიუსი მზის ჩასვლისას გამოჩნდა. მან ძლივს დაუცადა გათენებას და ირიერაჟა თუ არა, ვიწროებში ისე შევიდა, არც კი უფიქრია წინ მზვერავები გაეშვა. მინდორში მან მტრები დაინახა, მაგრამ მხოლოდ ისინი, მის ცხვირწინ რომ იდგნენ. ზურგსა და ზემოთ ჩასაფრებულები არ შეუმჩნევია. როცა ჰანიბალი დარწმუნდა, ჩემი გეგმა განხორციელდა, მტერი ტბასა და მთებს შორისაა გამომწყვდეულიო, სიგნალი მისცა, ერთბაში შეტევა დაეწყოთ და პუნებიც ზვავად დაქანდნენ ძირს. ყველაზე მეტად რომაელები მტრის შეთანხმებულმა მოქმედებამ გააკვირვა. საქმე ის იყო, რომ ტბიდან აშლილი ნისლი მინდორს უფრო სქლად დაეფინა, ვიდრე მალლობებს და რომაელებს რამდენიმე ნაბიჯზეც კი არაფრის დანახვა არ შეეძლოთ, ხოლო კართაგენის რაზმები ჩინებულად ხედავდნენ ერთმანეთს და თითქმის ერთდროულად დაეშვნენ ძირს. მხოლოდ მტრის ყვირილზე, რომელიც ყოველი მხრიდან ერთბაშად გაისმა, მიხვდნენ რომაელები, რომ ისინი ალყაშემორტყმულები იყვნენ და ომი მანამდე დაიწყო, სანამ ისინი საომრად დაწყობას, ანდა თუნდაც მახვილის ამოღებას მოასწრებდნენ.

საყოველთაო არევ-დარევის დროს, მხოლოდ ფლამინიუსი ინარჩუნებდა სულის შესაშურ სიმშვიდეს. იგი აწყნარებდა შიშისგან თვალებდაცეცებულ მეომრებს, მოუწოდებდა გამხნეებულებიყვნენ, უღრეკად დამდგარიყვნენ.

— გახსოვდეთ, — იმეორებდა იგი, — ღმერთისადმი ლოც-

ვა კი არ გაგვიყვანს ჩვენ აქედან, არამედ საკუთარი ძალა და გამბედაობა! მტრის მწყობრში მხოლოდ მახვილით უნდა გაი-
კაფო გზა და რაც უფრო ნაკლებ ფიქრობ განსაცდელზე, მით
უფრო ადვილად აიცილებ თავიდან!

მაგრამ იმ ხმაურსა და არეულობაში არც დარიგებები ეს-
მოდა ვინმეს და არც ბრძანებები.

ჯარისკაცები ვერ სცნობდნენ საკუთარ დროშებსა და საკუ-
თარ მეთაურებს. ბევრი მათგანისათვის იარაღი უფრო დამამ-
ძიმებელი ტვირთი იყო, ვიდრე თავდაცვის საშუალება. სქლად-
დაფენილ ნისლში ისმოდა დაჭრილების კენესა, მუშტების ბაგა-
ბუგი, მახვილების ქლარუნი, გამძვინვარებული ხალხის ყიყინა.
ერთნი ბრძოლის ველიდან გარბოდნენ, მაგრამ მაშინვე შეჭუ-
ფულ მებრძოლებს ეჩეხებოდნენ და შიგ იხერგებოდნენ, მეო-
რენი, რომლებიც გონს მოსულიყვნენ, ცდილობდნენ, ბრძო-
ლის ველს დაბრუნებოდნენ, მაგრამ ლტოლვილთა ნაკადი ძალა-
უნებურად ისევ უკან აბრუნებდა.

საბოლოოდ ყველა დარწმუნდა, რომ საკუთარი თავისა და
იარაღის გარდა, არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, ყოვე-
ლი მათგანი თვითონ გახდა საკუთარი თავის მეთაური და ბრძო-
ლა ახალი ძალით გაჩაღდა. მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი
წესით ბრძოლა, როცა ჯარი სამ საბრძოლო მწკრივადაა განლა-
გებული, როცა ქვეითები წინ არიან წაწეულნი და თითოეუ-
ლი ჯარისკაცი თავისი ლეგიონის, თავისი კოჰორტის და თავისი
მანიპულის გვერდიგვერდ იბრძვის! ახლა მხოლოდ შემთხვევა
თუ შეაერთებდა მებრძოლებს და საკუთარი გამბედაობა თუ
შიუთითებდა თითოეულს თავის ადგილს! ყველანი ისე იყვნენ
ბრძოლაში გართულნი, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდნენ — მათ
შიწისძვრაც კი არ უგრძვნიათ, რომელიც სწორედ ამ დროს
მოხდა და დედამიწის პირისაგან ალგავა ბევრი ქალაქი იტა-
ლიაში. მიმართულება შეუცვალა მრავალ მდინარეს, დაანგრია
მთები.

ეს გააფთრებული ბრძოლა თითქმის სამ საათს გაგრძელდა
და განსაკუთრებული ძალით იქ იფეთქებდა, სადაც კონსული
გამოჩნდებოდა. სულ რჩეული მეომრებით გარშემორტყმული
ფლამინიუსი უშიშრად გადაეშვებოდა ხოლმე მოწინააღმდეგის
შუაგულ რაზმში. მტრები მაშინვე სცნობდნენ რომაელ სარ-

დალს მდიდრულად მორთული იარაღით და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მიახლოებოდნენ. ბოლოს ერთმა ინსუბრმა, რომელსაც დუქარიუსი ერქვა და კონსულს სახეზე კარგად სცნობდა, თავის მეტოქეებს გასძახა:

— აგერ, ჩვენი მეომრების მკვლელი, ჩვენი მიწების ამპონრებელი. ახლავე შეეწირავ ჩვენი ახლობლების აჩრდილებს!

მან ცხენს დეზი ჰკრა, რომაელები მიჰყარ-მოჰყარა, საჭურველმტვირთველი, თავის მთავარსარდალს მკერდით რომ აეფარა, მოკლა და ფლამინიუსი შუბით განგმირა.

კონსულის სიკვდილი ყველა რომაელის გაქცევის ნიშანი გახდა. ახლა მათ არც ტბა აჩერებდა და არც მთები, საშინელებამ ეს ხალხი თითქოს დააბრმავა. მიცოცავდნენ ციცაბო კლდეებზე, მიძვრებოდნენ ნაპრალებში, შედიოდნენ წყალში და მხრებამდე, ყელამდე იძირებოდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უზომო შიში აიძულებდათ, ტბაში შეეცურათ, მაგრამ ისინი ან იხრჩობოდნენ, თავიანთი უიმედო განზრახვაში დარწმუნებულნი, ან კიდევ ძალაგამოლეულნი უკან ბრუნდებოდნენ და სანაპიროზე სიკვდილს ეგებებოდნენ, სადაც მათ კართაგენელი ცხენოსნები ელოდებოდნენ.

მთავარი რაზმის ექვსი ათასი ქვეითი ჯარი ბრძოლის დასაწყისიდანვე მტრებს ხელიდან გაუსხლტა, რომელიდაც ბორცვზე ავიდა და იქ დადგა. მათ მხოლოდ გაურკვეველი ყვირილი და რკინის ჟღარუნი ესმოდათ, არ იცოდნენ, რა ხდებოდა იქ, ქვემოთ. მზემ უფრო მალლა რომ აიწია და ნისლი გაფანტა. მაშინლა დაინახეს მთებიც, მინდორიცა და სამარცხვინოდ გაცამტვერებული რომის მხედრონიც. მათ სასწრაფოდ წამოკრიფეს დროშები და, სანამ მტერი შეამჩნევდა, მოკურცხლეს. გაქცეულებს მეორე დღეს მაპარბალი დაეწია კართაგენის ცხენოსანთა მთელი ჯარით. იგი შეჰპირდა სიცოცხლესა და თავისუფლებას იმათ, ვინც იარაღს დაყრიდა. რომაელები დანებდნენ, მაგრამ დაპირება ნამდვილი პუნური „კეთილსინდისიერე-

¹ აქ აღწერილ ომამდე ექვსი წლით ადრე, ფლამინიუსი მეთაურობდა ჯარს, რომელმაც გაანადგურა ვალეების ტომი ინსუბრები. ისინი დასახლებულნი იყვნენ მდინარე პოს ჩრდილოეთით. მათი მთავარი ქალაქი იყო მელიოლანი (დღევანდელი მილანი).

ბით“ შესრულდა: ჰანიბალმა უკლებლივ ყველას ბოროკილები დაადო.

ასეთია ტრაზიმენის ცნობილი ბრძოლა — რომაელთა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაუფიწყარი უბედურება: თხუთმეტი ათასი ბრძოლის ველზე დარჩა, ათი ათასმა გაქცევით უშველა თავს, მთელ ეტრურში მიმოიფანტა და ვინც როგორ შეძლო, ისე დაბრუნდა რომში. კართაგენელებს მხოლოდ ორი ათას ხუთასი კაცი მოუკლეს, ბევრნი კრილობებისაგან დაეხრცათ. ტყვე ლათინები ჰანიბალმა უსასყიდლოდ გაათავისუფლა, რომაელ მოქალაქეებს კი მცველები დაუყენა. მან ომში დაღუპული თავისიანები ერთად მოაგროვებინა და დაამარხვინა, ხოლო მტრის გვამები დაუძარხავი დატოვა. ჰანიბალმა ბრძანა, კონსული ფლამინიუსიც თავისიანების თანასწორად დაემარხათ, ეძებეს გვამი, მაგრამ ვერ იპოვეს.

ძრწოლა და სასოწარკვეთილება რომში

ამ დამარცხებაზე ხმები დაირხა თუ არა, რომი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა. მამაკაცები ფორუმზე გაიქცნენ, ქალები ქუჩებში დადიოდნენ და ყოველ შემხვედრს ეკითხებოდნენ, დანამდვილებით რა მოხდა, ხომ არ იცითო. ბოლოს კურიის წინ შეგროვდა უამრავი ხალხი. მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა პრეტორი მარკუს პომპონიუსი და გამოაცხადა:

— დიდ ბრძოლაში ჩვენ დავმარცხდით.

ამის მეტი არაფერი უთქვამთ, მაგრამ შინ დაბრუნებული რომაელები დარწმუნებით ამბობდნენ, კონსული და ჯარის დიდი ნაწილი დაღუპულიაო.

მეორე დღეს (და რამოდენიმე დღე ზედიზედ) ქალაქის კარიბჭესთან ურიცხვი ხალხი იდგა, ისინი ელოდებოდნენ თავიანთ ახლობლებს, ან თუნდაც მათ ამბავს. როგორც კი ვინმე მგზავრი გამოჩნდებოდა, მაშინვე გარს შემოეხვეოდნენ და მანამ არ გაუშვებდნენ, სანამ ყველაფერს დაწვრილებით არ გამოჰკითხავდნენ. ერთნი გახარებულნი სცილდებოდ-

ნენ მგზავრს, მეორენი — თვალცრემლიანნი. პირველებს მეგობრები ულოცავდნენ, სხვებს კი — ნუგეშს სცემდნენ. ამბობენ, ერთმა შვილი ცოცხალი და უვნებელი რომ დაინახა, სიხარულისაგან იქვე, კარიბჭესთან შვილის მკლავებში სული დალიაო. მეორე ქალი შინ იჯდა და შვილს გლოვობდა — უთხრეს შვილი მოგიკლესო, მაგრამ მოულოდნელად შვილი დაადგა თავს. დედამ კი ველარც ადგომა მოახერხა, ველარც ხმის ამოღება, იქვე მოკვდა.

სენატმა ვერ მოასწრო გამოეტანა რაიმე გადაწყვეტილება, რა ელონათ შემდგომში, რომ ახალი უბედურების ამბავი მოიტანეს: ჰანიბალმა ხელთ იგდო ოთხი ათასი ცხენოსანი, რომლებიც მეორე კონსულმა სერვილიუსმა ჯერ კიდევ ბრძოლაში გაუგზავნა ფლამინიუსს დასახმარებლად. ბევრს მიაჩნდა, ძველ დამარცხებასთან შედარებით, ეს ახალი არაფერია, ანგარიშგასაწევი არააო, მაგრამ მეორენი უფრო გონივრულად ამბობდნენ:

— ავადმყოფ ადამიანს ყოველი წყენა-შეწუხება, თუნდაც უმნიშვნელო, მძიმედ გადააქვს. ასეა, ჩვენი სახელმწიფოც: იგი ავადაა, ამიტომ უნდა გვაჩსოვდეს, ყოველგვარ სიძნელეს, ყოველგვარ უბედურებას ძნელად აიტანსო.

ლიქტატორი კვინტუს ფაბიუს მაქსიმე

ეს აზრი თითქმის ყველამ გაიზიარა, ამიტომ გადაწყვიტეს, დიდი ხნის გამოუყენებელი საშუალებისათვის მიემართათ: ლიქტატორი დაენიშნათ. ლიქტატორის დანიშვნის უფლება ძბოლოდ კონსულს ჰქონდა, მაგრამ სერვილიუსის რომში გამოძახება ან მასთან წერილის გაგზავნა შეუძლებლად მიაჩნდათ. ამიტომაც დაარღვიეს წესი და ლიქტატორი ხალხმა აირჩია. ხალხის არჩევანი კვინტუს ფაბიუს მაქსიმეზე შეჩერდა. ცხენოსანი ჯარის უფროსი¹ მარკუს მინუციუს რუფუსი გახდა. სენატმა მათ განკარგულება მისცა, რომში შეეკეთებინათ გალავა-

¹ ცხენოსანი ჯარის მეთაურის წოდებაა, რომელსაც ლიქტატორიმ თანშემწე ატარებდა.

ნი და ციხე-კოშკები, ქალაქებში, სადაც საჭირო იყო, ჩაეყენებინათ გუშაგთა რაზმები. მდინარე ტიბრზე დაენგრიათ ხიდები: იტალიის დაცვა არ მოხერხდა — მაშასადამე, ვიბრძოლებთ აქ, მშობლიური სახლის ზღრუბლსა და კერასთანო.

მაგრამ ჰანიბალმა მტრის დედაქალაქის ალყა ვერ გაბედა. ამის მაგივრად იგი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, თითქმის ზღვამდე მივიდა, შემდეგ კი სამხრეთისაკენ წავიდა. ყველგან წინააღმდეგობის გაუწევლად ძარცვავდა ყანებს, მინდვრებსა და სოფლებს, ჯარისკაცებს ნანატრი დასვენების უფლებასა და უფრო მეტად ნანატრი ალაფის მოპოვების საშუალებას აძლევდა.

როგორც კი თანამდებობა დაიკავა, ფაბიუს მაქსიმემ, მაშინვე სენატი შეკრიბა და გამოაცხადა, თავქარიანობის გამო კი არ დაღუპულა კონსული ფლამინიუსი და მისი ჯარი, როგორც ბევრს ჰგონია, არამედ წმინდა წეს-ჩვეულებების უყურადღებოდ მიტოვების გამო. მაშასადამე, პირველ რიგში საჭიროა განრისხებული ღმერთების გულის მოღობვა. მთელ რიგ აღთქმათა შორის, რომელიც რომის ხალხის სახელით დიქტატორმა და ქურუმებმა ღმერთებს მისცეს, იყო „წმინდა გაზაფხული“.

„თუ რომის სახელმწიფო ამ ხუთ წელს მტერს გაუძლებს და გადარჩება, — ნათქვამი იყო აღთქმაში, — მაშინ წლევანდელიდან მეექვსე გაზაფხულის მთელი ნამატი — გოჭი იქნება თუ ხბო, ბატკანი თუ თიკანი — იუპიტერს შეეწირება. მაშინ ვინც არ უნდა დაკლას ზვარაკი სამსხვერპლოს წინ, როგორც არ უნდა დაკლას, რა დღესა და რა საათს, ყველაფერი ღმერთის საამებლად იქნება“.

ბოლოს საღმრთო და ციური საქმეებიდან მიწიერ და ადამიანურ საქმეებს დაუბრუნდნენ. სენატორებმა დაადგინეს, რომ ფაბიუს მაქსიმემ კონსულ სერვილიუსისაგან ჩაიბაროს ჯარი და დამატებით შეაგროვოს იმდენი ქვეითი და ცხენოსანი, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევს. დიქტატორმა ბრძანა, სერვილიუსის ორი ლეგიონისათვის კიდევ ორი დაემატებინათ. სოფლის მცხოვრებლებს უბრძანეს ქალაქებში გადმოსახლებულიყვნენ, რომ ციხის გალავნებისა და კოშკებისათვის თავი შეეფარებინათ, განსაკუთრებით იმ ადგილების მცხოვრებლებს

მიეცათ მითითება, სადაც უახლოეს დროში ჰანიბალის გამოჩენა იყო მოსალოდნელი. მათ უნდა გადაეწვათ თავიანთი სახლები და გაენადგურებინათ ნათესები, რომ მტერს ხელში არაფერი ჩავარდნოდა.

ჯანტი ფაბიუსი და უზუნური მინუსციუსი

ჰანიბალი აპულიის განაპირას იმყოფებოდა, ფაბიუსიცი იქითკენ გაეშურა, მაგრამ დიდ სიფრთხილეს იჩენდა, საგულდაგულოდ ზვერავდა გზებს, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ დაეწყო ბედის ცდა სამხედრო საქმეში, არ ნდობოდა მას მანამ, სანამ ხელსაყრელი შესაძლებლობა არ მიეცემოდა. როცა იგი პირველად დაბანაკდა მტრის პირისპირ, ჰანიბალმა თავისი ჯარი დაუყოვნებლივ სამხედრო წესით განალაგა. მაგრამ რომაელებს თითქოს არც კი შეუმჩნევიათ მისი გამოწვევა. პუნი ილანძლებოდა, ყვიროდა, ომი დამთავრდაო, მტრები სულღერად დაეცნენო, მაგრამ სულის სიღრმეში ძალიან შეშფოთებული იყო: მიხვდა, რომ დაუპირისპირდა სარდალი, რომელიც სრულიად არ ჰგავდა ფლამინიუსსა და სემპრონიუსს, რომ მწარე გამოცდილებამ რომაელებს აპოვნინა წინამძღოლი, რომელიც სწორედ ჰანიბალის შესაფერისი იყო. ჰანიბალმა მაშინვე შეამჩნია დიქტატორის კეთილგონიერება, სიმშვიდე და ამან შიში ჩაუნერგა. იგი შეეცადა განერისხებინა ფაბიუსი, ანდა მახეში გაეხა, მაგრამ ამაოდ! ტყუილად იცვლიდა წამდაუწუმ სადგომებს, ტყუილად თელავდა და წვავდა ყანებს, ტყუილად მიიმტვრევდა თავ-პირს, თვალს მოვეფაროო,—ფაბიუსი მალღობებზე იდგა და ფეხს არ იცვლიდა, იგი მოწინააღმდეგეს არც თვალს აშორებდა და არც ახლოს ეკარებოდა:

თავიანთი ბანაკის საზღვრებს რომაელები ძალზე იშვიათად გასცდებოდნენ ხოლმე, თანაც თითო-თითოდ არასოდეს გადიოდნენ, თუკი საჭირო შეიქნებოდა შემის მოტანა, ანდა ცხენებისათვის საკვების მომარაგება, ჯარისკაცები ამას მშვიდად და დაუბრკოლებლად აკეთებდნენ, რადგან გვერდით განლაგებული იყო გუშაგთა რაზმი, რომელიც მზად იყო ყოველ წუთს მოეგერიებინა მტრის თავდასხმა. ასეთივე რაზმები ხშირად პირველები ესხმოდნენ ხოლმე მტერს თავს, მირეკ-მორეკავ-

დნენ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც აჩანაგებდნენ ყანებს. ამ-
რიგად, მცირე, რომაელებისათვის უსაფრთხო შეტაკებებით
ფაბიუსი ცდილობდა თავისიანებში აღმოეფხვრა შიში ძლევა-
მოსილი პუნების მიმართ.

მაგრამ აი რა იყო საკვირველი: ფაბიუსის თავდაქერილო-
ბას ხომ მოთმინებიდან გამოჰყავდა ჰანიბალი, მაგრამ მასზე
უფრო მეტად თვით დიქტატორის მოადგილე, მარკუს მინუ-
ციუსი, ცხენოსანთა ჯარის უფროსი, კარგავდა მოთმინებას. მი-
ნუციუსი ბუნებით ფიცხი და მეტისმეტად ენადაუბმელი კაცი
იყო. იგი ყველგან აშკარად ლანძღავდა დიქტატორს.

— ეს აუჩქარებლობა კი არაა, სიზარმაცეა, — ამბობდა
იგი, — ეს სიფრთხილე კი არაა, სიმხდალეა!

თავისი უფროსის ასეთი ლანძღვა-გინებით ცდილობდა განე-
დიდებინა საკუთარი თავი.

ამ დროს ჰანიბალს ეახლა სამი კამპანიელი მხედარი, რომ-
ლებიც ტრაზიმენის ტბასთან ტყვედ ჩავარდნენ, მაგრამ თავი-
სუფლება და უხვი საჩუქრები მიიღეს და თავ-თავიანთ ქალა-
ქებში დაბრუნდნენ, როგორც კართაგენელთა ერთგული მომ-
ხრეები და რომაელების მტრები. მათ ჰანიბალს ამცნეს, რომ
მთელი კამპანია მოუთმენლად ელის პუნებს, რომლებიც მათ
რომის უღლისაგან გაათავისუფლებს, რომ ქალაქი კაპუა სია-
მოვნებით გაუღებს მათ კარებს. არც ამ ამბავს, არც იმ ხალხს,
ეს ამბავი რომ მოიტანეს, ჰანიბალი დიდი ნდობით არ მოჰკი-
დებია, მაგრამ მაინც დაიძრა დასავლეთისაკენ. წინ ეს სამი
კამპანიელი მხედარი გაუშვა და დააბარა, უკან ელჩებთან ერ-
თად დაბრუნდით, რომლებიც დაადასტურებენ კამპანიელთა
სურვილსო.

ჰანიბალმა უბრძანა მეგზურს. ჯარი ქალაქ კაზინუმში წაი-
ყვანეო, რათა კაზინუმის უღელტეხილი დაეკავებინა, და ამით
რომაელები კამპანიელი მოკავშირეებისაგან მოეწყვიტა. მაგრამ
პუნი ცუდად წარმოსთქვამდა ლათინურ სიტყვებს და მეგ-
ზურმა „კაზინუმის“ ნაცვლად „კაზილინუმი“ გაიგონა. მან წი-
ნანდელი გზიდან გადაუხვია და სამხრეთისაკენ გაემართა. მალე
კართაგენელები მთებითა და მდინარეებით დასერილ ნაყოფი-
ერ ველზე აღმოჩნდნენ. ჰანიბალი გაოცდა და მეგზურს ჰკითხა:

— ეს სად მოვედით?

— საღამო ხანს კაზილინუმში ვიქნებით, — მიუგო მეგზურ-
მა.

ჰანიბალი მიხვდა შეცდომას და სხვების ჭკუის სასწავლებ-
ლად ბრძანა, მეგზური გაეროზგათ და ჯვარს ეცვათ.

კართაგენელები ჯერ დაბანაკდნენ და კარგად გამაგრდნენ,
შემდეგ ცხენოსანი ჯარი გარემომდებარე მიწებს თვით ზღვის
სანაპიროებამდე შეუსიეს და უმოწყალოდ გააძარცვინეს. მაგ-
რამ ამ თავდასხმების სისასტიკეს შედეგი არ მოჰყოლია: კამპა-
ნიის ქალაქები კვლავინდებურად რომის ერთგულებას ინარჩუ-
ნებდნენ.

რომაელები ჰანიბალს კვალდაკვალ მიჰყვნენ და თავ-
დაპირველად ზანტი დიქტატორის მიმართ უკმაყოფილება მი-
ნელდა: ყველა იმედოვნებდა, ფაბიუსი ჰანიბალს გზას გადაუ-
დობავდა და კამპანიის გაპარტახების უფლებას არ მისცემდა.
როცა იტალიის ეს უმშენიერესი მხარე ცეცხლში გაეხვია,
მეომრები კი კვლავინდებურად გულგრილ მყოფრებლებად
რჩებოდნენ და მალლობებიდან ბიჯსაც ვერ დგამდნენ, მინუ-
ციუსის მრისხანე სიტყვები ახალი ძალით გაისმა. იგი იგონებ-
და წინა წლებისა და საუკუნეების ომებს, როცა გამბედაობას
და მძაფრ შეტევას რომი გადაურჩენია, როცა სარდლები ომს
თავს არ არიდებდნენ, ჩქარობდნენ გამარჯვების დიდებით
გამოესყიდათ დამარცხების სირცხვილი.

— ახალა? — კითხულობდა იგი. — ხანძრების კვამლი
თვალებს გვიწვავს და გვახრჩობს. რომაელი ხალხის მოკავში-
რეთა გულამოსკვნილი გოდება ყურებში გვიდგას, რომელიც
ღმერთებს კი არა, ჩვენ, რომაელებს გვიხმობს საშველად!
ჩვენ კი მშიშარა თხებივით და ირმებივით მთის წვერებზე
დავეხეტებით, ღრუბლებსა და უდაბურ ტყეებში ვიმალებით!
ერთი ადგილის ტყეპნითა და მორწმუნეთა უსასრულო აღთქ-
მით ომი არავის მოუგია! მამაცობითა და გამბედაობით ამაღლ-
და რომის სახელმწიფო და არა იმ დუნე კეთილგონიერებით,
რასაც მშიშრები სიფრთხილეს არქმევენ.

სამხედრო ტრიბუნები და რომაელი ცხენოსნები მოწონე-
ბით ისმენდნენ ცხენოსანთა ჯარის უფროსის სიტყვებს. მალე
მისმა ნათქვამმა რიგით ჯარისკაცებამდეც მიალწია და მსგავსი
საქმეები მეომართა ხმის უმრავლესობით რომ გადაწყვეტილი-
ყო, სარდლობა ფაბიუსიდან მინუციუსის ხელში გადავიდოდა.

ფაბიუსი მტკიცედ ადგა თავის მოსაზრებას. ამასობაში შე მოდგომაც მოახლოვდა და თან მოიტანა გამოზამთრების საზრუნავი. ველი, სადაც კართაგენელთა მთავარი ძალები იდგა მართლაც რომ უხვი იყო. უხვი იყო ბაღებითა და ვენახებით და არა პურიტა და საქონლით, ამიტომ ხანგრძლივად ჯარის გაყოვება აქ შეუძლებელი იქნებოდა. ველიდან რომ გასულიყვნენ, იმავე გზით უნდა გაბრუნებულიყვნენ. ფაბიუსმა იცოდა. ყოველივე, ამიტომაც დროულად დაიკავა კაზილინუმი და ქალაქის მახლობლად მდებარე მთის გადასასვლელი, გუშაგთ. საგანგებო რაზმმა გადაჭრა ბილიკი ვიწრო ხეობაში, უღელტეხილზე, რომელიც ველის მოპირდაპირე მხარეს ზღვის სანაპიროსთან აერთებდა.

ჰანიბალი დარწმუნდა, რკალში რომ იყო მომწყვდეული და, თუ ამ რკალს არ გაარღვევდა, ფაბიუსი კართაგენელებს შიმშილითა და სიცივიტ სულს ამოხდიდა.

რომაელების პოზიცია კაზილინუმთან მიუვალა იყო. მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა, ბედი მთის ბილიკზე ეცადათ, ამისათვის კი ხერხი უნდა ეხმარათ. ყოველი მხრიდან შორეკეს ხარები, სულ ორი ათასამდე, მოზიდეს ფიჩხი და რქებზე დააკრეს. ჰასდრუბალმა ბრძანება მიიღო: როგორც კი დალამდებოდა, ნახირი იმ უღელტეხილისაკენ გაერეკათ, რომელიც მტრის გუშაგებს ჰქონდათ დაკავებული.

დაბინდდა თუ არა, კართაგენელები უხმაუროდ აიყარნენ. მთის ძირს რომ მიადგნენ, ჰანიბალმა ნიშანი მისცა და ჯარისკაცებმა ხარის რქებზე დაკრულ ფიჩხს ცეცხლი წაუკიდეს. როგორც კი ცხოველებმა ცეცხლი იგრძნეს და კანი დაეწვათ, შიშისაგან გაცოფდნენ და წინ გაიჭრნენ. რომაელებს ისე მოეჩვენათ, თითქოს მთელი ფერდობი ბრიალებდა, ცხოველებმა გამწარებით ახლა თავების ქნევაც რომ დაიწყეს, ეგონათ ჩირალდნიანი ხალხი ერთი ადგილიდან მეორეს აწყდებოდა. უღელტეხილზე მყოფ მეომრებს ვერც მოესაზრებინათ, რა

1 ცხადია, არა ჰანიბალის ძმა — იგი ესპანეთში დარჩა, არამედ მისი სენია.

ხდებოდა, რომ ცეცხლი მათ ზემოთ, ზურგს უკანაც აგიზგიზ-და. გუშაგები საბოლოოდ დარწმუნდნენ, ალყაში გამოვემ-წყვდიეთო და ულელტეხილი მიატოვეს. ცხადია, იქით გაიქცნენ, სადაც ნაკლებ ცეცხლს ხედავდნენ — მთის თხემისაკენ, მაგრამ გზად მთავარ ჯოგს ჩამორჩენილი რამოდენიმე ხარი შემოხვ-დათ. თავდაპირველად რომაელები ისე გაქვავდნენ, თითქოს სამარიდან ამოღებულ მკვდრებს ხედავდნენ, მერე კი, როცა მიხვდნენ, ყოველივე მხოლოდ ადამიანთა ხრიკი იყო, უფრო მეტად დაფრთხნენ, რადგან ეგონათ, ხათანგში გავებითო.

შიშისაგან გულგახეთქილები გაიქცნენ და თითქოს ჯიბრზე, მსუბუქად შეიარაღებულ მტრის ქვეით ჯარებს გადაეყარნენ. მოწინააღმდეგეები დილამდე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ სიბნელეში შებმას. ამასობაში ჰანი-ბალმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განახორციელა თავისი ჩანაფიქრი და მთები გადალახა.

ფაბიუსი ისევ მიჰყვა მტერს კვალდაკვალ. უფრო სწორად, გვერდიგვერდ, თან რომისაკენ მიმავალ გზას უღობავდა. ჰანი-ბალმა დიდხანს იტრიალა შუა იტალიაში, სანამ ხელთ არ იგ-დო ქალაქი გერუნია: რომაელთა რაზმი იქ არ იდგა, რადგან ქალაქის სიმაგრეები სრულიად დაძველებული და დანგრეუ-ლი იყო და ასეთი ქალაქის დაცვას აზრი არ ჰქონდა. ფაბიუსი მახლობლად დაბანაკდა.

ფაბიუსი რომში. მინუსციუსის ავბილითი წარმატებები

ამასობაში მნიშვნელოვანი მსხვერპლშეწირვის დრო დად-გა, რაც აუცილებლად სახელმწიფოს მეთაურს უნდა შეესრუ-ლებინა, თანაც აუცილებლად დედაქალაქში. დიქტატორი რომ-ში გაემგზავრა, ხოლო სარდლობა ცხენოსანთა ჯარის უფროსს გადასცა. გამგზავრების წინ იგი არა თუ უბრძანებდა მინუსცი-უსს, სთხოვდა, ლამის ემუდარებოდა, მტერს არ შეებო.

— ნუ გგონია, ზაფხულმა უშედეგოდ ჩაიარა, — ეუბნე-ბოდა იგი. — ექიმებიც ხომ ხშირად ავადმყოფებს სიმშვიდით

მკურნალობენ და წარმატებასაც აღწევენ. ჩვენთვის აუცილებელი იყო დამარცხებათა დავიწყება. გაუთავებელი წარუმატებლობის შემდეგ შვებით ამოსუნთქვა.

ყველა ცდა ამო იყო. მეორე დღესვე ცხენოსანთა ჯარის უფროსმა ბრძანა, ბანაკი ვაკეზე გადაეტანათ (წინათ რომაელები მალალ გორაკზე, მტრისთვის მიულწეველ ადგილზე იყვნენ დაბანაკებულნი). ჰანიბალმა გაიხარა, ის მიხვდა, რომ მთავარსარდლის შეცვლით შეიძლებოდა შეცვლილიყო ომის მსვლელობა და შეეცადა, უფრო მეტად გაეფიცებინა ისედაც ფიცხი მინუციუსი. მან თავისი ჯარის მესამედი პურისა და ცხენებისათვის საკვების მოსამარაგებლად გაგზავნა, ხოლო თავისი ბანაკი მტრისას მიუახლოვა, რითაც რომაელებს აგრძნობინა, კართაგენელ მეფურაუეებზე თქვენს ყოველგვარ თავდასხმის ცდას მოვიგერიებო. მიუხედავად ამისა, რომაელმა ცხენოსნებმა და მსუბუქმა ქვეითმა ჯარმა კართაგენელები განდევნეს და ბევრნიც ამოხოცეს. გადარჩენილ ნაწილებთან ერთად ჰანიბალი უწინდელ ადგილზე — გერუნიის დანგრეულ გალავანთან დაბრუნდა.

მინუციუსმა საჩქაროდ შეატყობინა სენატს თავისი გამარჯვება. იგი ტრაბახობდა, — ყოველნაირად ალამაზებდა და აზვიადებდა ამ გამარჯვებას. რომში ყველა ზეიმობდა, ყველა გარდა ფაბიუსისა. დიქტატორს არც ამ მოაჩული ხმებისა სჯეროდა და არც საკუთრივ მინუციუსის წერილისა.

— თუ ყოველივე მართალია, მით უარესი, — ამბობდა იგი, — ახლა ჩვენთვის წარმატება უფრო საშიშია, ვიდრე წარუმატებლობა.

დედაქალაქში, ისევე როგორც ჯარში, მას ბევრი მტერი ჰყავდა. ფაბიუსს ბრალს სდებდნენ დანაშაულებრივ ზოზინში, სიმხდალეში, ლალატშიც კი, პუნთან საიდუმლო შეთქმულებაში. ფაბიუსის ლალატი ჰანიბალის მზაკვრულმა ხრიკმა აფიქრებინათ: ჰანიბალის მხარეზე გადასულებმა აჩვენეს ჰანიბალს დიქტატორის მამული და მანაც ბრძანება გასცა, გადაეწვათ და გადაეთელათ გარშემო ყველაფერი, მხოლოდ ფაბიუსის სახლ-კარისა და მინდვრისათვის არ ეხლოთ ხელი.

სახალხო ტრიბუნი მარკუს მეტილიუსი კრებას კრებაზე იწვევდა, სადაც გალიზიანებული, სიძულვილით აღსავსე სიტყვებს წარმოთქვამდა.

— გაუგონარი ამბავია! — ყვიროდა იგი, — ამას რაღა დავარქვათ! ჭერ ერთი, როცა ჯართან არის ჩვენი დიქტატორი, გამარჯვების საშუალებას არ აძლევს მას, ახლა, რომში რომ დაბრუნდა, საექვოდ ხდის უკვე მოპოვებულ გამარჯვებას და დასტირის მას. დიქტატორს მხოლოდ ერთი რამ სურს—რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს ძალაუფლება, ამიტომ განგებ აკიანურებს ომს, ამიტომ გულგრილად უყურებს, როგორ აოხრებს პუნი იტალიის მიწას, ამიტომ გამოკეტა ბრძოლას მოწყურებული ჩვენი ლეგიონები ბანაკში, ჩამოართვა მეომრებს მახვილები და შუბები, თითქოს დატყვევებული მტრები ყოფილიყვნენ. ფაბიუსი მთლად უნდა გადავაყენოთ, მაგრამ მე ყაბულსა ვარ უფრო მცირებზე: მოდიოთ, გავუთანაბროთ დიქტატორს მისი თანაშემწე, ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რა მამაცია მარკუს მინუციუსი!

ფაბიუსი არც კი ცდილა ხალხის წინაშე თავი ემართლებინა, იცოდა, რომ ეს ტყუილ-უბრალო გარჯა იქნებოდა, სენატში კი არაერთხელ ილაპარაკა, მაგრამ იქაც მეტიხმეტად უგულისყუროდ უსმენდნენ. წინა დღეს, როცა უნდა გადაწყვეტილიყო, მიიღებდა თუ არა ცხენოსანთა ჯარის უფროსი დიქტატორის თანაბარ უფლებებს, ფაბიუსმა, რომელსაც არც კამათი სურდა და არც არჩევნებში მონაწილეობა, ჯარს მიაშურა.

მეორე დღეს სახალხო კრება რომ გაიხსნა, ყველანი დიდხანს დუმდნენ. მართალია, ხალხი ერთსულოვნად გამოხატავდა სიძულვილს დიქტატორისადმი და კეთილგანწყობილებას ცხენოსანთა ჯარის უფროსისადმი, მაგრამ ვერავენ ბედაცდა, აშკარად მხარი დაეჭირა ტრიბუნ მეტილიუსისათვის. ბოლოს წამოდგა გაიუს ტერენციუს ვარონი, რომელიც არა თუ დაბალი, არამედ სათაკილო წარმოშობისა გახლდათ — ყასბის შვილი იყო, რომელიც თავის საქონელს კარიდან კარში თვითონვე დაატარებდა. გაიუს ვარონმა ჰაბუეკობიდანვე გადაწყვიტა, სახელმწიფოებრივი საქმეებისათვის მოეკიდა ხელი და თავისი გადაწყვეტილების შესრულება კიდევაც შეიძლო. იგი ილაშქრებდა წარჩინებულთა და მდიდართა წინააღმდეგ და იცავდა უბრალო ხალხს, რამაც თავდაპირველად სახელი მოუპოვა, ხოლო შემდეგ უმაღლესი თანამდებობები — კვესტორისა, ედილისა, პრეტორისა. ახლა იგი კონსულობაზე

ოცნებობდა და მზად იყო ყველა შემთხვევა გამოეყენებინა, ოღონდ ხალხის გული მოეგო.

აი, რის გამო დაუჭირა მან მხარი მეტილიუსს, რომლის წინადადება ხალხმა დიდად მოიწონა.

ბედი სჯის მინუციუსს და ამართლებს ფაბიუსს

რომიდან წარმოგზავნილი შიკრიკი ფაბიუსს გზაში დაეწია. დიქტატორმა მისთვის სამწუხარო და შეურაცხმყოფელი წერილი ისეთივე სიმშვიდითა და ღირსებით მოისმინა, როგორადაც ადრე ისმენდა მტრების გაცოფებულ თავდასხმებს დედაქალაქში. სამაგიეროდ, მინუციუსმა სულ დაკარგა გონი ალტაცებისა და სიამოვნებისაგან. იგი ჰანიბალზე გამარჯვებას კი არ გაეაძაყებინა, არამედ კვინტუს ფაბიუსის ძლევას. ეს ხომ გაუგონარი ამბავი იყო რომის ისტორიაში, ხელქვეითი იმარჯვებდა მეთაურზე, მერე როგორ მეთაურზე — დიქტატორზე!

მინუციუსმა ძლივძლივობით დაუცადა ფაბიუსს და მისალმებისთანავე ჰკითხა:

— როგორ გავიყოთ ძალაუფლება? მე ასე მიმაჩნია: რიგრიგობით ვისარდლოთ, თითომ თითო დღეს, ანდა, თუ გინდა, რამოდენიმე დღეს.

— არა, — მიუგო ფაბიუსმა გადაჰკრით. — ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი დაუქვემდებარო შენს იღბლიანობას, ანდა — რაც იგივეა, — შენს უგუნურებას. მე და შენ დღეებს კი არ გავიყოფთ, არამედ — ჯარს. მე არასოდეს არ დავთმობ ჩემს წილს, რომელზედაც უფლება რომაელმა ხალხმა დამიტოვა. თუ ყველაფრის ხსნა არ მოხერხდა, შევეცდები შევინარჩუნო ის, რისი შესაძლებლობაც იქნება.

წილი ყარეს: მინუციუსს შეხვდა პირველი და მეოთხე ლეგიონი, ფაბიუსს — მეორე და მესამე. ცხენოსანთა ჯარის უფროსი დიქტატორისაგან განცალკევებით დაბანაკდა.

რომაელთა ამ ახალ ბანაკსა და პუნთა ბანაკს შორის ბორცვი იყო, ხოლო ბორცვის გარშემო — ხელისგულივით

მოტიტვლებული მინდორი. არც ხე, არც ბუჩქი ხარობდა სადმე. ერთი შეხედვით, ჩასასაფრებლად მეტად უვარგისი ჩანდა, სინამდვილეში კი მეტისმეტად ხელსაყრელი ადგილი იყო. იქაურთბა გამოქვბაბულის მსგავსი დიდრონი ღრმულებით იყო სავსე. ღამით ამ ღრმულებში ჰანიბალმა ხუთი ათასამთე მეომარი არათუ ქვეითი, ცხენოსანი ჯარისკაცი ჩაასაფრა, ხოლო დღით, მოწინააღმდეგის ყურადღება რომ გაეფანტა, — მას შეეძლო შემთხვევით მინდვრის შუაგულში იარაღის პრიალი შეეძჩნია — მცირე რაზმით ბორცვისაკენ დაიძრა, რომაელების თვალწინ ბორცვი დაიკავა. კართაგენელების რაზმის სიმცირემ მინუციუსს არავითარი ექვი არ აღუძრა. მტერი წყევლაკრულვით, მუქართა და დაცინვით აავსო, თან დაიფიცა, კართაგენელებს იმ ხელსაყრელ პოზიციას წავართმევ, ახლა რომ დაიკავესო.

სარდლის ფიცის მიუხედავად, მისი მსუბუქი ქვეითი ჯარი უძღური გამოდგა, მტერი ბორცვიდან ვერ განდევნა და მინუციუსმა ცხენოსანთა რაზმი დაახმარა. მაშინ ჰანიბალმაც თავისიანებს მაშველი ჯარი გაუგზავნა, ეს რომ მინუციუსმა დაინახა, საბრძოლველად მძიმე ქვეითი ჯარი განალაგა, ასე ნელ-ნელა მთელი ჯარი, რომელსაც მინუციუსი სარდლობდა, ბრძოლაში ჩაება.

რომაელების ცხენოსანთა ჯარის შეტევას წარმატება არ მოჰყოლია, სამაგიეროდ, ლეგიონები იბრძოდნენ დაუღალავად და უშიშრად. უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ზურგიდან და ფლანგებიდან წამოიშალა ის ხუთი ათასი მეომარი, საფარში რომ იმალებოდა. რომაელებმა ერთბაშად დაკარგეს გამბედაობაცა და გადარჩენის იმედიც. ოღონდაც, ვერც ერთი მათგანი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, ფაბიუს მაქსიმე რომ არ ყოფილიყო.

თავისი ბანაკიდან დიქტატორი ხედავდა, რაც ხდებოდა ბორცვის მახლობლად, მინდორში. ესმოდა განსაცდელში ჩავარდნილთა სასოწარკვეთილი ყვირილი.

— რა სწრაფად ამიხდა, — თქვა მან, — უფრო სწრაფად ამიხდა, ვიდრე ველოდი. ბედმა უზომო თავდაჯერებულობა დასაჯა. მაგრამ ახლა რისხვისა და ლანძღვის დრო არ არის. გა-

მოიტანეთ დროშები და ვუჩვენოთ მტერს, რომ ნაადრევად ზეიმობს გამარჯვებას.

სწორედ იმ დროს, როცა გაქცეულ რომაელებს მუსრს ავლებდნენ, ფაბიუსი გამოჩნდა. ფაბიუსის ერთი გამოჩენაც კი საკმარისი იყო, რომ ყველაფერი შეცვლილიყო. ლტოლვილები შეჩერდნენ, ერთნი დიქტატორის ლეგიონებს შეუერთდნენ, დანარჩენებმა ისევ შეამჭიდროვეს თავისი რიგები და მტერს მიუბრუნდნენ.

ამ ამბავმა მტერი გააკვირვა, დააბნია. იგი უწინდელი ძალითა და გააფთრებით ვეღარ იბრძოდა. რომის ორივე ჯარი გაერთიანდა და ალბათ პუნებს შეავიწროვებდნენ, რომ ჰანიბალს თვითონ არ შეეწყვიტა ბრძოლა. მან ბრძანა უკან დაეხიათ.

— ჩვენ მინუციუსს ვაჯობეთ, ხოლო ფაბიუსმა ჩვენ გვაჯობა, — თქვა მან და დაუმატა: — ღრუბელი, რომელიც მალლობებს ფარავდა, საბოლოოდ ჰექა-ქუხილად და თავსხმად მოგვევლინა.

საკუთარ ბანკში რომ დაბრუნდა, მინუციუსმა ჯარი შეკრიბა და ასეთი სიტყვა უთხრა:

— ბევრჯერ გამიგონია, ყველაზე მალლა ბრძენი მრჩეველი დგას, შეორე ადგილზე — ვინც ბეჭითად ასრულებს გონივრულ რჩევას, უკანასკნელ ადგილზე კი — ვისაც არაფერი გაეგება და არც სხვისი დაჯერება სურს. დღეს დავრწმუნდი, რომ პირველი ადგილის დაკავების უფლება არა მაქვს, ამიტომაც შეორე ადგილზე მაინც ვიდგეთ მტკიცედ! შევუერთდეთ ისევ ფაბიუსს და, თუ დღევანდელმა დღემ არც გამარჯვება გვარგუნა, არც დიდება, უმადურობას მაინც ნურავინ გვისაყვედურებს.

ყველანი აიშალნენ, კარვები დაკეცეს და მწყობრად გაემართნენ დიქტატორ კვინტიუს ფაბიუს მაქსიმუსსაკენ. იქ ბანაკის მთავარ მოედანზე დროშები აღმართეს, მინუციუსი მალლობზე შედგა და თქვა:

— ფაბიუს მაქსიმე, ჩემო მამავ! მშობლებმა სული ჩამიდგეს, შენ კი მე, და განა მარტო მე, — მთელ ჩემს მეგობრებს ხელმეორედ გვაჩუქე სიცოცხლე! მე მამა იმიტომ გიწოდე, რომ ადამიანებს ამაზე საალერსო და ძვირფასი სიტყვა არა

აქვთ. მაგრამ შენდამი ჩემი გრძნობა საკუთარი მამის სიყვარულზე უფრო მხურვალეა. მე უარს ვამბობ და უარვყოფ რომაელი ხალხის გადაწყვეტილებას, უფლებები რომ გაგვითანასწორდეს. ჩემს ძალას აღემატება ეს თანასწორობა. კვლავ გაგვიწიე ხელმძღვანელობა და უფროსობა მე და ჩემს მეომრებს.

უცილობლად სამგლოვიარო და საბედისწერო ეს დღე მხიარულად დასრულდა. მომხდარი ამბავი მხედართმთავრების მოხსენებისა და ჯარისკაცების წერილების მეშვეობით მაშინვე გაიგეს რომში. ფაბიუსისადმი მტრობა იმწამსვე უდიდესი აღფრთოვანებით შეიცვალა. თვით მტრებიც — კართაგენელებიც კი აღაფრთოვანა რომის დიქტატორმა. მისი სახით მტერმა პირველად იხილა ერთ-ერთი დიდი და უძლეველი რომაელთაგანი, რომელსაც მამების ნაამბობით იცნობდა.

რომი ცხმოვრებას ბანაბრძობს

ნახევარი წელი ედგა ფაბიუსი რომის ჯარსა და სახელმწიფოს სათავეში, შემდეგ ხელისუფლება და სარდლობა კვლავ კონსულებს გადასცა (ტრაზიმენის ტბასთან მოკლული ფლამინიუსის ადგილი მარკუს ატილიუს რეგულუსმა დაიკავა). კონსულები თანხმობითა და ერთსულოვნებით მოქმედებდნენ, ომს ზანტი ფაბიუსის მაგალითით წარმართავდნენ: ბრძოლას თავს არიდებდნენ, მაგრამ მცირე თავდასხმებით მტერს მოსვენებას უკარგავდნენ, პურისა და ცხენებისათვის საკვების მომარაგების საშუალებას არ აძლევდნენ. პუნები ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ ჰანიბალი ხშირად ფიქრობდა, ისევ ჩრდილოეთში, გალების მიწაზე ხომ არ დავბრუნდეთ. მხოლოდ სირცხვილი უკანდახევისა, რომელსაც არაფრით არ განასხვავებდნენ გაქცევისაგან, აშინებდა მას და აკავებდა გერუნაას მახლობლად.

ასე გაგრძელდა მთელი შემოდგომა მანამ, სანამ სიცივემ, ბურუსმა და კოკისპირულმა წვიმებმა მოწინააღმდეგეები საზამთრო ბანაკებში არ შეხიზნა.

ამ მძიმე ომის მიუხედავად, რომაელები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ არც ერთ საქმეს, არც ერთ საზრუნავს. თვალი ეკირათ დროულად შესრულებულიყო ღმერთებისადმი ვალდებულებანი — აშენებდნენ მათთვის შეპირებულ ტაძრებს, სწირავდნენ მსხვერპლს, მოკავშირეებთან და მოხარკეებთან აგზავნიდნენ ელჩებს, იპერდნენ და სიკვდილით სჯიდნენ ჯაშუშებსა და შეთქმულებს დედაქალაქში. იტალია გრძნობდა, რომი წინანდებურად ცოცხალი და ძლიერი არისო და ამიტომაც ლალატს ვერავინ ბედავდა.

ზამთრის პირზე ნეაპოლიდან ელჩები ჩამოვიდნენ. მათ ორმოცი ვეება ოქროს თასი ჩამოიტანეს და ითხოვეს, ომისაგან დაცარიელებული ხაზინის შესავსებად საჩუქრად მიიღეთო. რომაელები არა მარტო საკუთარ თავსა და მთელი იტალიის ბურჯს, ქალაქ რომს იცავენ, არამედ ასევე თავიანთი მოკავშირეების ქალაქებსა და მინდვრებსო. სენატმა მადლობა გადაუხადა ნეაპოლელებს ერთგულებისა და გულუხვობისათვის, მაგრამ მხოლოდ ერთი, შედარებით მომცრო თასი დაიტოვა, ასევე მოექცნენ სენატორები სხვა მოკავშირეებსაც, რომლებიც ძღვენსა და დანმარებას გზავნიდნენ: კეთილი გრძნობისათვის მადლობას უხდიდნენ, პურსა და მეომრებს ღებულობდნენ, ხოლო ოქროზე უარს ამბობდნენ.

ამავე ზამთრის ერთ ღღეს რომში შეიპყრეს კართაგენელი ჯაშუში, რომელიც მთელი ორი წლის მანძილზე დაუბრკოლებლად და დაუსჯელად მოქმედებდა. მას ორივე ხელი მოკვეთეს და იტალიიდან წასვლის ნება დართეს.

მეორე წლისათვის კონსულთა არჩევნები პლებებებსა და პატრიციებს შორის ცხარე ბრძოლით დაიწყო.

უბრალო ხალხს სურდა კონსულად გაიუს ტერენციუს ვარონი აერჩია, რომელზედაც ზემოთ გეჟონდა საუბარი. პატრიციები მას ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ, რასაც იმდენად თვით ვარონის სიძულვალით არ სჩადიოდნენ, რამდენადაც შიშით — მომავლისათვის ეს ამბავი ცუდი მაგალითი იქნებოო. გამოდიოდა, რომ დიდებულების ლანძღვა-გინებით შეიძლება აღზევდე, თვითონ გახდე დიდებული. გაიუს ტერენციუსის ნათესავი, სახალხო ტრიბუნი კვინტუს ბებიუს ჰერენიუსი ხალხს ამხედრებდა თავისი წამქეზებლური სიტყვებით. იგი მათ

ეუზნებოდა, პატრიციები განგებ აქიანურებენ ომს და მანამ არ დაასრულებენ, სანამ კონსული არ გახდება კეშმარიტი ბლები-მდაბიო, ხალხის ქვედა ფენიდან გამოსული კაციო.

— განა თქვენ თვითონ ვერ ხედავთ, — გაიძახოდა იგი, — რომ პლებებესაც გამოუჩნდათ თავიანთი დიდებულები, რომელთაც თანაბრად პატრიციებისა, თაობიდან თაობაში უკავიათ საპატიო და მაღალი თანამდებობანი და პატრიციებივით სძულთ ხალხი! მაგრამ რომის პლებებებს აქვს უფლება გამოიყენოს კონსულის ორი ადგილიდან ერთი ადგილი, როგორც მას სურს! და იგი მისცემს ამ ადგილს იმას, ვინც ომის ელვისებურ გამარჯვებაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ხანგრძლივ ძალაუფლებაზე. იმის იმედი ნუ ექნებათ დიდებულებს, რომ ისევ მოატყუებენ ხალხს. ჩვენ ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერი გვესმის და არც ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხევთ.

ასეთი სიტყვებით აგზნებულმა ხალხმა უარი თქვა პატრიციებისა და პლებების ძველი გვარის ყველა კანდიდატზე. აირჩიეს მხოლოდ ერთი კონსული — გაიუს ტერენციუსი². მაშინ პატრიციები მიხვდნენ, რომ ტერენციუსის წინააღმდეგ ძლიერ სუსტი მეტოქეები წამოაყენეს და თხოვნით მიმართეს ლუციუს ემილიუს პავლეს, რომელიც ერთხელ უკვე იყო კონსული. იგი დიდხანს დაყინებით უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დათანხმდა, გამხდარიყო მეორე კონსული, გაიუს ტერენციუს ვარონის არა იმდენად თანამდებობრივი ამხანაგი, რამდენადაც მუდმივი და შეუპოვარი, მაგრამ, სამწუხაროდ, უბედო მოწინააღმდეგე.

ჯარის რაოდენობა მაშინვე გაზარდეს, მაგრამ რამდენით და როგორ, ზუსტად არ ვიცი. აშკარა და უდავოა მხოლოდ ერთი რამ: დიქტატორმა ფაბიუსმა თავისი უფროსობის დროს რომაელებს ჩაუნერგა რწმენა, რომ ისინი არა მარტო მარცხდებიან, არამედ იმარჯვებენ კიდევ. ამიტომ ახლა ყველას სურდა წინა წლებთან შედარებით უფრო გაბედული მოქმედება.

¹ ეს უფლება არსებობდა 368 წლიდან ჩვენს ვრამდე, აქამდე ორივე კონსულს პატრიციების ფენიდან ირჩევდნენ.

² მხოლოდ მან მოაგროვა არჩევნებისათვის საკმარისი ხმა.

ომის მისამე ფელი

რომის დაარსებიდან 538 (216 წელი ჩვენს ერაზდე)

სანამ ხელახლა შეგროვებული ჯარი რომიდან გავიდოდა, კონსულმა ვარონმა ბევრჯერ მიმართა ჯარისკაცებსა და ხალხს გამომწვევი კადნიერი სიტყვებით. იგი ისევ და ისევ იმას ამტკიცებდა, იტალიაში ომი დიდებულებმა გადმოიტანეს და ისეთი მშიშარა კაცის სარღობით, როგორიც ფაბიუსია, მას დასასრული არ ექნებაო.

— მე კი, მტერს შეხვედრის დღესვე გავაცამტვერებ! მთავარი ჰანიბალთან შეხვედრააო!

კონსული კონსულის წინააღმდეგ

შეორე კონსული პავლე ხალხის წინაშე მხოლოდ ერთხელ გაშოვიდა. მას თავის ამხანაგზე კრინტი არ დაუძრავს, ერთი საყვედურიც არ დასცდენია. მან მხოლოდ გაიკვირვა, როგორ შე-

იძლება ბრძოლის დღე დავნიშნოთ, როცა არც ჩვენი არმია გვინახავს, არც მოწინააღმდეგის, როცა ადგილმდებარეობასაც არ ვიცნობთ და საძოქალაქო ტანსაცმელიც კი არ შეგვიცვლიაო სამხედროთი. მან ხალხს სიფრთხილისაკენ მოუწოდა. შეახსენა, რომ წინდაუხედავი აჩქარება უაზრო და დამლუპველია, რომ საიმედოობა და უსაფრთხოება სისწრაფეზე მნიშვნელოვანია.

შესაძლებელია ფაბიუს მაქსიმე იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მოწონებითა და კმაყოფილებით მოუსმინა ემილიუს პავლეს. როცა ყრილობა დაიხურა, იგი პავლესთან მივიდა და უთხრა:

— შენ და ვარონი ერთმანეთს რომ ჰგავდეთ, რჩევა-დარიგებით თავს არ შეგაწყენდი. გონიერ ხალხს იგი არ სჭირდება, ხოლო უგუნურნი, სხვისი რჩევისადმი, საერთოდ, ყრუნი არიან. მაგრამ ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სახელმწიფო ერთი ფეხით დაკოჭლდა და უგუნურ გეგმებს გონიერთან ერთად თანაბარი ძალა და პატივი ენიჭება. ჯერ არავინ იცის, ვინ არის შენთვის უფრო საშიში — ჰანიბალი თუ ტერენციუსი. შენ ხომ მტერს მხოლოდ მწყობრში შეებრძოლები, ამხანაგს კი — ყველგან და ყველა დროს. ჰანიბალის წინააღმდეგ შენ ცხენოსანი და ქვეითი ჯარი გყავს, ტერენციუსის წინააღმდეგ კი უიარაღო ხარ.

მე არ მინდოდა გაიუს ფლამინიუსის სახელი მეხსენებინა — ეს ცუდი ნიშანია, — მაგრამ იძულებული ვარ. გაიუს ფლამინიუსმა გონი მხოლოდ მაშინ დაკარგა, როცა ჯარში მივიდა, შენი ამხანაგი კი მანამ შეირყა, სანამ კონსულად აირჩევდნენ და აქამდე გონზე ვერ მოსულა. იმის გაფიქრებაც კი შემზარავია, რა მოხდება, როცა იგი სიტყვიდან საქმეზე გადავა! თუ იგი თავის განზრახვას შეასრულებს და დაუყოვნებლივ შეებრძოლება ჰანიბალს, მაშინ, ან მე არაფერი მესმის სამხედრო საქმისა, ან არადა, ვამტკიცებ, ტრაზიმენის ტბის საშინელი „დიდება“ არაფრად გამოჩნდება ამ ახალთან შედარებით. იგი უარეს უბედურებას დაგვატეხავს თავს.

მე ტრაბახა არა ვარ, მაგრამ მერწმუნე: ჰანიბალთან ბრძოლა მხოლოდ ერთადერთი ხერხით შეიძლება — უნდა ებრძოლო ისე, როგორც მე ვებრძოდი. ჩვენ ვიბრძვით იტალიაში,

შინ, ჩვენს მიწაზე. გარშემო მოკავშირეები გვარტყია, რომლებიც ყოველთვის გვამარაგებდნენ და დღესაც მოგვამარაგებენ ხალხით, ცხენებით, სურსათით. გამოცდილება და გაბედულება ყოველდღიურად გვემატება. ახლა ჰანიბალი ვიკითხოთ. იგი უცხო, მტრულ ქვეყანაშია, სამშობლოდან მოწყვეტილი. მას არ უწყურია მშვიდობა არც ხმელეთზე და არც ზღვაზე. არცერთი ქალაქი არ უღებს კარებს, ვერსად ვერაფერს ხედავს, რომ თავისი უწოდოს და დღენიდავ ძარცვა-გლეჯით ცხოვრობს. იმ ჯარიდან, ალბათ, მესამედი თუ გადარჩა, რომელთანაც ერთად იბერი გადალახა, მათ შორის უმრავლესობა შიმშილით უფრო დაეხოცა, ვიდრე მახვილით. ნუთუ შენ ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი გეპარება, თუკი მშვიდად დაველოდებით იმ დროს, როცა პუნი თვითონ ჩაძაღვდება უკმელ-უსმელი, უსახლკარო, სახსარსა და მაშველ ძალებს მოკლებული?

აი, ლუციუს ემილიუს, ერთადერთი გზა გამარჯვებისა, მაგრამ ამ გზით სიარული მეტად ძნელი იქნება, რადგან შენი საკუთარი მეომრები იმასვე მოინდომებენ, რასაც მტრის მეომრები. რომის კონსული ვარონიც იმასვე ისურვებს, რასაც პუნი სარდალი ჰანიბალი. შენ მოგიწევს ორივეს გამკლავება. მაგრამ აჯობებ, თუკი ყურადღებას არ მიაქცევ სხვების ჩივილსა და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას. ჭეშმარიტება ხშირად იჩაგრება, შეიძლება ითქვას, ძალიან ხშირადაც, სამაგიეროდ, იგი უკვდავია და, ვინც უგულვებელყოფს მოჩვენებით დიდებას, ჭეშმარიტ დიდებას მოიპოვებს.

სამხიარულოდ თქმული როდი იყო ეს სიტყვები და პაველც მხიარულად როდი აძლევდა პასუხს. მან არა თუ იცოდა მთელი სიძნელე, რომელიც ელოდა, არამედ ამასთანავე ხალხი აშინებდა: პირველი კონსულობის შემდეგ მას სამხედრო ნადავლის ქურდობა დასწამეს და, თუმცა ეს ბრალდება უმართებულო იყო, დასჯას ძლივს გადაურჩა.

— დე, ყველაფერი ბედნიერად და კეთილად დასრულდეს, — უთხრა მან ფაბიუსს, — მაგრამ თუკი მარცხი მელოდება, ჯობს, მტრის მახვილმა მომიღოს ბოლო, ვიდრე თანამემამულეთა სამსჯავრომ.

როცა კონსულები ჯარში მივიდნენ და ახალი ძალები ძველს შიუმატეს, რომაელთა რიცხვი ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა, მაგ-

რამ ამან ჰანიბალი კი არ შეაწუხა, პირიქით, უზომოდ გაახარა. მას ათი დღის სამყოფი პური რჩებოდა, მეტის შოვნა არსაიდან შეეძლო. ესპანელებს კი, რომლებსაც შიმშილის ეშინოდათ, უკვე მტერთან გაქცევაზე ეჭირათ თვალი. ახლა, ახალი სარდლობის გამოჩენას შეიძლება მდგომარეობა შეეცვალა. პუნს როდი გაუცრუვდა იმედი.

თვით ბედმა გაუჩინა საზრდო ვარონის სულწასულობას. რომაელები თავს დაესხნენ კართაგენელ მეფურაუეებს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც მოწინააღმდეგეებს ათას შვიდასი კაცი მოუკლეს, მაშინ, როცა რომაელებმა მხოლოდ ასიოდე დაკარგეს. ამ დღეს უმადლესი სარდლობა პავლეს ეკუთვნოდა (კონსულები მორიგეობით სარდლობდნენ). მას შეეშინდა, ჩასაფრებულ მტერს არ გადავაწყდეთო და მებრძოლებს გაქცეულების დადევნება აუკრძალა. ამან სასტიკად აღაშფოთა ვარონი, რომელიც ყვიროდა, ჩემმა ამხანაგმა მტერი ხელიდან გაუშვა. ეს სულმოკლეობა არ გამოეჩინა, მტერს პირველსავე დარტყმით ბოლოს მოვუღებდითო.

„მიტოვებული ბანაკი“

ჰანიბალი კმაყოფილი იყო. ყოველივე, რაც მტრის ბანაკში ხდებოდა, მან საკუთარ ბანაკში მომხდარ ამბებზე ნაკლებად როდი იცოდა. იცოდა, რომ კონსულები ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ, რომ ჯარის ორი მესამედი ახალწვეულები იყვნენ. რომაელების წარმატება მას ანკესზე წამოგებულ სატყუარად მიაჩნდა, რომელიც ვარონს ჰქონდა გადაყლაპული და ამიტომაც თვლიდა, რომ მდგომარეობა მისთვის მეტად ხელსაყრელი გახდა.

მეორე ღამეს მან ჯარი ბანაკიდან გამოიყვანა და მახლობელ ბორცვებთან ჩაასაფრა, წაღებით კი, იარაღის გარდა ჯარს არაფრის უფლება არ მისცა, ასე, რომ ბანაკი დოვლათით იყო სავსე. კარვების წინ კოცონები ენთო — რომაელებს ბანაკში შესვლისას უნდა ჰგონებოდათ, რომ ჰანიბალს ისევ სურდა მა-

თი მოტყუება: მტერი შეეყოვნებინა, რათა ლტოლვილები სამ-
შვიდობოს გასულიყვნენ.

რომაელებმა გათენებისას აღმოაჩინეს, რომ მტერს საცუ-
შაგაობი მოეხსნა. ისინი მიუახლოვდნენ მიწაყრილსა და მე-
სერს. უჩვეულო სიწყნარემ რომაელები ძალზე გააკვირვა.
მესერს მიღმა გადაიხედეს თუ არა, მაშინვე კონსულებთან გაი-
ქცნენ და შეატყობინეს, პუნები ისე გაქცეულან, კარვებიც კი
ვერ აუშლიათ, ხოლო რომაელებისათვის თვალი რომ აეხვიათ
და გაქცევა დაეფარათ, ყოველ ნაბიჯზე კოცონები დაუთი-
ათო.

ჯარისკაცებმა მაშინვე ყვირილი ატეხეს, ნება მოგვეცით გაქ-
ცეულებს დავედევნოთ და, რაც მთავარია, მიტოვებული ბანა-
კი გავძარცვოთ. ლამის ყველაზე ხმამაღლა ამას ერთ-ერთი
კონსული — ვარონი ყვიროდა.

ამაოდ მოუწოდებდა პავლე სიფრთხილისაკენ, აღელვე-
ბული ბრბო, რომელსაც სათავეში კონსული ედგა, ძლივძლი-
ვობით დაითანხმა ცოტათი მაინც დაეცადათ, ვიდრე დაზვერ-
ვიდან მობრუნდებოდა პრეფექტი მარიუს სტატილიუსი ლუკა-
ნელი ცხენოსნების თანხლებით.

სტატილიუსი მიუახლოვდა ბანაკის ჭიშკარს, ცხენოსნებს
უბრძანა, იქვე დაეცადათ, თვითონ კი ორი მეომრის თანხლე-
ბით სწრაფად შევიდა ბანაკში, მან გულდასმით გასინჯა ყვე-
ლაფერი და შემდეგ რომაელებს მოახსენა: — მტერს, უდავოა,
რაღაც მახე აქვს დაგებული: კოცონები მხოლოდ რომაელთა
მხარეს ანთია, კარვები ყურთამდეა მოღიავებული, ძვირფასი
ნივთები თვალსაწაიანად ყრია, ზოგან კი ვერცხლი პირდაპირ
გზაზე, კარვებს შორის გდია, როგორც აშკარა სატყუარა.

სტატილიუსის სიტყვებმა კი არ დააცხრო მეომრების სიხარ-
ბე, პირიქით, უფრო გააცხოველა.

— გაგვიძეხით! ეხლავე გაგვიძეხით, თორემ ჩვენ თვითონ
წავალთ. არ დაველოდებით, არც ბრძანებას და არც მეთაუ-
რებს! — ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ ჯარისკაცები.

ვარონმა ბრძანა, დაძვრის ნიშანი მიეცათ, მაგრამ თვით
ღმერთებმა იხსნეს იმავე დღეს რომაელები გარდუვალი დაღუ-
პვისაგან. პავლემ გამოაცხადა, რომ წმიდა ქათმები უბედურე-

ბას გვიწინასწარმეტყველებენო¹. ეარონი ჩაფიქრდა. სანამ იგი ჭოკმანობდა, ხოლო ჭარისკაცები მასაც მხლალს ეძახდნენ და ემუქრებოდნენ, არ დაგემორჩილებითო, მოვიდა კართაგენელებისაგან გამოქცეული ორი მონა (ისინი ორ ლათინელ მხედარს ეკუთვნოდნენ და ნუმიდიელებს ჰყავდათ დატყვევებული, ახლა კი თავიანთ ძველ პატრონებთან გამოქცეულიყვნენ). ლტოლვილებმა რომაელებს შეატყობინეს, რომ ჰანიბალის მთელი ჭარი გორაკებთანაა ჩასაფრებულიო. ამ ცნობამ ერთბაშად შეწყვიტა კონსულების დავა და ჭარისკაცების ამბოხიც.

ჰანეს მისაღზომებთან

ჰანიბალი დარწმუნდა, რომ მისმა ეშმაკობამ არ გასჭრა და ბანაკში დაბრუნდა. შიმშილი ყოველნაირად აუტანელი ხდებოდა; მეომრების უკმაყოფილება კი — აშკარა. დაქირავებულები გასამრჩელოს თხოულობდნენ, რომელსაც მათ მხედართმთავარი შეჰპირდა, თან თითქმის აშკარად დაიწყეს ერთმანეთში მოლაპარაკება, რომაელების მხარეზე გადავიდეთო. ასეთი განწყობილება პუნს სერიოზულად აშინებდა და გადაწყვიტა, ბრძოლები შორს, სამხრეთისაკენ გადაეტანა, სადაც ჭირნახული უფრო ადრე შემოდის.

კონსულები მას კვალდაკვალ მიჰყვნენ. ჰანიბალმა აპულიაში სოფელ კანეს მახლობლად დასცა ბანაკი. იგი ისე დაბანაკდა, რომ ქარ ვოლტურნისათვის², რომელიც გვალვისაგან გამომშრალ მინდვრებზე მტვრის კორიანტელს აყენებდა, ზურგი მიექცია. ასეთი დაბანაკება მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა მერმისისათვის, როცა ორივე ჭარი საბრძოლველად მოეწყო: პუნებს ქარი ზურგიდან უბერავდა, ხოლო რომაელებს სახეში

¹ მხედართმთავარს ეს ქათმები ყველგან თან დაჰყავდა. საგანგებო მსახური თვალყურს ადევნებდა, როგორ ჭამდნენ ქათმები: თუ ქათმები ხალისით კენკავდნენ საკენეს, ეს კეთილი ნიშანი იყო, თუ უხალისოდ, ანდა, არ ჭამდნენ, — ავის ნიშანი.

² ახლა ამ ქარს სიროკო ჰქვია.

სცემდა და თვალებსა და პირს მტვრით უვსებდა. რომაელებმა ორი ბანაკი დასცეს მდინარე აუფიდუსის გაღმა-გამოღმა ნაპირზე.

ჰანიბალი შემთხვევით როდი დაბანაკებულა კანეს მახლობლად. გარშემო მდებარე დაბლობები თითქოს საგანგებოდ იყო შექმნილი ცხენოსანთა ბრძოლებისათვის, ხოლო კართაგენელებს ასეთ ბრძოლაში ხომ უძლეველად მიაჩნდათ თავი. ბანაკის გამართვა დაამთავრეს თუ არა, ჰანიბალმა თავისი ჯარი საბრძოლო წესისამებრ განლაგა და წინ ნუმიდიელები — ომის მოთავეები გაგზავნა. ამ დღეს პავლე სარდლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ვარონი სასტიკ პროტესტს გამოთქვამდა, ხოლო ჯარისკაცები ღელავდნენ, მან რომაელებს ბრძოლის უფლება არ მისცა.

წარუმატებლობით იმედგაცრუებულმა ჰანიბალმა სამხედრო მწყობრი დაშალა, ნუმიდიელები კი მდინარის გაღმა მხარეს გაგზავნა, რომ დაეშინებინა და გაერევა რომაელთა მცირე ბანაკის წყლის მზიდავები. როგორც კი ნაპირზე გადავიდნენ, ნუმიდიელმა ცხენოსნებმა ყიჟინა დასცეს და გააქციეს წყლის მზიდავები, შემდეგ მიწაყრილთან, საგულშაგოებთან გაინავარდეს და თვით ბანაკის კარამდეც კი მივიდნენ. რომაელებს ბრაზი და სირცხვილი ახრჩობდათ: მტრის ცხენოსანი ჯარი ლამის ბანაკს მოადგა, ჩვენ კი იძულებულნი ვართ, გულხელდაკრფილნი ვისხდეთო.

სამაგიეროდ, მეორე დღეს უმაღლესი სარდლობა ვარონის ხელში გადავიდა. იგი არც კი მოთათბირებია ამხანაგს, ისე გადავიდა მდინარე აუფიდუსის გაღმა ნაპირზე. მცირე ბანაკთან, რომაელების მთელ ძალებს თავი ერთად მოუყარა და ჯარი ასე განლაგა: მარჯვენა ფრთა რომის ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა დაიკავეს, მარცხენა — მოკავშირეთა ცხენოსანმა ჯარმა, შუა — მოკავშირეთა ქვეითმა ჯარმა. მარცხენა ფრთას ტერენციუსი ჩაუდგა სათავეში, მარჯვენა კი პავლეს მიანდო.

კართაგენელებმა სასწრაფოდ მტრის მაგალითს მიბაძეს — მდინარე გადალახეს და განლაგდნენ: მარცხენა ფლანგზე, ზედ წყლის ნაპირთან, რომაელთა ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ ჰანიბალმა გალი და ესპანელი მხედრები გაამწყრივა, მარჯვენაზე — ნუმიდიელი მხედრები, ცენტრში კი ქვეითები ჩააყენა.

რომელთა შუაგულში გალები და ესპანელები აღმოჩნდნენ, ხოლო მათ ორივე მხარეს — აფრიკელები. აფრიკელები რომაელებისდაგვარად იყვნენ აღჭურვილნი — იმ იარაღით, რომელიც ტრებიანში და ტრაზიმენის ტბასთან იგდეს ხელთ. გალებსა და ესპანელებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმისა და სიგრძის მახვილი ჰქონდათ (გალების მახვილი ძალიან გრძელია და ბოლოში მომრგვალებული, ესპანელებისა კი მოკლეა, სახმარად მოსახერხებელი. წვერი ძლიერ წამახული აქვს, რადგან ესპანელები ბრძოლაში მტერს უმეტესად ჩხვლენ, ვიდრე კვეთენ). საბოლოოდ ერთიცა და მეორეც თავისი სიდიდითა და მრისხანე შესახედაობით ყველას შიშის ზარს სცემდა. გალები წელამდე შიშველნი იყვნენ, ხოლო ესპანელებს წითელარშიიანი თეთრი ტუნიკები ეცვათ. მარცხენა ფლანგს პასდრუბალი სარდლობდა, მარჯვენას — მაჰარბალი, შუა ნაწილს — თვით პანიბალი, ძმასთან, მაგონთან ერთად.

კ ა ნ ე

ბრძოლა, ჩვეულებისამებრ, მსუბუქად შეიარაღებულმა მეომრებმა დაიწყეს. შემდეგ საქმეში გალთა და ესპანელთა ცხენოსანი ჯარი ჩაერია, მაგრამ მდინარესა და ქვეითთა რიგებს შორის მანევრებისათვის ადგილი აღარ რჩებოდა და ერთმანეთში არეულმა მოწინააღმდეგეებმა ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს. ეს სრულებით არ ჰგავდა ცხენოსანი ჯარის ბრძოლას. პირიქით, თითოეული მათგანი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მტერი ცხენიდან გადმოეთრია, ანდა გადმოეგდო. ეს უჩვეულო შეტაკება დიდხანს არ გაგრძელებულა. რომაელებს ძალა მალე გამოეღიათ და მტერს ზურგი აჩვენეს.

შემდეგ ქვეითი ჯარის ბრძოლა დაიწყო. თავდაპირველად გალები და ესპანელები მამაცურად უმკლავდებოდნენ ლეგიონერთა დაწოლას, მაგრამ რომაელთა რიგები უფრო მტკიცე და მჭიდრო იყო, ამიტომაც მრავალი მედგარი იერიშის შემდეგ მტრის შეუპოვრობა გატეხეს. უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელები და გალები სოლისებურად იდგნენ და ახლა, უკანდა-

ხევის დროს, საერთო საბრძოლო ხაზი ჯერ გაასწორეს, ხოლო შემდეგ შეზნიქეს. რომაელები ლტოლვილებს დაედევნენ და გზადაგზა მუსრს ავლებდნენ. თვალის დახამხამებაში ისინი აფრიკელებს გაუსწორდნენ, რომლებიც ბრძოლის დაწყებამდე ქვეით ჯარს ორივე მხარეს, სოლის ძირში დაუყენეს, და გვერდით ჩაუქროლეს. მაშინ აფრიკელები წინ ირიბად — ერთმანეთის შესახვედრად დაიძრნენ და მალე მტრის ზურგს უკან რკალი შეკრეს. მხოლოდ ახლა მოეგნენ გონს მტრის დევნით მთვრალი რომაელები. მათი გამარჯვება უსარგებლო გამოდგა. შიშისაგან ზარდაცემულებმა გალებსა და ესპანელებს თავი ანებეს და მტრისაგან გარშემორტყმულები ახალ ბრძოლაში ჩაებნენ, რომაელები დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ, მათი ახალი მოწინააღმდეგე კი დასვენებული და ძლიერი იყო.

ბრძოლა რომაელების მარცხენა ფლანგზეც მიმდინარეობდა, სადაც მოკავშირეთა ცხენოსანი ჯარი ნუმიდიელებისას შეხვდა. მტრები ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ შორს იყვნენ, როცა ხუთასი ნუმიდიელი მხედარი, რომელთაც მახვილები ჯავშანში ჰქონდათ დამალული, რომაელებისაკენ გამოქანდნენ და ნიშანი მისცეს, ტყვედ გბარდებითო. ახლოს რომ მივიდნენ, ცხენიდან ჩამოხდნენ და მოწინააღმდეგის ფეხებთან დაყარეს ფარები და ხელშუბები. რომაელებმა ნუმიდიელებს უბრძანეს, ზურგში განლაგებულიყვნენ, სანამ ბრძოლა გაფიცდებოდა, ისინი მშვიდად იყვნენ, მაგრამ როგორც კი ყველანი ომის ეინმა გაიტაცა, მოულოდნელად იშიშვლეს დამალული მახვილები, ხელი დასტაცეს ფარებს, რომლებიც ყველგან ეყარა დახოცილებს შორის და რომაელებს ზურგიდან დასცხეს. ნუმიდიელები რომაელებს ზურგში მახვილებს უყრიდნენ და მუხლს ქვემოთ ძარღვებს უჭრიდნენ.

ორივე ფლანგზე თანაბრად საშინელი ამბები ტრიალებდა. ზოგი საით გაიქცა და ზოგი საით. ცენტრში კი წინანდებურად იბრძოდნენ. ბრძოლა შეუპოვარი იყო, მაგრამ უიმედო. მარცხენა ფლანგის უფროსმა ჰასდრუბალმა ესპანელთა და გალთა ცხენოსანი ჯარი აფრიკელთა დასახმარებლად გაგზავნა: აფრიკელები ბრძოლით იმდენად დაიღალნენ, რომ ძლივს ეჭირათ მახვილი ხელში. ხოლო ნუმიდიელები მთელს მინდორს მოედევნენ, ლტოლვილებს დაედევნენ.

კონსული პავლე ომის დაწყებისთანავე შურდულიდან გასროლილი ქვით მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობდა ჯერ ცხენზე ამხედრებული, ხოლო როცა ადვირის დაჭერა ვერ შეძლო, ქვეითად. მას გარშემორტყმოდა რომაელ ცხენოსანთა რაზმი და იცავდა. კონსულისდაგვრად, ისინიც ცხენებიდან ჩამოხდნენ. ვილაცამ, რომელმაც არ იცოდა, რა ხდებოდა, ჰანიბალს ამბავი მოუტანა, პავლემ მხედრებს უბრძანა ცხენებს თავი ანებეთო. მაშინ ჰანიბალმა თქვა:

— იგი მათ ხსნის ერთადერთ გზას უსპობს. ჯობდა ყველა ერთად გაეთოკა და ისე ჩაებარებინა ჩემთვის!

ჩამოქვეითებულ ცხენოსან ჯარს ექვი აღარ ეპარებოდა მტრის გამარჯვებაში, მაგრამ გაქცევას სიკვდილი ერჩიათ და თავგამოდებით იბრძოდნენ. გამარჯვებულები კი ამ ბოლო დაბრკოლებას გაეცოფებინა და ყველას, ვისი უკან დახევინება ვერ მოეხერხებინათ, ჩეხდნენ.

სისხლში მოთხვრილი კონსული ქვაზე ჩამომჯდარიყო, მას ცხენით ტრიბუნმა გნეიუს კორნელიუს ლენტულუსმა ჩაუარა.

— ლუციუს ემილიუს, — დაუძახა მან, — თუკი ღმერთებმა ვინმეზე უნდა იზრუნონ, მხოლოდ შენზე. მთელი ჯარიდან მხოლოდ შენ არ ხარ დღევანდელი დამარცხებისათვის დამნაშავე. შეჯექი ჩემს ცხენზე, მე გვერდზე გამოგყვები და დაგიცავ. კონსულის სიკვდილით კიდევ უფრო ნუ გააშავებ რომისათვის ისედაც ამ შავბნელ დღეს!

— დიდება შენს მამაცობას, გნეიუს კორნელიუს, — მიუგო პავლემ, — დროს ტყუილუბრალოდ ნუ დაკარგავ, რადგან შეწყალება არ მინდა, შენ კი დაყოვნებამ არ დაგლუპოს. იჩქარე რომში, სენატს უთხარი, სანამ ჰანიბალი კარს არ მოგდგომიათ, გალავანი გაამაგრეთ და ყარაულები გააძლიერეთ-თქო. კვიბტუს ფაბიუსს კი გადაეცი, რომ ლუციუს ემილიუს პავლეს ახსოვს შენი დარიგება და ისე კვდება-თქო. ნება მომეცი, მეც ჩემს მოკლულ ჯარისკაცებთან ერთად დავლიო სული. არა მსურს ისევ დამნაშავედ ჩამთვალონ, არც ჩემი ამხანაგისათვის ბრალდების წაყენება მინდა სასამართლოზე.

ამ დროს მოცივიდნენ ლტოლვილები, ხოლო მათ ფეხდაფეხ მტრებიც მოჰყვნენ. კონსულს ისრები დააყარეს, რადგან

იგი ვერავინ იცნო, ლენტულუსი კი ცხენმა სამშვიდობოს გაიყვანა.

შვიდი ათასი რომაელი მცირე ბანაკში გაიქცა, ათი ათასი — დიდში. ორი ათასამდე სოფელ კანეში ცდილობდა თავის შეფარებას, მაგრამ ამაოდ. მათ შორის მეორე კონსული აღარ იყო. შემთხვევით თუ განგებ, ბრძოლის ველი მარტოკამ მიატოვა და სულ ორმოცდაათიოდე ცხენოსნის თანხლებით ქალაქ ვენუზიუმს მიაშურა.

სულ ორმოცდახუთი ათას ხუთასი ქვეითი და ორი ათას შვიდასი ცხენოსანი ჯარისკაცი დაიღუპა. მათ შორის ნახევარი რომის მოქალაქე და ნახევარი მოკავშირე. დაიღუპა ბევრი სენატორი, რომელთაც წარსულში მაღალი თანამდებობები ეკირათ სახელმწიფოში. ისინი უბრალოდ მოხალისე ჯარისკაცებად ეწერებოდნენ ლეგიონში. დაიღუპა გნეიუს სერვილიუსი — გასული წლის კონსული და მარკუს მინუციუსი — დიქტატორ ფაბიუსის ცხენოსანთა ჯარის უფროსი.

ბრძოლის ველზე დაატყვევეს სამი ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ათას ხუთასი ცხენოსანი.

რომაელები დამარცხების შემდეგ

დიდი ბანაკიდან მცირე ბანაკში მაცნე მოვიდა.

— ომმა მტრებს ძალ-ღონე გამოაცალა. ახლა კი სიხარულისაგან სვამენ და ღრეობენ, ასე რომ, უდავოა, ღამით მაგრად ჩაეძინებათ. თქვენ შეგეძლებათ, ჩვენთან გადმოხვიდეთ და ყველანი კანუზიუმში¹ წავალთ.

ერთნი გადაჭრით უარს აცხადებდნენ, მაინცდამაინც ჩვენ რატომ უნდა გავრისკოთ, დიდი ბანაკის ხალხმა თვითონ გარისკოს და შემოგვიერთდესო! სხვებს თვით გეგმა მოსწონდათ, მაგრამ მის მისაღებად გამბედაობა არ ჰყოფნიდათ. მაშინ წინ წამოდგა სამხედრო ტრიბუნი პუბლიუს სემპრონიუს ტუდიტანი და მოკლე და მრისხანე სიტყვა წარმოთქვა:

¹ კანუზიუმი იყო ქალაქი კანეს მახლობლად მდებარე გამაგრებული ჭალაქი.

— თქვენ რა, გინდათ რომ ყველაზე სასტიკ და ყველაზე ხარბ მტერს ჩავეუვარდეთ ხელში, რომ თქვენი თავები შეაფასოს — რომის მოქალაქეებისა ამდენი და ამდენი, მოკავშირეებისა კი — უფრო ნაკლებიო? ეს არ მოხდება — ასეა თუ ისე, მაინც კონსულ ლუციუს ემილიუსის თანამოქალაქეები ხართ, რომელმაც ნაძრახ სიციოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ამჯობინა, თანამოქალაქეები ამდენი მამაციისა, რომლებიც კონსულის გვერდით დაეცნენ! სანამ მტერს გზა საბოლოოდ არ ჩაუგმანია, აკაფოთ ვინც ჩვენს კართან დგას, აკაფოთ და აქაურობას თავი დავალწიოთ! გამომყვეს ყველა, ვისაც რომისა და საკუთარი თავის გადარჩენა სწადია.

ვინც მის მოწოდებას მხარი დაუჭირა, მკიდრო კოლონად მოეწყო, მახვილები იშიშვლეს და მტერს ეკვეთნენ. მარჯვნივ გამოჩნდნენ ნუმიდიელები და ხელშუბები დააყარეს, მაგრამ რომაელები ამან ვერ შეაჩერა. მათ მხოლოდ მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაინაცვლეს ფარები. ასე მიაღწია ექვსასამდე კაცმა დიდ ბანაკს. იქ ამხანაგებს შეუერთდნენ და უვნებლად ჩავიდნენ კანუზიუმში.

პართაბენელები გამარჯვების შემდეგ

კართაგენელი მეთაურები ერთმანეთს არ აცლიდნენ ჰანიბალისათვის გამარჯვების მილოცვას და ერთხმად ურჩევდნენ: შენც დაისვენე და ჭარიც დაასვენე. ომი დამთავრებულია და სასწრაფო არაფერი გაქვსო.

მხოლოდ ერთი მაჰარბალი — ცხენოსანი არმიის მეთაურა — დაჟინებით ამბობდა, არცერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებაო.

— შენც კიდევ კარგად არ გესმის, რას ნიშნავს დღევანდელი გამარჯვება, — ეუბნებოდა იგი ჰანიბალს, — ოთხი დღის შემდეგ შეგიძლია კაპიტოლიუმზე მოილხინო. ოღონდ ახლა კი დაუყოვნებლივ გზას გავუდგეთ! მე ჩემი ცხენოსნებით წინ გავიჭრები. რომი შეშინებასაც ვერ მოასწრებს, რომ მას ყელში ვწვდებით.

მაგრამ ჰანიბალს ეს მოთხოვნა მეტად მაცდუნებლად ეჩვენა და ამდენად განუხორციელებელი. მან შეაქო მაჰარბალი გულმოდგინეობისა და კეთილი სურვილებისათვის და დაჰპირდა, შესვენების ეამს ყველაფერს მოვიფიქრებო. მაშინ მაჰარბალმა შეჰყვირა:

— მართლაცდა, ღმერთები ერთ ადამიანს ყველაფრით როდი აჯილდოვებენ. შენ, ჰანიბალ, იცი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ გამარჯვებით სარგებლობა არ ძალგძის!

მართლაც, ყველა ირწმუნება, რომ გამარჯვების შემდეგ კანესთან ერთი დღის შეყოვნებამ იხსნა ქალაქი რომიცა და თვით რომის სახელმწიფოც.

დილით, როგორც კი ირიერაქა, კართაგენელები ნადავლის ასაკრეფად ბრძოლის ველზე გავიდნენ. შესაზარი სურათი გადაეშალათ თვალწინ. შემაზრზენი და საშინელი იყო ეს სანახაობა თვით გამარჯვებულებისათვისაც კი. ათასობით რომაელი — ქვეითი ჯარისკაცი თუ ცხენოსანი ერთმანეთში არეულიყო. ისინი ეყარნენ იქ, სადაც ტიალმა ბედმა უმუხთლათ. მკვდრებს შორის ხან აქ, ხან იქ. დაქრილები წამოიმართებოდნენ, რომლებიც დილის სუსხზე გონზე მოსულიყვნენ. მტრები მათ იქვე კლავდნენ.

ბოლოს უღებდნენ იმათაც, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ფეხზე ადგომა უკვე აღარ შეეძლო. ისინი ყელგაწვდილი იხვეწებოდნენ, მოგვეკალითო. ზოგიერთები თვითონ ისპობდნენ სიცოცხლეს, ფრჩხილებით ორმოს თხრიდნენ, შიგ თავს ყოფდნენ, ზემოდან მიწას იყრიდნენ და იხრჩობოდნენ.

ნაშუადღევს ჰანიბალმა ალყა შემოარტყა რომაელთა მცირე ბანაკს, რომელიც თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა, გაცილებით სწრაფად, ვიდრე ამას ჰუნნი მთავარსარდალი ელოდა. ტყვეებმა მტრებს იარაღი და ცხენები ჩააბარეს, სამაგიეროდ, მათაც დაპირება მიიღეს, თუკი გამოგისყიდიან, დაუბრკოლებლივ გაგიშვებთო. ამავე პირობით ჩაბარდა დიდი ბანაკიც, სადაც მხოლოდ დაქრილები და ლაჩრები დარჩნენ, ვისაც კანუზიუმში წასვლის შეეშინდა.

სალამო ეამს ჰანიბალმა განკარგულება გასცა, ჩვენი

მკვდრები ერთად მოაგროვებთ და დამარხებთ. დაახლოებით, რვა ათასი კაცი აღმოჩნდა მკვდარი—ყველაზე საუკეთესო, ყველაზე მამაცი მეომრები. ზოგიერთი ცნობით, რომის კონსულის გვამი მოძებნეს და ისიც დამარხეს.

რომის ჯარის ნარჩენები კანუზიუმში

შ ე თ შ მ უ ლ ე ბ ა

რაზმი, რომელმაც კანუზიუმს მიაღწია, ხუთ ათასამდე კაცი-საგან შედგებოდა. ყოველდღიურად მას სულ ახალ-ახალი ლტოლვილები ემატებოდნენ. პურით, სამოსელითა და ფულით კი, ყველას დახმარებას უწევდა წარჩინებული ქალი ბუსა. გადარჩენილებს შორის ოთხი სამხედრო ტრიბუნი იყო. ისინი რამოდენიმე კაცთან ერთად შეიკრიბნენ და დიდხანს ბჭობდნენ მომავალში რა ელონათ. უცებ ერთი ჭაბუკი წამოდგა და თქვა:

— ტყუილუბრალოდ ფიქრობთ მომავალზე. ჩვენი სახელმწიფო უკვე მკვდარია და მხოლოდ დატირებალა შეგვიძლია მისი. მკვდრებით კი ველარ აღვადგენთ. საუკეთესო ოჯახებიდან გამოსულ ჭაბუკებს, რომელთაც მარკუს ცეცილიუს მეტელუსი უდგას სათავეში, გადაწყვეტილი აქვთ დატოვონ იტალია და რომელიმე ზღვისიქითა მეფესთან ძებნონ თავშესაფარი.

ყველა იქ მყოფი გაშტერდა და თავდაპირველად კრინტი ვერ დაძრა, მერე ზოგიერთებმა თქვეს, ამ მოულოდნელი და საშიხელი ამბის გარჩევას საჭიროო, მაგრამ პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა¹ (მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა იყო, უკვე სამხედრო ტრიბუნი გახლდათ) წამოიძახა:

— ახლა გარჩევის და თათბირის დრო აღარ არის, უნდა ვიმოქმედოთ და რაც შეიძლება გაბედულად. შეიარაღდით და მომყევით! გავსწიოთ იქ, სადაც მომწიფდა ეს გაუგონარი ჩანაფიქრი — გავსწიოთ ჩვენი მტრების მთავარი ბანაკისაკენ!

¹ ის იყო კართაგენის მომავალი მძლეველი, რომელზედაც ლაპარაკი იყო 43 გვ-ზე.

კორნელიუს სციპიონი რამოდენიმე კაცის თანხლებით მეტელუსის ბანაკისაკენ გაეშურა და შეთქმულთა კრებულს თავზე წაადგა. მან შეთქმულების თავზე მახვილი აღმართა და მრისხანე და მტკიცე ხმით ფიცი წარმოსთქვა:

— „ვფიცავ, არასოდეს დავტოვებ რომის სახელმწიფოს და არც ერთ რომის მოქალაქეს არ მივცემ ამის უფლებას. თუ ახლა მე ვტყუი, მაშინ ყოვლად კეთილმა იუპიტერმა დამლაზროს, გააცამტვეროს სახლი ჩემი, ოჯახი ჩემი და ქონება ჩემი“. მარკ ცეცილიუს და თქვენც, დანარჩენებო, დაუოცებელივ გაიმეორეთ ეს ფიცი. ვინც არ გაიმეორებს, აქვე სულს გავაფრთხობინებ!

შეთქმულები ისე დაფრთხნენ, თითქოს მათ წინაშე თვით ჰანიბალი იყო და არა სციპიონი. მათ შეჰფიცეს, ხოლო შემდეგ სამხედრო ტრიბუნებისადმი მორჩილება აღიარეს.

როცა სამხედრო ტრიბუნებმა შეიტყვეს, კონსული ვარონი ცოცხალიაო, მასთან შიკრიკი აფრინეს. ვარონმა, რომლის გარშემო ოთხი ათას ხუთასი ქვეითი და ცხენოსანი შეკრებილიყო, ტრიბუნებს უბრძანა, ადგილზე დარჩენილიყვნენ და თავისი ხალხიც კანუზიუმში მიიყვანა. ასე შეიქმნა ხელახლა კონსულთა ჯარის მსგავსი შეიარაღებული ლაშქარი, რომელსაც შეეძლო ღია ბრძოლაში თუ არა, ციხესიმაგრეებში მარცხ დაეცვა თავი.

სასოწარკვეთილება და მხნეობა რომისა

რომში ამბავი მოვიდა, რომელი მოქალაქეები და მათი მოკავშირეები სრულიად ამოწყდა, მთელი ჯარი უკანასკნელ ჯარისკაცამდე განადგურდაო. მე არც კი შევეცდები აღვწერო ის საშინელება და შეშფოთება, რომელმაც მოიცვა ქალაქი, რომი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვერც ერთი სხვა ხალხი ასეთ ზარსა და მწუხარებას ვერ გადაიტანდა. პრეტორებმა სენატი მოიწვიეს, რომ გადაეწყვიტათ, როგორ დაეცვათ დედაქალაქი. მაგრამ მოთათბირება შეუძლებელი იყო, რადგან არც ერთმა სენატორმა არ იცოდა, რა შეეთავაზებინა. თითოეულ მათგანს

ყურებში ქალების ყვირილისა და კვნესის ხმა ესმოდა. ისინი დასტიროდნენ ყველას, ვინც ომში წავიდა. მხოლოდ ფაბიუს მაქსიმუს შერჩა სულის მხნეობა და სალი აზროვნების უნარი. იგი რჩევას იძლეოდა, უწინარეს ყოვლისა, დაწვრილებით გაეგოთ, რა მოხდა; ამისათვის უნდა გაეგზავნათ მსუბუქი კავალერიის პატარა რაზმები აპუსისა და ლათინთა გზებით¹, რომ ლტოლვილებს შეხვედროდნენ. უდავოა, ვინმე მაინც გადაარჩებოდა და ახლა რომისაკენ მოიწევდა. შეუძლებელია ყველა ერთად დაღუპულიყო, ნამდვილად სისულელეა. ქალაქის წესრიგზე კი, — განაგრძობდა იგი, — საჭიროა თვით მამა-სენატორებმა იფიქრონ: ქალებს აუკრძალონ ქუჩებსა და მოედნებზე გამოჩენა, აიძულონ ისხდნენ შინ. ყველგან დაამყარონ სიწყნარე. ახალი ამბის მომტანი დაუყოვნებლივ პრეტორთან მიიყვანონ. დაბოლოს, ჭიშკრებთან დააყენონ მცველები, რომ ქალაქიდან არავინ გავიდეს, თორემ რომი დაცარიელდებაო.

ყველანი ერთსულოვნად დაეთანხმნენ ფაბიუსს და საქმეს შეუდგნენ. მალე კონსული ვარონის წერილიც მოვიდა. იგი იწერებოდა, ჰანიბალი კვლავინდებურად კანესთან თავის ბანაკში იმყოფებაო. იწერებოდა გადარჩენილი ჯარის ნაწილებზე და, რაც მთავარია, დაღუპულებზე. მთელი ქალაქი მწუხარებას მიეცა და დაითალხა. ასე რომ, ჩაიშალა და გადაიდო ცერერას პატივსაცემი ზეიმი. მგლოვიარეს, საერთოდ, ამ ზეიმში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა, რომში კი არ დარჩენილა არც ერთი ოჯახის დედა, დაღუპულს რომ არ გლოვობდა. სხვა ზეიმებიც ასე რომ არ ჩაშლილიყო, სენატმა განსაკუთრებული დადგენილებით გლოვის ვადა ოცდაათი დღით განსაზღვრა.

სენატორებმა გადაწყვიტეს, კანუზიუმში პრეტორი მარკუს კლავდიუს მარცელუსი გაეგზავნათ, რომელიც აქამდე ოსტიაში² მდგარ ფლოტს ხელმძღვანელობდა. კონსულს წერდნენ, როგორც კი ჯარს მარცელუსს ჩააბარებდა, დაუყოვნებლივ რომში დაბრუნებულიყო. გადაწყვეტილი იყო აგრეთვე ელჩები გაეგზავნათ დელფოს მისანთან, რომ ეკითხათ, რატომ არიან

¹ ორივე ეს გზა რომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა.

² ოსტია — პორტი მდინარე ტიბრის შესართავთან, რომის საზღვაო ნავსადგური.

განრისხებულნი ღმერთები, როგორ შემოერიგებინათ ისინი, ჯა მოელოდა შემდეგში რომაელებს. ამასობაში ქურუმების გადწყვეტილებით რომაელებმა განსაკუთრებული წეს-ჩვეულებანი შეასრულეს. მათ შორის ერთი ისეთი, სრულიად უცხო რომ იყო რომაელების ბუნებისათვის, — ადამიანების მსხვერპლ-შეწირვა: — მიწაში ცოცხლად ჩამარხეს ორი გალი — მამაკაცი და ქალი და ბერძენი მამაკაცი და ქალი.

გამოაცხადეს ჯარში გაწვევა. ლაშქარში ჩაწერეს ჩვიდმეტწლიანები, ზოგიერთი თექვსმეტწლიანიც კი. ახალწვეულთაგან ოთხი ლეგიონი შეადგინეს და მოკავშირეებისაგანაც მოითხოვეს მაშველი ჯარის შედგენა. მოამზადეს იარაღი და სხვა სამხედრო საქურველი, ტაძრებისა და პორტიკების კედლებიდან ჩამოხსნეს წინა ომების ნაალაფარი მტრის იარაღი. თავისუფალი მოქალაქეები რომ არ ეყოთ, რვა ათასი ახალგაზრდა მოხა შეაიარაღეს. მონებს წინასწარ ეკითხებოდნენ, სურდათ თუ არა ჯარისკაცად გახდომა. თანხმობის შემთხვევაში საზოგადო თანხებით ყიდულობდნენ პატრონებისაგან, თუმცა უფრო იაფი დაჯდებოდა და თანაც სასარგებლო იქნებოდა პანიბალისაგან რომ გამოესყიდათ ტყვეები.

ტყვეების ილკობა

პანიბალმა ტყვეები ორ ნაწილად გაჰყო. მოკავშირეები უწინდებურად უსასყიდლოდ გაუშვა, რომაელ მოქალაქეებს კი ისე ტკბილად და გულლიად ელაპარაკა, როგორც არასოდეს. მათ უთხრა, არავითარი სურვილი არა მაქვს, რომის ხალხი ამოვწყვიტო. მხოლოდ ხელისუფლებისა და დიდებისათვის ვიბრძვი. ჩემი წინაპრები რომაელებმა მამაცობაში დაჯაბნეს, ახლა მე მსურს, რომაელებმა ქედი მოიხარონ ჩემი მამაცობისა და წარმატების წინაშე. აი, რატომ გაძლევთ ტყვეების გამოსყიდვის საშუალებას. მხედარში ხუთას დენარიუსს ვითხოვ, ქვეით ჯარისკაცში — სამასს, მონა-მსახურში — ასს.

გახარებულმა ტყვეებმა თავიანთი რიგებიდან ათ-ათი კაცი

შეარჩიეს რომში — სენატში გასაგზავნად. ჰანიბალი ამასოდ დათანხმდა, ოღონდ მოციქულებს უბრძანა, დაეფიცათ, რომ უკან დაბრუნდებოდნენ. როცა ბანაკიდან გავიდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც უფრო პუნად უნდა დაბადებულყო, ვიდრე რომაელად, მოისაბაბა, ბანაკში რალაც დამავიწყდაო და სირბილით უკან გაბრუნდა. ამით მან ფიციც აღასრულა და მისგან თავიც დაიხსნა. იმ ღამით იგი ისევ დაეწია ამხანაგებს.

მოციქულები სენატს რომ წარუდგნენ, მათმა მეთაურმა ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

— ჩვენ კარგად ვიცით, არც ერთი სახელმწიფო ტყვეებს ისეთი ზიზლით არ ეკიდება, როგორც ჩვენი, რომის სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიმსახურებთ თანაგრძობასა და შეწყნარებას. ჩვენ გაბედულად ვიბრძოდით მთელი დღე, ხოლო შემდეგ, ბანაკში დაბრუნებულები დაქრილ-დაჩეხილები, დაღლილობისაგან გატანჯულები — მთელი ღამე მიწაყრილთან თავს ვიცავდით. მხოლოდ მაშინ, როცა მტერმა ალყა მკვიდრად შემოგვარტყა, როცა გადავწყვიტეთ, ორმოცდაათი ათასი მოკლული-რომაელი მოქალაქე საეკარისია და რომის ჯარის თუნდაც მცირე ნაწილი მაინც გადაარჩესო, მხოლოდ მაშინ ჩავაბარეთ მტერს ჩვენთვის უკვე უმაქნისი იარაღი.

ჩვენ არ გვშურს სხვისი იღბალი და ამხანაგების დამცირებით არ ვაპირებთ საკუთარი თავის აღზევებას. მაგრამ დე, სხვები, რომლებმაც იარაღი დაჰყარეს და მწყობრი მიატოვეს, ხოლო შემდეგ უკანმოუხედავად ვენუზიაში ანდა კანუზიუმში გაიქცნენ, — ნურც ისინი დაგვიწყებენ ქედმაღლურად ყურებას, ნურც ისინი იტრაბახებენ, რომ ჩვენზე უკეთ იცავდნენ და იცავენ სამშობლოს. გამოგვისყიდეთ და ჩვენ ყველაზე მამაცურად ვიბრძოლებთ, რადგან ყოველთვის გვეხსომება თქვენი წყალობა.

თუკი გადაწყვეტილი გაქვთ იყოთ ურყევნი და უზომოდ მკაცრნი, მაშინ იმაზე მაინც დაფიქრდით, როგორი მტრის ხელში გვტოვებთ — ბარბაროს პუნის ხელში! თქვენ რომ ჩვენი ბორკილები, ჭუჭყი, უბადრუკობა გენახათ, დარწმუნებულნი ვართ, იმაზე ნაკლებ როდი შეძრწუნდებოდით, ვიდრე საკუთარი თვალით გენახათ კანესთან დაღუპული თქვენი ლეგიონები.

წამით დავუშვათ დაუშვებელი: ვთქვათ, ჰანიბალმა ულა-

ლატა საკუთარ ბუნებას, შეგვიწყალა და მუქთად გაგვიშვა.—
ლმერთებს ვფიცავ, ჩვენ უარს ვიტყოდით ასეთ თავისუფლე-
ბაზე, თვით სიცოცხლეზე! რად გვინდა სიცოცხლე, თუკი
გამოსყიდვის ღირსიც არა ვართ! რად მინდა სამშობლოში დაბ-
რუნება, თუკი სამას ღენარისადაც არ ვუღირვარ!

როგორც კი მოციქულთა მეთაურმა თავის სიტყვა დაამ-
თავრა, მოედანზე ხალხმა გულსაკლავი ყვირილი ატეხა. კური-
ისაკენ ხელბგაწვდილნი ითხოვდნენ დაებრუნებინათ მათთვის
შვილები, ძმები, ახლობლები. სენატორებმა თავიდან მოიშორეს
გარეშე ხალხი და შემდეგ ყველამ სათითაოდ თავისი მოსაზ-
რება გამოთქვა. ზოგი ამბობდა, მთელი გასავალი სახელმწი-
ფომ თავად უნდა იკისროსო, ზოგი—სახელმწიფო ხაზინის და-
ცარიელება არ შეიძლება. მაგრამ არც იმათ უნდა შევეშალოთ
ხელი, ვინც თავისი ახლობლების გამოსყიდვას მოისურვებს,
პირიქით, კიდევ უნდა დავეხმაროთო. ბოლოს, ჯერი ტიცელს
მანლიუს ტორკვატუსზე მიდგა. იგი ძველი ყაიდის და, რო-
გორც ბევრი ფიქრობდა, ძალზე მტკიცე წეს-ჩვეულების კაცი
იყო. მან თქვა:

— მოციქულებს რომ მართო თავისი ამხანაგის სახელით
ეთხოვათ, და მეტი არაფერი, მოკლედ მოვპყრიდი: მე მოგიწო-
დებდით, მიგვებაძა ჩვენი წინაპრების ჩვეულებისათვის და
ერთხელ კიდევ სისასტიკის მაგალითი გვეჩვენებინა, რომელიც
ასე აუცილებელია ომის დროს.

მაგრამ ესენი ლამის ტრაბახობენ, რომ ტყვედ ჩაბარდნენ
და ამიტომაც, ბატონო სენატორებო, ჩემი ვალია, მათზე სი-
მართლით ვილაპარაკო. როცა საჭირო იყო მწყობრში დგომა და
ბრძოლა, ისინი ბანაკში გაიქცნენ, მაგრამ ვერც მიწაყრილის
მიღმა გამოიჩინეს იმაზე მეტი მამაცობა, ვიდრე მწყობრში ყო-
ფნის დროს ჰქონდათ. განა მტერს დიდხანს ჰყავდათ ისინი
აღყაში, განა მთელი სურსათი გაუთავდათ, მახვილი დაუ-
ჩლუნგდათ, ხელში ძალა გამოეღლიათ? გგონიათ, ასე იყო? არა!
მტერი ბანაკს გარიყრაჲზე მიადგა და ერთ საათში ყველაფერი
დაამთავრა.

როგორ მინდოდა ახლა გვერდში მდგომოდა თქვენი სულ-
მდაბლობისა და სულმოკლეობის საუკეთესო მოწმე პუბლიუს

სემპრონიუს ტუდიტანი! იგი მოგიწოდებდათ იარაღი აგელოთ და მიჰყოლოდით. თქვენ არ გაუგონეთ, სამაგიეროდ, ცოტა ხნის შემდეგ გაუგონეთ ჰანიბალს, რომელმაც გიბრძანათ ჩაგებარებინათ ბანაკი და დაგეყარათ იარაღი. და განა დიდებისაკენ, მამაცობისაკენ მოგიწოდებდათ თქვენ სემპრონიუსი, მხოლოდ გადარჩენისაკენ. თქვენ ბევრი იყავით, მტერი — ცოტა და შინც გამბედაობა არ გეყოთ. ნუთუ ამის შემდეგ გაბედავთ და ახსენებთ სიტყვას „მამაცობა“?

სამშობლოზე დარდი მანამ უნდა, სანამ სამშობლო გაქვს, სანამ მისი მოქალაქე გქვია, სანამ თავისუფალი ხარ. ახლა გვიანაა: თქვენ ამიერიდან აღარ ხართ რომის მოქალაქეები, თქვენ კართაგენელთა მონები ხართ! თქვენ არ სჭირდებით სამშობლოს! თქვენი გამოსყიდვა ისეთივე უაზრობა და უსამართლობაა, როგორიც ჰანიბალისათვის იმ თქვენი ამხანაგების გადაცემა, რომლებმაც ბანაკს თავი დააღწიეს და საკუთარი თავი თვითონვე დაუბრუნეს სამშობლოს!

სენატორთა უმეტესობა ტყვეების ნათესავეები იყვნენ, მაგრამ მანლიუსთან შეკამათებას გერაჯინ ბედავდა. გამოაცხადეს სენატის გადაწყვეტილება -- ტყვეებს გამოსყიდვაზე უარი ეთქვათ და აქვითინებული, ცრემლით გალუმპული და ხევეწხა-მულარით დაოსებული მოციქულები კარიბჭიდან გამოაბრძანეს. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც გზიდან პუნთა ბანაკში მიბრუნდა, შინ წასვლა დააპირა, მაგრამ მზაკვრობა ძვირად დაუჯდა: მისი საქციელი სენატორებმა გაიგეს და ერთხმად დაადგინეს: ეს ახალგაზრდა დაეპატიმრებინათ და ბადრაგით ჰანიბალისათვის გაეგზავნათ.

კანესთან დამარცხება რომისათვის ყველა უწინდელ დამარცხებაზე საშინელი იყო არა მარტო დანაკარგის სიდიდით, არამედ, რაც მთავარია, იმიტაც, რომ ამ დამარცხების შემდეგ შეირყა მოკავშირეთა ერთგულება. წინათ მათ სჯეროდათ რომის სახელმწიფოს შეურყევლობა, ახლა ეს რწმენა გაუქრათ. პუნის მხარეზე გადავიდნენ ჩრდილოეთი, მთელი სამხრეთი და შუა იტალიის მრავალი ტომი და ხალხი. მაგრამ რომში არავის ფიქრადაც კი არ მოსვლია მტრისთვის ზავი ეთხოვა. ამ ქნელბედობის ქამს ისე დიდი იყო მათი სულიერი სიმტკიცე,

რომში დაბრუნებულ კონსულ ვარონს, რომელიც ერთადერთი თუ არა, მთავარი დამნაშავე მაინც იყო ამ დამარცხებისა, გამოეგება ყველა წოდებისა და მდგომარეობის მოქალაქე. მადლობა გადაუხადეს, რაკი სასოწარკვეთილებას არ მიეცა და სახელმწიფოს გადარჩენის იმედი არ დაკარგა. ვარონი თუ კართაგენელი მხედართმთავარი იქნებოდა, საშინელი და სამარცხვინო სასჯელისაგან ვერაფერი იხსნიდა.

კაპუანს ღალატი

ბოლოს პანიბალმა კანესთან გაშლილი ბანაკი მიატოვა და სამნიუმის გავლით კამპანიაში გადავიდა, რომ ნეაპოლი დაეპყრო. მას აუცილებლად სჭირდებოდა საზღვაო პორტი. მაგრამ როცა კარგად მომაგრებული ქალაქის კედლებს შეხედა, შეშინდა, ამ განზრახვაზე ხელი აიღო და კაპუასაკენ შებრუნდა, სადაც უკვე იდგა კართაგენის გუშაგთა რაზმი.

.. კაპუაში კარგა ხანია უბრალო ხალხი დიდი გავლენით სარგებლობდა. ხალხის მეთაური პაკუვიუს კალავიუსმა (უნდა ითქვას, რომ თვითონ დიდებული იყო) შეძლო სენატი ხალხისათვის დაემორჩილებინა. აი, როგორ მოახერხა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება: ტრაზიმენის ბრძოლის დროს პაკუვიუსს ქალაქში უმალღესი თანამდებობა ეკავა. მას ეშინოდა, ხალხმა რომაელთა დამარცხებით არ ისარგებლოს, ამბოხება არ მოაწყოს და სენატორები არ ამოხოცოსო. უსენატოდ დარჩენილი სახელმწიფო კი სახელმწიფოდ აღარც ჩაითვლებოდა. მან სენატორები იხმო და გამოუცხადა:

— უბრალო ხალხმა გადაწყვიტა, ამოგხოცონ, რათა ქალაქი პანიბალსა და პუნებს დაუბრკოლებლად გადასცენ. მე მზადა ვარ გიხსნათ, თუკი დამიჯერებთ.

ყველამ შესძახა, გიჯერებთო. მაშინ პაკუვიუსმა თქვა:

— მე თქვენ ჭერჭერობით აქ, კურიაში ჩაგვეტავთ, ვითომც მეც ვიზიარებდე ხალხის ჩანაფიქრს. მერე კი, ვფიცავ, საშუალებას გამოვნახავ და დაგიხსნით.

მან სენატორებს კართან გუშაგები დაუყენა და უბრძანა,

არც არავინ შეუშვათ, არც გამოუშვათო, მერე ხალხი შეკრიბა და დიდი გამარჯვება მიულოცა.

— უბრალო ხალხისათვის დიდი ხნის სიძულველი სენატი ჩვენს ხელთაა! თითოეული მათგანი მიიღებს სასჯელს, რასაც იმსახურებს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, საერთო სარგებელსაც. უსენატოდ შეუძლებელია თავისუფალი სახელმწიფოს არსებობა, ამიტომ, როგორც კი ერთ სენატორს დავსჯით, აქვე უნდა ავირჩიოთ ღირსეული და საქმიანი კაცი.

აიღეს გასანთლული ფირფიტები, ზედ იმათი სახელები დააწერეს, ვინც კურიაში იყო დამწყვდეული და ფირფიტები ურნაში ჩააწყვეს. პაკუვიუსმა დაიწყო წილის ყრა. გამოიყვანეს ის, ვისი სახელიც პირველად ამოიღეს. ყველამ იყვირა, იგი ღრამზადა და სიკვდილის ღირსიაო.

— კარგი, თქვენი განაჩენი ჩემთვის გასაგებია. ახლა დამისახელეთ სამართლიანი და პატიოსანი კაცი, რომელიც ამ ადგილს დაიკავებს, — თქვა პაკუვიუსმა.

დაბნეულობისაგან ყველანი გაჩერდნენ. როცა შეკრებილთაგან ერთ-ერთმა მათგანმა გაბედა და ვილაციის სახელი წამოიძახა, ხალხი უწინდელზე მეტად აყვირდა და ახმაურდა. ზოგი სულ არ იცნობდა ამ ადამიანს, ზოგი დიდი სიძულველით იხსენებდა. ასე განმეორდა, როცა პაკუვიუსმა ამოიღო მეორე ფირფიტა, მესამე, მეოთხე... წინანდელ სენატორებს შორის არ აღმოჩნდა არც ერთი, რომ ხალხი მისი კმაყოფილი ყოფილიყო, მაგრამ სანაცვლოდაც ვერავინ დაასახელეს. კრება დაიშალა ერთი გადაწყვეტილებით: შეჩვეული ქირი სჯობია შეუჩვეველსაო და სენატი პატიმრობისაგან გაათავისუფლა.

ამ დღიდან მოყოლებული, დიდებულები ყოველნაირად ელაქუტებოდნენ ხალხს და ხალხმაც დაკარგა ხელისუფლები-სადმი ყოველგვარი პატივისცემა. ერთადერთი კაცი, ვისაც ქალაქში პატივს სცემდნენ და ემორჩილებოდნენ, პაკუვიუს კალავიუსი იყო.

კანესთან ბრძოლის დამთავრებისთანავე კაპუელები ალაპარაკდნენ, დროა რომთან კავშირი გაწყვიტოთო. მაგრამ რომის ქარში ძალზე ბევრი კამპანიელი იყო, რომელთაგან ყველაზე მეტად საუკეთესო ოჯახებიდან გამოსული სამასი ჭაბუკის ბედი აფიქრებდათ: რომაელებმა ისინი საგუშაგო რაზმებში გაამ-

წესეს და სიცილიის სხვადასხვა ქალაქებს იცავდნენ. სინამდვილეში რომაელები მათ მძევლებად იტოვებდნენ. ამ სამასი კაბუჯის მშობლებმა დაარწმუნეს თანამოქალაქეები, რომ რომის კონსულთან ელჩები გაეგზავნათ.

ელჩებმა კონსულ ვარონს ვენუზიუმში მიაგნეს. თითქმის უიარაღო მისი ხალხის დანახვა, რომელიც განადგურების შემდეგ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, ქემშარიტ მოკავშირეებში მხურვალე თანაგრძნობას აღძრავდა, კამპანიელებში კი მხოლოდ ზიზღი გამოიწვია. ამავე დროს კონსულმა მათ გული გადაუშალა, რაც სრულიად უადგილო იყო, ხოლო ელჩებმა სენატისა და კამპანიელი ხალხის სახელით რომაელებს ყოველგვარი დახმარება რომ აღუთქვეს, შესძახა:

— ჩვენ ყველაფერი გვესაჭიროება, რადგან არაფერი გაგვაჩნია — არც ქვეითი ჯარი, არც ცხენოსანი, არც დროშები, არც სურსათი, არც ფული! დახმარება კი არაა, მთელი ომის სიმძიმე თავად უნდა იტვირთოთ. გაიგეთ, კამპანიელებო, რომ ჩვენი დამარცხება თქვენი დამარცხებაცაა და რომ ჩვენ ერთად ვიცავთ ჩვენს საერთო სამშობლოს უცხოელი ბარბაროსებისაგან. ისედაც ველური და მძვინვარე მისი მეომრები უფრო მეტად გაველურდნენ თავისი მხედართმთავრის ქვეშევრდომობის დროს, რომელიც გვამებით ხიდებსა და ჯებირებს აგებს და — საშინელებაა ამის თქმა — ჯარისკაცებს აღამიანის ხორცით კვებავს! რა მშვენიერი მიზანია, კამპანიელებო, თქვენ წინაშე: თქვენი ძალებით და თქვენი ერთგულებით ისევ ფეხზე დააყენებთ რომის სახელმწიფოს!

ელჩებმა უხმოდ გადახედეს ერთმანეთს და შინისაკენ გამოსწიეს. როცა ვენუზიუმში თვალს მიეთარა, ერთ-ერთმა მათგანმა, ვიბიუს ვირიუსმა თქვა:

— დრო დაგვიდგა! ჰანიბალთან ხელშეკრულება უნდა დაედოთ. იგი ომს რომ დაამთავრებს და აფრიკაში დაბრუნდება, იტალიაზე კამპანიელები იბატონებენ.

კაპუაში ამ აზრს ალტაცებით შეხვდნენ — და იგივე ელჩები ჰანიბალთან გაგზავნეს. დაიდო ხელშეკრულება შემდეგი პირობით: კაპუაში მართვა-გამგეობა საკუთარი კანონების საფუძველზე ექნებოდათ, კართაგენელთა ვერც სამხედრო, ვერც სამოქალაქო ხელისუფლებანი ვერ შეეხებოდნენ კამპანიელი

მოქალაქეების სიცოცხლეს, თავისუფლებას და ქონებას. ჰანიბალი კამპანიელებს გადასცემდა სამას რომაელ ტყვეს იმ ჭაბუკებში გასაცვლელად, რომლებიც რომაელებს სიცილიაში ემსახურებოდნენ. თავის მხრივ, კაპუელები თანახმა იყვნენ მიეღოთ და ქალაქში განელაგებინათ კართაგენის საგუშაგო რაზმი. გარდა ყველა ამ პირობისა, კაპუას უბრალო ხალხმა მოულოდნელად შეიპყრო ყველა რომაელი მოქალაქე და აბანოში ჩაკეტა, სადაც მათ სიცხისაგან სული ამოხდათ.

მხოლოდ ერთი კაცი, დეციუს მაგიუსი, ხმამაღლა გმობდა ძველ მოკავშირეებთან ლალატსა და თანამოქალაქეებს ურჩევდა დაფიქრებულიყვნენ, ვიდრე გვიან არ იყო. მისმა გაბედულმა სიტყვამ ჰანიბალის ყურამდეც მიაღწია და პუნმა დეციუსი თავის ბანაკში მიიწვია. დეციუსმა კატეგორიული უარი შეუთვალა იმ საბაბით, რომ ჰანიბალს კამპანიელ მოქალაქეებზე არავითარი უფლება არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდესო. პუნმა ბრძანება გასცა, ურჩი კაპუელი ბორკილგაყრილი მოეყვანათ, მაგრამ შემდეგ ქალაქში მღელვარებისა შეეშინდა, ბრძანება შეცვალა და მოქალაქეებს შეუთვალა ხვალ კაპუაში თავად გეახლებითო.

აი, რა საქმეზე ჩავიდა კაპუაში ჰანიბალი.

კაპუელი დეციუს მაგიუსის გამგებდროება

განკარგულება გასცეს, კართაგენელ მთავარსარდლის შესახვედრად ყველანი ცოლშვილიანად გამოსულიყვნენ. განკარგულებას ხალხი სიამოვნებით დაემორჩილა, გარდა დეციუს მაგიუსისა. იგი არც შესახვედრად გამოსულა და არც შინ დარჩენილა, რომ არავის ეფიქრა, ეშინია ანდა, დანაშაულს ინანიებსო. ამიტომ იგი ფორუმზე შვილისა და რამოდენიმე კლიენტის თანხლებით მშვიდად დასეირნობდა.

შეორე დღეს სენატი სრული შემადგენლობით შეიკრიბა. სხდომაზე ჰანიბალმა მეტისმეტად დამტკბარი, შემპარავი სიტყვა წარმოთქვა. იგი კაპუელებს მადლობას უხდოდა, რომის მეგობრობას კართაგენელებთან მეგობრობა ამჯობინეთო და

არწმუნებდა, კაპუა მთელი იტალიის დედაქალაქი გახდებოდა, მხოლოდ დეციუს მაგიუსმა არ უნდა უწოდოს და არც უნდა ჩათვალოს თავისი თავი კაპუელად. ამიტომ ჰანიბალთან მეგობრობის უფლება არა აქვს და ეს ხელშეკრულებაც მასზე არა ვრცელდება. თუ კაპუას სენატი მეთანხმება, მაშინ აქვე მიიღოს შესაბამისი დადგენილებაო. სენატორებმაც მორჩილად — თუშცა შიშით — კენჭი ყარეს, დეციუსს მოქალაქეობრივი უფლება ჩამოართვეს და პატივყარილი ჰანიბალს გადასცეს.

ჰუნი კურიიდან გამოვიდა და ბრძანა, მაგიუსი მოეყვანათ. მაგიუსმა კვლავინდებურად უშიშრად უარი განაცხადა დამორჩილებაზე. მაშინ მას ბორკალები დაადეს და კართაგენელთა ბანაკში ძალით წაათრიეს. იგი უყვიროდა გარშემო თავმოყრილ ხალხს:

— კამპანიელებო, შეხედეთ თქვენს თავისუფლებას, რომელსაც ასე მონდომებით ეძიებდით! დღისით-მზისით, ზედ ფორუმზე, თქვენს თვალწინ, გვარიშვილობით არც თუ უკანასკნელ კაპუელს როგორ თოკავენ და დასასჯელად მიათრევენ! მაშ სადღესასწაულოდ მორთეთ ქალაქი, შეეგებეთ ჰანიბალს, იზვიამეთ მისი მოსვლის დღე და გახდით მოწმე თქვენს თანამოქალაქეზე მისი ტრიუმფისა!

ხალხი აღელდა! შეიარაღებულმა მცველებმა დეციუსს თავზე ლაბადა შემოახვიეს და სასწრაფოდ ქალაქის კიშკრიდან გაათრიეს. ბანაკიდან იგი მაშინვე ზღვაზე გაგზავნეს. იქ გემზე დასვეს და კართაგენში წაიყვანეს. ეს იმიტომ გააკეთეს, ვაითუ კაპუელებმა აზრი შეიცვალონ და ჰანიბალს მემბოხის დაბრუნება მოსთხოვონო.

ქარიშხალმა გემი ეგვიპტის ქალაქ კირენში გარიყა. დეციუსი იქაურ უფროსებს შეევედრა, ალექსანდრიაში, მეფესთან მიმიყვანეთო. როცა მისი ამბავი შეიტყო, მეფე პტოლემეაიოსმა ბრძანა, მისთვის ბორკალები აეხსნათ და ნება დართო დაბრუნებულყო იტალიაში — კაპუაში ან რომში, სადაც თვითონ მოისურვებდა. მაგიუსმა აუხსნა, კაპუაში განსაცდელი მელოდება, რომში კი მტერთან გადასული მოლალატე უფრო ვიქნები, ვიდრე სტუმარი. კამპანიელები და რომაელები ხომ ერთმანეთს ებრძვიანო, და მეფის თანხმობით იგი ეგვიპტეში დარჩა.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ დეციუს მაგიუსის თანამოაზ-

რე იყო ღვიძლი შვილი პაკუვიუსისა, სწორედ იმ კაცისა, რომელიც კაპუაში კართაგენის პარტიას ედგა სათავეში. ამ ჰაბუჟმა კინალამ ჰანიბალის სიცოცხლეზე ხელი შემართა, მაგრამ შიშმა და სასოწარკვეთილებამ მამისამ, რომელსაც თავისი გეგმები გაუზიარა, უკანასკნელ წამში შეაჩერა.

კამათი კართაგენის სენატში

ამასობაში კართაგენში ჩავიდა ჰანიბალის ძმა მაგონი, რომ სენატისათვის იტალიაში გამარჯვების ამბავი შეეტყობინებინა. მან საჭიროდ მიიჩნია კართაგენელების ისედაც საოცარი წარმატებები კიდევ უფრო გაეზვიადებინა და სენატს მოახსენა, ძტერმა მოკლულის სახით ორასი ათასი კაცი დაკარგა, ხოლო დაჭრილის სახით—ორმოცდაათი ათასი კაციო. თავის სიტყვების დასადასტურებლად, მან კურჩის შესასვლელში ოქროს ბეჭდების მთელი გორა აღმართა და თქვა:

— ამ ბეჭდებს რომაელთაგან მხოლოდ მხედრები ატარებენ, თანაც ყველა არა, მხედართა შორის ყველაზე წარჩინებულნი.

მაგრამ ჰანიბალს მაგონი ამისათვის არ გაუგზავნია. მაგონი ჩავიდა მაშველი ჯარისა და ფულის სათხოვნელად, რადგან, როგორც თვითონ განაცხადა, რაც უფრო ახლოა გადამწყვეტი და დამავიწვევინებელი გამარჯვება, მით უფრო მეტი ძალა საჭირო მის მისაღწევად.

ბარკიდები ზეიმობდნენ და ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ. ერთ-ერთი მათგანი ჰანონს მიუბრუნდა და დაცინვით ჰკითხა:

— აბა, ჰანონ, შენ უწინდებურად ისევ არ გვირჩევ რომთან ომის დაწყებას? უწინდებურად მოითხოვ მტრისთვის ჰანიბალის გადაცემას?

— დიახაც, — უპასუხა ჰანონმა, — მე მანამდე ვიდარდებ წინა ზავზე, სანამ არ დაიდება ახალი, მანამდე არ შევწყვეტ თქვენი ძლევამოსილი მხედართმთავრის მხილებას, სანამ აშკარა არ გახდება, რომ ახალი ზავი ძველზე უფრო სასარ-

გებლო და სამართლიანია. მაგრამ ზავზე, რამდენადაც მესმის, აქ კონიტი არ დაძრულა. აბა, დაფიქრდით, რას გითვლით ჰანიბალი.

„მე დავამარცხე მტრის ჯარი — კიდევ გამომიგზავნეთ ჯარისკაცები!“ განა ამასვე არ მოითხოვდა, რომ დამარცხებულიყო?

„მე ხელთ ვიგდე მტრის ორი ბანაკი—მომეცით პური და ფული!“ რა იქნა ის ალაფი, მტრის ორ ბანაკში ხელთ რომ იგდო?.. მითხარი, მაგონ, კანესთან გამარჯვების შემდეგ ერთი ლათინური ქალაქი მაინც თუ გადმოვიდა ჩვენს მხარეზე, ერთმა რომაელმა მოქალაქემ მაინც თუ უღალატა თავის ქვეყანას და გამოცხადდა ჰანიბალთან?

— არა, — მიუგო მაგონმა.

— მაშასადამე, მტრები ისევ ბევრი გყავს. ახლა ვიკითხოთ, რა განწყობილება აქვთ? რისი იმედი?

— არ ვიცი.

— კი მაგრამ, ამის გაგებას რა უნდა! მიუგზავნეს ჰანიბალს ელჩები ზავის სათხოვნელად? ანდა თუნდაც რომიდან რაიმე ხმამ ჩამოაღწია, რომ ომმა მოქანცა ისინი?

— არა.

— მაშასადამე, გამარჯვებამდე ისე შორსა ვართ, როგორც იმ დღეს, როცა ჰანიბალმა ალპები გადალახა!.. აი, რა აზრისა ვარ მე: ქეშმარიტ გამარჯვებულს დახმარება არ სჭირდება და თუ ჩვენ გვატყუებენ და ცრუ დაპირებებით გვაიმედებენ — მით უფრო უგუნურობაა მატყუარების დახმარება.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ჰანონს ძალიან ცოტამ დაუჭირა მხარი. გადაწყდა იტალიაში აფრიკიდან ოთხი ათასი ნუმიდიელი და ორმოცი სპილო გაეგზავნათ, ხოლო ესპანეთიდან ათი ათასი ქვეითი და ორი ათასი ცხენოსანი ჯარისკაცი.

ნოლა — პირველი წარმატება კანეს შემდეგ

კაპუადან ჰანიბალი კამპანიის მეორე ქალაქ ნოლასკენ დაიძრა. იგი იმედოვნებდა, რომ ქალაქს უბრძოლველად აიღებდა. მართლაც, უბრალო ხალხს, რომელსაც ალყისაგან გამოწ-

გვიწოდებდა უბედურებისა ეწინააღმდეგებდა, სურდა პუნებთან კავშირი შეეკრა, მაგრამ სენატორებმა პრეტორ კლავდიუს მარცელუსთან საიდუმლოდ მაცნეები გაგზავნეს. მარცელუსმა კონსული ვარონი შეცვალა სარდლის თანამდებობაზე. იგი მაშინვე გამოეხმარა სენატორებს. პანიბალმა უკან დაიხია, მაგრამ მარცელუსის მდგომარეობა არც ისე საიმედო იყო ხალხის მტრობის გამო. რომის არაკეთილმოსურნეთაგან პირველი იყო ლუციუს ბანტიუსი, სრულიად ახალგაზრდა და ძალზე მამაცი კაცი. იგი კანესთან ბრძოლაში მონაწილეობდა. კართაგენელებმა ბანტიუსი გვამების ქვეშ იპოვეს ცოცხალ-მკვდარი, განკურნეს, გულუხვად დაასახუქრეს და გაუშვეს. ახლა იგი პანიბალის საიმედო მომხრე და ამბოხების მთავარი წამომწყები იყო. მარცელუსი ხედავდა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, — ან უნდა სიკვდილით დაესაჯა იგი, ანდა თავის მხარეზე გადმოებირებინა. მან ბანტიუსი თავისთან მიიწვია და უთხრა:

— საკმაოდ ბევრი მტერი გყოლია, რადგან არც ერთ შენს თანამემამულეს არ უთქვამს ჩემთვის, რომ ჩინებული მებრძოლი ხარ. მაგრამ თუკი მამაცი მეომარი რომის ჯარში მსახურობს, მისი გმირობა გაუგებარი არ დარჩება. შენს თანამებრძოლებს ბევრჯერ უთქვამთ, რამდენი განსაცდელი გამოიარე, რომ რომაელი ხალხის ღირსება დაგეცვა, კანესთან შენი გმირობის ამბავსაც ჰყვებოდნენ. დიდია შენი დამსახურება, ამიტომაც შევეცდები, ყველაფერი სრულად დაგიფასდეს. ჩემთან ხშირად იარე და ამაში დარწმუნდები.

დასაწყისისათვის პრეტორმა ბანტიუსს მშვენიერი ცხენი და ხუთასი დენარიუსი აჩუქა, ლიქტორებს კი ებრძანათ, მარცელუსთან იგი ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შეეშვათ.

ასეთი თავაზიანობით მარცელუსმა ისე აუჩუყა გული ლუციუს ბანტიუსს, რომ იმის შემდეგ რომაელებს მასზე საიმედო და მამაცი მოკავშირე არ ჰყოლიათ.

პანიბალი დაბრუნდა ნოლის გალავანთან და მარცელუსმაც შიგ ქალაქში გადაინაცვლა, რომ უფრო ფხიზლად ედევნებინა თვალყური ნოლის მცხოვრებლებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ დალატისათვის. ყოველდღიურად რომაელები მინდორში გადიოდნენ და საბრძოლო წყობით დგებოდნენ. კართაგენელებიც გამოდიოდნენ ბანაკიდან და საომრად ეწყობოდნენ.

დიდ ბრძოლას ორივე სარდალი თავს არიდებდა, თუკცა წვრილ-წვრილ შეტაკებების წინააღმდეგი როდი იყვნენ. ასეთ შეტაკებებში დღე დღეს მისდევდა. ამ დროს სენატორებმა მარცელუსს შეატყობინეს, უბრალო ხალხმა ჰანიბალთან პირი შეკრაო: პირველსავე მოხერხებულ დროს ნოლაელები ჭიშკარს ჩაკეტავენ და რომაელი მეომრები გალავნის გარეთ დარჩებიან, ხოლო მთელი მათი ადალი — გალავნის შიგნი. შემდეგ, მოდალატეები ალას გაძარცვავენ და ქალაქს ჰანიბალს ჩააბარებენო.

მარცელუსმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ეცადა ბედი. მან თავისი ძალები სამად გაყო და სამ კარიბჭესთან დააყენა, რომლებიც მტრის მხარეს იყვნენ მიქცეულნი. ნოლაელებს გალავანთან მიახლოება სასტიკად აუკრძალა. საგანგებო გუშაგები თვალყურს ადევნებდნენ, რომ ბრძანება არ დარღვეულიყო.

ჰანიბალმა, ჩვეულებისამებრ, გამოიყვანა და საბრძოლველად მოაწყო თავისი ჯარი, მაგრამ რომაელები არ გამოჩნდნენ. გალავანსა და კოშკებზე მზვერავეებიც კი არ ჰაჰანებდნენ. პუნმა კარგა ხანი იცადა, ბოლოს გადაწყვიტა, ალბათ, ნოლაში შეთქმულება აღმოაჩინეს, რომაელები შიშისგან ზარდაცემულნი არიან და თუკი ეს ასეა, მაშინ შეტევისათვის ამაზე უკეთეს დროს ვეღარ ინატრებო. კართაგენელებმა გამოაგორეს სააღყო მანქანები, გამოიტანეს კიბეები და სხვა აუცილებელი აღჭურვილობა და წინ დაიძრნენ. იმავე წამს გაიღო შუა კარი და თავდაპირველად ქვეითი ჯარი, შემდეგ კი ცხენოსნები გამაყრუებელი ყიყინით მტერს ეკვეთნენ. კართაგენელთა საბრძოლო ცენტრი უკვე გარღვეული იყო, როცა გაიღო გვერდითი ჭიშკრები და რომაელებმა მტრის ფლანგებს დაარტყეს. რა ზარალი ნახა ორივე მხარემ. ზუსტად არ ვიცით. ზოგიერთები ამტკიცებენ, პუნებმა დაახლოებით სამი ათასი კაცი დაკარგეს, რომაელებმა კი მხოლოდ ხუთასი. მაგრამ ეს იყო უდიდესი გამარჯვება, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი მთელს ამ ომში — პირველი გამარჯვება კანესთან დამარცხების შემდეგ.

კაზილინუმი ალყაში

ნოლადან უკანდახეულმა ჰანიბალმა ქალაქ კაზილინუმს შემოარტყა ალყა. ეს ქალაქი კაპუას მახლობლად მდებარეობდა, ამიტომ იქიდან რომის გარნიზონის გამორეკვა ჰანიბალს მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა. ამ გარნიზონში შედიოდნენ ხუთასზე მეტი პრენესტელი¹ მებრძოლი და მოკავშირეთა პერუზიელი² კოჰორტა — ოთხას სამოცი მეომარი.

ერთნიც და მეორენიც კაზილინუმში შემთხვევით მოხვდნენ: ისინი კანესთან გაშლილ ბანაკში უნდა გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ დააგვიანეს და დამარცხების ამბავმა გზაში მოუსწრო. მათ შეეშინდათ კამპანიელების ღალატისა, ერთ ღამეს ამოხოცეს ქალაქელები და ყველანი მდინარის ერთ მხარეს მოგროვდნენ. ეს მდინარე კაზილინუმს ორ ნაწილად ჰყოფს. ასეთი პატარა ციხესიმაგრის დასაცავად სრულიად საკმარისი იყვნენ, შეიძლება ითქვას, საკმარისზე მეტნიც, თუკი მხედველობაში მივიღებთ პურის მარაგის სიმცირეს.

როცა ჰანიბალის მოწინავე რაზმი კაზილინუმს მიუახლოვდა, ქალაქში ისეთი სიჩუმე სუფევდა, მეომრებს ეგონათ, ქალაქი ცარიელიაო. რაზმის მეთაურმა იფიქრა, შეშინებული რომაელები გაქცეულანო და ბრძანა, კიშკრის ურდულები გაეტეხათ, კაზილინუმის დამცველებსაც ეს უნდოდათ. ისინი გარეთ გამოცვიდნენ და რაზმის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურეს, თვითონ კი ბრძოლიდან თითქმის უვნებელი გამოვიდნენ.

ჰანიბალმა ახლა უფრო მეტი საუკეთესო ძალები გაგზავნა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მაშინ მან მთელი ჯარი დაძრა და სამხედრო ხელოვნების წესის დაცვით ქალაქს ალყა შემოარტყა. მაგრამ გალავნიდან და კოშკებიდან ისე ზუსტად ისროდნენ, რომ ჰანიბალი რჩეულ მეომრებს დიდი რაოდენობით კარგავდა. და ბოლოს, დანიშნეს შეტევის დღე. იმას, ვინც გალავანზე პირველი ავიდოდა, ოქროს გვირგვინს შეჰპირდნენ:

¹ პრენესტე — ძველი ლათინური ქალაქი დაახლოებით 35 კილომეტრზე რომის აღმოსავლეთით.

² პერუზია — ქალაქი ეტრურიაში, რომის ჩრდილოეთით.

მხედართმთავარმა სიტყვა წარმოთქვა, მან სიზარმაცისა და სილაჩრის გამო უსაყვედურა საგუნტის დამპყრობლებს, რომლებიც ვაკე ადგილზე აღმართულმა უბადრუკმა ციციქნა სიმაგრემ შეაჩერა. ყველაფერი ამო იყო! დამცველთა მამაცობა უფრო ძლიერი გამოდგა თავდამსხმელთა პატივმოყვარეობაზეც და სიხარბეზეც. იერიში უკუგდებული იქნა. ჰანიბალმა ალყის გასაგრძელებლად კაზილინუმთან დატოვა ბანაკი და ბანაკის დამცველები, თვითონ კი გამოსაზამთრებლად კაპუაში გასწია.

კართაგენის ჯარი გამოწრთობილი იყო ყოველგვარ სიძნელესა და გაჭირვებაში, სამაგიეროდ, კეთილმოწყობილ ცხოვრებას სრულებით არ იყო ჩვეული. ახლა ისინი პირველად ატარებდნენ ზამთარს ჰერქვეშ სითბოში, მარაგით საესენი: ის ადამიანები, რომლებსაც არაფრად მიაჩნდათ ნებისმიერი გაჭირვება, ფუფუნებამ და განცხრომამ — უთავოლო ძილმა, ლოთობამ, ღორმუცელობამ, აბანომ, უსაქმურობამ, დაღუპა. ჰანიბალის ჯარისკაცები ხარბად დაეწაფნენ ამ ცდუნებას, მოკლე დროში გაზულუქდნენ, დაუძღვრდნენ სულითა და სორცით, რაც მთავარია, დაკარგეს ბრძოლის ყოველგვარი სურვილი და მეთაურთა წინაშე შიში.

კაპუაში გამოსაზამთრებლად დაბინავება, სამხედრო საქმის მცოდნეთა აზრით, მხედართმთავრის საბედისწერო შეცდომა იყო, უფრო მიუტევებელი, ვიდრე კანესთან ბრძოლის შემდეგ ზოზინი. კანესთან დაყოვნებით მან გამარჯვების ვადა უკან გადასწია, კაპუაში გამოზამთრებით კი ომის მოგების ყოველგვარი შესაძლებლობა დაკარგა. მემორები თითქოს შეცვალესო: მომდევნო ზაფხულში ბევრი ჯარისკაცი გადებერთირდა. აღარ სურდათ კარვებში ღამის თევა, დამქანცველი ლაშქრობები, ჯარისკაცის ღარიბული ულუფა, საყვარელ მეგობრებთან და კაპუელ ქალებთან დაშორება, თუმცა ეს ამბავი მოგვიანებით მოხდა.

ახლა კი, ოდნავ დათბა თუ არა, ჰანიბალი კაზილინუმში დაბრუნდა. ალყამ რომის გარნიზონი უკიდურეს გაჭირვებაში ჩააყენა. ზოგი, რომლებსაც აღარ შეეძლოთ შიმშილის ატანა, გალავნიდან ძირს ვარდებოდა, ზოგი კი მტრის ისრებსა და ხელშუბებს მკერდს უშვერდა. ამ დროს მდინარის აღმა რო-

მეღთა ბანაკი იდგა, რომელსაც ახალარჩეული დიქტატორი სარდლობდა. დიქტატორი რომში წავიდა, სანაცვლოდ ცხენოსანთა ჯარის უფროსი დატოვა და, როგორც ერთ დროს ფაბიუსმა მინუციუსს, მკაცრად დაუბარა — არ გაკარებოდა მტერს.

ცხენოსანთა ჯარის უფროსმა ურჩობა ვერ გაბედა, მაგრამ ხმები, რომლებიც კაზილინუმიდან მის ყურამდე აღწევდა, ალბათ, ქვესაც აატირებდა. მან ბრძანა ახლომახლო მინდვრებიდან ასლი შეეგროვებინათ და მოეზიდათ. შემდეგ ასლით თინის კასრები დაავსებინა და ნაპირზე დააწყობინა. მერე ალყა-შემორტყმულებთან მაცნე აფრინა — ლამით მდინარე კასრებს რომ ჩამოატარებს, დაიჭირეთო. სამი ღამე ცხენოსანთა ჯარის უფროსის ეშმაკობა მტერმა ვერ შეიტყო. შემდეგ წვიმები გახშირდა, მდინარე აღიღდა. დინებამ იმატა, სწრაფი, ბობოქარი გახდა, და კასრები მოწინააღმდეგის ნაპირისაკენ გადაქანა. ყველაფერი ჰანიბალს მოახსენეს. მან კი ბრძანა, მეტი თვალყური ადევნეთო მდინარეს. მაშინ რომაელებმა მდინარეში კაკლის ჩაყრა დაიწყეს, ალყაშემორტყმულები წყალსგატანებულ კაკალს გოდრებით იჭერდნენ.

შიმშილი სულ უფრო მატულობდა. ხარშავდნენ და ჭამდნენ ქამრებს და ფარეზზე აძრობილ ტყავებს, იჭერდნენ თავებსა და პატარ-პატარა ცხოველებს, გლეჯდნენ ყოველ ბალახს, გალაუნის ძირში ამოჩრილ ყოველ ფესვს. ქალაქში სათესად გამოსადეგი მთელი მიწა გადახნეს და თალგამი დათესეს. როცა ეს ჰანიბალმა შეიტყო, წამოიძახა:

— ძაშ, კაზილინუმთან ვიჯდე და თალგამის შემოსვლას ველოდო?

(თალგამი ძალიან ნელა იზრდება და მწიფდება, თავისი უიმედო მდგომარეობის მიუხედავად, ალყაშემორტყმულ გარნიზონი აშკარად დასცინოდა ჰანიბალს).

სიდინჯემ და სიმტკიცემ თავისი ქნა. ჩვეულებრივ ქედუხრელმა ჰანიბალმა მოლაპარაკება დაიწყო. იგი დათანხმდა, გაეშვა ყველა თავისუფალი მოქალაქე, თუმცა, რასაკვირველია, დიდი გამოსასყიდის საფასურად.

პრენესტელების ნახევარზე მეტი ალყის დროს დაიღუპა, დანარჩენებმა შინ მშვიდობიანად მიაღწიეს. რომის სენატმა

ისინი ორმაგი ჯამაგირით დააჯილდოვა და ხუთი წლით სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლა.

პერუზის კოპორტის ბედი ჩვენთვის უცნობია.

ხოცვა-წლება ტყეში

კონსულის არჩევნები იმ წელს ძალზე გვიან მოხდა. აირჩიეს ტიბერიუს სემპრონიუს გრაქუსი — ცხენოსანთა ჯარის ის უფროსი, რომელიც ცდილობდა დახმარებოდა ალყაშემორტყმულებს კაზილინუმში და გალიის ჯარის სარდალი — ლუციუს პოსტუმიუსი — დაუსწრებლად. ის-ის იყო დამთავრდა არჩევნებთან დაკავშირებული თავსატეხი საზრუნავი, რომ საზარელი ამბავი მოვიდა: ლუციუს პოსტუმიუსი და მთელი ჯარი დაიღუპაო.

რომაელებს უნდა გაეცლოთ დიდი ტყე (იქაური მცხოვრებნი მას ლიტანის ტყეს უწოდებენ). გალებმა გზის ორივე მხარეს ხეები სანახევროდ გადაჭრეს ისე, რომ მათ წასაქცევად ოდნავი ბიძგილა იყო საჭირო.

პოსტუმიუსი ოცდახუთ ათას მეომარს მიუძღოდა, მათ შორის ორი რომაული ლეგიონი იყო. როცა ჯარი ტყეში ღრმად შევიდა, ტყის პირას დამალულმა გალებმა ნაპირა ხეებს უბიძგეს, ხეები წაიქცა და გვერდით მდგარი ხეებიც თან გაიყოლია, რამოდენიმე წუთში მთელი ლაშქარი ხეების ქვეშ ჩაიმარხა.

ბევრნი იქვე დაიხოცნენ, სხვებს კი, რომლებსაც შიშისაგან გონი წაერთვათ, გალებმა მოუღეს ბოლო. ცოცხლად მხოლოდ ათი კაცილა გადარჩა. პოსტუმიუსი გააფთრებით იბრძოდა და ბრძოლაშივე დაეცა. მისი თავი და აღჭურვილობა საზეიმოდ წაიღეს ყველაზე საპატიო ტაძარში. თავის ქალა, გალების ჩვეულებისამებრ, ოქროთი მოჭედეს და ღმერთების სადიდებელ წმიდა ბარძიმად აქციეს. ამ სასმისითვე სვამდნენ ლეინოს ქურუმები ლზინის დროს. დიდი იყო ნადავლი. ხეებმა გასრისა და დაამახინჯა ადამიანები და ცხოველები, ხოლო ალალი და ჯარისკაცთა ბარგი სულ არ დაზიანებულა.

რომი შიშმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა. რამდენიმე

დღე დუქნები აღარ გაღებულა. ქუჩები ცარიელი იყო, ირგვლივ სიჩუმე დასადგურებულიყო. ბოლოს, სენატმა ბრძანება გასცა, ედილებს ქალაქი შემოეველოთ და საზოგადო გლოვის ყოველი ნიშანწყალი მოესპოთ. კონსულმა ტიბერიუს სემპრონიუსმა სენატორებს მანუგეშებელი სიტყვით მიმართა.

— ჩვენ გადავიტანეთ კანეს კატასტროფა და უფრო ნაკლები უბედურება ნუ გავგეტეხავს! მთავარია, ვძლიოთ პუნებს, გაღებთან ომი და სიმუხთლისათვის შურისძიება უფრო მშვიდობიანი დროისათვის გადავდოთ.

ასეც გადაწყვიტეს. ჭარი და პროვინციები სარდლებს გაუყვეს. იმათ მიმართ, ვინც კანეს ბრძოლის ველიდან გამოიქცა, განსაკუთრებული გადაწყვეტილება მიიღეს: კლავდიუს მარცელუსს, რომელიც კანესთან ჭარს ხელმძღვანელობდა, უბრძანეს, ყველა სიცილიაში გადაეყვანა და იქ ემსახურებინათ მანამ, სანამ იტალიაში თუნდაც ერთი უცხოელი ჭარისკაცი დარჩებოდა.

რომის მეოთხე წელი

რომის დაარსებიდან 539 (215 წელი ჩვ. ერაზდე)

დედამიწის ზურგზე ორი უმდიდრესი და უძლიერესი ხალხის ბრძოლამ ყველა მეფისა და მმართველის ყურადღება მიიპყრო, მათ შორის, რა თქმა უნდა, მაკედონიის მეფის ფილიპესიც. თავდაპირველად მას ახარებდა ეს ომი, მაგრამ ვერ გაერკვია, ვისი გამარჯვება სურდა.

კანესთან ბრძოლის შემდეგ საეჭვო აღარაფერი იყო და პანიბალს ელჩები გაუგზავნა კართაგენელებთან კავშირის დასადგობად.

მაკედონიის ელჩების თავგადასავალი

მაკედონიის გემები ჩუმად მოადგა სამხრეთ იტალიის ნაპირს, ჭალაქ კროტონის მახლობლად. ელჩები კაპუასაკენ გაეშურნენ, მაგრამ გზად რომის საგუშაგოს გადააწყდნენ და ისინი პრეტორ მარკუს ვალერიუსს მიჰგვარეს. მარკუს ვალერიუსი აპულიაში ჯარებს სარდლობდა. მასთან ელჩების მე-

თაურმა ქსენოფანმა იცრუა, მეფე ფილიპემ დამავალა, რომის სენატთან და ხალხთან კავშირი დაამყარეო.

პრეტორს ძალიან გაუხარდა და მტერს, რომელიც მეგობრად მიიჩნია, გამცილებლები და მკველები გააყოლა. მათი შემწეობით მაკედონელები დაუბრკოლებლად ჩავიდნენ კამპანიაში. აქ კი თავიდან მოიშორეს მათთვის აწ უსარგებლო გამცილებლები, მერე პანიბალი მოძებნეს და მეფე ფილიპესთან კავშირი შესთავაზეს, თან ასეთი პირობები წამოუყენეს: ფილიპე დაეხმარებოდა პუნებს ბრძოლაში, სამაგიეროდ, პანიბალი მთელს იტალიას და ქალაქ რომს რომ დაიპყრობდა და კართაგენის ხელისუფლებას დაუმორჩილებდა, შემდეგ საბერძნეთში გადავიდოდა და თავის მხრივ დაეხმარებოდა მეფეს მაკედონიის მომიჯნავე მიწებისა და კუნძულების დამორჩილებაში.

პანიბალმა კავშირის პირობები მიიღო და ქსენოფანე ამხანაგების თანხლებით უკან გაბრუნდა. მათთან ერთად პანიბალის სამი წარგზავნილი მიდიოდა. ისინი მშვიდობიანად დასხდნენ გემზე, რომელიც კროტონის მახლობლად ფარულად ელოდებოდა. სამაგიეროდ, როგორც კი გაშლილ ზღვაში გავიდნენ, რომაელთა ფლოტს გადააწყდნენ, რომელიც კალაბრიის ნაპირებთან გუშაგად იდგა. მაკედონელებმა გაქცევა დააპირეს, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომის სწრაფ გემებს ვერსად წაუვიდოდნენ, დანებდნენ, ელჩები ფლოტის უფროსთან მიიყვანეს. მან გამოჰკითხა ვინ არიან, საიდან მოდიან და სად მიდიან. ქსენოფანემაც ისევ იცრუა, ერთხელ უკვე ნაცადი ხერხი იხმარა: რომში მივდიოდით, პრეტორი მარკუს ვალერიუსი ცდილობდა დაგვხმარებოდა, მაგრამ კამპანია ისე გავსებულა მტრის ჯარებით, რომ როგორ არ ვეცადეთ, გვერდი ვერ ავუქციეთ და იძულებულნი გავხდით უკან დავბრუნებულიყავითო. მაგრამ კართაგენელთა გარეგნობამ და ტანსაცმელმა რომაელები დააქვია, ხოლო მათმა ბარბაროსულმა კილომ ისინი გასცა. მაშინ მსახურები გვერდით გაიყვანეს, როგორც საჭიროა, ისე დაამინეს და მალე უპოვეს ფილიპესადმი მიწერილი პანიბალის წერილიცა და მასთან ერთად კართაგენელთა ბანაკში დადებული ხელშეკრულებაც. გადაწყვიტეს, ტყვეები და მათი მსახურები დაუყოვნებლივ რომში აწ ერთ-ერთ კონსულთან მიეყვანათ (გალიაში დაღუპული ლუქ

ციუს პოსტუმუსის ნაცვლად არჩეულ იქნა კვინტუს ფაბიუს მაქსიმე).

საჩქაროდ გაამზადეს ხუთი საუკეთესო ხომალდი, ჩასვეს მტრის ელჩები, ყველა ცალ-ცალკე, რომ ერთმანეთთან გადალაპარაკება ან, საერთოდ, ურთიერთობა არ შეძლებოდათ და ეს ფლოტილია სამხრეთ იტალიის გარშემოვლით ადრიატიკის ზღვიდან ტირენის ზღვისაკენ გაემართა.

ქალაქ კუმას მახლობლად ფლოტილია რომის სხვა ხომალდების რაზმმა შეაჩერა, რომ გაერკვიათ, ვინ იყვნენ, თავისიანები თუ მტრები. რაზმი კონსულ ტიბერიუს გრახუსის მითითებას ასრულებდა და, როგორც კი ამათი ამბავი გაიგეს, ბადრაგმა მაშინვე ხომალდები ნაპირს მიაყენა და ტყვეები კონსულს მიჰგვარა. გრახუსმა წაიკითხა წერილები, ზედ თავისი ბეჭედი დასვა და რომში სახმელეთო გზით გაგზავნა, ტყვეები კი ისევ ზღვით გაისტუმრა.

ახალი ომის მოახლოებამ უკიდურესად შეაშფოთა სენატორები, მაგრამ როგორც კი პირველმა შიშმა გაიარა, მათ გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს, მტერს თვითონვე დასხმოდნენ და იტალიისათვის არ გაეკარებინათ.

სენატმა გადაწყვიტა, ელჩები ციხეში ჩაესვათ, მათი მსახურები კი მონებად გაეყიდათ.

ფილიპესთან ომის სამზადისი უკვე დაიწყო, როცა მაკედონელთა დატყვევებულმა გემმა გაქცევა მოახერხა. მეფემ შეიტყო, რომ მისი ელჩები და ჰანიბალის საპასუხო წერილი მტრის ხელში იყო. დაბნეულმა ფილიპემ ახალ ელჩებს იგივე დავალება მისცა და ისევ პუნთან გაგზავნა. ჰანიბალი ამჯერადაც დაეთანხმა ფილიპეს წინადადებას, მაგრამ სანამ ელჩები პასუხს მიიტანდნენ, ზაფხულიც მიიწურა. ერთი გემის ასე შემთხვევით დატყვევებამ, თუ მთლად არ გაფანტა რომის თავზე ჩამოწოლილი საშიშროება. დროებით მაინც შეაჩერა იგი.

ახლა მოგიტხოვრებთ, როგორ გაჩნდა კონსული გრაკუსი კუმაში. იგი დაბანაკებული იყო კუმას ზემოთ, ზღვის სანაპიროზე. ადგილი მყუდრო გახლდათ და სარდალი ბევრ დროს ანდომებდა წვევანდულების — ძირითადად მოხალისე მონების — წვრთნას, რომ შეჩვეოდნენ თავიანთი ადგილის მოძებნასა და დგომას მწყობრში.

მაგრამ განსაკუთრებით თვალი იმაზე ეჭირა, წარსული არავისთვის დაეყვედრებინათ. სამხედრო რიგებში განხეთქილება რომ არ ჩამოვარდეს, ყველა ვეტერანიცა და ახალწვეულიც, თავისუფალიც და ყოფილი მონაც, ყველა, ვისაც კი რომაელმა ხალხმა იარაღი და დროშები ანდო, თანასწორი უნდა იყვნენო. ამას ამბობდა თვით კონსული, ამასვე იმეორებდნენ მისი მოადგილეები — ლეგატები და სამხედრო ტრიბუნები — და მალე ჭარში ისეთი ერთსულოვნება გამეფდა, რომ არავინ იხსენებდა, რა წოდების იყო მისი ამხანაგი.

კაპუელებმა განიზრახეს დაემორჩილებინათ კუმა, ამისათვის ჭერ უნდოდან შეეგულიანებინათ ისინი, რომ რომაელებისათვის ელაღათათ. მაგრამ კუმას მოქალაქეები ურყევად იდგნენ. მაშინ კაპუელებმა ბოროტგანზრახვით წინადადება წამოაყენეს, რომ კამპანიელთა საერთო დღესასწაულის დროს მოსალაპარაკებლად ერთმანეთს შეხვედროდა ორივე ქალაქის სენატი.

კუმას მოქალაქეები გუმანით ხვდებოდნენ მათ ავ განზრახვას და რჩევისათვის გრაკუსს მიმართეს. კონსულმა ურჩია მიწვევაზე უარი არ ეთქვათ, მაგრამ რისი აღებაც კი შეიძლებოდა მინდვრებიდან, აეღოთ, ქალაქში შეეტანათ და თვითონაც სიმაგრიდან არ გასულიყვნენ. დანიშნული დღესასწაულის წინა დღეს გრაკუსმა თავისი ბანაკი კუმაში გადაიტანა, მეორე დღეს კუმიდან ოთხი-ხუთი კილომეტრის მოშორებით შემოხვდნენ კამპანიელები, ხოლო ამ ადგილის შორიანლოს უჩუმრად დაბანაკდა კაპუელი უმაღლესი სარდალი თოთხმეტი ათასი შეიარაღებული კაცის თანხლებით.

დღესასწაული დამისა იყო, მაგრამ ყველა საღმრთო წესი

შუალამემდე სრულდებოდა. დღის მეათე საათზე¹ გრაკხუსმა მეომრებს უბრძანა, დაწოლილიყვნენ, რათა დაბნელებამდე გამოეძინათ, როცა დაბინდდა, აიშალნენ და სწორედ შუალამისას შეიჭრნენ კაპუელთა ბანაკში. რომაელებმა ამოხოცეს ორი ათასზე მეტი კაცი, ტყვედ წამოასხეს არა ნაკლებ სამი ათასისა და ხელთ იგდეს მტრის ოცდაათობმეტი საბრძოლო დროშა.

ჰანიბალის ბანაკი კაპუას ზემოთ, ტიფატის ქედზე იდგა, როგორც კი ხოცვა-ყლეტის ამბავი შეიტყო, პუნი მაშინვე ქვემოთ დაეშვა და კუმასკენ დაიძრა. ეგონა, გამარჯვებულებს იქვე იხლავდა, მთვრალეებს, ძარცვით გართულებს. მაგრამ მოტყუვდა, გრაკხუსი ქალაქში დაბრუნებულყო.

მეორე დღეს ტიფატის ბანაკიდან მან აუცილებელი ნივთები წამოიღო და კუმას ალყა შემოარტყა. გრაკხუსს თავისი ჯარის დიდი იმედი არ ჰქონდა, მაგრამ სამარცხვინოდ მიაჩნდა მოკავშირეების მიტოვება, რომლებიც რომაელ ხალხს შველას სთხოვდნენ და სრულიად უმწეონი იყვნენ.

კართაგენელებმა ქალაქთან ხისგან გამოთლილი კოშკი მიაგორეს. რომაელებმა თვით კედელზე აღმართეს უფრო მაღალი კოშკი. ამ კოშკებიდან ისროდნენ კუმას დამკველები ქვებს, შუბებს, ხელშუბებს და ამით ახერხებდნენ პუნთა შეჩერებას კარგა დიდ მანძილზე. როცა საალყო კოშკი უფრო ახლოს მიიტანეს, რომაელებმა კოშკს ცეცხლწაკიდებული ჩირაღდნები დააყარეს. იფეთქა ხანძარმა, შეშინებულმა კართაგენელებმა კოშკი მიატოვეს, ალყაშემორტყმულები სიმაგრიდან გადმოხტნენ და მტერს ბანაკამდე სდიეს. კართაგენელებს ათას სამასი კაცი მოუკლეს, ორმოცდაცხრამეტი კაცი ტყვედ ჩავარდა. ტყვეები გალავნის საგუშაგოებთან მოულოდნელად დააკავეს. ისინი ზანტად, დაუდევრად იდგნენ, თავი სამშვიდობოს ეგონათ და ყველაზე ნაკლებად ელოდნენ მტრის თავდასხმას.

ჰანიბალი იმედოვნებდა, რომ წარმატებით გახარებულნი კონსული გაშლილ ველზე ბრძოლას გადაწყვეტდა და მეორე დღეს საბრძოლო მწყობრი განალაგა თავის ბანაკსა და ქალა-

¹ ჩვენი ანგარიშით ხუთ საათზე.

ქის გალავანს შორის, მაგრამ გრაკხუსს თითქოს არც შეუმჩნევია ეს გამოწვევა. ჰანიბალი ვერაფერს გახდა, ვერაფერს მიაღწია და ისევ ტიფატზე დაბრუნდა.

ჰანიბალი კვლავ ნოლას კედლებთან

მარცელუსი უწინდებურად ნოლაში იდგა. ზაფხულში ბევრჯერ შეიჭრა სამნიუმში, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა კართაგენის მხარეზე გადასული ორი ტომის მიწა-წყალს. ორივე ტომმა ერთდროულად გაუგზავნა ჰანიბალს ელჩები, რომლებიც ჩიოდნენ არავინ გვიცავსო. სამნიტი ახალგაზრდობა, რომელსაც შეეძლო მტრის განდევნა, შენ გემსახურება, შენ კი ერთგული მოკავშირეების მიწების აოხრებას გულგრილად უყურებო.

ჰანიბალმა გულუხვად დაასაჩუქრა ელჩები და უკან დააბრუნა, თან დაჰპირდა, რომაელებს ამ თარეშს ვაზღვევინებო. მან ტიფატის ბანაკში დატოვა მცველთა მცირერიცხოვანი რაზმი და თვითონ ჯართან ერთად ნოლასკენ დაიძრა. მარცელუსი, მუდამ დიდი სიფრთხილით რომ მოქმედებდა, ქალაქის სიმაგრეებს შეეფარა. ნოლაელ სენატორებს უბრძანა, გალავანზე მუდმივი ყარაული დაეყენებინათ და მტრის არავითარი საქმიანობა არ გამოჰპარვოდათ. ჰანიბალის მხედართმთავარმა, ჰანონმა, რომელიც ახლახან ჩამოვიდა აფრიკიდან და დამხმარე ძალები ჩამოიყვანა, ითხოვა, რომელიმე სენატორი მოსალაპარაკებლად გამოვიდესო. მარცელუსის ნებართვით ორი მათგანი გავიდა. კართაგენელი მათ თარჯიმნის მეშვეობით დაელაპარაკა, ცამდე აიყვანა ჰანიბალის წარმატებები, ხოლო რომაელი ხალხი სიკვდილის პირს მისულად დახატა.

— თუნდაც ორივე კონსული გიცავდეთ, ორივე საკონსულო არმიით, ისევე ვერ გაუმკლავდებიან ჰანიბალს, როგორც ვერ გაუმკლავდნენ კანესთან. მით უმეტეს, ერთი პრეტორი ვერ დაიცავს ნოლას თავისი ერთი მუჭა ახალწვეულებით. ჰანიბალი, სულ ერთია, მაინც აიღებს თქვენს ქალაქს, ამიტომ თქვენთვის, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ნოლა ნე

ბით ჩააბაროთ, ვიდრე ძალით აიღოს იგი ჰანიბალმა. რა ელის მტრის მიერ დაპყრობილ ქალაქს, იცით და ამაზე არაფერს ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ ერთს: მოგვეციტ მარცელუსი თავისი რაზმითურთ და ჰანიბალი თქვენთან კავშირს დასდებს იმ პირობებით, რასაც წაუყენებთ.

სენატორებმა უპასუხეს, ნოლაელებს რომთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს და ამ მეგობრობის გამო არასოდეს უნანიათ. არც ახლა ინანებენ, ბოლომდე მისი ერთგულნი იქნებიან, მათ ბედს გაიზიარებენო.

ჰანიბალი ქალაქს ერთიანი რკალით შემოერთყა, რომ გალავანზე ყველა მხრიდან ერთდროულად მიეტანა იერიში. როცა რკალი დავიწროვდა, მარცელუსმა ჭიშკართან ჯარი განალაგა და მტერს ეკვეთა. პირველი შეტევა მომხდურს ძვირად დაუჯდა. ბევრი დაიხოცა, მტერი დაფრთხა, მაგრამ პუნები თანდათანობით შეტაკების ადგილას მოგროვდნენ, ძალები გათანაბრდა და დაიწყო საშინელი ხელჩართული ბრძოლა. ალბათ, ის ბრძოლა ამ ომის სხვა ცნობილ ბრძოლებზე ნაკლებ დასამახსოვრებელი არ იქნებოდა, რომ კოკისპირული წვიმა არ მოსულიყო და მებრძოლები არ გაეყარა.

წვიმდა მთელი ღამე და მომდევნო დღის მესამე საათამდე¹. ამიტომ როგორც არ უნდა სდომებოდა ორივე მხარეს ომის განახლება, იძულებულნი იყვნენ ეცადათ.

მესამე დღეს ჰანიბალმა თავისი ჯარის ერთი ნაწილი ნოლაელთა მიწების ასაოხრებლად გაგზავნა. მარცელუსმა მაშინვე გამოიყვანა ჯარი და საბრძოლველად მოაწყო. ჰანიბალმა მიიღო გამოწვევა. ნოლაელებიც შეიარაღდნენ. მარცელუსმა მადლობა უთხრა მათ გულმოდგინებისათვის, მაგრამ საბრძოლველად არ გაუშვა, ბრძოლის ველიდან მხოლოდ დაჭრილთა გამოყვანა დაავალა.

მეომრები დაულალავად იბრძოდნენ, მხედართმთავრები ყველასთან მიდიოდნენ და ამხნევებდნენ.

— ჩვენ გუშინწინ გავიმარჯვეთ, — გავიმარჯვებთ დღესაც; — ყვიროდა მარცელუსი. — თანაც, ყველა არ იბრძვის, — ბევრი მინდვრებს ძარცვავს. არც ისინი ბრძანდებიან უწინდ-

¹ ე. ი. დღის 10 საათის დაწყებამდე.

ლი პუნები, მწყობრში რომ არიან: კამპანიის ფუფუნებამ, დეინომ და ლოთობამ გააზულუქათ! აღარა აქვთ ის გამძლეობა, ის ძალა, რომლებმაც პირენის და ალპების გადმოლახვა შეაძლებინათ. ველარ იკაეებენ ხელში მახვილს, ფეხზე ძლივსა დგანან!

ასე აქიაქებდა პუნებს მარცელუსი, მაგრამ მასზე ნაკლებ როდი საყვედურობდა მათ ჰანიბალი:

— მე ვხედავ ისევ იმ ხმლებს, შუბებსა და დროშებს, რომლებიც ტრებიასთან, ტრაზიმენის ტბასა და კანესთან იყო, მაგრამ ჩემი წინანდელი მეომრები სადღა არიან? სად არის ის მებრძოლი, კონსული გაიუს ფლამინიუსი ცხენიდან რომ გადმოიღო და თავი მოკვეთა? სად არის ის მებრძოლი, კონსული პავლე რომ მოკლა? რა უბედურება მოგივიდათ — მახვილს პირი დაუჩლუნგდა თუ ხელები წაგერთვათ? უწინ უფრო ცოტანი იყავით და მტერს შავ დღეს აყრიდით, ახლა მეტნი ხართ, მაშ, რა იქნა თქვენი ძალა? თქვენ მეუბნებოდით: „ოღონდაც გაგვიძეხ და რომს დაეიპყრობთო“. ახლა ნოლა მაინც დაიპყარით, ალაფი წამოიღეთ და მე წაგიძღვებით სადაც მოისურვებთ, ანდა სადაც გსურთ, იქ გამოგყვებით.

მაგრამ არც საყვედურები და არც დაპირებები არ შველოდა. რომაელებმა ბრძოლის ხაზის მთელ სიგრძეზე შეავიწროვეს კართაგენელები და, ბოლოს, ბანაკში შერევეს. ჯარისკაცებს სურდათ, ბანაკი შტურმით აეღოთ, მაგრამ მარცელუსმა უკანდახევა ბრძანა. ამ დღეს რომაელებმა ხუთი ათასი კაცი მოკლეს და ექვსასი ტყვედ წაიყვანეს, რომაელებმა ათას კაცზე ნაკლები დაკარგეს.

ნოლაელები ზეიმობდნენ, ზეიმობდნენ არა მარტო დიდებულები, არამედ უბრალო ხალხიც, რომლებიც ყოველთვის თანაუგრძობდნენ პუნებს.

ბრძოლის მერე სულ მოკლე ხანში რომაელების მხარეზე გადავიდა ორას სამოცდათორმეტი ნუმიდელი და ესპანელი ცენოსანი. ისინი ან ჰანიბალზე განაწყენდნენ, ან არადა, თვლიდნენ, რომაელებთან სამსახური უფრო ადვილი და სარფიანი იქნებოდა. ასე იყო, თუ ისე, ომის ბოლომდე ამ ცენოსნებმა ბევრჯერ დაამტკიცეს თავიანთი სიმამაცე და ერთგულება, რის

გამოც ომის დამთავრების შემდეგ ისინი მიწებით დაასახუქრეს. ნუმიდიელებს — აფრიკაში მისცეს მიწები, ესპანელებს — ესპანეთში.

რომაელისა და კამპანიილის ორთაბრძოლა

პანიბალი აპულიაში წავიდა გამოსაზამთრებლად. ამიტომაც კონსული კვინტუს ფაბიუს მაქსიმე აჩქარდა, რომ ამით ესარგებლა და კაპუელები დაესაჯა. იგი მანამ ძარცვავდა და არბევდა კამპანიას, სანამ არ აიძულა კაპუელები ქალაქის კიშკრიდან გამოსულიყვნენ და ბანაკი დაეცათ, თუმცა ნაკლებად იყვნენ თავიანთ ძალებში დარწმუნებულნი და კაპუის მკვიდრ გალავანში ჯდომა ერჩიათ.

კამპანიელების ცხენოსანი ჯარი ქვეით ჯარზე უფრო ძლიერი და გაწაფული იყო. ბანაკში ერთ-ერთი საფეხეთესო მხედრად ცერიუს ვიბელიუსი ითვლებოდა, რომელსაც მეტსახელად მოქნილი ღვედი შეარქვეს. ცოტა ხნის წინათ იგი რომაელების ჯარში მსახურობდა და სიმარდესა და სახელში მუდამ რომაელ კლავდიუს აზელიუსს ეტოქებოდა. ახლა, როცა კაპუა და რომი გადაემტერნენ, მან გადაწყვიტა, თავისი მოქიშპე მოეძებნა. ერთხელ იგი დიდხანს დააქუნებდა ცხენს საგუშაგოებს შორის და მოწინააღმდეგეთა ტურმებს ათვალეირებდა — რომაელებმა იგი შენიშნეს და გაჩუმდნენ, დაელოდნენ, რას იტყოდა. მოქნილმა ღვედმა შესძახა:

— სად არის კლავდიუს აზელიუსი. წინათ ერთმანეთში ხშირად ვკამათობდით, ჩვენ შორის უფრო გაბედული რომელიაო, ახლა ძველი დავა იარაღით უნდა გადავწყვიტოთ!

აზელიუსი მოძებნეს ბანაკში და მეტოქის სიტყვები გადასცეს. იგი დაუყოვნებლივ კონსულთან გაიქცა, ორთაბრძოლის ნებართვა გამოსთხოვა და მაშინვე ცხენს მოახტა. ამ იშვიათი სანახაობის საყურადღებოდ რომაელებიც გამოეფინენ და კამპანიელებიც. მეომრებს მოესწროთ ქალაქელებისათვის შეტყობინება, ასე რომ ხალხი ქალაქის გალავანზეც შეგროვდა.

თავდაპირველად ერთმანეთი მუქარითა და ტრაბახით აიკლეს, მერე ორივე მოწინააღმდეგემ შუბები მოიმარჯვა და ცხე-

ნებს დეზი ჰკრა. მეომრებმა დიდხანს უტრიალეს ერთმანეთს. ხან მიუახლოვდებოდნენ, ხან ისევ გაეცლებოდნენ, მოხერხებულად იცილებდნენ დარტყმებს.

ბოლოს კამპანიელმა თქვა:

— ამ გაშლილ მინდორზე ჩვენ კი არა, ჩვენი ცხენები ეჭობრებიან ერთმანეთს. მოდი, აი, იმ გზით ხევში ჩავიღეთ — იქ ისეთი სივიწროვეა, ხელჩართულ ბრძოლას ვერსად გავეჭვივით.

ძლივს მოასწრო მოქნილმა ღვედმა ამის თქმა, რომ აზელიუსმა თავქვე გააჭენა ცხენი. კამპანიელი შეშინდა — როგორც ჩანს, არ ელოდა, თუ რომაელი მის სიტყვებს სერიოზულად მიიღებდა და დაუყვირა:

— შენ რა, ორძოში ცხენდაცხენ მიიმტკრევ თავ-პირს?

მას შერე გლეხებმა ეს სიტყვები ანდაზად აქციეს და მაშინ ამბობენ, როცა ვინმეს გაფრთხილება სურთ, უგუნურობა არ ჩაიდინო.

აზელიუსი დიდხანს მიაჭენებდა ცხენს მარტოდმარტო, შერე თავისიანებთან დაბრუნდა და მშიშარა მტერს გინებით იკლებდა. ბანაკში იგი გადაკოცნეს და გამარჯვება მიულოცეს.

ცვლილებები სიცილიაში

იმავე წელს გარდაიცვალა სირაკუზის მეფე ჰიერონი და რომაელთა მდგომარეობა სიცილიაში მკვეთრად შეიცვალა. მეფობა ჰიერონის შვილიშვილს ჰიერონიმეს, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვს, ერგო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჰიერონიმე ცუდი მეგობრებისაგან ძალიან იყო წამხდარი, რის გამოც არ შეეძლო არა თუ ყოვლად შეუზღუდველი უფლებების სწორად გამოყენება, არამედ საკუთარი თავის გონიერულად პატრონობა.

ჰიერონი ხედავდა, რომ შვილიშვილის ხელში სირაკუზის სახელმწიფო მალე დაიღუპებოდა, მაგრამ უკეთესი შემკვიდრე მას არ ჰყავდა. ამიტომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გადაწყვიტა, სირაკუზელებისათვის თავისუფლება მიეცა. ამას ყო-

ველნაირად წინ აღუდგნენ მისი ასულები, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ჰიერონიმეს მმართველის მხოლოდ სახელი ექნებოდა, სინამდვილეში კი ქალაქის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები თვითონ და მათი ქმრები — აღრანოდორი და ზოიპი გახდებოდნენ.

ძნელი იყო ოთხმოცდაათი წლის მოხუცისათვის დავა საყვარელ ასულებთან, რომლებიც არც დღე, არც ღამე გვერდიდან არ შორდებოდნენ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მან შვილიშვილს თხუთმეტი მეურვე დაუნიშნა და ბოლო წუთამდე სთხოვდა მათ, რომის სახელმწიფოსთან კავშირის ერთგულნი ყოფილიყვნენ, იმ კავშირისა, რომელსაც თვითონ ჰიერონი ორმოცდაათი წელი ურყევად იცავდა.

აღრანოდორმა მალე ჩამოიშორა ყველა მეურვე იმ საბაბით, რომ ჰიერონიმე უკვე საკმაოდ დიდია, მეურვეობა არ სჭირდებაო და ქაბუჯის მრჩევლად მხოლოდ თვითონ დარჩა.

ჰიერონის მმართველობის დროს მეფე გარეგნულად არაფრით განირჩეოდა დანარჩენი სირაკუზელებისაგან: ჰიერონიმე კი პირველი დღიდანვე მეწყამული ტანსაცმლით შეიმოსა, თავი ოქროს გვირგვინით შეიმკო და ხალხში შეიარაღებული მცველების თანხლებით ჩნდებოდა, ისიც კი უნახავთ, სასახლიდან ოთხ ცხენშებმული საბრძოლო ეტლით რომ გამოსულა¹.

სირაკუზელები ხშირ-ხშირად იხსენებდნენ გარდაცვლილ ჰიერონს და ოხვრას უმატებდნენ.

ახალი მმართველის ხასიათი ვლინდებოდა არა მარტო მის გარეგნობაში, არამედ მის ქცევაშიც: იგი ზიზღითა და უხეშად ეპყრობოდა ყველას; ქედმალღურად ისმენდა თხოვნას, იშვიათად იღებდა არათუ უცხოელებს, თვით მეურვეებსაც კი, ავლენდა გაუგონარ აღვირახსნილობასა და სისასტიკეს. სულ მალე ყველას ისეთი შიში დაეუფლა, რომ ზოგიერთმა მეურვემ სიკვდილით დასჯას თავის მოკვლა არჩია, ბევრი გაიქცა.

მეფესთან მისვლა მხოლოდ სამ ადამიანს შეეძლო — აღრანოდორს, ზოიპსა და ვინმე ტრასონს. აღრანოდორსა და ზოიპს კართაგენელთა მხარე ეჭირათ, ტრასონი რომთან მეგობრობის

¹ ეს ისეთი პატივი იყო, ღმერთებს რომ შეეფერებოდა და არა ადამიანებს.

მომხრე იყო და ისინი ხშირად ერთმანეთში დაობდნენ. ჰიერონიმეს მათი დავა და შეხლა-შემოხლა მხოლოდ ართობდა.

ერთხელ მეფის მეგობარმა და თანატოლმა შეთქმულება აღმოაჩინა, რომელიც ჰიერონიმეს წინააღმდეგ მზადდებოდა. იცოდნენ მხოლოდ ერთი შეთქმულის ვინაობა, იგი დაიჭირეს და წამება დაუწყეს, რომ თანამონაწილენი გაეცა. ეს კაცი მამაცი იყო და ამხანაგების ერთგული. ამიტომაც, როცა წამება აუტანელი გახდა, გადაწყვიტა ეცრუა და დამნაშავეების ნაცვლად ის ხალხი დაესახელებინა, ვისაც შეთქმულებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მათ შორის პირველი ტრასონი იყო. ჰიერონიმემ დაუჭერა შეთქმულს და ტრასონი მაშინვე სიკვდილით დასაჯა.

ამგვარად, სირაკუზსა და რომს შორის ერთადერთი მეგობრული კავშირი გაწყდა და ამიტომ კართაგენელთა მეგობრებისათვის უკვე არავის შეუშლია ხელი, ჰანიბალისათვის ელჩები გაეგზავნა. პუნმა არ დააყოვნა, საპასუხოდ თავისი ელჩები გაგზავნა და კავშირი დაიდო. ორი ელჩი ჰიერონიმესთან დარჩა, რამაც მეტად გაახარა ჰანიბალი. ისინი კართაგენში დაიბადნენ, მაგრამ სირაკუზიდან განდევნილი ბერძენების შვილები იყვნენ. ელჩებს ჰიპოკრატე და ეპიკიდე ერქვათ.

სიცილიაში რომაელი მმართველის, პრეტორ აპიუს კლავდიუსის ელჩებიც ჩავიდნენ და განაცხადეს, გვსურს განვაახლოთ კავშირი, რომელიც ჰიერონთან გვქონდაო.

ჰიერონიმემ ისინი უპასუხოდ დატოვა და აშკარად დაცინვით ჰკითხა:

— რითი დამთავრდა იქ, კანესთან, თქვენი ბრძოლა? ჰანიბალის ელჩები ისეთ ამბებს ჰყვებიან, რომ ვერც კი დააჯერებ მე კი ყველაფერი დანამდვილებით მსურს ვიცოდე, თორემ ვერ გაიგებ, რას უნდა მოველოდე ან თქვენგან ან კართაგენელებისაგან.

რომაელებმა გააფრთხილეს მეფე — კი არ სთხოვეს, სწორედ რომ გააფრთხილეს, ნუ აჩქარდები და რომს ნუ უღალატებო და გაეცალნენ.

ჰიერონიმეს შინაკაცები კი კართაგენში გაემგზავრნენ. იქ შეადგინეს ხელშეკრულების პირობები: პუნები ჯარს გადმოსწამდნენ სიცილიაში და სირაკუზელებთან ერთად რომაელებს განდევნიდნენ.

შემდეგ ახალი მეომრები და მოკავშირეები კუნძულს ორ ტოლ ნაწილად გაიყოფდნენ, ისე, რომ მათ სამფლობელოებს შორის საზღვარი მდინარე ჰიმერა იქნებოდა.

სანამ ამ პირობებს განიხილავდნენ და მიიღებდნენ, ჰიერონიმემ გადაიფიქრა: მან კართაგენელებს მთელი სიცილია მოსთხოვა, სამაგიეროდ, ურჩია: თქვენ კი იტალიაზე ბატონობას ეცადეთო. უგუნური ბიჭის ქარაფშუტობას არც გაუყვირებია პუნები და არც შეუშფოთებია. ისინი მზად იყვნენ დაყაბულებოდნენ მას ყველაფერში, ოღონდ კი სირაკუზი რომისათვის მოეწყვიტათ და ეს ძველი კავშირი საბოლოოდ მოეშალათ.

მაგრამ ყველაფერი მოულოდნელად შეტრიალდა.

მეფე ჯარით ქალაქ ლეონტინში¹ ჩავიდა. იქ ჯარისკაცებმა და უმცროსმა მეთაურებმა ახალი შეთქმულება მოაწყვეს. შეთქმულებმა დაიკავეს ვიწრო ქუჩაზე მდებარე სახლი. ამ ქუჩით ჰიერონიმე ყოველდღიურად ქალაქის მოედანზე დადიოდა. ყველანი იქ ჩასაფრდნენ და იარაღი მოიმარჯვეს. ერთ-ერთ მათგანს დინომენს კი კართან დგომა დაავალეს. როგორც კი მეფე გაივლიდა, რაიმე მიზეზით მისი ამალისათვის გზა უნდა გადაეღობა. დინომენი თვითონაც მეფის პირადი მცველი იყო, ამიტომ სხვებთან შედარებით ექვს ნაკლებად გამოიწვევდა. დინომენმა ყველას ისე მოაჩვენა თავი, თითქოს სურდა სანდლებზე მაგრად მოქერილი ზონარი მოეშვა. მან ფეხი ასწია, ამაღლა შეუოვნდა და ჰიერონიმე უმცველებოდ დარჩა. წამსვე რამდენიმე კაცმა ერთად აძგერა მახვილი და იგი დაეცა. დინომენის თვალთმაქცობა აშკარა იყო. მცველებმა შუბები სტყორცნეს. ორ ადგილას დაჭრეს კიდეც, მაგრამ დინომენმა მაინც უშველა თავს.

მეფე მკვდარი იყო. მცველებმა ეს რომ დაინახეს, თვალის დახამხამებაში მიმოიფანტნენ.

მკვლელების ნაწილი მოედანზე, ხალხთან გაიქცა. იქ ხალხს მეფის მოკვლის ამბავი შეეტყო და ზეიმობდა, ნაწილმა კი სირაკუზს მიაშურა, რომ მეფის მომხრეებს მოულოდნელად თავზე დასცემოდა.

¹ იგი სირაკუზიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და მის სამფლობელოში შედიოდა. ეს სამფლობელო კუნძულის დაახლოებით ერთ მეოთხედს შეადგენდა, დანარჩენი სიცილია რომაელებს ეკუთვნოდა.

სირაკუზში შემდეგ რა ხდებოდა, მომდევნო წლის ამბების თხრობის დროს მოგახსენებთ. მანამდე რომში დავბრუნდეთ, სადაც კონსული კვინტუს ფაბიუს მაქსიმე კონსულის არჩევნებს ხელმძღვანელობდა.

დაიწყო კენჭისყრა. პირველი ხმები ერგოთ ტიტუს ოტაცილიუსს და მარკუს ემილიუს რეგილუსს.

ფაბიუსმა შეაჩერა არჩევნები და დაახლოებით ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

— იტალიაში ახლა მშვიდობიანობა რომ იყოს, დამნაშავედ ჩავთვლიდი ყველა იმას, ვინც რალაცნაირად ხელს შეუშლიდა თქვენი გრძობების თავისუფლად გამოხატვას ამ ველზე¹: მაგრამ ჩვენ ვიბრძვით, და ვიბრძვით ისეთ მტერთან, როცა მხედართმთავრის ყოველი შეცდომა დიდი უბედურების მიზეზი ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კენჭისყრა დღეს ისეთივე სიფრთხილითა და წინდახედულობით უნდა წარმართოთ, როგორითაც საბრძოლველად მიდიხართ. თითოეულმა თქვენგანმა საკუთარ თავს უნდა უთხრას: „აღამიანს, რომელსაც კონსულად ვაყენებ, ჰანიბალის ღირსეული მეტოქე იქნება“.

გახსოვდეთ ისიც, რომ ჩვენ ყოველწლიურად ვცვლით მთავარსარდლებს, მოწინააღმდეგეს კი სარდალი მუდმივი, უცვლელი ჰყავს. მას არ აწუხებს ის ამბავი, რომ წელი იწურება, დაწყებული საქმის დამთავრებას კი ვერ მოასწრებს. ვის მხარესაა უპირატესობა? — თვითონ განსაჯეთ.

ახლა შეხედეთ. როგორი კონსულების არჩევას აპირებთ. მარკუს ემილიუს რეგილუსი კვირინტუსის ტაძრის ქურუმია და რომიდან დიდი ხნით გასვლა არ შეუძლია. ტიტუს ოტაცილიუსი ჩემიანია, ჩემი ნათესავის ქმარია, მაგრამ საერთო საქმე, საერთო კეთილდღეობა ოჯახურ თანხმობაზე მნიშვნელოვანია და მე პირში გეტყვი, ტიტუს ოტაცილიუსს, რასაც ვფიქრობ, ამ წელს შენ ფლოტს განაგებდი. შენ უნდა დაგეცვა იტალიის სანაპიროები, მოსვენება. არ მიგეცა აფრიკის სანაპიროებისა-

¹ გ. ი. მარსის ველზე, სადაც არჩევნები ხდებოდა.

თვის და, უწინარეს ყოვლისა, ჰანიბალთან არ გამოგეშვა კართაგენის მაშველი ძალები. ამ დავალებებიდან ერთი მაინც თუ შეასრულე? არა? მაშ, შეგვიძლია განდოთ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ძნელი საქმე? შენ პირველმა უნდა ითხოვო, ტიტუს ოტაცილიუსს, ისეთი ტვირთი არ აგვიდონ, რომელსაც ვერ ზიდავ!

კიდევ ერთხელ მოგაგონებთ: თქვენ ირჩევთ მხედართმთავრებს, რომელსაც თქვენ და თქვენი შვილები ფიცს მისცემთ, მათ ბრძანებებს დაემორჩილებით, მათი მეთაურობით წახვალთ საბრძოლველად. ტიცინუსი, ტრაზიმენის ტბა და კანე — სამწუხარო მაგალითებია, მაგრამ გაკვეთილად გვქონდეს და სასარგებლოდ გამოვიყენოთ, მათ გამეორებას ნუ დავუშვებთ! მაცნევ, გამოაცხადე, რომ კენჭისყრას ხელახლა ვიწყებთ.

ტიტუს ოტაცილიუსი ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა, ფაბიუსი თვითონ უმიზნებს კონსულობას, სურს ერთი ვადით კიდევ აირჩიონო. ამ დროს მასთან მივიდნენ კონსულის ლიქტორები და უხმოდ უჩვენეს ნაჯახებიანი წკნელების კონა!

ერთსულოვნად აირჩიეს კვინტუს ფაბიუს მაქსიმე — მეოთხედ და მარკუს მარცელუსი — მესამედ.

¹ რომის უარგლებში კონსულის ძალაუფლება შეზღუდული იყო, მაგრამ მის ფარგლებს გარეთ, როცა იგი მთავარსარდლის მოვალეობას ასრულებდა, კონსული თავის მოქალაქეებზე შეუზღუდველი უფლებით სარგებლობდა. შეეძლო სასამართლოს გარეშეც კი დაესაჯა ისინი. მისი ლიქტორები (პირადი საპატიო მცველები) დედაქალაქში წკნელის კონებს ატარებდნენ, რომლებიც მხარზე ჰქონდათ გადაებული. ქალაქგარეთ კი ამ კონებში ცულებს დებდნენ. ფაბიუსი მარსის ველზე უშუალოდ ბანაკიდან მოვიდა, რომში არც კი გაუვლია, ამიტომ მისი ძალაუფლება კელავინდებურად შეუზღუდავი იყო, ხოლო ლიქტორების წკნელის კონებში ცულები იდო.

ომის მეხუთე წელი

რომის დაარსებიდან 540 (214 წელი ჩვენს მრავლად)

წლის დასაწყისში სენატმა ჯარის და ფლოტის ყველა სარდალს რწმუნება გაუგრძელა და უბრძანა, უწინდელ ადგილზე დარჩენილიყვნენ. შემდეგ გადაწყდა, ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირათ და ელოცათ, რადგან იტალიის ყველა კუთხიდან დაუჭერებელი სასწაული ამბები მოდიოდა, რაც უკვდავთა რისხვის მაუწყებელი იყო. ამბობდნენ, სიცილიაში ხარმა ენა ამოიდგაო, სხვა ადგილას — ქალი კაცად იქცაო, კიდევ სხვაგან — დედის საშოში ბავშვმა „გამარჯვება“ გამარჯვება“ — იყვირაო.

საღვთო საქმეებს რომ მორჩნენ, ისევ მიწიერს მიუბრუნდნენ. კონსულებმა სენატს მოახსენეს, ომი წარმატებით რომ გაგრძელდეს, თვრამეტი ლეგიონია საჭირო, ექვსით მეტი, ვიდრე გასულ წელს იყო. სენატორები მათ პატაკს დაეთანხმნენ და კონსულებს დაავალეს საჩქაროდ შედგომოდნენ გაწვევას, ამასთანავე, აღეჭურვათ ასი ახალი ხომალდი, თუკი ფილიპე მაკედონელი მტრულ მოქმედებას დაიწყებდა.

ჰანიბალმა მიატოვა აპულიაში საზამთრო ბინები და კამპანიაში დაბრუნდა. კამპანიაში და მის მეზობელ სამნიუმში შეიკრიბა რომის ჯარისკ. სამნიუმის ქალაქ ბენევენტუმთან ერთმანეთს შეხვდნენ ჰანიბალის მხედართმთავარი ჰანონი და ტიბერიუს სემპრონიუს გრაქუსი. მისი ლეგიონები უმეტესად შედგებოდა მოხალისე მონებისაგან, რომლებიც მეორე წელი იყო, უსიტყვოდ და მოთმინებით იღვწოდნენ თავისუფლებისათვის¹. გრაქუსს ესმოდა, ლაშქრობებში მონები ერთმანეთს რომ გადაულაპარაკებდნენ და ეკითხებოდნენ, ჩვენს მონობას როდისმე ბოლო თუ მოეღებაო, გრაქუსმა სენატს მისწერა არა მონების სურვილი, არამედ მათი ერთგულების და წარმატების ამბავი. მისწერა, რომ ისინი გამბედავნიც არიან და მუყაითნიც, რომ რომის არმიის საუკეთესო ჯარისკაცებისაგან მხოლოდ უფლებობა განასხვავებს. სენატიდან უპასუხეს, ისე მოიქეცი, როგორც სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ მიგაჩნიაო. ამის მერე გრაქუსმა მოხალისე მონები შეკრიბა და უთხრა:

— დიდი ხნის ნანატრი თქვენი თავისუფლების დღე მოახლოვდა. ხვალ მტერს გაშლილ ველზე შევებრძოლებით, სადაც არც ჩასაფრების შეგვეშინდება და არც ხრიკებისა, სადაც ყველაფერს ვაეკაცობა გადაწყვეტს. ვინც მტრის თავს მოიტანს, მაშინვე თავისუფლებას მიიღებს; ვინც გაიქცევა, მას ჯვარზე ვაძმევ, როგორც გაქცეულ მონას. თქვენი ბედი თქვენს ხელთაა.

ამის მერე გრაქუსმა მათ წაუკითხა სენატის წერილი და კონსულ მარცელუსის ასეთივე წერილი. გაისმა სიხარულის ყიჟინა. მეომრები ითხოვდნენ, ბრძოლას ხვალისათვის ნუ გადადებთო, მაგრამ გრაქუსმა ბრძანება გაიმეორა და კრება დახურა.

მეორე დღეს, როგორც კი სიგნალი გაისმა, იარაღასხმული მოხალისე მონები უკვე ბანაკის მთავარ მოედანზე გრაქ-

¹ სახელმწიფოს მიერ უწინდელი პატრონებისაგან გამოსყიდული მონები ახლა სახელმწიფოს მონებად ითვლებოდნენ.

ხუისის კარგის წინ იდგნენ. მტერს ჩვილმეტი ათასი ქვეითი
ჯარი ჰყავდა, უმეტესად მოკავშირეები იტალიკის ტომთაგან და
ათას რჩასი ცხენოსანი — ფითქმის სულ ნუმიდიელები და
შავრები. შეუპოვრად და დიდხანს იბრძოდნენ. ოთხი საათის
განმავლობაში ვერც ერთმა მხარემ მიაღწია წარმატებას, ვერც
მეორემ. ყველაზე მეტად რომაელებს მტრის თავები უშლიდა
ხელს, თავისუფლების საზღაურად რომ იყო დაწესებული.
მოკლანდნ თუ არა მტერს, მოხალისე მოწა თავის მოკვეთასაც
შეუდგებოდა, ამასობაში დროს ჰკარგავდა, შემდეგ მოჭრილ
თავს ილლიაში ამოიჩრიდა და ხეირიანად ბრძოლა აღარ შეე-
ძლო. ასე შეეკრათ ხელ-ფეხი მამაც და გამბედავ მეომრებს,
ბრძოლის მთელი სიმძიმე ახლა მშისრებსა და ზარმაცებს და-
აწვით.

სამხედრო ტრიბუნებმა გრაკხუსს აცნობეს, აღარაფინ ცდრ-
ლობს ცოცხალი მტრის მოკვლას, ყველანი შეგდრებს კუწავენ
და დაჭრილებს ხოცავენ: მეომრებს მარჯვენა ხელში მახვი-
ლის ნაცვლად მტრის თავები უჭირავთ, გრაკხუსმა ბრძანა,
ჭარისკაცებს გადაეცით თავები გაღმჭრულნი, რადგან გმირობა
უკვე დაამტკიცეთ, და თავისუფლების ღირსნი უეჭველად
ხართო. ბრძოლა მაშინვე განახლდა და რომაელები წინ გაი-
ჭრნენ, მაგრამ ბრძოლაში ცხენოსნები ჩაებნენ და რამდენიმე
წაშში ბედის სასწორმა ისევ რხევა დაიწყო, რადგან ნუმიდიე-
ლები საოცარი შემართებით იბრძოდნენ. გრაკხუსმა ბრძანა,
გამოეცხადებინათ: ნურც ერთი მოხალისე თავისუფლებას ნუ
ელის, თუკი მტერს დღეს არ დავამარცხებთო. მეომრები თით-
ქოს გამოცვალესო: ისინი ისეთი ძალით და ისეთი გააფთრე-
ბით ეკვეთნენ მტრებს, რომ გამკლავებას ვერაფერ შეძლებდა.
მტრები აირივნენ, შეირყნენ და თავიანთი ბანაკისაკენ ქნეს
პირი, მაგრამ ისე იყვნენ თავზარდაცემულნი, რომ ბანაკთანაც
ველარ შეძლეს შეჩერება, რომაელებს კი თითქმის არ დაურ-
ღვევიათ თავიანთი მწყობრი და მათ კვალდაკვალ ბანაკში შეი-
ჭრნენ. გაჩაღდა კარვებს შორის ბრძოლა. ეს ბრძოლა კი არა,
ხოცვა-ყლეთა იყო, რადგან კართაგენის მთელნი არმიიდან მხო-
ლოდ ორი ათასზე ნაკლები გადარჩა და ისიც, ძირითადად,
ცხენოსნები.

როცა ნადავლით დატვირთული რომაელები თავიანთ ბანაკ-

ში დაბრუნდნენ, გამოირკვა, რომ ოთხი ათასი მოხალისე, რომლებიც სხვებზე ცუდად იბრძოდნენ და მტრის ბანაკის აღებაში არ მონაწილეობდნენ, მახლობელ გორაკზე ასულიყო და დასჯის შიშით იქიდან ჩამოსვლას ვერ ბედავდა. მხოლოდ მეორე დღეს დაითანხმეს ისინი სამხედრო ტრიბუნებმა, ჩამოსულიყვნენ და გრაკხუსის მიერ მოწვეულ შეკრებაზე გამოცხადდნენ. თავდაპირველად სარდალმა დამსახურებისამებრ ძველი ჯარისკაცები დააჯილდოვა, ხოლო შემდეგ მოხალისე მონებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ასეთ დღეს არ მინდა ვინმე დავსაჯო, მიჯობს ყველა ერთნაირად შევაქო — ღირსეულნიც და უღირსნიც. ხელი რომ მოემართოს სახელმწიფოს და თითოეულ თქვენგანს, ამერიიდან თავისუფალნი ხართ!

პასუხად აღტაცების ყიჟინა დასცეს — მეომრები ერთმანეთს ეხვეოდნენ, ულოცავდნენ, ზეცისკენ ხელებს იშვერდნენ და ღმერთებს რომელი ხალხისა და გრაკხუსის ბედნიერებას სთხოვდნენ. ისევ სიწყინარე რომ ჩამოვარდა, გრაკხუსმა განაგრძო:

— სანამ ნაბოძები თავისუფლებით არ გაგათანაბრეთ, არ მსურდა ვინმესთვის ბრალი დამედო სილაჩრეში, მაგრამ არ შეიძლება გავაიგივოთ გმირობა და სულმოკლეობა. ახლა, როცა სახელმწიფოს დაპირება შესრულებულია, მითხარით იმათი სახელები, ვინც იცოდა თავისი დანაშაული და ჩვენ გაგვემიჯნა. მათ სათითაოდ გამოვიძახებ და დავაფიცებ, ამერიიდან, სანამ სამსახურს არ დაამთავრებენ, ზეზეურად ჭამონ და სვან. ვიმედოვნებ, ამ სასჯელს თქვენ უსიტყვოდ მიიღებთ, რადგან უფრო მეტი შეწყალება შეუძლებელია.

ბანაკიდან აყრის სიგნალი გაისმა და ჯარი ჰენევენტუმისაკენ დაიძრა. ჯარისკაცები ხუმრობდნენ, იცინოდნენ და ისე მხიარულობდნენ, თითქოს ბრძოლის ველიდან კი არ ბრუნდებოდნენ, არამედ ღრეობიდან. მთელი ქალაქი გამოეთინა მათ შესახვედრად, ეხვეოდნენ, შინ ეპატიყებოდნენ, ყველა სახლის კარი ღია იყო, ყველგან გაშლილი სუფრა მოჩანდა. ქალაქელები გრაკხუსს მეომრების გამასპინძლების უფლებას სთხოვდნენ. გრაკხუსმა ნება დართო, მხოლოდ ითხოვა, სუფრები ქუჩაში გაეშალათ. ყველა მოხალისემ ნაბდის ქულები

დაიხურა, ანდა თავი თეთრი შალით შეიკრა¹. ზოგი სუფრას მიუჯდა, ზოგი კი ზეზეურად ჰამდა. ისეთი ლამაზი სანახაობა იყო, რომ, როცა გრაკუნის რომში დაბრუნდა, ბრძანა, ყოველივე ეს დაეხატათ თავისი მამის მიერ აშენებულ თავისუფლების ტაძრის კედელზე.

ჰანიბალის ტყუილშობალო ლაშქრობა ტარენტუმისაკენ

კამპანიაში ჰანიბალს მარცხზე მარცხი მოსდიოდა. ტყუილად ცდილობდა იგი რომაელებისათვის ნოლას წართმევას, ნეაპოლის, ანდა რომელიმე სხვა ქალაქის დაპყრობას ზღვის სანაპიროზე. ერთადერთი, რასაც ახერხებდა, მინდვრების ძარცვა იყო. ბოლოს გადაწყვიტა, კამპანია მიეტოვებინა და ბედი სხვა ადგილას — კალაბრიაში, ბერძენთა ქალაქ ტარენტუმის გალავანთან ეცადა.

რამდენიმე ხნის წინათ, სანამ ამას გადაწყვეტდა, მასთან ამ ქალაქიდან ხუთი წარჩინებული ჰაბუკი მივიდა. ისინი კანესთან იბრძოდნენ და პუნებს ტყვედ ჩაუვარდნენ. ჰანიბალმა ჰაბუკებს დაუყვავა და ისევე მეგობრულად გაისტუმრა, როგორც რომის სხვა მოკავშირეებს ისტუმრებდა იმ იმედით, რომ ყველანი თავის მხარეზე გადაებირებინა. ტარენტუმელებმა ამბავი მოიტანეს, ქალაქი კართაგენელებს ელოდება და როგორც კი ჰანიბალის დროშას დაინახავენ, მაშინვე კარს გააღებენო.

პუნს კარგად ესმოდა, რა ჩინებული იქნებოდა მისთვის ტარენტუმთან კავშირი. გარდა იმისა, რომ ქალაქი მდიდარი და დიდი იყო, იგი მაკედონიის მხარეს მოქცეული საზღვაო ნავსადგურიც გახლდათ, რომელიც აუცილებლად დასჭირდებოდა ფილიპეს, თუკი ომში ჩაებმებოდა და იტალიაში ჯარის გადმოსხმას დააპირებდა. ასეთი ფიქრითა და იმედით დაიძრა ჰანიბალი ტარენტუმისაკენ.

¹ ეს იყო გათავისუფლებული მონის განმასხვავებელი ნიშანი.

გზად მან გააჩანაგა და ააოხრა მთელი მიწები, მაგრამ ტარენტუმის სამფლობელოში რომ შევიდა, ჯარისკაცებს უბრძანა, ძალადობა არ ეხმარათ. ქალაქს რომ მიუახლოვდა, ვერავეითარი მოძრაობა ვერ შეამჩნია გალავანზე, არც მისი მისვლის გამო კმაყოფილება გამოუხატავს ვინმეს. ამიტომ იგი ქალაქიდან კილომეტრნახევრის დაშორებით დაბანაკდა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, არავინ მოდიოდა. არც ისინი ჩანდნენ, ჰანიბალს კამპანიაში რომ ესტუმრნენ, არც მათი შიკრიკი, არც მათი წერილი. მაშინ ჰანიბალი მიხვდა, რომ ცარიელ დაპირებას დაუჯერა და უკან დაიხია. არც ახლა უხლია ხელი ტარენტუმელთა მინდვრებისათვის. მართალია, მისმა მოჩვენებითმა ლეგიონებმა ნაყოფი არ გამოიღო, მაგრამ ჰანიბალი იმედს არ კარგავდა, რომ მათ თავის მხარეზე გადაიბირებდა.

ყველაფერი კი სულ უბრალოდ აიხსნებოდა: რომის ფლოტის უფროსმა ბრუნდიზიუმში თავისი თანაშემწე გაგზავნა ტარენტუმში. ფლოტის უფროსის თანაშემწე მეტად გაბედულად მოქმედებდა. მან ახალგაზრდობისაგან ჯარი შეკრიბა, კარიბჭესთან და გალავნის გასწვრივ საგუშაგოები განალაგა და დღე და ღამ დარაჯობდა, რითაც საშუალება არ მისცა ჰანიბალს დაკავშირებოდა იმათ, ვინც ფარულად თანაუგრძნობდა.

თავისუფლება სირაკუზში

ამასობაში სიცილიას ისეთი მღელვარება მოედო, რომ გადაწყდა, იქ ერთ-ერთი კონსული — მარკუს მარცელუსი გაეგზავნათ.

პიერონიმეს სიკვდილისთანავე ლეონტინუმში კინალამ იფეთქა ჯარისკაცთა ამბოხებამ. ჯარისკაცები იმუქრებოდნენ, მოკლულის სისხლს ავიღებთო. მაგრამ სასიამოვნოდ მოსასმენმა სიტყვამ „თავისუფლებამ“, უფრო მეტად კი მეფის ხაზინიდან მოსალოდნელმა გულუხვი საჩუქრების იმედმა, და ბოლოს, ტირანის საზიზღარ ბოროტმოქმედებათა ჩამოთვლამ, ისე გამოუცვალა ჯარისკაცებს გუნება, რომ მეფე, რომელსაც წუთის წინ მწარედ დასტიროდნენ, დაუმარხავი დატოვეს.

სანამ შეთქმულთა უმეტესობა აწყნარებდა და ამშვიდებდა ჯარისკაცებს, ორმა მათგანმა მეფის საჩინიბოდან ცხენები გამოეჩვენა და სირაკუზისაკენ გაქუსლა, მაგრამ დაავიანეს: მათ არა თუ დარხეულმა ხმამ ჩაასწრო, რომელსაც ბადალი არა ჰყავს სისწრაფეში, არამედ მეფის რომელიღაც მსახურმაც. მას აღრანოდორი გაეფრთხილებინა, აღრანოდორს კი კუნძული და სიმაგრე¹ დაეკავებინა. შეთქმულებმა ქალაქს შებინძურებისას მიაღწიეს. სისხლით შეღებილი მეფის სამოსისა და მეფის გვირგვინის ქნევით ისინი ტიხეში² შევრდნენ. ყველა შემხვედრს იარაღისა და თავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ. ხალხი ქუჩებში გამოეფინა, მოგროვდნენ სახლის კარებთან, იყურებოდნენ საჭურავებიდან, ფანჯრებიდან, კითხულობდნენ, რა მოხდებოდა. ყველგან აინთო სინათლეები, ყველაფერი ახმაურდა, აგუგუნდა. შეიარაღებულნი მოედნებსა და უშენ ადგილებში იკრიბებოდნენ. ვისაც იარაღი არა ჰქონდა, ზევსის ტაძრისაკენ გარბოდა და კედლებიდან ჰიერონისათვის რომელი ხალხის ნაჩუქარ საჭურველს ხსნიდა³. შემდეგ ისინი საგუშაგორებს უერთდებოდნენ, იქ უკვე მოესწროთ კვარტალის უზუცესების განლაგება. თვით კუნძულზეც კი აღრანოდორისათვის უკვე წაერთვათ საზოგადოებრივი ბედლები — ადგილი, რომელიც დიდი გალავნით იყო შემოზღუდული და უფრო ციხესიმაგრეს ჰგავდა, ვიდრე პურის საწყობებს. როგორც კი ინათბ მთელმა ხალხმა აქრადინში⁴, საბჭოს შენობასთან მოიყარა თავი. ერთ-ერთმა პირველმა და ყველაზე გავლენიანმა მოქა-

¹ სირაკუზი რომდენიმე კვარტალისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთისაგან გალავნით იყო გამოყოფილი. კუნძული (უფრო სწორად ნახევარკუნძული) ორტივია ქალაქის უძველესი ნაწილი იყო. სიმაგრე ვიწრო და მოკლე კედლე მდებარეობდა, რომელსც ორტივას ხედიდან აფრთებდა.

² ტიხე (ბერძნულად „ბედისწერა“) სირაკუზის ჩრდილოეთ კვარტალი. ეს საბულო აქ ამუნებულ ბედისწერის ქალღმერთის ტაძრის ნანგრევით შეიქმნა.

³ ეს იყო ნადავლის ნაწილი, რომლებიც რომაელებმა მუზოპლუბთან იმის დროს ჩაიგდეს (ცხადია, ჯერ კიდევ ნეოპე პუნიკური იმის დაწყებამდე).

⁴ აქრადინი — ქალაქის აღმოსავლეთი გალავანი ბაზრის მოხარბი მოედნითურთ ამ მთელანზე მდებარეობდა საბჭო.

ლაქემ, სახელად პოლიენმა გულახდილი და თან თავშეკავებულ-
ლი სიტყვა წარმოთქვა: სირაკუზელებმა იციან, რა საზიზღ-
რობაა მონობა და სძაგთ იგი, მაგრამ არსებობს კიდევ მოქა-
ლაქეთა განხეთქილება, ისიც საშინელია, თუმცა ჩვენ იგი მხო-
ლოდ გავგიგონია. კარგია, რომ ჩვენ ასე ფიცხლად მოვკიდეთ
იარაღს ხელი, მაგრამ კიდევ უფრო კარგი იქნება, თუკი მას
უკიდურეს შემთხვევაში გამოვიყენებთ. აღრანოდორი უნდა
დაემორჩილოს საბჭოსა და ხალხს, მაგრამ თუკი ფიქრობს
მეფე გახდეს, მხოლოდ მაშინ უნდა შევებრძოლოთ მთელი
ძალითა და ყველა საშუალებით.

აღრანოდორს მაშინვე ელჩები გაუგზავნეს. იგი ხალხის
ერთსულოვნებამ შეაშინა, მაგრამ მისი მეუღლე ტყუილად რო-
დი იყო მეფის ასული და მთელი სიცოცხლე ტყუილუბრა-
ლოდ როდი ჰქონდა გატარებული მეფის სასახლეში. მან კმა-
რი გვერდზე გაიხმო და ძველი ტირანის დიონისეს¹ ცნობილი
სიტყვები გაახსენა: — ძალაუფლებას მხოლოდ მაშინ უნდა
შეეღიო, როცა ფეხებით დაგიტრევენ და არა მაშინ, როცა
ცხენზე ზიხარო.

— მოთქმებისათვის დრო სთხოვე, — ეჩურჩულებოდა
იგი, — ამასობაში ლეონტინიდან ჯარისკაცებიც ჩამოვლენ,
შენ მათ ფულს შეჰპირდები და ყველანი დაგემორჩილებიან.
მაგრამ აღრანოდორმა არ დაუჭერა ცოლის რჩევას. მას მიაჩნ-
და, რომ უმჯობესი იყო ჯერჯერობით დაეთმო და სთხოვა ელ-
ჩებს საბჭოსა და ხალხისათვის გადაეცათ, რომ მათ ნებას
შეასრულებდა. მეორე დღეს დილაადრიან კუნძულის კარი
გააღეს და აღრანოდორი გამოატარეს. იგი მოედანზე გამოვი-
და, დადგა იქ, სადაც წინა დღეს პოლიენი იდგა და მოქალაქე-
ებს გაუბედაობისა და სიმხდალისათვის პატიება სთხოვა. იგი
ამტკიცებდა, კარი იმიტომ დავკეტე, რომ შემემინდაო: რაკი
მახვილები ამოწვდილია, ვინ იტყვის, როდის შეწყდება მკვლე-
ლობა ანდა დაზარალდება თუ არა სხვისი დანაშაულისათვის
უდანაშაულო ხალხი. ახლა ვხედავ, რომ სირაკუზელებს მართ-
ლა დაუბრუნდათ თავისუფლება, მე კი ჩემი მხრივ ვუბრუნებ

¹ ტირანი დიონისე უფროსი სირაკუზს განაგებდა 405—367 წლებში ჩვენს ერამდე.

მშობლიურ ქალაქს ყოველივეს, რაც საზრუნავად და სამეურ-
ვეოდ ჩამაბარა აწ მოკლულმა ჰიერონიმემ.

ამ სიტყვებით მან შეთქმულებს ფეხებთან დაუდო კარი-
ბჭისა და მეფის საგანძურთა გასაღები. ყველანი კმაყოფილნი
და ბედნიერნი დაიშალნენ, ხოლო მეორე დღეს ისევ შეიკრიბ-
ნენ, რომ ქალაქის მმართველები აერჩიათ.

არჩეულთა შორის პირველი იყო აღრანოლორი, აგრეთვე
ჰიერონიმეს მკვლელები; ზოგიერთი მათგანი — ისინი, ვინც
ლეონტინში დარჩნენ — დაუსწრებლად აირჩიეს. მეფის ხაზი-
ნა კუნძულიდან არხადინში გადაიტანეს. სიმაგრის ის ნაწილი,
რომელიც კუნძულს სხვა კვარტლებისაგან ჰყოფდა, მოანგრის,
რამაც ყველანი ძალზე გაახარა.

ჰანიზალის მოციქულებს, ჰიპოკრატეს და ეპიკიდეს, შეეშინ-
დათ, ხალხმა გადატრიალების მოწყობის განზრახვა არ დაგვა-
ბრალოსო და ახალი მთავრობის წარმომადგენლებთან მივიდ-
ნენ, რომლებმაც ისინი საბჭოს წარუდგინეს. კართაგენელებ-
მა მათ უთხრეს, ჰიერონიმეს ვემორჩილებოდით, რადგან ჩვენი
სარდლის ბრძანებას ვასრულებდით. სარდალმა სწორედ ამი-
სათვის გამოგვაგზავნა. ახლა ჰანიზალთან დაბრუნება გვსურს,
მაგრამ სიცილია რომაელებითაა სავსე და გვეშინია. მცველები
მოგვეციტ და გაგვისტუმრეთ. ამ მცირე სამსახურით სირაკუ-
ზელები ჰანიზალის დიდ მადლობას დაიმსახურებთო.

შეთქმულება. დამნაშავეთა და უდანაშაულოთა დასჯა

- საბჭოს არც კი უდავია, ისე დაეთანხმა: საჩქაროდ უნდო-
დათ თავიდან მოეშორებინათ მეფის ეს შინაკაცები — ჯერ
ერთი, გამოცდილი მეომრები, მეორეც, უპოვარი და თავხედი
ხალხი. მაგრამ ასეთ საქმეში აუცილებელი სისწრაფე სირაკუ-
ზელებმა ვერ გამოიჩინეს. ამასობაში ჰიპოკრატე და ეპიკიდე
ნელ-ნელა ბრალდებებს აგრცელებდნენ საბჭოსა და საუკეთესო
მოქალაქეებზე. — დიდებულები ცდილობენ დაამონონ უბრა-
ლო ხალხი და ამიტომაც განიზრახეს სირაკუზში რომაელების

მოყვანა, — ამტკიცებდნენ ისინი ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ.

მათ გულისყურით უსმენდნენ. მსმენელები ყოველდღიურად მატულობდნენ. ქალაქი ღელავდა. უკვე არა მარტო ჰიბოკრატე და ეპიკიდე, არამედ უფრო ფრთხილი ადრანოდორიც კი ფიქრობდა ამბოხების მოწყობას. ახლა კი დაჰყვა იგი მეუღლის ახირებას, სულ იმას რომ ჩასჩინებდა, ასეთი ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოა და კართაგენელ მოციქულებთან და ჰიერონის ერთ მოყვარე თემისტესთან ერთად შეთქმულება წამოიწყო.

მაგრამ ყველაფერი ადრანოდორის ყბედობამ დაღუპა. მან თავისი განზრახვა მსახიობ არისტონს გაანდო. ბერძნებს მსახიობის ხელობა სამარცხვინოდ არ მიაჩნდათ, ის კაციც კარგი წარმომობისა იყო და ყველასგან პატივცემული. ასე რომ, მეფის სიძის მეგობრობა არავის აკვირვებდა. მაგრამ არისტონმა, რომელიც სამშობლოს ერთგულებას მეგობრობაზე მაღლა აყენებდა, ეს ამბავი მმართველებს მიუტანა. მათ დაიწყეს ფარული გამოძიება. მსახიობის დასმენა მართალი გამოდგა და გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ ემოქმედათ. უხუცესთა მოწონების შედეგად მმართველებმა საბჭოს კართან მცველები დააყენეს და როგორც კი თემისტე და ადრანოდორი შევიდნენ, მაშინვე მოკლეს. ეს ამბავი უხუცესთა გარდა არც ერთმა სხვა მრჩეველმა არ იცოდა და ამიტომაც საბჭოში დიდი აურზაური ატყდა. მმართველებმა, როგორც იქნა, დაამყარეს სიჩუმე, მერე არისტონი გამოიყვანეს და მან დაწვრილებით თქვა ყველაფერი. თურმე, აფრიკელ და ესპანელ დაქირავებულ ჯარისკაცებს უნდა ამოეწყვიტათ ქალაქის მმართველობა და სხვა სახელოვანი მოქალაქეები, გასამრჩელოდ კი მათ ქონებას მიიღებდნენ. ხოლო ადრანოდორის ერთგული რაზმი ისევ კუნძულის დასაკავებლად ემზადებოდა.

საბჭო დამშვიდდა, მაგრამ მოედანზე ხალხი ღელავდა, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ხდებოდა, მხოლოდ გრძნობდა, რომ მმართველობა უნდა გამოცვლილიყო. ისმოდა წყევლაკრულვა, მუქარა, მაგრამ როცა საბჭოს კარი გაიღო და შეთქმულთა გვამები ყველამ დაინახა, ხალხს შიშისაგან ენა ჩაუვარდა... ხმაამოუღებლად მოისმინეს სიტყვა, ერთ-ერთმა მმარ-

თველმა რომ წარმოთქვა. იგი ბრალს სდებდა მოკლულებს ყველა იმ ბოროტებაში, რაც ხდებოდა სირაკუზში ჰიერონის სიკვდილის შემდეგ: მართლაცდა, რისი მაქნისი იყო პატარა ბიჭი ჰიერონი, ცუდი მეურვეები და მრჩევლები რომ არ ჰყოლოდა? იგი ბრალს სდებდა ადრანოდორს უბედურებაში. ხალხმა არა თუ აპატია დაწაშაული, მმართველობაშიც კი აირჩია. თუმცა, ყველაფრის თავი და თავი შეთქმულები კი არა, მათი ცოლები — მეფის ნაშიერები არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ შეელიონ ტირანულ ხელისუფლებასო!

მოედნის ყოველი კუთხიდან გაისმა ყვირილი, ორივე სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ტირანების ჯიში უნდა მოისპოსო. ბრბო ყოველთვის ასეთია: იგი ან ყურმოჭრილად მლიქვნელობს, ანდა მრისხანედ მბრძანებლობს. თავისუფლებისა კი, — მათ შორის რომ დევს — არც მიღება შეუძლია და არც სარგებლობა. ყოველთვის არიან ბოროტებისა და რისხვის მსახურნი, რომლებიც უზომოდ სისხლმოწყურებულთ სისხლის დასანთხევად აქეზებენ. მაშინ მმართველებმა დაუყოვნებლივ წამოაყენეს კანონი: მთელი სამეფო კარი სიკვდილით დაესაჯათ. ხალხმა მაშინვე მიიღო იგი, მოკლეს დამარატა, ჰიერონის ასული და ადრანოდორის მეუღლე, და ჰარმონია, ჰიერონის შვილიშვილი, თემისტეს მეუღლე.

ჰიერონს კიდევ ჰყავდა ერთი ასული, ჰერაკლეა. მისი ქმარი, ზოიპი ჰიერონიმემ ეგვიპტის მეფე პტოლემეოსთან ელჩად გაგზავნა. ზოიპს სძულდა ტირანი და ამიტომ ნებაყოფლობით განდევნილი, იქვე დარჩა. ჰერაკლემ წინდაწინ შეიტყო, რომ მკვლევები მასთან მოდიოდნენ. მან თავის ორ სრულიად ნორჩ ქალიშვილთან ერთად ოჯახის ღმერთების საკურთხეველთან მუხლი მოიყარა. თმაგაშლილი და თვალცრემლიანი იგი ღმერთებსა და თავის მამის — ჰიერონის სულს აფიცებდა მკვლევებს, რომ ჰიერონიმესადმი სამართლიანი სიძულვილი უდანაშაულოთა მიმართ არ გამოეჩინათ — ჰიერონიმეს მორჩილების დროს მე დავკარგე მეუღლე და ჩემმა ქალიშვილებმა — მამა! ადრანოდორის მორჩილების დროს მისი ზრახვები რომ ასრულებულიყო, სხვებთან ერთად მეც მისი მონა გავხდებოდი. ახლა ჩვენ უნდა დავიხრცოთ! რატომ? რა საშიშროებას უქადის სახელმწიფოს, თავისუფლებას ანდა

კანონებს სამი უძწეო და შარტოხელა ქალი? თქვენთვის, თუ ჩვენ კი არა, ჩვენი სამეფო გვარია საშიში, გაგვიშვით, ნება მოგვეცით ალექსანდრიაში წავიდეთ, ცოლი — ქმართან, შვილები — მამასთან.

მკვლევები თითქოს დაყრუვდნენ. მაგრამ ვილაცამ იყვირა, დროს ტყუილად ნუ ვკარგავთო, ვილაცამ მახვილი იშიშვლა, მაშინ, ჰერაკლეა შეევედრა, გოგონები მაინც დაინდეთ, ისინი ისე პატარები არიან, რომ ომში მტერიც არ აღმართავს ხელსო.

და იგი დადუმდა, რადგან მკვლევებმა საკურთხეველთან გამოათრიეს და ყელი გამოსჭრეს. შემდეგ გოგონებს ეცნენ, დედის სისხლით რომ იყვნენ მოთხვრილნი. შიშისა და თავზარისაგან შეშლილი ბავშვები მკვლევებს გაუსხლტდნენ და სახლში სირბილი დაიწყეს. მკვლევები დაედევნენ, მაგრამ კარგა ხანს ვერ დაიჭირეს. ბოლოს ბავშვებმაც სული დალიეს. მათი სიკვდილი მით უფრო საზარელი და შესაბრაალისი იყო, რომ თითქმის იმავე წამს შიკრიკი მოვიდა და ბრძანება მოიტანა, დასჯა შეაჩერეთო. ხალხის რისხვა უკვე დამცხრალიყო და სიბრალულით შეცვლილიყო. სიბრალული ისევე რისხვად გადაიქცა, როცა შიკრიკი დაბრუნდა და ხალხს ამცნო, ყველაფერი დამთავრებულია. ხალხი ღრიალებდა და მანამ არ დაიშალა, სანამ აღრანოდორის და თემისტეს სანაცვლოდ ახალი მმართველების არჩევნების დღე არ დაინიშნა.

ხანმოკლე თავისუფლების დასასრული

როცა არჩევნების დღე დადგა, ვილაცამ უკანა რიგებიდან ჰიპოკრატეს სახელი წამოიძახა, ვილაცამ კიდევ ეპიკიდესი და მალე თითქმის მთელი მოედანი ერთხმად ამ სახელებს იმეორებდა. დანარჩენი მმართველები თავდაპირველად ყურს იყრუებდნენ, თითქოს ყვირილი არ ესმოდათ, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ, ეცნოთ და დაემტკიცებინათ ხალხის რჩეულნი. საქმე ის იყო, რომ მოედანზე მოგროვდნენ არა მარტო სირაკუზელი მოქალაქეები, არამედ დაქირავებულ

ქარისკაცთა დიდი რაოდენობა, რომის მოღალატეები, რომლებმაც თავშესაფარი სიცილიაში იპოვეს. მათ ეწინოდათ რომთან კავშირისა და ამიტომ იყო, რომ ჰანიბალის წარმოგზავნილებს უჭერდნენ მხარს.

მაგრამ ელჩები მარცელუსთანაც მივიდნენ, რომელიც უკვე ჩამოსულიყო სიცილიაში. ელჩებმა მას უწინდელი ხელშეკრულების აღდგენა სთხოვეს. ჰიპოკრატემ და ეპიკიდემ ვერ შეძლეს მათთვის ხელი შეეშალათ. მარცელუსმა მოუსმინა სირაკუზელებს და საპასუხო ელჩები გაგზავნა, მაგრამ ამასობაში მდგომარეობა შეიცვალა. კართაგენის ფლოტი პახინს¹ მოადგა, ეპიკიდეს და ჰიპოკრატეს ძველი რწმენა დაუბრუნდათ და აშკარად განაცხადეს, დიდებულები სირაკუზს ღალატობენ და რომს აძლევენო. ამასობაში სრულიად უდროოდ დროს ნავსადგურის მისადგომებთან ღუზა ჩაუშვეს რომის გემებმა, — რომაელებს თავიანთი მომხრეების გამხნეება სურდათ, — ხალხი ნაპირს მიაწყდა, რომ დაუპატიჟებელი სტუმრების გადმოსხმისათვის ხელი შეეშალა.

კართაგენისა და რომის პარტიებს შორის განხეთქილება ისე გამწვავდა, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ამბოხება. ხელახლა მოიწვიეს სახალხო კრება და ქალაქის ერთ-ერთმა პირველმა ადამიანმა სახელად აპოლონიდემ წარმოთქვა უაღრესად დროული და გონივრული სიტყვა:

— თუ ჩვენ ერთსულოვნად დავიჭერთ რომაელების ან კართაგენელების მხარეს, დედამიწის ზურგზე ჩვენზე ბედნიერ და ნეტარ ქვეყანას ვერსად იპოვით. მაგრამ, თუკი თითოეული თავისას დაიყინებს, მაშინ სირაკუზელებს შორის უფრო სასტიკი ომი ატყდება, ვიდრე რომსა და კართაგენს შორისაა გაჩაღებული. ჩვენი მთავარი ამოცანა ურთიერთთანხმობაა, ხოლო ვისთან დავდოთ კავშირი — ეს განსაკუთრებული და ამავე დროს გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხია. მე მაინც გირჩევთ, ჰიერონის გზას გავყოლოდით და არა ჰიერონიმესას. გარდა იმისა, რომ რომაელები ჩვენი დიდიხნის ნაცადი მოკავშირეები არიან, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ მეგობრობის გაწყვეტა დაუსჯელად არ ჩაივლის. თუკი ჩვენ კართაგენელე-

¹ პახინის კონცი — სიცილიის უკიდურესი სამხრეთი.

ბის ძეგობრობაზე უარს ვიტყვით, ამას დაუყოვნებლივ ომი არ მოჰყვება.

აპოლონიდეს სიტყვამ თავისი მიუყერძობლობით ორივე პარტიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და კარგა ხნის ცხარე კამათის შემდეგ დაადგინეს, რომაელებთან კავშირი შეენარჩუნებინათ, რაც მარცელუსსაც აცნობეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ლეონტინელთა ელჩები მოვიდნენ და თავიანთი საზღვრების დასაცავად სამხედრო ძალები ითხოვეს. ლეონტინს თავს დაესხა ჰიპოკრატე რომის მოღალატე რაზმით, რომელსაც პირადი სურვილით დაქირავებული ჯარისკაცებიც შეუერთდნენ. ამ ლაშქრობით გახარებულნი იყვნენ ქალაქის ხელისუფალნიც და ჰიპოკრატეც თავისი ძმითურთ. ერთნი იმიტომ, რომ ქალაქი იწმინდებოდა ყველაზე საშინელი ნაძირალებისაგან, ხოლო მეორენი იმიტომ, რომ გრძნობდნენ დიდი ხნის ჩაფიქრებული გადატრიალების მოახლოებას.

ჰიპოკრატე რამდენჯერმე დაესხა თავს რომის სამფლობელოებს, — მართალია, მალულად, — და როცა მარცელუსის ლეგატმა აპიუს კლავდიუსმა შეიარაღებული გუშაგები დააყენა, კართაგენელი დაუფარავად დაესხა და ბევრნიც დახოცა. მარცელუსმა მაშინვე სირაკუსს შეატყობინა, ზავი დარღვეულია და მანამდე არ აღდგება, სანამ ჰიპოკრატე და ეპიკიდე სიცილიის ფარგლებს არ დატოვებენო. ეპიკიდეს არ უნდოდა ძმის მაგიერ პასუხის გაცემა და მასთან ლეონტინში გაიქცა. როცა დაინახა, რომ აქ ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი რომის წინააღმდეგ იყო ამბოხებული, შეეცადა ისინი სირაკუზელების წინააღმდეგ აემხედრებინა.

— მათ სურთ შეინარჩუნონ ბატონობა ყველა იმ ქალაქზე, რომელიც წინათ მეფეს ემორჩილებოდა, — ამბობდა იგი. — სწორედ ამ პირობით დადეს ზავი რომაელებთან. მათ საკუთარი თავისუფლება ეცოტავებათ, სხვისი ბედის ბატონ-პატრონობაც თვითონ უნდათ! მაგრამ ლეონტინელებს მათზე ნაკლები უფლება როდი აქვთ, თავისუფალნი იყვნენ. ტირანი ხომ თქვენს მიწაზე დაეცა, პირველად ხომ თქვენს ქუჩებში გაისმა თავისუფლებისაკენ მოწოდება. ან მათ უნდა სცნონ თქვენი დამოუკიდებლობა, ანდა თქვენ უნდა თქვათ უარი მათ ხელშეკრულებაზე!

ამ წაქეზებამ თავისი ქნა და, როცა ლეონტინში სირაკუზელი ელჩები ჩავიდნენ და მოითხოვეს, რომ გუშაგთა ზოცვა-ცდების მოთავეებმა ჰიპოკრატემ და ეპიკიდემ ლეონტინი და, საერთოდ, სიცილია დატოვონო, მათ კანდიერად უპასუხეს, ლეონტინელებს არ დაუვალეზბიათ სირაკუზელებისათვის მათ მაგივრად ზავი შეეკრათ და კავშირი დაედოთ ვისთანაც არ უნდა იყოს, ზოლო სხვისი ხელშეკრულების დაცვა არ გვევა-ლებათ. მაშინ სირაკუზელებმა რომაელებს აცნობეს, ლეონტი-ნელებმა მორჩილებაზე უარი თქვეს და რომაელები ეო-მონო.

მარცელუსი და აპიუსი ლეონტინელებს ორი მხრიდან შე-მოადგნენ. მეომრებმა, რომლებსაც დახოცილი ამხანაგების სისხლის აღება ეწადათ, პირველი დარტყმისთანავე აიღეს ქა-ლაქი. ჰიპოკრატე და ეპიკიდე, სიმაგრეში ჩაიკეტნენ და ღამით ჩუმად გაიპარნენ მანლობელ ქალაქ ჰერბესში. სირაკუზელები რვაათასიანი რაზმით ჰერბესისაკენ დაიძრნენ და გზაში ლეონ-ტინიდან მომავალ შიკრიკს შეხვდნენ, რომელმაც ტყუილი მარ-თალში აურიბა, — სირაკუზელებს უთხრა, რომაელებმა მეომ-რებიც დახოცეს და მოქალაქეებიც, განურჩევლად ყველანი! — ზოლო ქალაქი გაძარცვესო (სინამდვილეში კი მათ გაროზგეს და თავი მოჰკვეთეს მოღალატეებს, დაახლოებით ორ ათას კაცს, მაგრამ არც დაქირავებული ჯარისკაცები, არც ქალაქე-ლები, არც მათი ქონება არ დაზარალებულა ლეონტინის აღე-ბის შემდეგ). რაზმი გაჩერდა. ვერავითარი ძალა ვერ აიძუ-ლებდა ახლა მათ გზა განეგრძოთ, ანდა უფრო სარწმუნო ცნო-ბებს დალოდებოდნენ. მეომრები რომაელებს ბრალს სდებ-დნენ მუხანათობაში, თავიანთ მეთაურებს კი — გამცემლობაში. მეთაურებს ბუნტის შეეშინდათ და ამჯობინეს, ღამის გასათე-ვად მუზობელ მეგარაში გაჩერებულოყვნენ.

ღილაადრიან ჯარი ისევ ჰერბესისაკენ დაიძრა. ჰიპოკრა-ტესა და ეპიკიდეს ესმოდათ, რომ მათი მდგომარეობა უიმედო იყო და უკიდურეს გამოსავალს მიმართეს — ჩაბარებოდნენ სირაკუზელ მეომრებს, რომლებიც ძმებს კარგად იცნობდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ამხანაგების სიკვდილის ცნობას შეეძრწუნებინა სირაკუზელები. და აჰა, ისინი რაზმთან შესახ-ვედრად გამოვიდნენ. კოლონის თავში შემთხვევით აღმოჩნდა

ექვსასი კრეტელი მშვილდოსანი, რომლებიც უწინ რომაელებთან მსახურობდნენ და სიცოცხლეს ჰანიბალს უმადლოდნენ: ისინი ტრაზიმენის ტბასთან ტყვედ ჩავარდნენ და ჰანიბალმა გაათავისუფლა. ჰიპოკრატემ და ეპიკიდემ მათკენ ხელები გაიშვირეს, ზეთისხრლის ტოტები დააქნიეს, როგორც განსაცდელში მყოფთ შეჰფერით და ყვირილი მორთეს, შეგვიფარეთ, ჩვენ თავს სირაკუზელებს ნუ ჩაუგდებთ, რომლებიც მზად არიან თავიანთი დაქირავებული ჯარისკაცები დასასჯელად რომაელ ხალხს გადასცენო.

კრეტელებმა ერთხმად უპასუხეს:

— გამაგრდით! — თქვენი ბედი ჩვენი ბედიცაა!

მებოძირაღენი და მათთან მთელი მოწინავე რაზმი შეჩერდა. უფროსები კოლონის ბოლოში იყვნენ და არ იცოდნენ, რაზმი რატომ გაჩერდა. მაგრამ ერთმა მეომარმა მეორეს უთხრა, ჰიპოკრატე და ეპიკიდე ჩვენს რიგებშიაო და მწყრივები მხიარულად აგუგუნდა. უფროსებმა ცხენებს დეზი ჰკრეს და წინ გააქნეს. მათ კრეტელები საყვედურებით აიკლეს (ეს რა წესია, რა თავგასულობაა, მტერთან მეგობრულად რომ საუბრობთო) და ბრძანეს, ძმები დაეპატიმრებინათ, ხოლო ჰიპოკრატესთვის ახლავე ბორკილები დაედოთ. კრეტელები ბრძანებას დაცინვითა და მუქარით შეხვდნენ, მათ მთელმა ჯარმა დაუჭირა მხარი. უფროსებმა დაინახეს, რომ ძალდატანება არა თუ უშედეგო, საშიშიც კი იყო. შეშინებულებმა და დაბნეულებმა თავიანთი ურჩი ხელქვეითები უკანვე, მეგარაში წაიყვანეს, ხოლო სირაკუზში შიკრიკი გაგზავნეს მოხსენებით.

ამ დროს ჰიპოკრატე ტყუილს ტყუილზე ჩმახავდა. მან რამდენიმე კრეტელს უბრძანა, გზაზე ჩასაფრებოდნენ შიკრიკს და დაეჭირათ, მერე ხმამაღლა წაიკითხა ვითომდა შიკრიკისგან წართმეული წერილი, სინამდვილეში კი ყოველივეს თვითონვე თხზავდა:

„სირაკუზელი უფროსები მოგესალმებიან კონსულ მარკელუსს.

შენ სავსებით სწორად მოიქეცი, არცერთი ლეონტინელი რომ არ დაინდე. ყველა დაქირავებული ჯარისკაცი ერთნაირია. სირაკუზში მშვიდობა მანამ არ დამყარდება, სანამ თუნდაც ერთი მათგანი იბოგინებს ჩვენს ქალაქსა და ჩვენს ჯარში. შე-

ეცადე, ხელთ იგდო ისინიც, ვინც მეგარასთან დაბანაკდა, სიკვდილით დასაჯე და საბოლოოდ გაათავისუფლე სირაკუზი“.

როგორც კი წერილის შინაარსი მოისმინეს, ჯარისკაცები ისეთი გამძვინვარებითა და ღრიალით. ეცნენ იარაღს, რომ უფროსებს არც კი უცდიათ თავის მართლება, ისე გაიქცნენ სირაკუზში. მაგრამ მათმა გაქცევამ როდღი დაამშვიდა დაქირავებული ჯარისკაცები. ისინი თავს დაესხნენ სირაკუზელ მეომრებს და ყველას ამოხოცავენ, ჰიპოკრატე და ეპიკიდე იქ რომ არ ყოფილიყვნენ. მათ შეძლეს განრისხებული ჯარისკაცების დაშოწმინება. რა თქმა უნდა, ადამიანობით, სიბრალულით კი არ მოსვლიათ, არამედ მხოლოდ იმით, რომ თვით მათ არ დახშობოდათ სირაკუზის კარი. ბოლო დღე-ღამემ განსაკუთრებით თვალნათლივ დაანახვა ჰანიალის მოციქულებს, რა ფიცხია ბრბო და როგორ ადვილად იჭერებს ყველაფერს. მათ მოისყიდეს ერთი ჯარისკაცი, რომელიც იერიშის დროს ლეონტინში იყო. მას უნდა ეამბნა, როგორც თვითმხილველს, ლეონტინში რომაელების „სიმხეცის“ ამბები.

მათი ვარაუდი გამართლდა. „თვითმხილველმა“ ააღელვა და ააფორიაქა არა მარტო ხალხი, არამედ საბჭოც. თვით დარბაისელი ხალხიც კი ამბობდა: კარგია, რომ რომაელთა სიხარბე და სისასტიკე ლეონტინში გამოძედა. სირაკუზში უთუოდ იგივე მოხდებოდა, ანდა, უფრო უარესიც, რადგან სიხარბისათვის აქ ასპარეზიც მეტია და ჯილდოც. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ჭიშკარი ჩაეკეტათ და ქალაქი გულმოდგინედ დაეცვათ. მაგრამ ვისგან? ჯარისკაცებს და ხალხის უმეტესობას მიაჩნდათ, დაეცვათ რომაელებისაგან, ხოლო ქალაქის მმართველებს და ხალხის მცირე ნაწილს მიაჩნდათ, რომ ქალაქში არ შემოეშვათ ჰიპოკრატე და ეპიკიდე, რომლებიც უკვე ჰექსაპილესთან¹ იდგნენ. მაგრამ ნათესავებმა იმ სირაკუზელი მეომრებისა, რომლებიც მათმა გამოსარჩლებამ იხსნა, ჰექსაპილეს ერთ-ერთი ჭიშკარი გააღეს, რათა, როგორც ისინი ამბობდნენ, საერთო ძალით დაეცვათ ყველასათვის საერთო სამშობლო. ქალაქის მმართველები ჩაერივნენ, მაგრამ არც ბრძანებამ,

¹ჰექსაპილე (ბერძნულად „ექვსკარა“, ანუ ექვსღობიანი ჭიშკარი) — ქალაქის მთავარი კარიბჭე სირაკუზის ჩრდილო გალავანში. აქ იწყებოდა ლეონტინისაკენ მიმავალი გზა.

არც მუქარამ არ გასჭრა. მაშინ მათ დაივიწყეს თავიანთი ღირსება და თვალცრემლიანებმა დაუწყეს მოქალაქეებს მუდარა, არ მიეცათ სირაკუზი ტირანის ყოფილი მსახურებისა და ჯარის ახალი გამხრწნელებისათვის. ბრბოს არც არაფერი ესმოდა და არც სურდა მოსმენა. ჭიშკარს ისეთი გააფთრებით დასცხეს შიგნიდან, როგორი გააფთრებითაც ურტყამდნენ გარედან და ეპიკიდესა და ჰიპოკრატეს რაზმი ეჭვსივვე ღიობიდან ქალაქში შეიჭრა.

მმართველები აქრადინში გაიქცნენ. დაჭირავებული ჯარისკაცები რომაელ მოლალატეებს და მეფის მცველთა ნარჩენებს შეუერთდნენ, აქრადინში შეიჭრნენ და თითქმის ყველა მმართველი მოკლეს. ხოცვა-ელეტა მხოლოდ ღამემ შეწყვიტა.

მეორე ღღეს გამოცხადდა, მონებს თავისუფლება ენიჭებოდა და დამნაშავეები ციხეებიდან გამოუშვეს. ეს ნაყარნუყარი ხალხი ქალაქის მოედანზე შეგროვდა და ქალაქის მმართველბად ჰიპოკრატე და ეპიკიდე აირჩია. ამრიგად, ხანმოკლე თავისუფლების შემდეგ სირაკუზს ისევ ძველი მონობის უღელი დაედგა.

რომაელები სასწრაფოდ დაიძრნენ ლეონტინიდან სირაკუზისაკენ და ოლიმპიელი ზევსის ტაძართან, ქალაქიდან ორიოდე კილომეტრის მანძილზე დაბანაკდნენ. აქედან მარცვლუსმა ერთხელ კიდევ — უკანასკნელად — გაუგზავნა ელჩები ყოფილ მოკავშირეებს, მაგრამ ჰიპოკრატესა და ეპიკიდეს არ უნდოდათ ელჩები ხალხში გამოჩენილიყვნენ და მათ შესახვედრად გალაენიდან გამოვიდნენ. ელჩების მეთაურმა თქვა:

— ჩვენ სირაკუზელებთან საომრად კი არ მოვედით, არამედ დასახმარებლად. ვებსმარებით იმათაც, ვინც სიკვდილს გადარჩა და თავშესაფარი რომის სამფლობელოებში ჰპოვა და იმათაც, ვინც შიშისაგან ზარდაცემულია და მონობას ითმენს, რაც განდევნაზეც მწარეა და თვით სიკვდილზეც. მაშ, თუკი ლტოლვილებს უკან დაბრუნების საშუალება ექნებათ, თუკი მკვლელობის მოთავეებს გასცემთ, ხოლო სირაკუზში თავისუფლებას და სამართალს აღადგენთ, ჩვენ მახვილს არ ვიშიშვლებთ და უკან გავბრუნდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერაფერი დაგვაკავებს.

ეპიკიდემ მოკლედ უპასუხა:
— სირაკუზი ლეონტინი როდია. თქვენ ამაში მალე დაარ-
წმუნდებით.

შტურმს არქიმედე იბერიებს

რომაელებმა სირაკუზზე შეტევა ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად დაიწყეს. იმედოვნებდნენ, რომ თავდაცვას რომელიმე ადგილას მაინც გაარღვევდნენ და შეაღწევდნენ ამ ვეება და ვრცლად გადაჭიმულ ქალაქში. მათ გალავანთან მიავიგორეს სააღყო მანქანები და ფილთამეხები, რომელიც კი ჰქონდათ ან ააგეს. ალბათ, მიზანს მიაღწევდნენ, რომ იმ ხანად სირაკუზში არ ყოფილიყო კაცი, სახელად არქიმედე.

არქიმედემ შესანიშნავად იცოდა ასტრონომია, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დიდება სამხედრო მანქანების აგებით მოიპოვა, სწორედ მისმა მანქანებმა გაუცრუა მოალყეებს ყველა იმედი, ნაცარტუტად აქცია ყოველი მათი ცდა.

აქრადინის სიმაგრეს ზღვა ეკვრის. სწორედ ამ სიმაგრეს მიაღმა სამოცი ხომალდი, რომელთაც ხუთ მწყრივად განლაგებული ნიჩბები ჰქონდა. მსუბუქი ქვეითი ჯარის — მშვილდოსნების, მეშურდულეების და ხელშუბების მტყორცნელთა იარაღი მომაკვდინებელ სეტყვასავით დაატყდა თავს ქალაქის დამცველებს და გალავნიდან ჩამოყარა. ხომალდები, რომლებზედაც ქვეითი ჯარი იმყოფებოდა, ნაპირიდან შორიანხლოს იდგა, რადგან სატყორცნი ჭურვისათვის სივრცე იყო საჭირო. დანარჩენი ხომალდები, ნაპირს მიაყენეს, იქ ორ-ორი ხომალდი ერთმანეთს ჭიმებით გადააბეს, ზედ რამდენიმე სართულიანი კოშკები აღმართეს, ხოლო კოშკებში ტარანები დადგეს.

მაგრამ არქიმედემ გალავანზე წინდაწინ განალაგა სხვადასხვა ზომის მანქანები. ნაპირიდან მოშორებით მდგარ სიმაღლეებს უზარმაზარი და უმძიმესი ქვები დაუშინეს, ნაპირთან ახლოს მდგართ კი — უფრო მსუბუქი, სამაგიეროდ, უფრო მალ-მალე ესროდნენ. თავისიანები მტრის ჭურვებისაგან რომ დაეფარა, არქიმედემ სხვადასხვა სიმაღლეზე, დაახლოებით, ნახევარმეტრიანი სამიზნეები გამოაჭრევინა. სირაკუზელები

მტრებს მშვილდსა და მცირე ლოდსატყორცნებს ესროდნენ, თვითონ კი უხილავნი იყვნენ! თუკი ხომალდი ნაპირთან ახლოს მიცურდებოდა, იქ, სადაც ქვეები ვერ მისწვდებოდა, გალავნიდან ჩამოუშვებდნენ მსხვილ ჯაჭვზე ჩამოკიდებულ რკინის კავეებს და ხომალდის ცხვირს ამოსდებდნენ, შემდეგ ბერკეტებისა და ტყვიის საპირწონეების საშუალებით ხომალდს მაღლა ასწევდნენ და ისევ გაუშვებდნენ. გემი ძირს ეცემოდა, ან მაშინვე იძირებოდა, ანდა იმდენი წყლით ივსებოდა, რომ ზედაპირზე ძლივძლივობითლა ტივტივებდა.

როცა რომაელები ზღვიდან უკუაგდეს, მარცელუსმა მთელ ძალებს ხმელეთზე, ჰექსაპილესთან მოუყარა თავი, მაგრამ რომაელები აქაც იმავე მანქანებს გადააწყდნენ და არანაკლები რაოდენობით. ამ მანქანებს ჯერ კიდევ ჰიერონის დროს აგებდნენ კარგა ხნის განმავლობაში. მეფე მზრუნველობას არ აკლებდა და ხარჯებს არ იშურებდა, არქიმედე კი — თავის საკვირველ ოსტატობას. გალავანი ძლიერ ციცაბო კლდეებზე იყო ამოყვანილი, რომელზედაც უიარალო ადამიანსაც კი გაუჭირდებოდა ასვლა მშვიდობიანობის დროს. მარცელუსმა სამხედრო საბჭო მოიწვია და გადაწყვიტა, უშედეგო შტურმისათვის თავი დაენებებინათ და შედეგიან ალყაზე გადასულიყვნენ.

ბრძოლა სიცილიისათვის

მარცელუსმა სირაკუზთან ბანაკში ჯარის ორი მესამედი დატოვა, დანარჩენი მესამედით ის ქალაქები შემოიარა, რომლებმაც რომთან კავშირს უღალატეს. ამათგან ზოგიერთი ქალაქი მარცელუსს თვითონვე დაემორჩილა, ბევრს კი ძალით აიღო, გაძარცვა და დაანგრია, უფრო იმიტომ, რომ სირაკუზელები დაეშინებინა, მაგრამ დაახლოებით ამავე დროს სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე კართაგენელებმა ჰიმილკონის მეთაურობით გადმოსხეს ოცდახუთი ათასი ქვეითი ჯარი, სამი ათასი ცხენოსანი ჯარი და თორმეტი ჰეომარი სპილო (როცა ჰიპოკრატემ სირაკუზში ხელთ იგდო ძალაუფლება, ჰიმილკონი, რომელიც ამ დროს ფლოტთან ერთად პახინთან იდგა, კართა-

გენში წავიდა და სენატი დაარწმუნა, სიცილიაში უფრო ძეტი მეთიარაღებული ძალები გაეგზავნათ, თან შეჰპირდა, მოკლე ხანში კუნძულს მთლიანად დაეპყრობო). ნაპირზე გადმოსხდომიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, მან აიღო აგრიგენტი¹. ყველა ქალაქს, რომლებიც პუნებს თანაუგრძნობდა, იმედი მიეცა, რომაელებს სიცილიიდან გააძევებენო.

თავი წამოჰყვეს სირაკუზელმა ალყაშემორტყმულებმაც. ჰიპოკრატემ და ეპიკიდემ ჯარი გაიყვეს. ეპიკიდე ქალაქში დარჩა, რომ თავდაცვა გაეგრძელებინა, ხოლო ჰიპოკრატე ათიათასიანი ქვეითი და ხუთასი ცხენოსანი ჯარით ღამე ქალაქიდან გავიდა და დაუბრკოლებლად გაიარა მტრის მეჩხერი საყარაულ პოსტები. იგი ვარაუდობდა ჰიმილკონს შეერთებოდა. ხანგრძლივი და დამქანცველი სვლის შემდეგ ჰიპოკრატეს ჯარი დაბანაკებას შეუდგა, რომ მოულოდნელად მარცელუსი გამოჩნდა. იგი სირაკუზში ბრუნდებოდა მას მერე, რაც აგრიგენტი ვერ აიღო. მარცელუსი დიდი სიფრთხილით მოდიოდა, ჯარი საბრძოლველად მზად ჰყავდა, რადგან კართაგენელებთან უეცარ შეხვედრას უფრთხობდა. ამ სიფრთხილემ დიდი სამსახური გაუწია. რომაელები თვალის დახამხამებაში თავს დაესხნენ სიცილიელებს, რომლებიც უდარდელად ტრიალებდნენ თავიანთ კარვებთან, და მტრის ქვეით ჯარს ალყა შემოარტყეს. ჰიპოკრატემ ცხენოსან ჯართან ერთად თავს უშველა და ცოტა ხნის შემდეგ ჰიმილკონი მოძებნა. იგი სირაკუზიდან თორმეტი კილომეტრის დაშორებით კართაგენელებთან ერთად დაბანაკდა.

რომიცა და კართაგენიც განაგრძობდნენ სიცილიაში დამხმარე ძალების გაგზავნას, თითქოს საომარი მოქმედების მთავარმა თეატრმა იქ გადაინაცვლა. ორმოცდათხუთმეტი პუნიური ხომალდი შევიდა სირაკუზის დიდ ნავსადგურში. სიცილიაში ჩავიდა აგრეთვე რომის ერთი ლეგიონი და სანაპიროთი, რომელსაც ფლოტი იცავდა, აპიუს კლავდიუსის ბანაკს მიაღწია. ლეგიონმა მშვიდობიანად აუარა გვერდი ჰიმილკონს, რომელიც ცდილობდა მოწინააღმდეგე გზაში დაეჭირა.

სირაკუზთან კართაგენელები დიდხანს არ დარჩენილან.

¹ აგრიგენტი — დიდი საპორტო ქალაქი სიცილიის სამხრეთით.

ფლოტის უფროსმა ბომილკარმა შეიტყო, რომაელებს ჩვენზე ორჯერ მეტი ხომალდი ჰყავთო და დრო ტყუილად რომ არ დაეკარგა, აფრიკაში გაბრუნდა. ჰიმილკარმა კი დაახლოებით ისეთივე გადაწყვეტილება მიიღო, როგორც ცოტათი ადრე მარცელუსმა: ქალაქიდან ქალაქში გადასულიყო და ისინი რომის ლალატზე დაეთანხმებინა... ჩანაფიქრი შედეგიანი გამოდგა. ბევრ ადგილას მცხოვრებლები რომის რაზმებს დევნიდნენ, ანდა, მტერს ვერაგულად ხელში უგდებდნენ.

დანაშაული თუ თავდაცვის აუცილებელი ჯოგა?

ქალაქი ჰენა მაღალ, ციცაბო გორაკზე მდებარეობს და თვით ბუნების მიერ კარგადაა გამაგრებული. მაგრამ მარტო ხელსაყრელი პოზიციის წყალობით როდი იყო იგი მიუვალი, ამ სიმაგრეში იდგა ძლიერი გარნიზონი, რომელსაც ლუციუს პინარიუსი მეთაურობდა. იგი ისედაც გამჭრიახი და გაბედულნი კაცი იყო და მუდამ თავისი ჯარისკაცების იმედი უფრო ჰქონდა, ვიდრე სიცილიელების ერთგულებისა. ახლა კი სხვადასხვა მხრიდან მოსულმა საგანგაშო ხმებმა გააორკეცა მისი ჩვეულებრივი წინდახედულება. დღითა და ღამით ყველგან მცველები იდგნენ, გუშაგები არც ერთ წუთს არ ტოვებდნენ საგუშაგოებს და ხელიდან არ უშვებდნენ იარაღს. როცა ქალაქის მმართველები, რომლებმაც ჰიმილკონთან შეთქმულება წამოიწყეს, დარწმუნდნენ, რომ ეშმაკობით რომაელებს ვერ აჯობებდნენ, მაშინ დაუფთარავად დაიწყეს მოქმედება. მათ პინარიუსს განუცხადეს, ქალაქიცა და ციხესიმაგრეც ჩვენს ძალაუფლებას უნდა დაემორჩილოს, ჩვენ ხომ რომაელების მოკავშირეები ვართ და არა ტყვეები. მაშასადამე, ჭიშკრის გასაღები ჩვენ უნდა გვქონდესო.

მაშინ რომაელმა უპასუხა, ციხესიმაგრეცა და მისი გასაღებიც მთავარსარდალმა, კონსულმა მარცელუსმა ჩამაბარა, ამიტომ არ შემოძლია ვიმოქმედო არც ჩემი, არც ჰენის მოქალაქეთა შეხედულებით. კონსული ახლოსაა, მოქალაქეებმა გაუგზავნონ ელჩები და ყოველივეს თვითონ გადაწყვეტსო.

— არა, არაეის არსად არ გავგზავნით, ან მშვიდობიანად დაგვთანხმდით, ანდა თავისუფლების დასაცავ სხვა საშუალებას გამოცნახავთ, — მიუგეს.

ამაზე პინარიუსმა ასეთი პასუხი გასცა:

— მაშინ სახალხო კრება მაინც მოიწვიეთ და ნება მომეცით სიტყვა წარმოვთქვა. მე მსურს გავიგო, ვისი მოთხოვნაა ეს, მთელი ქალაქის თუ უკმაყოფილოთა მცირე ჯგუფის.

ციხესიმაგრეში დაბრუნებულმა პინარიუსმა მეომრებს სიტყვით მიმართა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რაც ახლა სიცილიაში ხდება. თუკი თქვენ ცოცხალნი და უვნებელნი ხართ, ეს, უპირველეს ყოვლისა, ღმერთების წყალობითაა, ხოლო შემდეგ — საკუთარი მამაცობისა და გამძლეობის მიზეზით. რა ბედნიერება იქნებოდა, ასე რომ გავრძელებულიყო. მაგრამ ქალაქის ხელისუფლებამ კადნიერად მოითხოვა გასაღები ციხე-სიმაგრისა. მივცემთ თუ არა, კართაგენელები მაშინვე ჰენაში გაჩნდებიან და ამოგვხოცავენ. ძლივს მომცეს ერთი ღამე მოსაფიქრებლად. ხვალ განთიადისას, თეატრში¹ შეგროვდებიან და ხელისუფლება ხალხს ჩვენს წინააღმდეგ წააქეზებს. ხვალისათვის ჰენა ან ჩვენი სისხლით მოირწყვება, ან საკუთარი მოქალაქეების სისხლით. ვინც პირველი გააშიშვლებს მახვილს, ის გადარჩება, ვინც დაავიანებს — დაიღუპება. მაშ, ხვალ დილას მზად იყავით და ჩემს ნიშანს ელოდეთ. მე ტოვის კალთით მოგცემთ ნიშანს, თქვენ მაშინვე დაერიეთ ხალხს და ყველა ამოხოცეთ. გახსოვდეთ, რომ ცოცხალი არ უნდა დარჩეს ამბოხების არცერთი მოთავე, არც საექვო ვინმე. უკვდავო ღმერთებო, იყავით მოწმენი, ვერაგობას იმიტომ ჩავდივართ, რომ ვერაგობის მსხვერპლნი თვითონვე არ გავხდეთ.

მეორე დღეს, რომაელებმა ჰენას ყველა გასასვლელი ჩაკეტეს, ყველა გზა გადაკრეს, ხოლო რაზმის ძირითადი ნაწილი თეატრის ზემოთ ჩასაფრდა². ამისათვის ყურადღება არაეის მიუქცევია, რადგან გარნიზონის ჯარისკაცები ცნობისმოყვარეო-

¹ ბერძნულ ქალაქებში თეატრი სახალხო კრების მოწვევის ჩვეულებრივი ადგილი იყო.

² ძველბერძნულ თეატრში მაყურებლებისათვის სკამებს ბორცვის ამ მთის ფერდობებზე ნახვარწრედ ჰრიდნენ.

ბის გამო ხშირად უყურებდნენ ზემოდან სხდომებსა და თათბირებს. კრება გაიხსნა. პინარიუსი გამოვიდა და ყველაფერი გაიმეორა, რაც წინა დღით ხელისუფალთ უთხრა. სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ვილაცამ დაიყვირა:

— გასაღები დაგვიბრუნე!

ყვირილი ისევ გამეორდა. ყვიროდნენ ხმამაღლა, შეთანხმებულად. მალე მთელი თეატრი ერთხმად ღრიალებდა:

— გასაღები დაგვიბრუნე! გასაღები დაგვიბრუნე!

რომაელი სარდალი არ ჩქარობდა. პასუხს გაურკვეველად, ბუნდოვნად იძლეოდა. მოქალაქეები ადგილებზე ვერ ჩერდებოდნენ, ხშირად წამოხტებოდნენ, იმუქრებოდნენ. ცხადი იყო, ჩქარა სიტყვიდან საქმეზე გადავიდოდნენ. მაშინ პინარიუსმა დაიქნია ტოგის კალთა და მეომრები, მას თვალს რომ არ აშორებდნენ, ძირს დაქანდნენ და შეკრებილებს ზურგში დასცხეს.

დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა. რომაელები ყველას ხოცავდნენ, თეატრში სასოწარკვეთილი ყვირილი ისმოდა, ცდილობდნენ გაქცეულიყვნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ეცემოდნენ, დახოცილები გროვად ეყარა, მკვდრები ცოცხლებში იხვენენ არეულნი, დაქრილები — ჯანსაღებში.

როცა თეატრში მკვდრებისა და მომაკვდავების მეტი აღარაინ დარჩა, ხოცვა-ჟლეტა ქალაქში გაგრძელდა, რომაელები ისეთი გააფთრებით ხოცავდნენ უიარაღოებს, თითქოს ერთნაირი საშიშროება ემუქრებოდათ ამ დროს ჯალათსაც და მის მსხვერპლსაც. რა ვუწოდოთ ამას — დანაშაული თუ თავდაცვის აუცილებელი ზომა?

მაგრამ რაც არ უნდა ვუწოდოთ, ჰენა რომაელებს დარჩათ, ხოლო მარკელუსს არაფრით გამოუხატავს თავისი უკმაყოფილება, ანდა სამღურავი. მან ნება დართო ჯარისკაცებს მოკლულთა ქონება დაეტაცათ.

კონსულს მიაჩნდა, რომ მომავალში სიცილიელებს შიში ლალატისაგან შეაჩერებდა. მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. ჰენაში დატრიალებული ცოდვა ერთ დღეში მთელ სიცილიას მოედო. ეს ქალაქი კუნძულის შუაში მდებარეობს და გასხივოსნებულია პროზერპინას¹ მოტაცების ამბით. ყველა

¹ ძველად სჯეროდათ, რომ ქვესკნელის ღმერთმა პლუტონმა თავისი მომავალი მეუღლე პროზერპინა (იხ. ლექსიონი) სიცილიაში, ჰენას მახლობელ ველზე მოიტაცა.

ერთსა დ იმავეს იმეორებდა: ეს საზიზღარი სისხლისღვრა მარტო ხალხს კი არა, თვით ღმერთების გამოწვევაცაა, ყოველივე წმიდათაწმიდას შებლაღვა-შეგინებაა, ისინიც კი, რომლებიც უწინ ყოყმანობდნენ ვის მიმხრობოდნენ, ახლა გაოპრით კართაგენელების მხარეს იჭერდნენ, რომაელებზე ძრწოლით და ზიზღით ლაპარაკობდნენ.

იმ წელს მაკედონიის მეფე ფილიპემ, როგორც იქნა, დაიწყო საომარი მოქმედება. იგი თავს დაესხა რომის მოკავშირე ქალაქებს ილირიაში. მაგრამ რომაელებმა საჩქაროდ დახმარების ხელი გაუწოდეს მოკავშირეებს და ფილიპე სიკვდილს ან და სამარცხვინო ტყვეობას ძლივს გადაურჩა.

მომდევნო წელს კონსულებად აირჩიეს ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი მეორედ და კვინტუს ფაბიუს მაქსიმე — უმცროსი, მაშინდელი კონსულისა და ყოფილი დიქტატორის ვაჟი.

ომის მეექვსე წელი

რომის დაარსებიდან 541 (213 წელი ჩვენს მრანდო)

ფაბიუს უმცროსმა ჩაიბარა ის ქარი, რომელსაც გასულ წელს მამამისი სარდლობდა. მათ კვალდაკვალ მოჰყვა ბანაკში მოხუცი ფაბიუსიც, რომელსაც სურდა ვაჟთან ლეგატის თანამდებობაზე ემსახურა. ვაჟი მამას შეეგება. მოხუცი ფაბიუსი ცხენზე იჯდა. ჩვეულება მოითხოვდა, კონსულთან ყველა მხედარი ცხენიდან ჩამოსულიყო, მაგრამ ფაბიუს უმცროსის ლიქტორები მოხუცის დამსახურების წინაშე დიდი პატივისცემის გამო ღუმდნენ, ვერ ბედავდნენ მისთვის ეს შეეხსენებინათ. მაშინ ვაჟმა ერთ-ერთ ლიქტორს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— რატომ არ ასრულებ შენ მოვალეობას?

და ლიქტორმა ყოფილ დიქტატორს უბრძანა, ცხენიდან ჩამოსულიყო.

ფაბიუს უფროსი უსიტყვოდ დაემორჩილა, ცხენიდან ჩამოხტა და თქვა:

— გმადლობთ, შვილო ჩემო! მინდოდა გამეგო, სრულად გაქვს თუ არა შეგნებული, რომ კონსული ხარ.

ფაზიუს მაქსიმუს ცხოვრებისეული სიბრძნე და რომის ფელოგელოგიაში არკის დაბრუნება

ერთ ღამეს ფაზიუსის ბანაკში აპულიის ქალაქ არპიდან სამი მონის თანხლებით დაზიუს ალტინიუსი გამოცხადდა და რომაელებს შესთავაზა არკს გადმოგცემთ, რომელიც კართაგენის გარნიზონს აქვს დაპყრობილი, ოღონდ ჯილდო მომეცითო. მისი წინადადება სამხედრო საბჭოზე განიხილეს. ბევრი იმას ამბობდა, ალტინიუსი ჯილდოს კი არა, როზგებსა და ლიქტორის ცულით თავის მოკვეთას იმსახურებს: იგი საზიზღარი მოღალატეა, უფრო მეტიც, ორივე მხარის მტერია. კანეს შემდეგ თვითონაც ჰანიბალის მხარეზე გადავიდა და თანამოქალაქეებსაც ღალატი ჩაუწერა. ახლა კი, წინააღმდეგ მისი მოლოდინისა, როცა რომი ისევ ძლიერდება, იგი ახალ ღალატს აპირებს. დე, მისი ბედი ყველა მოღალატისათვის მაგალითად იქცეს!

მაგრამ კონსულის მამამ ფაზიუს მაქსიმემ თქვა: ახლა ომია და ისე არ უნდა ვიმსჯელოთ, როგორც სინდისი გვიკარნახებს, არამედ ისე, როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს. რომისათვის ახლა მთავარია ყოველგვარი ხერხებით მოკავშირეები შეინარჩუნოს. ალტინიუსის დასჯით, რომაელები დააფრთხოვენ ყველას, ვისაც გონს მოსვლა და უწინდელი ხელშეკრულების აღდგენა სურს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ალტინიუსს არ უნდა ვენდოთ. ჯერჯერობით ყველაზე სწორი იქნება, იგი არც მტრად მივიჩნიოთ, არც მოყვარედ და ომის დამთავრებამდე შინაპატიმრობაში ვიყოლიოთ სადმე ბანაკის მახლობლად.

— აი, მაშინ, — თავისუფალი დრო რომ გვექნება, — თქვა ბოლოს ფაზიუსმა, — ჩვენ განვსჯით, რას უფრო იმსახურებს — სასჯელს წასვლისათვის, თუ ჯილდოს მოსვლისათვის.

ასეც გადაწყვიტეს.

არპში ალტინიუსი თავდაპირველად შინაურებმა მოიკითხეს, შემდეგ მისი გაქრობის ამბავი მთელ ქალაქს მოედო. დაიწყო უწესრიგობა და ხელისუფლებმა გადატრიალების შიშით კართაგენელებთან შეიკრიკი აფრინეს. ჰანიბალს სულ არ გაჰყვირებია, გაუხარდა კიდეც: ალტინიუსის მეგობრობას ბუნი არასოდეს აფასებდა, ხოლო გაქცევა საბაბს აძლევდა არპში ყველაზე მდიდარი კაცის ქონებას დასაკუთრებოდა. იმი-

სათვის, რომ სიხარბეში ბრალი არავის დაედო, ჰანიბალმა განრისხება მოიგონა. მან განკარგულება გასცა, ალტინიუსის ცოლ-შვილი ბანაკში მიეყვანათ. თვითონვე დაჰკითხა, უფრო მეტად ცდილობდა გაეგო, რამდენი ოქრო-ვერცხლი ჰქონდათ, და როცა ყველაფერი წაართვა, ყველანი ცოცხლად დაწვა.

კონსული ფაბიუსი ბანაკიდან აიყარა და არპისაკენ დაიძრა. როცა ადგილმდებარეობა და გალავანი კარგად დაათვალიერა, შეამჩნია, რომ სიმაგრის ყველაზე მკვიდრი და საიმედო ნაწილი ნაკლებად იყო დაცული. სწორედ აქედან გადაწყვიტა ქალაქში შეჭრილიყო. გალავანში ვიწრო და დაბალი ჭიშკარი იყო დატანებული, რადგან ამ ჭიშკარში შემავალი გზით იშვიათად სარგებლობდნენ. მეოთხე საგუშაგო ღამეს ამ ჭიშკარს მიეპარა რჩეული რაზმი, საალყო კიბეების საშუალებით კედელზე გადავიდა, შიგნიდან ჭიშკარი გატეხა და ახლომდებარე კვარტალები დაიკავა. რომაელებს ძალიან დაეხმარა ის, რომ შუალამისას კოკისპირული წვიმა წამოვიდა და გუშაგები გადახურულში შერეკა. წვიმისა და ქარის ხმაურმა დაახლო საქეტების მსხვერვეის ხმა და ჭიშკარის ჭრიალი, შემდეგ კი, როცა ცოტათი გადაიძარა, წვიმის შხაპუნი და ქარის სისინი მკველებს ნანასავით ჩაესმოდათ.

მებრძოლებმა, რომლებიც გზის გასწვრივ ქალაქსა და რომაელთა განლაგებას შორის იყვნენ ჩამწყარივებულნი, ბუკსა სცეს საომრად გამზადებული კონსული და მისი ჯარისკაცები ელოდნენ ამ სიგნალს. სანამ ირჩეაყებდა, მთელი ჯარი არპში იყო. მტრებმა მხოლოდ ახლა გაიღვიძეს. პუნი ხუთი ათასი იყო, შეიარაღებული მოქალაქე — სამი ათასი. გარნიზონის უფროსმა იმის შიშით, ზურგში მყოფმა მოქალაქეებმა არ მილატონო, ისინი წინ დააყენა, ასე რომ, პირველად მოქალაქეები შეებნენ რომაელებს. ჯერ კიდევ ბნელოდა, ბრძოლა რომ დაიწყო, როცა ოდნავ ინათა, ზოგიერთმა რომაელმა და არპელმა ერთმანეთი იცნო, იარაღს თავი ანება და საუბარი გააბა.

— ან ჩვენ რა გაწყენინეთ, ან პუნებმა ისეთი რა სამსახური გაგიწიეს, რომ უცხო და ბარბაროსი ხალხის დასახმარებლად ძველი მოკავშირეების წინააღმდეგ იარაღი აღმართეთ? — ეკითხებოდნენ რომაელები.

არპელები თავს იმართლებდნენ, ჩვენს თანხმობას არავინ

კითხულობდა, ქალაქის ხელისუფლებმა კართაგენელებს მიგვ-
ყიდესო. უფრო მეტს საუბრობდნენ, ვიდრე იბრძოდნენ. ბო-
ლოს, არპელებმა კონსულთან თავიანთი უფროსი მიიყვანეს.
მათ ერთმანეთს რამდენიმე მეგობრული სიტყვა უთხრეს თუ
არა, არპელები უკან შებრუნდნენ და რომაელებთან ერთად
პუნებს ეკვეთნენ. მალე რომაელების მხარეზე ათასამდე ესპა-
ნელი გადავიდა. მათი თხოვნით ფაბიუსმა ნება დართო დანარ-
ჩენ გარნიზონს, თავისუფლად გასულიყო ქალაქიდან.

ძმები სციპიონები ესპანეთში

ამ წლების განმავლობაში ესპანეთშიც არ შეწყვეტილა
ბრძოლა კართაგენელების წინააღმდეგ. თავდაპირველად მას
წარმართავდა გნეუს კორნელიუს სციპიონი, ძმა კონსულ პუბ-
ლიუს კორნელიუსისა, რომელმაც ვერ მოახერხა ჰანიბალის შე-
ჩერება გალიაში, ალპების მისადგომებთან, უფრო მეტი უნია-
თობა გამოიჩინა ტიციუსთან და ტრებიასთან ბრძოლის დროს.
ომის მეორე წელს სენატმა პუბლიუს კორნელიუსი ესპანეთში
გაგზავნა მთავარსარდლად და ამ დროიდან მოყოლებული, ძმე-
ბი სციპიონები თანაბრად იყოფდნენ ჯაფასა და საზრუნავს.
ესპანეთში ყველაფერი უკეთ მიმდინარეობდა, ვიდრე იტალია-
ში. რომაელებს აქ არ უგემიათ არც ერთი დამარცხება და არა
მარტო მტკიცედ ინარჩუნებდნენ იბერიის ჩრდილოეთით მდებ-
არე მთელ მიწებს, არამედ ხშირად გადადიოდნენ კართაგენის
სამფლობელოებშიც და ბევრ ტომს ჩაუნერგეს პუნების ლა-
ლატი.

ომის მესამე წელს პუნმა სარდალმა ესპანეთში ჰასდრუ-
ბალ ბარკამ, ჰანიბალის ძმამ, კართაგენიდან ბრძანება მიიღო,
რაც შეიძლება სასწრაფოდ გადაეყვანა ჯარი ჰანიბალის დასა-
ხმარებლად იტალიაში. ჰასდრუბალს ეს ბრძანება არაგონივ-
რულად მიაჩნდა, რადგან ესპანეთის დატოვება საიმედო და-
ცვის გარეშე, რომაელებისათვის ესპანეთის დათმობას ნიშ-
ნავდა. იგი ბრძანებას მაინც დაემორჩილა და ლაშქრობისათვის
სამზადისს შეუდგა. როცა სციპიონებმა მისი სამზადისი შეი-

ტყვეს, ყველა საქმე, გეგმა და განზრახვა გადადეს, რადგან კარგად ესმოდათ, რომ თუკი ჰასდრუბალი და ჰანიბალი შეერთდებოდნენ, რომის სახელმწიფო დაიღუპებოდა. მათ გადალახეს იბერი და რამდენიმე ხნის შემდეგ ორივე ჯარი ერთმანეთისაგან შვიდი-რვა კილომეტრის მანძილზე დაბანაკდა, ერთ და იმავე დღეს, თითქოს შეთანხმებული იყვნენო. მოწინააღმდეგეები ველზე გამოვიდნენ და საბრძოლველად მოეწყვნენ.

გამარჯვების იმედი ორივე მხარეს თითქმის თანაბარი ჰქონდა, რადგან მოწინააღმდეგეების ძალებიც თანაბარი იყო. მაგრამ რომაელებს, თუმცა სამშობლოსაგან დაშორებით უნდა ებრძოლათ, სწამდათ, რომ ისინი იცავდნენ იტალიას და ქალაქ რომს, ამიტომაც მტკიცედ გადაწყვიტეს ან გაემარჯვათ, ან დახოცილიყვნენ, ხოლო ჰასდრუბალი უმთავრესად მეთაურობდა ესპანელებს, რომელთაც ერჩივნათ ესპანეთში დამარცხებულიყვნენ, ვიდრე გამარჯვებულებს იტალიაში ეხეტიალათ. პირველ შეტაკებისთანავე, როგორც კი ხელშუბების ტყორცნა დაიწყო, მწკრივების შუაში მოქცეულმა ესპანელებმა მოკურცხლეს, სამაგიეროდ, ფლანგებზე მყოფნი შეუპოვრად იბრძოდნენ. მარჯვნივ კართაგენელი ქვეითი ჯარისკაცები იდგნენ, მარცხნივ — აფრიკელები და როცა რომაელებმა ცენტრი გაარღვიეს, მათ მტერს ორივე მხრიდან ერთდროულად დაარტყეს. მაგრამ რომაელებმა მტერს ალყის შემორტყმის საშუალება არ მისცეს. მათ შეძლეს ისევ გაეთიშათ მტრის ფლანგები და სათითაოდ გაენადგურებინათ.

ცენოსანთა ჯარს, საერთოდ, არც უბრძოლია. როცა ნუმინდიელმა და მავრმა მხედრებმა დაინახეს ცენტრი გარღვეულიაო, უკან დაიხიეს და სპილოებიც თან გაირეკეს. ჰასდრუბალი უკანასკნელ წუთამდე ბრძოლის ველს არ ტოვებდა და მცირე მხლებლებიანად ძლივს გადარჩა. კართაგენელებმა დიდი ზარალი ნახეს. საშიშროებამ, იტალიას რომ ემუქრებოდა, ჩაიარა, ხოლო მთელმა ესპანეთმა ზურგი აქცია დამარცხებულებს. რომაელებმა იბერის სამხრეთით ბევრ ქალაქში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს.

ასეთივე წარმატებით იბრძოდნენ სციპიონები მომდევნო წლებშიც და ბოლოს დადგა დრო, ეფიქრათ მოკავშირეების შექენაზე თვით აფრიკაში. მოხდა ისე, რომ ნუმიდიის მეფე სიფაქსი მოულოდნელად წაეჩხუბა კართაგენელებს და მათ მიძარტ მტრულად განეწყო. სციპიონებმა მას სამი ცენტურიონი გაუგზავნეს, შეუთვალეს — ჩვენთან იმეგობრე და პუნების წინააღმდეგ სამხედრო კავშირი დადე, თანაც შეჰპირდნენ, მოვა დრო და რომის სენატი და ხალხი დაგაჯილდოვებსო. მეფემ გულგაშლილად მიიღო ელჩები და გულისყურით მოუსმინა. როცა სამხედრო ხელოვნებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იგი მყისვე მიხვდა, რა უვიცნი იყვნენ ნუმიდიელები რომაელებთან შედარებით და რა ცუდად ჰყავდა ჯარი მოწყობილი. და მან ახალ მოკავშირეებს პირველი დახმარება სთხოვა: ორი ელჩი თავიანთ მეთაურებთან დაბრუნდეს ესპანეთში, ხოლო ერთი ჩემთან დარჩეს და ჯარს სამხედრო ხელოვნება ასწავლოსო. ნუმიდიელები უძველესი დროიდან ჩინებული ცხენოსნები არიან, ამბობდა იგი, მაგრამ ქვეითთა ბრძოლისა არაფერი გავგებათ. კართაგენელების მთავარი ძალა კი ქვეითი ჯარია და მას რომ გავეჯობრო, მეც ქვეითი ჯარი უნდა მყავდეს. ხალხი საკძარისია, მაგრამ არავეინაა, რომ შეაიარაღოს და გაწერთნასო.

რომაელები დათანხმდნენ, მაგრამ ერთი პირობით: დაუყოვნებლივ უნდა გაეშვა იქ დარჩენილი ელჩი, თუკი სციპიონები მათ თანხმობას არ მოიწონებდნენ. ორ ცენტურიონთან ერთად ესპანეთში გაემგზავრა სამი ნუმიდიელი. მეფეს სურდა, რომ რომის სარდლებს თვითონ დაედასტურებინათ ხელშეკრულების პირობები და თან თავის წარგზავნილებს უბრძანა, მოენახულებინათ ის ნუმიდიელები, რომლებიც კართაგენელებთან საყარულო რაზმებში მსახურობდნენ.

სიფაქსთან დარჩენილმა ცენტურიონმა კვინტუს სტატორიუსმა სულ მალე ისე კარგად გაართვა საქმეს თავი, რომ სიფაქსს უკვე შეეძლო მოეგო ბრძოლა კართაგენის ქვეითი ჯარისათვის გაშლილ ველზე. ამასთანავე რომაელებმაც ძალიან

მალე იგრძნეს სიფაქსთან კავშირის სიკეთე: ესპანეთში მეფის ელჩების ჩამოსვლის შემდეგ ნუმიდიელებმა დიდ ჯგუფებად იწყეს კართაგენელებიდან მათ მხარეზე გადასვლა.

ნუმიდიელთა და რომაელთა კავშირი რომ შეიტყვეს, პუნებმა სასწრაფოდ გაგზავნეს ელჩები იმ მეფესთან, რომელიც ნუმიდიის მეორე ნახევარს განაგებდა¹ და ურჩიეს, შემოგვიერთდო და ერთად დავესხათ თავს სიფაქსს, რომელიც აფრიკელი ხალხის მტრებს შეეკრა და ფიქრობს, აფრიკის ყველა ტომსა და ხალხზე იბატონოსო. მეფეს გალა ერქვა. მან კართაგენელთა რჩევას დაუჭერა, უფრო სწორად, თავისი ვაჟის მასინისას სურვილს დაჰყვა. მასინისა ახალგაზრდა იყო, მაგრამ გაუტეხავი სული ჰქონდა, მან გაილაშქრა სიფაქსის წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხა. ამბობენ, ბრძოლაში ოცდაათი ათასი კაცი დაიღუპაო. სიფაქსი შვერებთან გაიქცა. ისინი აფრიკის დასავლეთ კიდესთან, ზედ ოკეანესთან ცხოვრობენ, იქ მან მოკლე დროში ახალი ჯარი შეაგროვა და მასთან ერთად ესპანეთში უნდოდა გადმოსულიყო, მაგრამ მასინისამ ისევ მოუსწრო და ახლა მარტოდმარტომ, კართაგენელების დაუხმარებლად, წარმატებით დააგვირგვინა ასევე წარმატებით დაწყებული ომი.

ჰანიბალმა მთელი ზაფხული კალაბრიაში გაატარა. აიღო და თავის მხარეზე გადაიბირა რამოდენიმე პატარა ქალაქი.

იმ წელს იტალიაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

მომდევნო წელს კონსულებად აირჩიეს კვინტუს ფულვიუს ფლაკუსი და აპიუს კლავდიუს პულხერი.

¹ იგულისხმება კართაგენის სამფლობელოების მეზობლად მდებარე ნუმიდიის აღმოსავლეთი ნახევარი. სიფაქსი დასავლეთ ნუმიდიაში შეგობდა (ახლანდელი ჩრდილოეთ ალჟირის ტერიტორია).

ომის მეშვიდე წელი

რომის დაარსებიდან 542 (212 წელი ჩვენს მრამდე)

წლის დასაწყისში რომი მღელვარებამ მოიცვა, რაც იჯარადარის მარკუს პოსტუმუსის ურცხვობამ და თავაშვებულობამ გამოიწვია. სახელმწიფო ანაზღაურებდა ყველა ზარალს, რასაც ხომალდის დაღუპვა აყენებდა იჯარადრებს ჯარისათვის სურსათ-სანოვავის, იარაღისა და აღჭურვილობის გადატანის დროს. ეს არამზადები ხშირად ტყუილად იგონებდნენ ხომალდის დაღუპვას, ანდა გამორჩენის მიზნით თვითონვე ძირადენენ ხომალდებს. ძველ გემებს ტვირთავდნენ იაფ, თანაც უმნიშვნელო რაოდენობის საქონლით, გავიდოდნენ ღია ზღვაში, მეზღვაურებს გადმოსხამდნენ წინასწარ მომზადებულ ნავებში, ხოლო გემებს იქვე ჩაძირავდნენ, მერე ცრუობდნენ, ძვირადღირებული ტვირთი დაგველუპაო.

ხალხი თალლითებს სჯის

სენატმა ეს ამბავი იცოდა, მაგრამ გასამართლებას არ აწყობდა, რადგან არ უნდოდა ამ მძიმე დროში საკუთარი თავისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ იჯარადართა გავლენიანი

წოდება აემხედრებინა. მაგრამ ხალხი სენატზე მკაცრი გამო-
დგა: სახალხო ტრიბუნებმა სპურიუსმა და ლუციუს კარვილი-
უსმა პოსტუმიუსი ორასი ათასი ასსით დააჯარიმეს. პოსტუმი-
უსმა ტრიბუნების განაჩენზე ხალხთან იჩივლა¹. კაპიტოლიუმზე
უზღვავი ხალხი შეგროვდა, როცა ყველამ, ვისაც სურვილი
ჰქონდა თქვა თავისი სათქმელი, ცხადი გახდა, რომ ხალხი თალ-
ლითს გაასამართლებდა: პოსტუმიუსს მხოლოდ თავისი ნათესა-
ვის გაიუს სერვილიუს კასკას იმედი ჰქონდა, რომელიც სახალხო
ტრიბუნთაგანი იყო და შეეძლო სანამ ხალხი არჩევნებს დაი-
წყებდა, პროტესტი განეცხადებინა².

იჯარადარნი კასკას შემოესივნენ და დაეცინებოდა მოითხოვეს,
არ დაეწყათ კენჭისყრა. ხალხი დრტვინავდა, კასკა კი თავი-
აღმართული იჯდა და სირცხვილისაგან თვალს ვერავის უსწორებ-
და. მაშინ იჯარადრებმა განგებ, აყალბაყალი რომ გამოეწვიათ,
ხალხი და ტრიბუნები ლანძღვა-გინებით აიკლეს. კიდევ წამი
და ცემა-ტყეპა გაიმართებოდა, მაგრამ საქმეში ჩაერია კონსუ-
ლი ფულვიუსი და ტრიბუნები დაარწმუნა, კრება დაეშალათ.

კონსულებმა მოახსენეს სენატორებს, იჯარადრებმა რა ძა-
ლადობაც იხმარეს და სახალხო კრებას რა შეურაცხყოფაც მია-
ყენეს. სენატმა დაადგინა, ეს ძალადობა მთელი სახელმწიფოს
წინააღმდეგ იყო მიმართული და მომავლისათვის ცუდი მაგა-
ლითის მიმცემი იქნებაო. მაშინ სპურიუსმა და კარვილიუსმა
თავი ანებეს პოსტუმიუსის დაჯარიმებაზე ლაპარაკს და ისეთი
ბრალი დასდეს, რომელიც სიკვდილით დასჯას უქადდა. გასა-
მართლების დღეც დანიშნეს და მოითხოვეს, დამნაშავე დაეპა-
ტიმრებინათ. პოსტუმიუსმა იპოვა მეგობრები, რომლებიც თავ-
დებად დაუდგნენ, სასამართლოზე დანიშნულ დროს გამოცხად-
დებო, და აღარ დაკავეს. რა თქმა უნდა, პოსტუმიუსი სასა-
მართლოზე არ გამოცხადდა. იგი დაუსწრებლად გაასამართლეს
და სამშობლოდან გაძევება მიუსაჯეს, ხოლო მის ქონებას

¹ ხალხს კენჭისყრით ან უნდა დაემტკიცებინა, ანდა უარყო ტრიბუ-
ნების განაჩენი.

² ერთ რომელიმე სახალხო ტრიბუნის პროტესტი მისი „ვეტო“ (velo—
ლათინურად „გერძალავ“) აუქმებდა თითოეული მისი ამხანაგ-ტრიბუნის
გადაწყვეტილებას, მაგრამ ხალხის განაჩენი ტრიბუნის „ვეტოზე“ ძლი-
ერი იყო.

კონფისკაცია უყვეს და გაყიდეს. ასევე დასაჯეს უწესრიგობის დანარჩენი წამომწყებნიც.

სენატმა დაავალა კონსულებს, შეედგინათ ორი ახალი ლეგიონი და შეევსოთ ძეგლები. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა, ახალგაზრდობა არ ჰყოფნიდათ, მაშინ სენატმა სამკაციანი ორი კომისია შექმნა, ერთ მათგანს რომის გარეშემო, სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე, ხოლო მეორეს — ამ ფარგლებს გარეთ უნდა დაეთვალთვინებინა ყველა თავისუფალი მოქალაქე და თითოეული მათგანი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლებოდა, ჯარში ჩაერიცხა, თუნდაც გასაწვევი ასაკის არ ყოფილიყო¹;

ღირდა კი კანესთან ხსნა ბაქცივანში ეპოვათ?

ამ დროს სიცილიიდან მარკუს მარცელუსის წერილი მოვიდა, სადაც იტყობინებოდა მეომრების საჩივარს, რომლებიც კანესთან სიკვდილს გადაურჩნენ. ისინი მსახურობდნენ პუბლიუს ლენტულთან, რომის სამფლობელოების ნაცვალთან, სიცილიაში. ლენტულის ნებართვით მეომრებს მარცელუსთან საზამთრო ბინაში, სირაკუზში, გაუგზავნიათ თავიანთი არჩეულები — ყველაზე სახელოვანი მხედრები და ქვეითი ჯარის საუკეთესო მებრძოლები.

არჩეულები იმას კი არ ჩიოდნენ, რომ სასჯელი, რომელსაც ისინი და მათი ამხანაგები იტანდნენ, უსამართლო იყო, არამედ იმას, რომ არ აძლევდნენ საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვის საშუალებას. ისინი დაშორებულნი არიან არა მარტო სამშობლოს, არამედ მტერსაც და ბრძოლაში გმირული სიკვდილის იმედიც კი არ აქვთ. სიცილიაში უკვე მეორე წელია გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს, ისმის იარაღის ჟღარუნე, მებრძოლთა შეძახილები. ისინი კი კვლავინდებურად ხელებდაკრეფილნი ერთ ადგილას სხედან. ტიბერიუს სექსპრონიუსს გრაკხუსის ლეგიონებში მონებმაც კი დაიმსახურეს ჯილდო სამხედრო სამსახურისათვის — მოიპოვეს თავისუფლება, მოქალაქეობის უფლება. დე, კანეს ლეგიონთა დანარჩენი ჯარისკაცები სამშობლომ საგანგებოდ ნაყიდ მონებად

¹ ე. ი. ჩვიდმეტწლამდე ასაკისა.

ჩათვალოს, მისცეს მტერთან შებმის უფლება, რომ ბრძოლაში ეძებონ თავისუფლება. ისინი მზად არიან თავიანთი სისხლისა და სიცოცხლის ფასად შეიძინონ დედამიწის ზურგზე ყველაზე ძვირფასი ეს სიმდიდრე.

— გამოსცადე ჩვენი სიმამაცე, გინდა ზღვაზე, გინდა ხმელეთზე, გინდა გაშლილ ველზე, გინდა საიერიშო კიბეზე, — ემუდარებოდნენ არჩეულები. მოგვეცი ყველაზე ძნელი და ყველაზე საშიში დავალება, რომ მალე აღსრულდეს ის, რაც უნდა აღსრულებულიყო კანესთან, რადგან ამ დროიდან მოყოლებული ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე თავლაფდასხმულია.

თავისი სიტყვა რომ დაამთავრეს, არჩეულები მარცელუსს ფეხებში ჩაუცივდნენ, მუხლებზე მოეხვივნენ და თვალცრემლიანებმა შეწყალება სთხოვეს.

მარცელუსმა უთხრა, ამ საკითხის გადაწყვეტის არც ძალა მაქვს და არც უფლება, მაგრამ ყველაფერს სენატს მივწერო. აი, სწორედ ეს წერილი წაიკითხეს ახალარჩეულმა კონსულებმა. სენატმა დაადგინა: არავითარი გონივრული საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ სახელმწიფოს ბედი და კეთილდღეობა ვანდოთ მეომრებს, რომლებმაც კანესთან ამხანაგები მიატოვეს. თუკი მხედართმთავარი მარკუს კლავდიუს მარცელუსი.სხვა აზრისაა, შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც საერთო ინტერესებისათვის სასარგებლოდ მიაჩნია, მაგრამ მხედველობაში იქონიოს, რომ საბანაკო სამუშაოებისაგან არც ერთი მათგანის განთავისუფლება არ შეიძლება; არ შეიძლება მამაცობისათვის მათი დაჯილდოვება და ომის დამთავრებამდე იტალიაში დაბრუნება.

ტარენტუმელების უშრისძიება

მეორე ზაფხული იყო ჰანიბალი კალაბრიიდან არ მიდიოდა. მთავარი მიზეზი, რის გამოც იგი ფეხს არ იცვლიდა, ისევ და ისევ ტარენტუმი იყო. რომში მომხდარმა მოულოდნელმა ამბებმა პუნი სანუკეარ მიზანს მიუახლოვა.

რომში კარგა ხანია ცხოვრობდა ვინმე ფილეუსი, ტარენტუმელი ელჩი. იგი მოუსვენარი კაცი იყო და ამიტომ უსაქ-

ზოდ ყოფნას ვერ იტანდა. ფილესი მუდამ რალაცას მოიგონებდა და მის განხორციელებას განიზრახავდა. ერთხელაც მან ტარენტუმელ და თურიელ მძევლებთან მისვლა მოახერხა¹ და შეაგულიანა, გაიქცეთო. მძევლებს მეტისმეტად უგულისყუროდ დარაჯობდნენ, რადგან რომაელების მოტყუება არც მათთვის იყო ხელსაყრელი და არც მათი სახელმწიფოებისათვის. ფილესმა მცველები მოისყიდა და შებინდდა თუ არა, მძევლები ქალაქიდან გააპარა. თვითონაც მათთან ერთად გაიქცა. მეორე დღეს, როგორც კი ირიერაეა, მდევარი გამოუდგა. ყველა ლტოლვილი დაიჭირეს, უკან მოიყვანეს და სიკვდილით დასაჯეს: გაროზგეს და კლდეზე გადაჩეხეს, რასაც ხალხი მოწონებით შეხვდა.

შურისძიების სისასტიკემ საშინლად აღაშფოთა დასჯილთა თანამემამულეები, განსაკუთრებით, ცხადია, მათი ნათესაეები, ტარენტუმის ცამეტმა წარჩინებულმა ჰაბუკმა შეთქმულება მოაწყო. შეთქმულებას მეთაურობდნენ ნიკონი და ფილემენე. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდოდათ ჰანიბალს შეხვედროდნენ. ამიტომ სხვების თვალის ასახვევად, აქოდა, მონადირეები ვართო, აღიჭურვნენ, წაიყვანეს ძაღლები და ღამით ქალაქიდან გავიდნენ. კართაგენელთა ბანაკი ახლოს იყო. ნიკონი და ფილემენე საგუშაგოებს მიადგნენ და ჰანიბალთან მიყვანა ითხოვეს, დანარჩენი „მონადირენი“ ტყეში გზის პირას დაიშალნენ. ჰანიბალმა, რა თქმა უნდა, მოუწონა გადაწყვეტილება, მაგრამ ურჩია, საიდუმლოდ შეენახათ ეს ამბავი.

— თქვენს თანამოქალაქეებს, — უთხრა მან, — მცირედენი ეჭვიც კი არ უნდა ეპარებოდეთ, რომ თქვენ მხოლოდ სანადიროდ ანდა საძარცვავად გამოდიხართ ქალაქიდან. ჩვენი საძოვრებიდან ათიოდე ძროხა წაიყვანეთ და ტარენტუმში გაარეკეთ. განკარგულებას გავცემ არავინ გაგაჩეროთ.

ჰაბუკების „ნადავლმა“ ტარენტუმელთა ყურადღება მიიქცია და როცა ასეთი ნადირობა ზედიზედ გაიმეორეს, ქალაქიდან მათი გასვლა უკვე აღარავის აკვირებდა.

¹ თურიუმი — ბერძნული ქალაქი სამხრეთ იტალიაში. როგორც ვხედავთ, რომაელები არც ისე ენდობოდნენ თავიანთ მოკავშირეებს და მძევლებს ართმევდნენ.

ჰანიბალმა დაიფიცა, რომ ტარენტუმელებს შეუნარჩუნებდა თავისუფლებას, საკუთრებასა და კანონებს, ისინი პუნებს არ გადაუხდინენ არავითარ გამოსაღებს და არც პუნთა გარნიზონს ჩააყენებდნენ, თუკი თვითონ არ მოისურვებდნენ. ტარენტუმელები თავის მხრივ ჰპირდებოდნენ, გადაეცათ ჰანიბალისათვის ყველა რომაელი მოქალაქე, რომლებიც ტარენტუმში ცხოვრობდნენ, ასევე რომაული საყარაულო რაზმი.

ამის შემდეგ ფილემენეს უფრო მეტად შეუყვარდა ნადირობა. თითქმის ყოველ ღამეს მიდიოდა და ხელცარიელი არასოდეს ბრუნდებოდა. როგორც კი ჭიშკარში შევიდოდა, ყოველთვის ასაჩუქრებდა მცველების უფროსს. ხან ნანადირევს აძლევდა, ხანაც საქონელს, რომელიც კართაგენელებს „წაართვა“. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, ეს შესანიშნავი მონადირე იმიტომ ამჯობინებს ღამეს, რომ დღისით მტრებს უფროთხისო.

როცა ყარაულების ნდობა ფილემენემ ისე მოიპოვა, რომ მის სტვენაზე, ღამის რა დროც არ უნდა ყოფილიყო, კარიბჭეს აღებდნენ, ჰანიბალმა გადაწყვიტა, დროაო (ამ პერიოდში ჰანიბალი ტარენტუმიდან სამი დღის სავალზე იდგა და თავს იავადმყოფებდა, რათა მის გაჭიანურებულ უმოქმედობას რომაელები არ დაეცკებინათ). მთელი ჯარიდან მან ათი ათასი ქვეითი და ცხენოსანი აირჩია, — ყველაზე მკვირცხლნი და მსუბუქად შეიარაღებულნი და მეოთხე საყარაულო ღამეს ტარენტუმისაკენ დაიძრა. წინ ოთხმოცი ნუმიდიელი გაგზავნა. ისინი ირგვლივ გაიფანტნენ და გზებზე იჭერდნენ ყველას, ვისაც კი შეეძლო კართაგენელთა კოლონა შორიდან შეემჩნია. ვისაც კი დაეწეოდნენ, ყველას უკან აბრუნებდნენ, ვისაც შეხვდებოდნენ, კლავდნენ, რათა გარშემო მცხოვრებლებს ეფიქრათ, ჩვეულებრივი ყაჩაღები არიანო.

ტარენტუმიდან ოცი-ოცდაორი კილომეტრის დაშორებით, ჰანიბალი შეჩერდა, მაგრამ მეომრებისათვის არც აქ გაუმხელია, სად მიდიოდა. ჯარისკაცებს მხოლოდ ის სთხოვა, რიგი არ მოეშალათ, არსად გადაეხვიათ და, რაც მთავარია, ყურადღებით ესმინათ ბრძანებისათვის და უფროსების განკარგულების გარეშე არაფერი გაეკეთებინათ.

— ცოტა მოითმინეთ, და ყველაფერს გაიგებთ. — ეოზნი.

ბოდა იგი. ამასობაში ტარენტუმში ხმა დაირხა, ნუმიდიელთა მცირერიცხოვანი რაზმი მინდვრებს ძარცვავს და გლეხობას აფრთხობსო. რომის გარნიზონის უფროსმა ბრძანა დილით ცხენოსანთა ჯარი მძარცველების დასახვედრად გასულიყო და გაერეკა. ნუმიდიელთა ამ თავდასხმის გამო იგი სრულებით არ შეშფოთებულა და არც ყურადღება გაუმახვილებია, პირიქით, რწმენა განუმტკიცდა, რომ ჰანიბალი თავის ჯართან ერთად უწინდელ ადგილზე, ტარენტუმიდან შორს იდგა.

შებინდებისას ჰანიბალმა კვლავ გზა განაგრძო. ეტიკად თვით ფილემენი ჰყავდა, რომელსაც ნადავლი მოჰქონდა. დანარჩენი შეთქმულები ქალაქში იყვნენ და დათქმულ სიგნალს ელოდნენ.

ფილემენე გალავანს მიუახლოვდა და დაუსტვინა. ყარაულმა გაიღვიძა, იცნო მისი სტვენა, და მცირე კარიბჭე გაუღო. პირველად ორნი შევიდნენ, რომლებსაც მოკლული ტახი მოჰქონდათ. მათ ფილემენე მიჰყვა.

— როგორი მძიმეა, ძლივს მოვათრეთ, — თქვა მან.

გაკვირებული ყარაული ნანადირევისაკენ დაიხარა. ამ დროს ფილემენემ მას შუბი ატაკა. მაშინვე შემოიჭრა ოცდაათი მეომარი, დანარჩენი მცველები ამოხოცეს, მახლობელი კარიბჭე გაამტკრიეს და ამხანაგები შემოუშვეს. ეს რაზმის მხოლოდ ნაწილი იყო. მეორე ნაწილი, რომელსაც თვით ჰანიბალი სარდლობდა, უჩუმრად მეორე კარს მიუახლოვდა. იქ მათ ნიკონი ელოდა. ჰანიბალმა სასიგნალო ცეცხლი დაანთო. ნიკონმაც იმითვე უპასუხა, და როცა ორივე ცეცხლი ერთბაშად ჩაქრა, შეთქმულები საყარაულოს ნაგებობებს დაეცნენ და რომაელები საწოლებში ჩახოცეს. კარიბჭე გაიღო. ჰანიბალმა ქალაქში ქვეითი ჯარი შეიყვანა, ცხენოსნები კი გალავნის მიღმა დატოვა, რათა, თუკი საჭიროება მოითხოვდა, მტრის შეტევა გაშლილ ველზე მოეგერიებინა.

არმიის ორივე ნახევარი ისევ უჩუმრად შეუერთდა ერთმანეთს ბაზრის მოედანზე. აქედან ჰანიბალმა ქალაქში ორი ათასი გალი გაგზავნა. მათ უნდა დაეკავებინათ მთავარი ქუჩები, რომაელები ამოეხოცათ, ხოლო ტარენტუმელები დაენდოთ.

როგორც ქალაქის აღების დროს ხდება ხოლმე, ატყდა ერთი აურზაური. არავინ იცოდა, რა ხდებოდა, თუმცა ჰანიბალის

რჩევით, შეთქმულები ტარენტუმელებს უყვიროდნენ, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო. ტარენტუმელებს ეგონათ, რომის გარნიზონი დაგვესხა და გვძარცვაესო, რომაელებს კი — გამყიდველი ტარენტუმელები ამბობდნენო. გარნიზონის უფროსი, რომელიც განვაშმა გააღვიძა, ნავსადგურში გაიქცა და ნავით სიმაგრეს მიაშურა¹.

საერთო დაბნეულობამ მაშინ უფრო იმატა, როცა თეატრიდან ბუკის ხმა გაისმა. მართალია, ბუკი რომაელებისა იყო (შეთქმულებმა წინასწარ მოახერხეს მისი შოვნა), მაგრამ მას ბერძენი უკრავდა, თან ისე ცუდად, რომ გარკვევა შეუძლებელი იყო, რა სიგნალს იძლეოდნენ, ან ვინ იძლეოდა სიგნალს. ბოლოს, გათენდა და რომაელებმა პუნთა და გალთა იარაღი დაინახეს, ბერძნებმა — ირგვლივ მიმოფანტული რომაელთა გეამები. ცხადი გახდა, რომ ტარენტუმში ჰანიბალი შესულიყო.

როცა მზე ამოვიდა და გადარჩენილმა რომაელებმა ციხესიმაგრეში მოიყარეს თავი, ხოლო აურზაური ქალაქში ცოტათი მიწეღდა, ჰანიბალმა ბრძანა, ტარენტუმელები ეხმოთ, მაგრამ უიარაღოდ უნდა მისულიყვნენ. ყველა მივიდა, გარდა იმ ტარენტუმელებისა, რომლებიც რომაელებთან ერთად ციხესიმაგრეში ჩაიკეტნენ და მზად იყვნენ, მათი ხვედრი გაეზიარებინათ.

პუნი კეთილგანწყობილად და მეგობრულად ლაპარაკობდა. მან შეახსენა ტარენტუმელებს, როგორ მოექცა იგი მათ თანამემამულეებს ტრაზიმენის ტბასთან, კანესთან და თავისი გულკეთილობა და მოწყალება რომაელების სისასტიკეს შეადარა.

— ახლა ყველანი შინ წადით და თითოეულმა კარზე თქვენი სახელი დააწერეთ. თუ სახლს წარწერა არ ექნება, ჩემი მეომრები ამ სახლს გაძარცვავენ. თუკი ვინმე თავის სახელს რომაელი მოქალაქის ბინას წააწერს, რომაელივით დაისჯება.

ტარენტუმელები დაიშალნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ უფროსების ნიშანზე ჯარისკაცებმა ხელი მიჰყვეს იმ სახლების ძარცვას, რომლებზეც მეპატრონეთა სახელები არ ეწერა. მძარცველებს დიდი ნადავლი ერგოთ.

¹ ტარენტუმის ციხესიმაგრე კონცხის ნაპირას იდგა და ნავსადგურის შესასვლელს კეტავდა.

მეორე დღეს ჰანიბალი შეეცადა ხელთ ეგდო ციხესიმაგრე, მაგრამ ციხესიმაგრეს სამი მხრიდან ზღვა და სანაპიროს ციკაბო კლდეები იცავდა, ხოლო მეოთხე, ქალაქის მხრიდან — გალაგანი და ფართო ხანდაკი. იერიშით მის აღებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. არადა, ჰანიბალს არ შეეძლო ტარენტუმში ძლიერი საყარაულო რაზმები არ ჩაეყენებინა, რადგან ეს ხელს შეუშლიდა უფრო მნიშვნელოვან მის შემდგომ გეგმებს. არც ის შეეძლო, ქალაქი დაუცველად, ციხესიმაგრეში შეხიზნული რომაელების ანაბარად დაეტოვებინა. მან გადაწყვიტა, ციხესიმაგრესა და ქალაქს შორის მეორე ხანდაკი გაეჭრა და მიწის ზვინული აღმართა.

სანამ მუშაობას დაიწყებდა, ჰანიბალს იმედი ჰქონდა, რომაელები პატარ-პატარა შეტაკებებს გამართავდნენ, რომ მისთვის ხელი შეეშალათ. თუკი ისინი ამას ხშირად გააკეთებდნენ და ღრმად შეტოპავდნენ, მაშინ რომის გარნიზონის რიგები ისე შეთხელდებოდა, ტარენტუმელები ქალაქის დაცვას საკუთარი ძალებითაც კი შეძლებდნენ. და მართლაც, როცა კართაგენელები საქმეს შეუდგნენ, ჰიშკარი გაიღო და რომაელებმა შეუტიეს მიწისმთხრელებსა და მოწინავე მეომრებს, რომლებიც მათ იცავდნენ. ჰანიბალის ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს, რომ მტერს საკუთარი ძალების მეტი რწმენა მისცემოდა, ციხესიმაგრეს უფრო დაშორებოდა. უცებ გაისმა ბუეის ხმა და პუნები, რომლებიც ჰანიბალს საიერიშოდ ჰყავდა მომზადებული, იქაურობას მოეფინენ. რომაელები გატყდნენ, მაგრამ გაქცევას ვერ ახერხებდნენ. მიწის ზოლი, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ ზღვა ავიწროვებდა, უკვე გადათხრილი იყო და სილისა და ქვის ზვინებით გავსებული. მრავალი რომაელი ჩაიხოცა თხრილში. საერთოდ, გაქცევას უფრო მეტი მსხვერპლი მოჰყვა, ვიდრე შეტაკებას.

ამ შეტაკების შემდეგ კართაგენელებმა სამუშაო დაუბრკოლებლად განაგრძეს. გათხარეს განიერი ხანდაკი და მის შიგნითა მხარეს მიწის ზვინული აღმართეს, ხოლო ზვინულის შორიახლოს გალაგნის ასაგებადაც კი მოემზადნენ. ჰანიბალმა ტა-

რენტუმში გარნიზონი დატოვა, თუმცა გარნიზონი მცირერიცხოვანი იყო, თვითონ კი ქალაქის მახლობლად დაბანაკდა.

ჰანიბალი ხედავდა, რომ გალავანი სწრაფად მალღებოდა, რომელები კი წყნარად ისხდნენ, და განძრევასაც ვერ ბედავდნენ. მაშინ პუნმა გადაწყვიტა, ციხესიმაგრე შტურმით აეღო.

მიიტანეს ტარანები, საალყო კოშკები და სხვა მანქანები, მაგრამ რომელებს მეზობელი ქალაქებიდან დამხმარე ძალამ მოუსწრო, მათ ღამით ისევ მცირე თავდასხმა მოაწყვეს და ამჯერად კარგა დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. ყველა საალყო მანქანა და ნაგებობა დაამტკრიეს და დაწვეს.

ახლა მხოლოდ ხანგრძლივი ალყის იმედიღა რჩებოდა, მაგრამ ისიც ძაფზე ეკიდა. სრუტე, რომელიც ნავსადგურს ზღვასთან აერთებდა, ძალზე ვიწრო იყო და კონცხზე ციხესიმაგრეს კარგად იფარავდა. გამოდიოდა, რომ რომის გარნიზონს ზღვაზე თავისუფალი გასასვლელი ჰქონდა, ხოლო ნავსადგური — და, მაშასადამე, მთელი ქალაქი — მისგან მოკვეთილი იყო.

ამგვარად, გასაკირი და შიმშილი უფრო მოალყეებს დაატყდებოდათ თავს, ვიდრე ალყაშემორტყმულებს.

ჰანიბალმა ტარენტუმის პირველი მოქალაქეები მიიწვია და შექმნილი მდგომარეობის სიძნელეები გააცნო: სიმაგრე მიუვალია, ხოლო ალყის შემორტყმა შეუძლებელია, სანამ მტერი ზღვაზე ბატონობს. ფლოტი რომ გვეშოვა, რომელიც ზღვიდან მათ მომარაგებას შეწყვეტდა, მაშინ რომელები ციხესიმაგრეს სასწრაფოდ გაეცლებოდნენ, ანდა დაგვნებდებოდნენო.

— მართალია, — უპასუხეს ტარენტუმელებმა, — სიცილიიდან შენი ხომალდები გამოიწვიე.

— ასე შორიდან რა საჭიროა? — ჰკითხა ჰანიბალმა, — თქვენი ხომალდები სად გიყენიათ?

— ჩვენი ხომალდები ნავსადგურებში არის ჩაკეტილი, გასაღები კი მტერსა აქვს. ზღვაში როგორ გავლენ?

— გავლენ, — დაარწმუნა ჰანიბალმა. — ადამიანს გონება იმითომ აქვს, რომ ბუნების სიძნელეებს თავი დააღწიოს. თქვენი ქალაქი სწორ ადგილზეა გაშლილი, ქუჩები ყველგან განიერიია. ჰოდა, საზიდრების დახმარებით ხომალდებს სწორედ იმ ქუჩით გადავიტან, რომელიც ნავსადგურიდან ზღვისაკენ მი-

ემართება და ქალაქს შუაზე ჰკრის. ამგვარად, ზღვა, რომელსაც ახლა მტერი ფლობს, ჩვენი იქნება! მაშინ სიმაგრეს ჩვენ ალყას შემოვარტყამთ ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც. ალბითაც მალე ავიღებთ — ან დაცარიელებულს, ანდა თავისი ხელმოცარულ დამცველებიანად.

დაუყოვნებლივ შეაგროვეს საზიდრები და რამოდენიმე ერთმანეთს გადააბეს. მანქანები წაპირთან მიიტანეს, რომ ხომალდები წყლიდან ამოეთრიათ, გაამაგრეს ქვაფენილი, აქა-იქ გზა ხელახლა მოკირწყლეს, რომ ბორბლები არ ჩაფლულიყო. საზიდრებში შეაბეს ჯორები, ხარები, ცხენები და გამრეკებმა შოლტებს წამოუსვეს ხელი. რამდენიმე დღეში ტარენტუმელთა ფლოტმა ციხესიმაგრესთან მიცურა და ღუზა სრუტის შესართავთან ჩაუშვა.

როგორ მოიმარაბის კაკუშელიმგმა პური

ჯერ კიდევ ზაფხულის პირზე, როცა ჰანიბალი ტარენტუმის მახლობლად იდგა, მასთან კაპუელი ელჩები გამოცხადნენ. კაპუელები შიმშილობდნენ, რადგან რომაელებმა მათ თევის საშუალება არ მისცეს, ხოლო წინ ალბათ უფრო მძიმე განსაცდელი ელოდათ: ორივე კონსული სამნიუმში იდგა და ყოველ წუთს შეეძლო კამპანიაში გადასულიყო და კაპუა ალყაში მოექცია. ელჩები ითხოვდნენ, სანამ რომაელები არ მოსულან და გზები თავისუფალია, ახლომახლო ადგილებიდან კაპუაშიც შეიძლება ბევრი პური შემოზიდონო. ჰანიბალმა განკარგულება გაუგზავნა ჰანონს ბრუტიუმში, კამპანელებს თხოვნა შეუსრულე და საჭირო რაოდენობის პურით მოამარაგეო.

ჰანონი ჯარიანად ბრუტიუმიდან სამნიუმში წავიდა. მტერთან შეხვედრას თავი აარიდა და ქალაქ ბენევენტუმიდან ოთხ ნახევარი კილომეტრის დაშორებით დაბანაკდა. აქედან კი მოკავშირე სამნიტებს შიკრიკები გაუგზავნა — პური ჩემს ბანაკში მოზიდეთო. საზიდრების დასაცავად კი ბადრაგს შეჰპირდა. შემდეგ კაპუელებს შეუთვალა, ყველა საზიდარი და სასაპალნე საქონელი მოაგროვეთო, და პურის წასაღებად დღე დანიშნა. მაგრამ კაპუელებმა მხოლოდ ოთხასი საზიდარი და რამ-

დენიმე ათეული სასაბაღო საქონელი მირეკეს. ჰანონი ლან-
ძღავდა მათ, ამბობდა, თვით შიმშილიც კი, რომელიც ყოველ
სულდგმულს მუყაით შრომას უნერგავს, თქვენს ქარა-
ფშუტობაზე უძლურიაო. ბოლოს მეორეჯერ დანიშნეს დღე,
როცა კაპუელები უფრო მომზადებულად უნდა მისულიყვნენ
და პური წაეღოთ.

ბენევენტუმის ხელისუფლებმა, რომლებმაც ყველაფერი
შეიტყვეს, კონსულებთან ათი ელჩი გაგზავნეს. კონსული
ფულვიუსი მაშინვე ჩავიდა ბენევენტუმში. აქ მან გაიგო, რომ
თვით ჰანონი ბანაკში არ იმყოფებოდა — მეალაფეებთან ერ-
თად საღვთო დაეხეტებოდა, — რომ კამპანელებს პურს მისი
მოადგილე აძლევდა, რომ ყველაფერი ნაჩქარევად, ჰაიპარად
კეთდებოდა და არავითარი წესრიგი არ იყო. სხვანაირად არ შე-
იძლებოდა ყოფილიყო, როცა სამხედრო კარვებთან ორი ათას
სახიდაართან ერთად გლეხები ჯგროდ ირეოდნენ.

კონსულმა მეომრებს უთხრა, იარაღისა და დროშების გარ-
და ღამით არათფერი დაგჭირდებათო და მეოთხე საყარაულო
ღამეს უტვირთოდ გავიდნენ. სანამ ირიყრაყებდა, მტრის ბა-
ნაკს მიაღწიეს. კართაგენელების შიში იმდენად დიდი იყო, რომ
რომელები ბანაკს პირველი დარტყმისთანავე აიღებდნენ, მაგ-
რამ ბანაკს მაღალი ადგილი და საიმედო სიმაგრეები იცავდა.
გარიყრაყზე ცხარე ომი გაჩაღდა. პუნები არა მარტო იცავდნენ
მიწის ზვინულს, არამედ სიმაგრის გამოღმაც გადმოდიოდნენ
და ციცაბო ფერდობებზე აბობლებულ მტრებს ებრძოდნენ.
მაგრამ სიმამაცემ და შეუპოვრობამ ყველა დაბრკოლება გადა-
ლახა და რომელები ბანაკის ხანდაკს რამდენიმე ადგილას
ერთბაშად მიადგნენ. თუმცა ეს დიდი ზარალის ფასად დაუჭ-
დათ. კონსულმა ლეგატები და სამხედრო ტრიბუნები იხმო და
უთხრა, მეტად თამამ ჩემს განზრახვაზე უარს ვამბობო.

— დღეს ჩვენ ბენევენტუმში დავბრუნდებით, — თქვა
მან, — ხვალ კი მტრის გვერდით დავცემთ ბანაკს, რომ არც
კამპანიელები გამოვუშვით გარეთ და არც ჰანონს მივცეთ დაბ-
რუნების საშუალება. უშეცდომოდ თუ ვიმოქმედებთ, მეორე
კონსულს შევუერთდებით.

გაისმა ბუკის ხმა — მისცეს უკან დახევის ნიშანი, მაგრამ
მხედართმთავრის გეგმა ჯარისკაცების გასაოცარმა სიმამაცემ

ჩაშალა. მტერთან ყველაზე ახლოს პელიგნების კოპორტა იდგა. მისმა უფროსმა ვიბიუს აკაიუსმა, დროშას ხელი სტაცა, მიწის ზვინულის გადაღმა გადააგდო და იყვირა: ღმერთმა შეგვანგენოს მე და ჩემი კოპორტა, თუკი პუნებს დროშას ვერ წაუართმევთო, მტრის ბანაკში პირველი თვითონვე შეიჭრა, პელიგნები უკვე შიგნით, ბანაკში იბრძოდნენ; როცა სამხედრო ტრიბუნმა ვალერიუს ფლაკუსმა დაიყვირა:

— სირცხვილი თქვენი, რომაელებო, გამარჯვების პატივი მოკავშირეებს რომ დაუთმეთ!

მაშინ ცენტურიონმა ტიტუს პედანიუსმა მებაირაღეს დროშა ხელიდან გამოჰგლიჯა ყვირილით:

— ახლა ეს დროშა ზვინულის გადაღმა იქნება, ვისაც არ სურს, იგი მტერს ჩაუგდოს ხელში, მომყვეს! — და ზვინულს გადაახტა.

პედანიუსს მისი ჯარისკაცები მიჰყვნენ, ხოლო მათ—მთელი მესამე ლეგიონი. როცა კონსულმა დაინახა, რომ მტრის ბანაკი რომაელებით ივსება, უკანდახვევა მანაც გადაიფიქრა. კონსულმა ყველას მოუწოდა, მოკავშირეთა უმამაცესი კოპორტა და რომაელ მოქალქეთა ლეგიონი განსაცდელისგან ეხსნათ. მთელი ჯარი მტერს ეკვეთა, არც გზას კითხულობდნენ, არც ისრებისა და ხელშუბების სეტყვას აქცევდნენ ყურადღებას. ბევრი მძიმედ დაიჭრა, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ არც ისინი ჩერდებოდნენ. მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, ზვინულს გადაღმა მომკვდარიყვნენ. ბანაკი თვალის დახამხამებაში აიღეს.

ამით დამთავრდა ბრძოლა და დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. ექვსი ათას კაცზე მეტი იქნა მოკლული, შვიდი ათასზე მეტი — პურისათვის მოსული კამპანიელების ჩათვლით — ტყვედ ჩავარდა. რომაელებს დარჩათ საზიდრები, საპალნე, საქონელი და ბევრი სხვა ნადავლი. ყველაფერი ეს გაყიდეს და ფული მეომრებს გაუყვეს. პელიგნელმა ვიბიუს აკაიუსმა, ცენტურიონმა ტიტუს პედანიუსმა და შტურმის სხვა გმირებმა ჯილდოები მიიღეს.

უფრო ზუსტი იქნება, ვთქვათ, რომ ჰანონმა მეფურაყეები-თურთ ბრუტიუმისკენ კი არ დაიხია, არამედ გაიქცა.

კამპანიელებმა ჰანიბალს ახალი ელჩები გაუგზავნეს და შეატყობინეს, რომაელები ბენევენტუმთან არიან, კაპუიდან ერთი დღის სავალზე და თუკი კართაგენელები არ აჩქარდენ-

ზიან, კაპუა მტრის ხელში უფრო მალე აღმოჩნდება, ვიდრე თავის დროზე არაბი აღმოჩნდაო. არა თუ ტარენტუმის ციხესიმაგრე, მთელი ქალაქი იმად არ ღირს, რომ რომის ხალხის საჯიჯგნად მიუგდონ უქომავო კაპუა, რომელსაც თვით ჰანიბალი ხშირად კართაგენის თანასწორად მიიჩნევსო. ჰანიბალმა როგორც კი შეეძლო, დაამშვიდა ელჩები და მათ ორი ათასი მხედარი გააყოლა, რომ დაეცვათ კაპუელთა ველები მტრის თავდასხმისაგან.

და მართლაც, კონსულებმა კვინტუს ფულვიუს ფლაკუსმა და აპიუს კლავდიუსმა (ისინი კართაგენის ბანაიკის განადგურების შემდეგ შეერთდნენ ბენევენტუმთან) ლეგიონები კამპანიისაკენ დაძრეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯეჯილი და ნათესები გადაეთელათ, არამედ კაპუისათვის ალყა შემოეჭრათ. ორივე კონსული რომის სახელმწიფოსათვის უდიდეს დამცირებად თვლიდა, რომ რომთან ასე ახლოს მდებარე ქალაქი, აგერ, უკვე სამი წელია ღალატის გამო დაუსჯელი იყო. მაგრამ ბენევენტუმის უპატრონოდ მიტოვებაც არ შეიძლებოდა. მით უმეტეს, მოსალოდნელი იყო, რომ ჰანიბალი მოკავშირეებს მაშველ ძალებს გამოუგზავნიდა, ანდა თვითონ მოვიდოდა, მაშინ რომაელები ვერ გაუმკლავდებოდნენ მათი ცხენოსნების შემოტევას. ამიტომაც კონსულებმა უბრძანეს ტიბერიუს სემპრონიუს გრაქუსს, რომელიც ლუკანიაში იდგა, ბენევენტუმში გადასულიყო ცხენოსანი ჯარითა და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარით, ხოლო ლუკანიის ბანაიკი და მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი რომელიმე თანაშემწისათვის ჩაება-რებინა.

ტიბერიუს სემპრონიუს ბრაქუსის სიკვდილი

შეტვეის წინა დღეს გრაქუსი დაიღუპა. დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე იგი ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა და სასწაული მოხდა, უბედურებას რომ მოასწავებდა. მოულოდნელად საიდანღაც ორი გველი გამოსრიალდა, ზვარაკის ღვიძლი შექამეს და მაშინვე თვალს მიეფარნენ. ქურუმებმა ახალი მსხვერპლის შეწირვა ურჩიეს და თუმცა საკლავს ძალზე გულ-

მოდგინედ დარაჯობდნენ, მაინც იგივე გამეორდა. ასევე მოხდა მესამეჯერაც — მკითხავეებმა გააფრთხილეს, ხიფათი გელის და საიდუმლო მრჩევლებსა და ფარულ განზრახვას ერიდეთ, მაგრამ გრაკხუსი ბედისწერას ვერ გაექცა.

ლუკის მცხოვრებთა ნაწილი ჰანიბალის მხარეზე იყო, ნაწილმა რომის ერთგულება შეინარჩუნა. ამ უკანასკნელებს სათავეში ედგა ვინმე ფლავიუსი, რომელსაც მეორე წელი იყო, რაც თავის ქვეყანაში უზენაესი თანამდებობა ეჭირა. ამ კაცმა ძოვლოდნელად გადაწყვიტა, კართაგენელებთან ეძებნა მოწყალეობა. მაგრამ საკუთარი ლალატი და ლალატისაკენ თანამემამულეთა წაქეზება ეცოტავა და მოინდომა მტერთან კავშირი მეგობრებისა და სტუმრის — რომის სარდლის სისხლით განემტკიცებინა. იგი იყო ბრუტიუმში პუნთა უფროს მაგონთან და მისგან დაპირება მიიღო კართაგენელები ლუკელებთან კავშირს დაედებთ, არ შეეზღუდავთ მათ თავისუფლებას, თუკი გრაკხუსს გასცემთო. ფლავიუსმა მაგონი ერთ-ერთ ხეობაში მიიყვანა და უთხრა: გრაკხუსს მცირერიცხოვანი მხლებლებით აქ მოგვევრიო.

ხეობა ჩასასაფრებლად მეტად მოხერხებული იყო. მიდამოს დაზვერვის შემდეგ პუნმა და ლუკელმა თავდასხმის დრო დათქვეს.

ფლავიუსი რომის სარდალთან მოვიდა და უთხრა, ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ჩავიფიქრე, ოღონდ შენი მონაწილეობის გარეშე არ დაგვირგვინდება: ლუკის ყველა ტომის ხელისუფალნი, რომლებიც კანესთან ბრძოლის შემდეგ ჰანიბალის მხარეზე გადავიდნენ, თითქმის დავითანხმე, დაუბრუნდნენ რომაელთა მეგობრობას. რომაელები ადვილად დაივიწყებენ წარსულს, რადგან დედამიწის ზურგზე არ არსებობს ხალხი უფრო გულმონწყალე და ადვილად მიმტევებელი-მეთქი. ერთი სიტყვით, ლუკელები დავაჯერე და დავარწმუნე, მაგრამ ახლა ამის მოსმენა შენგან, რომაელი ბელადისაგან სურთ და ერთგულების საწინდრად უნდათ შენს მარჯვენას ხელით შეეხონ. შეხვედრისათვის თქვენი ბანაკის მახლობლად განმარტობული ადგილი შევეურჩიე, ერთი-ორი სიტყვა საკმარისია და ყველაფერი მოგვარდებაო.

გრაკხუსს ტყუილში ეჭვი არ შეჰპარვია, ნათქვამი დაიჭე-

რა, რადგან მართალს ჰგავდა. ლიქტორები და ცხენოსანთა ტურმა იახლა და სიკვდილთან შესახვედრად თავისივე ფეხით გასწია. მტრები ყოველი მხრიდან წამოიშალნენ. ფლავიუსი, თითქოს უკანასკნელი ეჭვის გაქარვება სურსო, მაშინვე მათ შუაგულში აღმოჩნდა. გრაკხუსსა და მის მხედრებს ხელშუბები დააყარეს. გრაკხუსი ჩამოხტა ცხენიდან, დანარჩენებსაც უბრძანა, ჩამოქვეითებულ იყვნენ და მოუწოდა ესარგებლათ ერთადერთი მოწყალებით, რომელიც ბედმა უბოძათ, — სახელოვნად დახოცილიყვნენ. გარშემო მხოლოდ მთები, ტყე და მტერია, — უთხრა მათ, — ისინი ბევრნი არიან, ჩვენ ცოტანი, ან ცხვრებივით მორჩილად თავი უნდა დაუდოთ მტერს, ანდა არ ვაცალოთ, გააფთრებით ვეკვეთოთ და მტრების სისხლით მოთხვრილებმა მათ გვამებსა და იარაღებს შორის დავლიოთ სული! დაუმიზნეთ და ესროლეთ ლუკელ გამცემს და მოლაღატეს! ვინც მას საიქიოში თავის თავზე უწინ გაგზავნის და ქვესკნელის ღმერთებს¹ შესწირავს, ის თვით სიკვდილშიც უდიდეს ნუგეშს იპოვის.

ამ სიტყვებით გრაკხუსმა მარცხენა ხელზე მოსასხამი დაიხვია — რომაელებს თან ფარიც კი არ ჰქონდათ — და მტერს ეკვეთა. გაჩაღებული ომის ძალა სრულიად არ შეეფარდებოდა მებრძოლთა რაოდენობას. ფერდობებიდან ძირს, ხეობაში მოქპროდნენ ხელშუბები, და უაბჯრო ადამიანებს შუაზე აპობდნენ. პუნები ცდილობდნენ გრაკხუსი ცოცხლად ეგდოთ ხელთ, მან კი თვალთ ფლავიუსი მოძებნა და მტრის გროვაში შეიჭრა. გრაკხუსი გზად ყველას ჩეხდა, მისი შეჩერება მხოლოდ გულში გაყრილმა მახვილმა შეძლო.

მაგონმა სასწრაფოდ ბრძანა, მისი გვამი ჰანიბალთან წაეღოთ და ბანაკის მთავარ მოედანზე დაესვენებინათ. დახოცილი ლიქტორებისათვის წართმეული წკნელთა კონების გვერდით. ჰანიბალის ბრძანებით ბანაკის ქიშკარს გარეთ სასწრაფოდ მოამზადეს დასაკრძალავი კოცონი და გრაკხუსის ცხედარს საზეიმო მარშით ჩაუარა კართაგენის მთელმა შეიარაღებულმა ჯარმა. ესპანელმა ჯარისკაცებმა საომარი ცეკვა შეას-

¹ ე. ი. პლუტონსა და პროზერპინას, მიცვალებულთა ქვესკნელის მეუფეებს.

რულეს, ცხედარს პატივი სცეს სხვა ტომებმაც, ყველამ თავისი ჩვეულების მიხედვით. სიტყვით და საქმით ჯეროვნად დააჯასა იგი თვით პანიბალმაც.

კიდევ ერთი ორთაბრძოლა კავშის გალავანთან

კონსულებმა სულ მთლად ააოხრეს კამპანიის მინდვრები. კაპუელებმა კართაგენის ცხენოსანი ჯარის მხარდაჭერით თავდასხმა მოაწყვეს, რამაც ძლიერ შეაშინა რომაელები. მათ ძლივს მოასწრეს საბრძოლო წყობით დადგომა. იბრძოდნენ დუნედ, შეუკავშირებლად. ბოლოს, გაიქცნენ და ბრძოლის ველზე ხუთასი შოკლული დატოვეს. ამის მერე ისედაც თვითდარწმუნებული კამპანიელები კიდევ უფრო გაუყოჩნდნენ და წვრილ-წვრილი თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდნენ მტერს. მარცხიანი დასაწყისით დანაღვლიანებული კონსულები კი სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდნენ.

თავისთავად ერთმა უმნიშვნელო შემთხვევამ კამპანიელთა უტიფრობას ფრთები შეაკვეცა, რომაელებს კი ამ ამბავმა საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა. სხვათა შორის, ომში ზოგჯერ ძალზე წვრილმან ამბავს უფრო მნიშვნელოვან და სერიოზულ შედეგებამდე მივყავართ.

კამპანიელ ბადიუსს რომაელ ტიტუს კვინტუს კრისპინუსთან დიდი სტუმარმასპინძლობა¹ აკავშირებდა.

მათი მეგობრობა რამდენიმე წლის წინ განმტკიცდა. განსაკუთრებულად, როცა ბადიუსი რომში ავად გახდა და კრისპინუსის სახლში კარგა ზანს იწვა. მასპინძელი ავადმყოფს მზრუნველობას არ აკლებდა. აი, სწორედ ის ბადიუსი ახლა ქალაქის კარიბჭიდან გამოვიდა და რომის გუშაგებს სთხოვა,

¹ ძველ ბერძნებსა და რომაელებს მეტად ფართო სტუმართმასპინძლური ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ქალაქების მცხოვრებლებთან. მასპინძელი მეგობარს შინ იღებდა (სასტუმროები და ფუნდუკები იქ დროისათვის იშვიათად იყო), ყოველნაირად ეხმარებოდა მას, მით უმეტეს, რომ ეს დახმარება აუცილებელიც იყო, რადგან უცხო ქალაქში ჩამოსული რომაინი სრულიად უფლებო და დაუცველი იყო.

კრისპინუსს უხმეთო. კრისპინუსმა იფიქრა, საერთო განხეთქილებას ჯერ კიდევ არ წაუშლია პიროვნულად გაწეული კეთილი საქმე და ბადიუსს სურს, მეგობრულად მესაუბროსო. მაგრამ დაინახა თუ არა, ბადიუსმა უთხრა:

— კრისპინუს, ორთაბრძოლაში გიწვევ. შევსხდეთ ცხენებზე და ვნახოთ, რომელს უფრო მტკიცედ გვიჭირავს იარაღი.

— განა ცოტა გყავს სხვა მოწინააღმდეგე, რომ ჩვენი ვაჟკაცობა დავამტკიცოთ? — მიუგო კრისპინუსმა. — ბრძოლის ველზედაც რომ შემხვედროდი, შევეცდებოდი, გვერდი ამეარა, რომ მეგობრისა და სტუმრის სისხლით ხელები არ შემეღებოდა, — უთხრა კრისპინუსმა და გაეცალა.

მაგრამ ბადიუსი არ ცხრებოდა. მან რომაელს სიმხდალე დასწამა, დაუწყო ლანძღვა-გინება. რომელსაც თვითონ უფრო იმსახურებდა. ყვიროდა: კრისპინუსი განგებ აჩვენებს ყველას თავს, რომ ლმობიერი და გულმოწყალეა, სინამდვილეში კი ძლიერი მტრისა ეშინია. თუკი მას ჰგონია, რომ საზოგადოებრივი კავშირის დარღვევამ კერძო კავშირები ხელუხლებელი დატოვა და არ გაწყვიტა, ცდება და კამპანიელი ბადიუსი ორი ჯარის თანდასწრებით ხელს იღებს რომაელი ტიტუს კვინტუს კრისპინუსის მეგობრობაზე. ბადიუსს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთო მტერთან, რომელიც თავს დაესხა მის სამშობლოსა და პენატებს!

— თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი! — ყვიროდა იგი.

კრისპინუსი დიდხანს იკავებდა თავს, სანამ ტურმის ამხანაგებმა არ ჩააგონეს, არ შეიძლება, რომაელის დაცინვა კამპანიელს შერჩესო. მაშინ კრისპინუსი, მიიღო თუ არა კონსულების ნებართვა, წინ გავიდა, ბადიუსს დაუწყო ძახილი. მანაც არ დაახანა. მოწინააღმდეგეები შეეხებნენ. კრისპინუსმა მარცხენა მხარეში ფარს ზემოთ დასჭრა ბადიუსი. იგი დაეცა. კრისპინუსი ცხენიდან ჩამოხდა, რომ დაჭრილისათვის ბოლო მოეღო, მაგრამ ბადიუსმა დაასწრო, ფეხზე წამოხტა, ფარი და ცხენი მიატოვა და თავისიანებისაკენ გაიქცა. კრისპინუსიც უკან შემობრუნდა, აღვირით მტრის ცხენი მოჰყავდა და გასისხლიანებულ შუბს იქნევდა. იგი ამხანაგებმა კონსულებთან მიიყვანეს. კონსულებმა შეაქეს და გულუხვად დააჯილდოვეს.

ჰანიბალი ალყაშემორტყმულ კაპუას მიადგა. მესამე დღის

მან ჯარი საბრძოლველად მოაწყო. რაკი კამპანიელებმა კონსულები გააქციეს, მას თავის წარმატებაში ეჭვიც კი არ ეპარებოდა. და მართლაც, სწამ კონსულებმა ბრძოლაში თავიანთი ცხენოსანი ჯარი არ ჩააბეს, რომელები ძლივს უძლებდნენ კართაგენელი ცხენოსნებისგან სეტყვასავით წამოსულ ხელშუბებს. დაიწყო მხედრების ბრძოლა, რომელიც ჰორიზონტზე მტვრის კორიანტელის გამოჩენამ შეწყვიტა. მტვრის კორიანტელმა ორივე მხარე ერთნაირად შეაშფოთა: ახალი მტერი ხომ არ გვიახლოვდებაო და თითქოს მოილაპარაკესო, ორივე ჯარმა უკან დაიხია და თავ-თავის ბანაკს მიაშურა.

გამოიჩვენა, რომ მაშველი ძალები რომელებმა მიიღეს: კვესტორმა გნეუს კორნელიუსმა მოკლული გრაკხუსის ცხენოსანი და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარი მოიყვანა. შაგრამ კონსულებმა ახალი ბრძოლის წამოწყება ვეღარ გაბედეს. ძალას მათ ეშმაკობა ამჯობინეს და მეორე ღამეს ბანაკი მიატოვეს. ფულვიუსი ქალაქ კუმაში გაემართა, აპიუს კლავდიუსი — ლუკანიაში. ჰანიბალი დაიბნა: ჯერ არ იცოდა, ვის დადევნებოდა. ბოლოს აპიუსს გამოუდგა. აპიუსი დიდხანს დაატარებდა მტერს თავის კვალდაკვალ მთელს ლუკანიაში და ბოლოს სხვა გზით ისევ კაპუაში დაბრუნდა.

ორი სამარცხვინო და დანაშაულებრივი დამარცხება

ლუკანიაში ჰანიბალს ხელი მოემართა. რომის ჯარში მსახურობდა ცენტურიონი მარკუს ცენტუნიუსი, მეტსახელად პენულა¹, ბრვე აღნაგობის კაცი, ძალზე მამაცი, ერთი სიტყვით, ჩინებული მებრძოლი. სამსახურის ვადა გაუთავდა, რომში დაბრუნდა და პრეტორ პუბლიუს კორნელიუსს ნება სთხოვა, სენატორების წინაშე გამოსულიყო. პრეტორმა პენულა სენატში მოიყვანა. ცენტურიონმა ითხოვა, ხუთი ათასი კაცი მომეცითო. ამბობდა, მტრის ხასიათიც კარგად შევისწავლე, ადგილმდებარეობაც და შემძღია ჰანიბალს მისივე ეშმაკური ხერხებით.

¹ პენულა (paenula) — ლათინურად „კაპიუზონიანი თბილი ლაბადა“.

შევებრძოლო. რასაკვირველია, სისულელე იყო ასეთი პირობის დადება, მაგრამ უფრო დიდი სისულელე — მისი დაჭერება! განა გაწაფული ჯარისკაცობა და გაწაფული მხედართმთავრის გაიგივება შეიძლება?! პენულას ხუთი ათასი კი არა, რვა ათასი კაცი მისცეს (აქედან ნახევარი რომის მოქალაქეები იყვნენ, მეორე ნახევარი — მოკავშირეები), გზად მოხალისეებიც შეიერთა, ასე რომ ლუკანიაში თხუთმეტი ათასი კაცი მიიყვანა.

ჰანიბალი აპიუს კლავდიუსის კვალდაკვალ უშედეგო დევნის შემდეგ ლუკანიაში იდგა. წინასწარ ცხადი იყო, როგორ დამთავრდებოდა შეხვედრა ჰანიბალსა და ცენტურიონს შორის, ვეტერან ჯარსა, რომელმაც არ იცოდა რა იყო დამარცხება, და ახალწვეულ ჯარს შორის, რომელმაც არ იცოდა რა იყო წესრიგი. ერთმანეთს თვალი ჰკიდეს თუ არა, მოწინააღმდეგეები საბრძოლველად მოეწყვნენ. მიუხედავად ძალების ამკარა უთანასწორობისა, ორი საათი იბრძოლეს, რადგან რომაელები სულიერად მანამ არ დაცემულან, სანამ მათი ბელადი ცოცხალი იყო. მაგრამ პენულამ თვითონ შეუშვირა მკერდი მტრის შუბებს. იგი მარტო საკუთარ წარსულ დიდებას კი არ უფრთხილდებოდა, არამედ უფრო სახელის გატეხვა აწუხებდა, რომელიც დამარცხების შემდეგ ელოდა, თუკი ცოცხალი გადარჩებოდა, რადგან ეს დამარცხება მისი თავქარიანობისა და დიდგულობის შედეგი იყო.

იგი დაეცა თუ არა, რომაელები გაიქცნენ, თუმცა გასაქცევი გზა არსად ჰქონდათ. მტრის ცხენოსანმა ჯარმა ყველა გზა დაიკავა და გადაჭრა. სიკვდილს ათასამდე კაცი თუ გადაურჩა, დანარჩენები დაილუპნენ.

სწორედ იმხანად ტიბერიუს სემპრონიუს გრაქხუსის მეომრებმა — ყოფილმა მონებმა — დეზერტირობა დაიწყეს. გრაქხუსის დროს ისინი ერთგულად და მონდომებით მსახურობდნენ, მაგრამ მისმა სიკვდილმა, თითქოს ფიცისაგან გაათავისუფლა ანდა ჯარიდან დაითხოვა ისინი.

ჰანიბალს კაპუა არ ავიწყდებოდა და მოკავშირეების დატოვებას ბედის ანაბარად სულ არ აპირებდა, მაგრამ პენულას განადგურება აფიქრებდა, რომ რომაელებს, შესაძლოა, კიდევ მოეძევებოდათ პენულასნაირი უფროსი და დასანანი იქნებო-

და ასეთი ბედნიერი შემთხვევის ხელიდან გაშვება. იგი ყურადღებით ისმენდა მხედართმთავრებისა და მოკავშირეების პატაკებს და შეიტყო, რომ პრეტორმა გნეიუს ფულვიუსმა, რომელიც აპულიში რომის ძალებს უფროსობდა, პუნთა თანამოზიარე რამდენიმე ქალაქი აიღო. წარმატებამ და დიდმა ნაღავლმა თავბრუ დაახვია თვით პრეტორს და მის ჯარისკაცებს, რომლებიც ისე გათამამდნენ, რომ აღარ ემორჩილებოდნენ უფროსებს. ფულვიუსს კი ეს ამბავი დიდად არ აწუხებდა. ჰანიბალმა იფიქრა, სასურველი შემთხვევა დამიდგაო და ლუკანიიდან აპულიისაკენ დაიძრა.

როცა რომის ბანაკში ხმა დაირხა, მტერი გვიახლოვდებაო, მეომრებმა პრეტორის ბრძანების გარეშე კინალამ დროშებს სტაცეს ხელი და საბრძოლო მწყობრში არ ჩადგნენ. თუკი თავი შეიკავეს, მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ, ამას ჩვენი ნება-სურვილისამებრ როცა გვინდა, მაშინ ვიზამთო. ჰანიბალმა დამით გარემომდებარე თემებში, ქალებსა და ჩირგვებში სამი ათასი კაცი ჩამალა და უბრძანა, დათქმულნიშანს დალოდებოდნენ. ორი ათასი ცხენოსანი ჯარი გზის გარდიგარდმო ჩაასაფრა, საიდანაც უკანდახევის დროს შეიძლებოდა მტერს გაქცევა დაეპირებინა. ჰანიბალმა სამზადისი რომ დაამთავრა, გარიქრაჟზე ჯარი გამოიყვანა და საბრძოლველად მოაწყო.

ფულვიუსმაც გამოიყვანა ჯარი, მაგრამ იგი იმდენად საკუთარი გეგმებითა და იმედებით კი არ ხელმძღვანელობდა, რამდენადაც ჯარისკაცთა წუთიერი აღმაფრენით. ამიტომ იყო, რომ რომაელები ასევე ზერელედ და დაუფიქრებლად მოეწყვნენ: თითოეული იქ დგებოდა, სადაც სურდა, შემდეგ ამ ადგილს მეტისმეტად საშიშად მიიჩნევდა, ანდა უბრალოდ, ახირების გამო მიატოვებდა, ისე, რომ არავის ჰკითხავდა. საბრძოლო ხაზი სიგრძეში მეტისმეტად გაწეილილი აღმოჩნდა, მაშასადამე, ძალიან სუსტიც. სამხედრო ტრიბუნები აფრთხილებდნენ, რომ მტერმა სადაც არ უნდა დაარტყას ამ მწყობრს, ყველგან გაარღვევსო, მაგრამ გონივრული სიტყვა ამ უგუნურების სულსა და გულს არ ეკარებოდა.

რომაელებმა არა თუ კართაგენელების პირველ შემოტევას, პირველ ყოჩინასაც კი ვერ გაუძლეს. პრეტორი ფულვიუს-

სი მარკუს ცენტუნიუს პენულას სიბრძნითა და თავქარიანობით კი ჰგავდა, მაგრამ სულის სიმტკიცით არა. როცა დაინახა: ჯარი აირ-დაირია, წამსვე ცხენს მოახტა და ორი ათასი ცხენოსანი ჯარის თანხლებით პირველმა მოკურცხლა. სამაგიეროდ, თერამეტი ათასი ხელქვეითიდან მხოლოდ ორი ათასამდე კაცი გადარჩა — დანარჩენებს კართაგენელებმა უკანიდან დაუარეს, ზურგიდან და ორივე ფლანგებიდან დაარტყეს და ამოხოცეს — რომაელთა ხელუხლებელი ბანაკი პუნებს დარჩათ.

როცა ზედიზედ მომხდარი ეს უბედურება რომში გაიგეს, მთელი ქალაქი გლოვამ და შიშმა მოიცვა. მაგრამ აქამომდე კონსულების ნაყოფიერმა საქმიანობამ საბოლოოდ იმედი არ წარახოცინა ხალხს. სენატმა კონსულებს უბრძანა, დამარცხებული ჯარის ნაშთები შეეგროვებინათ და ეზრუნათ, სასოწარკვეთილი ლტოლვილები ნებაყოფლობით არ ჩაბარებოდნენ მტერს, როგორც ეს კანესთან დამარცხების შემდეგ მოხდა. პრეტორ პუბლიუს კორნელიუსს დაევალა, მოეძებნა ტიბერიუს გრაკხუსის ჯარის დეზერტირები და ამასთანავე ახალიც შეეკრიბა.

კონსულები კაპუის ალყას განაგრძობდნენ. თავდაპირველად პური მოიმარაგეს, რომ ზამთარში არ გასჭირვებოდათ, შემდეგ საალყო სამუშაოებს შეუდგნენ. სამი მხრიდან ერთდროულად გაიყვანეს ხანდაკი და ზვინული, რომელსაც ახლო ახლო რედუტები ჩააყოლეს. ფიქრობდნენ მოკლე დროში ქალაქი რკალში მოექციათ. კამპანიელები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ, მაგრამ ყველა მათი შეტევა მოიგერიეს და ამის შემდეგ გალავანს გაღმა აღარ გამოჩენილან.

პრეტორმა პუბლიუს კორნელიუსმა სენატის სახელით განკარგულება გასცა, ვიდრე საალყო სამუშაოები არ დამთავრებულა, კონსულებს ნება მიეცათ ყველასათვის, ვისაც სურდა, ქონება წაეღო და კაპუიდან წასულიყო. საბოლოო ვადად მომდევნო წლის შუა მარტი დაუთქვეს. ვინც ამ დღეს გადააცილებს, არც მას დავინდობთ და არც მის ქონებასო. კონსულების ბრძანებას კამპანიელები დაცინვით, ლანძღვა-გინებით და მუქარით შეხვდნენ.

პანიბალმა ჯარი ლუკანიიდან ტარენტუმში წაიყვანა. ისევ სცადა სიმაგრის აღება, მაგრამ ამაოდ, მაშინ იგი ბრუნდიზიუმს

მიადგა. აქ ჰანიბალი კაპუელმა ელჩებმა მოძებნეს და უთხრეს, რა სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი მათი ქალაქი და შეევედრნენ, საჩქაროდ მიშველებოდა. ჰანიბალმა ქედმაღლურად უპასუხა, ერთხელ ალყიდან დაგიხსენით, კვლავაც დაგიხსნითო. ამით გაისტუმრა ელჩები, რომლებმაც სასწაულით გამოადწიეს რომაელთა სიმაგრეებს და შინ ძლიეს დაბრუნდნენ.

სირაკუზის დაცემა

კაპუის ალყის პირველ პერიოდში დასრულდა სირაკუზის გაჭიანურებული ალყა.

მარცელუსმა ერთხანს იყოყმანა, ჰიმილკონისა და ჰიპოკრატეს წინააღმდეგ საბრძოლველად წასულიყო თუ ადგილზე დარჩენილიყო. ბოლოს, დაწყებული საქმის დასრულება გადაწყვიტა და აღრე გაზაფხულზე აგრიგენტისაკენ დაიძრა. ქალაქის ძალდატანებით აღებას აზრი არ ჰქონდა. ზღვიდან და ზმელეთიდან იგი მიუვალი იყო, შიმშილით მათი ამოხოცვა არ შეიძლებოდა, რადგან ზღვით შეუწყვეტლივ, თითქმის დაუბრკოლებლად ეზიდებოდნენ პურს კართაგენიდან. რომის მხედართმთავარმა დახმარებისათვის ქალაქიდან განდევნილ სირაკუზელებს მიმართა. მან სთხოვა, მოლაპარაკებოდნენ თავიანთ თანამოაზრეებს — კართაგენის მტრებსა და რომის მეგობრებს — თვით სირაკუზში და მისი სახელით დაპირებოდნენ სირაკუზელებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თუკი სირაკუზი დანებდებოდა. მაგრამ ქალაქის მცხოვრებლები მეტისმეტად ეჭვიანები გახდნენ და ფხიზლად ადევნებდნენ ერთმანეთს თვალყურს, ასე რომ, მოლაპარაკება დიდხანს ვერ მოახერხეს. რამოდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, განდევნილებმა ალყაშემორტყმულ სირაკუზში მონა შეგზავნეს, რომელმაც თავი რომის მტრად გაასაღა. იგი შეხვდა განდევნილთა მეგობრებს და მათ მარცელუსის ნათქვამი გადასცა. სირაკუზელები მეთევზის ნავში ბადეების ქვეშ დაიმაღნენ, ნავსადგურიდან გამოიპარნენ, აქრადინს შემოუარეს და რომის ბანაკში მივიდნენ. ასეთი მოგზაურობა რამოდენიმეჯერ გამეორდა, რის შე-

დეგადაც შეთქმულებს ოთხმოცი კაცი შეუერთდა. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ვინმე ატალოსი ეპიკიდესთან მივიდა და შეთქმულნი გასცა. ამ კაცმა მეგობრები და ახლო ნაცნობები მხოლოდ განაწყენების გამო დაასმინა — შეთქმულებმა თავიანთი ჩანაფიქრი რატომ არ გამანდესო. შეთქმულები საშინელი წამებით დახოცეს.

ამგვარად, ერთი იმედი გაუცრუვდათ, სამაგიეროდ, ახალი მიეცათ. სირაკუზელებმა მაკედონიის მეფესთან ელჩი, — სპარტელი დამიპოსი გაგზავნეს. მისი ხომალდი რომაელებს ჩაუვარდათ ხელში. ეპიკიდე ყოველ ღონეს ხმარობდა, ტყვე გამოესყიდა. ამის წინააღმდეგი არც მარცელუსი იყო, რადგან რომი ეტოლიელებთან¹ მეგობრული კავშირის გაბმას აპირებდა. ეტოლიელები კი სპარტელებთან მეგობრობდნენ. გამოსყიდვის პირობებზე მოსალაპარაკებლად ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ადგილი აირჩიეს — რომის ბანაკსა და ქალაქის ჩრდილოეთ გალავანს შორის. ერთ-ერთი რომაელი გალავანს ახლოდან კარგად დააკვირდა, ქვის წყობა დათვალა, თითოეული ქვის სიმაღლე გონებაში გაიანგარიშა და დაასკვნა, რომ იმ ადგილას გალავანი უფრო დაბალი იყო, ვიდრე თვითონ ეგონათ, რომ გალავანზე ასვლა შედარებით მოკლე კიბითაც შეიძლებოდა. ეს მოსაზრება მან მარცელუსს გაანდო.

სარდალმა მას ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ შენიშნა, სწორედ ამ მიზეზის გამო გალავნის დაბალ ნაწილს განსაკუთრებით ფხიზლად იცავენ და ხელსაყრელ შემთხვევას უნდა დაველოდოთო.

ქალღმერთ არტემიდას დღესასწაული მოახლოვდა, რომელსაც სირაკუზელები სამ დღეს აღნიშნავდნენ. რომაელთა მხარეზე გადასულმა ერთ-ერთმა სირაკუზელმა მარცელუსს შეატყობინა, რომ ამ სადღესასწაულო ნადიმის დროს ჩვეულებრივზე მეტს დალევდნენ: საჭმელი ალყაშემორტყმულ ქალაქში, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არ ჰყოფნიდათ, ღვინო კი ბევრი ჰქონდათ, ამიტომ ეპიკიდემ ბრძანა, სასმელი უფასოდ დაერიგებინათ.

¹ ეტოლია — ოლქი ჩრდილო-დასავლეთ საბერძნეთში. რომაელებს იმიტომ აინტერესებდათ ეტოლიელებთან კავშირი, რომ მათში ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ მოკავშირეებს ხელაღწევდა.

მარცელუსმა მაშინვე მოიწვია სამხედრო ტრიბუნების საბჭო. შეარჩიეს საუკეთესო მეომრები, რომლებსაც შეეძლოთ მნიშვნელოვანი, სარისკო საქმის შესრულება, საიღუმლოდ შეაგროვეს და ერთმანეთს გადააბეს კიბეები, ჯარს განკარგულება მისცეს, აღრე ივახშმეთ და დაიძინეთ, ღამით შტურმს ვიწყებთო.

შებინდებისას მარცელუსმა ივარაუდა, შუადღიდან ნაქეიფარი სირაკუზელები უკვე გამობრუყულნი იქნებიანო და ერთ მანიპულას უბრძანა, კიბეები წაეღოთ. ათასამდე მწყრივად დაწყობილი მეომარი ჩუმად მიიპარა დათქმულ ადგილას. პირველები უხმაუროდ, აყალმაყალის გარეშე აცოცდნენ გალავანზე. პირველებს, მათი მაგალითით გამხნეებულნი, დანარჩენებიც მიჰყვნენ. ათასმა მეომარმა დაიკავა გალავნის ნაწილი და ჰექსაპილესაკენ დაიძრა. არსად არავინ შეხვედრიათ. ყარაულები ლოთობდნენ კოშკებში — ან ეძინათ, ან ისევ სვაძდნენ და თვლებს ბლიტავდნენ. რამდენიმეს მძინარეს საწოლში წაადგნენ და იქვე ჩახოცეს. მოიერიშე მანიპულამ ჰექსაპილედან ბუკით ნიშანი მისცა და სხვებსაც მოუხმო. ახლა კი ატყდა ერთი აყალმაყალი. ყვიროდნენ ისინი, ვინც გალავანზე მიცოცავდნენ, ისმოდა ცულების ხმა, რომლითაც ჰექსაპილეს მახლობლად კარს ამტვრევდნენ, რომაელები ეპიპოლში¹ შეიჭრნენ. აქ მცველები ბევრი იყო და საიღუმლოდ მოქმედებას აზრი არ ჰქონდა. უფრო საჭირო იყო მტრები ძალზე შეეშინებინათ. ბუკის ხმა და მეომრების ყიყინა რომ გაისმა, გუშაგებმა იფიქრეს, მთელი ქალაქი დაპყრობილიაო და ზოგი გალავანზე ავარდა, ზოგიც ძირს ჩახტა. გალავანზე ქალაქელები შეჩვეუდნენ. შეშინებულები ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდნენ, ხან მეორე მხარეს და დარჩენილ ყარაულებს ქელავდნენ. მაგრამ სირაკუზელების უმეტესობამ მომხდარი ამბისა არაფერი იცოდა. ისეთ დიდ ქალაქში, როგორც სირაკუზია, ერთი კვარტალიდან მეორეში ამბის მისვლას ცოტადრო როდი უნდა. მხოლოდ განთიადზე, როცა მარცელუსმა ჰექსაპილის ექვსივე კიშკარი შეამტვრია და მთელი ჯარი ქალაქში შეიყვანა, სირაკუზელები გამოფხიზლდნენ და იარაღს ეცნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

¹ ეპიპოლი — სირაკუზის ჩრდილო-დასავლეთი კვარტალი.

ეპიკიდე დაქირავებული რაზმით კუნძულიდან გამოიქრა. იგი სრულიად დაიშვებულ იყო, მტრის მხოლოდ მცირე რაზმმა შეძლო გალავანზე გადმოსვლა გუშაგთა უყურადღებო-ზის წყალობით და მათ ქალაქიდან ადვილად გაერეკავო. იმათ, რომლებიც გზაში ხვდებოდა და შიშისაგან ხმას ვერ იღებდნენ, ამშვიდებდა, ტყუილუბრალოდ ტეხთ პანიკას და საქმე არც ისეა, როგორც გგონიათ. მაგრამ როცა საკუთარი თვალით დაინახა ეპიპოლსა და სხვა უბნებში რომელი ჯარისკაცები, ერთი კი უბრძანა თავისიანებს, შუბები დაუშინეთო და სასწრაფოდ გაბრუნდა აქრადინში. მტრის როდი ეშინოდა ეპიკიდეს, ლალატის ეშინოდა. იქ, ზურგში — ჰუნების ფარულმა მოძულეებმა საყოველთაო არეულობით არ ისარგებლონ და აქრადინისა და კუნძულის ჭიშკარი არ ჩამიკეტონო.

მარცელუსი გალავანზე ავიდა, ზემოდან გადახედა იმ დროჟ ისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს და ატირდა. იგი მარტო სიხარულის გამო კი არ ტიროდა, სირაკუზის ძველ დიდებასაც დასტიროდა. მას აგონდებოდა ომები, რომლებსაც ეს ქალაქი ზღვისიქითა ძლიერ სახელმწიფოებს უმართავდა და გამარჯვებით ამთავრებდა. აგონდებოდა მრავალრიცხოვანი მმართველები და მეფეები და, უწინარეს ყოვლისა, ჰიერონი — რომის ხალხის ერთგული მეგობარი. მთელი ეს დიდება, მთელი სიმდიდრე და მშვენიერება რაღაც ერთ საათში შეიძლება და ცეცხლში ჩანთქმულიყო და ნაცარტუტად ქცეულიყო.

ამ ფიქრებით დამძიმებულმა მარცელუსმა იხმო სირაკუზელი განდევნილები და უბრძანა, ერთხელ კიდევ ეცადათ, მოწინააღმდეგე დანებებულიყო. მაგრამ აქრადინის გალავანსა და ჭიშკარს უმთავრესად რომელი მოლაღატეები იცავდნენ, რომელთაც ზავის ან საომარი მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში გადაარჩენის არავითარი იმედი არ ჰქონდათ. მათ ყური არ ათხოვეს მარცელუსის წარგზავნილებს და გალავანთან ახლოს მისვლის ნებაც კი არ მისცეს.

მაშინ მარცელუსი ევრიალისაკენ დაიძრა. ეს ბორცვი ეპიპოლის კიდეში მდებარეობს. იგი გადმოჰყურებს გზას, რომელიც კუნძულის სიღრმისაკენ მიემართება და სურსათ-სანოვავის გადასატანად ძალზე მოსახერხებელია. ბორცვის კორტოხზე ციხე-სიმაგრე იდგა, რომელიც ეპიკიდეს დანიშნულ

ბერძენ სარდალს ფილოდემის ებარა. მარცელუსმა მასთან სახელგანთქმული სირაკუზელი, ჰიერონიმეს ერთ-ერთი მკვლელი გაგზავნა. დანებებაზე ფილოდემმა მას არეულ-დარეულად და ბუნდოვნად უპასუხა, ასე რომ, მოციქული უიმედოდ დაბრუნდა. ციხე-სიმაგრის უფროსს აშკარად დროს მოგება სურდა, რომ ჰიპოკრატესა და ჰიმილკონისათვის დაეცა და კართაგენელები თავისთან შეეშვა: თუ ამას მოახერხებდა, მაშინ ქალაქის გალავანში მომწყვდეულ რომის ჯარს გაანადგურებდნენ. რაკი მარცელუსი დარწმუნდა, ევრიალს ვერც ძალით ავიღებ, ვერც ხერხითო, ბანაკი ნეაპოლსა და ტიხეს შორის გაშალა. თითოეული ეს კვარტალი თავისთავად თითქოს მთელ ქალაქს წარმოადგენდა — მარცელუსს არ სურდა მკიდროდ დასახლებულ რაიონებში დაბანაკებულიყო: ასეთ რაიონებში ჯარისკაცები უთუოდ აქეთ-იქით გაიფანტებოდნენ, რომ ადვილად ჩაეგდოთ ხელში ნადავლი.

ტიხედან და ნეაპოლიდან ბანაკში ელჩები მოვიდნენ და შეეხვეწნენ მარცელუსს, ქალაქის მცხოვრებლები არ დახოცოთო და სახლები არ გადაწვათო. მარცელუსმა სამხედრო საბჭო მოიწვია და მათი თანხმობით ბრძანება გასცა: თავისუფალ მოქალაქეზე ძალა არ იხმარონ, ქონება კი დაუბრკოლებლად დაიტაცონო. ბანაკის ჰიშკართან, რომელიც ქუჩის მხარეს გადიოდა, მან გუშაგები დააყენა, რადგან ეშინოდა, სანამ ჯარისკაცები ძარცვაში იქნებოდნენ გართული, შეტევაზე არავინ გადმოსულიყო. გაისმა ბუკის ხმა და ჯარისკაცები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. იყო ერთი განგაში და ვაი-ვაგლახი, შიშის ზარი და გულის ხეთქა. ყველა კარი მიღეწ-მოღეწეს, მაგრამ სისხლისღვრა არ მომხდარა. ძარცვა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა სვესვიანობისა და გაფურჩქვნა-აყვავების დიდი ხნის მანძილზე მონაგარი და დაგროვებული სიმდიდრე ხალხს წაართვეს და რომის ბანაკში გადაიტანეს.

კართაგენელები არ ჩანდნენ, იმედგადაწყვეტილმა ფილოდემმა პირობა ჩამოართვა მარცელუსს, რომ ეპიკიდესთან გაუშვებდა, გარნიზონი გამოიყვანა და ციხე-სიმაგრე რომაელებს ჩააბარა.

სანამ საყოველთაო ყურადღება ნეაპოლსა და ტიხეზე იყო მიპყრობილი და იქიდან რომაელი მეომრების მხიარული

ყვინა და მოქალაქეთა გულსაკლავი ოხვრა ისმოდა, კართაგენის ფლოტის უფროსი ბომილკარი ღამე ოცდათხუთმეტი ხომალდით ნავსადგურიდან გაიპარა და კართაგენში წავიდა. მას ავდარმა უშველა. იმ ღამეს ისეთი ცუდი ამინდი იდგა, რომის ხომალდებს რეიდზე ყოფნა არ შეეძლოთ. მეზობელ ყურეებში შემალულიყვნენ და მტერი ხელიდან გაუსხლტათ, ბომილკარმა სენატს მოახსენა, როგორ უიმედო მდგომარეობაში იყვნენ სირაკუზის დამცველები და რამდენიმე დღეში ასი ხომალდით ისევ უკან გამობრუნდა. ამბობენ, ეპიკიდემ იგი მეფის საგანძურიდან გულუხვად დააჩილდოვავა.

ევრიალის აღების შემდეგ, როცა ზურგში მტრის მოულოდნელი დარტყმის საშიშროება უკვე აღარ იყო, მარცელუსმა ალყა შემოარტყა აქრადინს და მას სურსათ-სანოვავის მიწოდების ყველა საშუალება მოუხპო. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოვიდნენ ჰიპოკრატე და ჰიმილკონი და რომაელები თვითონ აღმოჩნდნენ ალყაში. ჰიპოკრატე თავს დაესხა რომის წინანდელ ბანაკს, სადაც მარცელუსმა ქალაქში შეჭრამდე ზამთარი და ზაფხულის დასაწყისი გაატარა. ეპიკიდე მაშინვე გამოვიდა სიმაგრიდან, ხოლო კართაგენელთა ხომალდები ნაპირს მიადგნენ ქალაქსა და საზამთრო ბანაკს შორის, რომ რომაელებისათვის ურთიერთდახმარების საშუალება მოესპოთ. მაგრამ არც ერთ მხარეს დახმარება არ დასჭირვებია. მარცელუსმა და საზამთრო ბანაკის უფროსმა საკუთარი ძალებით მტერი ადვილად მოიგერიეს.

ჰიპოკრატე კუდამოძუებული გაიქცა, ეპიკიდე კი ისევ აქრადინში შეაგდეს. ამ ორმაგმა დამარცხებამ კარგა ხნით დაუკარგა მტერს მოუფიქრებელი და მოულოდნელი შეტევის სურვილი.

მაგრამ სხვა მიზეზმა, გაცილებით მნიშვნელოვანმა, მალე ჩაშალა არა მარტო კართაგენელების, არამედ რომაელების საომარი გეგმები.

ორივე ბანაკს ჭირი მოედო. შემოდგომის აუტანელი სიცხე დე. არაჩანსალი ადგილი გამანადგურებლად მოქმედებდა თითოეული მათგანის ჯანმრთელობაზე. მაგრამ ისინი უფრო მეტად იტანჯებოდნენ, ვინც ქალაქის ფარგლებს გარეთ იყვნენ. თავდაპირველად ის ჯარისკაცები ავადდებოდნენ და იხოცე-

ბოდნენ, რომელთაც სადგომებისათვის ყველაზე დამყაყებელი ადგილები შეხვდათ, მაგრამ სნეულთა მოვლამ, მათთან უბრალო მიკარებამ, სენი ყველგან გაავრცელა. დაავადებულები ან მარტოობაში, ყველასაგან მიტოვებულები იხოცებოდნენ, ანდა აავადებდნენ და სამარისაკენ ეწეოდნენ თავიანთ მეგობრებსაც, რომლებიც თავგამოდებულად ცდილობდნენ მათ გადარჩენას. დღე ერთი იყო, სიკვდილი და დასაფლავება აურაცხელი. დღე და ღამე განუწყვეტელი ტირილი ისმოდა, მაგრამ თანდათანობით უბედურებას შეეჩვივნენ და ამ შეჩვივამ ისე გაუქვავა ადამიანებს გული, რომ მკვდრებს უკვე აღარ დასტიროდნენ, აღარც კი ასაფლავებდნენ. დასცქეროდნენ მათ, წინ დაყრილ გვამებს და საკუთარი სიცოცხლისადმი შიშის მეტს არაფერს განიცდიდნენ. მკვდრები თავზარს სცემდნენ ავადმყოფებს, ავადმყოფი — ცოცხლებს და ზოგიერთები, რომლებსაც მახვილით სიკვდილი ერჩიათ, მარტოდმარტოდ ესხმოდნენ თავს მტრის ყარაულებს.

კართაგენის ბანაკში ჭირი უფრო მეტად მძვინვარებდა, ვიდრე რომაელებთან, რადგან რომაელები სირაკუზის ჰაერსა და წყალს ალყის დროს შეეჩვივნენ. კართაგენის ჯარში მომსახურე სიცილიელებმა როგორც კი დაატყვეეს, ავადმყოფობა უფრო ძლიერდება და ვრცელდებაო, მაშინვე თავ-თავიანთ ქალაქებს მიაშურეს. თვით კართაგენელებს კი წასასვლელი არსად ჰქონდათ და ყველანი უკანასკნელ კაცამდე დაილუპნენ თავიანთ ბელადებთან — ჰიპოკრატესა და ჰიმილკართან ერთად.

მარცელუსმა თავისი ხალხი ქალაქში გადაიყვანა. ჩრდილმა და თავშესაფარმა ბევრს სიცოცხლე შეუნარჩუნა. მიუხედავად ამისა, რომის ჯარმაც დიდი დანაკლისი ნახა.

ბომილკარი ისევ ჩავიდა კართაგენში დახმარების სათხოვნელად. მან დაარწმუნა სენატი, მართალია, რომაელებმა თითქმის დაიპყრეს სირაკუზი, მაგრამ მტერზე გამარჯვების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობსო. მას მისცეს ას ოცდაათი საბრძოლო ხომალდი და სურსათ-სანოვაგითა და იარაღით დაყაბრული შვიდი სატვირთო გემი. იგი სათავეში ჩაუდგა ამ ფლოტს, დატოვა აფრიკის სანაპიროები და ზურგის ქარის მეშვეობით სიცილიაში გადავიდა, მაგრამ იგივე ქარმა ხელი შეუშალა, პახინუმის კონცხისათვის შემოევლო.

ბომილკარის ჩამოსვლის ამბავი, შემდეგ კი პახინუმთან ხანგრძლივი დაყოვნება სირაკუზელებსა და რომაელებში ერთმანეთის საწინააღმდეგო სიხარულისა და შიშის გრძობას ნერგავდა. ბოლოს, ეპიკიდემ, იმის შიშით, ვაითუ აღმოსავლეთის ქარი არ ჩადგეს და პუნთა ფლოტი ისევ აფრიკაში არ დაბრუნდესო, აქრადინში სარდლობა დაქირავებული რაზმების უფროსებს გადასცა და თვითონ ბომილკარისაკენ გასცურა. ბომილკარი ეპიკიდეს გამოუტყდა, რომაელებთან შეხვედრა მაშინებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ უფრო სუსტნი ვართ, — პირიქით, ხომალდები მეტი გვეყავს, — მაშინებს ქარი, რომელიც რომაელებს დაეხმარება, კართაგენელებს კი ხელს შეგვიშლისო. ეპიკიდემ მაინც დაარწმუნა პუნი, ბედი ბრძოლაში ეცადა. მარცელუსსაც მიუხედავად ძალების უთანაბრობისა, განზრახული ჰქონდა ბრძოლაში ჩაბმულიყო. საქმე ის იყო, სიცილიელები ეამიანობის დაწყებისთანავე სირაკუზიდან რომ გაიქცნენ, ისევ დროშის ქვეშ იკრიბებოდნენ და კუნძულის ყველა კუთხიდან მოხალისეებს იწვევდნენ. ერთდროულად ზღვიდან და ხმელეთიდან შემოტევის მოგერიება და ისიც მტრულად განწყობილ ქალაქში, უაღრესად ძნელი იყო.

ორივე ფლოტი პახინუმის კონცხის გაღმა-გამოღმა იდგა. ისინი მზად იყვნენ ერთმანეთს შეჯახებოდნენ, როგორც კი ამინდი გამოვიდოდა. და, აი, ევრი¹, რომელიც ამდენ ხანს მძვინვარებდა, ჩადგა. პირველად ბომილკარი დაიძრა, ეტყობა, იმ იმედით, კონცხს შემოვუვლიო, მაგრამ როგორც კი შეამჩნია, რომაელთა ხომალდები ჩემკენ გამოემართნენო, უცებ შეშინდა და გაშლილ ზღვას მიაშურა.

ნავსადგურ ჰერაკლეაში, სადაც იდგნენ მისი სატვირთო გემები, შიკრიკი გაგზავნა და ბრძანება გაატანა, უკან, აფრიკაში წასულიყვნენ, თვითონ კი სიცილიას გვერდი აუარა და ტარენტუმისაკენ დაიძრა. ეპიკიდემ, ერთბაშად ყველა იმედი რომ გამოეცალა, აღარ ინდომა ალყაშემორტყმულ, სანახევროდ მტრის მიერ დაპყრობილ ქალაქში დაბრუნება და აფრიგენტუმში დაიდო ბინა. იგი უკვე აღარ ფიქრობდა რაიმე ახალ

¹ ასე უწოდებდნენ ბერძნები სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარს, ხოლო მათი მიბაძვით — რომაელებიც.

წამოწყებებზე, მხოლოდ იმას ელოდა, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი.

სიცილიელებმა რაკი თავიანთ ბანაკში შეიტყვეს, ეპიკიდემ სირაკუზი დატოვა, კართაგენელებმა — სიცილიაო, მათ ალყა-შემორტყმულებს თანხმობა მოსთხოვეს, მარცელუსს ელჩები გაუგზავნეს და ქალაქის ჩაბარება შესთავაზეს. წინასწარი შეთანხმება დადეს, ის, რაც უწინ მეფეებს ეკუთვნოდა, ამიერიდან რომის საკუთრებაში გადავიდოდა, ღანარჩენი კი ისევ სიცილიელებს დარჩებოდა. ამასთანავე სიცილიელები თავისუფლებასა და თავიანთ კანონებს შეინარჩუნებდნენ. ამის შემდეგ სიცილიელებმა გამოიძახეს ის სირაკუზელები, რომლებიც ეპიკიდეს წასვლის მერე ქალაქის საქმეებს განაგებდნენ და განუცხადეს, რომ მათ მარტო მარცელუსს კი არ გაუგზავნეს ელჩები, არამედ სირაკუზელებსაც, რადგან კუნძულის ყველა მცხოვრების ხვედრი ერთნაირი უნდა იყოს და ზავის განსხვავებული პირობები არავინ არ უნდა მოითხოვოს.

ელჩები სირაკუზში შეუშვეს. ისინი შეხვდნენ ნათესაებსა და მეგობრებს, უთხრეს მარცელუსთან მოლაპარაკების ამბავი, ალყაშემორტყმულებს გადარჩენის იმედი ჩაუნერგეს და წააქებეს, ეპიკიდეს უახლოეს თანაშემწეებს თავს ერთად დავესხათო. სამი მათგანი მოკლეს, მოიწვიეს სახალხო კრება და ელჩების მეთაურმა ასეთი სიტყვა თქვა:

— სირაკუზის მოქალაქეებო, თქვენ საშინელ გაქირვებასა და დიდ სიძნელეებს განიცდით, მაგრამ ბედს არ დაემდურებით, რადგან მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რამდენ ხანს გასტანს თქვენი ტანჯვა. თქვენდამი სიძულვილის გამო როდი შემოარტყეს რომაელებმა ქალაქს ალყა, პირიქით, ისინი ცდილობდნენ ეხსნათ სირაკუზელები ბოროტი ტირანებისაგან — ეპიკიდესა და ჰიპოკრატესაგან. ახლა ჰიპოკრატე მკვდარია, ეპიკიდე აქ აღარ არის, ხოლო მისი მსახურები ამოხოცილია, მაშ, რაღა უშლის ხელს რომაელებს, რომ სირაკუზელებს სიკეთე და მხოლოდ სიკეთე უსურვოს, ისე, როგორც ეს რომთან მეგობრობის სწორუპოვარი დამცველის პიერონის სიციოცხლეში ხდებოდა? მაშასადამე, არ არსებობს არც ქალაქისათვის და არც მისი მცხოვრებლებისათვის საშიშროება;

იმის გარდა, რომელიც თქვენშივე იმალება, ხელიდან გაუშვით შემთხვევათა შორის ყველაზე ბედნიერი შემთხვევა რომაელებთან შერიგებისა.

ამ სიტყვას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ. მაგრამ ვიდრე მარცელუსთან ელჩებს გაგზავნიდნენ, სირაკუზელებმა გადაწყვიტეს, ქალაქის მმართველები აერჩიათ. ახლად არჩეული მმართველები რომის ბანაკში მივიდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

— რომაელებო, თქვენ სირაკუზელებმა კი არ გიღალატეს, არამედ ჰიერონიმემ. ზავი, რომელიც ამ ტირანმა დაარღვია და მისი სიკვდილის შემდეგ კვლავ აღსდგა, ხელმეორედ სირაკუზელებმა კი არ გაწყვიტეს, არამედ მეფის ძალებმა — ჰიპოკრატემ და ეპიკიდემ. ახლა რაკი თავი დავაღწიეთ ჩვენს დამონებლებს, თქვენს ძალა-უფლებას ვუმორჩილებთ ჩვენს არსებობას, ჩვენს ქალაქს, ჩვენს იარაღს და თანახმანი ვართ ყოველგვარი ხვედრისა, რასაც გვარგუნებთ. მარცელუს, ღმერთებმა გიბოძეს სირაკუზის, ბერძნულ ქალაქებს შორის ყველაზე სახელგანთქმული და მშვენიერი ქალაქის დამპყრობლის სახელი. ეს სილამაზე და ღიღება ამიერიდან შენს ხელთაა. ნუთუ შენ ამჯობინებ, რომ მემკვიდრეებმა მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ, როგორი იყო შენ მიერ დაპყრობილი ქალაქი? ნუთუ არ შეიბრალებ და არ დაზოგავ სირაკუზს, რომ შენი მოდგმა ყოველთვის მისი გულმოწყალე პატრონი იყოს, ხოლო იგი მარცელუსთა მუდმივი კლიენტი?

მარცელუსი ალყაშემორტყმულების ამ თხოვნას წყალობით შეხვდა, მაგრამ უცებ თვით ალყაშემორტყმულებს შორის საშინელი განხეთქილება მოხდა. მოღალატეებს ექვი არ ეპარებოდა, დასასჯელად რომაელებს გადაგვცემნო და ასეთივე ექვი დაქირავებულებსაც აღუძრეს. ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს იარაღს და თავდაპირველად ახალი მმართველები ამოხოცეს, ხოლო შემდეგ ქალაქს მოედვნენ. ვინც კი შეხვდებოდათ, ყველას ხოცავდნენ და სახლებს ძარცვავდნენ. სირაკუზელებმა ძლივს მოახერხეს მათი დამშვიდება, არწმუნებდნენ, დაქირავებულებს სულ სხვა ხვედრი ელით, ვიდრე მოღალატეებსო. საბედნიეროდ, ამ დროს ქალაქში მარცელუსის მიერ გამოგზავნილი საპასუხო ელჩები ჩამოვიდნენ, რომლებმაც

დადასტურეს, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, დაქირავებულების დასჯა მოვითხოვოთ.

აქრადინში დაქირავებული რაზმების მეთაურთა შორის იყო ერთი ესპანელი, სახელად მერიკი. ელჩთა შორისაც აღმოჩნდა ესპანელთა დამხმარე ნაწილების ერთი მეომარი. იგი მივიდა მერიკთან და მოწმეების გარეშე პირისპირ შეხვდა. მეომარმა მერიკს ესპანეთში შექმნილი მდგომარეობა აუწერა, უთხრა, მთელი ქვეყანა რომაელებს დაემორჩილა და არწმუნებდა, რომაელებისადმი სამსახური თანამემამულეებს შორის მაღალ მდგომარეობას გარგულებს გინდა ჯარში დარჩე, გინდა სამშობლოში დაბრუნდეო.

— თუკი ამ ალყაში ყოფნა გირჩევნია, მაშინ ის მაინც ამიხსენი, რისი იმედი გაქვს, — თქვენ ხომ გზა ხმელეთიდანაც მოჭრილი გაქვთ და ზღვიდანაც, — ჰკითხა მან მერიკს ბოლოს.

თანამემამულის სიტყვებმა მიზანს მიაღწია და როცა დაქირავებულებმა დაადგინეს, მარცელუსთან მოსალაპარაკებლად თავისი ხალხი გაეგზავნათ, მერიკმა მათ თავისი ძმა გააყოლა. იმავე ესპანელმა, რომელიც მერიკს ესაუბრა, მისი ძმა მარცელუსთან სხვა ელჩებისაგან განცალკევებით მიიყვანა, და ამ საიდუმლო შეხვედრის დროს ყველაფერი დათქვეს და გადაწყვიტეს.

ყოველგვარი ეჭვი რომ გაეთანტა, მერიკმა განაცხადა, ეს გაუთავებელი ელჩობანა არ მომწონს. დროა, ბოლო მოელოს აქრადინსა და კუნძულზე მტრებისა და მათ ხელშემწყობთა შემოშვებას. დაქირავებული ჯარის უფროსებმა პოზიციები ერთმანეთს შორის უნდა გაიყონ. დე, თითოეულმა მათგანმა პასუხი აგოს თავისი წილი ქალაქის დაცვაზე, მაშინ ყარაულებიც ფხიზლად იქნებიანო. ყველა დაეთანხმა. თვით მერიკს კუნძულის ნახევარი შეხვდა — არტურუსის წყაროდან დიდ ნავსადგურში შესასვლელამდე. ეს ამბავი მან მაშინვე რომაელებს აცნობა.

მარცელუსმა განკარგულება გასცა, მეომრები დიდ ხომალდებზე დაესხათ, ღამით ბუქსირით კუნძულისაკენ წაეყვანათ და ჯარი არტერუსის წყაროს მახლობლად გადაესხათ. მათ მერიკი შეხვდა, თავად გაულო ჰიშვარი და რომაელები ისე დამალა, რომ ვერავის დაენახა.

დილაადრიან მარცელუსმა მთელი ძალებით შეუტია აქრადინის გალავანს. მის დამცველებს ისე გაუჭირდათ, რომ იძულებულნი გახდნენ, დახმარება კუნძულიდან ეთხოვათ, მათ მაშინვე მიატოვეს თავიანთი საგუშაგოები და ამხანაგების საშველად გამოიქცნენ, მაშინ რომაელები საფარიდან გამოვიდნენ და თითქმის უბრძოლველად დაიკავეს კუნძული, რომელსაც მაშინვე მიადგნენ წინასწარ აღჭურვილი მსუბუქი ზომალდები. ასე რომ, თუკი დაქირავებულები საპასუხო შეტევას დააპირებდნენ, რომის რაზმი უკვე გაძლიერებული იყო. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე ცუდად მოლალატეები იცავდნენ თავს, ისინი არავის ენდობოდნენ, ყველას ეჭვის თვალით უყურებდნენ და ამიტომაც გაქცევაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ბრძოლაზე.

როცა მარცელუსმა პატაკი მიიღო, მთელი კუნძული და აქრადინის ნაწილი აღებულია და მერიკი თავისი ხელქვეითებით ყველას თვალდასანახად რომაელებს შეუერთდაო, მან ბრძანა, უკან დახევის სიგნალი დაეკრათ. იგი შიშობდა, არ დაეტაცათ სირაკუზელი მეფეების ურიცხვი განძი.

როგორც კი რომაელებმა დაწოლა შეასუსტეს, მოლალატეებმა, რომლებიც აქრადინში იმყოფებოდნენ, ქალაქი დატოვეს. ახლა სირაკუზელები განთავისუფლდნენ იმ უკანასკნელი განსაცდელისაგან, რომელიც ემუქრებოდათ. მათ ჭიშკარი გააღეს და მარცელუსთან კიდევ ერთხელ გაგზავნეს ელჩები ერთადერთი თხოვნით, — სიცოცხლე შეენარჩუნებინათ მათთვის და მათი შვილებისათვის. მარცელუსმა შეკრიბა საბჭო, სადაც სირაკუზელი განდევნილებიც მიიწვია. მან თქვა, ბოლო წლების სირაკუზელ მმართველთა ბოროტმოქმედებამ გადაწონა ჰიერონის ორმოცდაათწლიანი მეფობის ყველა კეთილი საქმე. მაგრამ ეს ბოროტმოქმედება თვით ბოროტმოქმედებს დაატყდათ თავს და ხელშეკრულების დამრღვევნი უფრო მკაცრად დაისაჯნენ, ვიდრე ეს თვით რომის ხალხს სურდა.

— ჩემთვის, სირაკუზის აღება დიდი ჯილდოა იმ შრომისა და განსაცდელისათვის, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ ხმელეთსა და ზღვაზე თქვენი ქალაქის გალავანთან, — თქვა დასასრულ მარცელუსმა.

შემდეგ მან მეფის საგანძურში ყარაულის თანხლებით

კვესტორი გაგზავნა. ქალაქი კი საძარცვავად ჯარისკაცებს მის-
ცა. ხელი არ ახლეს ქალაქში დაბრუნებულ განდევილთა ბი-
ნებს, რომლებსაც საგანგებო მცველები იცავდნენ.

საზიზლარი ბოროტებისა და საზიზლარი სიავის ბევრი მა-
გალითი შეგვეძლო გაგვეხსენებინა, მაგრამ ყველაზე დიდი მათ
შორის არქიმედეს მოკვლაა. ამ შემზარავ ორომტრიალში გამ-
ხეცებული ჯარისკაცების ღრიალსა და ფეხების ბრაგუნში არ-
ქიმედე სილაზე დახაზულ ფიგურებს მშვიდად ათვალეირებდა.
რომელიღაც მძარცველმა მას მახვილი დაჰკრა, არც იცოდა,
ვის მოუსწრაფა სიცოცხლე. ამ ამბავმა მარცელუსი ძალიან
დაანაღვლიანა. დაკრძალვაზე თვითონ იზრუნა, ბრძანა, მოე-
ძებნათ მოკლულის ნათესაეები და მათ მფარველობა გაუწია.

აი, როგორ დამარცხდნენ სირაკუზელები. ამ ქალაქიდან
რომაელებმა იმდენი განძი წამოიღეს, რამდენსაც თვით კარ-
თაგენშიც ვერ ნახავდნენ, მის სანაცვლოდ რომ აეღოთ.

ორმაზი ტრაბეღია ესპანეთში

იმავე წლის გაზაფხულზე ესპანეთში მნიშვნელოვანი ამ-
ბები მოხდა. მას შემდეგ, რაც ჯარები საზამთრო ბინებიდან
გამოვიდნენ, გაიმართა დიდი სამხედრო საბჭო. საბჭოზე ყვე-
ლა ერთხმად ამბობდა, დროა, ესპანეთში ომი დამთავრდეს,
რომ ამისათვის ძალები სავსებით საკმარისია — ზამთარში რო-
მაელებმა სამსახურში ოცი ათასი კელტიბერი მიიღესო. მტერს
სამი ჯარი ჰყავდა. ორი მათგანი მაგონისა და ჰასდრუბალის —
ჰისგონის ვაჟის — მეთაურობით ერთად იყო დაბანაკებული,
რომაელებიდან დაახლოებით ხუთი დღის სავალზე. მესამეს
ჰასდრუბალი — ჰამილკარ ბარკას ვაჟი — მეთაურობდა, რომე-
ლიც ყველაზე ძველი და ყველაზე გამოცდილი სარდალი იყო
კართაგენელ მხედართმთავრებს შორის ესპანეთში. სციპიო-
ნები ფიქრობდნენ, პირველად იგი გაენადგურებინათ, მაგრამ
მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდათ: ამ დარტყმით შეშინებული
მაგონი და მეორე ჰასდრუბალი შეიძლება გაუვალ მთებსა და
ტყეებს შეხიზნებოდნენ და მაშინ ომი კარგა ხნით გაქიანურ-
დებოდა.

გადაწყდა, დაყოფილიყვნენ და ბრძოლა მთელ ესპანეთში გაეშალათ. პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა უწინდელი ჯარის ორი მესამედით გაილაშქრა მაგონისა და ჰასდრუბალის—ჰისგონის ვაჟის წინააღმდეგ, გნეუს კორნელიუს სციპიონმა უწინდელ შემართა ერთი მესამედით და ყველა კელტიბერით — ჰასდრუბალ ბარკას წინააღმდეგ. თავდაპირველად ერთად მიდიოდნენ. მდინარე ბეტისთან გნეუსი გაჩერდა, პუბლიუსმა კი გზა განაგრძო.

ჰასდრუბალ ბარკა მდინარის იქითა მხარეს იყო დაბანაკებული. პუნმა გაიგო, რომ რომის სარდალი მთელ ძალას და იმედს კელტიბერთა მამველ რაზმებზე ამყარებს, ხოლო რომაელები ძალზე ცოტა ჰყავსო. ჰასდრუბალმა კარგად იცოდა ყველა ბარბაროსი ტომის ვერაგობა, განსაკუთრებით კი ესპანელი ტომებისა, რომლებთანაც მრავალი წლის მანძილზე განუწყვეტლივ იბრძოდა. მან კელტიბერის ბელადებს დიდი თანხა შესთავაზა, რომ თავიანთი ხალხი წაეყვანათ. მსტოვრები და შუამავლები მალე იპოვა — ორივე მტრული ბანაკი ესპანელებით იყო საესე — არც თანხმობის მიღება გასჭირვებია. კელტიბერებს ჰასდრუბალის წინადადებაში არაფერი შემზარავი არ დაუნახავთ — იმას ხომ არ გვთხოვენ, რომის წინააღმდეგ მიმართეთ იარაღი! იმ საფასურად კი, რასაც პუნი გვპირდება, ბრძოლაც არ არის სირცხვილი, არათუ ბრძოლის ველიდან გაცლა. თანაც რა სასიამოვნოა, არაფერს გავაკეთებთ, შინ წავალთ და მახლობლებს მოვინახულებთ. რომაელების შიშიც არ შეიძლება გვექონდეს — ისეთი ცოტანი არიან, იმულებით ვერ შეგვაჩერებენო.

მართლაც, კელტიბერებმა ერთად შეგროვება და წასვლა დაიწყეს. როცა გაკვირვებულმა რომაელებმა ჰკითხეს, რა მოხდაო, ბარბაროსებმა დაიჩემეს — ჩვენს მხარეში შინაომი ამტყდარაო. სციპიონი მიხვდა, ვერც შეგონებით, ვერც ძალდატანებით მოკავშირეებს ვერ დააკავებდა, მათ გარეშე კი მტერზე გაცილებით სუსტი დარჩებოდა. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უკან უნდა დაეხია, ყოველი ღონე ეხმარა. რათა გაშლილ ადგილზე ბრძოლისათვის თავი აერიდებინა. ჰასდრუბალმა მდინარე ბეტისი გადმოლახა და მტერს ფეხდაფეხ დაედევნა.

უკეთეს მდგომარეობაში არც პუბლიუს კორნელიუსი იყო.

მას ახალი, წინათ უცნობი მოწინააღმდეგე აშინებდა. ეს გახლდათ ახალგაზრდა მასინისა, რომელმაც შემდეგში რომაელებთან მეგობრობით სახელი გაითქვა, ახლა კი მაგონთან იბრძოდა. იგი თავისი ნუმიდური ცხენოსანი ჯარით ჯერ კიდევ გზაში დაესხა პუბლიუსს და არც დღე აძლევდა მოსვენებას, არც ღამე. ხან ცხენის საკვებისა და შეშის საშოვნელად ბანაკიდან შორს წასულ ცალკეულ მეომრებს იჭერდა, ხან ბანაკს ესხმოდა თავს და გუშაგებს შორის პანიკას ტენდა. ღამლამობით წამდაუწყუმ ჭიშკართან და მიწის ზვინულთან განგაში ატყდებოდა ხოლმე. რომაელები დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ, ძილი გაუქრთათ, ყველაზე აუცილებელსაც კი იკლებდნენ და ბანაკის სიმაგრეებიდან არ გამოდიოდნენ.

ეს ნამდვილი ალყა იყო და აუტანელი გახდებოდა, რომ პუნებს შეერთებოდა სვესეტანების ბელადი, რომელიც, როგორც ხმები დაირბა, შვიდი ათასი ხუთასი მეომრით ახლოვდებოდა. ყოველთვის ფრთხილსა და წინდახედულ სციპიონს გაჭირვება აიძულებდა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიეღო: ღამით გამოსულიყო მის შესახვედრად და სადაც არ უნდა შემოყოფოდა, შებმოდა.

რა თქმა უნდა, საბრძოლო მწყრივის მოწყობა ვერც რომაელებმა მოასწრეს და ვერც ესპანელებმა და სალაშქრო კოლონებად იბრძოდნენ. ამ უწყესრიგო ბრძოლაში რომაელებმა, ის იყო, დაჩაგრეს მტერი, რომ უცებ მოვარდნენ ნუმიდელები, რომელთა სიფხიზლე, როგორც სციპიონს ეგონა, იმით მოადუნა, რომ სალაშქროდ ღამე გამოვიდა. ნუმიდელებმა რომაელებს ორივე ფრთიდან შეუტიეს. რომაელები შეშინდნენ, მაგრამ მაინც გული გაიმაგრეს და ბრძოლაში ჩაებნენ. ამ დროს მოუსწროთ მესამე მტერმა — კართაგენის ქვეითმა ჯარმა, რომელმაც ზურგიდან შემოუტია. ახლა რომაელებმა აღარ იცოდნენ ვის შებმოდნენ, ერთიანი ძალით ვისთვის შეეტიათ, რომ გზა გაეკაფათ და ალყისაგან თავი დაეღწიათ. სციპიონი ამხნევებდა მეომრებს, წამსვე იქ გაჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტი გასაკირი იყო. ერთ-ერთი შეტაკების დროს მას მარჯვენა გვერდში შუბი აძგერეს. რომაელები მჭიდროდ შემოერთყნენ თავიანთ მხედართმთავარს. მტრები სოლისებურად მოეწყვნენ, რომ ეს წრე გაერღვიათ, მაგრამ როცა დაინახეს,

სციპიონი ცხენიდან ვარდებო, მხიარული ყიჟინით გაიფანტა
ნენ და მთელ ჯარს ამცნეს, რომის მთავარსარდალი მოკვდაო.
ამ ამბავმა პუნებს გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა, ხოლო რომ-
მაელებს დამარცხების შიში აღუძრა.

რომაელები გარბოდნენ. ნუმიდელეებს შორის გასხლტომას
ისინი კიდევ შეძლებდნენ, მაგრამ ერთად თავმოყრილი ური-
ცხვი ცხენოსანი და ქვეითი ჯარისაგან გაქცევა სრულიად შე-
უძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ ქვეითები არაფრით ჩამოუ-
ვარდებოდნენ ცხენოსნებს სისწრაფეში. დადევნების დროს
მტრებმა, ალბათ, უფრო მეტი რომაელი და მათი მოკავში-
რე გაანადგურეს, ვიდრე თვით ბრძოლის დროს და, საფი-
ქრებელია, არც ერთი კაცი არ გადაარჩებოდა, რომ მზე არ ჩა-
სულიყო და არ დაბინდებულყო.

პუნთა მხედართმთავრებმა ცოტა ხანს დაასვენეს ჯარი და
დრო რომ არ დაეკარგათ, სწრაფად გაეშურნენ ჰამილაკარ
ბარკასაკენ. ისინი ჩქარობდნენ, ესარგებლად საკუთარი წარმა-
ტების ნაყოფით და იმედოვნებდნენ საერთო ძალებით დაემ-
თავრებინათ ომი. შეხვედრისას უფროსები და მეომრები ერთ-
მანეთს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდნენ და მომავალ-
ში კიდევ ერთ უფრო დიდ გამარჯვებას მოელოდნენ. რომაე-
ლებმა მომხდარი ამბების არაფერი იცოდნენ, თუმცა ბანაკში
გლოვა, შემამძრწუნებელი სიჩუმე და გარდაუვალი უბედურე-
ბის მაუწყებელი წინათგარძნობა იყო გამეფებული. გნეუს სცი-
პიონი ხედავდა, რომ მტრების რაოდენობა დიდად გაიზარდა,
რაც არაფერს სასიკეთოს არ უქადდა. იგი ფხიზელი გონებით
ასე სჯიდა: როგორ მოხვდნენ აქ მაგონი და მისი ამხანაგები,
თუკი ჩემს ძმას, პუბლიუსს ბრძოლა არ მოუგეს? რატომ არ
შეაჩერა პუბლიუსმა ისინი ანდა, უკიდურეს შემთხვევაში,
უკან რატომ არ დაედევნა? დაბოლოს, თუკი ხელი ვერ შეუ-
შალა მტრების შეერთებას, თვითონ რატომ არ ცდილობს ჩემ-
თან შეერთებას? ამ მტანჯველი ფიქრების შემდეგ იგი იმ დას-
კვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო, რაც შეიძლება, უკან დაე-
ხია. ხსნის სხვა გზას იგი ვერ ხედავდა.

პირველ ღამესვე, როგორც კი შეძლეს რომაელებმა მტრის
ყურადღების მოდუნება, ისინი დაიძრნენ და საკმაოდ დიდი
მანძილიც გაიარეს. განთიადისას, როგორც კი კართაგენელებმა

მოწინააღმდეგის ბანაკი ცარიელი იხილეს, აყრილ მტერს უკან დაედევნენ, წინ კი ნუმიდიელთა ცხენოსანი ჯარი გაუშვეს. სანამ მოსაღამოვდებოდა, ნუმიდიელები ლტოლვილებს დაეწივნენ და ზურგიდან და ფლანგებიდან ისე მიუახლოვდნენ, რომ იძულებული გახადეს, შეჩერებულ იყვნენ. სციპიონი თავისიანებს არწმუნებდა, მტერი ისე მოვიგერიოთ, სელა არ შევაჩეროთ.

— მთავარია, ქვეითმა ჯარმა არ მოგვასწროს! — ამბობდა იგი.

მეომრები დაემორჩილნენ, მაგრამ მალე დაღამდა. ნუმიდიელები გაქრნენ, რომაელებმა კი, სარდლის ბრძანებით, რომელიც ბორცვი დაიკავეს, რომელიც შეიძლება არც თუ ისე საიმედო პოზიცია იყო შიშით შეპყრობილი ჯარისათვის, მაგრამ გარემოსთან შედარებით ცოტათი მაღალი ადგილი იყო, ალალი და ცხენოსანი ჯარი შუაში განლაგეს, ხოლო ქვეითი ჯარი ფლანგებზე. დილით რომაელებმა ადვილად მოიგერიეს ნუმიდიელთა ახალი შემოტევა. ამასობაში მოახლოვდნენ მაგონი და ორი ქასდრუბალი თავიანთი არმიებით. ცხადი გახდა: სიმაგრის გარეშე, მხოლოდ იარაღით თავდაცვა შეუძლებელი იქნებოდა. სციპიონი დიდხანს ათვალიერებდა მიდამოს, ეძებდა, რითი აეგო ზვინული. ადგილი ქვიანი იყო, თანაც მოტიტვლებული — არცერთი ბუჩქი, არცერთი ბალახი, — ფერდობები თანაბრად დაქანებული იყო, არსად ჩანდა ციცაბო კლდე ან ხრამი, მტერს რომ შეაფერხებდა. მიუხედავად ამისა, რაღაც ზვინულის მსგავსი მაინც ააგეს — ერთიმეორეზე დააწყვეს სასაპალნე საქონლის ჩულები, ზედ მიბმული ტვირთიანად, ხოლო, სადაც ჩულები არ ეყოთ, ყველა ფუთა და ბოხჩა დააყარეს, რომლებიც მოლაშქრეებს საკუთარი მხრებით მოჰქონდათ.

ბორცვზე პუნები ადვილად ავიდნენ, მაგრამ „ზვინულის“ წინ გაკვირვებისაგან გაშეშდნენ — სიმაღლე ჩვეულებრივი ჰქონდა, სამაგიეროდ, შესახედაობა სრულიად უჩვეულო. უფროსმა მებრძოლებს დაუყვირა:

— რამ დაგაფრთხოთ? ეს ხომ სათამაშო სიმაგრეა, რომელიც თვით ბავშვებსა და ქალებსაც კი ვერ შეაჩერებს!

მაგრამ „ზვინულზე“ გადახტომა, მისი დანგრევა, ანდა

ცულებით დაჩეხვა არც თუ ისე ადვილი გაძოდგა: ჩულები, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ მჭიდროდ ეწყო და ზედ ტვირთი ელაგა, არ ნებდებოდა. მაშინ მოიტანეს ხის ბარჯები, მიამაგრეს კაუჭები და ჭეშმარიტად უკანასკნელი ეს სიმაგრე რამოდენიმე ადგილას ერთდროულად გამოსწიეს. ყველაფერი დამთავრდა, „ბანაკი“ დაეცა.

თუმცა გამარჯვებულები რიცხობრივად ბევრად აღემატებოდნენ დამარცხებულებს, გამარჯვებულებმა საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს. რომაელების უმეტესობამ მეზობელ ტყეებს შეათარა თავი და შემდეგ იქიდან პუბლიუს სციპიონის ბანაკს მიაღწიეს (იმ ავბედით ღამეს, სვესეტანების წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლის წინ, მან ბანაკში მცირერიცხოვანი გუშაგი დატოვა ლეგატ ტიბერიუს ფონტუსის მეთაურობით). გნეუს სციპიონმა მცირერიცხოვანი ასაბიით რაღაც სადარაჯო კოშკს მიაგნო და თავი შეათარა. პუნებმა კოშკს ფიჩხი შემოუწყვეს და ცეცხლი წაუკიდეს. როცა კარი დაიწვა, ისინი შიგ შეცვივდნენ და ყველანი ამოხოცეს.

ასე დაიღუპა გნეუს კორნელიუს სციპიონი, პუბლიუსის სიკვდილის ოცდამეცხრე დღეს. ძმების სიკვდილს მარტო რომი არ გლოვობდა, არამედ მთელი ესპანეთი დასტიროდა. მეტსაც ვიტყვი: რომში ასევე დაკარგულ ჯარსა და დაკარგულ პროვინციებზე წუხდნენ, ხოლო ესპანეთი კი მარტო დაღუპულ სციპიონებს დასტიროდა, გნეუსს უფრო, ვიდრე პუბლიუსს, რადგან მან მეტი ხანი დაჰყო ესპანეთის მიწაზე, პირველმა დაიმსახურა ესპანელების სიყვარული, პირველმა დაანახვა მათ რომაული სამართლიანობის, უბრალოების და თავდაჭერის მაგალითი.

რომაელი მხედრის ლუციუს მარციუსის გმირობა

რომისათვის ამ მძიმე დროს გამოჩნდა კაცი, რომელმაც გამოასწორა საქმე, ყველას უიმედო რომ ეგონა. ჯარში მსახურობდა ლუციუს მარციუსი, ახალგაზრდა, მამაცი და იშვიათი ნიჭის მქონე რომაელი მხედარი. ამ ჩინებულ მის თვისებებს, ემატებოდა ჩინებული წრთობა, რომელიც მან მრავალი წლის

მანძილზე გნეუს სციპიონთან სამსახურის დროს მიიღო. იგი სამხედრო ხელოვნების ყველა წვრილმანს ჩაწვდა. მარციუსმა თავი მოუყარა ბორცვზე ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილ მებრძოლებს, გამოიყვანა რამდენიმე ცინე-სიმაგრიდან რომაული გარნიზონები, საკმაოდ დიდი რაზმი შეადგინა და პუბლიუს სციპიონის ლეგატს ტიბერიუს ფონტეუსს შეუერთდა.

რომაელები მდინარე იბერის გაღმა ნაპირზე, რომის ძველ სამფლობელოებში დაბრუნდნენ და იქ დაბანაკდნენ. სამხედრო შეკრებაზე გადაწყდა, აერჩიათ მხედართმთავარი. ყველამ ერთხმად მარციუსს მისცა ხმა. კენჭისყრაში ისინიც მონაწილეობდნენ, მიწის ზვინულზე გუშაგებად რომ იღვნენ — მათ საგუშაგოებზე ამხანაგები ცვლიდნენ.

მარციუსმა ბანაკის გამაგრება და სურსათ-სანოვავის მომარაგება დაიწყო. მის ყველა ბრძანებას მეომრები ხალისით და მხნედ ასრულებდნენ. მაგრამ, როგორც კი გაიგეს, ჰისგონის შვილმა ჰასდრუბალმა იბერი გადმოლახა და სულ ახლოს არისო, თანაც ახალი სარდლის მიერ საკუთარი კარვის თავზე აღმართული ბრძოლის დაწყების ნიშანი დაინახეს, უცებ შეიცვალნენ. მათ გაახსენდათ სციპიონები, გაახსენდათ, როგორი ძალებითა და როგორი ბელადების მეთაურობით გამოდიოდნენ საბრძოლველად და ატირდნენ, თავს ბოძებსა და ძელებს ურტყამდნენ, ხელებაპყრობილნი ღმერთებს წყევლიდნენ, მიწაზე ემხოზდნენ და ცრემლად დაღვრილი თითოეული მეომარი თავისი სარდლის სახელს წარმოთქვამდა. ცენტურიონები ცდილობდნენ, აეყენებინათ და გაემხნევებინათ რიგითი ჯარისკაცები, მარციუსი დაჰქროდა ბანაკში, ერთდროულად კიდევაც ამშვიდებდა მეომრებს, კიდევაც ლანძღავდა, რადგან სწორედ მაშინ დაიწყეს ყოვლად უსარგებლო დედაკაცური მოთქმა-გოდება, როცა საჭირო იყო მთელი ძალ-ღონის მოკრება საკუთარი თავისა და სახელმწიფოს გადასარჩენად. სწორედ ეს იქნებოდა საუკეთესო შურისძიება გაიუს და პუბლიუს სციპიონებისათვის. მაგრამ კვნესა-გოდება არ წყდებოდა, ვიდრე მტრის ბუკის ხმა არ გაიგონეს: კართაგენელები მოახლოვებულნიყვნენ.

ახლა კი მწუხარება უცებ რისხვამ შეცვალა, მეომრებმა იარაღს სტაცეს ხელი, ჰიშკრიდან გამოცვივდნენ და შეშლილ-

ბივით ეკვეთნენ მტერს. პუნები დაუდევრად, მწყობრის დაუცველად მოდიოდნენ და ძალზე გაოცდნენ: რომაელების ჯარი თითქმის მთლიანად გავანადგურეთ, ამდენი მტერი საიდანღა მოვიდაო, საიდან აქვთ დამარცხებულებს ასეთი სიმამაცე და საკუთარი თავის რწმენა, საიდანა ჰყავთ ახალი მხედართმთავარი, დაბოლოს, ეს ახალი ბანაკი საიდან გაჩნდაო. შეშინებულებმა და დაბნეულებმა თავდაპირველად უკან-უკან დაიხიეს, შემდეგ კი რომაელების გაცოფებულ შემოტევას ზურგი აქციეს. დადევნება შეიძლება საბედისწერო გამომდგარიყო გაქცეულებისათვის, მაგრამ უფრო მეტად მდევნელებისათვის, ამიტომაც მარციუსმა სასწრაფოდ უკანდახევის სიგნალი მისცა, მეომრები ისე იყვნენ გაცხარებულნი, რომ სარდალი იძულებული გახდა, წინა რიგებში მისულიყო და თავისი მეზობლები ძალით მოებრუნებინა.

რომაელები ბანაკში დაბრუნდნენ — ისევ სისხლი სწყუროდათ და ხოცვა-ჟლეტის ქინი ახრჩობდათ, კართაგენელებმაც თავიანთ სადგომს მიაშურეს. მათ წარმოიდგინეს, რომ რომაელებს შეეშინდათ და დევნა ამიტომ შეწყვიტესო. ამ ქარაფშუტულმა ფიქრმა კართაგენელები ზიზლით აღავსო, ამიტომ ბანაკს უხეიროდ იცავდნენ, რადგან უწინდებურად დარწმუნებულნი იყვნენ, იქვე ახლოს დაბანაკებული მტერი მათ მიერ დამარცხებული ორი არმიის მხოლოდ საცოდავი და უმწეო ნარჩენები იყო. და აი, მარციუსმა ყველაფერი დაზვერა, ყველაფერი გაიგო და გეგმაც შეადგინა — ერთი შეხედვით თამამი კი არა, სასოწარმკვეთი. მან გადაწყვიტა, თვითონ დასხმოდა თავს პუნებს. იგი ასე ფიქრობდა: უფრო ადვილია მხოლოდ ერთი ჰასდრუბალის ბანაკის აღება, ვიდრე საკუთარი ბანაკის დაცვა, როცა მტრის სამი ჯარი და სამი მხედართმთავარი შეერთდება. მაგრამ ამ გეგმას, ესოდენ მოულოდნელს, რომელიც უდიდეს გმირობას მოითხოვდა, შეიძლება ჯარისკაცებში ყოყმანი გამოეწვია, ამიტომაც მარციუსმა საჭიროდ ჩათვალა, წინასწარ განემარტა მათთვის ყველაფერი. მან ჯარი შეკრიბა და შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

— ჩემს ერთგულებას დაღუპული სციპიონებისადმი და ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას შეუძლია ყველა თქვენგანი დაარწმუნოს, რომ ძალაუფლება, რომლითაც აღმქურვეთ, არა

მარტო დიდი ღირსება, არამედ მიწივე და მტანჯველი საზრუნავიცაა. მე გულში უნდა ჩავიკლა ნადველი და ვალდებული ვარ, ერთმა ვითქრო ყველა თქვენგანზე. არც დღე და არც ღამე მოკლულ სარდლებზე ფიქრი არ მასვენებს: ორივენი, გაიუსიცა და პუბლიუსიც, ერთსა და იმავეს მეუბნებიან: შური იძიე ჩვენთვის და ჩვენი მეომრებისათვის, რომაელებმა შეიდი წლის განმავლობაში არ იცოდნენ, რა იყო დამარცხება ესპანეთის მიწაზე, შური იძიე რომის სახელმწიფოსათვისო. როგორც სიცოცხლეში მათ ჩემზე მორჩილი კაცი არ მოეძებნებოდათ და მზად ვიყავი, ყველა დავალება შემესრულებინა, ესლაც სულ იმას ვფიქრობ, მათი ანდერძი როგორ შევასრულო, როგორ მივაგნო იმ გეგმას, რომელსაც ისინი აირჩევდნენ, ჩვენს შორის რომ ყოფილიყვნენ. თქვენც ამას გთხოვთ, ჯარისკაცებო, ტირილით ნუ სცემთ მათ ხსოვნას პატივს, როგორც მიცვალებულებს, რამეთუ ისინი ცოცხლები არიან. ცოცხლები არიან თავიანთი გმირობითა და დიდებით! — ყოველთვის, როცა კი მათ გაიხსენებთ, წარმოიდგინეთ, რომ ისინი გაძლევენ ომის დაწყების სიგნალს და ბრძოლისაკენ მოგიწოდებენ! თუმცა, ეჭვიც არ მეპარება, სწორედ ეს მოჩვენება მიგიძლოდათ გუშინ, როცა მტერს დაუმტკიცეთ, რომის ძლიერება სციპიონებთან ერთად არ გამქრალა, ხალხი, რომლის მამაცობა თვით კანეს კატასტროფამაც ვერ დათრგუნა, დასძლევს ზედისწერის ყოველ ახალ მუხანათობას.

გუშინ თქვენ საკუთარმა თავმა ჩაგინერგათ სიმამაცე. ხვალ მე მაქვს გადაწყვეტილი, გამოვცადო თქვენი მამაცობა ჩემს მიერ ჩაფიქრებულ საქმეში. ჩვენ ვისარგებლებთ ბედნიერი შემთხვევით და მტერს მოულოდნელად თავს დავესხმებით: შეიარაღებულნი — უიარაღოებს, ან იქნებ მძინარეებსაც კი. პუნებს სულ არ ეშინიათ, რომ ჩვენ მათი ბანაკის შტურმს გავბედავთ. ხოლო რისიც არ გეშინია, მის წინააღმდეგ სიფრთხილის არავითარ ზომებს არ ღებულობ. ამიტომაც, მათ არა აქვთ ნამდვილი მოწინავე საგუშაგოები. არც მიწის ზეინულთან ცვლიან რეგულარულად გუშაგებს — ასე ამბობენ მზვერავები. ძალიან ჩუმად გავალთ მესამე საყარაულო ღამეს, მივეპარებით ბანაკს და ჭიშკარს პირველ საბრძოლო ყიყინისთანავე ავიღებთ. აი, სწორედ აქ მოიკლავთ იმ ხოცვა-ყლეტის

ენის, რომლისაგან, მიუხედავად თქვენი უკმაყოფილებისა, მომიხდა უარის თქმა.

უნდა ვიმოქმედოთ ახლავე, რომ ჩვენი გუშინდელი თავდასხმა მტრის ორმა დანარჩენმა მხედართმთავარმა არ შეიტყოს. აკი სამ პუნქურ არმიას ვერ გაუმკლავდა გნეუს სციპიონი ჯერაც ცინცხალი, ხელუხლები ჯარით. მაშ, ჩვენ რისი იმედი ვიქონიოთ? ჩვენი სარდლები იმიტომ დაიხოცნენ, რომ თავიანთი ძალები დააქუცმაცეს, — ასე მოუვათ მტრებსაც, თუკი ცალცალკე, ნაწილ-ნაწილ დავარტყამთ. სხვა გამოსავლი ჩვენ არა გვაქვს.

ჯარისკაცებმა ახალი მხედართმთავრის სიტყვა დიდი სიხარულით მოისმინეს, მახვილები ალესეს, შუბებს წვერი წაუმახეს, დღის დანარჩენი მონაკვეთი და ღამის უმეტესი ნაწილი დაისვენეს, მეოთხე საყარაულო ღამეს გამოვიდნენ.

გარდა იმ ბანაკისა, რომელიც რომაელებთან ახლოს მდებარეობდა, პუნებს სხვა ბანაკიც ჰქონდათ. პირველად ცხრა კილომეტრის დაშორებით, მათ ერთიმეორისაგან ხშირი ტყით დაფარული ღრმა ღარტაფი ჰყოფდა. ამ ტყის დაახლოებით შუაში რომაელებმა, პუნთა წესის მიხედვით, ქვეითი ჯარის კოჰორტა და ცხენოსანთა რაზმი ჩაასაფრეს. როცა ამით გზა გადაჭრეს, მარციუსი მახლობელ ბანაკისაკენ გაემართა. მართლაც, კიშკრის წინ საგუშაგოები არ იყო. არც მცველები იყვნენ მიწის ზვინულზე და რომაელები მტრის ბანაკში ისე შევიდნენ, თითქოს საკუთარ სადგომში შედიოდნენ.

ბუქსა სცეს, გაისმა ყიჟინა. ზოგი კაფავდა და ჩეხავდა ნახევრად მძინარე მტერს, ზოგი ცეცხლს უკიდებდა ჩალურებს, ზოგი კიშკართან იდგა და გაქცეულებს გზას უღობავდა, უიარაღო პუნებს ყველგან რომაელთა მახვილი ელოდა. ის მეომრები კი, რომლებიც რაღაც სასწაულით უსხლტებოდნენ მტერს და მეორე ბანაკისაკენ გარბოდნენ, ჩაასაფრებული რომაელების რკალში ემწყვდებოდნენ და უკანასკნელ კაცამდე მათი წერა ხდებოდნენ.

მეორე ბანაკში ჯერჯერობით მყუდროება დასადგურებულყო. რიჟრაჟზე ბევრნი აქეთ-იქით გაიფანტნენ — ზოგი შესისათვის წავიდა, ზოგი — ცხენების საკვებისათვის, ზოგი კი შემთხვევითი ნადავლისათვის. იარაღი მიწაზე ეყარა. ყარაუ-

ლები ისხდნენ, იწვნენ ანდა მიწის ზვინულთან ზანტად მიმო-
დიოდნენ. სწორედ ამ გაზულუქებულ ხალხს თავს დაესხნენ
რომაელები, რომლებსაც ჯერ არ განელებოდათ ახლახან გა-
დახდილი ომის სიფიცხე და გამარჯვების სიხარული. ჭიშკარ-
თან წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ შეძლო, მაგრამ შიგ ბა-
ნაკში ხმაურზე წამსვე გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-
ლა, თავი მოიყარეს მეომრებმა და ალბათ ბრძოლა მალე არ
დამთავრდებოდა, პუნებს მტრის ხელში სისხლით მოთხვრი-
ლი ფარები რომ არ დაენახათ და თავზარი არ დასცემოდათ—
ისინი მიხვდნენ, რაც მოხდა და გაიქცნენ.

ამგვარად, რომაელებმა ლუციუს მარციუსის უფროსობით,
ერთი დღე-ღამის განმავლობაში ხელთ იგდეს კართაგენის ორი
ბანაკი, დახოცეს ოცდაჩვიდმეტი ათასი კაცი, ორი ათასამდე
ტყვედ წამოასხეს და უდიდესი ნადავლიც წამოიღეს. ხელში
ჩაგდებულ ალაფს შორის იყო ჰასდრუბალ ბარკას გამოსახუ-
ლებიანი ვერცხლის ფარი, რომელიც, დაახლოებით, ორმოცდა-
ხუთ კილოგრამს იწონიდა. ეს ფარი, კაპიტოლიუმის ხანძრამ-
დე¹, იუპიტერ კაპიტოლიელის ტაძარში ეკიდა და ლუციუს
მარციუსის გმირობის აღსანიშნავად „მარციუსის ფარი“ ეწო-
დებოდა.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მწერალი პუნთა ზარალს
უფრო მცირე ციფრებით გამოხატავს.

მარცელუსის უკანასკნელი ბრძოლა სიცილიაში

ამ ხნის განმავლობაში მარცელუსი სიცილიაში ისეთ
წესრიგს ამყარებდა, ისეთი სამართლიანობითა და კეთილსინ-
დისიერებით მოქმედებდა, რომ ამით არა თუ მარტო საკუთარ
თავს, არამედ მთელს რომაელ ხალხს მოუტანა დიდება. მხო-
ლოდ იმაში შეეცდა, რომ მრავალრიცხოვანი ქანდაკებები და
სურათები, რითაც სირაკუზი იყო მორთული, რომში გადმო-
ზიდა. რასაკვირველია, ეს იყო მთელი ნადავლის ნაწილი, რო-

¹ 84 წელი ჩვენს ერამდე.

მელიც ომის კანონის თანახმად გამარჯვებულებს ეკუთვნოდა, მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული, წესად იქცა ბერძნული ხელოვნებით აღტაცება, რასაც მოჰყვა ურცხვი ჩვეულება — ეძარცვათ ტაძრები და კერძო სახლები — გაეტაცათ ბელოვნების ნაწარმოებები და ნიმუშები, ჩვეულება, რომელიც ბოლოს და ბოლოს თვით რომაელთა ღმერთების წინააღმდეგ შებრუნდა, პირველ რიგში კი — თვით მარცელუსის მიერ აგებული ტაძრის წინააღმდეგ.

სირაკუზში ჩადიოდნენ ელჩები სიცილიის ყველა ქალაქიდან. ელჩებს მარცელუსი მათივე ქალაქის დამსახურებისამებრ ხვდებოდა. აგრიგენტუმში ისევ ღვივოდა ჯერ კიდევ ჩაუმქრალი ომის კერა, არა, კი არ ღვივოდა, გიზგიზებდა, რადგან იქ თავი მოიყარა კართაგენის სამმა სარდალმა — ეპიკიდემ, პუნმა ჰანონმა და ჰანიბალის მიერ ახლად გაგზავნილმა ლიბოფინიკიელმა¹ მუტინუსმა. ეპიკიდემ და ჰანონმა იგი ნუმიდეელების ცხენოსანთა ჯარის უფროსად დანიშნეს. იგი განუწყვეტლივ ძარცვავდა მტრის მიწებს და კართაგენის მეომრებს ეხმარებოდა. პუნებმა მიატოვეს აგრიგენტუმში თავიანთი თავშესაფარი და მდინარე ჰიმერთან დაბანაკდნენ. მარცელუსიც იქითკენ გაემართა და მტრისაგან ექვსი კილომეტრის დაშორებით დაბანაკდა. მუტინუსმა დაუყოვნებლივ გადმოლახა მდინარე, მოწინავე საგუშაგოებს თავს დაესხა და ამით შიში და არეულობა დათესა. მეორე დღეს მან შეტევა გაიმეორა და მოწინააღმდეგეები ბანაკში შერეკა. მაგრამ ამ დროს ნუმიდეელები აჯანყდნენ. სამასამდე მხედარი ამბოხდა და წავიდა. მუტინუსი დაედევნა, რომ როგორმე დაებრუნებინა, სანამ წავიდოდა, ჰანონსა და ეპიკიდეს ძალიან სთხოვა, ომი არ დაეწყოთ.

ეს თხოვნა ორივეს ეწყინა, ორივე შეურაცხყო, მაგრამ უფრო მეტად ჰანონი (რომელსაც, უნდა ითქვას, უკვე შურდა მუტინუსის დიდება): ვილაც საცოდავი აფრიკელი ბედავს და რჩევას მაძლევს მე, კართაგენის სენატისა და ხალხის მიერ წარმოგზავნილ მთავარსარდალსო. განაწყენებულმა ჰანონმა

¹ ლიბოფინიკიელები (ე. ი. აფრიკაში მცხოვრები ფინიკიელები) ერქვათ აფრიკის სანაპიროზე მოსახლე ფინიკური კოლონიის მოქალაქეებს, რომლებიც ოდესღაც დამოუკიდებელი იყვნენ, ახლა კი კართაგენს ემორჩილებოდნენ.

დაარწმუნა ეპიკიდე, — გადაელახათ მდინარე და რომაელები ომში გამოეწვიათ.

მარცელუსმა მეომრებს უბრძანა, გამოეტანათ დროშები და მოწყობილიყვნენ. ამ სამზადისის დროს მათთან მტრის ბანაკიდან ათი მხედარო მიიჭრა. ესენი ნუმიდელები იყვნენ, რომლებიც ამხანაგების ამბოხს შეეშინებინა, ახლა კი იმას ალგოთებინა, რომ კართაგენელებმა მათი მეთაურის დამცირება განიზრახეს. ნუმიდელებმა მარცელუსს განუცხადეს, ჩვენი ცხენოსანი ჯარი არ იბრძოლებსო. ამ ამბავმა ხელად მოიბრძინა ჯარის რიგები და ყველა გაამსხვევა, რადგან რომაელებს ყველაზე მეტად მტრის მხედრების ეშინოდათ. მტრები კი სულიერად დაეცნენ: ისინი თავიანთი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის დანაკლისმა დააბნია კიდევაც და შეაშინა, რადგან დაარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ საკუთარი ცხენოსანი ჯარი მათვე არ დაარტყამდა.

სრულიად ბუნებრივია, რომ დიდი ბრძოლა არ მომხდარა — საქმე პირველმა ხაფმა და პირველმა იერიშმა გადაწყვიტა — ნუმიდელები არხეინად იდგნენ ფლანგებზე და, როცა ქვეითი ჯარი გაიქცა, ასევე არხეინად მიჰყვნენ გაქცეულებს.

ეს იყო მარცელუსის უკანასკნელი ბრძოლა სიცილიაში.

წელი დასასრულს უახლოვდებოდა. კონსულის არჩევნები რომ დაეწყოთ, რომში კაპუიდან ჩავიდა კონსული კლავდიუსი. მომავალი წლისათვის კონსულად აირჩიეს გნეუს ფულვიუს ცენტუმალუსი და პუბლიუს სულპიციუს გალბა.

ომის მერვე წელი

ომის დაარსებიდან 543 (211 წელი ჩვენს ერამდე)

ახალმა კონსულებმა გნეუს ფულვიუს ცენტუმალუსმა და პუბლიუს სულპიციუს გალბამ, როგორც კი თანამდებობა მიიღეს, მაშინვე სენატის სხდომა მოიწვიეს კაპიტოლიუმზე. იმხანად სენატის პირველი შეხვედრა ახალ კონსულებთან მეტად საზეიმოდ ხდებოდა, თანაც ზეიმი ყოველთვის რომის მთავარ ტაძარში — უნეტარესი და უძლიერესი იუპიტერის ტაძარში კაპიტოლიუმის ბორცვზე ტარდებოდა. პირველ რიგში დაადგინეს, რომ სამხედრო ძალაუფლება გაეგრძელებინათ გასული წლის კონსულებისათვის და მიეწერათ მათთვის, რომ კაპუის ალყა არ მოეხსნათ. ახლა რომაელების მთავარი საზრუნავი ეს ალყა იყო: მათ ახსოვდათ, კაპუელთა ლალატი როგორი დამლუპველი მაგალითი გახდა ბევრი ქალაქისა და ტომისათვის, ამიტომ იმედოვნებდნენ, თუკი კაპუას ისევ დაიმორჩილებდნენ, ეს აიძულებდა დანარჩენ მოლაღატეებსაც, მოენანიებინათ თავიანთი დანაშაული.

სხვა საქმეებთან ერთად სენატორებმა განიხილეს საქმე გნეუს ფულვიუსის ჯარისკაცებისა, რომლებიც სიკვდილს გა-

დაურჩნენ აპულიაში ჰანიბალთან დამარცხების დროს. მათ ისევე მოექცნენ, როგორც უწინ კანეს ბრძოლიდან გამოქცეულებს — გაგზავნეს სიცილიაში, სადაც ომის დამთავრებამდე უნდა დარჩენილიყვნენ. თითოეულის სასჯელი ახალი სამარცხვინო შეზღუდვებით დაამძიმეს: მათ ეკრძალებოდათ ზამთრის გატარება ქალაქად, საზამთრო ბინების გამართვა ქალაქებიდან არანაკლებ თხუთმეტი კილომეტრის მანძილისა.

წლის დასაწყისში ლუციუს მარციუსის წერილი მოვიდა. მოულოდნელმა წარმატებებმა ესპანეთში, რა თქმა უნდა, ძალიან გაახარა სენატორები, მაგრამ მეომრებმა თვითონვე რომ აირჩიეს თავისი სარდალი, საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. სენატმა დაავალა სახალხო ტრიბუნებს სასწრაფოდ ეკითხათ ხალხისათვის, ვინ დაენიშნათ ესპანეთში გნეუს სციპიონის ნაცვლად, მაგრამ რომაელებს იმ დღეებში სულ სხვა რამ აღელვებდა.

გნეუს ფულვიუსის ბასამართლება

ტრიბუნმა გაიუს სემპრონიუს ბლეზუსმა სასამართლოში გამოიძახა გნეუს ფულვიუსი და მოქალაქეებთან უკანასკნელი სიტყვებით გალანძლა. გაიუს სემპრონიუსმა დაახლოებით ასე თქვა:

— ბევრ მხედართმთავარს თავისი ქარაფშუტობით და გამოუცდელობით ჯარი სახიფათო ადგილას შეუყვანია, მაგრამ არც ერთ მათგანს ისე არ გაუხრწნია და არ გაურყვნია თავისი ლეგიონები, რომ შემდეგ ემუხთლათ! ფულვიუსის მეომრები მანამ დაიღუპნენ, სანამ მტერს დაინახავდნენ, თანაც დაიღუპნენ არა ჰანიბალის ხელით, არამედ საკუთარი უფროსის ხელით. შეადარეთ ერთმანეთს გნეუს ფულვიუსი და ტიბერიუს გრაკუსი. გრაკუსმა მონებისაგან შემდგარი ჯარი მიიღო, მოკლე დროში მათ დაივიწყეს თავიანთი წარმოშობა და ბრძოლებში მტრისათვის მრისხანე ძალად იქცნენ, მეომრებისათვის — მტკიცე ბურჯად. გნეუს ფულვიუსმა კი რა გააკეთა? — მან თავისუფალი და სრულუფლებიან მოქალაქეებს მონური ბიწიერება ჩაუნერგა. ღმერთებს ვფიცავ, სულ არ მიკვირს,

რომ მეომრები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ — მაგალითი ხომ თავად მხედართმთავარმა უჩვენა! — გაცილებით საკვირველი ისაა, რომ ზოგიერთებმა მწყობრი არ მიატოვეს და ბრძოლაში დაეცნენ. გაიუს ფლამინიუსმა, ლუციუს პაულუსმა, გნეუს და პუბლიუს სციპიონებმა მტრის მიერ ალყაშემორტყმული ჯარის მიტოვებას სიკვდილი არჩიეს. გნეუს ფულვიუსი კი როგორ მოიქცა? — იგი თითქმის ერთადერთი მაცნე იყო საკუთარი ჯარის დაღუპვისა! სირცხვილი! კანესთან ბრძოლიდან ლტოლვილები სიცილიაში მსახურობენ და ვერ დაბრუნდებიან მანამ, სანამ იტალიაში ერთი პუნი მაინც ჭაჭანებს. ახლა მათ ფულვიუსის ლეგიონები შეუერთდა. თვითონ გნეუს ფულვიუსი კი თავის უღარდელ მოხუცებულობას ისეთსავე გართობასა და შექცევაში გაატარებს, როგორშიც თავისი უზრუნველი ახალგაზრდობა გაატარა. არა, ერთნაირი თავისუფლებით არ სარგებლობდნენ რომში მდიდრები და ღარიბები, წარჩინებულები და მდაბიოები!

ბრალდებული მთელ დანაშაულს მეომრებს აბრალებდა.

— ისინი თვითონ მოითხოვდნენ ბრძოლას, — თავს იმართლებდა იგი, — მაგრამ ვერ შეძლეს გამკლავებოდნენ ჰანიბალის სიძლიერესა და დიდებას. მართალია, გამოვიქეცი, მაგრამ ყველასთან ერთად, მეომრებთან ერთად მოვრბოდი, ისე, როგორც კონსული ვარონი — კანესთან დამარცხების შემდეგ, ისევე, როგორც მრავალი სხვა სარდალი. მე სურსათ-სანოვაგე არ მომიკლია ჯარისათვის. არც მახეში გამიბია იგი, არც საბრძოლო ხაზის დაწყობაში შევმცდარვარ, — მე მხოლოდ იარაღის ძალამ დამამარცხა.

სახალხო კრებამ ორჯერ მოისმინა ფულვიუსის საქმე და ორჯერვე ჯარიმა დააკისრა, როგორც ამას სემპრონიუს ბლენუსი შოითხოვდა. მაგრამ გარჩევა მესამედ დანიშნეს. ამჯერად გამოვიდნენ მოწმეები. ისინი წყევლიდნენ ფულვიუსს. მოწმეებმა ფიცი მიიღეს, რის შემდეგ თქვეს, ფულვიუსი შეშინდა და პირველი გამოიქცაო. გამძვინვარებული ხალხი ყვიროდა, სიკვდილით უნდა დაისაჯოსო. სემპრონიუსმა შეცვალა თავისი უწინდელი წინადადება და მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. მაშინ ფულვიუსმა საშველად დანარჩენ ტრიბუნებს მიმართა, მაგრამ მათ უპასუხეს, არ ვაპირებთ ხელი შევუშა-

ლოთ ჩვენს ამხანაგს, რომელიც კანონებისა და ჩვეულების მკაცრი დაცვით მოქმედებსო. ამის შემდეგ სემპრონიუსმა განაცხადა, გნეუს ფულვიუსს ბრალს სახელმწიფოს დალატში ვდებო და ქალაქის პრეტორმა საქმის გასარჩევად მეოთხე, უკანასკნელი დღე დანიშნა.

ფულვიუსის უკანასკნელი იმედი მისი ძმა—გასული წლის კონსული კვინტუსი იყო. კვინტუს ფულვიუსმა წერილი გამოგზავნა, რომელშიც იხვეწებოდა, ჩემი ძმა შეიბრალეთ და სენატორებს სთხოვდა, ჩამოსვლის ნება მომეცითო. მაგრამ სენატმა უპასუხა, კაპუის ალყა სამშობლოსათვის მეტად მნიშვნელოვანია და არც ერთი წუთით მისი მიტოვების უფლებას არ გაძლევთო.

გნეუს ფულვიუსი სასამართლოს არ დალოდებია და განდევნილობაში თავად წავიდა. ხალხი მაინც შეიყარა, კენჭი ჰყარეს და ფულვიუსს ის სასჯელი დაუმტკიცეს, თავის თავს თვითონვე რომ გამოუტანა.

კაპუის ალყა ბრძოლაში

ომმა კაპუას მრავალი უბედურება დაატეხა თავს, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება და სატანჯველი ალყაშემორტყმულებისათვის მაინც შიმშილი იყო. შიკრიკს არ შეეძლო მტრის საყარაულოებისათვის გვერდი აეარა და ჰანიბალთან წასულიყო. ბოლოს გამოჩნდა ერთი ნუმიდელი, რომელმაც იკისრა წერილის წაღება. ნუმიდელმა სიტყვა შეასრულა და დამით რომაელთა ბანაკიდან უვნებელი გავიდა. ამან გაამხნევა კამპანიელები და გადაწყვიტეს, მტერზე იერიში მანამდე გაეგრძელებინათ, ვიდრე ძალ-ღონე ეყოფოდათ. მათი ქვეითი ჯარი ბრძოლაში ხშირად მარცხდებოდა, სამაგიეროდ, ცხენოსანთა შეტაკებების დროს თითქმის ყოველთვის ისინი იმარჯვებდნენ. რომაელებს ეს ამბავი აცოფებდათ, დაბოლოს, ბევრი მარცხის შემდეგ, მტრის ცხენოსანთა ჯარის გამკლავების საშუალებას მიაგნეს.

ყოველი ლეგიონიდან ამოარჩიეს ყველაზე ძლიერი, მოქნი-

ლი და მარდი ახალგაზრდა მებრძოლები, თითოეული მათგანი პატარა მრგვალ ფარებითა და ერთ მეტრზე ოდნავ გრძელი შვიდი ხელშუბით შეაიარაღეს. მათ ისწავლეს მხედრის უკან, ცხენის გავაზე ჯდომა და დათქმულ ნიშანზე სწრაფად მიწაზე გადმოხტომა. ერთხელ, როცა კამპანიელი მხედრები ქალაქის გალავანსა და მტრის ბანაკს შორის ველზე განლაგდნენ, რომაელებიც გამოვიდნენ მათ შესახვედრად, მაგრამ თითო ცხენზე ორ-ორი მხედარი იჯდა. როცა შუბის სასროლ მანძილზე მიუახლოვდნენ, ქვეითები ჩამოხტნენ ცხენებიდან და მტერს ხელშუბები დააყარეს. კამპანიელებს შორის ბევრი დაიჭრა, მაგრამ კრილობაზე მეტად ბრძოლის მანამდე უნახავი ხერხი აშფოთებდათ. რომის ცხენოსანმა ჯარმა გადაწყვიტა, ესარგებლა მათი დაბნეულობით და მოწინააღმდეგე ჭიშკარში შერევა, თან დიდი დანაკლისი მიაყენა.

საზამთრო ბინებიდან გამოსვლის შემდეგ ჰანიბალი დიდხანს კოკმანობდა, ტარენტუმში წასულიყო და ციხე-სიმაგრე აეღო, რომელიც ჯერ ისევ რომაელებს ეკავათ, თუ კაპუაში გამგზავრებულყო. კაპუისკენ იყო მიპყრობილი ყველას ყურადღება — მოკავშირეებისაც და მათი მტრებისაც. მის მომავალს უნდა ეჩვენებინა, რა მოსდევდა რომის ღალატს. ამიტომ ჰანიბალმა თითქმის მთელი ადალი და მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი ბრუტიუმში დატოვა და საუკეთესო მეომართა რაზმით — მხედრებითა და ჯარისკაცებით — კამპანიისაკენ დაიძრა. ძალზე სწრაფად მიდიოდნენ, თუმცა თან ოცდაცამეტი საბრძოლო სპილო მიჰყავდათ. ტიფატის გაღმა ყოველი მხრიდან დაცულ ველზე დაბანაკდნენ. აქედან ჰანიბალმა კაპუაში შიკრიკი გაგზავნა და რომის ბანაკზე თავდასხმის დღე და საათი შეატყობინა. დათქმულ საათზე უნდა გამოსულიყვნენ ალყაშემორტყმულები: ერთი ჭიშკრიდან კამპანიელები, მეორედან — კართაგენტთა საგუშაგო რაზმი.

ბრძოლა უჩვეულოდ დაიწყო: მეომართა ყიყინას, იარაღის ეღარუნს, ცხენთა ფლოქვების თქარუნს დაემატა სპილენძის ნივთების ბრახუნი. მცხოვრებლებს, რომლებიც ბრძოლისათვის უუნარონი იყვნენ, გალავანზე აეტანათ სპილენძის სინები, ჯამები, ძველი ფარები და მუზარადები, აბრახუნებდნენ მათ და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ, რომ მტრები შეეშო-

ნებინათ. კამპანიელები რომაელებმა ადვილად მოიგერიეს, მაგრამ რომაელებს მეორე მხრიდან პუნები აწვებოდნენ. მეექვსე ლეგიონმა, რომელსაც მეთაურობდა ყოფილი კონსული კვინტუს ფულვიუსი, უკან დაიხია და ესპანელთა რაზმმა სამი სპილოს თანხლებით მიწის ზვინულისაქენ გზა გაიკაფა. ისინი დაუყოვნებლივ უნდა შეეჩერებინათ და ფულვიუსმა ეს საქმე ცენტურიონ კვინტუს ნავიუსს დაავალა. ნავიუსმა მებაირაღეს დროშა გამოსტაცა და წინ გაიჭრა, თან იმუქრებოდა, ამ დროშას, თქვენდა შესარცხვენად, მტრის შუაგულში ვისვრი, თუკი არ მომყვებით და ჩამომრჩებითო. გოლიათური აღნაგობის, მდიდრულად მორთულ ჯავშანში გამოწყობილი, დროშააღმართული ცენტურიონი თავისიანების ყურადღებასაც იპყრობს და მტრისასაც. თითქმის ესპანელების მთელი მწყობრი მას დაესხა, მაგრამ რომაელებიც იქვე გაჩნდნენ. სპილოები ზვინულზე დახოცეს. დახოცილი ცხოველები თხრილში ჩაგორდნენ, თავიანთი ლეშით ამოავსეს იგი და ზედ ხიდივით გაედევნენ. „ხიდზე“ ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა.

ამასობაში რომაელებმა კამპანიელები ქალაქის ჰიმნართან მორეკეს, მაგრამ აქ გალავანზე განლაგებული ბალისტები და ლოდსატყორცნები რომაელებს ზალპით შეხვდნენ და ახლო მისვლის საშუალება არ მისცეს. თანაც, აპიუს კლავდიუსი, რომელიც აქაურ ჯარს მეთაურობდა, დაჭრეს; რომაელები თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ.

ჰანიბალმა დაინახა, რომ ესპანელები იელიტებოდნენ, რომაელები კი უდიდესი შეუპოვრობით იცავდნენ თავს, ამიტომ ქვეით ჯარს უკან დახევა უბრძანა, ცხენოსნებს — მათი ზურგიდან დაცვა. ლეგიონებს ერთი სული ჰქონდათ, მტერს დადევნებოდნენ, მაგრამ ფლავუსმა ნება არ დართო. მას მიაჩნდა, რომ მიღწეულიც სავსებით საკმარისი იყო: კამპანიელები დარწმუნდნენ, რა ცოტა დახმარების გაწევა შეუძლია მათთვის ჰანიბალს. ამაში თვით პუნიც დარწმუნდა.

თუმცა, სხვა ცნობებით, ყველაფერი ასე როდი იყო. ნუმიდიელები და ესპანელები სპილოებით მოულოდნელად შეიჭრნენ მტრის ბანაკში. სპილოები გამაყრუებლად ხაოდნენ და კარვებს აცამტვერებდნენ. სასაპალნე ცხენები და ჯორები საბლებს წყვეტდნენ და გარბოდნენ. ჰანიბალმა წინასწარ

გაგზავნა თავისი ხალხი, რომლებმაც ლათინური კარგად იცოდნენ და იტალიური ტანისამოსი ეცვათ. ისინი ყველას ეუბნებოდნენ, რომ ბანაკი აღებულა და კონსულებმა ბრძანება გასცეს, ვისაც როგორც შეუძლია, თავს უშველოსო. ტყუილი მალე გაიგეს, მოწინააღმდეგეები შეიპყრეს, სპილოები კი ჩირაღდნების ალით შეაშინეს და გააქციესო.

როგორც არ უნდა წარმართულიყო ეს ბრძოლა, იგი უკანასკნელი გამოდგა კაპუის დაცემამდე.

პართაგენელები რომის კარიბჟისთან

ჰანიბალი მიხვდა, რომაელებს ხელმეორედ ველარ გაიწვევდა საბრძოლველად, ვერც მათ სიმაგრეს გაარღვევდა და ველარც კაპუის გალავანს მიუახლოვდებოდა. ახლახან არჩეულ კონსულებს კი შეეძლოთ მისთვის ალალთან მისასვლელი გზა გადაეჭრათ, ამიტომ გადაწყვიტა იქაურობას გასცლოდა. ახლა იმას ფიქრობდა, საით წასულიყო და უცებ ფიქრი რომისკენ — ომის საბოლოო მიზნისაკენ გაექცა (კანესთან გამარჯვების შემდეგ მან არ გაილაშქრა რომზე და ამას ხშირად იგონებდა და ნანობდა). შეუძლებლად სულ არ მიაჩნდა, რომ ქალაქის თუნდაც ნაწილი ხელში ჩაეგდო. რაკი რომის განსაცდელს დაინახავდნენ, რომის ერთ-ერთი სარდალი, ანდა ორივე ერთად, კაპუას მიატოვებდნენ და მის საშველად გამოსწევდნენ. ჰანიბალს მხოლოდ კამპანიელთა სასოწარკვეთილება აფიქრებდა — ჩემი წამოსვლისთანავე არ დანებდნენო — ამიტომ იპოვა ერთი ნუმიდელი, რომელიც დიდ საზღაურად დაითანხმა, კაპუაში წერილი წაეღო. ნუმიდელმა რომაელებთან მათ მხარეზე გადასულად გაასალა თავი და რომაელთა ბანაკიდან ალყაშემორტყმულ ბანაკში შეაღწია.

წერილი გასამხნევებელი სიტყვებით იყო აღსავსე. პუნი თავის გადაწყვეტილებას ამცნობდა და იფიცებდა, მტრის ძალებს კაპუას მოვაცილებო.

კართაგენელებმა ერთ ღამეში გადალახეს მდინარე ვოლტურნი და ათი დღის სამყოფი საგზლით რომისაკენ დაიძრნენ.

კინტუს ფულვიუსმა წინასწარ შეიტყო ჰანიბალის გეგმები და მაშინვე სენატს აცნობა. სენატორები სხვადასხვანაირად გამოეხმაურნენ ამ ამბავს — თითოეული თავის ხასიათისა და გონიერების მიხედვით.

ბევრნი ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო მთელი იტალიის ჯარები რომისაკენ დაეძრათ, დაევიწყებინათ კაპუაც და სხვა საზრუნავიც, მაგრამ ფაბიუს მაქსიმე ამბობდა, სირცხვილი იქნება, ჰანიბალის ეშმაკობასა და მუქარას აყვეთ და კაპუა მივატოვოთ. სულ ტყუილუბრალო მუქარაა თვით იუპიტერი და სხვა ღმერთები დაიცავენ მას იმ ჯარის მეშვეობით, რომელიც ქალაქში დგასო. წარმოიშვა აზრი, რომელიც ორივე შეხედულებას იზიარებდა ნაწილობრივ. დაადგინეს, მიეწერათ კაპუაში დაბანაკებული სარდლებისათვის, რამდენი ჯარია რომში (რამდენი ჰყავს ჰანიბალს და რამდენია საჭირო ალყის გასაგრძელებლად, ეს თავად იციან) და თუკი შეუძლიათ, დედაქალაქს ისე მიეშველონ, რომ ალყას არაფერი დაუშავდეს, მაშინ ერთ-ერთი მათგანი რომში ჩამოვიდესო.

სენატიდან ბანაკში ცნობის მისვლისთანავე მხედართმთავრები უყოყმანოდ შეთანხმდნენ, საჭიროა წასვლა და წავა კინტუს ფულვიუს ფლაკუსიო. აპიუსი დაჭრის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ გამოჯანმრთელებულიყო. ფლაკუსმა ამოარჩია თხუთმეტი ათასი ქვეითი ჯარისკაცი, ათასი მხედარი და მდინარე ვოლტურნი გადალახა. მან დაადგინა, რომ ჰანიბალი ლათინთა გზით დაიძრა და აპიუსის გზაზე მდებარე ქალაქებში შიკრიკები აფრინა, სურსათ-სანოვაცე მოამზადეთ, შორეულ მინდვრებსა და დაბებში მოგროვილი პური კი გზის ნაპირას ჩამოწიდეთ¹. ყველაფერი შეასრულეს, გზაში არსად დაყოვნებულან. მეომრები ერთმანეთს წამდაუწუმ გასძახოდნენ, ფეხი აეჩქარებინათ. ახსოვდათ, რომ სამშობლო მათგან დაცვასა და შველას ელოდა.

მდინარე ლირისსთან ჰანიბალი შეჩერდა: ახლომდებარე სოფლებს ხიდი დაენგრიათ და ერთი მათგანი რომში გაქცეული-

¹ რომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით კამპანიაში ორი მთავარი გზა მიემართებოდა. ორივე კაპუაში შედიოდა. როცა ფულვიუსმა გაიგო, რომელ გზას დააღა ჰანიბალი, ბუნებრივია, მან მეორე გზა აირჩია.

ყო. მისმა გამოჩენამ დედაქალაქი შეაძრწუნა. მაცნეს ნათქვამს მაშინვე ათასი შეთხზული ამბავი მიუმატეს და ცრუ ხმებმა პანიკა გაზარდა. ყველა სახლიდან ქალების ტირილი ისმოდა, ყოველი მხრიდან ოჯახის დედები ტაძრებისაკენ მიდიოდნენ, მუხლებზე ეცემოდნენ, საკურთხეველს ეხვეოდნენ და ცისკენ ხელებაწვდილნი ღმერთებს ევედრებოდნენ, ეხსნა რომი მტრის ხახისაგან.

სენატი პირდაპირ ფორუმზე შეიკრიბა, რომ ყოველ წუთში მიეცა კონსულების, პრეტორებისა და სხვა მმართველებისათვის საჭირო რჩევა-დარიგება. ერთნი დარიგებას ღებულობდნენ და მიიჩქაროდნენ დაეკავებინათ მათთვის მინდობილი საგუშაგოები, მეორენი მიდიოდნენ, რომ ეკითხათ, რაიმეში ხომ არ გამოგადგებიოთ. ყველგან გუშაგები ჩააყენეს, კაპიტოლიუმზე, გალავნებზე, ქალაქის გარშემო. ამ გაცხარებული ფაციფუცისა და მზადების დროს რომში შევდა კვინტუს ფულვიუს ფლაკუსი. მან გაიარა ქალაქი და ქალაქის მიღმა ესკვილინუმის ველზე¹ დაბანაკდა. იქვე დაბანაკდნენ თავიანთი ლეგიონებით კონსულები გნეუს ფულვიუსი და პუბლიუს სულპიციუსი.

ჰანიბალმა მდინარე ლირისზე ხიდი გადო და წინ დაიძრა. გზადაგზა აოხრებდა მინდვრებს. რაც უფრო უახლოვდებოდა რომს, მით უფრო მეტად აოხრებდა მათ, უფრო მეტ ხალხს ხოცავდნენ ანდა ტყვეებად მიჰყავდათ ნუმიდიელ ცხენოსანთა მზირებს. კართაგენელები მდინარე ანიენტან დაბანაკდნენ, რომიდან ოთხნახევარ კილომეტრზე. ორი ათასი ცხენოსანით ჰანიბალი ქალაქის გალავანს თითქმის ზედ მიაღდა და მის გასწვრივ გაჟენდა, სიმაგრეებსა და ქალაქს ზვერავედა. პუნებს ისე უდარდელად და გულარხეინად ეჭირათ თავი, რომ ფულვიუსმა, რომელიც სიბრაზისაგან ცახცახებდა, დაუპატიჟებელი სტუმრების ჭკუის სასწავლებლად ცხენოსანი ჯარი გაგზავნა. ესკვილინუმის ველზე გაიმართა ბრძოლა. კონსულებმა უბრძანეს ჰანიბალის მოლალატე ნუმიდიელებს — ისინი ორი ათასამდე იყვნენ და ავენტინუმზე² იდგნენ — მიეღოთ ბრძოლაში

¹ ველი ესკვილინუმის ბორცვის ძირას. ეს ბორცი იმ შვიდ ბორცვთაგან, რომელზედაც ძველი რომი იყო გაშენებული, ყველაზე მაღალია.

² რომის ერთ-ერთი შვიდ ბორცვთაგანი.

მონაწილეობა, რადგან მიაჩნდათ, რომ ნუმიდიელებზე კარგად ვერავინ იომებდა თხრილებით დასერილ ადგილებში, სახლებს, ბალებს, აკლდამებსა და ლობეებს შორის.

როცა მცხოვრებლებმა კაპიტოლიუმიდან დაინახეს ნუმიდიელები, რომლებიც ავენტინუმის ბორცვის ფერდობზე ეშვებოდნენ, იფიქრეს ავენტინუმი მტრებმა დაიკავაო. ამან ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ხალხი, გალავანს მიღმა პუნების ბანაკი რომ არ ყოფილიყო, ქალაქიდან გაიქცეოდა. ახლა კი ადამიანები სახლებში იკეტებოდნენ და იქიდან ქუჩებში ქვებსა და ხელშუბებს ისროდნენ. საკუთარ ხალხს მტრებად მიიჩნევდნენ. ალიაქოთის აღკვეთა და შეცდომის გამოსწორება არასგზით არ ხერხდებოდა, რადგან ქუჩები გლენებით იყო სავსე, ისინი კი თავიანთ საქონელთან ერთად აქეთ-იქით აწყდებოდნენ, რომ ხოცვა-ჟლეტასა და ძარცვას გაქცეოდნენ.

ცხენოსანთა ბრძოლაში რომაელებმა გაიმარჯვეს. დღის დარჩენილი მონაკვეთი და მთელი ღამე აფორიაქებული დედაქალაქის დამშვიდებას მოანდომეს.

მეორე დღეს ჰანიბალმა ჯარი საბრძოლველად მოაწყო. ფულვიუსმა და კონსულებმა გამოწვევა მიიღეს. როცა ყველანი მზად იყვნენ, კოკისპირული წვიმა და სეტყვა წამოვიდა. მოწინააღმდეგეები დაიშალნენ, რადგან მთლად გალუმპული მეომრები იარაღს ვეღარ იჭერდნენ ხელში. მეორე დღეს იმავე ადგილას მოეწყვნენ. ისევ ამოვარდა ქარიშხალი, წამოვიდა თავსხმა, დაუშინა სეტყვამ. როგორც კი მტრები ერთმანეთს დაშორდებოდნენ, ცა მაშინვე გადაიწმინდებოდა, სიჩუმე და მყუდროება ისადგურებდა. კართაგენელებმა ეს ამბავი ღვთის ნებად მიიჩნიეს, როგორც გვიამბობენ, ჰანიბალმა ნაღვლიანად თქვა:

— რომის აღებაში პირველად საკუთარმა უგუნურებამ შემიშალა ხელი, მეორედ — განგებამ.

კიდევ ორმა გარემოებამ შეარყია და ჩაფუშა მისი იმედები. ერთი სერიოზული იყო, მეორე — ნაკლებმნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ მტერი ახლოს იდგა, რომში საქმეები არ შეჩერებულა. ჰანიბალს მოახსენეს, სწორედ ამ დღეებში გაიგზავნა ესპანეთში მამველი ძალებიო. გარდა ამისა, უთხრეს,

ანიენის ველი, სადაც კართაგენელები არიან დაბანაკებულნი, გასაყიდად დაინიშნა, მყიდველიც გამოჩნდა და ფულიც გადაიხადაო. ჰანიბალი გაცეცხლდა. მან მაშინვე დაუძახა მაცნეს და უბრძანა, ახლავე გამოაცხადე, ჰანიბალი რომის ფორუმზე მდებარე სავაჭროებს ჰყიდის-თქო.

ჰანიბალმა რომიდან უკან დაიხია, მაგრამ კამპანიაში აღარ მიბრუნებულა. სამნიუმის, აპულიის და ლუკანიის გავლით ბრუტიუმში, სრუტისაკენ წავიდა, რომელიც იტალიას სიცილიისაგან ჰყოფს. იგი ისე სწრაფად გაჩნდა სრუტესთან, რომ მისი სანაპირო ქალაქი რეგიუმი კინალამ აიღო. კაპუაში შეიტყვეს კვინტუს ფულვიუსის დაბრუნება რომიდან და უკვირდით, რატომ არ ჩანდა ჰანიბალი. მაგრამ ეს გაკვირვება მალე გაუქრათ: კაპუელებმა გაიგეს, რომ ჰანიბალმა ისინი რომაელებისა და ბედის ანაბარად მიატოვა.

კაპუის დაცემა. ლხინი ვიბიუს ვირიუსთან

რომის სარდლებმა ერთხელ კიდევ აცნობეს ალყაშემორტყმულებს, რომ ყოველი კამპანიელი მოქალაქე, რომელიც უახლოეს დროში ჩვენს ბანაკში გამოცხადდება, გათავისუფლდება სასჯელისაგანო. მაგრამ არავინ მისულა. ღირსება და სირცხვილი კი არ აკაევბდათ კაპუელებს, არამედ შიში. მათ არ სჯეროდათ, რომ რომაელები აპატიებდნენ ლალატს. ვერავინ ბედავდა საკუთარ თავზე ეზრუნა, მაგრამ არც საერთო საქმეზე ფიქრობდა ვინმე. სენატი არ იკრიბებოდა, ვერც ერთ ღირსეულ მოქალაქეს ვერ ნახავდით ვერც ფორუმზე, ვერც სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ყველანი შინ ისხდნენ და ყოველდღე ელოდნენ სამშობლოსა და საკუთარ დალუპვას.

ქალაქის საქმეებს ახლა კართაგენის გარნიზონის ორი უფროსი განაგებდა, მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ მათ საკუთარი მომავალი უფრო აფიქრებდათ, ვიდრე მოკავშირეებისა. მათ ჰანიბალს წერილი გაუგზავნეს. წერილი არათუ გულახდილად, საკმაოდ მკვახედ და მწარედ იყო ნაწერი: „კაპუასთან ერთად მტრის ხელში ჩვენც, კართაგენელებსაც, გვაგდებ; ჩვენ

ტანჯვა-წამებით დავიხოცებით. იმისათვის კი არ გადმოვიღებ-
ხავს ალბები, რომ ტარენტუმელებთან და რეგიუმელებთან
გეომნა — პუნთა ჯარის ადგილი რომის ლეგიონების გვერდი-
თაა. იმიტომ გავიმარჯვეთ კანესა და ტარზიმენის ტბასთან,
რომ ჩვენი ბანაკები მტრის ბანაკების პირისპირ იდგა. შენ აქ
უნდა იყო, კაპუსთან. ომის მთავარი თეატრი აქაა!“

წერილი ნუმიდიელებს გადასცეს, რომლებმაც მის წაღე-
ბაში დიდი საფასური მოითხოვეს. ნუმიდიელები ფულვიუსთან
გამოცხადდნენ და უთხრეს, აღარ შეგვიძლია კაპუსში მეტი
შემშლლის ატანა და თქვენს მხარეზე გადმოვალთო. თხოვნა
საპატიო და სარწმუნო ჩანდა და ალბათ ნუმიდიელები პირ-
ველ შესაძლებლობისთანავე გაიქცეოდნენ რომაელთა ბანაკი-
დან, რომ შემთხვევით არ გამოჩენილიყო ერთი კაპუელი ქა-
ლი, რომელიც კარგად იცნობდა ერთ-ერთ მათგანს. მან ფულ-
ვიუსს აცნობა, ნუმიდიელები გატყუებენ, ჰანიბალთან წერი-
ლი მიაქვთ. ჩემი ნაცნობი დამიპირისპირეთ და მზადა ვარ,
ყველაფერი გავიმეორეო. ის კაცი დაუყოვნებლივ მოიყვანეს.
თავდაპირველად ნუმიდიელი სასტიკ უარზე იყო, ამ ქალს არ
ვიცნობ, პირველად ვხედავო, მაგრამ, როცა საწამებელი იარა-
ღები მოიტანეს, გატყდა. წერილი მოძებნეს. „მოლალატეები“
დაიჭირეს, გაჯოხეს, ხელები დააჭრეს და უკან კაპუსში გა-
რეკეს.

ამ სასტიკმა დასჯამ სულიერად საბოლოოდ დასცა კაპუე-
ლები. ხალხი კურიასთან შეგროვდა და მოითხოვდა ქალაქის
უზენაეს მმართველს სენატი მოეწვია. თუკი სენატორები ამჯე-
რადაც არ ისურვებენ ხალხში გამოჩენას და ქვეყნის ბედილ-
ბალზე ზრუნვას, მაშინ შინიდან ძალით გამოვათრევთო! ასეთი
მუქარის შემდეგ სენატი შეიკრიბა სრული შემადგენლობით.
ყველა ამბობდა, საჭიროა, რომაელებს ელჩები გავუგზავნოთო,
მაგრამ როცა ჯერი ვიბიუს ვირიუსზე მიდგა, რომელიც თავის
დროზე სენატს და ხალხს არწმუნებდა, რომს ვულალატოთო,
თქვა:

— ბატონო სენატორებო, რა სუსტი მეხსიერება გაქვთ!
დაგავიწყდათ, რა დროს ვულალატეთ რომს? დაგავიწყდათ,
წამებით სული რომ ამოგხადეთ რომაელ მოქალაქეებს? რამ-
დენჯერ დავესხით თავს, დავლაშქრეთ რომის ბანაკი და როგორ

ვეხმეთ საშველად ჰანიბალს? დაბოლოს, დაგავიწყდათ, რა შეურიგებელი სიძულვილით არიან გამსჭვალული ჩვენს მიმართ რომაელები? — მაშ მე მოგაგონებთ!

უცხო ტომის მტრები იტალიაში თარეშობენ, ყველგან ომია, რომაელები კი არაფერს დაგიდევენ და ორივე კონსულს კაპუისათვის ალყის შემოსარტყმელად გზავნიან. ჰანიბალი მათ ბანაკს თავს ესხმის, ლამის ხელთ იგდოს, მაგრამ ისინი მაინც თავს არ ანებებენ დაწყებულ საქმეს. ჰანიბალმა გაილაშქრა თვით რომში. იგი მის გალავანთანაა, მის კარიბჭესთანაა. ჰანიბალი აშკარად აგრძნობინებს რომაელებს, თუ კაპუას თავს არ დაანებებენ, წაართმევს დედაქალაქს, მაგრამ მაინც არ დაგვახებებს თავი! ნადირნიც კი, რა გინდა გააფთრებულნი იყვნენ, შიატოვებენ ყველაფერს და თავიანთი ბოკვერების საშველად გარბიან, თუკი ბუნაგიდან მათ საცოლად გმინვას გაიგონებენ. რომაელები კი არ მოეშვნენ კაპუას. არც მათი ქალაქის ალყამ, არც ცოლებისა და შვილების განწირულმა კვნესამ, რომელმაც თითქმის ჩვენამდე მოაღწია, არც მათი სახლების, საკურთხევლების, ტაძრების აოხრების, არც მათი წინაპრების საფლავების წაბილწვის შიშმა არ მოახსნევენა რომაელებს კაპუისათვის ალყა. აი, როგორ სწყურიათ მათ ჩვენი სისხლი! და, სრულიად დამსახურებულადაც. ჩვენც რომ მათ აღვილზე ვყოფილიყავით, ზუსტად ასევე მოვიქცეოდით.

სიკვდილს მე არ დავემალეები, რადგან ასეთია ღმერთების ნება, რომლებმაც გამარჯვება მტერს არგუნეს და არა ჩვენ, — მაგრამ იმ ტანჯვასა და დამცირებას, რასაც რომაელი გვიმზადებს, შეიძლება თავი დავალწიოთ. მე არ ვიხილავ ამაყ აპიუს კლავდიუსს და გულზვიად კვინციუს ფულვიუსს, არ გავყვები ბორკილდადებული ტრიუმფულ ეტლს რომის ქუჩებში, რომ შემდეგ დილეგში მომგზედონ ანდა ბოძე გაკრულს მათრახით ნაფლეთებად მიქციონ ზურგი, მერე კი ლიქტორის ცულით თავი მომკვეთონ. მე არ დავინახავ, როგორ დაიწვება ჩემი ქალაქი, ტყვედ როგორ წაასხამენ ჩვენს ქალიშვილებს, ჭაბუკებს, დედებს, ყველას. ვისაც ჩემსავით არ სურს ამის დანახვა, ნადიმზე ვიწვევ. როცა დავნაყრდებით და წყურვილს მოვიკლავთ, ჩამოვატარებ ფიალას და პირველად მე მოვსვამ. ეს ფიალა სხეულს აარიდებს ტანჯვა-წამებას, სულს კი — დამცი-

რებას და საუკუნოდ დაგვიშრეტს თვალის ჩინს და დაგვიხშობს სმენას. მსახურები ეზოში კოცონს გააჩაღებენ და ჩვენს გვაძებს დაწვავენ. აი, სიკვდილისაკენ მიმავალი ერთადერთი ღირსეული და თავისუფალი გზა. მტრებს გააკვირვებს ჩვენი სიამაყე, პანიბალი კი მიხვდება, როგორ მოკავშირეებს აქცია ზურგი და უღალატა.

თითქმის ყველა იწონებდა ვირიუსის სიტყვას, მაგრამ ყველას როდი ეყო ძალა აღესრულებინა ის, რასაც იწონებდა. სენატის უმრავლესობას იმედი ჰქონდა რომის ხალხის გულმონწყალებისა, რაც წინა ომებიდან იცოდნენ. მათ დაადგინეს, გაეგზავნათ რომაელებთან ელჩები და მორჩილება აღეთქვათ. ვიბიუს ვირიუსის სახლში ოცდაშვიდი სენატორი შეიკრიბა, ისინი შემოუსხდნენ სანადიმო მაგიდას და როცა გონება ღვინომ დაუბინდათ, საწამლავი შესვეს. მერე გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და ტირილით უკანასკნელად გადაეხვივნენ. ისინი დასტიროდნენ საკუთარსა და სამშობლოს ბედს. ზოგნი ვიბიუსთან დარჩნენ, რომ საერთო კოცონის ალში შთანთქმულიყვნენ, ზოგნი შინ წავიდნენ. მაგრამ ღვინომ და ბევრმა საკმელმა საწამლავის მოქმედება შეასუსტა და ვიბიუსის სტუმართა უმეტესობამ მთელი ღამე და მეორე დღის დასაწყისი სიკვდილისწინა ტანჯვაში გაატარა. თუმცა, ყველამ მანამდე განუტევა სული, სანამ ქალაქის კარიბჭე მტრის წინაშე გაიღებოდა.

ამგონებული ქალაქის დასჯა

კაპუაში შევიდა რომის ლეგიონი და მოკავშირეთა ცხენოსანი ჯარის ათასი ძხედარი. ლეგიონის მეთაურმა, უპირველეს ყოვლისა, იარაღის ჩაბარება ბრძანა, შემდეგ გუშაგები ჩააყენა კარიბჭესთან, რომ არავინ გასულიყო და სწრაფად, სისხლისღვრის გარეშე დაეკავებინათ პუნთა გარნიზონი, ბოლოს სენატორებს უბრძანა, ბანაკში მისულიყვნენ, ყველას მაშინვე ბორკილები დაადეს და ბადრაგის თანხლებით ოქროსა და ვერცხლის მოსატანად — ვისაც რამდენი ჰქონდა — გააბრუნეს. სულ შეგროვდა რეაას ოთხმოცდაერთი კილოგრამი ოქრო და ათი ათას ორას თვრამეტი კილოგრამი ვერცხლი. ორმოცდა-

ცამეტი სენატორი, რომლებიც განდგომის ყველაზე უფრო თავგამოდებული მომხრენი იყვნენ, ორ მეზობლად მდებარე ქალაქში წაიყვანეს და მცველები მიუჩინეს.

დამნაშავეთა დასჯის თაობაზე ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ კლავდიუსი და ფულვიუსი. კლავდიუსს მიაჩნდა, რომ შეიძლებოდა მათი მიტევება, ფულვიუსი კი მათ სასტიკ დასჯას მოითხოვდა, მაშინ კლავდიუსმა შესთავაზა, რომ მათი დავა რომის სენატს გადაეწვეცია. გარდა ამისა, მას საჭიროდ მიაჩნდა დაპატიმრებულების დაკითხვა, რომ გამოერკვია, ლათინელ მოკავშირეთაგან კაპუის საიდუმლო შეთქმულებაში თუ ვინმე იღებდა მონაწილეობას. ფულვიუსი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ასეთი დაკითხვისა.

— არ შეიძლება, — ამბობდა იგი, — ერთგული მოკავშირეები უსაფუძვლო ეჭვებით შევაშფოთოთ. არ შეიძლება ვენდოთ არამზადების სიტყვებს, რომლებიც არასოდეს უფიქრდებიან საკუთარ ნათქვამსა და საქციელს.

მიუხედავად ფულვიუსის უკიდურესი გააფთრებისა, აპიუს კლავდიუსს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი ამხანაგი სენატის გადაწყვეტილებას დაელოდებოდა და რისკს არ გასწევდა. მაგრამ ფულვიუსმა სამხედრო ტრიბუნებსა და მოკავშირეთა რაზმების უფროსებს უბრძანა, სალაშქროდ გაემზადებინათ ორი ათასი ცხენოსანი და მესამე საყარაულო ღამეს ერთ-ერთ იმ ახლოს მდებარე ქალაქისაკენ წაუძღვა, სადაც დატუსაღებული ჰყავდათ კამპანიელი სენატორები. ქალაქს გარიყრაყზე მიაღწიეს და პირდაპირ მოედნისაკენ გაეშურნენ. ფულვიუსმა ბრძანა, მოეყვანათ დაპატიმრებულები. უკლებლივ ყველა გაჭოხეს და მერე თავები მოჰკვეთეს.

იქიდან სასწრაფოდ მეორე ქალაქში გაქუსლეს. გამოიყვანეს კამპანიელები და ბოძებზე გააკრეს. სწორედ ამ დროს რომიდან ჩამოსული შიკრიკი გამოჩნდა და ფულვიუსს წერილი გადასცა. ხალხი ტრიბუნალის¹ გარშემო აჩოჩოლდა, აგუგუნდა, ალბათ კაპუელ სენატორების ბედს თვით რომში გადა-

¹ როგორც რომში, ასევე ძველი იტალიის სხვა ქალაქებში მოედნის განსაკუთრებულ ამაღლებულ ადგილს ტრიბუნალი ეწოდებოდა. თანამდებობის პირები (კონსულები, პრეტორები და ა. შ.) აქ სხდებოდნენ და საქმეებს აქედან აგვარებდნენ.

წყვეტენო. ფულვიუსი ცხადია, მიხვდა რაც ეწერა წერილში, ამიტომ გაუხსნელად უბეში ჩაიღო და ბრძანა, სიკვდილით დასჯა განეგრძოთ.

მხოლოდ მას მერე, რაც უკანასკნელ სენატორს თავი მოჰკვეთეს, მან ამოიღო წერილი, წაიკითხა სენატის დადგენილება, მხრები აიჩეჩა და თქვა, წერილმა ძალიან დაიგვიანაო. ეს ასეც იყო: ფულვიუსმა ყველაფერი გააკეთა, რომ წერილს დაეგვიანა.

ფულვიუსი ადგილიდან წამოდგა. ამ დროს ბრბოდან ვინმე კამპანიელი ტავრეა ვიბერიუსი გამოვიდა და შესძახა:

— ეი, შენ კვინტუს ფულვიუს!

— რა გინდა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ფულვიუსმა და დაჯდა.

— უბრძანე მეც სიკვდილით დამსაჯონ და შენ შეგეძლება ყველგან დაიკვებნო, რომ მოკალი შენზე ბევრად მამაცი აღამიანი!

— შენ ალბათ შეშლილი ხარ, — უთხრა ფულვიუსმა და დაუმატა: — შენი სიკვდილით დასჯა რომც მინდოდეს, სენატის დადგენილება ამის უფლებას არ მაძლევს.

ვიბერიუსმა უპასუხა:

— ჩემი ქალაქი დაპყრობილია, ახლობლები და მეგობრები დაიღუპნენ, ცოლ-შვილი საკუთარი ხელით დავხოცე, რომ მტერს არ შეეგინებინა. შენ კი არ მაძლევ საშუალებას ჩემი თანამემამულეების ხედრი გავიზიარო. დე, მაშ საკუთარმა სიმამაცემ მიხსნას სამარცხვინო სიცოცხლისაგან.

ამ სიტყვებზე მან სამოსში დამალული მახვილი იძრო, გულში ჩაიკა და რომაელი სარდლის ფეხებთან დაეცა.

კაპუაში დაბრუნების შემდეგ ფულვიუსს არ შეუწყვეტია გასამართლება და დასჯა. მისი ამხანაგი, ახლა ხელს აღარ უშლიდა: აპიუს კლავდიუსი ჭრილობისაგან მოკვდა. როგორც ვთქვით, იგი ალყის დროს დაიჭრა. სამასი წარჩინებული კამპანიელი ფულვიუსმა ციხეში ჩაპყარა, სხვები ლათინურ ქალაქებში დაგზავნა, რომ იქიდან არსად გაეშვათ. შემდეგ ოსინი სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა სიკვდილით დაიხოცნენ. დანარჩენ კაპუელ მოქალაქეებს მონებად გაყიდვა ელოდა.

რომის სენატში დიდხანს კამათობდნენ, როგორ მოქცეოდ-

ნენ ქალაქ კაპუასა და მის სამფლობელოებს. ზოგი იმის მომხრე იყო, რომ მიწის პირისაგან აღეგავა იგი, რადგან ძალზე ძლიერია, რომთან ძალზე ახლოა და მისი ძალზე დიდი მტერიაო. მაგრამ სხვები ამბობდნენ, კაპუას გარშემო მიწდებები მთელს იტალიაში ყველაზე ნაყოფიერია, მათი მიტოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაშინ სადღა იცხოვრონ მხენელ-მთესველებმა და მომკვლებმა? ამ მოსაზრებამ გაიმარჯვა და ქალაქი გადაარჩა. მისი ყველა სახლი და ტაძარი რომის ხალხის საერთო საკუთრება გახდა.

არ შეიძლება არ მოვიწონოთ რომის საქციელი კაპუის მიმართ. მთავარი დამნაშავეები მაშინვე სასტიკად დასაჯეს, მოქალაქეებს სამშობლო წაართვეს და უკან დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადაუწყვიტეს, მაგრამ უდანაშაულოთა სახლ-კარისათვის ხელი არ უხლიათ. ამან რომაელებს არა მარტო მოგება მისცა, არამედ მოკავშირეთა თვალშიც აამაღლა ისინი, მთელ კამპანიას, კამპანიის ყველა მეზობელ ხალხს დაამწყუხრებდა კაპუის განადგურება. რომის ყველა მტერი იძულებული იყო საკუთარ თავს გამოტყდომოდა, რომის მოღალატე მოკავშირეები დაუსჯელად ვერ გადაარჩებოდნენ, ხოლო კართაგენის მეგობრებს ტყუილად ექნებოდათ ჰანიბალის დაცვის იმედი.

ახალგაზრდა სციპიონი ელპანეთში სარდლად ინიშნება

კაპუის აღების შემდეგ რომაელებმა კვლავ მიაპყრეს მზერა ესპანეთს და გაიხსენეს სენატის გადაწყვეტილება, ჯერ კიდევ წლის დამდეგს ახალი მთავარსარდლის არჩევა რომ დაავალეს ხალხს. არჩევანი უზადო უნდა ყოფილიყო, რადგან ერთ სარდალს ორი უნდა შეეცვალა, თითოეული მათგანი ხომ ბრწყინვალე სარდალი იყო, მაგრამ მტრებმა მაინც შეძლეს ოცდაათი დღის განმავლობაში ორივეს მოკლა.

ჯერ იცდიდნენ, როდის გამოჩნდებოდა ისეთი ვინმე, რომელიც ასეთი ხელისუფლებისა და პასუხისმგებლობისათვის ღირსეული და შესაფერის კაცად მიიჩნეოდა საკუთარ თავს და და წინდაწინვე დაასახელებდა თავის კანდიდატურას. მაგრამ

არავენ გამოჩენილა და დაღუპული ძმების, სციპიონების გლოვა რომში უფრო მეტად გაძლიერდა.

სახალხო კრების მოწვევის დროც დადგა და დაბნეულ-დაღვრემილი მოქალაქეები მარსის ველზე შეიკრიბნენ. უბრალო ხალხი წარჩინებულებს მისჩერებოდა. ისინი კი ერთმანეთს შესცქეროდნენ და ყველანი დუმდნენ. დაიწყო დრტვინვა, როგორც ჩანს, საქმე ცუდადაა, რახან უმაღლესი მთავარსარდლობა ესპანეთში არავენ იკისრაო. მაშინ წინ წამოდგა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი — შვილი ესპანეთში მოკლული პუბლიუს სციპიონისა. იმხანად იგი ოცდაოთხი წლისა იყო.

გაისმა მოწონების შეძახილები, რამაც თავიდანვე უწინასწარმეტყველა ახალგაზრდა სციპიონს, რომ მისი სარდლობა ბედნიერი და იღბლიანი იქნებოდა.

დაიწყეს კენჭისყრა. სციპიონი ერთსულოვნად აირჩიეს, მაგრამ როცა კენჭისყრა დამთავრდა და ალტაცება დაცხრა, ყველა ისევ ჩაჩუმდა. თითოეული მათგანი თავის თავს ეკითხებოდა: „რა გავაკეთეთ? იგი ხომ ჯერ პატარა ბიჭია ესპანეთი სციპიონების გვარის დამღუპველია“...

სციპიონმა მოქალაქეებს შეშფოთება შეატყო სახეზე და მშვენივრად მიხვდა მიზეზს. მაშინ მან სიტყვა წარმოთქვა, რომელმაც არა მარტო განუახლათ დამცხრალი ალტაცება, არამედ ისეთი იმედი ჩაუსახათ გულში, რომლის ჩანერგვა მხოლოდ ერთი ადამიანის გონებას არ ძალუძს.

საქმე ისაა, რომ სციპიონი ნიჭიერიც იყო და ჭაბუკობიდანვე შეეძლო თავისი ნიჭიერების გამომჟღავნება, ამავე დროს ხალხის თვალში მისთვის ფასის დადებაც. ყველა თავის საქციელს იგი ან სიზმრით ხსნიდა, ანდა ღმერთების უშუალო ჩაგონებით. იგი ან მართლა მორწმუნე იყო, ანდა ხალხთან ეშმაკობდა, რომ მისი ყოველი განკარგულება შესრულებულიყო სიტყვის შეუბრუნებლად და უყოყმანოდ, როგორც მისანის ბრძანება. ყოველდღიურად, დილაადრიან იგი კაპიტოლიუმზე აღიოდა და იუპიტერის ტაძარში მარტოდმარტო კარგა ხანს რჩებოდა. ეს ჩვეულება, რომელიც მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა, ბევრს საბაბს აძლევდა, ერწმუნათ და დაემტკიცებინათ, რომ სციპიონი ჩვეულებრივი ადამიანი არ

არის, იგი ნახევრად ღმერთია. დადიოდა ყოვლად უაზრო ხმე-
ბი, თითქოს მისი მამა ვეება გველი ყოფილიყო.

სციპიონი ასეთ ხმებს არც იზიარებდა და არც უარყოფდა.
მაგრამ მისი ღუმელი, უფრო წინასწარგანზრახული, ხმების
გავრცელებას უწყობდა ხელს. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად
ახალგაზრდობისა, მოქალაქეებმა ასეთი ნდობა გამოუცხადეს
მას და კონსულის რანგით მხედართმთავრად დანიშნეს¹.

სციპიონმა მიიღო ათი ათასი ქვეითი ჯარისკაცი და ათასი
ცხენოსანი. ამ ჯარით თავის თანაშემწესთან — მარკუს იუნი-
უს სილანთან ერთად, რომელიც მას სენატმა მისცა, სციპი-
ონი გამოვიდა ტიბრის შესართავთან ოცდაათი ხომალდით და
იტალიასა და გალიის ნაპირებს გაუყვა.

რომაელებმა მშვიდობიანად ჩაუარეს მასილიას, გადასხდნენ
ემპორიში და ხმელეთით განაგრძეს გზა ტარაკონისაკენ. იქ შე-
იკრიბნენ ყველა მოკავშირე ესპანელი ხალხის ელჩები და სცი-
პიონმა მათთან თათბირი გამართა. ელჩებისათვის გაცემულ
პასუხებში, მათთვის ნათქვამ სიტყვაში გამოსკვივოდა ღირ-
სება, საკუთარ ძალებში დარწმუნება, სიდიადე და, ამასთან
ერთად, გულახდილობა.

შემდეგ მან მოკავშირეთა ქალაქები და საზამთრო ბინები
შემოიარა². იგი აქებდა მეომრებს იმისათვის, რომ ორი თავ-
ზარდამცემი დამარცხების შემდეგ შეინარჩუნეს მამაცობა და
მტრებს საშუალება არ მისცეს გამარჯვების ნაყოფით ბოლომ-
დე დამტკბარიყვნენ — იბერს გაღმა არ გაუშვეს ისინი. ლუ-
ციუს მარციუსი ყველგან თან დაჰყავდა, გვერდიდან არ იშო-
რებდა, რითაც ყველასათვის ცხადი გახადა, რომ არ ეშინოდა
სხვისი დიდებისა, არც შურდა მისი.

მტრები მოყვარებებზე ნაკლებ როდი ფიქრობდნენ სციპი-
ონზე და ლაპარაკობდნენ მასზე. რალაც ავ წინათგრძნობას, მო-

¹ რომის საზღვრებს გარეთ მყოფი ასეთი მთავარსარდალი (პროკონ-
სული) კონსულის ყველა უფლებით სარგებლობდა. ჩვეულებრივ პრო-
კონსულებად სენატი ნიშნავდა ყოფილ კონსულებს, როცა სამსახურებრივი
ვადა დაუმთავრდებოდათ. პროკონსულები იყვნენ კაპუის დამპყრობნი
აპიუს კლავდიუსი და კვინტუს ფულვიუსი. მაგრამ სციპიონი ახალგაზრ-
დობის გამო ჯერ არც კონსული იყო და, ასე განსაჯეთ, არც პრეტორი.

² შემოდგომა იწურებოდა.

მავლის შიშს განიცდიდნენ ისინი და რაც უფრო უსაფუძვლოდ ეჩვენებოდათ იგი, მით უფრო ძლიერდებოდა ეს გრძობა. კართაგენელებმაც საზამთრო ბინებს მიაშურეს: ჰასდრუბალი, ჰისგონის ვაჟი, ოკეანისაკენ წავიდა, ქალაქ ჰადესში, მაგონი— კასტულონის ტყეში, ჰასდრუბალ ბარკა კი იბერიის მახლობლად საგუნტთან იზამთრებდა.

წლის ბოლოს სიცილიიდან დაბრუნდა მარკუს მარცელუსი და სენატის ნებართვით რომში ზემოთ შევიდა. თან მოჰქონდათ სირაკუზის მდიდარი ნადავლი: ბალისტები, კატაპულტები და სხვა სამხედრო მანქანები, მეფის განძეულობა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი, მდიდრულად მორთული სარეცელი და მაგიდები, ძვირფასი სამოსი და უამრავი განსაცვიფრებელი ქანდაკება. მოჰქონდათ დამორჩილებული ქალაქის ხატება, მოჰყავდათ კართაგენელთათვის წართმეული რვა სპილო. მსველელობაში მონაწილეობდნენ სირაკუზელი სოსიდი, მარცელუსის მთავარი თანაშემწე, მრჩეველი ღამის შტურმის დროს და ესპანელი მერიკი. ორივეს ოქროს გვირგვინი ედგათავზე. მათ ჯილდოდ რომის მოქალაქეობის უფლება უბოძეს და ხუთასი იუგერი¹ მიწა მისცეს სიცილიაში, ხოლო სოსიდს ამასთან ერთად — ერთ-ერთი სახლი სირაკუზში იმ სახლთა რიცხვიდან, რომლებიც ახლა რომაელთა საკუთრებას შეადგენდა.

ტიტუს მანლიუს ტორკვატი უარს ამბობს კონსულობაზე

კონსული გნეუს ფულვიუს ცენტუმალი რომში გაიწვიეს კონსულთა. არჩევნების სახელმძღვანელოდ. პირველი ხმები ერგოთ ტიტუს მანლიუს ტორკვატს და ტიტუს ოტაცილიუსს. მანლიუსს მაშინვე გარს შემოერთყნენ მეგობრები და ულოცავდნენ. მეგობრებით გარშემორტყმული მანლიუსი მიუახ-

¹ იუგერი — ფართობის რომაული საზომი, დაახლოებით 25 კვადრატული მეტრი. 500 იუგერი — მიწის მაქსიმუმში იყო, რომელიც კანონიერად ერგებოდა რომის მოქალაქეს.

ლოვდა კონსულის ტრიბუნას, მოითხოვა არჩევნები შეეჩერებინათ და სიტყვის თქმის უფლება მიეცათ. ყველანი გაჩუმდნენ, დაძაბულნი უცდიდნენ, რას იტყოდა იგი. მანლიუსმა თქვა:

— მე თვალები მტკივა. თუკი მესაქვ ან მხედართმთავარი, სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს, თვითონ ცუდად ხედავს, მაგრამ სხვისი სიცოცხლისა და ქონების დაცვას კისრულობს, ეს დიდი უტიფრობაა! ფულვიუს, ყველას შეახსენე, რომ ომი არ დამთავრებულა. რამდენიმე თვის წინ რომს თავის გალავანთან ესმოდა მტრების ყიჟინა და მათი ცხენების ჭიხვინი.

მაგრამ ვინც უკვე კენჭი ყარა, ყველანი ახალგაზრდები იყვნენ და ერთხმად გაიძახოდნენ, ჩვენს არჩევანს არ შევცვლითო. მანლიუსი თავისაზე იდგა. მანლიუსის პირდაპირობითა და ვაჟკაცობით აღტაცებული ხალხი ახმაურდა და მაშინ საგონებელში ჩავარდნილმა ახალგაზრდებმა ფულვიუსს სთხოვეს, უფროსებთან მოთათბირების უფლება მიეცა. მოხუცებმა ურჩიეს სამ კანდიდატზე ეფიქრათ — კვინტუს ფაბიუს მაქსიმეზე, მარკუს მარცელუსზე და ერთ ნაკლებად ცნობილ კაცზე მარკუს ვალერიუსზე, რომელიც წარმატებით იბრძოდა ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ ზღვასა და ხმელეთზე. ახალგაზრდები ისევ მივიდნენ ურნასთან და ხმა მისცეს მარკუს მარცელუსს და მარკუს ვალერიუსს. დანარჩენმა მოქალაქეებმა მხარი დაუჭირეს მათ არჩევანს.

დე, ვისაც სურს, დასცინოს ძველი ეპოქის თაყვანისმცემლებს, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ბრძენთა სახელმწიფოშიც, რომლის გამოგონება და აღწერა უყვართ ხოლმე სწავლულებს, შეუძლებელია, ცხოვრობდნენ მმართველები, მათზე უკეთ რომ ესმოდეთ საკუთარი ვალი და ნაკლებ პატივმოყვარენი იყვნენ, შეუძლებელია, ცხოვრობდნენ ადამიანები მათზე უფრო მაღალი სულისა. მერე რა პატივისმცემლები იყვნენ უფროსებისა. ჩვენს საუკუნეში, როცა შვილები ღვიძლ მამებსაც კი არ სცემენ პატივს, ეს ამბავი უჩვეულოდ და დაუჯერებლად გვეჩვენება.

ომის მეცხრე წელი

რომის ღაარსებრიდან 544 (210 წელი ჩვენს ერამდე)

მხუთმეტ მარტს ახალმა კონსულმა მარკუს მარცელუსმა თავისი თანამდებობა დაიკავა და ჩვეულების თანახმად სენატი მოიწვია, მაგრამ გასარჩევად არაფერი წარუდგინა. მან თქვა, მეორე კონსულის — მარკუს ვალერიუსის მოსვლამდე არაფერს გავაკეთებო. ვალერიუსი საბერძნეთში მეფე ფილიპეს წინააღმდეგ იბრძოდა და მალე უნდა ჩამოსულიყო.

— მე ვიცი, რომ სიცილიიდან ბევრი ელჩი ჩამოვიდა და ქალაქგარეთ ჩემი მტრების სახლებში იმალებიან, — თქვა მარცელუსმა, — მათი ცილისმწამებლური ბრალდებისა არ მესინია და მზადა ვარ ეს ხალხი სენატში თავად მე მოვიყვანო, მაგრამ ისინი თავს იკატუნებენ, აქაოდა, ვერ გადაგვიწყვეტია, კონსულის წინააღმდეგ გამოსვლა, ვიდრე ის რომში მარტოა და არ შეუძლია მეორესთან მფარველობა ეძებოსო. როგორც კი მარკუს ვალერიუსი გამოჩნდება, მოვითხოვ, უპირველეს ყოვლისა, სიცილიელებს მოუსმინონ.

სენატორებმა მოიწონეს მარცელუსის თავდაპერა, კეთილ-სინდისიერება და დაიშალნენ.

ამგვარად, ყველა საქმე შეჩერდა და, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, უბრალო ხალხში დაიწყო უკმაყოფილება და ბუზღუნა.

ისინი ჩიოდნენ, რომ ომი გაჭიანურდა. რომის გარშემო მინდვრები, სადაც პანიბალმა გაიარა, აოხრებული და ხელმიშვეებულია, ჯარში ხშირმა გაწვევებმა იტალია გამოფიტა. ახლა კონსულები, — ამბობდნენ რომაელები, — გადამეტებულად მებრძოლები და დაუდგრომელები არიან, ისინი მშვიდობიანობის დროსაც კი შეეცდებოდნენ რაიმე ომი წამოეწყოთ, ახლა კი, ალბათ, სახელმწიფოს ამოსუნთქვის საშუალებასაც არ მისცემნო.

კაკუელები რომს წვავენ

ამ მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღო ხანძარმა, რომელიც ცხრამეტ მარტს ღამით ფორუმის გარშემო რამდენიმე ადგილას ერთდროულად ავარდა. დაიწვა სავაჭროები, მერე კერძო სახლები, ცეცხლი მოედო თევზის ბაზარსა და მეფის ყოფილ პალატებს — ძლივს გადაარჩა ვესტას ტაძარი — ძირითადად ოცდაათი მონის ცდისა და მონდომების წყალობით. მოგვიანებით ისინი გამოისყიდეს სახელმწიფოს ხარჯზე და თავისუფლება მიანიჭეს.

ხანძარი მთელი დღე და ღამე მძვინვარებდა. ეჭვი არ იყო, რომ ხანძარი შეშთხვეით არ გაჩენილა. ამაში ბოროტმოქმედის ხელი ერია. სენატთან შეთანხმებით კონსულმა მარცელუსმა გამოაცხადა, ვინც დამნაშავეებს გასცემს, დაჯილდოვდებიანო: თავისუფლებს ფულადი ჯილდო აღუთქვა, მონებს — თავისუფლება. კაკუელ კალვიების ოჯახის მონამ მაშინვე გასცა თავისი პატრონები და კიდევ ხუთი კამპანიელი, რომელთა მამებს კვინტუს ფულვიუსმა თავები მოჰკვეთა. დამსმენი ამბობდა, რომ ისინი კიდევ აპირებდნენ ხანძრის გაჩენასო. ეს ხალხი თავიანთ მონებიანად მაშინვე დაიჭირეს. თავდაპირველად, ისინი ყველაფერს უარყოფდნენ, მონამ შურისძიების მიზნით დაგ-

ვასპინაო: წინა დღეს გავკოხეთ და გავვექცაო. მაგრამ, როცა დამსმენი მათ პირზე დაადგა და მონებს მათ თვალწინ დაუწყვეს წამება, ისინი გამოტყდნენ. პატრონები და დანაშაულის მონაწილე მათი მონები დასაჯეს. დამსმენს კი თავისუფლება მიანიჭეს და ოცი ათასი ასით დააჩილდოვეს.

ამასობაში კონსული ვალერიუსი იტალიაში დაბრუნდა.

კაპუაზე გავლისას ვალერიუსს ხალხი შემოეხვია და თვალცრემლიანებმა ხუდარა დაუწყეს, ჩვენი ელჩები რომში გაუშვი, თორემ კვინტუს ფულვიუსი კამპანიელ ხალხის ხსოვნასაც კი მოსპობსო. კვინტუს ფულვიუს ფლაკუსმა კონსულს უთხრა, პირადად მე კამპანიელთა წინააღმდეგ ბოროტება არ მამოქმედებს, მაგრამ როგორც რომის ნაცვალი, სულს ვხდი მათ და მანამ ამოვხდი, სანამ რომისადმი გრძნობა არ შეეცვლებათ, იმიტომ, რომ რომაელებს კამპანიელებზე მოსისხლე, ბოროტი და გააფთრებული მტერი დედამიწის ზურგზე არა ჰყავთო.

— ამიტომ, — განაგრძო ფულვიუსმა, — ისინი მუდმივად დატყვევებული მეყოლება. საკმარისია თავი აიშვან, რომ ნადირებივით მინდორში გავარდნენ და ცოცხალი არავინ გაუშვან. შენ იცი თუ არა, კაპუიდან გადასახლებულებსა და გაქცეულებს რომის ფერფლადქცევა რომ უნდოდათ? მათი ბოროტების კვალს მალე იხილავთ ფორუმზე. მე მიმაჩნია, რომ კამპანიელები არავითარი საბაბით დედაქალაქში არ უნდა შევეშვათ.

კონსულმა მაინც დააჯერა ფულვიუსი, ელჩებისათვის სიტყვა ჩამოერთმია, რომ სენატის პასუხის მოსმენიდან მეხუთე დღეს უკან დაბრუნებოდნენ და თან წამოიყვანა. რომის შემოგარენთან მას სიცილიელებიც შემოხვდნენ და ახლა ვალერიუსი ორი დაღუპული ქალაქის მწუხარების ცოცხალ განსახიერებად იქცა და ცოცხალი საყვედურად იმათ მიმართ, ვინც ისინი დაღუპა.

ქლეთლთა დავა მძლეველთა

სენატმა არ ისურვა ელჩების მოსმენა, სანამ კონსულები არ მოახსენებდნენ სახელმწიფოში შექმნილ მდგომარეობას და ომის ამბებს. ამ მოხსენების შემდეგ, სენატმა დაადგინა, რამ-

დენადმე შეემცირებინა ჯარის რაოდენობა, დაეთხოვა ძველი შემოშრები, რომლებსაც სამსახურის ვადა გაუვიდათ¹, კონსულებს წინადადება მიეცათ, პროვინციები ისე გაენაწილებინათ ერთმანეთში, რომ ერთი იტალიაში დარჩენილიყო და ბრძოლა განეგრძო ჰანიბალთან, ხოლო მეორეს სიცილია ემართა და ფლოტისათვის ეხელმძღვანელა. კენჭი პყარეს. სიცილია და ფლოტი მარცელუსს დარჩა, იტალია — ვალერიუსს.

როცა კონსულები კენჭს ყრიდნენ, სიცილიელი ელჩები მათთან ახლოს იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ შედეგს, შედეგი რომ გამოცხადდა, მათ ისეთი მოთქმა-გოდება დაიწყეს, თითქოს სირაკუზი მტერმა ხელმეორედ აიღო. მათ სამგლოვიარო ტანსაცმელი ჩაიცვეს და სენატორებს შინ ეახლნენ.

— ჩვენ არა მარტო მივატოვეთ ჩვენს ქალაქებს, — ამბობდნენ ისინი, — არამედ, საერთოდ, გავიქცევით სიცილიიდან, თუკი იქ მარცელუსი დაბრუნდება! იგი უწინაც დაუნდობელი და შეუბრალებელი იყო ჩვენს მიმართ, თუმცა ბრალი არაფერში მიგვიძღვოდა, რას გვიზამს ახლა, როცა მას ვუჩივლეთ? ჯობდა ეტნის ალს დაეფერფლა ჩვენი კუნძული, ანდა ზღვას შთაენთქა.

სიცილიელების ჩივილმა მალე აალაპარაკა ხალხი, იქნებ სიცილიელები ებრალებოდათ, იქნებ მარცელუსის დიდებისადმი შური ალაპარაკებდათ. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, — ორივე მიზეზის გამო. მსგავსი ხმები თვით სენატშიც გაისმოდა: კონსულებისაგან მოითხოვდნენ, თავად ეთხოვათ სენატისათვის პროვინციების გაცვლა. მარცელუსმა უპასუხა, სიცილიელებს უკვე რომ გამოეთქვათ თავიანთი სურვილი, გაცვლას არ დაეთანხმდებოდნენ, მაგრამ რომ არავის ჰქონდეს სათქმელი, სიცილიელებს მომავალი ნაცვალის შიშით პირი წყლითა აქვთ სავსეო, მზადა ვარ ამხანავს პროვინციები გავუცვალო, თუკი თავის მხრივ ისიც თანახმააო.

ასე გაცვალეს პროვინციები. იგი თითქოს ბედისაგან წინასწარ იყო გადაწყვეტილი, რომელმაც მარცელუსი ჰანიბალთან შესახვედრად გაიყოლია. მარცელუსი იყო პირველი მხედართმთავარი, რომელმაც რომაელების გამუდმებული და ყველაზე სასტიკი დამარცხებების შემდეგ ჰანიბალთან ბრძოლა მოიგო

¹ ე. ი. ოტი წელი.

და მარცელუსს ელოდა ყოფილიყო უკანასკნელი რომაელი ბელადი, რომელმაც თავისი სიკვდილით დიდება მიუმატა პუნსს.

ბოლოს სიცილიელები სენატში შეუშვეს. მათმა მეთაურმა თავდაპირველად გაიხსენა ჰიერონი, მისი ერთგულება და თქვა:

— სირაკუზელებს სძულდათ ჰიერონიმი, ხოლო მის შემდეგ ეპიკიდე და ჰიპოკრატე, უპირველეს ყოვლისა, რომის ლატისათვის. სწორედ ამიტომ გახდა შეთქმულების მსხვერპლი ჰიერონიმი, ამიტომ ამზადებდა ჰიპოკრატესა და ეპიკიდეს წინააღმდეგ შეთქმულებას წარჩინებული გვარის სამოცდაათი ქაბუჯი, მაგრამ ისინი მარცელუსმა დალუპა. მან დათქმულ დროს სირაკუზში ჯარი არ მოიყვანა და ტირანებმა ყველანი სიკვდილით დასაჯეს. ვინ გამოიწვია თვით ეპიკიდესა და ჰიპოკრატეს ტირანია, თუ არა მარცელუსმა, როცა სასტიკად გაძარცვა ლეონტინუმი? რამდენჯერ შესთავაზეს სირაკუზის საუკეთესო მოქალაქეებმა მარცელუსს, ჩაებარებინა ქალაქი, მაგრამ მას ქალაქის აღება უსათუოდ ძალით უნდოდა და ბოლოს და ბოლოს თოქმაჩ სოსიდისა და ესპანელ დაჭირავებულ მერიკის დახმარებას მიმართა, რა თქმა უნდა, ისევ იმისათვის, რომ გაენადგურებინა და გაეძარცვა რომის ხალხის უძველესი მოკავშირე. სირაკუზში აღარაფერი დარჩა გარდა ქალაქის გალავნისა და ცარიელი სახლებისა, თვით ტაძრებიც კი კარებდალევწილი და გაქურდულია. წაგვართვეს მიწები, ასე რომ ჩვენი შრომითაც აღარ ძალგვიძს საკუთარი თავისა და ჩვენი ოჯახების გამოკვება. გემუდარებით, ბატონო სენატორებო, დაუბრუნეთ მეპატრონეებს მათი ქონების თუნდაც მცირედი ნაწილი, თუნდაც იგი, რომლის დაძებნა და გამოცნობა შესაძლებელია.

მარკუს ვალერიუსმა ელჩებს უბრძანა, განშორებოდნენ, რომ სენატორებს საჩივარი განმარტოებით განეხილათ, მაგრამ მარცელუსი შეედავა:

— პირიქით, დე, მოისმინონ. — მე პასუხს ვიტყვი მათი თანდასწრებით, რახან ასეთი გახდა ჩვენთან, ბატონო სენატორებო, ომის პირობები, — მძლეველებმა თავი დაიცვან ძლეულთა ბრალდებისაგან.

ელჩები ისევ მოიყვანეს და მარცელუსმა განაგრძო:

— არც რომის კონსულს და არც მისი ხელისუფლების სი-
ლიადეს არ შეეფერება პასუხი გასცეს ბერძნების საბრალდებო
სიტყვებს, არც საკუთარი ნამოქმედარის გამართლებას მოვ-
ყვები. გავარჩიოთ სულ სხვა საკითხი: იმსახურებენ სირაკუ-
ზელები თავიანთ სასჯელს თუ არ იმსახურებენ. მათ უღალა-
ტეს რომის ხალხს, დაუხშეს კარიბჭე, საშველად უხმეს კართა-
გენელებს. როგორ ბედავენ ამტკიცონ, რომ უღანაშაულოდ
ისჯებიან? თქვენ ამბობთ, რომ მე უარგყავი საუკეთესო მოქა-
ლაქეების დახმარება და ვამჯობინე სოსიდსა და მერიკს მიენ-
დობოდი. მაგრამ თქვენც ხომ არ ხართ სირაკუზში ნაბოლარა
მოქალაქეები, აბა თქვენ შორის თუა ერთი მაინც ისეთი,
რომელიც დამპირდა კარიბჭის გაღებას და ქალაქში ჩემი მეომ-
რების შეშვებას? იმათი დაბალი წოდება, ვინც მე დამეხმარა,
იმის დასტურია, რომ ზურგი არავისთვის შემიქცევია. მე სირა-
კუზი მხოლოდ მას შემდეგ ავიღე ძალით, როცა ყოველგვარი
ცდა ამოწურული იყო, რაც შეეხება ხელში ჩაგდებას ნა-
დავლს, და იმას, როგორ გავანაწილე იგი — ერთს წაეართვი,
მეორეს მივეცი — მე ომის კანონის, მძლეველის კანონის
თანხმად მოვიქეცი და თითოეული დამსახურების მიხედვით
დავაჯილდოვე. სენატმა უნდა მოიწონოს ჩემი განკარგულება,
რითაც დაიცავს არა იმდენად ჩემს ინტერესებს, რამდენადაც
სახელმწიფოს ინტერესებს. თუკი თქვენ მას არ მოიწონებთ,
ბატონო სენატორებო, ნუღა ელოდებით, რომ მომავალში სხვა
მხედართმთავრებმა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ისე-
თივე გულმოდგინებით, როგორც ამას მე ვასრულებდი. ახლა
მე სიცილიელებთან ერთად დაგტოვებთ და თქვენ მოითათ-
ბირეთ.

მარცელუსი კაპიტოლიუმზე ავიდა, ხოლო სენატორებმა
სათითაოდ გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება. უმეტესობა იმ
აზრისა იყო, რომ მარცელუსი ძალზე მკაცრად მოექცა სირა-
კუზელებს. მაგრამ მისი გაკიცხვა ხმამაღლა ვერავინ გაბედა და
სენატმა დაადგინა: „მარკუს მარცელუსის მოქმედება ომის
მსვლელობის და გამარჯვების შემდეგ დამტკიცდეს. შემდეგ-
ში სირაკუზელთა კეთილდღეობა რომის სენატის განსაკუთრე-
ბული საზრუნავი გახდეს. მარკუს ვალერიუსს დაევალოს გა-

წიოს ყველა შეღავათი, რასაც შესაძლებლად მიიჩნევს, რათა ამით სახელმწიფოს ზიანი არ მიაღდეს“.

ორმა სენატორმა მარცელუსი მოიყვანა, მესამემ — სიცილიელთა ელჩები. როცა დადგენილება მოისმინეს, ელჩები მარცელუსს ფეხებში ჩაუცვივდნენ და შეეხვეწნენ, დაევიწყებინა ყველა კადნიერი და საწყენი სიტყვა, რაც მათ უთხრეს და სირაკუზისათვის განსაკუთრებული მფარველობა გაეწია.

კონსულმა თანხმობა განაცხადა. მეგობრულად ესაუბრა ელჩებს და გაისტუმრა.

კაპუის ელჩებს უფრო მკაცრად მოექცნენ. ფულვიუსის არც ერთი გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ.

სენატორები მბაალითს იძლევიან

სენატორები სიცილიისა და კაპუის საქმეებს რომ მორჩნენ, კონსულებმა ახალი გაწვევა გამოაცხადეს. აუცილებელი იყო მენიჩბეების რიცხვის გაზრდა გემებზე, მაგრამ ამისათვის არც ხალხი იყო და არც ფული ხაზინაში. კონსულები იძულებულნი გახდნენ, ბრძანება გაეცათ, როგორც ეს გასულ წლებში ხდებოდა, მოქალაქეებს — თითოეულს თავისი ქონების შესაბამისად — თვითონვე შოეცათ მენიჩბები! და მათთვის ოცდაათი დღის სამყოფი სურსათი და ხელფასი გამოეტანებინათ. პასუხად ისეთი დრტვინვა ატყდა, რომ კინალამ ამბოხებამ იფეთქა. კონსულები ფიქრობენ, ისევე გაალატაკონ რომის უბრალო ხალხი, როგორც კამპანიელები და სიცილიელები გაალატაკეს, — ყვიროდნენ რომაელები. — უკვე გავმათხოვრდით, მოტიტვლებული მიწის გარდა არაფერი გვაბადია, სახლები ჰანიბალმა დაგვიწვა, მონები მინდვრებიდან სახელმწიფომ წაიყვანა — ზოგი გროშებად გამოისყიდა და ჯარში გაიწვია, ზოგი უფასოდ წაასხა მენიჩბებად. უკანასკნელი ფული გადასახადში წაიღეს. აღარაფერი გაგვაჩნია და, მაშასადამე, რა ძალაც არ უნდა იხმაროთ, ვერაფერს წაგვართმევთ!

მენიჩბებად მანება იყვნენ, მაშასადამე, ისინი ან უნდა ეყიდათ საგანგებოდ, ანდა მეპატრონეებს საკუთარი მეურნეობიდან მიეცათ.

ასეთ სიტყვებს, ვიმეორებ, ჩუმად კი არ ამბობდნენ, არამედ ზედ ფორუმის შუაგულში მთელი ხმით გაჰყვიროდნენ, კონსულებს პირში ახლიდნენ. კონსულებმა ვერც სიმკაცრით, ვერც დაყვავებით ვერ შეძლეს მათი დაშოშმინება. ბოლოს კონსულებმა ხალხს მოსაფიქრებლად სამი დღე მისცეს, რომ ამ დროისათვის თვითონაც რაიმე გამოსავალი მოეძებნათ. მოიწვიეს სენატი. კონსულებმა სენატს მოახსენეს, რომ ხალხი, მართლაც, ვერსაიდან მისცემთ მენიჩბებს და ხელფასს ვერაფრით გადაუხდის, მაგრამ ასევე არც სახელმწიფოს შეუძლია ეს ტვირთი თავად იკისროს, როგორ აღვჭურვოთ გემები, თუკი ხაზინაში, საერთოდ, არაფერი გვაქვს? ფლოტის გარეშე კი როგორ შევიწარმოებთ სიცილია, როგორ ვებრძოლოთ ფილიპე მაკედონელს, როგორ დავიცვათ თვით იტალიის სანაპიროები?

სენატი დუმდა, ყველას თითქოს გონება დაეხშო. მაშინ კონსულმა მარკუს ვალერიუსმა თქვა:

— კონსულები პატივით სენატზე მალლა დგანან, სენატი — ხალხზე მალლა, ამიტომ ყოველ ძნელ საქმეშიც ჩვენა ვართ ვალდებულნი, პირველები ვიყოთ. იმ ტვირთს, რომელიც გსურს ხელქვეითებს დაადგა, პირველმა შენ შეუშვირე ზურგი და მაშინ ყველანი მოგბაძავენ. ხარკები მაშინ არ იქნება აუტანელი, როცა ხალხი დაინახავს, რომ თითოეული წარჩინებული მოქალაქე მასში იმდენ წილს დებს, რამდენიც, გულახდილად რომ ვთქვათ, მის ძალებს აღემატება. ჩვენ ვთხოულობთ, რომ მენიჩბები კერძო პირებმა გამოიყვანონ, ჩინებულია, მაგრამ თავდაპირველად ეს ბრძანება საკუთარ თავს მივცეთ! ზვალ ყველამ, რამდენიც კი ვართ სენატში, ჩვენი ოქროვერცხლი და ბრინჯაო სახელმწიფო ხაზინაში მივიტანოთ. დავიტოვოთ მხოლოდ თითო ბეჭედი ჩვენთვის, ჩვენი ცოლებისა და შვილებისათვის და კიდევ ბულა¹ ვაყებისათვის. ვერცხლეულობიდან დავიტოვოთ მხოლოდ თითო სამარხილე და თითო ფიალა ჩვენი ოჯახის ღმერთთა პატივსაცემად საღმრთო წეს-

¹ ოქროს ბეჭდები სენტორების წოდებათა ღირსების ერთი ნიშანთაგანი იყო. ბულა — ოქროს ბურთულა — ავგაროზი, რომელსაც ატარებდნენ ბავშვები სრულწლოვანებამდე.

ჩვეულებათა შესასრულებლად და ხუთ-ხუთი ათასი ასი ბრინჯაოს ფული. დანარჩენი ხაზინაში შევიტანოთ. ჩვენ არავითარ დადგენილებას არ გამოვიტანთ, ამ ნებაყოფლობითმა შესაწირავმა კეთილშობილური მეტოქეობის გრძნობა უნდა გაუღვიძოს ჯერ მხედრების წოდებას, მერე კი ყველას. თუკი საზოგადოებრივ ინტერესებს არაფერი ემუქრება, შეგვიძლია საკუთარი ქონება არ გვაღელვებდეს. თუ საერთო საქმეს ვულაატებთ, ამათა საკუთარზე ზრუნვა!

ერთსულოვანი მოწონებითა და მადლობის გრძნობით შეხედნენ კონსულის სიტყვებს. მეორე დღეს სენატორებმა ხაზინადარებს ჩააბარეს ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაოს ფული; თითოეულ მათგანს სურდა სიაში პირველი ანდა ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილიყო. ხაზინადარები მიღებას ვერ ასწრებდნენ, ხოლო მოსამსახურეები — ჩაწერას. სენატის ერთსულოვან მაგალითს მიბაძეს მხედრებმა, როგორც ამას კონსული წინასწარმეტყველებდა, მხედრებს კი — ხალხმა.

ჰანიბალის მხეცობამ რომს მოკავშირეები დაუბრუნა

კაპუის დაცემამ ჰანიბალის ბევრი მოკავშირე მის წინააღმდეგ განაწყყო, რაც პუნს გვარიანად აშინებდა. ყველა მოკავშირე ქალაქში გარნიზონის ჩაყენება მას არ შეეძლო, ჯარი არ ეყოფოდა. ამიტომ ბუნებით ხარბმა და სასტიკმა სარდალმა გადაწყვიტა, გაეძარცვა ყოველივე, რისი შენარჩუნებაც არ შეეძლო, ისე რომ მტრისათვის ნანგრევების გარდა არაფერი დაეტოვებინა. სამარცხვინო გადაწყვეტილებათა მართო სამარცხვინო კი არა, მავნებელიც, რადგან უდანაშაულო ხალხის ტანჯვა კართაგენელების დაუძინებელ მტრად აქცევდა არა მარტომ ხალხს, არამედ სხვებისათვისაც მაგალითი და გაფრთხილება იქნებოდა.

ასეთი გაკვეთილი გამოიტანეს ქალაქ სალაპიას¹ მცხოვრებ-

¹ ქალაქი კანეს მახლობლად, აღრიტიკის ზღვის ნაპირთან.

ლებმა. სალაპია ჰანიბალის მხარეზე გადავიდა, მაგრამ იქ კვლავინდებურად არსებობდა გავლენიანი რომის პარტია, რომელსაც სათავეში ედგა ბლაციუსი. იგი საიდუმლოდ დაუკავშირდა მარცელუსს და ქალაქის ჩაბარებას დაჰპირდა. მაგრამ ამ დაპირების შესრულება შეუძლებელი იყო მეორე პარტიის — კართაგენის პარტიის მეთაურის დაზიუსის მხარდაჭერისა და მონაწილეობის გარეშე. ბლაციუსი დიდხანს ყოყმანობდა და როცა სხვა გამოსავალი ვერ ნახა, გაბედა, დაზიუსს პირისპირ მოლაპარაკებოდა. დაზიუსმა მაშინვე ჰანიბალთან დაასმინა და პუნმა ორივე თავისთან გამოიძახა სასამართლოში. კართაგენის მხედართუფროსი ამალღებულ ადგილზე იჯდა, მის წინ კი გამოძახებულები იდგნენ. ბლაციუსმა ისარგებლა იმით, რომ ჰანიბალმა რალაც გადაუდებელ საქმეზე გადაიტანა ყურადღება, დაზიუსისაკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა — ჰანიბალს ვულატოთო. გოცებულმა დაზიუსმა შეჰყვირა:

— ეს რასა ჰგავს! თვით ჰანიბალის წინაშეც კი შენსას არ იშლი?

ამჯერად ჰანიბალმა და მისმა შინაკაცებმა დაზიუსს არ დაუჯერეს. იმდენად დიდი იყო ბლაციუსის თავხედობა, რომ წარმოუდგენლად მიიჩნიეს. კართაგენელებმა იფიქრეს, დასმენა პირადი მტრობითაა გამოწვეული, რაც გარდაუვალია ასეთ დროს, როცა ორი გავლენიანი კაცი თავის ქალაქში ერთმანეთს პირველობას ექიშპებოთ და ორივე გაუშვეს.

ახლა ბლაციუსმა უფრო გაბედულად და მტკიცედ მოჰკიდა საქმეს ხელი. იგი ისევ და ისევ უჩიჩინებდა დაზიუსს, რა სარგებლობა მოჰყვებოდა პირადად მათთვის და სამშობლოსათვის რომთან კავშირის აღდგენას და რა საშიში იყო ჰანიბალის მეგობრად დარჩენა, — დაზიუსი დათმობაზე წავიდა. სამწუხაროდ, სისხლისღერა თავიდან ვერ აიცილეს. სალაპიას გუშაგად იდგა ხუთასი ნუმიდიელი — ჰანიბალის მთელი ცხენოსანი ჯარის საუკეთესო მეთომრები და, თუმცა, მარცელუსი ქალაქში ფარულად შევიდა, თუმცა ცხენოსანთა ბრძოლისათვის სივიწროვის გამო ადგილი არ იყო, ნუმიდიელებმა ხელი სტაციუს იარღს და მანამ იბრძოდნენ, სანამ თითქმის ყველა არ გაწყდა. ეს დანაკლისი ჰანიბალისათვის უფრო მტკიცენული იყო,

ვიდრე თვით სალაპიას დაკარგვა, რადგან მან დაკარგა უცი-
ლობელი უპირატესობა ცხენოსანი ჯარისა, რაც ომის დასა-
წყისიდან განუწყვეტლად ჰქონდა.

ომის დასასრული სიცილიაში

წლის დიდი მონაკვეთი უკვე გასული იყო, როცა კონსული
მარკუს ვალერიუსი სიცილიაში ჩავიდა. მან ჯერ სირაკუ-
ზელთა საქმეები მოაგვარა და შემდეგ თავისი ლეგიონები აგ-
რიგენტუმისაკენ დაძრა, სადაც კიდევ იდგა კართაგენის ძლი-
ერი გარნიზონი. სარდლად ჰანონი იყო, ხოლო კართაგენელთა
მთავარ ძალას კვლავინდებურად მუტინუსი და ნუმიდელები
შეადგენდნენ. მუტინუსი დაქროდა მთელ კუნძულზე, ძარ-
ცავდა რომის მოკავშირეებს. არც იარაღით, არც ხერხით არ
შეიძლებოდა მისი შეჩერება ან აგრიგენტუმისაკენ მისასვლე-
ლი გზის გადაჭრა. ჰანონს იმდენად შურდა მუტინუსისა და
მისი დიდებისა, რომ თვით პუნთა წარმატებებიც კი არ ახარებ-
და. ბოლოს ცხენოსანი ჯარის უფროსობა თავის ვაჟს ჩააბარა.
ამით იმედოვნებდა, რომ მუტინუსს ძალა-უფლების წართმე-
ვასთან ერთად ნუმიდელთა პატივისცემასაც წაართმევდა. მაგ-
რამ პირიქით გამოვიდა. სარდლის შურმა და სიძულვილმა უფ-
რო განამტკიცა მუტინუსისადმი მეომრების სიყვარული. თვით
მუტინუსი მორჩილად როდი ისმენდა დაუმსახურებელ წყენას.
მან რომის კონსულთან ფარულად გაგზავნა საიმედო ხალხი,
რომ აგრიგენტუმის ჩაბარებაზე მოლაპარაკებოდნენ. ნუმიდე-
ლებმა დაიკავეს ზღვისპირისაკენ მიმავალი კარიბჭე. მცველები
ზოგი ამოხოცეს, ზოგი გაყარეს და რომაელები შეუშვეს,
რომლებიც, შეთანხმების თანახმად, მახლობლად იყვნენ ჩასა-
ფრებულნი.

რომის რაზმი უკვე ქალაქის მოედანთან იყო. სწორედ ამ
დროს შემოესმა ჰანონს ხმაური და შინიდან გამოვარდა. ეგო-
ნა, ნუმიდელები ამბობდნენო, რადგან უწინაც არაერთხელ
ამბოხებულან, და მათ დასაწყნარებლად გასწია. მაგრამ მის
მხარეს მოემართებოდა ხალხის დიდი ჯგუფი. მან შორიდანვე

გაიგონა რომელთა ნაცნობი საომარი ყიყინა და უკან გაბრუნდა. ეპიკიდეს, მეომართა და მსახურთა მცირე ჯგუფის თანხლებით იგი ქალაქის საპირისპირო კარიბჭიდან გაიპარა და ზღვას მიაშურა. იქ, მათდა საბედნიეროდ, პატარა გემი იპოვეს და აფრიკისაკენ გაცურეს. ასე დაუტოვეს მტერს კუნძული, რომლისთვისაც ამდენი წლები სამკვდრო-სასაცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა, ხოლო პუნი მეომრები და მათი მოკავშირე სიცილიელები რომაელებმა ერთიანად გაჟლიტეს.

აგრიგენტუმის მმართველები მარკუს ვალერიუსმა გააჯიხინა და თავები მოაკვეთინა. მოქალაქეები და ნადავლი მან საჯარო ვაჭრობით გაყიდა და აღებული ფული რომში გაგზავნა. როცა აგრიგენტუმის ამბავი მთელ სიცილიას მოედო, ყველამ, ვისაც ჭერ კიდევ არ ჰქონდა მორჩილება გამოთქმული, პატიება და ზავი ითხოვა.

როცა მთელმა სიცილიამ იარალი დაყარა და ყველა დამნაშავე დაისაჯა, კონსულმა აიძულა სიცილიელები, მიწათმოქმედებას მიბრუნებოდნენ, რათა კუნძულს გამოეკვება არა მარტო საკუთარი მკვიდრნი, არამედ, როგორც წარსულში იყო, რომისა და მთელი იტალიის ბელელი გამხდარიყო.

სიცილიის ჩრდილოეთით, აგატირნაში, მოგროვდა, დაახლოებით, ოთხი ათასი ბნელი და საშიში პიროვნება. ესენი იყვნენ განდევნილები, მოვალეები და სისხლის სამართლის დამნაშავენი. ყველანი ძარცვითა და ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. ვალერიუსმა ისინი იტალიაში, რეგიუმში გადაიყვანა. თავზეხელაღებულთა ეს რაზმი ჰანიბალის ერთგულ ბრუტიუმელთა მიწების ასაოხრებლად გამოადგებოდა.

ასე დასრულდა იმ წელს ომი სიცილიაში.

პუბლიუს. სციპიონის პირველი მსკანური კამპანია

ესპანეთში პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა ადრეულ გაზაფხულზე ტარაკონიიდან იბერის შესართავისაკენ გასწია. იგი იქ შეხვდა საზამთრო ბინებიდან აყრილ ლეგიონებს და მათ

წინაშე სიტყვა წარმოთქვა. იგი ძირითადად მიმართავდა ძველ მეომრებს, რომლებიც მამამისისა და ბიძამისის წინამძღოლობით იბრძოდნენ.

— არასოდეს, არცერთ სარდალს არ ჰქონდა საფუძველი მადლობა ეთქვა თავის მეომრებისათვის მანამ, სანამ მათ საქმეში არ გამოცდიდა. მაგრამ ბედმა დამაყავეშირა თქვენთან დიდი ხნით აღრე, ვიდრე ესპანეთსა და თქვენს ბანაკებს ვნახავდი და დამავალდებულა, მადლობა მეთქვა. ჭერ ერთი, მადლობას გწირავთ ჩემი მამისა და ბიძის ერთგულებისათვის, რაც მათი სიკვდილის მერეც შეინარჩუნეთ, მეორეც, იმისათვის, რომ თქვენ მთელი რომაელი ხალხისათვის, განსაკუთრებით კი ჩემთვის, ახალი ნაცვლისათვის, გადაარჩინეთ თითქმის უკვე სრულიად დაკარგული ეს პროვინცია.

მაგრამ ახლა ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ ფეხი არ ამოვიკვეთოთ ესპანეთიდან, არამედ ის, რომ აქედან პუნები გავყაროთ, მტერი კი არ შევაჩეროთ იბერიის ნაპირებთან, არამედ თავად გადავიდეთ მეორე ნაპირზე და იქ გავაჩალოთ ბრძოლა. შეიძლება ზოგიერთ თქვენგანს მთელი ჩემი გეგმა მეტისმეტად გაბედული ეჩვენოს დამარცხების შემდეგ, რადგან ის დამარცხება ჭერ კიდევ გულზე აქვს დაჭდობილი. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩემზე, ორგზის დაობლებულზე, მეტად ახსოვდეს იგი, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ბედი, მისი ახლახნდელი მდგომარეობა არ გვაძლევს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის საბაბს. თუნდაც იმიტომ, რომ ყოველთვის, ყველა დიდ ომში ჭერ ვმარცხდებოდით, შემდეგ ვიმარჯვებდით.

ასე იყო ამჟერადაც. ტრებია, ტრაზიმენის ტბა, კანე, თითქმის მთელი იტალიის ლალატი, თითქმის მთელი სიცილიის დაკარგვა, რომის კარიბჭესთან მოსული ჰანიბალი — ჩვენი უბედურების უკიდურეს საზღვარს მივალწიეთ, მაგრამ რომის ხალხის მამაცობა ურყევი დარჩა! ამ მამაცობამ ყველაფერი მტვერსა და ტალახიდან ზე აიტაცა და უკეთესისაყენ წარმართა. თქვენ მამაჩემის წინამძღოლობით არ მიეცით საშუალება ჰასდრუბალს გაჭრილიყო ალპებისაკენ და კიდევ უფრო იქით, თქვენმა გამარჯვებამ ესპანეთში აგვაცილა გარდაუვალი დამარცხება იტალიაში. ახლა კი, ღმერთების წყალობით საქმე

დღითიდღე უკეთ მიდის. სიცილია მტერს წავართვით. ჰანიბალი ბრუტიუმის შორეულ კუთხეში მიიყუეა და მხოლოდ იმას შესთხოვს უკვდავ ღმერთებს, რომ ჩვენი მიწიდან ცოცხალი წავიდეს. გვაქვს თუ არა უფლება ჩვენ ახლა, როცა ყველა უბედურებას გავუძელით და ცოცხლებმა მოვალწიეთ ამ ნათელ და სასიხარულო დღემდე, მომავალზე ეჭვი მივიტანოთ?

უკვდავი ღმერთები, როგორც ქურუმთა და მკითხავთა ბაგეებით, ისე სიზმარშიც მიწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას. საკუთარი სული, რომელიც ჩემთვის ყოველთვის იყო საუკეთესო, ყველაზე საიმედო წინასწარმეტყველი, მიკარნახებს, რომ ესპანეთი ჩვენია, რომ კართაგენელები სამარცხვინო გაქცევით თავს მოიპრიან ზღვასა და ხმელეთზე. ამასვე ჩამაგონებს ფხიზელი გონებაც. ესპანელი მოკავშირეები ზურგს შეაქცევენ პუნებს და ჩვენს მეგობრობას მოძებნიან. კართაგენის სამ ბელადს შორის უთანხმოებაა, ისინი თითქმის ერთმანეთის მტრად იქცნენ, მათი ძალები სამადაა გაყოფილი და თითოეული ცალ-ცალკე ვერ გაგვიმკლავდება.

მთავარია, მეომრებო, იყოთ კეთილგანწყობილნი სციპიონთა სახელისადმი, მათი შთამომავლობისადმი, ახალი ყლორტისადმი, რომელიც ძირში მოჭრილმა ამ ხემ ამოიყარა. წინ ვეტერანებო! გაიყოლიეთ იბერს გადაღმა ახალი ჯარი და ახალი მხედართმთავარი! ჯერჯერობით თქვენ მხოლოდ იმას ხედავთ, რომ მე მამაჩემსა და ბიძაჩემს გარეგნულად ვგავარ, მაგრამ მალე ნახავთ იმავე აზრებს, იმავე ერთგულებას, იმავე სიმამაცეს და თითოეული თქვენგანი იტყვის: ჩემი სარდალი მკვლრებით აღსდგა, ანდა ხელმეორედ დაიბადაო.

სციპიონმა იქვე დატოვა მარკუს სილანი სამი ათასი ქვეითი და სამასი მხედრით, ოცდახუთი ათასი ქვეითი ჯარისკაცითა და ორი ათას-ხუთასი მხედრით გადალახა იბერი. ზოგიერთები ურჩევდნენ, თავს დასხმოდა კართაგენის იმ არმიას, რომელიც უფრო ახლოს იყო. იმას, ზამთარს საგუნტში რომ ატარებდა, მაგრამ სციპიონი შიშობდა, ამ თავდასხმას არ შეეკავშირებინა მტრები, ხოლო სამი არმია ერთბაშად მისთვის დაუძლეველი ძალა იქნებოდა. მან გადაწყვიტა დაეწყო ახალი კართაგენის ალყით.

ამ მდიდარ ქალაქში იყო კართაგენელთა იარაღისა და სურ-
16. ტიტუს ლივიუსი

სათ-სანოვავის საწყობიც, სახელმწიფო ხაზინაც, სადაც ფუ-
ლი ინახებოდა და საპატიმროც, სადაც მთელი ესპანეთიდან
მოყვანილი მძევლები ჰყავდათ დამწყვდეული. ქალაქს ჰქონდა
საკმაოდ ვრცელი ნავსადგური, სადაც ნებისმიერი ფლოტი
დაეტეოდა და ძალიან ახლოს იყო აფრიკასთან. იბერის გადა-
ლახვიდან მეშვიდე დღეს რომაელები ახალ კართაგენს მიუახ-
ლოვდნენ ხმელეთიდან და ზღვიდან ერთდროულად. ადრევე
ასე შეუთანხმდა სციპიონი თავისი ფლოტის უფროსს გაიუს
ლელიუსს. ისინი ქალაქის მოპირდაპირედ, აღმოსავლეთ მხა-
რეს დაბანაკდნენ და მიწის ზვინული აღმართეს.

ახალი კართაგენი მდებარეობს ესპანეთის აღმოსავლეთ სა-
ნაპიროს თითქმის შუაგულში. ზღვა აქ უბეს ქმნის. უბის შე-
სართავში პატარა კუნძულია, რომელიც ნავსადგურს ყველა
ქარისაგან იფარავს, გარდა აფრიკიდან მონაბერი ქარისა. შიგ-
ნით უბეს ნახევარკუნძული ჰყოფს. სწორედ მასზეა ქალაქი
აგებული. ნახევარკუნძულს სამხრეთიდან და დასავლეთიდან
ზღვა აკრავს, ხოლო უბის შორეული ნაწილი დაჭაობებულ
ლაგუნად ქცეულა. ნახევარკუნძულსა და ქალაქს მატერიკთან
აერთებს ოთხასი მეტრის სიგანის ყელი. აქ სიმაგრის აგება
უადრესად ადვილი იყო, მაგრამ სციპიონმა ეს არ გააკეთა.
იქნებ მტრისადმი სიძულვილი და საკუთარი თვითდაჯერებუ-
ლობა უნდოდა გამოეაშკარაებინა, იქნებ სურდა არ ჩაეხერგა
ქალაქთან მისასვლელი გზა შეტევისა და უკანდახვევის დროს.

სციპიონმა მოინახულა რომის ხომალდები ნავსადგურში და
უფროსებს უბრძანა, ღამით მალ-მალე შეეცვალათ გუშაგები
და მკაცრად შეემოწმებინათ: ალყის დასაწყისში,—ამბობდა
იგი,—მტერს ყველაფერი შეუძლია გააკეთოსო. შემდეგ იგი ბა-
ნაკში მიბრუნდა, მეომრები შეკრიბა და განუმარტა, რატომ
იწყებენ ომს სწორედ ამ ადგილას და რას მისცემს რომაელ
ხალხს და ყველას სათითაოდ ახალი კართაგენის აღება. მან ახსე-
ნა ესპანელი მძევლებიც, ხაზინაც, სამხედრო მარაგი, ხელსაყრე-
ლი ნავსადგური, გაბედულებს ჯილდოებს შეჰპირდა და ბოლოს
აუწყა, ძილში ღმერთი ნებტუნი გამომეტყნა და საჭირო წუ-
თებში შემწეობა აღმითქვაო.

კართაგენის გარნიზონის უფროსი მაგონი ხედავდა, რომ მტერი ემზადებოდა იერიშისათვის ხმელეთიდან და ზღვიდან და იცოდა, რომ ამ ორმხრივი დარტყმის მოსაგერიებლად მებრძოლები არ ეყოფოდა. ამიტომ შეაიარაღა ორი ათასი მოქალაქე, რომელთაც შეეძლოთ იარაღის ხმარება და განალაგა ქალაქის გალავანთან, რომელიც რომის ბანაკის მხარეს იყო მიმართული. ხუთასი მეომარი სიმაგრეში ჩაჯდა, ხუთასმა ბორცვის კორტოხი დაიკავა ქალაქის სამხრეთ ნაწილში, დანარჩენებს ებრძანათ, ფხიზლად ედევნებინათ თვალი ომის მსვლელობისათვის, ყიჟინისათვის ყური ეგდოთ და მებრძოლებს სადაც გაუჭირდებოდათ, იქ მიშველებოდნენ, შემდეგ მაგონმა კარიბჭე გააღო და მტერს ის ორი ათასი მეომარი მიუსია, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. რომაელები სციპიონის ბრძანებას დაემორჩილნენ და ბანაკისაკენ დაიხიეს, რათა გაცხარებული შეტაკების დროს ადვილი ყოფილიყო ბრძოლაში მამველი ძალების შეყვანა.

თავდაპირველად ორივე მხარე ერთნაირი შეუპოვრობით იბრძოდა, მაგრამ როცა ბანაკიდან მამველი ძალები ზედიზედ მოვიდა და მოვიდა, მაშინ კი პუნებმა მტერს ზურგი აქციეს. გამხნევებული რომაელები ფეხდაფეხ დაედევნენ და ალბათ მტრებთან ერთად ჭგუფ-ჭგუფად ქალაქშიც შეიჭრებოდნენ, რომ სციპიონს უკან დახვევის ნიშანი არ მიეცა.

ქალაქში პანიკა დაიწყო. ბევრგან გუშაგებმა სათვალთვალოები მიატოვეს და გალავანიდან ძირს ჩახტნენ. სციპიონმა მერკურის ბორცვის კორტოხიდან შეამჩნია, რომ გალავანი ბევრ ადგილას დაცარიელდა და ბრძანა, ბანაკიდან ყველა გამოსულიყო და საიერიშო კიბეები წამოეღოთ. თვითონაც გამოვიდა. მას სამი მკლავმაგარი ჭაბუკი ფარებს უფარებდა, რადგან ზემოდან ურიცხვი ისარი, ხელშუბი და ქვა ცვიოდა, სციპიონი ქალაქს უახლოვდებოდა, თან განკარგულებებს იძლეოდა, მეომრებს ამხნევებდა. ყველა მებრძოლს სურდა თავის გამოჩენა, რადგან სარდალს თავიანთ გვერდით ხედავდნენ. რომაელები არ იმჩნევდნენ ჭრილობას, არ გრძნობდნენ ტკივილს და ისე მიიწევდნენ წინ, არც გალავანს, არც მტრის ია-

რადს არ ძალუძდა მათი შეჩერება. ერთდროულად შეტევა ზღვიდანაც დაიწყო. თუმცაღა, აქ ხმაური და ფაციფუცი უფრო მეტი იყო, ვიდრე გადამწყვეტი შეტევა. ყველა ხმელეთზე გადასვლას, კიბეების გამოტანას ჩქარობდა, ამიტომ, უფრო ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, ვიდრე ეხმარებოდნენ.

ამასობაში გალავანი ისევ პუნებით აივსო და სატყორცნი ჭურვებიც სეტყეასავით წამოვიდა. მაგრამ, არც ჭურვები და არც თვით ხალხი არ ყოფილა ქალაქის მთავარი დამცველი. მას მხოლოდ მისი გალავანი იცავდა. იშვიათი იყო კიბე, რომ გალავანს ასწვდნოდა (თანაც კიბე რაც უფრო გრძელია, მით უფრო სუსტია). ვინც პირველი აღიოდა, სიმაღლის გამო გალავანზე ახტომას ვერ ახერხებდა, იმ პირველის კვალდაკვალ კი სხვები მიბობლავდნენ, კიბე ვერ უძლებდა სიმძიმეს და ტყდებოდა. ზოგიერთები სიმაღლეს ვერ იტანდნენ, როგორც კი ძირს ჩამოიხედავდნენ, თვალთ უბნელდებოდათ და ცვიოდნენ.

ამგვარად, რომაელების ყველა ცდა ამოი იყო, ამან გაამხნევა პუნები, და სციპიონმა კვლავ ბრძანა, უკან დახევის სიგნალი მიეცათ. ამ ამბავმა ალყაშემორტყმულებს არა თუ ოდნავ ამოსუნთქვის, დიდი ხნით შესვენების იმედი მისცა. მტერი დარწმუნდა, რომ რომაელები ახალ კართაგენს შეტევით ვერ აიღებდნენ და ალბათ საალყო სამუშაოებს შეუდგებოდნენ, ამასობაში კი საშველად თავისიანებიც მოუხსწრებდნენ. აი, ასე განსაჯეს მათ, მაგრამ როგორც კი პირველი აღტყინება მინელდა, სციპიონმა უბრძანა მეომრებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ იერიშში, დაჭრილებისა და დაღლილებისათვის კიბეები გამოერთმიათ და ახალი ძალით შეეციათ.

ჯერ კიდევ გასულ შემოდგომას ტარაკონელმა მებადურებმა რომის სარდლის დავალებით ლაგუნა სიგრძე-სიგანეზე გადასერეს. სადაც უფრო ღრმა იყო — ნავებით, სადაც არა — ფეხით და მოახსენეს, რომ ამ მხრიდან შეიძლებოდა ქალაქს მიახლოებოდნენ. და აი, ახლა სციპიონი ზღვის უკუქცევას ელოდა და ზუთასი ჯარისკაცით იქითკენ გასწია. შუაღლე იყო, უკუქცევას ისიც დაემატა, რომ ამოვარდა ძლიერი ქარი და წყალი ლაგუნიდან ზღვისაკენ წახვეტა, ასე რომ, მეომრებს წყალი წელამდე ძლივს სწვდებოდა, ზოგან კი მხოლოდ მუხლს

უფარავდათ. ეს ყოველივე სციპიონმა წინასწარ გამოიანგარიშა, თავის მეომრებს კი სასწაულად, ღვთის შემწეობად წარმოუხსახა. ღმერთებმა წყალი შეათხელეს და შესაძლებლობა მოგვცეს გაგვეარა იქ, სადაც ჯერ ძეხორციელს ფეხი არ დაუდგამს. აი, ეს არის ნებტუნის დახმარება, ის თვითონ მიგვითითებს გზას ახალი კართაგენის კედლებისაკენო.

იმათ, ვინც ბანაკის მხრიდან უტევდა, ძალიან უჭირდათ. უშენდნენ ცენტრიდანაც, ორივე ფლანგიდანაც და ბევრი იხოცებოდა. იმ ხუთას მეომარს კი, რომლებიც ლაგუნით მიიკვლევდნენ გზას, არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რადგან ამ მხრიდან ქალაქი, საერთოდ, გამაგრებული არ იყო: სთვლიდნენ, რომ ქალაქის ამ კიდეს თვით ბუნება იცავდა. აქეთ არც ყარაულები იდგნენ: ყველა იქ გაცვივდა, სადაც, მათი აზრით, ერთადერთი საშიშროება ემუქრებოდათ.

რომაელები ქალაქში წინააღმდეგობის გაუწევლად შევიდნენ და კისრისტეხით კარიბჭისაკენ გაიქცნენ, სადაც ბრძოლა იყო გაჩაღებული. მეომრები და მაყურებლები ისე იყვნენ ამ ბრძოლაში შთანთქმულნი, რომ ფეხის ხმა არავის გაუგონია. მხოლოდ მაშინ შეიტყვეს პუნებმა ქალაქი აღებულიაო, როცა ზურგს უკან გაისმა ბრძოლის ყიჟინა და აზუზუნდა ხელშუბები. კართაგენელები შიშისაგან გაშეშდნენ, რომაელებმა კი თვალის დახამხამებაში აიღეს გალავანი და კარიბჭეს შიგნიდან და გარედან ტეხვა დაუწყეს. კარიბჭეს რომაელებისათვის გზა რომ არ გადაეღობა, იგი ნაფოტებად აქციეს. ბევრი გალავანზე გადაძვრა, ოთხივე მხარეს გაიფანტა და მოსახლეობას დაერია. დანარჩენები კი კარიდან შევიდნენ მწყობრად განლაგებულნი და მთავარი მოედნისაკენ გასწიეს.

მოედნიდან სციპიონმა დაინახა, რომ მტრის ნაწილი ქალაქის სამხრეთ გარეუბანში ბორცვისაკენ გარბოდა, ნაწილი — ციხესიმაგრისაკენ. ციხესიმაგრეს შეაფარა თავი თვით მაგონმაც. სციპიონმა თავისი მეომრებიც ორად გაყო. ერთი ბორცვისაკენ გაგზავნა, მეორეს ციხესიმაგრისაკენ თავად წარუძღვა. ბორცვი პირველი შეტევისთანავე აიღეს. მაგონმა, როცა დარწმუნდა, რომ რომაელები ყველა მხრიდან უტევდნენ, უიმედო წინააღმდეგობა შეწყვიტა და დანებდა. სანამ პუნებს სიმაგრე ეპყრათ, რომაელები არავის ინდობდნენ და ყველას

ხოცავდნენ. მაგრამ, როგორც კი სიმაგრე დანებდა, სციპიონმა ბრძანება გასცა, ხოცვა-ჟლეტა შეეწყვიტათ. დაიწყო ძარცვა, ნადავლი ნაირ-ნაირი და ზღაპრულად მდიდრული იყო.

ათი ათასი თავისუფალი წარმოშობის მამაკაცი ტყვედ წამოასხეს. ახალი კართაგენის მოქალაქეები სციპიონმა გაათავისუფლა, დაუბრუნა მათ სახლი და ძარცვას გადარჩენილი ქონება. დაახლოებით ორი ათასი ხელოსანი რომაელი ხალხის მონებად აქცია, მაგრამ დაჰპირდა მალე გაათავისუფლებდა, თუკი კეთილსინდისიერად იმუშავებდნენ და ყველაფერს დაამზადებდნენ, რაც ომისათვის იყო საჭირო.

დანაჩენი მცხოვრებნი, მოხუცებისა და ხეიბრების გარდა, რომელთაც არ ჰქონდათ მოქალაქეობის უფლება, ასევე ახალგაზრდა ჯანსაღი მონები ხომალდებზე მენიჩბებად გაგზავნეს და ამიი. მათი რიგები შეავსეს. რომაელთა ფლოტი შეავსო რვა ხომალდმა, რომლებიც ნავსადგურში იგდეს ხელთ.

სამხედრო მანქანებიდან და სურსათ-სანოვავის მარაგიდან რომაელებმა დაისაკუთრეს: ორას ოთხმოცდაერთი მცირე კატაპულტა, ოცდასამი დიდი და ორმოცდათორმეტი მცირე ბალისტა; დიდსა და მცირე ლოდსატყორცნებს, მახვილებს, ფარებს, ჯავშნებს, ხელშუბებს, შუბებს — თვლა არ ჰქონდა. შეაგროვეს უამრავი ოქრო-ვერცხლი: ორას სამოცდათექვსმეტი ოქროს ფიალა, ვერცხლის ზოდები და მონეტები — თითქმის ექვსი ათასი კილოგრამი. გარდა ამისა, უამრავი ვერცხლის ქურქელი. ბედლებიდან გამოზიდეს ოთხი ათასი მოდიუსი¹ ხორბალი, ორას სამოცდაათი ათასი მოდიუსი ქერი. ნავსადგურში იდგა პური, ხორბლი, იარაღი, სპილენძი, რკინით, ტილოთი, ბაგირებით დატვირთული სამოცდასამი სატვირთო გემი, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ სიმდიდრეს შორის ყველაზე ნაკლებდირებული თვით ახალი კართაგენი იყო.

სციპიონმა გაიუს ლელიუსი მეზღვაურებთან ერთად ქალაქის საყარაულოდ დატოვა, ხოლო ლეგიონები ბანაკში წაიყვანა. მეომრები უაღრესად გატანჯულები იყვნენ: ბრძოლა გაშლილ ადგილას ქალაქსა და ბანაკს შორის, შემდეგ, გაუგონრად

¹ მოდიუსი — რომაული ტევადობის საზომი, დაახლოებით 9 კილოგრამამდე.

ძნელი და საშიში იერიში, ბოლოს, ბრძოლა ბორცვის ფერ-
ლობებზე, ციხესიმაგრის გალავანთან და ყოველივე ეს ერთ
დღეში, მართლაც მეტისმეტად მძიმე ასატანი იყო.

დავა ჯილდოსათვის მიუღვაურებსა და ღებინებს შორის

მეორე დღეს სარდალმა გამართა ჯარისკაცთა და მეზღვა-
ურთა საერთო შეკრება. მან მადლობა შესწირა უკვდავ ღმერ-
თებს, რომლებმაც არა მარტო აჩუქეს რომაელებს ესპანეთის
ქალაქებს შორის უპირველესი და საუკეთესო ქალაქი, არამედ
წინასწარ აქ მოუყარეს თავი აფრიკისა და ესპანეთის მთელ
განძეულს. ასე, რომ მტერი უმალ გადარიბდა, რომაელები კი
დოვლათითა და ბარაქით აივსნენ. მან შეაქო სიმამაცე მეომ-
რებისა, რომლებიც არ შეუშინდნენ და არ შეეპუენ არც მტრე-
ბის თავდასხმას, არც გალავნის სიმაღლეს, არც ლაგუნის უცხო
წყლებს, არც ციცაბო ბორცვზე წამომართულ უზარმაზარ ცი-
ხესიმაგრეს. მე ვალში ვარ ყველას წინაშე, — ამბობდა იგი, —
მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავაჯილდოვო ის მეო-
მარი, ვინც გალავანზე პირველი ავიდა. წინ გამოვიდეს იგი,
ვისაც მიაჩნია, რომ ამ ჯილდოს ღირსეულად იმსახურებს.

წინ წამოდგნენ ორნი — მეოთხე ლეგიონის ცენტურიონი
კვინტუს ტრებელიუსი და მეზღვაური სექსტუს დიგიტიუსი.
თვითონ ისინი ისე არ ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველო-
ბას, როგორც მათ ნაცვლად მათი ამხანაგები. დავა შეიძლე-
ბოდა ცემა-ტყეპასა და ამბოხშიც კი გადაზრდილიყო, სციპი-
ონმა გამოაცხადა, სამ მოსამართლეს ვნიშნავ, რომ დაუყოვნ-
ებლივ გამოიძიონ საქმე, მოწმეები დაკითხონ და სამართლი-
ანი განჩინება გამოიტანონო. მაგრამ მღელვარება არ ცხრე-
ბოდა, მეომრებიცა და მეზღვაურებიც ერთსა და იმავეს გაჰ-
ყვიროდნენ, უფროსობა სამართლიანობას კი არ დაეძებს, არა-
მედ სურს ლაგამი ამოგვდოს და ჩაგვაჩუმოსო. მაშინ ერთ-
ერთი მოსამართლეთაგანი, გაიუს ლელიუსი მივიდა ტრიბუ-
ნალთან, რომელზედაც სციპიონი იჯდა და თქვა:

— ნუთუ ვერ ხედავ, ზრდილობისა და წესრიგის ყველა ზომას რომ გადავიდნენ? კიდევაც რომ შევძლოთ თავიდან ავიცილოთ ამბოხება და ძალადობა, საზიზღარ მაგალითს მივცემდით სამერმისოდ: ცდილობენ, ჯილდო გმირობისათვის ტყუილად მოიხვეჭონ. აგერ, ლეგიონერები და აგერ, მეზღვაურები. არცერთმა არ იცის სიმართლე, მაგრამ ერთნიც და მეორენიც მზად არიან ტყუილადაც კი დაიფიცონ, სიმართლე ჩვენს მხარესააო, და ამით ლაფში ამოისვარონ.

ეს მართო ლელიუსის აზრი როდი იყო. ამასვე ფიქრობდა ორი დანარჩენი მოსამართლეც. სციპიონი მათ დაეთანხმა, მერე საჩუმე მოითხოვა და თქვა:

— ზუსტად დადგენილია, რომ კვინტუს ტრებელიუსი და სექსტუს დიგიტიუსი გალავანზე ერთდროულად ავიდნენ. საპატიო ვვირგვინი¹ ორივეს ეკუთვნის.

შემდეგ დაჯილდოვდნენ დანარჩენები — ყველანი დამსახურების მიხედვით. ყველაზე მეტად სციპიონი მადლობას უხდიდა ფლოტის მეთაურს გაიუს ლელიუსს. იგი ამტკიცებდა, რომ ახალ კართაგენზე გამარჯვების დიდებას ისევე იმსახურებს ლელიუსი, როგორც სციპიონი და მას ოქროს გვირგვინი და ოცდაათი ხარი აჩუქა.

მ ძ ე ვ ლ ე ბ ი

რომაელები ესპანელ მძევლებს ისეთი მზრუნველობით ექცეოდნენ, როგორც ერთგულ და დიდი ხნის მოკაეშირე ადამიანთა შვილებს (რიცხობრივად რამდენნი იყვნენ, ზუსტად ამის თქმა არ შემძლია, მაგრამ ვფიქრობ, ათას ხუთასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყვნენ) და მაინც საკუთარი ბედი ძალიან აშინებდათ. სციპიონი თვითონ ესაუბრა მათ და ყოველნაირად დაამშვიდა.

— ნურაფერზე უფოთავთ და ნურაფრისა გეშინიათ, — ეუბნებოდა იგი, — თქვენ რომის ხალხის ხელთა ხართ, რომელიც ამჯობინებს, ადამიანებს კეთილგანწყობილება ჰქონდეთ

¹ ეგრეთ წოდებული „გალავნის გვირგვინი“ („მურალისის გვირგვინი“) ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო ჯილდო იყო.

ერთმანეთის მიმართ და არა შიშის გრძობა, ცდილობს, ტყვეობის უღელი კი არ დაადგას უცხო ხალხებს, არამედ მეგობრულად იყოს მათთან.

მან გამოირკვია რომელი ტომის ან ქალაქის წარმომადგენელი იყო თითოეული მძევალი და ყველგან შიკრიკები დააგზავნა და დააბარა, მათ წასაყვანად საჩქაროდ ჩამოსულიყვნენ ტარაკონიაში. ზოგიერთი ტომის ელჩები შემთხვევით მის ბანაკშიც აღმოჩნდნენ, რომელთაც დაუყოვნებლივ გადასცეს თავიანთი მძევლები.

როცა სციპიონი მძევლებს ესაუბრებოდა, მათ ჯგუფიდან გამოვიდა ხნიერი ქალი. იგი ილერგეტების მეფის ინდიბილისის ღვიძლი ძმის მანდონუსის ცოლი იყო. თვალცრემლიანი ქალი რომის მთავარსარდლის ფეხებთან დაიხარა და შეევედრა, გუშაგებს უფრო მკაცრად დაავალე ქალების დაცვა და მათზე ზრუნვაო.

სციპიონმა უპასუხა, მათ არაფერი გაუჭირდებათო.

— მე გაჭირვებაზე არ მოგახსენებ, — უთხრა ქალმა, — მისი არ გვეშინია, შეხედე ამ ქალწულებს — ისინი ახალგაზრდები არიან და ძალზე უმწეონი. ყველას შეუძლია აწყენინოს, თუკი მოინდომებს. — და მან მიუთითა ინდიბილისის მშვენიერ ასულებზე და კეთილშობილური წარმომშობის სხვა ქალებზე, რომლებიც მას გარს შემორტყმოდნენ.

— ასეთი წყენინება დაამცირებდა და შეურაცხყოფდა რომის ხალხსა და ჩემს ღირსებას, — მიუგო სციპიონმა. — მე უთხოვნელადაც ვიზრუნებდი თქვენზე, ახლა კი მეტ პატრონობას გაგიწევთ, რადგან ვერც გაჭირვებას, ვერც განსაცდელს ვერ აღმოუფხვრია თქვენში ქალური სიმორცხვე და კდემა.

სციპიონი კელტიბერ ალუციუსს უბრუნებს
საცოლეს, ხოლო რომის ჯარს ათას მოთხასი
მხედარი ემატება

მოგვიანებით ჯარისკაცებმა სციპიონს მიჰგვარეს ისეთი იშვიათი სილამაზის ტყვე ქალი, რომ მისი დანახვით ვერავინ ძლებოდა. სციპიონმა ჰკითხა, სადაური ხარ და მშობლები ვინა

გყავსო. ქალწულმა ყველაფერი უთხრა, თან გაუმხილა, კელტიბერთა ტომის ერთ-ერთ დიდებულზე ვარ დანიშნული და ჩემს საქმროს ალუციუსი ჰქვიაო. სციპიონმა მაშინვე მაცნე აფრინა ქალის მშობლებთან და საქმროსთან (რომელსაც, როგორც გაიგო, სიგიჟემდე ჰყვარებია თავისი საცოლე). ალუციუსი მოვიდა თუ არა, სციპიონმა იგი თავის კარავში შეიყვანა და ასე უთხრა:

— ნიჟოთ გულახდილნი, რადგან ტოლები ვართ და ერთმანეთის არ უნდა შეგვერცხვეს. ჩემმა ჯარისკაცებმა ტყვედ იგდეს შენი საცოლე და მომგვარეს. მითხრეს, რომ შენ იგი გიყვარს და მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ: იგი ისეთი ლამაზია, რომ ძეც შეეიყვარებდი და ცოლობას ვთხოვდი, ჩვეულებრივი ჰაბუჯისათვის შესაფერისი საქციელის უფლება რომ მქონდეს, მაგრამ მე მთლიანად სახელმწიფოს ვეკუთვნი და არა ჩემს თავს, ამიტომ მინდა დაგეხმარო სიყვარულში — ამის უფლება კი მაქვს. ჩემთან შენს საცოლეს ისევე არვინ მიჰყარებია, როგორც მშობლებთან. მიიღე ის ჩემგან როგორც ძღვენი, ორივესათვის ღირსეული და შესაფერისი. სანაცვლოდ მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვ: იყავი რომაელთა მეგობარი. თუკი მიგაჩნია, რომ მე ღირსეული და წესიერი კაცი ვარ, იცოდე, რომაელ ხალხში ჩემისთანა ძალზე ბევრია და დედამიწის ზურგზე არ არის სხვა ხალხი, რომელთანაც მეგობრობა შენთვის ესოდენ სასიკეთო იყოს, მტრობა კი — საზიანო.

უხერხულობისა და სიხარულისაგან თავგზააბნეულმა ალუციუსმა სციპიონს მარჯვენა ხელი გამოართვა და ღმერთებს შეღარადა, სამაგიერო სიკეთე მიუზღეთ რომაელს ამ დიდსულოვნებისათვის, რადგან მე არ ძალმიძს იმის გადახდა, რასაც საკუთარი გული მიკარანახებს და რასაც სციპიონის ფასდაუდებელი სიკეთე იმსახურებსო.

უხმეს საცოლის მშობლებსა და უახლოეს ნათესაებს. მათ სციპიონს უთხრეს, ქალის გამოსასყიდად ბევრი ოქრო მოვიტანეთ, მაგრამ რადგან ასულს უსასყიდლოდ გვიბრუნებ, გთხოვთ გამოსასყიდი საჩუქრად მიიღოთ.

— გთხოვთ, მიიღო — ემუდარებოდნენ ისინი. — ეს ჩვენთვის ისეთივე დიდი მოწყალება იქნება, როგორიც პირველი მოწყალება იყო.

ბოლოს და ბოლოს სციპიონი თხოვნას დაჰყვა და ბრძანა, ოქრო ფერხთით დაეწყოთ. შემდეგ ალუციუსს მიუბრუნდა და უთხრა:

— იმ მზითევს, რომელსაც შენი სიმამრისგან მიიღებ, ესეც დაუმატე. ჩემი პირასანახავი იყოსო.

შინმობრუნებული ალუციუსი განუწყვეტლივ უქებდა სციპიონს თავის თანამემამულეებს.

— გამოჩნდა ჭაბუკი რომაელი, ჭეშმარიტად ღმერთების მსგავსი! — იმეორებდა იგი წამდაუწყებლად. — იარაღითა და სიკეთით ყველას იმორჩილებს იგი.

მან თავი მოუყარა თავის კლიენტებს და რამდენიმე დღის შემდეგ ათას ოთხასი რჩეული მხედრით სციპიონთან გაჩნდა.

სციპიონმა მანამ არ გაუშვა ლელიუსი, სანამ მისი დახმარებით ტყვეების, მძევლებისა და ნადავლის საქმეები არ მოაგვარა და შემდეგ იგი რომში გაგზავნა, რომ თან წაეყვანა მაგონი და თხუთმეტი სენატორი, რომელიც მაგონთან ერთად ტყვედ ჩაიგდო. ლელიუსის წასვლის შემდეგ იგი ახალ კართაგენში დიდხანს არ დარჩენილა. მთელი ეს დრო საზღვაო და სახმელეთო წვრთნას მოანდომა. პირველ დღეს თავიდან ფეხებამდე შეიარღებულმა ლეგიონებმა ექვსი კილომეტრი გაირბინეს, მეორე დღეს წმენდნენ და ლესავდნენ იარაღს თავიანთი კარვების წინ. მესამე დღეს ჯოხებით კეკნაობდნენ და ისროდნენ თავსუფიან ხელშუბებს. მეოთხე დღეს — ისვენებდნენ. მეხუთე დღეს — თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი ისევ დარბოდნენ. აი ასეთი ურთიერთშენაცვლებით ვარჯიშობდა და ისვენებდა ჯარი, სანამ ახალ კართაგენში იყო დაბანაკებული. ხოლო მენიჩბეები და მეზღვაურები წყნარ ამინდში ნავსადგურიდან გამოდიოდნენ და თავიანთი ხომალდების სისწრაფეს სცდიდნენ იმიტარებულ ბრძოლაში. აი ასე იკაეებდნენ სხეულსა და ნებისყოფას რომაელები ზღვასა და ხმელეთზე და მომავალი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

ხოლო ქალაქი ომის სამზადისში დუღდა და გადმოდუღდა. ხელოსნები დღით და ღამით სახელოსნოებიდან არ გამოდიოდნენ. სციპიონი ყველაფერს ამოწმებდა, ყველაფერს ფხიზლად სინჯავდა. ხან ხომალდებზე იყო, ხან გემსაშენში, ხან ლეგიონერებთან ერთად დარბოდა, ხან სახელოსნოებსა და იარა-

ლის საწყობებს ათვალიერებდა. ხალხი ყველგან მუხლჩაუხრელად მუშაობდა.

როგორც კი სამზადისს მორჩა, როგორც კი ალაგ-ალაგ ჩამონგრეული გალავანი შეაკეთა, მთავარსარდალმა ქალაქის დასაცავად საგუშაგო რაზმი დატოვა და თვითონ ტარაკონიისაკენ დაიძრა. გზაზე მას ესპანელ ტომთა რწმუნებულები ხვდებოდნენ. ზოგს უსმენდა და მაშინვე უკან აბრუნებდა, ზოგთან საუბარს ტარაკონიამდე გადასდებდა, სადაც ყველა მოკავშირის — ძველის და ახლის — ყრილობა იყო დანიშნული. თითქმის ყველა ხალხმა, ვინც იბერიის ჩრდილოეთით ბინადრობდა და უმეტესობამ, რომელიც მის სამხრეთით ცხოვრობდა, ყრილობაზე თავიანთი ელჩები გამოგზავნეს.

იტალიაში ჰანიბალთან ბრძოლას მარკუს მარცელუსი განაგრძობდა. წარმატებები ხან ერთის მხარეზე იყო, ხან მეორისა, მაგრამ რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იმ წელს არ მომხდარა.

ახალი შეთქმულება კაპუაში. არჩევნები რომში

კაპუაში, სადაც კვინტუს ფულვიუს ფლავუსი ჰყიდდა და იჯარით არიგებდა რომაელი ხალხის საკუთრებად ქცეულ მოქალაქეთა ქონებას, ახალი შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულება თითქოს განგებ იმიტომ მოაწყვეს, რომ ახალი სიმკაცრე-სისასტიკისათვის საბაბი მიეცათ. ფულვიუსმა ქალაქიდან ჯარისკაცები გაიყვანა: მას სურდა მიწასთან ერთად სახლებიც გაექირავებინა, მაგრამ ამის გარდა შეიძლება მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ეშინოდა ქალაქში ზედმეტად კეთილდღეობით ცხოვრებას მის ხალხზე ისევე დამლუპველად არ ემოქმედა, როგორც უწინ ჰანიბალის მეომრებს დაემართა. ლეგიონერებს უბრძანა, სასწრაფოდ გაემართათ კარვები გალავნისა და კარიბჭის გასწვრივ. კარვებს წნელებისა და ლელქაშისაგან წნავდნენ, ანდა ფიცრებისაგან აკოწიწებდნენ და ჩალით ხურავდნენ. ხანძრისათვის ასეთი კარავი სწორედ რომ მისწრება იყო. და აი, ას სამოცდაათმა კამპანიელმა, რომელთაც სათავეში ძმები ბლოსიები ედგათ, დათქვეს, ეს ღროებითი საცხოვრებელი

დაბით ერთდროულად ცეცხლისათვის მიეცათ. მაგრამ იმ მონებს შორის, რომლებიც ბლოსიებს ეკუთვნოდა, დამსმენები აღმოჩნდნენ. მოულოდნელად ფულვიუსმა ბრძანა, კარიბჭე ჩაეკეტათ და მეომრები იარაღს ეცნენ. ყველა შეთქმული დაიჭირეს და წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. დამსმენებს კი თავისუფლება და ათი ათასი ასი მისცეს.

იმავე წელს რომში ნუმიდიის მეფის სიფაქსის ელჩები ჩამოვიდნენ. ისინი არა თუ მეგობრულად მიიღეს, არამედ მეფესთან საპასუხო ელჩები გაგზავნეს და მეგობრობას შეჰპირდნენ. სხვა ელჩები ეგვიპტეში გაემგზავრნენ მეფე პტოლემეოსთან, რომ რომთან კავშირი შეესხენებინათ.

კონსულების არჩევნების დრო ახლოვდებოდა. მარკუს მარცელუსი მახლობლად, აპულიაში იყო, მაგრამ იგი ჰანიბალს მისდევდა, რომელიც ბრძოლას თავს არიდებდა და ამიტომაც ჯარის მიტოვება არ შეეძლო. სენატი იძულებული გახდა, სიცილიიდან კონსული მარკუს ვალერიუსი გამოეწვია.

მარკუს ვალერიუსმა სენატს მოახსენა, რომ სიცილიაში საბოლოოდ მშვიდობიანობა დამყარდა და სენატორებს მუტინუსი წარუდგინა, რომელმაც რომაელებს აგრიგენტუმი ჩააბარა. რომაელი ხალხის წინაშე მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის სენატმა იგი დააჯილდოვა, ხოლო ხალხმა რომის მოქალაქედ სცნო.

ის იყო ვალერიუსი არჩევნების დღის დანიშვნას აპირებდა, რომ შემაშფოთებელი ამბები მოვიდა. რომის ხომალდებმა ააოხრეს კართაგენის მახლობლად აფრიკის სანაპიროები და ბევრი ტყვე წამოასხეს. ტყვეებმა თქვეს, მთელს აფრიკაში დაქირავებულ ჯარისკაცებს აგროვებენ, რომელთაც შემდეგ ესპანეთში — ჰასდრუბალთან გადასხამენ და იგი ხელმეორედ იტალიისაკენ დაიძვრება, რომ ჰანიბალს შეუერთდეს. მთელი ბრძოლის ბედს ეს გადაწყვეტს. გარდა ამისა, მზადდება უზარმაზარი ფლოტი, რომ სიცილია დათრგუნონო. სენატი იმდენად შეაშფოთა ამ ცნობებმა, რომ კონსულს უბრძანა, დაუყოვნებლივ სიცილიაში დაბრუნებულიყო. არჩევნების სახელმძღვანელოდ კი მეორე კონსულმა, მარკუს მარცელუსმა, დიქტატორად კვინტუს ფლავუსი დანიშნა.

ფულვიუსი კაპუიდან რომში ჩავიდა. კენჭისყრის დროს

სახალხო ტრიბუნებს და დიქტატორს შორის დავა ატყდა¹, პირველმა ამომრჩევლებმა თავის კანდიდატებად თვით ფულვიუსი და კვინტუს ფაბიუს მაქსიმე დაასახელეს. ცხადი იყო, რომ ხალხი ამ არჩევანს მოიწონებდა, მაგრამ სახალხო ტრიბუნებმა განაცხადეს, ერთსა და იმავე ადამიანთა ხელში ხელისუფლების დიდხანს დატოვება საშიშია², მაგრამ უფრო საშიშია, მერმისისათვის როგორც მაგალითი — აირჩიონ ის, ვინც თავად ხელმძღვანელობს არჩევნებს. ფულვიუსი შეედავა ტრიბუნებს, სენატისა და ხალხის ნებას იმოწმებდა, წარსულის მაგალითებს იშველიებდა. კარგა ხნის კამათის შემდეგ მოდავენი იმაზე შეთანხმდნენ, რომ სენატს გამოეტანა თავისი განაჩენი და ორივე მხარე მას დაემორჩილებოდა. სენატმა საჭიროდ სცნო, ასეთ მრისხანე დროს სახელმწიფო ემართათ გამოცდილ მხედართუფროსებს და არჩევნების დაყოვნება არ მოიწონა. ტრიბუნები დათმობაზე წავიდნენ, არჩევნები შედგა და მომავალი წლის კონსულებად გამოაცხადეს კვინტუს ფაბიუს მაქსიმე — მეხუთედ და კვინტუს ფულვიუს ფლავუსი — მეოთხედ.

¹ სახალხო ტრიბუნატი იყო ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც ვერ გაუქმებდა და ვერ შეცვლიდა დიქტატორის დანიშვნა.

² არსებობდა სახალხო კრების დადგენილება, რომელიც კრძალავდა ით წელიწადზე აღრე კონსულის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირის არჩევას, მაგრამ იგი ხშირად ირღევოდა მეორე პუნიკური ომის დაწყებამდე.

ომის მხათე ჟელი

ომის დაარსებიდან 545 (209 ჟელი ჩვენს მრამდე)

ხალმა კონსულებმა დაიკავეს თავიანთი თანამდებობა და ერთმანეთში პროვინციები გაიყვეს. ფაბიუსს ტარენტუმში ერგო, ფულვიუსს — ლუკანია და ბრუტიუმში. სანამ ჭარებთან წავიდოდნენ, ლაშქრად გაწვევა დაიწყეს, რომელმაც მოულოდნელი მღელვარება გამოიწვია ლათინთა ქალაქებში. ლათინელები გროვდებოდნენ შეკრებებზე და აღშფოთებულნი ლაპარაკობდნენ, რომ ათწლიანმა ლაშქრად გაწვევებმა და მძიმე გადასახადებმა მათი ძალები მთლიანად გამოფიტა, რომ წელი ერთია — დანაკლისი კი აურაცხელი. ერთნი ბრძოლაში იღუპებიან, სხვებს ავადმყოფობა ანადგურებს. ძველი მეომრები აღარ ბრუნდებიან, ახლები კი სულ მიდიან და მიდიან. მალე ლათინთა ქალაქებში არც ერთი მოზრდილი კაცი აღარ დარჩება. ნუ დაველოდებით ამ დღეს და სანამ გვიანი არაა, რომაელ ხალხს ჭარით დახმარებაზე უარი ვუთხრათ. შეიძლება რომაელები დაფიქრდნენ და კართაგენელებთან ზავი დადონ, თორემ, სანამ ჭანიბალი ცოცხალია, იტალიაში ომი არ შეწყდება.

ლათინთა ამბოხი

მაშინ რომის ოცდაათი კოლონია¹ არსებობდა. იმათგან თორმეტმა კონსულებს მოახსენა, არც ხალხის მიცემა შეგვიძლია და არც ფულისო.

კონსულები გაოგნებული იყვნენ. მათ მიიჩნიეს, რომ ამჯერად უფრო მართებული და სასარგებლო იქნებოდა მკაცრი გაფრთხილება, ვიდრე თხოვნით დაყოლიება და მოციქულებს უპასუხეს:

— თქვენ გაკადნიერდით და კონსულებს ისეთი რამ უთხარით, რომლის გამეორებას სენატში ვერ გავებდავთ. ეს მარტო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა კი არა, რომის ხალხის წინააღმდეგ აშკარა ამბოხია. უკან გაბრუნდით და ერთხელ კიდევ ყოველივე აწონ-დაწონეთ. თქვენ ხომ კამპანიელები ან ტარენტუმელები არა ხართ, თქვენ რომაელები ხართ, ჩვენი მოდგმისანი, თქვენ აქედან გაგიყვანეს, კოლონიებში დაგასახლეს, მტრისთვის წართმეულ მიწაზე. თქვენ ისეთივე მოვალეობა გაკისრიათ რომის წინაშე, როგორც შვილებს მშობლების წინაშე. თქვენ კი გადაგიწყვეტიათ, ულალატოთ რომის სახელმწიფოს და ჰანიბალს ჩააბაროთ სამშობლო. გაქრა თქვენი დედაშვილური გრძნობა, ხსოვნა თქვენი ძველი მამულისადმი?

მაგრამ კონსულების სიტყვებს ლათინებზე არ უმოქმედია. იქ გადასაწყვეტი არაფერი გვაქვს, რადგან ჩვენი ქალაქები გაუკაცურდა და ხაზინა დაცარიელდაო. როცა მათ უჯიათობაში დარწმუნდნენ, კონსულებმა სენატს მოხსენება წარუდგინეს. შიშმა შეიპყრო სენატორები. ამბობდნენ, რომის სახელმწიფო დაიღუპება, ამ კოლონიებს სხვა კოლონიები მიბაძავენ, მათ — მოკავშირეები და მთელი იტალია გადაწყვეტს, რომი ჰანიბალს ჩააბაროსო.

კონსულები ამშვიდებდნენ სენატორებს, უმტკიცებდნენ, სხვა კოლონიები უთუოდ შეასრულებენ თავიანთ მოვალეო-

¹ ლივიუსი ლაპარაკობს იმ დასახლებებზე, რომლებიც V და IV საუკუნეებში ჩვენს ერამდე წარმოიშვა რომის მიერ დაპყრობილ მიწებზე. მათი წესოვნებები, თუმცა რომაელთა შთამომავალნი იყვნენ, მაგრამ რომის მოქალაქის სრული უფლებები არ ჰქონდათ და სარგებლობდნენ ეგრეთ წოდებული ლათინური მოქალაქეობით (თუმცა კოლონიები შესაძლებელია ლათინის ფარგლებს გარეთ ყოფილიყო).

ბას, ესენიც, მემამბოხეებიც, გონს მოვლენ, თუკი უფრო მკაცრად მოვექცევითო. სენატმა კონსულებს დაავალა ისე ემოქმედათ, როგორც სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭიროდ მიიჩნევდნენ. თავდაპირველად კონსულებმა გადაწყვიტეს გამოერკვიათ, რა აზრისანი იყვნენ სხვა კოლონიებში და შეხედნენ მათ მოქალაქეებს, რომლებიც ასევე რომში იმყოფებოდნენ. კონსულების შეკითხვაზე, მოამზადეს თუ არა მათ მეომრები თანახმად ხელშეკრულებისა¹, ფრეგელმა მარკუს სექსტილიუსმა თვრამეტი კოლონიის სახელით უპასუხა, მეომრები მზად არიან, თუკი საჭირო იქნება, კიდევ გამოვიყვანთ და, საერთოდ, რომაელი ხალხის ყველა ბრძანებას შევასრულებთ. ამისათვის ძალაც შეგვწევს, საშუალებაც გაგვაჩნია და სიმაძავეც გვაქვსო. კონსულებმა საკმარისად არ მიიჩნიეს თავად შეექოთ ისინი და მოციქულები კურიაში მოიყვანეს — სენატმა, მათდა პატივსაცემად, საგანგებო დადგენილება მიიღო და დაავალა კონსულებს ყველაფერი სახალხო კრებისათვის მოეხსენებინათ, რომ ხალხსაც გამოეთქვა მათდამი მადლობა.

რაც შეეხება იმ თორმეტ კოლონიას, რომლებიც უარს აცხადებდნენ მორჩილებაზე, სენატმა არც მოიხსენია, მათ ელჩებს პასუხიც არ გასცა — არც წასვლის ნება მისცა, არც დარჩენა სთხოვა. ამ უსიტყვო გაკიცხვაში შესანიშნავად გამოვლინდა სიდიადე და ღირსება რომის ხალხისა.

ბოლოს კონსულები ჯარებთან გაემგზავრნენ. ფაბიუსმა სთხოვა ფულვიუსს, ამასთან წერილი გაუგზავნა მარკელუსს, შეეცადეთ ჰანიბალის ყურადღება მიიპყროთ და ამასობაში ტარენტუმს ალყას შემოვარტყამო. თუკი მტერს ამ ქალაქს წავართმევთ, ამტკიცებდა იგი, პუნი იტალიას დატოვებს, რადგან ტარენტუმი მისი უკანასკნელი ბურჯიაო. ფაბიუსმა წერილი მისწერა რეგიუმში ყარაულების რაზმის უფროსსაც, რომელიც გასულ წელს მარკუს ვალერიუსმა დანიშნა. რაზმი, როგორც ვთქვით, ძირითადად, ყაჩაღებისა და ქურდებისაგან შედგებოდა, რომლებიც ვალერიუსმა სიცილიიდან გადმოი-

¹ ყოველ მოკავშირე ხალხთან და ყოველ კოლონიასთან რომმა ხელშეკრულება დადო, სადაც სხვა პირობებთან ერთად აუცილებლად მითითებული იყო, რა რაოდენობის ჯარი უნდა მიეცათ მოკავშირეებს.

ყვანა. მათ მიემატათ ჰანიბალისაგან გამოქცეული ბრუტიუმელები — ასევე თავზეხელაღებული ავაზაეები. კონსულების ბრძანებას ისინი არა თუ ხალისით, დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ, აოხრებდნენ ბრუტიუმის ველებს, ზოცავდნენ, დევნიდნენ და ძარცვავდნენ ყველას, ვისაც მოიხელთებდნენ.

ღამარცხეზის კვალდაკვალ — ბამარჯვება

როგორც კი ჩეჩილი ამოიწვერა და ველ-მინდვრები ამწვანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხენებისათვის საკვები გაჩნდა, მარცელუსი საზამთრო ბინიდან გამოვიდა. აპულიის შუაგული ადგილები გაშლილია, ჩასაფრება შეუძლებელია და ჰანიბალმა გადაწყვიტა, უკან, ტუისკენ დაეხია. მარცელუსი ფეხდაფეხ მისდევდა, მის შორიანხლოს ბანაკებოდა და, როგორც კი კარვებს დასცემდნენ და მიწის ზვინულებს აღმართავდნენ, ლეგიონერებს საომრად დააწყობდა. პუნი ცხენოსან ჯარს და მსუბუქად შეიარაღებულ ქვეით ჯარს აგზავნიდა, პატარ-პატარა შეტაკებებს აწყობდა, მაგრამ დიდ ბრძოლას თავს არიდებდა. ერთხელ, მარცელუსი მტერს ღამის მარშის დროს შეეჩხება. როგორც კი რომაელები დაინახეს, კართაგენელებმა ძაშინვე დაბანაკება დაიწყეს, მაგრამ რომაელებმა ყოველ მხრიდან შეუტიეს. პუნები იძულებულნი გახდნენ, სამუშაოები შეეჩერებინათ და რომაელებს შეებმოდნენ. ბრძოლა დილით დაიწყო და საღამომდე გაგრძელდა, თუმცა გადამწყვეტი წარმატება არც ერთ მხარეს არა ჰქონდა.

მეორე დღეს, როგორც კი ირიერაჟა, მარცელუსმა ჯარი ისევ საბრძოლველად მოაწყო. ამჯერად პუნებსაც განზრახული ჰქონდათ ებრძოლათ. ჰანიბალმა წარმოთქვა საკმაოდ დიდი სიტყვა, მოაგონა მათ კანე და ტრაზიმენის ტბა და მოუწოდა მტრის ყოყონობისათვის ზღვარი დაედოთ.

— რასა ჰგავს ეს? — ამბობდა იგი. — დღე და ღამ სამველს არ გვაძლევენ, გზაზე ვერ გაგვივლია, ვერ დავბანაკებულვართ, ვერსად გაგვიხედავს, სული ვერ მოგვითქვამს! გათენდება თუ არა, მაღლა, ცაზე ამომავალ მზეს ვხედავთ, დაბ-

ლა მიწაზე — საბრძოლველად გამზადებულ რომაელებს. ჰკუთ
ვასწავლოთ მათ ისე, როგორც საჭიროა და ამას იქით ჩუმად
და მოსვენებით იქნებიან!

კართაგენელებს მოსწყინდათ და მობეზრდათ რომაელების
დაჟინებული დევნა და მხედართმთავრისათვის ძნელი არ იყო
მათი გაქეზება. გააფთრებით ეკვეთნენ ისინი რომაელებს და
ორი საათის განმავლობაში მკლავმოუღლელად იბრძოდნენ.
რომაელების მარჯვენა ფლანგმა (იგი მოკავშირეებს ეკავათ)
უკან დაიხია. მარცელუსმა მაშველი ძალები გამოიყვანა — მე-
თვრამეტე ლეგიონი, მაგრამ ლეგიონერები არ ჩქარობდნენ
უწესრიგოდ უკუქცეულ მოკავშირეთა ადგილების დაკავებას.
არევე-დარევა გადაედო ცენტრსაც და მარცხენა ფლანგსაც,
შიშმა სილია სირცხვილს და რომაელები გაიქცნენ.

დაახლოებით ორი ათასი შეიდასი კაცი მოკლეს. ექვსი საბ-
რძოლო დროშა მტერმა ხელთ იგდო.

როცა თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ, მარცელუსმა მეომ-
რებს ისეთი მრისხანე სიტყვით მიმართა, რომ მათ იგი დამარ-
ცხებაზე მეტად ემწარათ.

— მადლობა უკვდავ ღმერთებს, — თქვა მან, — რომ პუნმა
მხოლოდ მიწის ზეინამდე და ჰიშკრამდე გდიათ. — მას შეეძლო
თვით კარვებამდეც დაგდევნებოდათ და თქვენ ბანაკს იმავე
ბრმა შიშით მიატოვებდით, რა შიშითაც მიატოვეთ თქვენი ად-
გილები — მწყობრში! საიდანაა ეს შიში? თქვენ რა, დაგავიწყ-
დათ ვის ებრძვით? თქვენ ებრძვით მტერს, რომელსაც
ურტყამდით მთელი გასული ზაფხული, რომელიც მთელი ბო-
ლო დღეები უკან იხევდა, რომელსაც სული ამოხადეთ წვრილ-
წვრილი შეტაკებებით და ჯერ კიდევ გუშინ განძრევის საშუა-
ლებას არ აძლევდით. რა შეიცვალა ამ ერთ დღე-ღამეში? იქ-
ნებ თქვენი რიგები შემცირდა, ანდა მტრისა გაიზარდა? არა,
საქმე ამაში როდია. თქვენ თვითონ შეიცვალეთ. სხეული კვლა-
ვინდებურად ძველი გაქვთ, იარაღიც ძველი, სული კი გამო-
გეცვალათ. ასე რომ არ იყოს, განა პუნი დაინახავდა თქვენს
ზურგს, განა დროშებს წაგართმევდათ?

მეომრებმა ყვირილი ატეხეს. ოლონდ ეს დღე გვაპატიე და
როცა გინდა, გამოგვცადეო.

— კეთილი, — დაასკვნა მარცელუსმა, — მე თქვენ სხვა

დროს კი არა, ხვალვე გამოგცდით, რომ გაიმარჯვოთ და გამარჯვებულებმა სთხოვოთ თქვენს მხედართმთავარს პატიება!

მარცელუსმა ბრძანა, მოკავშირეთა კოჰორტებისათვის, რომლებმაც დროშები დაკარგეს, ხორბლის პურის ნაცვლად, ქერის პური მიეცათ¹, მანიპულის ცენტურიონებს, რომლებმაც ასევე დაკარგეს დროშები, უბრძანეს მახვილები და ქამრები შეეხსნათ. შეკრება ამით დამთავრდა. მეომრებმა ერთმანეთთან აღიარეს, რომ დამსახურებულად შეარცხვინეს და თავლათი დაასხეს, რომ დღევანდელ დღეს მთელ ჯარში მარცელუსის გარდა ნამდვილი მამაკაცი არ იყო, რომ ეს სირცხვილი ან სიკვდილით ჩამოირეცხონ, ანდა ბრწყინვალე გამარჯვებით.

მეორე დღეს საბრძოლველად მზადყოფი მთელი ჯარი მარცელიუსის კარავთან გამოცხადდა. სარდალმა თქვა, წინა რიგებში გაქცევის მოთავეებს და კოჰორტებს დავაყენებ, რომლებმაც დროშები დაკარგეს, მაგრამ ბრძოლით კი ყველამ ერთნაირი შეუპოვრობით უნდა იბრძოლოს, რათა დღევანდელმა სასიხარულო ცნობებმა გუშინდელ სამწუხარო ცნობებს ჩაუსწროსო რომში. შემდეგ თქვა, კარგად ჰმამეთ, რომ ბრძოლის დროს ღონე არ გამოგელიოთ, თუკი ომი დიდხანს გაგრძელდებაო.

როცა ჰანიბალს მოახსენეს, რომაელები საბრძოლველად ეწყობიანო, მან წამოიძახა:

— ამ კაცს არ შეუძლია ბედს შეურიგდეს, რაც არ უნდა წალმა-უკულმა ტრიალებდეს მისი ჩარხი. თუ გაიმარჯვა, დამარცხებულს მხრებზე ზვავად აწვება, თუ დამარცხდა, ცდილობს, გამარჯვებულს ყელში სწვდეს!

ორივე მხარე მეტი გააფთრებით იბრძოდა, ვიდრე წინა დღეს. რომაელებს მარცხენა ფრთაზე ის კოჰორტა ჰყავდა, წინა დღეს თავი რომ შეირცხვინა. მარჯვენაზე — მეთვრამეტე ლეგიონი. ფლანგებს სარდლობდნენ მარცელუსის ლეგატები. მარცელუსმა თავისთვის ცენტრი აირჩია, რომ უკეთ დაენახა ყველაფერი და თუკი საჭირო იქნებოდა, დროულად გაემხნევეზინა ან შეერცხვინა ჯარისკაცები. მდგომარეობა დიდხანს გა-

¹ ჯარისკაცის ულუფის ასეთი შეცვლა, სიმბდალისათვის ჩვეულებრივი დახჯა იყო.

ურკეველი იყო და ჰანიბალმა განკარგულება გასცა, წინ სპილოები გაეშვათ. თავდაპირველად რომაელები შეკრთნენ და დაიბნენ. ისინი, ვინც სპილოებთან ახლოს იყო, უკან შებრუნდნენ, თავიანთი შიში მეზობლებსაც გადასდეს და საბრძოლო მწყობრი მოშალეს.

მათ მაგალითს ალბათ ბევრი მიბაძავედა, რომ სამხედრო ტრიბუნი გაიუს დეციუს ფლავუსი არ ყოფილიყო. მან ხელი სტაცა შუბოსანთა პირველ მანიპულის დროშას და მთელი მანიპული თან გაიყოლა. დეციუსი თავისი ხალხით იმ ადგილზე გაჩნდა, სადაც სპილოები შეგროვებულიყო და ბრძანა, ცხოველებისათვის შუბები და ხელშუბები დაეშინათ. მიზანი არავის აუცილებია, რადგან მანძილი უმნიშვნელო იყო, სამიზნე კი ვეება. დაჭრილი ცხოველები მაშინვე უკან გაქანდნენ და თან უვნებელნიც გაიყოლეს. ახლა არა თუ მარტო მანიპული, არამედ ყოველი მეომარი, ვინც კი გაქცეულ სპილოს გაუთანასწორდებოდა, შუბს ესროდა.

ტივილებისაგან გაცოფებულმა ცხოველებმა დაიწყეს თავისიანების თელვა და რომაელებზე გაცილებით მეტი პუნი მოკლეს. გამრეკი, სპილოს ზურგზე რომ ზის და მართავს, უფრო უუნარო გამოდგა, ვიდრე თვით ცხოველის გულში ჩაგარდნილი შიში.

რომაელთა ქვეითმა ჯარმა ადვილად დაასრულა სპილოების წამოწყებული საქმე.

გაქცეულ მოწინააღმდეგეს მარცელუსმა ცხენოსანი ჯარი დაადევნა, რომელმაც პუნებს ბანაკამდე სდია. ლტოლვილებს უბედურებაზე უბედურება დაერთოთ — ორი დაჭრილი სპილო კიშკარში ჩახერგილიყო და მათ ხანდაკსა და მიწის ზეინულზე გადაბობლება მოუხდათ. ყველაზე მეტი სწორედ აქ დაიღუპა. მტრებმა, დაახლოებით, რვა ათასი მეომარი და ხუთი სპილო დაკარგეს. თუმცა ეს გამარჯვება რომაელებსაც დიდი სისხლის ფასად დაუჯდათ. ლეგიონერებმა ათას შვიდასი მეომარი დაკარგეს, მოკავშირეებმა — ათას სამასი.

იმავე ღამით ჰანიბალმა ბანაკი აყარა. მარცელუსს არ შეეძლო დადევნებოდა, რადგან ბევრი დაჭრილი ჰყავდა.

კვინტუს ფაბიუს მაქსიმე ტარენტუმს მიუახლოვდა და ნავსადგურის შესასვლელთან, ციხესიმაგრის პირდაპირ დაბანაკდა. რომის სამხედრო ხომალდები, რომლებიც აქ იდგნენ და ციხესიმაგრეში მისასვლელ საზღვაო გზას იცავდნენ, მან სააღყო მანქანებითა და გემსართავით დატვირთა, ასევე დაალაგა ზედ კატაპულტები, ბალისტები და ყველა სახეობის სატყორცნი ქურავები. საზღვაო შტურმისთვის მოამზადეს სატვირთო გემებიც: ზოგს გალავანთან მანქანებისა და კიბეების მიზიდვა ევალებოდა, ზოგს — გემებზე მეომრების მიყვანა, რომლებიც ქალაქის დამცველებს შორიდან დაუწყებდნენ ბრძოლას.

მაგრამ ნანატრ გამარჯვებამდე ფაბიუსი ამ სამზადისმა კი არა, ერთმა სათქმელადაც კი უმნიშვნელო შემთხვევამ მიიყვანა. პუნთა გარნიზონში, რომელიც ტარენტუმს დარაჯობდა, იყო ბრუტიუმელთა რაზმი. რაზმის უფროსს შეუყვარდა ერთი ტარენტუმელი ქალი, ხოლო ქალის ძმა ფაბიუსთან მსახურობდა. ძმასთან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში და იკვებნინდა, ერთ მდიდარ უცხოელს ვუყვარვარო. ძმამ იფიქრა, ხომ არ შეიძლება დის მეშვეობით მიჯნურზე ისე ვიმოქმედოთ, რომ რომაელებისათვის სასარგებლო იყოსო. თავისი ფიქრი მან კონსულს გაანდო. ფაბიუსმა დაარიგა, ვითომ ჩვენგან გაიქეცი და ტარენტუმში წადიო. ქალის ძმამ მოახერხა დამეგობრებოდა ბრუტიუმელს, გაეგო მისი ხასიათი და ჯერ ფრთხილად, ნართაულად, მერე კი აშკარად უთხრა, პუნებს უღალატეო, ბრუტიუმელი დაეთანხმა. როცა ყველაფერზე მოილაპარაკეს და დრო დათქვეს, ფაბიუსის მეომარი ღამით ქალაქიდან გამოიპარა და კონსულს ყველაფერი უამბო — დავალება შევასრულე და უნდა ვიმოქმედოთო.

ბრუტიუმელის მიერ დათქმული დრო რომ დადგა, ფაბიუსმა პირველ საყარაულო ღამეს ნიშანი მისცა ციხესიმაგრეში მყოფ რომაელებს, თვითონ კი ნავსადგურს შემოუარა და ტარენტუმის აღმოსავლეთ გალავანთან ჩასაფრდა. ამის შემდეგ ციხესიმაგრეში, ნავსადგურის შესასვლელში და იმ გემებზე, გაშლილ ზღვაში რომ იდგნენ, ერთდროულად გაისმა ბუკის

ხმა, ხმაური და განგაში წინასწარ განზრახული, მოჩვენებითი იყო, რადგან ნამდვილი საშიშროება ქალაქს ამ მხრიდან არ ემუქრებოდა, მაგრამ ტარენტუმელმა დემოკრატემ, აღმოსავლეთ გალავანს რომ მეთაურობდა, იფიქრა, დაყოვნება არ შეიძლებაო: აქ ყველგან სიჩუმეა, ხოლო სხვა კვარტალებიდან ისეთი ყვირილი ისმის, როგორც ქალაქში მტრის შემოჭრის დროსაა ხოლმე. მაშასადამე, იერიში დაიწყო და შეიძლება რომის კონსული უკვე ტარენტუმშიცაა! დემოკრატემ თავისი ხალხი საჩქაროდ ციხესიმაგრის იმ მხარეს წაიყვანა, საიდანაც განსაკუთრებით საზარელი ყვირილი მოისმოდა.

ფაბიუსი ჩუმად იყო, არ ინძრეოდა. მან გაიგონა, როგორ წამოშალეს მტრის უფროსებმა ჯარისკაცები და უბრძანეს, იარაღი აესხათ. მერე ფეხის ხმა და იარაღის ქლარუნიც მოესმა. როცა ხმაური მინელდა, იგი მიხვდა, რომ ფანდმა გასჭრა და გუშაგებმა სათვალთვალოები მიატოვეს. კონსულმა მეომრებს უბრძანა, კიბეები მოეტანათ და იმ ადგილას მიედგათ, სადაც წინასწარ მიუთითა ბრუტიელმა (გალავნის ამ ნაწილს მისი ტომის ხალხი იცავდა). რომაელები ადვილად გადავიდნენ ზღუდეზე — ბრუტიელები თვითონვე ეხმარებოდნენ — ქალაქში ჩავიდნენ და თავდაპირველად მახლობელი კარიბჭე დალწეს. ამ კარიბჭიდან შეცვივდნენ ქალაქში ფაბიუსის დანარჩენი მეომრები. ახლა ამათაც დასცეს ყიყინა, მაგრამ მტრის მთელი გარნიზონი ციხესიმაგრესთან და ნავსადგურთან იყო თავმოყრილი, ასე რომ, რომაელებს წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, ისე მიაღწიეს ბაზრის მოედანს. მხოლოდ აქ გაიმართა პირველიცა და უკანასკნელი ბრძოლაც. ვერც მამაცობით. ვერც იარაღით, ვერც სამხედრო წყობით, და ვერც ძალ-ღონით ტარენტუმელები რომაელებს ვერ შეედრებოდნენ. ერთი-ორჯერ სტყორცნეს შუბები და ისე მიმოიფანტნენ ნაცნობ ქუჩებში, რომ მახვილიც არ უშიშვლებიათ. ზოგი საკუთარ ბინებში დაიმალა, ზოგმა მეგობრების ბინებს შეაფარა თავი. ორი წინამძღოლი ნიკონი და დემოკრატე გმირულად იბრძოდნენ და დაიღუპნენ, ხოლო ფილემენი, პირველმა რომ განიზრახა ჰანიბალისათვის ტარენტუმის ჩაბარება, გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ იპოვეს მისი ცხენი. პატრონი კი არსად ჩანდა, ალბათ ქაში თუ დაიხრჩო თავი.

კართაგენის გარნიზონის უფროსს ფაბიუსთან ძველი მემკვიდრეობითი სტუმართმოყვარეობა აკავშირებდა. მან გადაწყვიტა, მოენახა ფაბიუსი და უიარალოდ მის საძებნელად გასწია, მაგრამ გზაში რომელიღაც მეომარმა მოკლა. ხოცავდნენ განურჩევლად ყველას — ტარენტუმელებსაც და კართაგენელებსაც. ბრუტიუმელიც ბევრი დაიღუპა, შეიძლება შეცდომით, შეიძლება რომაელების დიდი ხნის სიძულვილის გამოც, დაბოლოს, შეიძლება იმიტომაც, რომ გამარჯვებულები, რომელთაც სურდათ თავიანთი გამარჯვება საკუთარ მამაცობისათვის დაებრალეზინათ და არა სხვისი გამცემლობისათვის, უსიამოვნო მოწმეებისგან თავს ითავისუფლებდნენ.

ხოცვა-ჟლეტით რომ გაძდნენ, ქალაქის ძარცვას მიჰყვეს ხელი. ამბობენ, ოცდაათი ათასი მონებად წაასხეს, ხელთ იგდეს აურაცხელი რაოდენობის ვერცხლის ფული და ნაკეთობანი, ათას კილოგრამზე მეტი ოქრო, ქანდაკებები და სურათები თითქმის იმდენივე, რამდენიც სირაკუზში. თუმცა ქანდაკებებს ფაბიუსი უფრო დიდსულოვნად მოექცა, ვიდრე მარცელუსი სირაკუზში. როცა მსახურმა, ნადავლის აღწერას რომ აკეთებდა, კონსულს ჰკითხა, რა ვუყოფო ღმერთების უზარმაზარ ქანდაკებებსო, — რატომღაც ყველა ისინი საომარ საქურველში იყვნენ გამოწყობილნი, — ფაბიუსმა უპასუხა:

— განრისხებული ღმერთები ტარანტუმელებს დავეუტოვოთ.

ფაბიუსმა ბრძანა, გალავანი, პუნებმა ციხესიმაგრის წინ რომ აღმართეს, ძირიან-ფუძიანად დაენგრიათ.

როცა ჰანიბალმა გაიგო, რომაელები ტარენტუმს შემოერთყნენო, საშველად გამოსწია, მაგრამ გზაშივე შეიტყო, რომ ყველაფერი დამთავრებულა იყო.

— რომაელებსაც ჰყავთ თავიანთი ჰანიბალი, — თქვა ჰანიბალმა მაშინ, — როგორც ავიღეთ ტარენტუმი, ისე დავკარგეთ იგი — ეშმაკობითა და გამცემლობით.

ვინმეს რომ არ ეფიქრა, ფაბიუსის შეეშინდა და გაიქცაო, ჰანიბალი ქალაქიდან შვიდი თუ რვა კილომეტრზე დაბანაკდა და იქ რამდენიმე დღეს დაჰყო, შემდეგ კი აიყარა და მეტაპონტიისაკენ დაიძრა. მეტაპონტიდან ჰანიბალმა ორი ადგილობრივი მოქალაქე ფაბიუსთან გაგზავნა და წერილი გაატანა, ვი-

თომ წარჩინებული მოქალაქეების დაწერილი. მოქალაქეები კისრულობდნენ ქალაქის და კართაგენელთა საგუშაგო რაზმის ჩაბარებას, თუკი კონსული მათ წინანდელ ამბებს აპატიებდა¹.

ფაბიუსს ეჭვი არ აუღია და საპასუხო წერილში დღე დათქვა, როცა ჯარით მეტაპონტში მივიდოდა. ეს წერილი, რა თქმა უნდა, მაშინვე პუნს მიუტანეს. იგი წინასწარ ზეიმობდა, როგორ გააბამდა მახეში ფრთხილთა შორის ყველაზე ფრთხილ კაცს — ფაბიუსს. მაგრამ ფაბიუსმა, სანამ ტარენტუმიდან წამოვიდოდა, საღვთო ქათმებზე იმკითხავა. ქათმებმა ზედიზედ ორჯერ არ აკენკეს საკვები. მაშინ ღმერთს მსხვერპლი შესწირეს და როცა ქურუმმა შიგნეულობა ნახა, თქვა: კონსულმა მტრის ვერაგობასა და მახეს უნდა ერიდოსო.

დათქმულ დროს ფაბიუსი არ გამოცხადდა. იგივე შიკრიკები მივიდნენ მასთან და სთხოვეს, ნუ აყოვნებო. ორივე შიკრიკი შეიპყრეს და წამების შიშით ყველაფერი აღიარებინეს.

პუბლიუს სციპიონის მემორე მსპანური კამპანია

პუბლიუს სციპიონმა მთელი ზამთარი მოანდომა ესპანეთში ბარბაროსულ ტომებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, იგი უსასყიდლოდ უბრუნებდა მათ ტყვეებსა და მძევლებს, გულუხვად ასაჩუქრებდა. გაზაფხულზე მისმა მეცადინეობამ პირველი ნაყოფი გამოიღო. რომის ბანაკში გამოცხადდა ცნობილი ბელადი ელესკონი. იგი მხოლოდ იმის გამო როდი მოვიდა, რომ ახალ კართაგენში დატყვევებული ცოლ-შვილი მძევალთა შორის ეგულებოდა, არამედ იმის გამოც, რომ დაემორჩილა საღ მსჯელობას, რომელიც მთელ ესპანეთს ამორებდა კართაგენელებთან, ხოლო აახლოვებდა რომაელებთან.

იმავე მიზეზით ილერგეტების ბელადებმა, მანდონიუსმაც და ინდიბილისმაც დატოვეს ჰასდრუბალ ბარკას ბანაკი და თან წაიყვანეს თავიანთი თანამემამულეებიც. ჰასდრუბალი ხედავდა: რა სისწრაფითაც კლებულობდა მისი ძალები, იმ სის-

¹ რომის ლალატს და კართაგენელთა მხარეზე გადასვლას.

წრწვით მატულობდა მტრის ძალები და სურდა, რაც შეიძლება, მალე შეებოდა მტერს. იგივე უნდოდა სციპიონსაც. მართალია, ახლა მოკავშირეთა დენა საკუთარ თავში რწმენას უფრო და უფრო განუმტკიცებდა, მაგრამ სამივე კართაგენელი მხედართმთავრის ერთად შეხვედრისა კვლავინდებურად ეშინოდა და იმედოვნებდა ცალ-ცალკე გაენადგურებინა. იმ შემთხვევისათვის, თუ საქმე მოულოდნელად ცუდად წავიდოდა, მან თავის ჯარი, აი, როგორ გაზარდა: პუნთა ფლოტი ესპანეთის ნაპირებს გაეცალა და, მაშასადამე, რომაელებსაც აღარ სჭირდებოდათ გემები. სციპიონმა ხომალდები ტარაკონის ნავსადგურში დააყენა, მეზღვაურები კი ქვეითებში ჩარიცხა, და ისინი იმ იარაღით შეაიარაღა, რომელიც ხელთ იგდო ახალ კართაგენის საწყობებში.

გაზაფხულის დადგომისთანავე სციპიონი გამოვიდა ტარაკონიდან (ამ დროისათვის, გაიუს ლელიუსი, ურომლისოდაც მას არ სურდა ამ კამპანიის დაწყება, რომიდან დაბრუნდა). სამხრეთის რომელიღაც მოკავშირე ტომის მიწაზე მას შემოხედნენ ინდიბილისი და მანდონიუსი.

ინდიბილისი ორივეს სახელით ლაპარაკობდა, სულ არ ჰქონდა ბარბაროსების კილო. იგი როდი ტრაბახობდა პუნებს რომ უღალატა, უფრო თავის მართლებას ცდილობდა და შექმნილ მდგომარეობას იმიზეზებდა.

— უწინდელ მოკავშირეებს სძულდათ მოღალატე, — ამბობდა იგი, — სხვანაირად არც შეიძლება, მაგრამ ახლებიც ექვის თვალით მიყურებენ. ესეც კარგად მესმის. კართაგენელები ჩვენ, ილერგეტებს, ერთგულებას ქედმაღლობით, უზომო სიხარბითა და ყოველგვარი შეურაცხყოფით გვიხდიდნენ. ასე რომ, უწინაც ჩვენ მხოლოდ სხეულით ვიყავით მათთან, სულით კი იმათ ვეკუთვნოდით, ვინც პატივს სცემს სამართალს და სამართლიანობას. ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ — შენთან გადმოსვლას ნურც ყვედრებად ჩაგვითვლი და ნურც დამსახურებად. მალე ჩვენ საქმეში გაგვიცნობ და მაშინ დაგვაფასებ ღირსეულად.

რომის სარდალმა უპასუხა, სწორედ ასე მოვიქცევით. შემდეგ ილერგეტების ბელადებს ცოლ-შვილი მოუყვანეს. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და სიხარულისაგან ატირდნენ. მეო-

რე დღეს კავშირი ფიცით განამტკიცეს და ესპანელებმა თავიანთ ჯარს მიაშურეს.

ჰასდრუბალს ქალაქ ბეკულის მახლობლად დაეცა ბანაკი. წინ ცხენოსანთა საყარაულოები განელაგებინა. რომაელებს ჯერ არ შეერჩიათ სადგომი, მაგრამ მათი მსუბუქი ქვეითი ჯარი თავს დაესხა კართაგენის ცხენოსნებს, მტერი ბანაკში შერეკა და ლამის თვითონაც შიგ შეჰყვია. ამ პირველმა შეტაკებამ აშკარა გახადა ორივე მხარის სულიერი განწყობა და სიმტკიცე. ღამით, ჰასდრუბალი ავიდა ბორცვზე, რომელსაც სწორი, ბრტყელი თხემი და დაქანებული, ციცაბო კალთები ჰქონდა. ბორცვს უკან მდინარე ჩაუდიოდა. მის ძირას ფართო, ასევე სწორი, მაგრამ ოდნავ დამრეცი შევრილი იყო, რომელიც მკვეთრად ეშვებოდა.

ღლით რომაელები თავიანთი ბანაკის წინ საბრძოლო წესისამებრ განლაგდნენ. ხოლო ჰასდრუბალმა მწვერვალიდან შევრილისაკენ ნუმიდიელთა ცხენოსანი ჯარი, ბალეართა და აფრიკელთა ქვეითი ჯარი დაძრა. სციპიონმა შემოიარა რაგები. იგი მეომრებს ეუბნებოდა, მტერმა გაშლილ ველზე გამარჯვების რწმენა დაკარგა და მამაცობისა და იარაღის იმედი კი არა აქვს, არამედ მხოლოდ პოზიციის ძალისა. მაგრამ ახალი კართაგენის ზღუდე უფრო მაღალი იყო და რომაელი მეომარი მაინც ავიდა მასზე. დე, მტრები მწვერვალზე იყვნენ, მით უფრო გაუჭირდებათ გაქცევა, ხრამში ჩაცვივდებიან. გასაქცევი ეს გზაც დახშული ექნებათო! ერთმა კოპორტამ მდინარის ხეობის გასასვლელი დაიკავა, მეორემ ბორცვის კალთაზე გამავეალი ბილიკი გადაჭრა, რომელიც ქალაქიდან ველისაკენ მიემართებოდა.

იმ მეომრებთან ერთად, რომლებმაც წინა დღით მტრის ცხენოსნები გაფანტეს, სციპიონი შევრილზე გამაგრებული მტრის ქვეითი ჯარის წინააღმდეგ დაიძრა. ბალეარებმა და აფრიკელებმა მათ შუბები და ისრები დააყარეს, რომაელებმა კი საპასუხოდ ქვების სეტყვა დაუშინეს. ქვები ყველგან ეყარა და წონითა და სიდიდით ძალზე მოსახერხებელი იყო. ქვებს მარტო მეომრები კი არა, ალაღის გამყოლი ურიცხვი მონაც ისროდა, რომლებიც მათთან ერთად მიდიოდნენ. რომაელების შეუპოვრობამ და გამოცდილებამ, რომელიც ქალაქისა და ციხესიმაგ-

რეების ზღუდეთა შტურმით შეიძინეს, ყველა სიძნელე გადალახა. როგორც კი პირველი მეომრები შვერილზე ავიდნენ და ფეხქვეშ სწორი ნიადაგი იგრძნეს, მტერი გაიქცა; იგი მხოლოდ შორ ბრძოლას იყო ჩვეული და ხელჩართულ ბრძოლას ვერ უძლებდა. რომაელებმა მოწინააღმდეგეთა დიდი რაოდენობა გაანადგურეს, დანარჩენებს თავდაცვის მეორე ხაზისაკენ — ბორცვის თხემისაკენ დაახვეინეს. სციპიონმა შეტევის გაგრძელება ბრძანა, თვითონ ქვევით დაეშვა, იქ მეომრები, რომლებიც ბორცვის ძირას ელოდებოდნენ, ორ ნაწილად გაჰყო. ნახევარი ლელიუსს მისცა, რომ ბორცვისათვის მარჯვნიდან შემოევლო და შედარებით მოსახერხებელი ასასვლელი მოეძებნა, მეორე ნახევარს თვითონ წარუძღვა, ბორცვის მარცხნიდან შემოუარა და პასდრუბალს ფლანგზე დაარტყა.

პუნები დაიბნენ, აღარ იცოდნენ, როგორ მოებრუნებინათ რიგები, რომ ერთდროულად გამკლავებოდნენ ფრონტიდან მოწოლასაც და სციპიონის დარტყმასაც. ამ სრულ არეულობის დროს ლელიუსიც იქ გაჩნდა. კართაგენელები უკან გავარდნენ, რომ ზურგი გაემაგრებინათ. ამ ამბით მაშინვე ისარგებლეს იმათ, ვინც ჭიქურ უტევდა და მწვერვალზე მოექცა. სანამ მტერი მწყობრში იდგა, მათ ვერ შეძლეს თხემის აღება, მით უმეტეს, რომ მის კიდევებში, დროშების წინ, სპილოები იდგნენ. ახლა პუნები აღარ უწყევდნენ წინააღმდეგობას და ბრძოლა ხოცვა-ჟლეტად გადაიქცა. რვა ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.

პასდრუბალმა ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე ბანაკიდან ხაზინა გაიტანა და სპილოების ნაწილი გაიყვანა. ბრძოლის ველიდან გამოქცეულები მან ერთად შეკრიბა და მდინარე ტაგუსისაკენ დაიხია, მდინარის გაყოლებაზე რაღაც მანძილი გაიარა და შემდეგ ენეისაკენ შებრუნდა.

სციპიონმა მტრის ბანაკი ჯარისკაცებს გასაძარცვავად მისცა. ტყვედ ჩავარდა ათი ათასი ქვეითი და ორი ათასი ცხენოსანი ჯარი. სციპიონმა ესპანელები გამოუსყიდველად შინ გაუშვა, ხოლო აფრიკელების მიმართ ბრძანა, მონებად გაეყიდათ. ესპანელები რომის სარდალს გარს შემოერთყნენ და ერთსულოვნად მეფედ გამოაცხადეს. სციპიონმა მაცნეს მეშვეობით სიჩუმე მოითხოვა და როცა ყველანი გაჩუმდნენ, თქვა:

— ჩემთვის ყველაზე ძვირფასი წოდება იმპერატორის წოდებაა, რომელიც ჩემმა მეომრებმა მიბოძეს. მეფის ტიტული კი, რომელიც ზოგიერთ მხარეში საპატიოა, რომაელებისათვის აუტანელი და საძულველია. თუკი თქვენ ჩემში მეფურ სულს ხედავთ და თუკი ეს ადამიანის პირველ და უმაღლეს ღირსებად მიგაჩნიათ, აზრს ნუ შეიცვლით, მაგრამ უთქმელად შეინახეთ, სიტყვა „მეფეს“ ხმამაღლა ნუ წარმოთქვამთ.

თვით ბარბაროსებიც კი მიხვდნენ ამ კაცის სიღიადეს.

ამის შემდეგ სციპიონმა დასაჩუქრა ესპანელი ბელადები, ინდიბილისს სთხოვა, ალაფიდან სამასი ცხენი აერჩია.

აფრიკელ ტყვეებს შორის, რომელთაც კვესტორი მთავარსარდლის განკარგულებით მონებად ჰყიდდა, იყო ერთი იშვიათი სილამაზის ბიჭი. მან კვესტორს უთხრა, მეფის გვარეულობას ვეკუთვნიო და იგი სციპიონთან მიიყვანეს. სციპიონმა გამოჰკითხა ვინ იყო, მტრის ბანაკში საიდან და როგორ გაჩნდა. ბიჭმა უთხრა: ნუმიდიელი გახლავართ, მასივა მქვია, ობოლი ვარ და პაპაჰთან, ნუმიდიელთა მეფე გალასთან ვიზრდებოდიო. ესპანეთში ბიძასთან, მასინისასთან, ერთად მოვხვდი, რომელმაც კართაგენელებს დასახმარებლად ნუმიდიელი ცხენოსნები მოუყვანა. ბიძამ მკაცრად ამიკრძალა ბრძოლის დროს კარგიდან გამოსვლა, რადგან ბრძოლაში არასოდეს ვყოფილვარ. ბრძოლის დღეს ბორცვზე მასინისას დაუკითხავად იარაღი და ცხენი ვიშოვე და სხვა ცხენოსნებთან ერთად მტრის დასახვედრად გამოვქანდი, მაგრამ ცხენმა წაიფორხილა, გადმომავლო და ტყვედ ჩავვარდიო.

სციპიონმა ბრძანა, ყოველმხრივ გაფრთხილებოდნენ ახალგაზრდა ნუმიდიელს და თვითონ საქმეებს მიუბრუნდა. როცა საქმეებს მორჩა, კარავში მასივა იხმო და ჰკითხა, მასინისასთან დაბრუნება თუ გინდაო. ბიჭი სიხარულისაგან ატირდა და უთხრა, ძალიან მინდაო. სციპიონმა მას ოქროს ბეჭედი და ფართო მეწამულზოლიანი ტუნიკა¹, ესპანური მოსასხამი, ოქროს შესაკრავი და ძვირფასად დარახტული ცხენი მისცა და

¹ ერთიც და მეორეც რომში სენატორთა წოდების ღირსების ნიშანი იყო.

ა: მხედარს უბრძანა, გაეცილებინათ ყმაწვილი და მანამ არ მოშორებოდნენ, სანამ თავად არ დაითხოვდა.

სციპიონი ჰასდრუბალს არ დადევნებია, რადგან ვარაუდობდა, რომ შეიძლებოდა იგი მაგონსა და მეორე ჰასდრუბალს შეერთებოდა. ასეც მოხდა. კართაგენელი სარდლები თათბირობდნენ, როგორ გაეგრძელებინათ ომი. ყველამ აღიარა, რომ სციპიონმა შეძლო ესპანეთი თავის მხარეზე გადაებრუნებინა, აღიარა, რომ ერთადერთი გზა, მოესპოთ ესპანელი ჯარისკაცებისთვის ღალატის საშუალება, მათი ან რომაელებისაგან ყველაზე შორეულ მხარეში გაყვანა ანდა, კიდევ უკეთესი, პირენეის გადაღმა გადაყვანა იყო. ჰასდრუბალ ბარკა იტალიაში უნდა წასულიყო ჰანიბალის დასახმარებლად არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კართაგენის სენატის ნება-სურვილი გახლდათ, არამედ იმიტომაც, რომ სხვანაირად მისი არმია თავისთავად დაიშლებოდა. ასევე გადაწყვიტეს, რომ მაგონი თავის ჯარს ჰისგონის ვაჟს, ჰასდრუბალს გადასცემდა, თვითონ დიდი თანხით ბალეარის კუნძულებზე გადავიდოდა, რომ დაქირავებული მეომრები შეეკრიბა, ხოლო ჰისგონის ვაჟი ჰასდრუბალი ლუზიტანიის შუაგულისაკენ გასწევდა, რომ რომაელებს სრულებით არ შეხვედროდა. მასინისას დაავალეს, სამი ათასი რჩეული ცხენოსნით მიშველებოდა მოკავშირეებს და ეძარცვა იმ ხალხის ქალაქები და მიწები, რომლებიც რომაელებს ეხმარებოდნენ.

მარცელუსი ხალხთან თავს იმართლებს

რომში, სციპიონის დიდებამ დაჩრდილა ყველა სხვა მხედართმთავრის წარმატებები, თვით ფაბიუს მაქსიმეს დიდებაც კი, რომელმაც ჰანიბალს ტარენტუმში წაართვა. რაც შეეხება მარცელუსს, მასზე ძალზე ცუდი ხმები დადიოდა. ჰანიბალთან მეორე ბრძოლის დროს მოპოვებული წარმატების შემდეგ იგი ჯართან ერთად ვენუსიუმში — აპულიის განაპირას დაბანაკდა და მთელი ზაფხული იქ გაატარა. სახალხო ტრიბუნი გაიუს პუბლიციუს ბიბულუსი, მარცელუსის დიდი ხნის დაუძინებელი მტერი, არცერთ მარჯვე შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა

და ხალხს მის წინააღმდეგ ამხედრებდა. ლალატს, შეგებულ უმოქმედობას დებდა ბრალად და სარდლობიდან გად ყენებას შოითხოვდა. მარცელიუსი რომში ჩამოვიდა, რომ ბიბულუსის ბრალდებისათვის პასუხი გაეცა. იმავე დროს დედაქალაქში ჩამოვიდა კონსული კვინტუს ფულვიუსი, რადგან კონსულების არჩევნები კარზე იყო მომდგარი.

საქმის გარჩევაზე ყველა წოდების ურიცხვმა ხალხმა მოიყარა თავი. გაიუს ბიბულუსი მარტო მარცელუსს კი არ ესხმოდა თავს, არამედ ყველა წარჩინებულს. მათი დანაშაულის, ვერაგობის და ზოზინის ბრალია, ყვიროდა იგი, რომ ჰანიბალი უკვე მეთაურობდა იტალიაშია. მარცელუსს ხელისუფლებას სულ უხანგრძლივებენ და უხანგრძლივებენ და აი შედეგიც: მისი ჯარი ორჯერ გაანადგურეს და მთელი ზაფხული ვენუსიუმში, ჰერქვეშ გაატარა! მარცელიუსი თავის მართლებას დიდად არ მოჰყოლია, მხოლოდ ჩამოთვალა, რა გმირობაც ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ მისმა სიტყვამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ბიბულუსი მარტო დარჩა. მეორე დღეს კონსულების არჩევნები იყო დანიშნული და რომაელებმა მარცელიუსი მეხუთედ აირჩიეს კონსულად. მისი ამხანაგი თანამდებობრივად გახდა ტიტუს კვინციუს კრისპინუსი.

ომის მეთერთმეტე წელი

რომის დაარსებიდან 546 (208 წელი ჩვენს ერაზმდ)

ქერ კიდევ გასული წლის ბოლოს ზავის სათხოვნელად ტარენტუმიდან ელჩები ჩამოვიდნენ. ისინი ითხოვდნენ ნება დაერთოთ ისევ თავისუფლად, საკუთარი კანონების მიხედვით ეცხოვრათ. სენატმა უპასუხა, თქვენი თხოვნა მოგვიანებით, ტარენტუმის დამპყრობის კვინტუს ფაბიუს მაქსიმეს თანდასწრებით გაირჩევას. რომში დაბრუნებული ფაბიუსი მხურვალე დამცველი აღმოჩნდა იმ ხალხისა, რომელიც სულ ახლახანს შტრობდა და იარაღის ძალით დაიმორჩილა. მაგრამ ბევრი სენატორი შეუვალი იყო და ამბობდა, ტარენტუმელთა დანაშაული კაპუის მცხოვრებთა დანაშაულზე ნაკლები როდია და, მაშასადამე, სასჯელსაც თანაბრად იმსახურებენო. გადაწყვეტილება ასეთი მიიღეს. ტარენტუმში ჩაეყენებინათ გუშაგთა რაზმი, ქალაქიდან არავინ გაეშვათ და მთელი საქმე კიდევ ერთხელ, მოგვიანებით გაერჩიათ, როცა იტალიაში მეტი სიმშვიდე იქნებოდა.

ამავე დროს არჩევდნენ ტარენტუმის ციხესიმაგრის უფრო-

სის მარკუს ლივიუსის საქციელს. ერთნი ამტკიცებდნენ, მისი უდარდელობისა და სულმოკლეობის ბრალი იყო, რომ ტარენტუმი პუნების ხელში გადავიდაო, მეორენი ამბობდნენ, მხოლოდ ლივიუსის დახმარებით შეძლეს რომაელებმა ტარენტუმის დაბრუნება, რადგან ხუთი წელი დაუღალავად იცავდაო ციხესიმაგრეს. მაგრამ სენატორთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ მსგავსი საკითხები ცენზორებმა უნდა გააჩიონ და არა სენატმაო. ფაბიუს მაქსიმემ მათი აზრი გაიზიარა და გესლიანად შენიშნა:

— თუძცა, ლივიუსის მეგობრები მართალნი არიან: ტარენტუმი, მართლაც, მისი დამსახურებითა და შრომით იქნა დაბრუნებული, რადგან ლივიუსს ტარენტუმი რომ არ დაეკარგა, ეს ქალაქი დასაბრუნებელიც აღარ იქნებოდა.

მარკუს კლავდიუს მარცელუსის დაღუპვა

კონსული ტიტუს კვინციუს კრისპინუსი ჯართან ლუკანიაში გაემგზავრა, იქიდან კი ბრუტიუმში გადავიდა და ქალაქ ლოკრას ალყა შემოარტყა. მარცელუსი თავის მეომრებთან ვენუსიაში დაბრუნდა და ამხანაგს წერილით სთხოვა, შემომიერთდითო. კრისპინუსმა ალყა მოხსნა, აპულიაში გადმოვიდა და მარცელუსისაგან ხუთი კილომეტრის დაშორებით დაბანაკდა. მასთან ახლოს დასცა ბანაკი ჰანიბალმაც. კონსულებს თითქმის ყოველდღიურად გამოჰყავდათ ჯარი ველზე, საბრძოლო წყობით განალაგებდნენ იმ იმედით, რომ პუნი გადამწყვეტ ბრძოლაში გამოეწვიათ და ერთბაშად დაემთავრებინათ ომი. მაგრამ ჰანიბალი ბრძოლას არ ჩქარობდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, როგორი საშიში და დაუღალავი მეტოქე ჰყავდა, თანაც ორ კონსულთან ომი, აშკარად, უთანაბრო იქნებოდა. იგი დაჟინებით ელოდა შემთხვევას, რომ მტერს ჩასაფრებოდა: ამასობაში კი წვრილ-წვრილი შეტაკებებით იმდენად არ აწუხებდა მოწინააღმდეგეს, რამდენადაც ართობდა. ზატყული უშედეგოდ იწურებოდა.

პუნთა და რომაელთა ბანაკებს შორის წამომართულიყო.

ტყით დაფარული გორაკი, რომელიც თავდაპირველად არცერთ მხარეს არ ჰქონდა დაკავებული. რომაელებმა ვერ მოასწრეს გორაკის იმ კალთის დაზვერვა, რომელიც მტრის მხარეს იყო მიქცეული, ჰანიბალი კი განზრახ ინახავდა ამ ადგილს ჩასასაფრებლად: მან ღამით იქ ნუმიდიელთა სამი ტურმი გაგზავნა, რომლებიც ტყის სიღრმეში დაიმაღლნენ. დღისით ისინი არ გამოდიოდნენ, განძრევასაც კი ერიდებოდნენ, რომ იარაღის ლაპლაპს არ გაეცა ჩასაფრებულები. რომაელები ხშირად ამბობდნენ, საჭიროა გორაკი დავიკავოთ და ყარაულები დავაყენოთ, თორემ ამას ჰანიბალი გააკეთებს და მაშინ მტერი კისერზე შეგვჯდება!

ბოლოს და ბოლოს, ამდენმა ლაპარაკმა მარცელუსი შეაწყუხა და კრისპინუსს უთხრა:

— წავიდეთ, ვნახოთ და გადავწყვიტოთ.

კრისპინუსი დაეთანხმა და ორასი ცხენოსნის თანხლებით დასაზვერად გაემართნენ.

ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით მარცელუსს იმ დღეს ღმერთებისთვის მსხვერპლი შეუწირავს, დაუკლავთ ერთი ცხოველი, ზომაზე პატარა ღვიძლი აღმოსჩენია, დაუკლავთ მეორე — ღვიძლი ჩვეულებრივზე დიდი ყოფილა — ქურუმი შექმნოთებულა და უთქვამს: ღმერთები უბედურებას წინასწარმეტყველებენო.

ბანაკს იქითა დაბლობს გზა მოკლე მანძილზე მიუყვებოდა, მერე უცებ მოტიტვლებულ ბორცვს ასდევდა და შორიდან ყველაფერი ხელის გულივით მოჩანდა. ტყის პირას ჩასაფრებული მეთვალყურე, რა თქმა უნდა, ასეთ მნიშვნელოვან შემთხვევას არ ელოდა, უბრალოდ უთვალთვალებდა ცალკეულ ჯარისკაცებს და ადვილად რომ დაეჭირათ, თავისიანებს ნიშანი მისცა. ცხენოსანთა ორი ჯგუფი ერთსა და იმავე წამს რომაელებს თავსა და ბოლოში მოექცა. კონსულები ალყაში მოემწყვდნენ, მაგრამ ბრძოლა, ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ბადრავს არ შეშინებოდა. ორასი მხედრიდან ას ორმოცდაათი მაშინვე გაიქცა. დანარჩენები შეუპოვრად და მტკიცედ იბრძოდნენ მანამ, სანამ თვით კონსულები ამხნევებდნენ და მაგალითს აძლევდნენ, მაგრამ კრისპინუსი სისხლით შეიღება, ხო-

ლო სასიკვდილოდ დაჭრილი მარცელუსი ცხენიდან ჩამოვარდა. მაშინ კი, ყველა, ვისაც ჭერ კიდევ შეეძლო ცხენზე ჯდომა, მათ შორის კონსული კრისპინუსი და მარცელუსის დაჭრილი ვაჟი, გაიქცა.

რომის ბანაკში განგაში ატყდა, მაგრამ შეტაკება ისე დამთავრდა, რომ მეომრებმა ვერ მოასწრეს მისაშველებლად წასვლა. წუთის შემდეგ ბანაკის კიშკართან გამოჩნდნენ კონსული, მეორე კონსულის ვაჟი და მათი რაზმის უბედურეუკი ნაშთები.

მარცელუსის სიკვდილი სავალალო და უმიზნო იყო. განსაკუთრებით სამწუხარო ის იყო, რომ მან დაივიწყა თავისი წლოვანებაც — სამოცს გადაბიჯებული ჰქონდა, — გამოცდილი მხედართმთავრის წინდახედულებაც; ამით საფრთხე შეუქმნა ორივე კონსულს და, მამასადამე, მთელი სახელწიფოს კეთილდღეობასაც.

ჰანიბალი თავისივე დაგებულ მახეში ეგმება

ჰანიბალი დარწმუნებული იყო, რომ ერთი კონსულის სიკვდილი და მეორის დაჭრა მტერს შეაძრწუნებდა და მაშინვე ბანაკი გორაკის წვერზე გადაიტანა, სადაც მარცელუსი დაიღუპა. პუნებმა იპოვეს მისი ცხედარი და დაკრძალეს. კრისპინუსმა, რომელიც მართლაც შეშინებული და დაბნეული იყო, მეორე ღამესვე მთებისაკენ დაიხია და ბანაკისათვის ყოველი მხრიდან საიმედოდ დაცული ადგილი შეარჩია. ახალი ბანაკიდან მეზობელ ქალაქებში შიკრიკები აფრინა და ყველა გააფრთხილა, მარცელუსის ცხედართან ერთად მტერს ხელში ჩაუვარდა მოკლული კონსულის ბეჭედიც, ამიტომაც მარცელუსის სახელით ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ წერილს ნურავინ ენდობაო. კრისპინუსის შიკრიკი სალაპიაშიც მივიდა. როგორც კი იგი ქალაქიდან გამოემგზავრა, მეორე შიკრიკი მივიდა მარცელუსის ყალბი წერილით. წერილი იტყობინებოდა, რომ უახლოეს ღამეს კონსულს დალოდებოდნენ და საყარაულო რაზმის მეომრებს არ დაეძინათ, იქნებ მათი დახმარება დაგვეკირდესო.

სალაპიის მოქალაქეებს კარგად ესმოდათ, როგორ იყო ჰანიბალი მათზე გაჯავრებული ღალატისა და ხუთასი ნუმიდელი ცხენოსნის განადგურებისათვის და როგორ ოცნებობდა, მათთვის სამაგიერო მიეზლო. შიკრიკს — სინამდვილეში იგი რომელი მოღალატე იყო — პასუხი გაატანეს, ყველაფერს შევასრულებთო. გალავანზე ხშირი საგუშაგოები განალაგეს, მცველთა რაოდენობა გაზარდეს და უბრძანეს, ფრთხილად ყოფილიყვნენ, გარნიზონის საუკეთესო ჯარისკაცები კარიბჭესთან დადგნენ, რომლითაც მტერი ქალაქში შეჭრას აპირებდა.

ჰანიბალი სალაპიას მეოთხე საყარაულო ღამეს მიუახლოვდა. წინ რომელი მოღალატეები მოდიოდნენ ჩვეულებრივი რომაული იარაღით აღჭურვილნი. ისინი კარიბჭეს მიადგნენ, ყარაულებს უხმეს და უბრძანეს, კონსულისთვის კარი გაეღოთ. რა თქმა უნდა, ყველანი ლათინურად ლაპარაკობდნენ. ყარაულებს ვითომ მათ ყვირილზე გაეღვიძათ და ნამძინარეებმა თითქოს უაზროდ დაიწყეს ფაცური. ჩამოსაშვები ბადე ჩაკეტილი იყო. ერთნი ბერკეტს მიაწვნიეს, მეორენი ბაგირს დაეჭიდნენ და ბადე ზევით ასწიეს, მაგრამ ბოლომდე კი არა, მხოლოდ ადამიანის სიმაღლემდე აიტანეს. როგორც კი გზა გაიხსნა, მოღალატეები თვალისდახმამებაში კარიბჭეში შევივდნენ. ექვსასიოდე კაცი შეუშვეს თუ არა, ყარაულებმა მოულოდნელად ბაგირებს ხელი შეუშვეს და ბადე გრუხუნით დაეცა ძირს. რომაელებისა და მოქალაქეების ერთი ნაწილი ერთსულოვნად თავს დაესხა მოღალატეებს, რომლებსაც იარაღი მგზავრობის დროს მხარზე ჰქონდათ გადაკიდებული და მომზადება ვერ მოასწრეს, მეორე ნაწილი გალავნიდან და კოშკებიდან მტრებს ქვებს, წვერწამახულ შუბებსა და ხელშუბებს უშენდნენ.

ასე გაება ჰანიბალი მის მიერ დაგებულ მახეში. მან დატოვა აპულია და ბრუტიუმში წავიდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიატოვა კონსულმა კრისპინუსმა თავისი სადგომი მთებში. მარცელუსის ჯარს უბრძანა, ვენუსიაში დაბრუნებულიყო, ხოლო თავისი ლეგიონებით, კაპუაში წავიდა, თუმცა კრილობები საშინლად აწუხებდა, საკაცის რყევაც კი — სიარული ანდა ცხენზე ჯდომა მას არ შეეძლო — აუტანელ ტანჯვას აყენებდა.

მან რომს მისწერა მარცელუსის სიკვდილის ამბავი, ისიც შეატყობინა, ჩემი სიცოცხლეს საფრთხეშია, დედაქალაქში ჩამოსვლა და კონსულთა არჩევნების ხელმძღვანელობა არ შემიძლია და ამიტომ დიქტატორის დანიშვნა აუცილებელიაო.

კრისპინუსის წერილმა სენატი დიდად დაამწუხრა. მათ არა მარტო დაღუპული კონსული აწუხებდათ, არამედ ცოცხალი კონსულის ჯანმრთელობა აფიქრებდათ, მაგრამ კონსულების არჩევნები აუცილებლად უნდა შემდგარიყო და კრისპინუსს სთხოვეს, დიქტატორი დაენიშნა.

მარკუს ლივიუსი დათანხმდა მიეღო კონსულობა

წლის დასასრულს ტიტუს კვინციუს კრისპინუსი გარდაიცვალა, მაგრამ მოასწრო დიქტატორად დაენიშნა ტიტუს მანლიუს ტორკვატი. ერთ წელს დაიღუპა ორივე კონსული, თანაც სულელური შემთხვევის გამო, ისე, რომ ვერ გააკეთეს რაიმე ღირსსახსოვარი საქმე. ასეთი უბედურება ჯერ არასოდეს, არცერთ ომში არ მომხდარა. დაობლებულ სახელმწიფოს პირველი საზრუნავი ახალი კონსულების არჩევნები იყო. ისინი წინა კონსულებივით მამაცნი უნდა ყოფილიყვნენ, თანაც პუნის ვერაგობას ადვილად არ უნდა წამოგებოდნენ.

მთელ ამ ომში ჩვენი უბედურების მთავარი წყარო მხედართმთავრების არაგონივრული სიჩქარე და მეტისმეტი სიფიცხეაო, — ამბობდნენ რომაელები, — ასე იყო ამჯერადაც. მაგრამ უკვდავი ღმერთები რომის ხალხს სწყალობს: მათ დაინდეს უდანაშაულო ჯარები და მხოლოდ თვით კონსულები შეეწირნენ თავიანთ უგუნურობასო.

სენატორები მსჯელობდნენ, ვინ არის ყველაზე ღირსეული, კონსულის თანამდებობა რომ დაიკავოსო და ერთხმად გაიუს კლავდიუს ნერონს ასახელებდნენ. მაგრამ ისე ჩანდა, რომ პანბალთან ომისათვის მას თავდაჭერა და გულგრილობა აკლდა. მისთვის ამხანაგად უნდა შეერჩიათ კაცი, რომლის სიფრთხილე და საღი აზროვნება გააწონასწორებდა ნერონის სიფიცხეს და უცებ მოაგონდათ მარკუს ლივიუსი. იგი დიდი ხნის წინ,

პანიბალთან ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე იყო კონსული და წარმატებითაც იბრძოდა ილირიელების წინააღმდეგ. მაგრამ როგორც კი კონსულობის ვადა გაუვიდა, ლივიუსს ბრალი დასდეს, ილირიიდან წამოღებული ნადავლის დიდი ნაწილი თვითონ მიისაკუთრაო¹. სახალხო კრებამ იგი გაასამართლა. განაჩენით აღმფოთებული და შეურაცხყოფილი ლივიუსი სოფელში წავიდა და იქიდან აღარ გამოდიოდა. მხოლოდ რვა წლის შემდეგ, როცა კი „სულეზად მარკუს მარცელუსი და მარკუს ვალერიუსი იყვნენ, მათ აიძულეს იგი რომში დაბრუნებულიყო. მაგრამ ლივიუსი აქაც თაღ ძველმანებში დადიოდა, პირს არ იპარსავდა, თმას არ იკრეჭდა, რითაც ყველას მიანიშნებდა, რომ ძველი წყენა არ განელებოდა. ცენზორებმა უბრძანეს თმა გაეკრიჭა, რიგიანად ჩაეცვა და სენატში მისულიყო. მაგრამ კურიაშიც იგი მუდამ დუმდა. ლივიუსი ასე იქცეოდა მანამ, სანამ ერთხელ საფრთხე არ შეექმნა მისი ნათესავის, ტარენტუმის ციხესიმაგრის უფროსის ღირსებას. ლივიუსმა სიტყვა წარმოთქვა, რითაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. ატყდა მითქმა-მოთქმა: ხალხმა უსამართლობა ჩაიდინა და სახელმწიფო დიდად ზარალდება, რომ არ სარგებლობს ისეთი გონიერი კაცის სამსახურით, როგორც ლივიუსია და ისიც ასეთი ძნელბედობის ქამსო.

ყველანი შეთანხმდნენ, რომ გაიუს ნერონის ამხანაგი მარკუს ლივიუსი ყოფილიყო. მხოლოდ ერთადერთი კაცი მთელს რომში, თვით ლივიუსი, არ ეთანხმებოდა ამას. იგი ამბობდა:

— თქვენ არ შემიბრალეთ მაშინ, როცა ძაძები მეცვა და გვედრებოდით, თანაგვეგრძნოთ ჩემთვის². ახლა კი წინააღმდეგ ჩემი ნებისა, გსურთ კონსულის თეთრი ტოგით შემმოსოთ. თუკი მიგაჩნივართ ღირსეულ და პატიოსან კაცად, მაშინ უკანასკნელ არამზადსავით რაღას გამასამართლეთ? და თუკი

¹ ლივიუსის ამხანაგი თანამდებობრივად იყო ემილიუს პავლე, რომელიც კანესთან დაიღუპა. ლივიუსის ბრალდება მასაც შეეხო (იხ. გვ. 86).

² ასეთი იყო ჩვეულება. თუნდაც ადამიანს თავი დამნაშავედ არ ეცნო და საკუთარი დანაშაული გადაკრიო უარეყო, მაინც ძაძები უნდა ჩაეცვა. გაუპარსავსა და დაუვარცხნელს ხალხისათვის დახმარება და შეწყალება უნდა ეთხოვა — თუკი ამ ჩვეულებას არ შეასრულებდა, ქედმაღლობასა და ხალხის სიძულვილსაც კი დასწამებდნენ.

დამნაშავედ მთვლით, მაშ რატომ ანდობთ კონსულობას იმ კაცს, ვინაც არ გაამართლა თქვენი ნდობა თავდაპირველადაც?

ასე კიცხავდა და ამხილებდა იგი სენატორებს, ხოლო ისინი უპასუხებდნენ, რომ მამულის სიმკაცრეს, თუნდაც უმართებულოს, ჯნდა შეურიგდეს იგი ისევე, როგორც ურიგდება ვაჟი მამის სიმკაცრეს. ლივიუსი საერთო თხოვნა-შეგონებას დაემორჩილა.

კონსულებად აირჩიეს გაიუს კლავდიუს ნერონი და მარკუს ლივიუსი.

ჩანდა, მოახლოებული წელი მძიმე იქნებოდა, სახელმწიფო კი კვლავინდებურად ობლდებოდა¹ და სენატმა ახლად არჩეულ კონსულებს სთხოვა, არ დალოდებოდნენ თანამდებობის დაკავებას და ერთმანეთს შორის წინდაწინ გაეყოთ პროვინციები, რათა ადრევე სცოდნოდათ, ვის როშელ მოწინააღმდეგესთან ექნებოდა საქმე. სენატორებს აწუხებდათ აგრეთვე მტრობა ლივიუსსა და კლავდიუსს შორის. ეს უკვე დიდი ხნის და ყველასთვის ცნობილი ამბავი იყო. უბედურების დროს გააფთრებულ ლივიუსს შერიგებაზე ლაპარაკის მოსმენაც კი არ სურდა. უფრო მეტიც, იგი ამტკიცებდა, შერიგება საჭირო არ არისო. თითოეული კონსული უფრო ენერგიულად და გაბედულად იმოქმედებს, რადგან ყოველი მისი შეცდომა სიხარულს მოჰგვრის მეორე კონსულს და თვითონ მას დიდებას მოუტანსო. მაგრამ სენატი თავისას არ იშლიდა: მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ დაევიწყათ ძველი წყენა და ერთსულოვნად ემოქმედათ.

პროვინციები კონსულებს იტალიის ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს ერგოთ: გაიუს კლავდიუსმა სამხრეთი მიიღო, ე. ი. ბრუტიუმი და ლუკანია, სადაც უკვე რამდენიმე წელი იყო რაც თვით ჰანიბალთან მიმდინარეობდა ბრძოლა. მარკუს ლივიუსმა — ჩრდილოეთით, ე. ი. მდინარე პადუსის გაყოლებაზე გალთა მიწები, სადაც დღე-დღეზე ელოდნენ ჰასდრუბალის გამოჩენას. თუ ხმებს დაეუჭვრებთ, იგი უკვე ალპებს მოახლოვებოდა.

¹ როგორც ზემოთ ითქვა, კონსულების არჩევნებსა და მათ მიერ თანამდებობის დაკავებას შორის (15 მარტი) დიდი დრო გადიოდა, არანაკლებ ორნახევარ-სამი თვე.

ეს ხმები სულ უფრო შემაშფოთებელი ხდებოდა. თავდაპირველად, ელჩები ჩამოვიდნენ მასილიიდან და ამბავი ჩამოიტანეს, ჰასდრუბალმა გადმოლახაო პირენეი. მისმა მოსვლამ ყველა გალი ააფორაჟა: ტომიდან ტომში ხმა დადის, თითქოს მან ძალზე ბევრი ოქრო ჩამოიტანა და დაქირავებულებს კრებსო. შემდეგ მასილიაში გაემგზავრნენ რომაელი ელჩები, რომ ადგილზე გაეგოთ ყველაფერი. მათ რომს შეატყობინეს, ჩვენი ხალხი მასილიოტებთან ერთად ესტუმრნენ გალთა ბელადებს — მასილიოტთა მეგობრებსა და სტუმართმოყვარე მასპინძლებს. ბელადები ირწმუნებიან, — და შეუძლებელია რომ არ დაეუჯეროთ მათ, — ჰასდრუბალი უზარმაზარი ჯარით ალპების ძირას დგას და გაზაფხულის დადგომისთანავე დაიძვრება. ალბათ, არც გაზაფხულს დაელოდებოდა, მაგრამ ზამთრობით ალპების უღელტეხილები ჩაკეტილი და მიუვალა. ესაა ერთადერთი მიზეზი, რომელიც ჰასდრუბალს აკავებსო.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმავე წელს ცენზორებმა აღწერა ჩაატარეს და მოქალაქეთა სიაში ჩაწერეს ას ოცდაჩვიდმეტი ათას ას რვა კაცი — ოდნავ ნაკლები ვიდრე ომის დაწყებამდე¹.

¹ აღწერის მიხედვით, რომელიც მეორე პუნიკურ ომამდე ათი წლით ადრე ჩატარდა, რომის სახელმწიფოში 270 ათასი სრულუფლებიანი თავისუფალი მოქალაქე ითვლებოდა.

ომის მეთორმეტი წელი

ომის დაარსებიდან 547 (207 წელი ჩვენს მრავლად)

ქონსულებმა შეკრება დიდი გულმოდგინებითა და სიმკაცრით ჩაატარეს, რადგან საზღვარზე ახალი მტერი, ჰასდრუბალი იდგა, მაგრამ შეკრება ამასთანავე მეტისმეტად გაუჭირდათ, რადგან ახალგაზრდობის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ლივიუსმა წინადადება წამოაყენა, ისევ მონა-მხალისეები გაეწვიათ და სენატი დათანხმდა. პუბლიუს სციპიონმა იტალიის მოსაშველებლად რვა ათასი ესპანელი და გალი, ორი ათასი ლეგიონერი და ათას რვაასი ნუმიდელი და ესპანელი ცხენოსანი გამოგზავნა.

ჰასდრუბალი იტალიაში

გაცხარებული შეკრების დროს გალიიდან¹ ცნობა მოვიდა: ჰასდრუბალი საზამთრო ბინებიდან აიყარა და ალპები გადმო-

¹ ანუ ჩრდილოეთ იტალიიდან.

ლახაო. ამ ცნობამ აიძულა კონსულები, საჩქაროდ დაემთავრებინათ შეკრება და თავ-თავიანთ პროვინციებში წასულიყვნენ, რომ მტრები შეეჩერებინათ და მათთვის შეერთების საშუალება არ მიეცათ.

რომაელებს მნიშვნელოვნად დაეხმარა ჰანიბალის მცდარი ვარაუდი. მან იცოდა, რომ ძმა იტალიაში იმ ზაფხულს უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ გაიხსენა რა სიძნელებები შეხვდა მას გზაში, მთელი ხუთი თვე როგორ ებრძოდა როდანუსსა და ალპებს, ადამიანებსა და ბუნებას და ჰასდრუბალს შუა ზაფხულამდე არ ელოდა. ამიტომაც დააყოვნა საზამთრო ბინებში.

მაგრამ ჰასდრუბალს მეტისმეტად მარჯვედ წაუვიდა საქმე. გალთა და ალპელთა ტომები მათ არამარტო გულიანად და მეგობრულად შეხვდნენ, არამედ მათ კვალდაკვალ რომაელების წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრნენ. იგი მისი ძმის მიერ აღმოჩენილ და გაკვალული გზით მიდიოდა. თერთმეტი წლის მანძილზე იქაურ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებანი შეიცვალა, უფრო დამყოლნი გახდნენ. წინათ თავიანთ მხარეში არასოდეს უნახავთ მათ უცხოელები და ყოველ მოსულს ექვის თვალით, კუშტად უყურებდნენ. მათ არ იცოდნენ, სად მიდიოდა ჰანიბალი, თავდაპირველად ეგონათ, რომ იგი მათი კლდეების და სიმაგრეების დასაპყრობად, საქონლისა და ხალხის გასარეკად მოვიდა. მაგრამ ხმებმა ომზე, რომელიც ყოველწლიურად უფრო და უფრო მძვინვარებდა იტალიაში, დაამშვიდა ისინი და დაარწმუნა, რომ ალპები მხოლოდ და მხოლოდ შემაერთებელი გზა იყო ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის, მსოფლიო ბატონობას რომ ეცილებოდნენ ერთმანეთს.

აი, რამ გაუწმინდა ჰასდრუბალს ალპებზე გამავალი გზა. მაგრამ მოულოდნელად თვით ჰასდრუბალისათვისაც კი, მთელი ეს მოგებული დრო მან პლაცენციის გალავანთან დაკარგა. მან გადაწყვიტა, რომ ვაკე ადგილას აგებულ ამ ქალაქს შტურმით ადვილად აიღებდა და მისი დანგრევით ძრწოლას მოჰგვრიდა რომის დანარჩენ კოლონიებს გალიაში. მაგრამ შტურმი ჩაიშალა და ჰასდრუბალმა ქალაქს ალყა შემოარტყა. ამან მარტო ჰასდრუბალი როდი დააყოვნა დიდი ხნით, არამედ თვით ჰანიბალიც შეაჩერა, რომელიც უკვე მზად იყო, გამოსულიყო საზამთრო ბინებიდან. ჰანიბალმა გაიფიქრა, რა ხანგრ-

ძლივი დრო უნდა ალყით ქალაქის აღებას და, რაც მთავარია, როგორი მარცხი განიცადა თვითონ მან ამ კოლონიის ალყის დროს ტრეზიასთან გამარჯვების შემდეგ.

რომიდან ორი კონსულის სხვადასხვა გზით გასვლამ, თითქოსდა ორ სხვადასხვა ომში მიდიანო, რომაელებს გულში შიში შეაპარა:

იქნებიან ღმერთები ისე კეთილად განწყობილნი მათი ქალაქისადმი, რომ ერთდროულად ორი გამარჯვება უწყალობონ? აქამდე წარმატება ყოველთვის დამარცხებით იყო გაწონასწორებული, ხოლო დამარცხება წარმატებით: იტალიაში ტრანზიმენის ტბასა და კანესთან სისხლიან განადგურებას მოჰყვა საბედსიერო მოვლენები ესპანეთში, ორი შესანიშნავი მხედართმთავრისა და ორი არმიის დაღუპვას ესპანეთში — ბედის წყალობა იტალიასა და სიცილიაში. ახლა კი რომი ალყაშემორტყმულია: სამხრეთიდან მას ჰანიბალი ემუქრება, ჩრდილოეთიდან — ჰასდრუბალი და, როგორც კი მათგან ერთი გაიმარჯვებს, მაშინვე მეორის ძალებს გააორკეცებს.

ასეთი მძიმე და შემაშფოთებელი გრძნობით აცილებდნენ რომაელები თავიანთ კონსულებს, რომელთაგან ერთ-ერთი ჯერ ისევ რისხვით იყო აღსაესე თანამემამულეებზე.

ამბობენ, როდესაც კვინტუს ფაბიუს მაქსიმე ლივიუსს ეთხოვებოდა და უკანასკნელად შეევედრა, ბრძოლა არ იჩქარო, ჯერ მტრის ხასიათი და ჩვეულება გამოარკვიეო, მან უპასუხა:

— არა, როგორც კი ჰასდრუბალს შევხვდებით, მაშინვე შევებმები.

ხოლო როცა ფაბიუსმა ჰკითხა, ასეთი აჩქარება რა საჭიროაო, ლივიუსმა მრისხანედ უპასუხა:

— მე ორივე შემთხვევაში მოგებულნი დავრჩები: მტერზე გამარჯვება უზომო დიდებას მომიტანს, თანამემამულეთა დამარცხება — ავ და, შეიძლება უპატიოსნო, მაგრამ ჭეშმარიტად დამსახურებულ სიხარულს!

ჰანიბალი სუსტდება: ბრძოლა გრუმენტიან

ჰანიბალი ბრუტიუმში იმყოფებოდა. იგი ლაშქარს აგროვებდა, ჯარისკაცები საზამთრო ბინებიდან გამოჰყავდა. კონსული კლავდიუსი ორმოცი ათასი ქვეითი და ორი ათას ხუთასი ცხენოსანი ჯარით ვენუსიაში შეჩერდა, ელოდა. ყველა სამზადისი რომ მოათავა, პუნი ლუკანიაში წავიდა, რომ კვლავ რომის მხარეზე გადასული ქალაქები დაემორჩილებინა. იგი გრუმეხტთან შეჩერდა, რომელი კონსულიც მას მიადგა.

მტრის ბანაკები ერთმანეთისაგან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. მათ გაშლილი ველი ჰყოფდა. კართაგენელებისაგან მარცხნივ (მაშასადამე, რომელებისაგან მარჯვნივ) წამომართულიყო, როგორც ჩანდა, საფრად სრულიად გამოუსადეგარი შიშველი ბორცვები, რომლებსაც არც ქვაბული, არც ღრანტე არ ჰქონდა. პირველ დღეებში ქვეითი ჯარის მოწინავე საგუშაგოთა უმნიშვნელო შეტაკებებით თავდებოდა ყველაფერი, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ჰანიბალი თანახმა იყო დიდ ბრძოლაზეც, ოღონდ იმ ადგილისათვის თავი დაეღწია. ისიც ნათელი იყო, რომ გაიუს კლავდიუს ნერონი ყოველ დონეს იხმარდა, რომ იგი იქიდან არ გაეშვა.

კონსულმა, მტრისდაგვარად, გადაწყვიტა ხრიკისათვის მიემართა: მოკავშირეთა ხუთ კოჰორტას დაუმატა ლეგიონერების ხუთი მანიპული¹ და უბრძანა, დამით, მალულად გადასულიყვნენ ბორცვებზე და გადაღმა კალთაზე ჩასაფრებულიყვნენ. განთიადისას გაიუს კლავდიუსმა გამოიყვანა და საბრძოლველად გააწყო მთელი თავისი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი. ცოტა ხნის შემდეგ ჰანიბალმაც მისცა ბრძოლის დაწყების სიგნალი. კართაგენელთა ბანაკში გაისმა ყიჟინა მეომრებისა, რომლებიც იარაღისაკენ ისწრაფვოდნენ. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ. ყველანი კიშკრისაკენ და ველისკენ გამოიქცნენ, რომ მტერს შეებმოდნენ. როცა ეს არეულობა შეამჩნია, კონსულმა ერთერთი ლეგიონის მხედრებს უბრძანა, რაც შეიძლება, დიდი სისწრაფით დაერტყათ პუნებისათვის.

¹ ე. ო. სულ დაახლოებით სამი ათასი მეომარი.

— ისინი ცხვრებივით დაიფანტნენ, — თქვა კლავდიუსმა, — თქვენ მათ ერთ წუთში მიანგრ-მოანგრევთ!

ჰანიბალმა ძლივს მოასწრო ბანაკიდან გამოსვლა, რომ ბრძოლის ხმა შემოესმა. ყველაზე გაფიცებულებს, რომლებიც სხვებზე წინ გაქცეულიყვნენ, რომის ცხენოსანი ჯარი უკანვე მიერეკებოდა. ბრძოლაში ჩაება ქვეითი ჯარიც — ლეგიონერები და მოკავშირეები. პუნები ისე იგერიებდნენ, როგორც შეეძლოთ — ყველანი ცალ-ცალკე. მაგრამ ბრძოლა ძლიერდებოდა, ბანაკიდან ახალ-ახალი მეომრები ემატებოდათ. გამოცდილება სამხედრო ხელოვნებაში, ალბათ, ამ უიმედო მდგომარეობაშიც უშველიდა ჰანიბალს და საბრძოლველად მოაწყობდა თავისიანებს, რომის ჩასაფრებული ჯარი რომ არ ყოფილიყო. როცა გორაკის თხემზე, ხოლო შემდეგ მის კალთებზე გამოჩნდნენ რომაელი ქვეითები, იმის შიშით, ბანაკისაკენ მისასვლელი გზა არ გადაგვიჭრანო, უკლებლივ ყველა პუნი ბანაკისაკენ გაიქცა. მაგრამ მტრის ცხენოსნები მათ თავზე დააცხრნენ, ქვეითები კი დამრეც კალთაზე ისე მსუბუქად დაეშვნენ, თითქოს მოკირწყლულ გზაზე ჩამოდიანო, და ღია, დაუცველ ფლანგში შეიჭრნენ. მხოლოდ ბანაკის მიწის ზვინულის სიახლოვემ იხსნა კართაგენელები სრული განადგურებისაგან. რვა ათასი კაცი მოუკლეს. შეიდასი ტყვედ ჩაიგდეს, ცხრა დროშა წამოიღეს. ამ მოულოდნელ და ხანმოკლე ბრძოლაში სპილოები არ გამოადგათ — რომაელებმა ოთხი მოკლეს, ორი ცოცხლად იგდეს ხელთ.

გამარჯვებულებმა, დაახლოებით, ხუთასი ჯარისკაცი დაკარგეს.

მეორე დღეს პუნები ბანაკიდან არ გამოსულან, რომაელები კი ხელახლა საბრძოლო წყობით განლაგდნენ. როცა დარწმუნდნენ, ჰანიბალი გამოწვევას არ ლებულობსო, მოკლული მტრის საჭურვლის აკრეფასა და თავისიანების დამარხვას შეუდგნენ. შემდეგ რამდენიმე დღე ზედიზედ ისე მიუახლოვდა კლავდიუსი მტრის ბანაკის ჰიშკარს, თითქოს აგერ-აგერ ბანაკში შეიჭრებო. ბოლოს, მესამე საყარაულო ღამეს, ჰანიბალი ჩუმად გაიპარა. ბანაკის იმ ნახევარში, მტრის მახლობლად რომ იყო, მან ბრძანა ახლო-ახლო დაენთოთ კოცონები. დატოვა კარვები და ნუმიდიელთა მცირე რაზმი, რომელიც მიწის ზვინულთან

და ბანაკის ჭიშკართან მიმოდრიოდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. ირიერაჟა თუ არა, ნუმიდიელები ცხენებს მოახტნენ და გაქუსლეს. კლავდიუსი გააკვირვა მოულოდნელად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ და დასაზვერად ორი მხედარი გაგზავნა. მათ მოახსენეს, მტერი გაპარულაო.

კონსულმა კართაგენელთა ბანაკი გასაძარცვავად ჭარისკაცებს მისცა და მეორე დღეს ჰანიბალის ნაკვალევს გაჰყვა. ეს კვალი იმდენად საჩინო იყო, რომ არ შეიძლებოდა არჩევანი შეშლოდათ. პუნს ვენუსიასთან წამოეწივნენ. იქ კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა. ეს ბრძოლა ისეთივე უწყესრიგო იყო, როგორც წინა და ჰანიბალმა ისევ უკან დაიხია, კლავდიუსიც კვლავ ფეხდაფეხ მიჰყვა.

ნახტომი აპულიიდან უმბრიაში

ამასობაში ჰასდრუბალი, რომელმაც უარი თქვა პლაცენციის ალყაზე, აპენინების მთების გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაეშურა. ძმას კი ექვსი მხედარი გაუგზავნა, ორი ნუმიდიელი, და ოთხი გალი და წერილი გაატანა, რომელშიც წერდა, უმბრიაში შევერთდეთო. შიკრიკებმა მშვიდობიანად გაიარეს მთელი იტალია, მაგრამ მეტაპონტის მახლობლად, სადაც ჰანიბალი უნდა მოეძებნათ, გზა დაეზნათ და ტარენტუმში მიმავალ გზას დაადგნენ. აქ მინდორში რომაელ ჭარისკაცებს გადაეყარნენ, რომლებიც ცხენებისათვის საკვებს აგროვებდნენ. შიკრიკები დასაკითხად ყოფილ პრეტორთან კვინტუს კლავდიუსთან მოხვდნენ, კალაბრიაში ჭარებს რომ სარდლობდა. ისინი თავდაპირველად გაურკვეველად და მიკიბულ-მოკიბულად პასუხობდნენ, მაგრამ როცა საწამებელი იარაღები დაანახვეს, გამოტყდნენ, ჰანიბალთან წერილი მიგვაქვსო. კვინტუს კლავდიუსს წერილი არც კი გაუხსნია, ისე ბრძანა, იგი მტრის მხედრებთან ერთად აპულიაში გაიღუს კლავდიუს ნერონისათვის გადაეცათ.

წერილის შინაარსის გაცნობისა და ტყვეების დაკითხვის შემდეგ, კლავდიუსი დარწმუნდა, რომ არ შეიძლებოდა ომის

გაგრძელება უწინდებურად; არ შეიძლებოდა თითოეულ კონსულს ებრძოლა თავის პრეზიდენტიში თავისი ძალებით იმ მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, რომელიც სენატმა არგუნა. უნდა გაებედათ, გაუთვალისწინებელი ნაბიჯი გადაედგათ, რომელიც მართალია, თავდაპირველად პუნებზე ნაკლებ თავზარს როდი დასცემდა რომაელებს, მაგრამ საბოლოოდ, თუკი ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, იგი უსაზღვრო სიხარულით შეიცვლებოდა. მან თავისი გეგმები სენატს შეატყობინა — შეერთებოდა ლივიუსს და ორივეს ერთად გაენადგურებინა პასდრუბალი მანამ, სანამ იგი ამას შეუერთდებოდა.

უმბრიაში მიმავალ მთელ გზაზე მაცნეები აფრინეს, ხალხს აფრთხილებდნენ, მეომრებისათვის სურსათ-სანოვაგე მოამზადეთო, აგრეთვე იტყობინებოდნენ, ცხენშებმული ოთხთვალეები მზად გქონდეთ იმათთვის, ვინც გზაზე დაიღლება და ფეხით სიარულს ვერ შეძლებსო. მთელი ჯარიდან — ლეგიონთა და მოკავშირეთა რაზმებიდან — გაიუს კლავდიუსმა ექვსი ათასი ქვეითი და ერთი ათასი ცხენოსანი ყველაზე მამაცი, ძლიერი და გამოცდილი მეომარი აარჩია. მათ უთხრეს, კონსულს სურს ხელთ იგდოს მახლობელი ქალაქი ლუკანიაში და იქიდან კართაგენელთა გარნიზონი გაყაროსო. ბანაკის უფროსობა კლავდიუსმა თავის ლეგატ კვინტუს კატიუსს გადასცა და ღამით დაიძრა.

როცა გაიუს კლავდიუსის ჩანაფიქრი რომში გაიგეს, ისეთივე ორომტრიალი ატყდა, როგორც ოთხი წლის წინათ, როცა პუნთა კარვები დედაქალაქის გალავანთან იყო გაშლილი. არავინ იცოდა, შეექმთ კონსული, თუ გაეკიცხათ ასეთი გაბედული ლაშქრობისათვის. ბანაკი ბელადის გარეშეა მიტოვებული, ჯარს წართმეული აქვს მთელი ძალა, მისი საუკეთესო ნაწილი, მტერი კი ცხვირწინაა, მერედა, როგორი მტერი — თვით პანიბალი! ახლა ამ ბანაკს მხოლოდ ერთი რამ იცავს — მტრის უცოდინრობა და შეცდომა. მაგრამ თუკი ეს შეცდომა გასწორდება, მაშინ რა იქნება? რა მოხდება მაშინ, თუკი პანიბალი კონსულს დაედევნება, რომელსაც მხოლოდ ექვსი ათასი ჯარისკაცი ჰყავს, ანდა ბანაკს თავს დაესხმის? რამდენი საშინელი დამარცხება გვაგემეს კართაგენელებმა ომის დასაწყისიდან და ეს მაშინ, როცა აქამდე იტალიაში მხოლოდ ერთი

ჯარი და ერთი მხედართმთავარი ჰყავდათ, ახლა? ახლა, ჩანს, რომ ჩვენკენ მოემართება პუნთა ორი ჯარი და ჰანიბალიც ორი გახდაო! თანაც ჰასდრუბალიც ხომ იგივე მამის, ჰამილკარის ძვილი იყო, ისეთივე გაბედული, დაუღალავი და გაუტეხელი, ესპანეთში მრავალი წლის ომში გამოწრთობილი და სციპიონებზე ორმაგი გამარჯვებით სახელგანთქმული! ზოგიერთ საქმეში კი ჰანიბალსაც გადააჭარბა: პირენები და ალპები უფრო სწრაფად გადმოლახა, უფრო ადვილად აამხედრა და იარაღისაკენ მოუწოდა გალებს. და ეს იმ მხარეში მოხდა, სადაც ჰანიბალს ნახევარზე მეტი ჯარი ყველაზე საცოდავად დაედღუპა: შიმშილითა და სიცივით!

ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში რომაელები, აზვიადებდნენ მტრის სიძლიერეს და ამცირებდნენ საკუთარს, რადგან შიში ავი თანაშემწე და მრჩეველია: იგი ყოველთვის ცუდისკენ იხრება.

როცა გაიუს კლავდიუს ნერონი თავის ბანაკს ისე დაშორდა, რომ ვერც ერთი მოლალატე ვერ მოასწრებდა უკან დაბრუნებას და ჰანიბალის გაფრთხილებას, მან რამდენიმე სიტყვით მეომრებს სიმართლე გაუხილა.

— ჩვენ უეჭველი გამარჯვებისაკენ ვისწრაფვით, — თქვა მან, — როგორც კი პუნები გაიგებენ, ჩვენ წინააღმდეგ ორივე კონსული იბრძვისო, ამას კი საომარ მწყობრზე ადრე ვერ გაიგებენ, ეჭვი არ გეპარებოდეთ, წახდებიან! ბრძოლის ბედს მეომართა სულიერი განწყობა წყვეტს. სწორედ მეომართა სულიერ განწყობაზეა დამოკიდებული შექმნილ მდგომარეობაში საითკენ გადაიხრება ბედის სასწორი — იმედისაკენ თუ უიმედობისაკენ, ამიტომაც დაყრილ ხმებს ხშირად არავითარი ფასი არა აქვს. თითქმის მთელი დიდება ჩვენ დაგვრჩება: საბოლოო ძალ-ღონის დაძაბვა, საბოლოო დახმარება ადამიანებს მუდამ ყველაზე მნიშვნელოვნად, გადამწყვეტად ეჩვენებათ. თქვენ ახლაც კი ხედავთ, როგორი ალტაცებითა და გოცებით შემოგვცქერიან ისინი.

მართლაც, კლავდიუსის გასავლელი გზის ორივე მხარეს ჩამწყკრივებულებიყვნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, ქალი თუ კაცი. ისინი შეყრილიყვნენ გზის პირას, რომ ლოცვა-კურთხე-

ვით, კეთილი სურვილებითა და ქება-დიდებით გაეცილებინათ მეომრები, თან მისძახოდნენ:

— თქვენ ჩვენი სახელმწიფოს ბურჯი ხართ, ქალაქ რომისა და რომის სახელმწიფოს იმედი! თქვენს ხელშია ჩვენი შვილების უშიშროება და თავისუფლება!

ხალხი ყველა ღმერთსა და ქალღმერთს ევედრებოდა, კლავდიუსის ჯარს ბედნიერი გზა, იოლი ბრძოლა, სწრაფი გამარჯვება უბოძე, რომ რამდენიმე დღეში ისევ ამ გზასთან გამოვიდეთ და მოზეიმე გამარჯვებულებს შევხვდეთო. ჯარს თავის სამსახურს, საჩუქრებს სთავაზობდნენ, ჭიუტად, მომაბეზრებლადაც კი სთხოვდნენ — რაიმე წაიღეთო. გულუხვობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მეომრები კი, თავის მხრივ, თავდაქერილობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, აუცილებლის გარდა, ხელს არავინ არაფერს ჰკიდებდა. ტყუილ-უბრალოდ ფეხს არავინ ითრევდა, უკან არავინ რჩებოდა. მიდიოდნენ დღე და ღამე. ისე ცოტას ისვენებდნენ, რომ მეტი არ შეიძლება. კლავდიუსმა ლივიუსთან მაცნე აფრინა, რომ შეეტყობინებინათ თავისი მოსვლის ამბავი და წინასწარ შეთანხმებულიყვნენ, როგორ შეხვედროდენ ერთმანეთს — ფარულად, თუ ცხადად, დღისით თუ ღამით, ერთად დაბანაკებულიყვნენ თუ ცალ-ცალკე.

მარკუს ლივიუსმა უბასუხა, ჩემს ბანაკში დაბინდების ქამს შემოდითო. თავის ხალხს კი უბრძანა: სამხედრო ტრიბუნმა თავის კარავში ტრიბუნი მიიღოს, ცენტურიონმა — ცენტურიონი, მხედარმა — მხედარი, ქვეითმა — ქვეითი. ბანაკის გაფართოება საშიშია, ამბობდა იგი, მტრები შეიძლება მიხვდნენ, რომ მეორე კონსული მოვიდა. ფართობი საკმაოდ მცირე იყო, მაგრამ ადვილად ჩაეტივნენ, რადგან კლავდიუსის ჯარისკაცები მსუბუქედ იყვნენ აღჭურვილნი — იარაღის მეტი თითქმის არაფერი ჰქონდათ წაღებულნი. გზაში ჯარს ბევრი მოხალისე შეემატა: საბრძოლველად ისწრაფვოდნენ არა მარტო ძველი ნამსახურობის გამო ვადაგასული მეომრები, არამედ ახალგაზრდებიც. მათგან განსაკუთრებით ძლიერები და კარგი აღნაგობის ჭაბუკები კლავდიუსს სიებში შეჰყავდა.

ლივიუსის ბანაკი ქალაქ გალთა სენის მახლობლად იდგა და ჰასდრუბალის ადგილ-სამყოფლიდან ერთ კილომეტრზე ნაკლები მანძილით იყო დაშორებული. მტერს რომ არ შეემჩნია, კლავდიუსი მთის განტოტებას უნდა ამოფარებოდა და დაბინდებას დალოდებოდა. შემდეგ კი ლივიუსის ყველა მეომარი მხიარულად ესალმებოდა თავისსავე წოდების ამხანაგს და საკუთარ კარავში მიჰყავდა. მეორე დღეს შედგა სამხედრო საბჭო, რომელშიც პრეტორმა ლიციუს პორციუს ლიცინიუსმაც მიიღო მონაწილეობა. სანამ ლივიუსი მოვიდოდა, იგი ორი ლეგიონით როგორც შეეძლო აკავებდა ჰასდრუბალს, ხან ვიწრო ხეობაში გზას გადაუღობავდა, ხან მალლობებს ზემოთ მოექცეოდა და პუნებს თავზე დაატყდებოდა, ხან ფლანგებიდან ან ზურგიდან უტევდა. საბჭოს მონაწილეთა უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ბრძოლა გადაედოთ — კლავდიუსის მეომრებმა დაისვენონ და მტერს ახლოს გაეცნონო, მაგრამ გაიუს კლავდიუსი განა მარტო უმტკიცებდა — ემუდარებოდა მათ, დაყოვნებით ჩემი ჩანაფიქრი არ ჩაშალოთ, რომლის მთელი არსი სწრაფ მოქმედებაში მდგომარეობსო.

— გონების დახშობამ, რაც დიდხანს არ გაგრძელდება, ჰანიბალს ხელ-ფეხი შეუბოჭა, თავს არ ესხმის უფროსის გარეშე დარჩენილ ბანაკს, არც უკან მომდევს. სანამ გონს მოვა, უნდა გავიმარჯვოთ და მაშინვე აპულიაში გავბრუნდე. ვინც მტერს გონზე მოსვლის საშუალებას აძლევს, იგი არა მარტო ჩემს ბანაკს გადასცემს ჰანიბალს, არამედ აქ მოსასვლელ გზასაც უხსნის მას: ბრძოლის დაწყების სიგნალი დაუყოვნებლივ უნდა მივცეთ, რომ ორთავე პუნის დაბნეულობით ვისარგებლოთ: შორს მყოფი იმ პუნისა, რომელიც ჩვენს რაოდენობასა და ძალებს გადაჭარბებით აფასებს და ახლო მყოფი იმ პუნისა, რომელიც ჩვენს რაოდენობას და ძალებს სათანადოდ ვერ აფასებს.

კონსულებმა საბჭო დაითხოვეს და საბრძოლო წყობის აგებას შეუდგნენ.

მტრები კი უკვე მწყობარში იდგნენ თავიანთი ბანაკის წინ. უცებ რამდენიმე მხედრის თანხლებით წინ გამოსული ჰას-

დრუბალის ყურადღება მიიქცია რომაელების ძველმა ფარებმა და მეტისმეტად გამზდარმა ცხენებმა. უწინ არც ერთი შეუმჩნევია და არც მეორე. ჰასდრუბალმა რაღაც არასასიკეთო იგრძნო და გადაჭრით ბრძანა, უკანდასახევი საყვირი მიეცათ. ჰასდრუბალმა მზვერავები მდინარისაკენ გაგზავნა, საიდანაც რომაელები წყალს იღებდნენ, რათა დაეჭირათ მოენე, ანდა ახლოდან მაინც შეეთვალიერებინათ მეომრები, ლაშქრობიდან ახლად დაბრუნებულებივით მზისგან დამწვარი და ქარისაგან დაშაშრული სახეები ხომ არა ჰქონდათ. ცხენოსანმა მზვერავებმა კი მტრის ბანაკს შემოუბრინეს, აკვირდებოდნენ ბანაკი ხომ არ გაიზარდაო და აყურადებდნენ, სასიგნალო საყვირებს რამდენჯერ უკრავენ¹, ერთჯერ თუ ორჯერო.

სადაზვერვო დასმენამ დააბნია ჰასდრუბალი და ჩიხში მოაქცია. ბანაკი სრულებით არ გაზრდილა, მის სიმაგრეებს არაფერი მომატებია, უწინდებურად მარკუს ლივიუსის გვერდით იდგა პრეტორი ლუციუს პროციუსის მცირე ბანაკი. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ ერთი გარემოება უკიდურესად აშფოთებდა რომაელებთან ბრძოლებში ნაცად მხედართმთავარს: პრეტორის ბანაკში საყვირი ერთჯერ უკრავდა, კონსულისაში — ორჯერ.

„უეჭველია, ორივე კონსული აქაა, — ფიქრობდა ჰასდრუბალი, — მაგრამ როგორ გაექცა ჰანიბალს კლავდიუსი?“ ათასნაირი აზრი უტრიალებდა თავში, მხოლოდ საქმის კემშარიტი ვითარების წარმოდგენა — ჰანიბალი პატარა ბიჭივით რომ იყო მოტყუებული — ვერ შეძლო.

„უეჭველია, ჩემი ძმა სასტიკად დამარცხდა, მტრის დევნა ვერც შეძლო და ველარც გაბედა“, — ფიქრობდა ჰასდრუბალი. იგი თავის თავს ეკითხებოდა, ომი საბოლოოდ წაგებული ხომ არ არის, ხომ არ დამიგვიანდა დანხარება, იმავე ბედმა ხომ არ გაუღიმა რომაელებს იტალიაში, რომელმაც ესპანეთში?

ჰუნმა პასუხი ვერ იპოვა და გადაწყვიტა, რისკის გაწევა არამც და არამც არ შეიძლებაო. პირველ საყარაულო ღამეს მან ბრძანა, კოცონები ჩაეჭროთ და უხმაუროდ მომზადებულიყვნენ წასასვლელად. მეორე საყარაულო ღამის ბოლოს კართაგენელებმა ბანაკი დატოვეს. სიჩქარეში, არეულობასა და

¹ სალამოდებოდა და საყვირით ამცნობდნენ ყარაულების ცვლას.

დაბნეულობაში, რაც ასე გარღვეულია ღამით, მეგზურებს ფხიზლად არ ადევნებდნენ თვალყურს. ერთმა სამალავს შეაფარა თავი, წინასწარ რომ შეიგულა, მეორემ კი მხოლოდ მისთვის ნაცნობი ფონით მდინარე მეტავრი გადალახა. მეგზურების გარეშე დარჩენილი ჯარი დიდხანს დაეხეტებოდა ალაღბელზე და ბევრი მეომარი, რომელთაც არ შეეძლოთ დალლასა და ძილს გამკლავებოდნენ, ეცემოდა და იძინებდა.

ბოლოს ჰასდრუბალმა მედროშეებს უბრძანა, მდინარეს აღმა აპყლოდნენ და არც ერთი ნაბიჯით ნაპირს არ დასცილებოდნენ: დილით გზა თავად გამოჩნდებოდა. მაგრამ მდინარე ისე იყო დაკლავნილი, რომ მის საქცევებში სიარულის დროს პუნები თითქმის წინ ვერ მიიწევდნენ. მაშინ ჰასდრუბალი შეჩერდა, რომ გათენებას დალოდებოდა და ფონი მოეძებნა. ამას ისევ წარუმატებლობა მოჰყვა: რაც უფრო შორდებოდნენ მდინარეს, ნაპირი მით უფრო ფრიალო და მაღალი ხდებოდა. მეტავრის გადალახვის უშედეგო ცდას მთელი დღე მოანდომეს და რომაელები უკუქცეულებს წამოეწივნენ.

პირველად გამოჩნდა გაიუს კლავდიუს ნერონი თავისი ცხენოსანი ჯარით, მას პრეტორი ლუციუს პროციუსი მოსდევდა მსუბუქი ქვეითი ჯარით. ისინი ყოველ მხრიდან ერთბაშად ეკვეთხენ მტრის კოლონას. ჰასდრუბალი, რომელმაც იცოდა, როგორი დაღლილი ჰყავდა ჯარი, ის-ის იყო მდინარესთან დაბანაკებას შეუდგა, რომ კონსული ლივიუსის სალაშქროდ კი არა, საბრძოლო მწყობრით დალაგებული ლეგიონები მიუახლოვდნენ. კიდევ ცოტა ხანი და რომაელები მზად იყვნენ საბრძოლველად. ლივიუსმა დაიკავა მარცხენა ფლანგი, კლავდიუსმა — მარჯვენა, შუა პრეტორს მიენდო. ჰასდრუბალს სხვა გზა არ ჰქონდა, სამუშაოები უნდა შეეწყვიტა და ებრძოლა. ცენტრში, დროშების წინ მან ათი სპილო დააყენა, ხოლო მათ უკან ლიგურიელთა ქვეითი ჯარი, მარცხენა ფრთაზე, კლავდიუსის პირისპირ, — გალები, მარჯვენაზე — ესპანელები. ესპანელები იყვნენ მისი ვეტერანები, მისი მთავარი დასაყრდენი და ამიტომ მარჯვენა ფრთას თვითონ ჩაუდგა სათავეში.

მაგრამ კართაგენელთა საბრძოლო ხაზი უხეიროდ განლაგდა. გალებს მტრისგან ბორცვი ჰყოფდა და იმ დროს, როცა ესპანელებმა ლივიუსს ბრძოლა გაუმართეს, კლავდიუსი ბრძოლიდან

გამოთიშული აღმოჩნდა. ბრძოლა უსასტიკეს ჩეხვად გადაიქცა: აქ თავი მოიყარა რომაელთა ქვეითი და ცხენოსანი ჯარის უმრავლესობამ, აქ იბრძოდნენ ესპანელები — რომაელების დიდი ხნის გამოცდილი მოწინააღმდეგეები. აქვე მოგროვებულიყვნენ ლიგურიელები — მამაცი და შეუპოვარი მეომრები. აქეთკენ დაიძრნენ სპილოებიც. მათმა პირველმა შემოტევამ მტრის წინა რიგები მოშალა და რომაელთა დროშებმაც კი ოდნავ უკან დაიხია, მაგრამ რაც უფრო ცხარდებოდა ბრძოლა და ძლიერდებოდა ყოყინა, მით უფრო ძნელი ხდებოდა სპილოების მართვა, ისინი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თითქოს არ იცოდნენ, სად იყვნენ თავისიანები, სად — უცხოელები და საჭემომტკრეული ხომალდებივით ტორტმანებდნენ.

კლავდიუსს მოსწყინდა უსაქმოდ დგომა და თავის ჯარისკაცებს შესძახა:

— მაშ, რისთვისღა მოვიჩქაროდით, თავპირისმტკრევით რალად გამოვრბოდით? — და ამ სიტყვებით ბორცვის კალთაზე აბობლებდა დაიწყო.

მაგრამ კბოდე ისეთი მიუვალი იყო, რომ რომაელები ძირს დაგორდნენ. მაშინ კლავდიუსმა, რომელსაც ეშინოდა, აქ ველარ შევებმებო მტერს, აყარა რამდენიმე კოჰორტა, რომაელთა მწყობრის უკან გაიყვანა და არა მარტო მტრებისათვის, თავისიანებისთვისაც მოულოდნელად ჰასდრუბალს ფლანგიდან დაარტყა. ვერ მოასწრეს მტრებმა გონს მოსვლა, რომ კლავდიუსი მათ ზურგში მოექცა. ეხლა ესპანელებსა და ლიგურიელებს ყოველი მხრიდან ერთდროულად ჩეხდნენ და ეს ხოცვა-ჟლეტა თანდათანობით გალებისაკენ მიიწეოდა. მარჯვენა ფრთაზე მებრძოლი გალები, თავისი ამხანაგებისგან განსხვავებით, თითქმის არ უწევდნენ მტერს წინააღმდეგობას. ჯერ ერთი, ისინი ცოტანი იყვნენ, ღამით ბევრი ჩამორჩნენ და მინდორში დაიძინეს, მეორეც, გალები ღონიერი ხალხია, მაგრამ საკლებად მტანნი. ისინი, რომლებიც მწყობრში იდგნენ, დიდი გზითა და უძილობით ისე იყვნენ გატანჯულნი, შუბებს მხრებზე ძლივს იმაგრებდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ მზე მალლა იდგა, გალებს სიცხე და წყურვილი კლავდა და ისინი ასობით ივლიტებოდნენ, ანდა ასევე ასობით ტყვედ ცვიოდნენ.

სპილოებს უფრო მეტად გამრეკები ხოცავდნენ, ვიდრე

მტრები. თითოეულ გამრეკს თან ჰქონდა ღურგლის სატეხი და ჩაქუჩი. როცა სპილო გახელდებოდა და თავისიანებს დაერეოდა, სპილოს გამრეკი სატეხს ყურებს შორის დაადებდა, იქ, სადაც თავი კისერს უერთდება და, რაც შეიძლება, ღრმად ჩაასობდა. ამ ვეება ცხოველის სწრაფად მოკვლის სხვა უკეთესი საშუალება არ არსებობდა, თუკი მისი დამორჩილება საბოლოოდ შეუძლებელი გახდებოდა. ეს ხერხი პირველად ჰასდრუბალმა გამოიყენა, რომელიც, საერთოდ, შესანიშნავი მხედარმთავარი იყო, განსაკუთრებული აღტაცება კი ამ ბრძოლით დაიმსახურა. სწორედ იგი აკაებდა ჯარისკაცებს მწყობრში ხან გამამხნევებელი სიტყვებით, ხან საკუთარი მაგალითით, აღვივებდა განელებულ მამაცობას, როცა ხედავდა, როგორ უცვიოდან ქანცაწყვეტილ შეომრებს ხელიდან მახვილები, უკან აბრუნებდა ლტოლვილებს, ბევრ ადგილას ისევ აერთებდა და ამჭიდროვებდა გარღვეულ რიგებს, უკან იბრუნებდა უკვე დაკარგულ ჰოზიციებს და ბოლოს, როცა საქმე მოწინააღმდეგისათვის შეტრიალდა წალმა, მან არ ისურვა საკუთარი ჯარის დაღუპვას მოსწრებოდა, რომელიც მის დიდებას, მის სახელს დაენდო, ცხენს დეზი ჰკრა, რომის კოპორტის შუაგულში შეიჭრა და დიდი ჰამილკარის ღირსეული ვაჟი, დიდი ჰანიბალის ღირსეული ძმა ბრძოლაში დაეცა.

მთელი ომის მანძილზე ერთ ბრძოლაში მტერს არასოდეს განუცდია ამდენი დანაკლისი: ეს იყო სამაგიეროს გადახდა კანეს გამო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ორმოცდათექვსმეტი ათასი კაცი დაიღუპა, ხუთი ათას ოთხასი ტყვედ ჩავარდა. წამოიღეს დიდძალი ნაღავლი, აურაცხელი ოქროვერცხლი, მოწინააღმდეგისგან დაიხსნეს ოთხი ათასზე მეტი ტყვე რომელი მოქალაქე: ეს ყოველივე რომაელებისათვის ერთგვარი საზღაური იყო ასევე საკმაოდ დიდი საკუთარი დანაკარგისა.

გამარჯვებულებს გულის რევამდე მოყირჳდათ ხოცვა-ჟლეტა და სისხლის ღვრა. როცა კონსულ ლივიუსს მოახსენეს, გაღებისა და ლიგურიელების ერთი ჯგუფი, რომელიც ან არ მონაწილეობდა ბრძოლაში, ანდა სიკვდილს გადაურჩა, უწინამძღოლოდ, უდროშებოდ მიდის, ახლა იგი უწესრიგო ბრბოს უფრო წააგავს, ვიდრე სამხედრო რაზმს და მათი ამოხოცვა სამასი ცხენოსნითაც შეიძლებაო, კონსულმა უპასუხა:

— დე, იცოცხლონ, დე, ჩვენი გამარჯვებისა და მტრის დამარცხების მოწმეებად დარჩნენ.

ბრძოლის მეორე ლამეს გაიუს კლავდიუს ნერონი კვლავ აპულიაში გაეშურა. უკან უფრო სწრაფად მიდიოდა და მეექვსე დღეს უკვე საკუთარ ბანაკში იყო. მაცნეები წინასწარ არ გაუგზავნიათ და ამიტომაც გზაში უწინდებურად ბევრი ხალხი არ დახვედრიათ, მაგრამ ისინი, ვინც შემთხვევით ხვდებოდა კლავდიუსსა და მის ჯარს, სიხარულისგან ლამის გონს კარგავდა.

მელვარება და ზიმი რომში

ზედმეტია თუნდაც ცდა იმ დაძაბული მოლოდინის აღწერისა, რასაც კარგა ხანს მოეცვა რომი და იმ ალტაცებისაც, გამარჯვების შეტყობამ რომ გამოიწვია. მთელი ეს დღეები, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე არც ერთი სენატორი არ ტოვებდა კურიას, ხოლო ხალხი — ფორუმს. საკუთარ უმწეობაში დარწმუნებული ქალები ტაძრიდან ტაძარში დადიოდნენ და ღმერთებს ლოცვა-ვედრებითა და აღთქმა-დაპირებით თავს აბეზრებდნენ. პირველი გაურკვეველი ხმები მოვიდა იმ ბანაკიდან, უმბრიის გასასვლელს რომ კეტავდა: თითქოს ბანაკში მისულიყოს ორი მხედარი და შეეტყობინებინოს, მტერი გაცამტვერებულიაო. ეს ხმები ხალხში დადიოდა, მაგრამ დაჯერებას ვერავინ ბედავდა: ცნობა არა თუ მეტისმეტად სასიხარულო, მეტისმეტად სწრაფიც იყო — ბრძოლა ხომ, როგორც ამბობდნენ, ორი დღის წინ გაიმართა. შემდეგ იმავე ბანაკიდან მიიღეს წერილი, რომელიც მხედრების ნათქვამს ადასტურებდა. მთელი სენატი გამოეფინა კურიიდან მაცნეს შესახვედრად, ხოლო ხალხი კართან ისე გაიჭედა, მაცნემ გზა ველარ გაიკვლია, — ეჭიდებოდნენ ხელეზზე, ტანსაცმელზე, ყვიროდნენ, წერილი ჯერ როსტრებზე¹ წაიკითხეთ, მერე სენატშიო.

¹ როსტრები — ტრიბუნა ხალხის წინაშე გამოსულ ორატორებისათვის. იღვა ფორუმის განაპირას და მტრას სამხედრო ზომალდების — ლათინურად „როსტრუმის“ — ცხვირებით იყო მორთული. აქედანაა ეს სახელწოდებაც.

მაგრამ ხალხი გვერდით მისწიეს და აიძულეს მოზღვავე-
ხული გრძნობები დაეოკებინათ. წერილი წაიკითხეს კურიაშიც,
სახალხო კრებაზეც, მაგრამ ყველა ზეიმს როდი მიეცა: ბევრნი
გაიძახოდნენ, საჭიროა კონსულების წერილებს და მათ შიკრი-
კებს დაველოდოთო.

ბოლოს მთელ ქალაქში ხმა გავარდა: შიკრიკები გვიახლოვ-
დებიან! შიკრიკები აქვე არიანო!

ქეშმარიტად ყველა — დიდიან-პატარიანად შიკრიკების შე-
სახვედრად გაიქცა. მულვისის ხიდამდე მწკრივი გაიბა. ყველა
წოდების ზღვა ხალხით გარშემორტყმულმა მოციქულებმა —
ლუციუს ვეტურიუს ფილონმა, პუბლიუს ლიცინიუს ვარუსმა
და კვინტუს ცეცილიუს მეტელუსმა — მიაღწიეს ფორუმს. თა-
გად ისინიცა და მათი თანამგზავრებიც ცხენის გაუჩერებლად
უპასუხებდნენ კითხვებზე; შემდეგ ხალხი ერთიმეორეს გადა-
სცემდა: „მტრის ჯარი განადგურებულა! პასდრუბალი დაღუ-
პულა! ჩვენი ლეგიონები გადარჩენილა! კონსულები კარგად
ყოფილან!“ უდიდესი ჯაფა დაადგათ, რომ ხალხი კურიის კარ-
თან შეეჩერებინათ და სენატორებში გარევის უფლება არ
მიეცათ.

ლუციუს ვეტურიუსი, სენატის წინაშე გამოსვლის შემდეგ
როსტრებზე ავიდა და კონსულების წერილი ერთხელ კიდევ
წაიკითხა. შემდეგ იგი დაწვრილებით და დეტალურად მოჰყვა
ყოველივეს, რასაც ხალხი ზარ-ზეიმით შეხვდა. ფორუმიდან
ზოგიერთებმა ტაძრებს მიაშურეს, რომ ღმერთებისათვის მად-
ლობა შეეწირათ, ზოგიერთებმა — სახლებს, რომ სიხარული
ცოლ-შვილისათვის გაეზიარებინათ.

სენატმა სამდღიანი საყოველთაო საღმრთო სამსახური და-
ნიშნა და მთელი ეს დღეები ტაძრები საზეიმოდ გამოწყობილი
მამაკაცებით, ქალებითა და ბავშვებით იყო გაჭედილი. გეგო-
ნებოდათ, ომი უკვე დამთავრებულია და ჰანბალი იტალიაში
აღარააო. და მართლაც, ამ დღიდან რომაელები კვლავინდე-
ბურად უშიშრად დებდნენ გარიგებას, ყიდულობდნენ, ყიდი-
დნენ, სესხს იღებდნენ და ვალს აბრუნებდნენ — ისე იქცეო-
დნენ, როგორც მშვიდობიანობის დროს.

თავის ბანაკში დაბრუნებულმა კონსულმა გაიუს კლავდი-
უსმა ბრძანა, პასდრუბალის თავი მტრის მოწინავე საგუშაგო-

ებზე მდგარ ყარაულებს გადაუგდეთო. ბორკილგაყრილი ტყვე აფრიკელები საჩვენებლად ბანაკის ზვინულის მიღმა გაჰყავდათ, ორი ტყვე კი კონსულმა გაათავისუფლა, რომ ჰანიბალი-სათვის უმბრიაში მომხდარი ამბავი მოეთხროთ.

მამულის უბედურებითა და ძმის სიკვდილით შეძრწუნებულმა ჰანიბალმა თქვა, კართაგენის ბედი გადაწყვეტილიაო. მან აპულიიდან ბრუტიუმისაკენ დაიხია, რომ იქ, იტალიის განაპირა მხარეში თავი მოეყარა თავისი და მოკავშირეთა ჯარებისათვის: უფრო ფართო სივრცეზე თავდაცვა მას უკვე აღარ შეეძლო.

კვლავ მსპანეთში

ჰასდრუბალ ბარკას იტალიისაკენ დაძვრის შემდეგ მის ადგილას აფრიკიდან ესპანეთში ახალი მხედართმთავარი, ჰანონი ჩავიდა და ახალი ჯარი ჩაიყვანა. იგი მაგონს კელტიბერიელთა მიწაზე შეხვდა და ორივემ ერთად მოკლე დროში ამ ტომიდან თავიანთი ჯარისათვის მეომრების დიდი რაოდენობა შეაგროვეს. სციპიონმა კელტიბერიაში ათი ათასი ქვეითი და ხუთასი ცხენოსანი გაგზავნა, რომელსაც სილანი მეთაურობდა. მიუხედავად იმისა, რომ გზა მთებში გადიოდა და ძნელად სავალი იყო, რომაელებმა იგი ელვისებურად გაიარეს, თვით მათ ლაშქრობაზე დარბეულ ხმებსაც კი ჩაუსწრეს და ამიტომაც მტერმა ვერაფერი ვერ შეიტყო.

მზვერავეებმა ამბავი მოიტანეს: მოწინააღმდეგე ორ ბანაკად დგას მთავარი გზის ორივე მხარეს: მარცხნივ — კელტიბერი ახალწვეულები არიან, მარჯვნივ პუნებიო. პუნების ბანაკი სამხედრო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით გაემარებინათ და იცავდნენ, კელტიბერები კი, საერთოდ, არაერთარ სიფრთხილეს არ იჩენდნენ: ანდა, რისი უნდა შინებოდათ საკუთარ მხარეში, საკუთარ მიწაზე?

სილანმა გადაწყვიტა, მარცხენა ბანაკს დასხმოდა. რომაელები ბანაკისაგან სულ რაღაც ხუთ კილომეტრზე იყვნენ, მაგრამ კვლავინდებურად ბორცვები ეფარებოდათ. სილანმა რაზ-

მი ხევში შეაჩერა და ჯარისკაცებს უბრძანა, ეჭამათ და დაესვენათ. შემდეგ იმავე ხევში დაყარეს მთელი თავიანთი ბარგი და საბრძოლველად მოეწყვნენ. ისინი მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, სულ ახლოს რომ მივიდნენ. ატყდა საშინელი ყვირილი. მაგონი ცხენზე შეჯდა და თვითონ გასწია დასაზვერად. დაბრუნდა თუ არა, თავისი ჯარი, დაახლოებით, ორ ნაწილად გაყო და სასწრაფოდ მოამზადა საბრძოლველად. დიდი ფარებით შეიარაღებული ოთხი ათასი ქვეითი და ორასი ცხენოსანი გამოიყვანა ბანაკიდან, დანარჩენები რეზერვად დატოვა.

როგორც კი კელტიბერები მიწის ზვინულის წინ გამოჩნდნენ, რომაელებმა ხელშუბები დააყარეს. კელტიბერები ჩაცუცქდნენ და ხელშუბებმა თავზე გადაუარათ. მაშინ ისინი მკვირცხლად წამოიშალნენ და თვითონ ისროლეს შუბები. რომაელები თავისებურად იცავდნენ თავს: ისინი შემჭიდროვდნენ და ფარები აიფარეს. ამას ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. ესპანელებს თავისებური წესი აქვთ ბრძოლისა, სწრაფად უტევენ მტერს, ხანმოკლე შეტაკებას გამართავენ და სასწრაფოდვე უკუიქცევიან, შემდეგ ხელახლა შეუტევენ. რომაელები კი ფეხმოუცვლელად იბრძვიან და ამიტომაც ყველა უპირატესობა მათ მხარეზე იყო, რადგან ტყიან კალთაზე სისხარტე და მოქნილობა გამოუსადეგარია, საჭიროა გამძლეობა და ძალღონე. კელტიბერთა თითქმის მთელი ოთხი ათასი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი რომაელებმა გაანადგურეს (ციცაბო, დაბარდული ფერდობი გაქცევას მეთისმეტად აძნელებდა). გაანადგურეს რეზერვიც და კართაგენელთა ძალებიც, რომლებიც მეორე ბანაკიდან მოვიდნენ. მაგონმა ბრძოლის ველიდან გაიყვანა არა უმეტეს ორი ათასი მეომრისა, ჰანონი კი, რომელიც ბრძოლის დასასრულს მოვიდა, თავის ჯარისკაცებიანად ტყვედ ჩავარდა. კელტიბერ ახალწვეულთა ნარჩენებმა ტყვეს შეაფარეს თავი, შემდეგ კი შინისაკენ მოკურცხლეს.

ეს იყო უაღრესად დროული და უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება. ამ გამარჯვებამ არა მარტო კელტიბერებს, არამედ საერთოდ ყველა ესპანელს ერთბაშად დაუქარგა რომაელთა წინააღმდეგ ხელის აღმართვის სურვილი. მაგრამ ომი გრძელდებოდა: ესპანეთის განაპირას — მდინარე ბეტისის გაყოლებაზე ჰისგონის ვაჟის, ჰასდრუბალის ჯარი იდგა და მაგონიც

298.

იქით გაიქცა. სციპიონი დაუყოვნებლივ სამხრეთისკენ დაიძრა, მაგრამ პუნებმა სასწრაფოდ დაიხიეს ოკეანის ნაპირისაკენ — ქალაქ ჰადესისაკენ. ჰასდრუბალი ჰადესში გამაგრდა, ხოლო თავისი ხალხი რაზმებად დაჰყო და სხვადასხვა ქალაქებში ჩააყენა, რომ მეომრებს გალავანი დაეცვათ, გალავანს კი — მეომრები. ამ ქალაქების ზედიზედ აღება ძალზე ძნელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მეტისმეტად ხანგრძლივი ამბავი მაინც იყო. სციპიონი მიხვდა, მტრის მხედართმთავარმა იპოვა ერთადერთი სწორი გამოსავალი და უკან გამობრუნდა. მაგრამ არც ის სურდა, რომ ამ მხარის სრულ ბატონ-პატრონად კართაგენელები დაეტოვებინა და ამიტომ ძმას — ლუციუს სციპიონს უბრძანა, იმ ქალაქებს შორის ყველაზე მდიდარ ორონგიისათვის შემოერთება ალყა.

ლუციუს სციპიონმა საალყო სამუშაოების დაწყებამდე ქალაქის კარიბჭესთან პარლამენტორები გაგზავნა, რომ ქალაქები დანებებულიყვნენ, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ დაიწყო სამუშაოები. ქალაქს გარშემო ხანდაკი და ორმაგი მიწის ზეინული შემოავლეს. როცა სამუშაოები მოათავეს, ლუციუს სციპიონმა თავისი ჯარები სამ ნაწილად გაყო, რომ ერთმანეთის შენაცვლებით განუწყვეტელი იერიში მიეტანათ. განსაკუთრებით გაუჭირდათ პირველებს. ქვებისა და ხელშუბების სეტყვაში მათ ძალისძალათი გაიკვლიეს გზა გალავნისაკენ და ზედ საალყო კიბეები მიადგეს. მაგრამ როგორც კი საფეხურებზე ასვლა დაიწყეს, მაშინვე ზემოდან ჩამოუშვეს ზომბაზე მეტად გრძელტარიანი ორთითები და თოქზე ჩამოკიდებული რკინის კავები. ორთითებით გაბედულ მებრძოლებს ძირს ჰყრიდნენ, ხოლო კავებს ტანისამოსზე წამოსდებდნენ. მოიერიშეებს ჰაერში აიტაცებდნენ ან გალავანზე აათრევდნენ და ხელში იგდებდნენ. მაშინ, ლუციუს სციპიონმა ჯარის იმ მესამედს, რომელიც უტევდა, უბრძანა, უკან დაეხია და ბრძოლაში ყველა ერთიანად ჩააბა. როცა ბრძოლით გატანჯულმა ქალაქელებმა მათ წინაშე ახალი ძალები დაინახეს, შეშინებულეებმა მიატოვეს თავიანთი ადგილები გალავანზე, ხოლო პუნების გარნიზონი, იმის შიშით, ესპანელებმა არ გვიდალატონო, მთავარ მოედანზე შეგროვდა.

ყველაზე მეტად ქალაქელებს იმისი ეშინოდათ, ორონგიაში

შემოკრილი მტერი ესპანელებსა და პუნებს არ გაარჩევს და ყველას ერთნაირად ამოხოცავსო. და აი, ისინი კარიბჭესთან შეკროდნენ, მოულოდნელად გააღეს იგი და გარეთ გამოცვიდნენ. ქალაქელებს წინ ფარები ჰქონდათ აფარებული, რომ შეტებისა და ხელშებებისგან თავი დაეცვათ, მარჯვენა ხელს აქნევდნენ იმის ნიშნად, რომ მახვილები გადაეყარეთო, მაგრამ რომაელებმა ან ვერ დაინახეს მათი ნიშანი შორიდან, ანდა ხრიკად მიიჩნიეს. მათ ისე შეუტიეს უიარალო მოლალატეებს, თითქოს საომარი მწყობრით მომავალი მტერი ყოფილიყოს და იმავე კარიბჭით ქალაქში შეიჭრნენ, შემდეგ სხვა კარებიც შეამტვრიეს. ქუჩებში პირველი ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი მთელი ძალით გაქანდნენ მთავარი მოედნისაკენ, ასე უბრძანა მათ სციპიონმა, ხოლო ცხენოსნებს მსუბუქი ქვეითი ჯარი მიჰყვა.

რომაელები სახლებს არ ძარცვავდნენ და არავის კლავდნენ იმათ გარდა, ვინც იარაღით ხელში თავს იცავდა: არც ქალაქელთათვის, არც მათი ქონებისათვის ზიანი არ მიუყენებიათ— მხოლოდ კართაგენელების სამასმა თანამდგომმა გაიზიარა პუნთა გარნიზონის ბედი: ისინი შეიპყრეს, რომ შემდეგ მონებად გაეყიდათ. ორონგიის ალების დროს მტერს თითქმის ორი ათასი კაცი დაეღუპა, რომაელებს ოთხმოცდაათზე ნაკლები.

პუბლიუს სციპიონი სიტყვებს ვერ პოულობდა, რომ შესაფერისად გამოეხატა სიხარული და მადლობა გადაეხადა ძმისთვის. მან მხოლოდ ის უთხრა ძმას, რომ ორონგიის ალება ახალი კართაგენის ალებაზე ნაკლები წარმატება და გმირობა როდიაო.

ზამთარი ახლოვდებოდა — დრო აღარ იყო ჰასდრუბალისათვის ალყა შემოერთყათ ჰადესში, ანდა ესპანეთის სამხრეთში მიმოფანტული რაზმებისათვის ეღიათ.

სციპიონმა ლეგიონები საზამთრო ბინებში გაანაწილა, ძმა ლუციუსი რომში გაგზავნა, თან პანონი და სხვა ტყვეები გაატანა, თვითონ კი ტარაკონში წავიდა.

ლივიუსის და კლავდიუსის ტრიუმფი

წლის ბოლოს დედაქალაქში ჩავიდა კვინტუს ფაბიუს მაქსიმე უმცროსი, კონსულ ლივიუსის ლეგატი. კონსულმა სენატორებს აცნობა, რომ ჩრდილოეთ იტალიის დასაცავად საკმარისია ის ჯარი, რომელსაც მეთაურობს ყოფილი პრეტორი ლუციუს პროციუსი, ხოლო თვითონ, ლივიუსი, თავისი ლეგიონერებით შეიძლება რომში დაბრუნდესო. სენატმა დაადგინა, დაბრუნდეს არა მარტო ლივიუსი, არამედ მისი ამხანაგიც — გაიუს კლავდიუს ნერონიც. თუმცა ნერონს უბრძანეს ჯარი იქვე დაეტოვებინა, რადგან ჰანიბალი, ძმისგან განსხვავებით, ისევ ცოცხალი იყო და, მაშასადამე, ჯერჯერობით კლავ საშიში.

კონსულები შიკრიკების საშუალებით შეთანხმდნენ, მართალია, რომს სხვადასხვა მხრიდან მივადგებით, მაგრამ დედაქალაქში ერთდროულად შევიდეთო. აქაც ისეთივე ერთსულოვნება გამოვიჩინოთ, როგორც მტერთან ბრძოლაში გვახსიათებდა. თუ ერთ-ერთი ჩვენთაგანი ადრე მივიდა, ამხანაგს დაელოდოსო. მაგრამ ისე მოხდა, რომ პრენესტეში¹ ორივე ერთდროულად მივიდა. იქიდან მათ სენატს განკარგულება მისცეს, ბელონის² ტაძარში შეიკრიბეთო. მთელი რომი გამოეფინა მათ შესახვედრად. ყველა ესალმებოდა კონსულებს, ყველა წინ მიიწევდა, რომ მძლეველთა ხელს შეხებოდა, მიელოცა, მადლობა ეთქვა სახელმწიფოს გადარჩენისათვის. ლივიუსმა და კლავდიუსმა, ძველი ჩვეულებისამებრ, კურიას მოახსენეს, ბრძოლა, ჩვენდა საბედნიეროდ, გამარჯვებით დამთავრდაო და მოითხოვეს, უკვდავი ღმერთებისათვის ღვთიური პატივი მიეგოთ, ხოლო მათ, კონსულებს, ტრიუმფალური მსვლელობის უფლება მისცემოდათ. სენატორებმა თანხმობა განაცხადეს. ღმერთების პატივსაცემად სამადლობელი ზეიმი ორივე კონსულის სახელზე დაინიშნა. ტრიუმფიც ასევე ორივესათვის დაინიშნა. კონსულები ერთმანეთში შეთანხმდნენ, ტრიუმფი საერთო ექნებოდათ, მაგრამ რადგან გამარჯვება მარ-

¹ პრენესტე — ქალაქი დაახლოებით 35 კილომეტრზე რომიდან.

² ომის ქალღმერთის ტაძარი რომის ძველ საზღვრებში არ იყო და ამიტომაც კონსულებს იქ მისვლა სამხედრო ხელისუფლების უფლებების აუყრელად შეეძლოთ.

კუს ლივიუსის პროვინციაში მოიპოვეს და რამდენადაც რომის
გალაქთან მხოლოდ მისი ჯარები იმყოფებოდა, ამიტომ ლი-
ვიუსი ქალაქში ოთხ თეთრცხენშებმული ეტლით შევიდოდა,
ხოლო გაიუს კლავდიუსი — ცხენზე ამხედრებული.

საერთო ტრიუმფმა გააორკეცა მათი დიდება, მაგრამ გან-
საკუთრებით აამაღლა და განაღიდა გაიუს კლავდიუს ნერონის
სახელი.

— შეხეთ, შეხეთ, — ამბობდნენ ყველანი და ნერონზე
უთითებდნენ, — სწორედ ეგ იყო ექვს დღეში რომ გაიარა
მთელი იტალია და თვით ჰანიბალიც მოატყუა! ერთი ორ ად-
გილას იცავდა რომს ერთდროულად: აპულიაში — მხედართ-
მთავრის სიბრძნით, უმბრიაში — მეომრის სიმამაცით. ნერო-
ნის მარტოოდენ სახელი აღმოჩნდა საკმარისი, რომ ჰანიბალს
ხელი ვერ გაენძრია, ბრძოლაშიც მხოლოდ მისი მონაწილეო-
ბით გაანადგურეს ჰასდრუბალი. დე, მეორე კონსული კეკლუ-
სობდეს ბრწყინვალე, მაღალ ეტლში, ჭეშმარიტი ტრიუმფა-
ტორი, ჭეშმარიტი მძლეველი, აი, ისაა, ცხენზე ამხედრებული
რომ მოაბიჯებს. ან ამას რა ლაპარაკი უნდა, ფეხითაც რომ მო-
დიოდეს, რომს მუდამ ემანსოვრება გაიუს ნერონი, ემანსოვ-
რება არა მხოლოდ მისი გმირობისათვის, არამედ დიდებისადმი
მისი ზიზლის გამოც!

ასეთი სიტყვები მიაცილებდა გაიუს ნერონს თვით კაპი-
ტოლიუმამდე, სადაც კონსულებმა ყოვლადკეთილ და ყოვლად-
ძლიერ იუპიტერს საგულისგულო მსხვერპლი შესწირეს.

ხაზინაში ლივიუსმა და კლავდიუსმა სამი მილიონი სეს-
ტერცი და ოთხმოცი ათასი ასი შეიტანეს. მეომრებს ორმოცდა-
თექვსმეტ-ორმოცდათექვსმეტი ასი დაურიგეს. ცხადია, ამდე-
ნივე უნდა მიეღო გაიუს კლავდიუსის თითოეულ ჯარისკაცსაც.
მსვლელობის დროს რომაელი მხედრები ერთხმად აქებ-
დნენ ლეგატებს ლუციუს ვეტურიუსს და კვინტუს ცეცილი-
უსს და ხალხს ურჩევდნენ, მომავალ წელს კონსულებად აირ-
ჩიეთო. მეორე დღეს, ტრიუმფის შემდეგ, კლავდიუსი და ლი-
ვიუსი გამოვიდნენ კრებაზე და დაადასტურეს, რომ ორივე
ლეგატის მამაცურმა და ერთგულმა სამსახურმა სარგებლობა
მოუტანა მთავარსაზრდლებსაც და ჯარებსაცო.

მეორე წელს კონსულებად აირჩიეს ლუციუს ვეტურიუს
ფილონი და კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი.

ომის მეცამეტე წელი

რომის დაარსებიდან 548 (206 წ. ჩვენს ერაზმე)

ხალ კონსულებს მხოლოდ ერთი პროვინცია — ბრუტი-
უმი მისცეს, რადგან იტალიაში ახლა მტერიც ერთი რჩე-
ბოდა — ჰანიბალი. მაგრამ, სანამ კონსულებს ჯარებთან გაგზავ-
ნიდნენ, სენატმა სთხოვა, მდაბიო ხალხი თავის ჩვეულებრივ
საქმიანობას დაუბრუნეთო მინდვრებში, ბაღებში, საძოვრებზე.
ომმა რომიდან შორს გადაინაცვლა, — ამბობდნენ სენატო-
რები, — სოფელში ცხოვრება ახლა მშვიდად შეიძლება და რო-
მაელი ხალხისა და სენატისათვის არაფერი ბედენაა, უფრო მე-
ტად იზრუნოს სიცილიის სახნავ-სათესზე, ვიდრე თვით იტალი-
ის სახნავ-სათესზეო.

ამოცანა რთული იყო, ძლიერ შემცირდნენ თავისუფალი
გლეხებიც და მონებიც — ერთსაც და მეორესაც ნთქავდა ომი,
საქონელი გარეკილი იყო, სახლები — დანგრეული და გადამ-
წვარი. და მაინც, კონსულებმა შეძლეს დიდი ნაწილი მიწის
მუშებისა, რომლებმაც თავიანთი მინდვრები მიატოვეს და ქა-
ლაქებში გაიქცნენ, დაებრუნებინათ მიწისათვის.

იმ წელს ჰანიბალთან სრულიად არ უბრძოლიათ. ჭრილობა, რომელიც უმბრიაში მასა და მის სახელმწიფოს მიაყენეს, ჯერ კიდევ ახალი იყო და ჰანიბალს სიმშვიდის მეტი არაფერი უნდოდა, ხოლო რომაელები ვერ ბედავდნენ მისი მყუდროების დარღვევას, რადგან მათ თვალში ეს მხედართმთავარი წინანდებურად უაღრესად ძლიერამოსილი, უაღრესად ძლიერი ჩანდა, თუმცა მის გარშემო ყველაფერი უკვე ინგრეოდა, არარად იქცეოდა. მე იმასაც კი ვიტყვოდი, რომ უბედურების ეამს იგი უფრო გასაოცარი, უფრო დიდებული იყო, ვიდრე ბედნიერების დროს. მეცამეტე წელი იყო, რაც იგი შინიდან ასე დაშორებით იბრძოდა, ხან იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა, იბრძოდა არა თანამემამულეებისაგან შემდგარი ლაშქრით, არამედ არეული, ყოველი ჯურის ბრბოსაგან, სხვადასხვა ტომის ადამიანებისაგან სახელდახელოდ შეკოწიწებული ჯარით, ადამიანებისაგან, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო — არც კანონები, არც ენა, არც ზნე-ხასიათი, არც იერი, არც სამოსი, არც იარაღი, არც საღმრთო წეს-ჩვეულება, დაბოლოს, არც თვით ღმერთი! მაგრამ მან ყველანი შეკრა და შეაკავშირა, რაღაც ურღვევი კავშირით ისე, რომ არ ყოფილა განხეთქილება მეომრებს შორის, არც ამბოხება, არც თუნდაც უკმაყოფილება მთავარსარდლის მიმართ. მტრის მიწაზე კი აკი ხშირად არ ჰყოფნიდათ ფული ჯამაგირისათვის, სურსათ-სანოვაგე. სწორედ ამ მიზეზის გამო წამლაუწუმ საზიზლარი შეხლა-შემოხლა ხდებოდა ჯარისკაცებსა და მეთაურებს შორის პირველ პუნიურ ომში.

მაშ სასწაული არ არის, რომ მის ბანაკში არავითარი მღელვარება არ მომხდარა მას შემდეგაც, რაც დაიღუპა ჰასდრუბალი — პუნთა გამარჯვების უკანასკნელი იმედი — და ჰანიბალი ბრუტიუმში ჩაიკეტა, მოზეიმე მტერს კი მთელი იტალია დაუტოვა? ამას ისიც ემატებოდა, რომ ბრუტიუმს არ შეეძლო გამოეკვება ასეთი დიდი არმია, თუნდაც რომ დიდი გულმოდგინებით დაემუშავებინათ მთელი მიწები, ამავე დროს ხენათესვა მოიშალა, რადგან ახალგაზრდობა ჰანიბალის ჯარში მსახურობდა და ბრუტიუმელთა ყველა ტომმა შეიძინა დაქირავე-

ზულთა მანკიერი ჩვევა — ცხოვრების სახსარი ძალადობისა და ძარცვაში ეძებნა, აფრიკიდან კი დახმარება არ ჩანდა: კართაგენის მთავარ საზრუნავად ესპანეთი ქვეუღიყო.

პართაგენელები ესპანეთს კარბავენ

ესპანეთში საქმეები ნაწილობრივ ისე მიმდინარეობდა, როგორც იტალიაში, ნაწილობრივ კი სრულიად სხვაგვარად. კართაგენელები აქაც დამარცხდნენ, აქაც დაკარგეს ბელადი და ქვეყნის შორეულ ნაპირისაკენ დაიხიეს. მაგრამ თვით ამ ქვეყნის ბუნება, მისი მკვიდრთა ზნე-ჩვეულებანი ახალ-ახალი ომების უშრეტეი წყარო იყო, ასე რომ, მეორე პუნიკური ომიდან მხოლოდ ორასი წლის გავლის შემდეგ დაემორჩილა ესპანეთი საბოლოოდ რომის იარაღსა და რომის ძალაუფლებას. მაშინ კი ჰასდრუბალმა, ჰისგონიის ვაჟმა, მაგონთან ერთად შეაგროვა ლაშქარი ესპანეთის მიუვალ და განაპირა მხარეში. მისი ღროშის ქვეშ დაირაზმა ორმოცდაათათასამდე ქვეითი და ოთხი ათას ხუთასი ცხენოსანი ჯარი. მთელი ეს ლაშქარი განლაგდა მდინარე ბეტისის დაბლობზე იმ გადაწყვეტილებით, რომ მიეღოთ რომაელების გამოწვევა, თუკი ისინი ომს შესთავაზებდნენ.

მზადების ხმამ ტარაკონიამდეც მიაღწია. სციპიონს ესმოდა, რომ მარტო რომის ლეგიონებით ვერ გაუმკლავდებოდა ესოდენ მრავალრიცხოვან მტერს და აუცილებელი იყო ესპანელების მაშველი რაზმები — თუნდაც მარტო მოსაჩვენებლად, ანდა სწორედ რომ მოსაჩვენებლად, რადგან ბარბაროსებზე მთელი იმედის დამყარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მათ ხომ ყოველ წუთს შეუძლიათ დალატი. სწორედ ამან დააღუპა მისი მამა და ბიძა. სციპიონმა სილანი გაგზავნა მხედრებისა და ქვეითების მოსაყვანად, რომლებსაც ერთი მოკავშირე მეფე შეჰპირდა ზამთრის განმავლობაში, თვითონ კი სამხრეთისაკენ, ქალქ კასტულონისაკენ გაემართა. აქ იგი დაელოდა სილანს, რომელმაც სამი ათასი ქვეითი და ხუთასი ცხენოსანი მოიყვანა. ამის შემდეგ სციპიონი დასავლეთისაკენ და-

იძრა. სციპიონს მთლიანად ორმოცდახუთი ათასი მეომარი ჰყავდა.

როგორც კი მტერი დაინახეს, რომაელებმა დაბანაკება დაიწყეს. მაგონისა და მასინისას ცხენოსანი ჯარი მაშინვე თავს დაესხა მათ და ალბათ, ააფორიაქებდა და არეე-დარეევდა, რომ სციპიონს არ ჰყოლოდა მახლობელ ბორცვს უკან წინასწარ ჩასაფრებული ცხენოსანი რაზმი. მხედრები მოულოდნელად თავს დაესხნენ კართაგენელებს და გარეკეს მეწინავეები — ისინი, ვინც მუსრს ავლებდა მიწის ზვინულის ასაგებად მომუშავე ჯარისკაცებს. მათ საშველად მიჯრითი მწყობრით, აღმართული დროშებით მოვიდა ქვეითი ჯარი და გაჩაღდა უფრო ხანგრძლივი და უფრო შეუპოვარი ბრძოლა. მხოლოდ მაშინ, როცა სციპიონმა ბრძანა, შეეჩერებინათ სამუშაოები, იარაღისათვის მოეკიდათ ხელი, როცა წინ დაიძრნენ მსუბუქი ქვეითი ჯარის კოპორტები, ხოლო მათ მიჰყვა ლეგიონთა მკიდრო კოლონა, როცა დასვენებული მეომრები ეკვეთნენ დაღლილებს, მხოლოდ მაშინ აჩვენეს მტერს ზურგი პუნებმა და ნუმიდიელებმა. თავდაპირველად ისინი მშვიდად იხევდნენ, მწყობრისა და რიგის დაცვით, მაგრამ რომაელები უფრო და უფრო მძლავრად აწვებოდნენ. მაშინ მტერი უწესრიგოდ გაიქცა. უკვე ალარაფერზე აღარ ფიქრობდნენ, გარდა ერთისა — უმოკლესი გზით როგორმე მიეღწიათ ბანაკამდე.

ამ ბრძოლამ რომაელებს სიმამაცე შესძინა, კართაგენელებს კი შიში ჩაუწერა. მიუხედავად ამისა, შემდეგშიც რამდენიმე დღე ზედიზედ გრძელდებოდა ცხენოსნებისა და მსუბუქი ქვეითი ჯარის შეტაკებები. ბოლოს ჰასდრუბალმა გადაწყვიტა, მტრის ძლიერი და სუსტი მხარეები სათანადოდაა ამოცნობილიო და თავისი ჯარი საბრძოლველად განალაგა. საბრძოლველად რომაელებიც დაეწყვნენ, მაგრამ ორივე ჯარმა თავ-თავის ბანაკთან თითქმის მზის ჩასვლამდე დაჰყო, ისე, რომ ბრძოლა არ დაუწყიათ, შემდეგ კი ისევ მიწის ზვინულის გადაღმა დაბრუნდნენ. იგივე გამეორდა მეორე დღეს, მომდევნო დღეებშიც. ჰასდრუბალს პირველს გამოჰყავდა ჯარისკაცები ბრძოლის ველზე და ასევე პირველი აძლევდა მათ უკანდახვევის სიგნალს. მეომრები ჩუმად და გაუნძრევლად იდგნენ, მაგრამ სა-

ღამოს დაღლილობისა და დაძაბული მოლოდინისგან ცოცხალ-
მკვდარნი იყვნენ.

მწყობრის ცენტრი გამოღმა მხარე რომაელებს ეკავათ, გალ-
მა მხარე — პუნებსა და აფრიკელებს. ორივე მწყობრის
ფრთებზე მოკავშირეები ანუ ესპანელები იღვნენ. ფლანგების
წინ პუნებმა სპილოები დააყენეს, რომელთაც ზურგზე კოშკე-
ბი ედგათ. შორიდან თითოეული მათგანი პატარა ციხეს მია-
გავდა. ორივე ბანაკში დარწმუნებით ამბობდნენ, ბრძოლის
დროსაც ასეთ წყობას შევინარჩუნებთო: რომაელები იბრძო-
ლებენ პუნების წინააღმდეგ, ესპანელები ესპანელების წინა-
აღმდეგო. ეს ორმხრივი დარწმუნება შეამჩნია სციპიონმა და
შეეცადა ესარგებლა ამით.

მან ბრძოლის დღე დანიშნა და წინა ღამით ბანაკში ბრძა-
ნება გასცა, რიყრაჟზე ადექით, რიყრაჟზევე ისაუბმეთ და
ცხენებსაც აჰამეთო. როგორც კი ირიყრაჟა, სციპიონმა მთელი
ცხენოსანი ჯარი და მსუბუქი ქვეითი ჯარი მტრის საგუშა-
გოებისაკენ დაძრა, თვითონ კი მძიმედ შეიარაღებულებს სა-
თავეში ჩაუდგა და სასწრაფოდ მათ უკან მიჰყვა. ყველას გასა-
კვირად, რომელი ლეგიონერები ფლანგებზე მიაბიჯებდნენ, ეს-
პანელ მოკავშირეებს კი ცენტრში მიუჩინეს ადგილი.

ჰასდრუბალი მხედრების საბრძოლო ყიყინამ გამოაღვიძა,
იგი კარვიდან გამოვარდა და მტრის ცხენოსანი ჯარი ზედ მი-
წის ზვინულთან დაინახა, ხოლო შორს ლეგიონთა დროშებს
მოჰკრა თვალი. მან წინ მაშინვე თავისი ცხენოსანი ჯარი გა-
ზავნა და ქვეითი ჯარის გამოყვანასა და დაწყობას შეუდგა.
ჩვეულებრივ წყობაში არაფერი შეუცვლია.

ცხენოსანთა ბრძოლას ეინი აკლდა. ხან რომაელები იხე-
დნენ უკან, ხან კართაგენელები და თავიანთ ქვეით ჯარს ეფა-
რებოდნენ, მერე ისევ მტრისკენ მიჰროდნენ. როცა მძიმედ
შეიარაღებულ ქვეით ჯარს შორის მანძილი შვიდას მეტრამდე
შემცირდა, სციპიონმა თავისიანებს უბრძანა, უკან დაეხიათ.
რომაელმა ცხენოსნებმა მსუბუქად შეიარაღებული ქვეით
ჯართან ერთად ზურგს მიაშურეს და, როგორც რეზერვი,
ფლანგების უკან დადგნენ. ესპანელებმა განკარგულება მიიღეს,
იერიში წინასწარი განზრახვით ნელა მიეტანათ, ხოლო ორივე
ფრთა — მარჯვენას სციპიონი სარდლობდა, მარცხენას — მარკ

სილანი და ლუციუს მარტიუსი — გზადაგზა საჩქაროდ გაიშალა და მტრისკენ გაქანდა, რათა პირველი შეტაკებები სწორედ ფლანგებზე მომხდარიყო, ცენტრი კი ჯერჯერობით უმოქმედოდ ყოფილიყო. რომაელთა წყობის შუაგულში ღრმული გაჩნდა.

ამგვარად ფლანგები ერთმანეთს შეეტაკნენ მაშინ, როცა პუნთა რჩეული ძალები მტერთან ხელშუბების სროლის მანძილზე არ იყვნენ მიახლოებულნი. თავისიანების დახმარება მათ არ შეეძლოთ, რადგან ეშინოდათ ცენტრის გაშიშვლებისა, თუმცა ის, რაც ფლანგებზე ხდებოდა, ძალზე აწუხებდათ, თითქმის სასოწარკვეთილებას უნერგავდათ. რომის ცხენოსანი და მსუბუქი ქვეითი ჯარები რეზერვიდან გამოვიდნენ, ესპანელებს გარშემოერტყნენ და ესლა ზურგში ურტყამდნენ, ფრონტიდან კი ლეგიონერები უტევენენ. კართაგენის ორივე ფრთა სრული განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საფრთხე მით უფრო აშკარა და გარდუვალი იყო, რომ ესპანელები და ბალეარელები რომაელებს და ლათინებს იგერიებდნენ, ახალწვეულები კი — ვეტერანებს.

შუაღლე გადავიდა და ჰასდრუბალის მეომრებს, რომლებიც ნამძინარევი წამოიჭრნენ ზეზე და არც გამოძინებულები იყვნენ და არც ნასაუზმები, ძალა გამოელიათ. სციპიონი ადრიდანვე განგებ აჰიანურებდა დროს და ჯერ კიდევ მანამ, სანამ მტერს მჭიდროდ დაუმხარდამხარდებოდნენ, კართაგენელები გასავათებულნი იყვნენ პაპანაქება სიცხისა და იარაღის სიმძიმისაგან, ძალაგამოლეულნი — შიმშილისა და წყურვილისგან. ისინი ფეხზე ძლივს იდგნენ და რომ არ წაქცეულიყვნენ, ფარებს ეყრდნობოდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ შეშინებული სპილოები ფლანგებიდან ცენტრისკენ გაიქნენ და სულიერად დაცემულმა და ძალაგამოლეულმა პუნებმა უკან დაიხიეს. მართალია, ისინი წესრიგის დაცვით იხევდნენ, თითქოს მხედართმთავრის ბრძანება მიიღესო, მაგრამ უკანდახევა მალე პანიკურ გაქცევად გადაიქცა, რომელიც ვერც ჰასდრუბალის მოწოდებამ შეაჩერა და ვერც მედროშეების მოწოდებამ. ვერ შეაჩერა ვერც იმ ბორცვების მწყრივებმაც, რომელიც მეტად კარგ პოზიციას ქმნიდა. ლტოლვილები თავიანთ ბანაკში შეიყუჟნენ, წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრიათ და რომაე-

ლები ალბათ შეუჩერებლივ გადალახავდნენ თხრილსაც დამიწის ზეინულსაც, მაგრამ ჭექა-ქუხილი ატყდა, მზე, ასე მცხუნვარედ რომ აკერდა, ყომრალი ღრუბლებით დაიფარა, და კოკისპირული წვიმა, თავსხმა წამოვიდა, ისე რომ გამარჯვებულებმა თავიანთ კარვებამდე ძლივს მიაღწიეს.

ლამის წყვდიადი და წვიმის ხმაური კართაგენელებს დასვენებისაკენ უხმობდა, დასვენება კი აუცილებელი იყო დაჭრილ და დაღლილ სხეულებისათვის, მაგრამ შიში მოსვენებას არ აძლევდა და თვალს არ ახუჭინებდა. მთელი ღამე მეომრები ახლომახლო ხეობებიდან ქვებს ეზიდებოდნენ და ზვინულს ამალმებდნენ. მოკავშირეთა ღალატმა მთელ ამ სამზადისს აზრი გამოაცალა. რომაელების მხარეზე თავდაპირველად გადავიდა ტურდეტანების მეფე თავისი თანამეტომეთა დიდი რაზმითურთ. მათ კვალად მტერს დანებდა ორი ციხესიმაგრე გარნიზონიანად. ჰასდრუბალს შეეშინდა ამ გადამდები და მაცდური სენის გავრცელებისა და მეორე ღამით ბანაკი ჩუმად აყარა.

სციპიონმა მას თავისი ცხენოსანი ჯარი დაადევნა და თვითონაც მთელი ქვეითი ჯარით უკან გამოუდგა. რომაელები ისე ჩქარა მიდიოდნენ, რომ კვალში ჩამდგარნი მტერს დაეწეოდნენ კიდევ, მაგრამ გამყოლებმა სციპიონი დაარწმუნეს, პუნები მდინარე ბეტისის გადალახვის დროს შევიპყრათო და სციპიონიც უმოკლესი გზით მიაღდა მდინარეს. როცა ჰასდრუბალმა მზვერავებისგან შეიტყო, მდინარის ფონი მტერს აქვს დაკავებულიო, იგი სამხრეთისკენ, ოკეანისაკენ შებრუნდა. ახლა მისი ჯარისკაცები კი არ მიდიოდნენ, მირობდნენ და რომის ლეგიონებს ბევრად გაუსწრეს. სამაგიეროდ, რომაელების ცხენოსანი და მსუბუქი ქვეითი ჯარი არც ერთი ნაბიჯით უკან არ რჩებოდა და მოსვენებას არ აძლევდა მტერს — ხან ფლანგებიდან უტევდა, ხან ზურგიდან. კართაგენელები იძულებულნი გახდნენ შეებმოდნენ. ამასობაში ლეგიონერებიც მოვიდნენ და ბრძოლა თვალის დახამხამებაში ელეტად გადაიქცა. პუნები, აფრიკელები, ესპანელები, ისე ცვივოდნენ ძირს, როგორც ყასბის დანით ყელგამოჭრილი საქონელი. გადარჩა მხოლოდ ჰასდრუბალი ექვსი ათას მეომართან ერთად, რომელთა უმეტესობამ გაქცევის დროს ფარები და მახვილები დაკარგა.

კართაგენელები ისე გამაგრდნენ მაღალ და ციცაბო ბორცვის წვერზე, როგორც შეეძლო და ადვილად მოიგერიეს მტრის რამდენიმე იერიში. მაგრამ ერთია მოიგერიო შეტევა და მეორე — უკმელ-უსმელმა და უთავშესაფრომ გაუძლო ალყას მოტიტვლებულ მინდორზე. მეორე დღესვე დაიწყო დეზერტირობა, მოღალატეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა და ბოლოს ჰასდრუბალმა ერთგული კაცი გაგზავნა ჰადესში გემების მოსამზადებლად, ბედის ანაბარა მიატოვა ლაშქარი და ზღვას მიაშურა. ბედად ნაპირი ახლოს იყო.

როცა სციპიონმა გაიგო, კართაგენელთა მთავარსარდალი ჰადესში გაიქცაო, სილანს ათი ათასი ქვეითი ჯარი და ათასი ცხენოსანი დაუტოვა, რომ ალყა გაეგრძელებინა და თვითონ ტარაკონიაში დაბრუნდა. მასინისამ გამონახა საშუალება, სილანს ფარულად შეხვედროდა და მისი პირით რომის ხალხს შეგობრობა სთხოვა. მესამე კართაგენელი მხედართმთავარი მაგონი ჰასდრუბალს ჰადესში შეუერთდა. უსარდლებოდ დარჩენილი ლაშქრის უმეტესობა ტყვედ ჩაბარდა. ესპანელების მხოლოდ მცირე ნაწილი დაუსხლტა ხელიდან მტრის ყარაულებს და თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში გაიფანტნენ.

ამრიგად, პუბლიუს სციპიონის უმაღლესი მთავარსადროლის დროს ომის მეცამეტე წელს კართაგენელები გააძევეს ესპანეთიდან.

მტრები სანადიმო სუფრასთან

სციპიონმა ისევ გაგზავნა ძმა, ლუციუსი, სახელოვან ტყვეებთან ერთად რომში. ყველა აღიდებდა ესპანეთის დამპყრობს, ყველა მხიარულობდა და ზეიმობდა. მხოლოდ მთავარი მიზეზი ამ ზეიმისა — სციპიონი თვლიდა, რომ ზეიმი ნაადრევეია, რადგან დამორჩილებული ესპანეთი მომავალ გამარჯვების მხოლოდ სუსტი და ბუნდოვანი ხატებააო. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი მზერა აფრიკისა და დიდი კართაგენისაკენ იყო მიპყრობილი. მისი ანგარიშით საქმე მოკავშირეთა შეძენით უნდა დაეწყო და პირველი, ვისაც მან მიმართა, ნუმიდიელი სიტაქსი იყო — სწორედ ის, ვისთანაც ოდესღაც მეგობრული ურთიერთობა

ჰქონდათ მის მამას და ბიძას. სციპიონმა გადაწყვიტა, ძველი კავშირი განეახლებინა.

თუმცა ამ დროისათვის სიფაქსი კართაგენელებთან კარგა ხნის შერიგებული იყო და თავის სამფლობელოები დაბრუნებული ჰქონდა, სციპიონმა კარგად იცოდა ბარბაროსთა ერთგულების ფასი და დაუყოვნებლივ ნუმიდიელთან დიდი საჩუქრით გაიუს ლელიუსი გაგზავნა.

სიფაქსი ელჩების მოსვლამ და საჩუქრებმა დიდად გაახარა. ჰქონდა კიდევ მიზეზი! აქი რომაელები იმარჯვებდნენ იტალიაში, გაიმარჯვეს ესპანეთშიც, პუნები კი მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. მან ელჩებს აგრძნობინა, სციპიონის წინადადებას სიამოვნებით მივიღებო, მაგრამ სურდა რომის მთავარსარდალს პირისპირ შეხედროდა და ამას მომავალი ხელშეკრულების აუცილებელ პირობად აყენებდა. ლელიუსი უკან, ესპანეთში, ისე დაბრუნდა, რომ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

იმისთვის, ვინც აფრიკაში გადასვლას აპირებდა, სიფაქსი ჭეშმარიტად შეუღარებელი (უბადლო) მოკავშირე იქნებოდა. იგი იყო ყველაზე მდიდარი მეფე ამ მხარეში, იცნობდა კართაგენელთა სამხედრო ხელოვნებასა და სამხედრო ეშმაკობას, იგი ნუმიდიისა და მავრიტანიის იმ მხარეებს განაგებდა, რომლებიც ესპანეთისაგან მარტოოდენ ვიწრო სრუტით იყო გამოყოფილი. რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, სციპიონი რისკზე წავიდა: მან ტარაკონა ლუციუს მარციუსს მიანდო, ახალი კართაგენი — მარკუს სილანს და თვითონ ორი ხომალდით ზღვაში გავიდა. ზღვა წყნარი იყო და ახალი კართაგენიდან ნიჩბებით მიდიოდნენ, იშვიათად თუ დაუბერავდა სუსტი ნიავი. ნავსადგურის მისადგომთან, სადაც მათ სიფაქსი ელოდათ, რომაელებმა კართაგენელების შვიდი სამხედრო ხომალდი შეამჩნიეს. ეს იყო ესპანეთიდან განდევნილი ჰასდრუბალის გემები. სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ მოსდგომოდნენ ნაპირს და ლუზა ჩაეშვათ. ისინი კართაგენელებმაც შენიშნეს, ეჭვი ოდნავადაც არ შეჰპარვიათ, რომ მტრები იყვნენ და შეიძლებოდა ხელთ ეგდოთ და ჩაეძირათ. ატყდა ყიჟინა, აურზაური. მეზღვაურები ლუზის ბავირებს ეცნენ, ჯარისკაცები — იარაღს. მაგრამ სწორედ ამ დროს ზღვიდან ქარმა უფრო ძლიერად დაქროლა, იალქნები დაიბერა და რომაელები ნაპირთან მანამ

მიცურდნენ, სანამ პუნები ღუზების აწევას მოასწრებდნენ, ხოლო მეფის ნავსადგურში ბრძოლა ჰასდრუბალმა ვერ გაბედა. მაშასადამე, სიფაქსთან პირველად ჰასდრუბალი გამოცხადდა, სციპიონი და ლელიუსი მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

ნუმიდიელმა, სიამაყისაგან, აღარ იცოდა, რა ექნა: ერთსა და იმავე დღეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და მდიდარი ორი ხალხის მხედართმთავრები მასთან მეგობრობისა და მხარდაჭერის სათხოვნელად მოვიდნენ.

რომაელებსაც და კართაგენელებსაც მან განუცხადა, ჩემი ძვირფასი სტუმრები ბრძანდებით და რახან ბედმა ერთ ჰერქვეშ შეგყარათ, შეეცადეთ თქვენი განხეთქილება, წყენა და უკმაყოფილება ერთმანეთში მოაგვაროთო. საპასუხოდ სციპიონმა თქვა:

— პუბლიუს სციპიონს ჰასდრუბალთან არავითარი განხეთქილება არა ჰქონია და არცა აქვს. რომის სახელმწიფოს მტერთან მოლაპარაკება კი მას, რომის სარდლის, სენატის განსაკუთრებული ნებართვის და ბრძანების გარეშე არ შეუძლიაო.

სიფაქსი დაჟინებით მოითხოვდა, სციპიონი კართაგენელებთან ერთად ერთ სანადიმო სუფრას წამოუწვესო, თორემ ხმა დაიბნევა, რომ ნუმიდიელთა მეფემ ერთ-ერთი თავისი სტუმარი გაანაწყენა და სტუმართმოყვარეობის წესი და რიგი დაარღვიაო. სციპიონი დაეთანხმა. მტრებმა ერთად ისადილეს და განა მარტო ერთ სუფრასთან იწვნენ, არამედ ერთ სარეცელზეც: ასე ისურვა მეფემ. იმდენად მომხიბლავი კაცი იყო სციპიონი, იმდენად ჰკვიანი, იმდენად თანდაყოლილი უნარი ჰქონდა ისე მოქცეოდა ყოველ ადამიანს, როგორც მდგომარეობა მოითხოვდა, რომ მოხიბლა არა მარტო ბარბაროსი ნუმიდიელი, არამედ თავისი მოსისხლე მტერი — ჰასდრუბალი. პუნს არ შეეძლო და არც სურდა დაემალა თავისი აღფრთოვანება, ამასთანვე ის სამწუხარო ამბავიც, რომ სიფაქსი და მისი სამეფო, კართაგენისათვის დაკარგული იყო.

— ჩვენ ახლა იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, როგორ დავკარგეთ ესპანეთი, — თქვა მან გულახდილად, — არამედ იმაზე, როგორ შევინარჩუნოთ აფრიკა. რა თქმა უნდა, მოგზაურობის სიყვარულისა და ბუნების სილამაზის გამო არ დაუტოვებია

რომის მხედართმთავარს (მერედა, როგორ მხედართმთავარს!) ახლახან დაპყრობილი პროვინცია, გადმოვიდა მტრულ მიწაზე და ენდო მეფეს, რომელსაც სრულებით არ იცნობს! ცხადია, რა იმედსაც ინახავს გულში — აფრიკის დაპყრობა სურს! დიახ, სციპიონ, შენ კარგა ხანია გულში ატარებ ამ აზრს და ელოლიავეები. მაგრამ განა მართო ელოლიავეები: შენ აშკარადაც ამბობდი: სციპიონი აფრიკაში ისე არ იბრძოლებს, როგორც ჰანიბალი იტალიაში იბრძვისო: ხომ ხედავ, ჩვენ ყველაფერი ვიციოთ, რასაც ამბობ.

როცა ჰასდრუბალი გაემგზავრა, ნუმიდიელმა და რომაელმა კავშირი შეკრეს. შემდეგ სციპიონი უკან წამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ღია ზღვაში ქარიშხალმა მოუსწრო, მეოთხე დღეს იგი ახალ კართაგენში იყო.

მძლეველთა შურიძიება და ზეიმი

ესპანეთი რომისგან ისვენებდა, მაგრამ ყველა მის ქალაქს როდი ახარებდა და ატკობდა ეს სიმშვიდე. ზოგიერთები თითქოს ჩაჩუმდნენ, განგაშის მოლოდინში ხმა გაიკმინდეს, მძლეველთა წინაშე დანაშაულს გრძნობდნენ და სამაგიეროს გადახდისა ეშინოდათ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანნი და ყველაზე დამნაშავენი იყვნენ კასტულონი და ილიტურგია.

კასტულონი რომის ერთგული იყო მანამ, სანამ რომაელებს ბედი სწყალობდა, ძმები სციპიონების სიკვდილის შემდეგ კი პუნთა მხარეზე გადავიდა. ილიტურგელებმა არა მართო უღალატეს, არამედ სისხლიც დაიდევს: მათ დაზოცეს ან დასასჯელად კართაგენელებს გადასცეს გნეუს სციპიონის მეომრები, რომლებიც მტრის მახვილს გადაურჩნენ და მფარველობასა და თავშესაფარს მათ ქალაქში ეძებდნენ. მოღალატეთა დასჯა აღრეც, რასაკვირველია, სამართლიანი იყო, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. სამაგიეროდ, ახლა მათ ყველაფერზე ერთიანად უნდა ეგოთ პასუხი.

სციპიონმა ტარაკონიდან ახალ კართაგენში ლუციუს მარციუსი გამოიძახა და დაავალა, კასტულონს ალყა შემოარტყიო.

თვითონ კი ილიტურგისაკენ გაეშურა და ხუთი დღის შემდეგ ამ ქალაქის გაღვანთან გაჩერდა. კარიბჭე მჭიდროდ იყო დახშული და ყველაფერი თავდაცვისათვის მომზადებული. სწორედ ამით დაიწყო სციპიონმა თავისი ხანმოკლე სიტყვა:

— შეხედეთ, — უთხრა მან მეომრებს, — მათ თვითონ ჩაკეტეს კარიბჭე და ჩვენ მიერ ომის გამოცხადებას არ დაელოდნენ, მაშასადავე, თავად იციან რასაც იმსახურებენ. ჩვენ მათთან ვიბრძობებით შეტი ჯიბრითა და უფრო დაუნდობლად, ვიდრე კართაგენელებთან, იმიტომ რომ დავთრგუნოთ ვერაგობა, ძალადობა და სისასტიკე. დადგა დრო სამაგიერო მიეუზღოთ მხეცურად დახოცილ ჩვენი ამხანაგებისათვის, ჩვენი საკუთარი თავისათვისაც — დიახ, ნუ გაიკვირვებთ, ჩვენი თავისათვისაც! ჩვენ რომ მტერს გამოექცეოდით და ილიტურგიაში მოვსულიყავით — იმავე ვერაგობის მსხვერპლნი გავხდებოდით. ახსოვდეთ ყველა დროის ყველა ხალხებს: როგორადაც არ უნდა დაამცროს ბედისწერამ რომელი მოქალაქე, წყენა, მას რომ მიაყენეს, დაუსჯელი არ დარჩება!

სიტყვის დამთავრებამდე უმცროსმა მეთაურებმა მანიპულებს დაურიგეს საიერიშო კიბეები და ორ ნაწილად გაყოფილი ლაშქარი — ერთს სციპიონი მეთაურობდა, მეორეს — ლელიუსი — საიერიშოდ ორი მხრიდან ერთდროულად დაიძრა.

მოქალაქეებს არავინ ამხნევებდა, არავინ მოუწოდებდა სისხლის უკანსკნელ წვეთამდე ებრძოლათ: საკუთარი შიში და არაწმინდა სინდისი თითოეულისათვის საუკეთესო მრჩეველი იყო. ისინი ერთმანეთში ამბობდნენ, რომ მტერი გამარჯვებისკენ კი არ მიისწრაფოდა, არამედ შურისძიება სურდა. რაკი ასეა, რაკი სიკვდილი გარდუევალია, მაშინ ერთი რამ არის მთავარი, სად მოკვდები: — ბრძოლაში, სადაც მარსი განურჩევლად ყველასადმი კეთილადაა განწყობილი და ხშირად გამარჯვებული დამარცხებულის ფეხთით განურთხნია, თუ სულს განუტევებ მერე — ნანგრევებსა და ცეცხლწაქიდებულ სახლებს შორის შენი ცოლ-შვილის თვალწინ (რომლებსაც რომაელები მონებად აქცევენ) ან ჯოხის ქვეშ, ბორკილგაყრილი, ყოველნაირად ნატანჯ-ნაწამები და დამცირებული!

იმიტომაც იყო, რომ გაღვანზე მამაკაცების გვერდით დაინახვდით ქალებსა და ბავშვებს. მათ არ ახსოვდათ არც თავი-

ანთი ასაკი, არც თავიანთი სქესი და ძალ-ღონის დაუზოგავად მიჰქონდათ ქალაქის დამცველებისათვის შუბები, ხელშუბები და სხვა სასროლი ნივთები. თითოეულს თვალწინ ეხატებოდა სასტიკი და სამარცხვინო სიკვდილთ დასჯა, რომელიც ელოდა იმათ, ვინც ცოცხალი გადარჩებოდა. ამიტომ ყველანი ცდილობდნენ, ერთმანეთზე მამაცი ყოფილიყვნენ და სიკვდილისადმი მეტი ზიზღი გამოემჟღავნებინათ. მოიერიშეთა შეტევას შეტევა მოსდევდა, მაგრამ ყველა შემოტევა მოგერიებულ იქნა. მთელი ესპანეთის დამპყრობლებმა სამარცხვინოდ წაიფორხილეს ქალაქ ილიტურგიის კარიბჭესთან.

სციპიონს შეეშინდა, ამ უშედეგო ცდებმა მეომრებს სიმაბაცე და საკუთარი თავის რწმენა არ წაართვასო.

— მხდალებო! — დაიყვირა მან. — მე თვითონ გაჰყვებით. როგორ უნდა ბრძოლა. ჰეი, ვისა აქვს კიბე? გალავანს მიადგით! რახან მეომრებმა დაივიწყეს თავიანთი მოვალეობა, გალავანზე თვითონ იმპერატორი ავა!

და, მართლაც, იგი წინ გაიქრა. მაგრამ მაშინვე ყოველ მხრიდან გააფთრებული ყვირილი ატყდა, ლეგიონერებმა გზა გადაუღობეს სციპიონს და თვალის დახამხამებაში ათი კიბე მაინც აღიმართა, ასევე უშიშრად და თავგანწირვით მოქმედებდა გაიუს ლელიუსიც. ბოლოს, ქალაქელებს ძალა გამოეღიძრა და გაიქცნენ, რომაელები ილიტურგიაში შეიჭრნენ.

ამ არეულობასა და ორომტრიალში ქალაქის ციტადელიც დაეცა. იგი იმ მხრიდან აიღეს, მიუღვრომელი რომ ეგონათ. მოლაღატე აფრიკელებმა, რომლებიც რომაელებს ემსახურებოდნენ, ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ქალაქის ყველაზე მალალი ნაწილი არც სიმაგრეებით იყო დაცული და არც ყარაულებით: ჩანს, ილიტურგიელებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ციცაბო კლდე თავად დააფრთხობდა ყველას, ვინც კი მიუახლოვდებოდა. მაგრამ ბუნებით მარდ და მკვირცხლ აფრიკელებს ტოლი არ ჰყავდათ მთებზე ხობვაში. ისინი ჩაებლაუქნენ ძლივს შესამჩნევ შვერილებსა და ღრმულებს და ზევით აბობლდნენ, სადაც გლუვსა და გადმოკიდებულ ლოდს წააწყდნენ, რკინის სოლები ჩაასვეს და კიბის მსგავსი ასასვლელი გააკეთეს. პირველებმა ხელი ჩაჰკიდეს იმათ, ვინც მათ კვალდაკვალ მიხობავდა, ისინი კი ქვემოდან შეუდგნენ წინ შიმა-

ვალთ, მხარი შეაშველეს და ყველა მშვიდობიანად ავიდა მაღ-
ლა და ციტადელში აღმოჩნდნენ.

ახლა მთელი ილიტურგია მოწინააღმდეგეების ხელში იყო, რომელთაც მტრის სიძულვილი მოსვენებას უკარგავდათ და 'შურისძიების წყურვილი ახრჩობდათ. არავის უნდოდა ტყვის წაყვანა, არავინ ფიქრობდა ნადავლზე, თუმცა ყველა კარი ყურთამდე ღია იყო. განურჩევლად ყველას ხოცავდნენ — შე-
იარაღებულთ და უიარაღოებს, კაცებს, ქალებს და ბავშვებსაც. არ ინდობდნენ თვით ჩვილებსაც კი, როცა ყველა ამოხოცეს, სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, რაც ცეცხლმა ვერ გაანადგურა, ძალაყინებით დაანგრის. რომაელებს სურდათ მიწის პირი-
საგან აღეგავათ ილიტურგიის კვალი, რომ ხსოვნა მტრის ბუნა-
გისა საუკუნოდ წაშლილიყო.

ამის შემდეგ სციპიონმა ლაშქარი კასტულონისკენ დაძრა, რომელსაც იცავდნენ არა მარტო ესპანელები, არამედ მდინარე ბეტისთან ბრძოლაში გადარჩენილი პუნებიც. კასტულონში მიადწია ილიტურგიის დაღუპვისა და განადგურების ხმამ და ყველანი შეძრწუნებულნი და სასოწარკვეთილნი იყვნენ. თი-
თოეული მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავდა, ამიტომ ყველა ამხანაგი მოღალატედ მიაჩნდა, ეჭვის თვალით უყურებდა. უსიტყვო ეჭვი მალე კართაგენელებსა და ესპანე-
ლებს შორის აშკარა განხეთქილებაში გადაიზარდა. ესპანე-
ლების მეთაურმა საიდუმლო მოლაპარაკება გამართა რომაე-
ლებთან და ისინი ქალაქში შეუშვეს. ეს გამარჯვება სისასტი-
კითა და სისხლისღვრით წინა გამარჯვებას ვერ შეედრებოდა:
თვით დანაშაულიც უფრო ნაკლები მიუძღოდათ კასტულონე-
ლებს, ნებაყოფლობითმა დამორჩილებამ კი მძლეველთა რის-
ხვა დააცხრო.

სციპიონი ახალ კართაგენში დაბრუნდა, რომ ღმერთებისა-
თვის მიცემული აღთქმა აღესრულებინა და გლადიატორთა
შეჯიბრებას დასწრებოდა, რომელიც ეჭვისი წლის წინ დაღუ-
პული მამისა და ბიძის პატივსაცემად მოამზადა. ჩვეულებრივ
ცირკის არენაზე გამოდიან საგანგებო სკოლაში გაწვრთნილი
მონები, ანდა ადამიანები, რომლებიც თუმცა თავისუფალნი
არიან, მაგრამ თავიანთი სისხლითა და სიცოცხლით ვაჭრობენ,
ამ შერკინებაში ყველა ნებაყოფლობით იღებდა მონაწილეობა.

ბას და არც არავინ აჯილდოვებდა. ზოგი მებრძოლი ესპანელ-
მა ბელადებმა, ტომის მეფეებმა გამოგზავნეს, რომ რომაელებ-
თან თავი მოეწონებინათ საკუთარი ტომის მამაცობითა და გმი-
რობით, სხვებმა თვითონ გამოთქვეს სურვილი, რომ სციპიონი-
სათვის ესამოვნებინათ. დანარჩენებს კი შერკინების სურვი-
ლი და მეტოქეობა ამოქმედებდა, რომ ნაცნობები ან უცნო-
ბები გამოეწვია, ანდა თვითონ მიეღო გამოწვევა. იყვნენ ისე-
თებიც, რომელთაც ერთმანეთთან დიდი ხნის შეურთგებელი
მტრობა ჰქონდათ და აქამდე ვერ შეძლეს ანდა არ სურდათ
დაეა ბრძოლის გარეშე გადაეწყვიტათ. მათ შორის იყვნენ ბი-
ძაშვილები კორბისი და ორსუა. ორივე ბიძაშვილი საკუთარი
ქალაქის მეთაურობას იჩემებდა. კორბისი წლოვანებით უფ-
როსი იყო. მამამისი ადრე მოკვდა და მმართველობა ორ-
სუას მამაზე გადავიდა, ისიც გარდაიცვალა და ძალაუფლება
ვაეს უანდერძა. სციპიონი შეეცადა დაეცხრო მათი გაბრაზება
და ორივეს ურჩია მიემართა ტრეტეის სასამართლოსთვის, მაგ-
რამ ბიძაშვილებმა ერთხმად უპასუხეს, უკვდავთა და მოკვდავ-
თა შორის მოსამართლედ მხოლოდ მარსს — ომის ღმერთს ვირ-
ჩევთ და მხოლოდ მის განაჩენს დავემორჩილებითო.

კორბისს თავისი გამოცდილების იმედი ჰქონდა, ორსუას—
ახალგაზრდობისა და ორივე ქედის მოხრასა და მორჩილებას
ბრძოლაში სიკვდილს ამჯობინებდა. გამოუსწორებელი უგუნუ-
რები! მათ რომაელებს შესანიშნავი სანახაობა მოუშზადეს და
უფრო შესანიშნავი დასტური იმისა, თუ რა დიდი უბედურე-
ბაა ადამიანებისათვის ძალაუფლების წყურვილი. უფროსმა
გამოცდილებითა და ეშმაკობით ადვილად დაამარცხა უმცრო-
სის ხამი ძალა.

„გახსოვდეთ ჩვენი თავისუფლება!“

ამასობაში სციპიონის ლეგატმა ლუციუს მარციუსმა გადა-
ლახა მდინარე ბეტისი და უომრად აიღო ორი მდიდარი ქალა-
ქი, რომლებიც ნიადაგ კართაგენელებს ეკუთვნოდა, ამიტომ
ვერც ღალატში დასდებდი ბრალს და ვერც ამის გამო დას-
ჯიდი. ასეთ მდგომარეობაში იყო აგრეთვე ქალაქი ასტაპა, მაგ-

რამ მისი მოქალაქეები ყოვლად გაუგებარი, უაზრო და ბრმა სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი რომისადმი. მათ არ ჰქონდათ ძლიერი სიმაგრეები, რომ ალყის შემთხვევაში მათზე დაემყარებინათ იმედი, არც ადგილ-მდებარეობის იმედი უნდა ჰქონოდათ — ქალაქი ყოველი მხრიდან გაშლილ ვაკეზე იდგა. მიუხედავად ამისა, ძარცვა-გლეჯის თანდაყოლილ ვნებებს აყოლილნი, თავს ესხმოდნენ რომის მოკავშირეთა მიწებს, ეცემოდნენ ცალკეულ მეომრებს, ალაღის გამყოლებს, ვაჭრებს. ერთხელ გაძარცვეს ვაჭართა მთელი ქარავანი, რომელმაც მათ საშფობლოებზე გაიარა, და ვაჭრებიცა და მცველებიც ერთიანად ამოხოცეს.

როცა მარციუსი ასტაპას მიუახლოვდა, ესპანელებმა გადაწყვიტეს, ჩაედინათ საშინელი დანაშაული საკუთარი თავისა და თავიანთი ახლობლების მიმართ. მათ მოედანზე მოზიდეს მთელი ძვირფასეულობა, რაც კი ჰქონდათ სახლებსა და ტაძრებში, ერთ ადგილზე დაახვედეს, ზედ ცოლ-შვილი დასვეს და გარშემო შეშა-ფოჩხი შემოუწყვეს. შემდეგ ქალაქის მმართველმა ამოარჩია ორმოცდაათი ახალგაზრდა მეომარი და ასეთი მითითება მისცა:

— სანამ ბრძოლის ბედი გაურკვეველი იქნება, თქვენ უყარაულებთ ჩვენს ქონებას და იმათ, ვინც ყოველგვარ ქონებას გვირჩევნია. მაგრამ, როცა რომაელები კარიბჭეში გამოჩნდებიან, იტოდეთ, ყველა, ვინც ახლა საბრძოლველად მიდის. მკვდარია, გვედრებით, ყველა ღმერთს გაფიცებთ — გახსოვდეთ ჩვენი თავისუფლება, რომელსაც ბოლოს მოუღებს ან ჩვენი პატიოსანი სიკვდილი, ან სამარცხვინო მონობა. დე, მტერი ნურათერს ნახავს ასტაპაში ისეთს, რომ შეეძლოს მასზე ჯავრი იყაროს! ის, რაც დასაღუპავად განწირულია, უმჯობესია მოყვრის ხელით გაჩანაგდეს, ვიდრე მტერმა წაბილწოს! თუკი თქვენში მოვალეობასა და ერთგულებას აჯობებს სიმხდალე, სიბრალული, ანდა იმედი, წყეულნიმც იყავით სააქაოსაც და საიქიოსაც!

ეს თქვა თუ არა, ბრძანება გასცა, ქალაქის კარიბჭე ყურთამდე გაეღოთ და ესპანელები გარეთ გაიჭრნენ. რა მოულოდნელი იყო რომაელებისთვის მოწინააღმდეგის ეს გამოხტომა, იქიდან ჩანს, რომ მათ არცკი უზრუნვიათ ბანაკის წინ გუ-

შაგები დაეყენებინათ. მარციუსმა მტრის წინააღმდეგ სასწრაფოდ მსუბუქი ქვეითი ჯარი და ცხენოსანთა ორი თუ სამი ტურმა გაგზავნა. თავდაპირველად, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლაში ცხენოსნები ჩაებნენ, მაგრამ ქალაქის დამცველებმა ისინი მაშინვე მოიგერიეს. ცხენოსნები უკუიქცნენ და ქვეითები არივ-დარიეს. საქმეს მხოლოდ ლეგიონერებმა უშველეს, რომლებმაც თვალის დახამხამებაში საბრძოლო ხაზი მოაწყვეს და მტერს გზა გადაუღობეს. თუმცა, თავდაპირველად ლეგიონერებიც კინაღამ გადათელეს ლეარძლისაგან ჰკუთხე შეშლილმა ესპანელებმა, რომლებიც გაშიშვლებული მახვილს მკერდს აგებებდნენ. რომაელმა ვეტერანებმა მაინც მოიგერიეს პირველი, თავგანწირული შემოტევა, მუსრი გაავლეს მეწინავეებს და შეაჩერეს ისინი, ვინც მათ კვალში ედგა. შემდეგ რომაელები თავად გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ რა დარწმუნდნენ, მტრები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე აპირებდნენ ბრძოლას, მწყობრი ფლანგებიდან გაშალეს, ესპანელებს ალყა შემოარტყეს და ყველანი ერთიანად ამოელიტეს.

ეს ხოცვა-ჟლეტა საშინელება იყო, მაგრამ მან ომის კანონებისა და ჩვეულების მიხედვით ჩაიარა, ბევრად უფრო საშინელება იყო ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ქალაქში მოხდა. ორმოცდაათი ყარაული დააცხრა უმწეო ქალებს და ბავშვებს და ჩეხვა დაუწყეს. შემდეგ, ჯერ ისევ ცოცხალი ადამიანები კოცონში ჩაყარეს. სისხლის მდინარე ზედ დასდიოდა ოდნავ გაღვივებულ ცეცხლის ალს და აქრობდა. ბოლოს, თავისი შემაზრზენი სამუშაო რომ მოათავეს ჯალათებმა — იძულებით ჯალათებმა — თვითონაც ცეცხლს მისცეს თავი, ასე, რომ იარაღისათვის ხელი არ გაუშვიათ. ამასობაში რომაელებიც გამოჩნდნენ და გაოცებისა და ზიზღისგან კოცონთან წამით გაქცევდნენ, მაგრამ კვამლში მბზინავი ოქრო-ვერცხლი დაუოკებლად იზიდავდა თავისკენ ადამიანთა ხარბ თვალსა და ხელს. ბზინვარებით მონუსხული რომაელები ცეცხლს მიაწყდნენ და მრავალი ჩაიწვა კიდევ ლადარში, რადგან ზურგს უკან მდგარი წინეებს მკვიდრ კელლად შემორტყმოდნენ და უკან ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევდნენ.

ასე დაიღუპა ქალაქი ასტაპა მახვილისა და ცეცხლისგან და გამარჯვებულებს ნადავლის ნატამალიც არ გაატანა.

ამ დროს, თუ ცოტა მოგვიანებით, სციპიონი ავად გახდა. მძიმედ იყო ავად, ხმა გავრცელდა, უიმედოდააო. მისმა ავადმყოფობამ ააფორიაქა მთელი ესპანეთი, განსაკუთრებით მისი შორეული მხარეები, არა თუ მოკავშირეების ერთგულება შეირყა — აღშფოთდნენ ინდიბილისი და მანდონიუსი, რომლებიც განაწყენებულნი იყვნენ იმის გამო, რომ კართაგენელების განდევნის შემდეგ ესპანეთში ძალაუფლება ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს და არა რომაელებსო. თვით რომის ლაშქრის ამბოხებასაც კი აღარაფერი აკლდა. ქალაქ სუკრონის მახლობლად იღვა რვაათასიანი (აზმი, რომელიც იბერიის სამხრეთ მხარეებს იცავდა. ეს მეომრები მანამდეც ბუზლუნებდნენ და ლელავდნენ, სანამ ხმა დაირხეოდა მთავარსარდალი სიკვდილის პირასააო. ისინი მიეჩვივნენ მტრის ძარცვის ხარჯზე ხელგაშლილად ცხოვრებას, ხოლო ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ მათ ჩვეული შემოსავალი წაართვა. ისინი ერთმანეთში ჩიოდნენ: თუკი ესპანეთში ომია, მაშ იქ რატომ არ მივყავართ, თუკი ომი დამთავრდა, იტალიაში რატომ აღარ გვაბრუნებენ? ისინი დაჟინებით თხოულობდნენ ხელფასს, ისეთი დაჟინებით ჯარისკაცებს რომ არ მართებთ. მეომრები უტიფრად ექცეოდნენ სამხედრო ტრიბუნებს, როცა ისინი საგუშაგოებს ამოწმებდნენ. ბანაკიდან გადიოდნენ და მეზობელ მინდვრებსა და სოფლებს ძარცვავდნენ. თავდაპირველად ფარულად, დამამობით გადიოდნენ, შემდეგ კი აშკარად, დღისით, მზისით, მეთაურების თვალწინ. მართალია, კვლავინდებურად ისევ იკრიბებოდნენ ბანაკის მთავარ მოედანზე, რომ მოესმინათ ბრძანება, მიეღოთ საიდუმლო ნიშანი და საგუშაგოდ გაემწესებინათ, მაგრამ ეს სამხედრო დისციპლინა მხოლოდ მოჩვენებითი იყო, რადგან ტრიბუნებში ხელავდნენ თავიანთ უგუნური შეამბოხური განზრახვის მომავალ თანამონაწილეებს.

მაგრამ ჯარისკაცები მოტყუვდნენ. სამხედრო ტრიბუნებმა მათ პირდაპირ განუცხადეს, ამბოხებას არა თუ მხარს დავუჭერთ, არამედ პირიქით, ყოველნაირად შევეცდებით ხელი შევუშალოთ და ჩაეახშოთო. მაშინ ისინი ბანაკიდან გამორეკეს და მეთაურობა ხელში ჩაიგდეს ამბოხების მოთავეებმა, რიგი-

თმა მეომრებმა კამპანიელმა გაიუს ალბიუსმა და უმბრიელმა გაიუს ატრიუსმა, რასაც საყოველთაო მოწონებით შეხვდნენ. ესეც არ იკმარეს: თვითმარქველებმა გაბედეს და უმაღლესი ხელისუფლების წარჩინების ნიშნები — ცულიანი წკნელების შეკვრა მიისაკუთრეს. მათ აზრად არ მოსვლიათ, რომ საკუთარი თავისთვის — საკუთარი ზურგისა და კისრისათვის ამზადებდნენ დასჯის ამ იარაღებს. ჭორმა სციპიონი მოკვდაო, მათ გონება დაუბნელა და იმედი მისცა, რომ მთელი ესპანეთი ომის ცეცხლში გაეხვეოდა. მაშინ, უხაროდათ ამბოხებულებს, ყოველგვარი ძალადობა და უკანონობა შეუმჩნეველი დარჩება. ის კი არა, შეიძლება მოკავშირეებს ხარკი დავაკისროთ, ანდა, უბრალოდ, მათი ქალაქები გავძარცვოთ.

დღე-დღეზე ელოდნენ სციპიონის სიკვდილსა და დაკრძალვის უტყუარ ცნობებს. მაგრამ ახალ კართაგენიდან მაცნეები არადა არ ჩანდნენ. მაშინ დაუწყეს ძებნა იმათ, ვინც ჭორი გაავრცელა. არავინ ტყდებოდა: თითოეულს ერჩივნა ჭორის მსხვერპლი ყოფილიყო და არა ჭორის სათავე. ამბოხების მოთავეებმა თავისივე ნებით უარი თქვეს ხელში აღებულ ძალაუფლებაზე. სციპიონი მალე გამოკეთდა და შვიდი სამხედრო ტრიბუნი გამოგზავნა. მათ პირქუშად და ღვარძლიანად დახვდნენ, მაგრამ მთავარსარდლის წარმოგზავნილთა მეგობრულმა სიტყვებმა მეომართა ექვეები და შიში სწრაფად გაფანტა. ტრიბუნები კარვებიდან კარვებში გადადიოდნენ, დიდხანს ჩერდებოდნენ ბანაკის მთავარ მოედანზე და იმ ადგილებში, სადაც დაინახავდნენ ერთად შეჯგუფულ ჯარისკაცებს, ცდილობდნენ მათ საუბარში ჩარეულიყვნენ. ისინი არავის საყვედურობდნენ, მხოლოდ კითხულობდნენ, მღელვარების საბაბი რა იყო. მეომრები ერთხმად ორ მიზეზს ასახელებდნენ: ჯერ ერთი, ჯამაგირს დიდი დაგვიანებით გვაძლევდნენ, მეორეც, ჩვენ არ შეგუნარჩუნეთ რომს ესპანეთი სციპიონების დაღუპვის შემდეგ? მაშ, დამსახურებული ჯილდო სადღააო? ტრიბუნები პასუხად ეუბნებოდნენ, რომ ეს ყოველივე სწორი და მართალია, მაგრამ, საბედნიეროდ, ეგ არც ისეთი დიდი უბედურებაა და სციპიონი, რასაკვირველია, შეძლებს მამულის ვალების გადახდას.

საომარ საქმეებში სციპიონს დიდი გამოცდილება ჰქონდა,

მაგრამ ჯარისკაცთა აფშფოთებას იგი შეუჩვეველი იყო და ამიტომ სწრაფად ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. თუმცა, მეტისმეტი სიმკაცრე მას თავიდანვე მავნებელ მიაჩნდა და ამიტომაც, ყურადღებით რომ მოისმინა ტრიბუნების ცნობები, ბრძანა, რომის მორჩილი ქალაქებიდან და მხარეებიდან ხარკი აეკრიფათ და ჯარისკაცები დაეიმედებინათ, კუთვნილ ჯამაგირს მიიღებთო. შემდეგ ამბოხებულ ბანაკში გამოაცხადეს: ჯამაგირის მისაღებად მეომრები ახალ კართავენში უნდა გამოცხადდნენ — ან ყველა ერთად, ანდა ნაწილ-ნაწილ, როგორც უნდათო. ამავე დროს ამბოხებული ესპანელებიც დარწმუნდნენ, სციპიონი ცოცხალია, სიკვდილს არ აპირებსო და შეშინებულები თავიანთ საზღვრებს დაუბრუნდნენ. მეამბოხეები დახმარების ხელს აღარავისგან ელოდნენ და გადაწყვიტეს, სარდლის წყალობას მინდობოდნენ. მას ხომ უპატიებია რომის მოქალაქეთა სისხლით მოთხერილი მტრებისათვისაც კი, ჩვენი მღელვარება კი უსისხლოდ დამთავრდა, მაშ მკაცრ სასჯელსაც არ ვიმსახურებთო. ასე იმშვიდებდნენ და ინუგეშებდნენ ისინი თავს იმითომ, რომ ადამიანი არასოდეს არ არის ისეთი გამოძგონებელი და ენამქვერი, როგორიც იმ წუთებში, როცა საკუთარი დანაშაულის გამო თავის გამართლება სჭირდება. ახალ კართავენში წასვლა ყველამ ერთად გადაწყვიტა.

სანამ ჯარისკაცები ერთმანეთში თათბირობდნენ, მათ ხვედრზე ახალ კართავენში უფროსებიც ბჭობდნენ. ერთნი მოითხოვდნენ მხოლოდ მოთავეების — ოცდათხუთმეტი კაცის სიკვდილით დასჯას, მეორენი ამბობდნენ, ეს საკმარისი არ არის, რადგან, კაცმა რომ თქვას, ეს ამბოხი კი არა, ღალატია და ყოველი მეთაე უნდა დაისაჯოს სიკვდილით, როგორც ეს მოღალატეების დასჯის დროსაა მიღებულიო. საბოლოოდ უფრო მსუბუქ სასჯელზე შეთანხმდნენ.

ბანაკი წინასწარ რომ არ შეეშფოთებინათ, მანდონიუსისა და ინდიბილისის წინააღმდეგ ლაშქრობა გამოაცხადეს და ახალ კართავენში მყოფ მეომრებს უბრძანეს, წასასვლელად მომზადებულიყვნენ. ხოლო ამბოხებულთა შესახვედრად სციპიონმა იგივე შვიდი ტრიბუნი გაგზავნა. თითოეულ მათგანს დავალებული ჰქონდა თავისთან სტუმრად მიეწვია ამბოხის ხუთი წამომწყები. ჯერ ტკბილი სიტყვებით და ალერსიანი მოპყ-

რობით, შემდეგ კი ღვინით დაეთრო ისინი, გაეთოკა და დაე-
პატიმრებინათ.

შეხვედრა ზედ ქალაქთან მოხდა. ჯარისკაცები გახარებულ-
ნი იყვნენ, როცა გაიგეს, რომ მთელი ლაშქარი კართაგენიდან
გადიოდა. მაშასადამე, მთავარსარდალი მარტოდმარტო რჩე-
ბაო ჩვენი ძალაუფლების ქვეშ. ქალაქში სალამოთი შევიდნენ.
მათ დიდი სიხარულით დახვდნენ, არ წუწუნებდნენ, ძალიან
დროულად ჩამოხვედითო, სთხოვდნენ, გზაში დაიღლებოდით
და დაისვენეთო. ამბოხის მოთავეები, რომლებიც ცუდს არა-
ფერს ელოდნენ, სახლებში წაიყვანეს, სადაც მათ უკვე ელო-
დათ საიმედო, ყველაფერში წინასწარ გარკვეული ხალხი.

მეოთხე საგუშაგო ლამეს, ადგილიდან დაიძრა თითქოს
ლაშქრობისათვის განკუთვნილი ალალი, ხოლო როგორც კი
ინათა, კარიბჭეს მიაშურეს მეომრებმაც. მაგრამ კარიბჭესთან
ისინი შეაჩერეს და უბრძანეს, არც არავინ შეეშვათ და არც
გამოუშვათო. შემდეგ წინაღლით მოსულები კრებაზე მიიწვი-
ეს. ისინი სასწრაფოდ გაემართნენ მოედნისაკენ ტრიბუნალი-
საკენ, არაფრის შიში არ ჰქონდათ, პირიქით, ღრმად იყვნენ
დარწმუნებულნი, რომ მძვინვარე სახეებითა და მრისხანე შე-
ძახილებით სციპიონს შევაშინებთო. მაგრამ სწორედ იმ წამს,
როცა მხედართმთავარი მალლობზე ავიდა, შეიარაღებულ მე-
ამბოხეთა ზურგს უკან წამოიმართნენ შეიარაღებული ჯარის-
კაცები, რომლებიც ქალაქის კარიბჭიდან ისევ უკან მოიყვანეს.
ბრბოს თავხედური თვითდაჯერებულობა უკვალოდ გაქრა, მახ-
ვილისა და შუბების ჩახაჩუხზე უფრო მეტად ისინი სციპიონის
შესახედობამ გააოცა. სარდალი არა მარტო ჯან-ღონით იყო
სავსე და ჯანმრთელად გრძნობდა თავს — წინააღმდეგ დარჩე-
ული ხმებისა, რომელსაც ისინი ასე ენდნენ — არამედ მის გა-
მობედვაში ისეთი მრისხანება, ისეთი გააფთრება ჩანდა, რო-
გორიც არასოდეს უნახავთ მის სახეზე. იგი უსიტყვოდ დაჯდა
და. მანამ ხმა არ ამოუღია, სანამ არ მოახსენეს, მოთავეები
ტრიბუნალთან მოიყვანესო. მაშინ მხედართმთავარმა მაცნეს
პირით სიჩუმე მოითხოვა და თქვა:

— მე ბანაკში გავიზარდე, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში პირ-
ველად არ ვიცი, როგორ დავიწყო ლაპარაკი ჯარისკაცების წი-
ნაშე. ისიც კი არ ვიცი, როგორ მოვმართოთ: „მოქალაქეები“

გიწოდოთ? მაგრამ თქვენ, თქვენს მშობლიურ ქალაქს უღალატეთ. „მეომრებო“-მეთქი, გითხრათ? — მაგრამ თქვენ შებლაღეთ ფიცის სიწმინდე. „მტრები“ დაგიძახოთ? — მაგრამ მე რომაულ სახეებსა და რომაულ ტანსაცმელს ვხედავ... რისი იმედი გქონდათ, რა გინდოდათ? ის ხომ არა, რაც აჯანყებულ ესპანელებს სურდათ? მაგრამ ისინი ხომ მეფის გვარეულობის ბელადებს გაჰყვნენ, თქვენ კი საკუთარ თავზე უმბრიელი ატრიუსი და კამპანელი ალბიუსი აბატონეთ.

მე მეგონა, რომ ახლა, როცა კართაგენელები ესპანეთიდან გაქეპებულნი არიან, მთელს პროვინციაში არ მოიძებნებოდა თუნდ ერთი კაცი, ჩემი სიკვდილი რომ ნდომებოდა, — ისე ვეჭვოდი მე არა მარტო მოკავშირეებს, არამედ მტრებსაც კი! მაგრამ რა გამოვიდა? მტრები კი არა, მოკავშირეები კი არა, თვით რომის ბანაკში ელოდებიან მოუთმენლად ჩემი სიკვდილის ცნობას! რა თქმა უნდა, ყველა არა. მე ამას არ ვფიქრობ, მე ეს არ მჯერა. რომ მჯეროდეს, ახლავე მოგვკვდებოდი თქვენს თვალწინ, რადგან არ მინდა იმისთანა სიცოცხლე, რომელიც საძულველია ჩემი თანამოქალაქეებისა და ჩემი ჯარისკაცებისათვის. ხალხის უმეტესობა ზღვასა ჰგავს — ბუნებით იგი უძრავია, მაგრამ ქარი დაუბერავს თუ არა, მყუდროება ორომტრიალად გადაიქცევა. დიახ, დამნაშავენი ყველაფერში ერთი მუქა შოთავეები არიან, რომლებმაც თავიანთი უგუნურებით დაგაავადეს. მაგრამ თქვენ, მე მგონი, დღესაც კი, აი ამ წუთშიაც ვერ შეგიგნიათ, როგორი შემზარავია ეს უგუნურება — რა გაუგონარი მძიმე დანაშაული ჩაიდინეთ თქვენ თქვენი მამულის, თქვენი მშობლებისა და თქვენი შვილების, ღმერთების წინააღმდეგ, რომლებიც თქვენი ფიცის მოწმეები არიან, თქვენი წინაპრების ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ.

ჩემზე ნურაფერს ვიტყვი: დავუშვათ, რომ ჩემი ძალაუფლება თქვენთვის მძიმე იყო, ამაში საკვირველი არაფერია, მაგრამ რა დაგიშავათ მამულმა ისეთი, რომ გადაწყვიტეთ, გელალატათ მისთვის და მანდონიუსს და ინდიბილისს შეერთებოდით, რა დაგიშავათ რომის ხალხმა, რომლის ნება თქვენ შებლაღეთ, როცა რომში არჩეული ტრიბუნები გადააყენეთ? ეს გაუგონარი ბოროტება ზეცის მრისხანებას მოასწავებს. მას ვერც მსხვერპლშეწირვით გამოისყიდი, ვერც საღვთო სამსახუ-

რობით, შემდეგ კი ღვინით დაეთრო ისინი, გაეთოკა და დაე-
პატიმრებინათ.

შეხვედრა ზედ ქალაქთან მოხდა. ჯარისკაცები გახარებულ-
ნი იყვნენ, როცა გაიგეს, რომ მთელი ლაშქარი კართაგენიდან
გადიოდა. მაშასადამე, მთავარსარდალი მარტოდმარტო რჩე-
ბაო ჩვენი ძალაუფლების ქვეშ. ქალაქში საღამოთი შევიდნენ.
მათ დიდი სიხარულით დახვდნენ, არ წუწუნებდნენ, ძალიან
დროულად ჩამოხვედითო, სთხოვდნენ, გზაში დაიღლებოდით
და დაისვენეთო. ამბოხის მოთავეები, რომლებიც ცუდს არა-
ფერს ელოდნენ, სახლებში წაიყვანეს, სადაც მათ უკვე ელო-
დათ საიმედო, ყველაფერში წინასწარ გარკვეული ხალხი.

მეოთხე საგუშაგო ღამეს, ადგილიდან დაიძრა თითქოს
ლაშქრობისათვის განკუთვნილი ალალი, ხოლო როგორც კი
ინათა, კარიბჭეს მიაშურეს მეომრებმაც. მაგრამ კარიბჭესთან
ისინი შეაჩერეს და უბრძანეს, არც არავინ შეეშვათ და არც
გამოუშვათო. შემდეგ წინაღლით მოსულები კრებაზე მიიწვი-
ეს. ისინი სასწრაფოდ გაემართნენ მოედნისაკენ ტრიბუნალი-
საკენ, არაფრის შიში არ ჰქონდათ, პირიქით, ღრმად იყვნენ
დარწმუნებულნი, რომ მძვინვარე სახეებითა და მრისხანე შე-
ძახილებით სციპიონს შევაშინებთო. მაგრამ სწორედ იმ წამს,
როცა მხედართმთავარი მალლობზე ავიდა, შეიარაღებულ მე-
ამბოხეთა ზურგს უკან წამოიმართნენ შეიარაღებული ჯარის-
კაცები, რომლებიც ქალაქის კარიბჭიდან ისევ უკან მოიყვანეს.
ბრბოს თავხედური თვითდაჯერებულობა უკვალოდ გაქრა, მახ-
ვილისა და შუბების ჩახაჩუხზე უფრო მეტად ისინი სციპიონის
შესახედლობამ გააოცა. სარდალი არა მარტო ჯან-ღონით იყო
საესე და ჯანმრთელად გრძნობდა თავს — წინააღმდეგ დარხე-
ული ხმებისა, რომელსაც ისინი ასე ენდნენ — არამედ მის გა-
მობედვაში ისეთი მრისხანება, ისეთი გააფთრება ჩანდა, რო-
გორიც არასოდეს უნახავთ მის სახეზე. იგი უსიტყვოდ დაჯდა
და მანამ ხმა არ ამოუღია, სანამ არ მოახსენეს, მოთავეები
ტრიბუნალთან მოიყვანესო. მაშინ მხედართმთავარმა მაცნეს
პირით სიჩუმე მოითხოვა და თქვა:

— მე ბანაკში გავიზარდე, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში პირ-
ველად არ ვიცი, როგორ დავიწყო ლაპარაკი ჯარისკაცების წი-
ნაშე. ისიც კი არ ვიცი, როგორ მოგმართოთ: „მოქალაქეები“

ნეს. დამნაშავენი ბოძებზე გააკრეს, გაჯოხეს და თავები და-
აყრევინეს. ყველანი, ვინც ამას უყურებდა, თავზარდაცემულ-
ნი იდგნენ და არა თუ ღრტივინვა, თანაგრძნობის ოხვრაც კი არ
დასცდენიათ.

როცა სიკვდილით დასჯილთა გვამები გაიტანეს, ტრიბუნებ-
მა ფიცის ადგილზე ერთიმეორის მოყოლებით მოიყვანეს ჯა-
რისკაცები, რომ პუბლიუს კორნელიუს სციპიონისათვის ერთ-
გულების ახალი ფიცი მიეცათ. შემდეგ ყველას ჯამაგირი დაუ-
რიგეს. აი, როგორ დამთავრდა ეს ამბოხება.

აჯანყებული ამბოხების მოთავეთა დასჯის ამბავი შეიტყვეს
თუ არა, მანდონიუსმა და ინდიბილისმა ისევ იარაღს მოჰკიდეს
ხელი, რადგან იცოდნენ, რომაელები მათ უფრო სასტიკად გა-
უსწორდებოდნენ. მათ თავიანთი დროშის ქვეშ დარაზმეს ათა-
სი ქვეითი და ორი ათას ხუთასი ცხენოსანი ჯარი. სციპიონი
ახალი კართაგენიდან გამოვიდა და მეთექვსმეტე მდინარე იბ-
ერთან იყო, ხოლო კიდევ ოთხი ღლის შემდეგ მტრის პირისპირ
იდგა. ვერაგი მოკავშირეები საშინლად დამარცხდნენ. სციპიონ-
მა მათ ფულადი ხარკი გადაახდევინა და სამხრეთ-დასავლეთით,
ჰადესისაკენ დაიძრა, რომ მასინისას შეხვედროდა.

ბამმანი მასინისასთან

ნუმიდიელ მეფისწულს დიდი ხანია რომთან კავშირი ეწა-
და, მაგრამ გადაჭრით არაფრის თქმა არ სურდა მანამ, სანამ
რომის სარდალს თვითონ არ შესთავაზებდა მეგობრობას. რო-
ცა მას აცნობეს, სციპიონი ახლოსააო, მასინისამ პუნთა უფ-
როსს ჰადესში მაგონს განუცხადა, ჩემი მხედრები უმოკმედობი-
საგან დასუსტდნენ და აუცილებელია ცოტათი გაინძრნენ, ხო-
ლო ციხესიმაგრეში დამწყვდეულ გაძვალტყავებულ ცხენებს
ცოტათი ვალაღება ესაჭიროებაო. იგი სანაპირო კუნძულიდან,
სადაც ჰადესის ციხესიმაგრე იყო აგებული, ხმელეთზე გადა-
ვიდა და რომაელებს მომავალი პაემანის დრო და ადგილი სას-
წრაფოდ დაუთქვა.

ნუმიდიელს ადრე ჰქონდა წარმოდგენილი სციპიონის დი-

დებულები გარეგნობა და წინასწარ იყო მისით აღტაცებული, მაგრამ იმან, რაც საკუთარი თვალთ ნახა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. იმდენად სიმაღლითა და ტანადობით კი არ განირჩეოდა სციპიონი, რამდენადაც შინაგანი დიდებულებით, რაც მის ყოველ მიხრამოხრაში, გამოხედვასა და სიტყვაში ჩანდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ მას ძალზე ამშვენებდა გრძელი თმა და მკაცრი სამხედრო მორთულობა. იგი მაშინ გაფურჩქვნის ხანაში იყო, ხოლო ავადმყოფობის შემდეგ გაჯანსაღებას მისი გაციკროვნებული სიკბაბუკისათვის ახალი პეწი და სრულყოფილება შეეძინა.

თავდაპირველად მასინისამ მაღლობა გადაუხადა სციპიონს ძმისშვილის გათავისუფლებისათვის.

— იმ დღიდან, — უთხრა მან, — ვეძებ შემთხვევას, რომ შეგვვდე და საბოლოოდ უკვდავმა ღმერთებმა ეს ბედნიერი შემთხვევა მიბოძეს. მე მზადა ვარ ისე ერთგულად გემსახურო შენ და რომის ხალხს, როგორც აქამდე არცერთ უცხოელს არ უმსახურია. მაგრამ ესპანეთში ამისათვის უფრო ნაკლები შესაძლებლობაა, ვიდრე აფრიკაში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, სადაც, როგორც მე ვფიქრობ, სამეფო ძალაუფლება და მამაჩემის ტახტი მელოდება. დაე, რომაელებმა პროვინციად აფრიკა დაგინიშნონ, დარწმუნებული იყავი: კართაგენი დიდხანს ცერ გაძლებს.

სციპიონიც კმაყოფილი იყო: მან მასინისაში მაშინვე მაღალი და მამაცი სული დაინახა. ამას გარდა, ნუმიდიელები მტრის ცხენოსანი ჯარის მთავარი ბირთვი იყო. მათ ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს და იღუმალი მოკავშირეები ერთმანეთს გაშორდნენ. მასინისამ რომაელების თანხმობით ახლომახლო მინდვრები მოაოხრა, რომ მაგონთან თავის გასამართლებელი ჰქონოდა და ჰადესში დაბრუნდა.

შემოდგომა ესპანეთსა და რომში

დარწმუნებული მაგონი, ესპანეთი საბოლოოდ დაკარგულია და უკან ვეღარ დავიბრუნებო — უკვე ჰადესის დატოვებას აპირებდა, რომ კართაგენიდან სენატის ბრძანება მოვიდა, მთელი

ფლოტი იტალიაში გადადი, რაც შეიძლება მეტი გალი და ლიგურიელი შეკრიბე და ჰანიბალს შეუერთდით. მაგონმა ფლოტი დაძრა, მაგრამ როცა ახალ კართაგენს ჩაუარა, მან ცდუნებას ვერ გაუძლო და ქალაქს თავს დაესხა, პუნებს ბედმა არ გაუღიმა. მათ ათასამდე მეომარი დაკარგეს და გაიქცნენ. ამ დანაკლისის გამო, მაგონი იძულებული იყო, ჰადესში დაბრუნებულყო, მაგრამ კარიბჭე დაკეტილი დაუხვდა. კართაგენის ბელადმა ერთადერთი ისლა შეძლო, რომ მოლაპარაკების საბაბით გალავანს გადმოღმა გამოიტყუა ქალაქის მმართველები და ისე გააჯობინა, სიკვდილის პირას მიიყვანა, შემდეგ კი ჭვარზე აცვა. როგორც კი პუნები ნაპირს გასცილდნენ, ჰადესმა სციპიონს ელჩები გაუგზავნა და ქალაქი რომაელებს ჩაბარდა.

კართაგენელებმა ბალეარის კუნძულებისაკენ გაცურეს. აქ ორი კუნძულია, მათგან დიდსა და უფრო ხალხმრავალს მოხერხებული ნავსადგური აქვს, სადაც მაგონი ვარაუდობდა ფლოტი გამოეზამთრებინა — შემოდგომა იწყებოდა. მაგრამ მაგონს ქვის ისეთი სეტყვა დაუშინეს, რომ ნაპირს ვერ გაეკარა და იქაურობას გაეცალა. შურდული ახლაც ბალეარელების ლამის ერთადერთი იარაღია. სამაგიეროდ, დედამიწის ზურგზე არ არის ხალხი, მათზე უკეთესად რომ ხმარობდნენ შურდულს. პატარა კუნძული უბრძოლველად დანებდა. აქ მაგონმა ორი ათასი დაჭირავებული ჯარისკაცი შეკრიბა და სანამ ავდარი დაიწყებოდა, მათი ზღვის გადაღმა კართაგენში გადაყვანა მოასწრო.

დაახლოებით იმავე დროისათვის, გვიან შემოდგომაზე, ესპანეთიდან რომში ჩამოვიდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი. იგი სენატის წინაშე გამოვიდა და თავის ბრძოლებზე, შრომასა და წარმატებებზე მოუთხრო, ხოლო შემდეგ ხაზინაში შეიტანა არა ნაკლებ რვა ათასი კილოგრამი ვერცხლი.

მთელი ქალაქი მხოლოდ სციპიონის გმირობასა და უჩვეულო სამხედრო ბედზე ლაპარაკობდა და იგი ერთხმად აირჩიეს კონსულად. კონსულთა არჩევნებზე უფრო მეტმა ხალხმა მოიყარა თავი, ვიდრე ოდესმე ომის წინა წლებში: მოქალაქეები მთელი იტალიიდან მოდიოდნენ, რომ თუნდაც შორიდან, თუნდაც ერთხელ მაინც შეეველოთ თვალი პუბლიუს სციპიონი-

სათვის. მის სახლს დღენიადაგ ხალხი ესია. აურაცხელი ხალ-
ხი შეიკრიბა კაპიტოლიუმზე იმ დღეს, როცა იგი იუპიტერს
სწირავდა მსხვერპლს — ას ხარს, რომელიც ჯერ კიდევ ესპა-
ნეთში წასვლის წინ ღმერთს აღუთქვა.

მის ამხანაგად რომის ხალხმა დანიშნა პუბლიუს ლიცინი-
უს კრასუსი.

ომის მეთოთხმეტე წელი

რომის დაარსებიდან 549 (205 წელი ჩვინს ირამში)

ფორუმზე, ქუჩებში, კერძო სახლებში — ყველგან რომში ხმა დადიოდა, რომ სციპიონი აფრიკაში უნდა გადავიდეს და ომი მტრის მიწაზე დაამთავროსო. ამასვე ამბობდა პუბლიუს კორნელიუსი, ამბობდა ხმამაღლა, ყველას გასაგონად, თან ამტკიცებდა — თუკი სენატი ამის წინააღმდეგ წავა, მაშინ პირდაპირ სახალხო კრებას მივმართავ და სენატის უარს არად ჩავაგდებო: სენატმა ხალხს ხელი არ უნდა შეუშალოს, არცა აქვს ამის უფლება, რომ ამდენი ხნის ნანატრი და უკვე კარს მომდგარი გამარჯვება მოიპოვოსო.

ახალგაზრდების კამათი მოხუცებთან,
იძვეს თუ არა აფრიკა ომის ასპარეზად

ახალი კონსულის ასეთი სიტყვები უხუცესს და ყველაზე გაგლენიან სენატორებს თავიანთი უფლებების ხელყოფად მიაჩნდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ხალხის ეშინოდათ, ანდა სურ-

ღათ მათი გული მოეგოთ, ხმამალლა არაფერს ამბობდნენ.

მხოლოდ კინტუს ფაბიუს მაქსიმემ, როგორც კი შემთხვევა მიეცა, დაარღვია საყოველთაოდ გამეფებული სახიფათო მღუმარება.

— ბატონო სენატორებო, — დაიწყო მან, — ვიცი, ბევრ თქვენთაგანს გადაწყვეტილი აქვს აფრიკის პროვინციის საკითხი და ის, თუ ვის უნდა ერგოს იგი. მაგრამ, როგორც ცნობილია ჩემთვის, ჯერ არც სენატს დაუდგენია, არც ხალხს, წლებანდელი ომის ასპარეზი აფრიკაში იქნას გადატანილიო. თუკი მე ვცდები და ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია, მაშინ ჩვენი კონსული მასხარად გვიგდება.

მე წინააღმდეგი ვარ აფრიკაში გალაშქრებისა და ამას დაუფარავად ვამბობ, მიუხედავად საყვედურისა, რომელსაც აუცილებლად გავიგონებ. ჯერ ერთი, გაიხსენებენ ჩემს მუდმივ ზოზინს და ახალგაზრდები შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ, მშიშარასა და ზარმაცს დამიძახებენ, მეორეც, ცილს დამწამებენ, — ყოველდღიურად მზარდი ჩვენი შესანიშნავი კონსულის დიდებისა გშურსო.

მაგრამ თუ არად მიიჩნევთ ჩემს ბუნებას, ჩემს აურაცხელ პატივს, რომლებიც არ მაკლია, ჩემს წლოვანებას მაინც გაუწიეთ ანგარიში. ნუთუ, შემიძლია მე, მოხუცებულს, ხუთი კონსულობის შემდეგ, ჩემს ვაჟზე უფრო ახალგაზრდა კაცის მოქიშპე ვიყო? ნუთუ შემიძლია მე არა თუ ბრძოლებითა და გამარჯვებებით დაღლილს, არამედ თვით ცხოვრებისაგან დაქანცულს შევეცილო მას აფრიკის პროვინციაში?

მე სახელმწიფოს კეთილდღეობას ყოველთვის საკუთარ დიდებაზე მაღლა ვაყენებდი და ასევე უყოყმანოდ დავაყენებ მას შენს დიდებაზე მაღლა, პუბლიუს კორნელიუსს, თუმცა, დღეს ამის საჭიროება არ არის. იტალიიდან ჰანიბალის განდევნა, რომელსაც, აგერ, უკვე მეთოთხმეტე წელია შიშის ქვეშა ვყევართ, — განა ეს უდიდესი გმირობა არ არის?

შენ ამტკიცებ, რომ აფრიკაში გადახვალ თუ არა, ჰანიბალიც თან გამოგყვება, — რა საჭიროა მტერთან შესახვედრად ასეთი ეშმაკობა, რატომ არ შეიძლება თავს დავესხათ მას ერთბაშად? შენ მიისწრაფვი უმაღლესი მიზნისაკენ — გინდა ბოლო მოუღო მეორე პუნიკურ ომს, ჩინებულია! მაგრამ ჯერ უნ-

და დაიცვა საკუთარი, ხოლო შემდეგ დაიპყრო სხვისი, ჯერ დაამყარო მშვიდობიანობა იტალიაში, ხოლო შემდეგ გააჩაღო ომი აფრიკაში!

თუ გიფიქრია იმაზე, რა საფრთხეს უქმნის რომს შენი უსაზღვრო თამამი განზრახვა? ღმერთებმა დაგვიფარონ და დავიცვან ასეთი უბედურებისაგან, მაგრამ რა მოხდება, თუკი პანბალი გაანადგურებს პუბლიუს კრასუსს — როგორ მივაწვდენტ ზღვის გაღმა ხმას პუბლიუს სციპიონს? მე არ ვაპირებ შენი მიღწევებისა და წარმატებების დაკნინებას, მაგრამ ესპანეთი აფრიკასთან შედარებით არაფერია. იქ არ არის არც ერთი ნავსადგური, ღია რომ იყოს ჩვენი ფლოტისათვის, არც ერთი ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ხალხი, ქალაქი და მეფე! ნუმიდიელებს ხომ არ გინდა ენდო? — რა თქმა უნდა, სიფაქსსაც და მასინისასაც სურდათ კართაგენელების ადგილი დაეკავებინათ და მთელს აფრიკაში ებატონათ, მაგრამ სხვა უცხო ძალაუფლებას ისინი კართაგენელებისას ამჯობინებდნენ, დაივიწყებენ ერთმანეთს შორის ძველ განხეთქილებას და რომაელების წინააღმდეგ ყველანი ერთად აღდგებიან.

პუნებიც დაიცავენ თავიანთ მიწას, თავიანთ ღმერთთა ტაძრებს, მამებისა და პაპების საფლავებს, თავიანთ საკურთხეველს და კერას, თავიანთ ცოლ-შვილს, დაიცავენ განა ისე უღიმღამოდ და გაუბედავად, როგორც ესპანეთს იცავდნენ. პანბალი გაცილებით ძლიერი და საშინელი იქნება — თუკი იტალიიდან მართლაც გაიტყუებ, — ვიდრე ახლა იტალიაშია.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონი იმისათვის კი არ დაუნიშნავთ კონსულად, რომ თავის პატივმოყვარეობას ელოლიავოს, არამედ იმისათვის, რომ ემსახუროს საერთო საქმეს, რომის ლაშქარი იმისთვისაა შეკრებილი, რომ დაიცვას რომი და იტალია, — აი ჩემი აზრი:

სციპიონი მაშინვე ადგა და ფაბიუსს პასუხი გასცა. პასუხი არც კადნიერი იყო და არც უკმეხი, მაგრამ იყო მეტისმეტად მტკიცე, გაბედული და გულახდილი.

მან თქვა, ვოცნებობ არა თუ გავუტოლდე კვინტუს ფაბიუსს მაქსიმეს დიდებას, არამედ გადავაჭარბო მას და ჩემი ოცნების დამალვას არც ვაპირებ, რადგან სულით მაღალ ყოველჯამიანს სწყურია აჯობოს ყველა გამოჩენილ ადამიანს, სადაც

და რა დროსაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. თუკი უფროსები დააოკებენ უმცროსების ამ კეთილშობილურ სწრაფვას, მაშინ დიდად დაზარალდება სახელმწიფო და ადამიანთა მოდგმა მთლიანად. აფრიკაში ბრძოლას მარტო საფრთხე კი არ ახლავს თან, არამედ მთელი რიგი უპირატესობაც გააჩნია. პუნები ცბიერი მოკავშირეები, სასტიკი და საზარელი მბრძანებლები არიან. რომელი მეზობელი დარჩება მისდამი ერთგული, როცა მისი ბატონობა შეირყევა? საკუთარი ძალები კი კართაგენს არ გააჩნია: მისი ლაშქარი მთლიანად აფრიკელი და ნუმიდელი დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შედგება. ეყო აფრიკას მშვიდობითა და სიწყნარით ტკბობა. დე, ახლა მან იყვიროს სასოწარკვეთილების, საშინელებისა და ტკივილებისაგან, ხოლო გაწამებულმა იტალიამ დაისვენოს. დე, რომის ლაშქარი კართაგენელთა კარიბჭესთან დაბანაკდეს, დე, ომის ყველა უბედურება, რასაც, აგერ, უკვე მეორე ათეული წელია ვითმენთ, ახლა კართაგანელთა მიწაზე გადაინაცვლოს.

სენატორებს არ მოსწონდათ სციპიონის სიტყვა და მდუმარედ უსმენდნენ. როცა მან სიტყვა დაამთავრა, კვინტუს ფულვიუსმა — წარსულში ოთხგზის კონსულმა — ჰკითხა:

— პუბლიუს კორნელიუს, გვითხარი პირდაპირ, მოგვცემ თუ არა ნებას, პროვინციების საკითხი ისე გადაწყვიტოთ, როგორც ამას საჭიროდ და სწორად მივიჩნევთ და დაემორჩილებით თუ არა ჩვენს გადაწყვეტილებას?

— მე სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად მოვიქცევი, — იყო პასუხი.

მაშინ ფულვიუსმა შესძახა:

— სახალხო ტრიბუნებო, რაკი კონსული არ აპირებს დაემორჩილოს სენატს, მე უარს ვამბობ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება და თქვენს დაცვასა და მხარდაჭერას მოვითხოვ!

ტრიბუნებმა თხოვნა სამართლიანად და კანონიერად მიიჩნიეს და გამოაცხადეს, ხალხს ნებას არ მივცემთ, ჩაერიოს საქმეებში, რომლებიც მხოლოდ სენატმა უნდა აწარმოოს. სციპიონი იძულებული იყო დაეთმო და მეორე დღეს სენატმა კონსულებს პროვინციები გადასცა. პუბლიუს ლიცინიუს კრასუსს — ბრუტეუმში, პუბლიუს კორნელიუს სციპიონს — სიცილია, თან ნება დართო, თუკი საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნებოდა, აფრიკაში გადასულიყო.

ჯარის რეგულარული გაწვევა სციპიონს არ ჩაუტარებია, ამის ნაცვლად მოხალისეები მოიწვია. მის მოწოდებას იტალიის სხვადასხვა კუთხიდან შვიდი ათასამდე კაცი გამოეხმაურა ახალი ფლოტის აღჭურვაშიც მთელი იტალია დაეხმარა, ისე რომ ხაზინას ეს ხარჯები ტვირთად არ დასწოლია. ერთმა მხარემ პური და სხვა სურსათ-სანოვავე გამოგზავნა, მეორემ ხომალდების ასაგებად ხე-ტყე, მესამემ—რკინა, ტილო, ფისი, მეოთხემ — ფარები, ჩაფხუტები, შუბები, ხელშუბები, მუხეთემ — ცულები, თოხები, ძალაყინები, კავები, მეექვსემ — ფული მენიჩბეებისათვის.

რომის ახლოს გემსაშენში ოცდაათი საბრძოლო ხომალდი ააგეს. სციპიონი თვალყურს არ აშორებდა მუშაობას, აჩქარებდა ოსტატებს. თვენახევრის შემდეგ ხომალდები უკვე წყალში იდგნენ და მზად იყვნენ ზღვაში გასასვლელად.

სციპიონი სიცილიაში

სციპიონი მშვიდობიანად ჩავიდა სიცილიაში, მოხალისეები შეაიარაღა და ცენტურიონებად დაჰყო, მაგრამ თავისთან სამასი ყველაზე ღონიერი და მარჯვე ჰაბუჯი დაიტოვა. შემდეგ მან კუნძულის საუკეთესო ოჯახებიდან სამასი ახალგაზრდა სიცილიელი აარჩია, უთხრა, აფრიკაში უნდა გაგვზავნოთო და დათვალეირების დღე დანიშნა.

სიცილიელებს მძიმე, აუტანელ საქმედ ეჩვენებოდათ საკუთარი სახლ-კარიდან მოშორებით სამსახური, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედეს და დანიშნულ დროს კონსულთან გამოცხადდნენ, რომ თავიანთი ცხენები და იარაღი ეჩვენებინათ. როცა სციპიონმა დათვალეირება დაამთავრა, მათ მოულოდნელად უთხრა:

— თქვენზე მომახსენეს, ზოგიერთებს ეშინიათ და არ სურთ ზღვის გადაღმა სამსახურიო. მართლაც, წალვლიანები ჩანხართ. რა ვუყოთ, ჯობს ახლავე ვალიაროთ სიმართლე, ვიდრე მერე ვიწუწუნოთ და ხელი შევუშალოთ საერთო საქმეს.

თუმცა კონსული ალერსიანად და გულკეთილად ლაპარაკობ-

და, მაგრამ თავდაპირველად ყველანი დამფრთხალნი იყვნენ.
ბოლოს ერთ-ერთმა ძლივგასაგონად თქვა:

— მე ომში წასვლა არ მინდა.

სციპიონმა მაშინვე უპასუხა:

— მადლობელი ვარ გულახდილობისათვის, ჰილდოდ კი შემცვლელს მოგცემ, შენ მას ცხენს, იარაღსა და აღჭურვილობას გადასცემ, თან შინ წაიყვან და ყველაფერს შეასწავლი, რაც კარგმა მხედარმა უნდა იცოდეს.

ამ სიტყვებით მან მიუთითა სამას მოხალისეთაგან ერთ-ერთზე, რომელიც იქვე იდგა.

შემცვლელები სხვა სიცილიელებმაც მიიღეს. მათ დიდი გულმოდგინებით წვრთნიდნენ, რადგან კონსულმა გააფრთხილა: თუკი ვინმე დაუღვერობას გამოიჩენს, ჯარში თვითონ იმსახურებსო.

შემდგეში ცხენოსანთა ეს რაზმი სციპიონის ლაშქარში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო.

იმ წელს აფრიკაში დიდი ლაშქრობა სციპიონმა ვერ გაბედა. ზღვა გადალახა მხოლოდ გაიუს ლელიუსმა რამდენიმე ძველი ხომალდით (ახლებს მომავლისათვის, უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვის ინახავდნენ), იგი ღამით ქალაქ ჰიპონის მახლობლად გადავიდა ნაპირზე და რიერაჟზე თავისი ხალხი სანაპირო მინდვრებისა და სოფლების საძარცველ წაიყვანა.

შიშისაგან გულგახეთქილი მაცნეები კართაგენში გაიქცნენ და შეატყობინეს, რომის ფლოტი მოგვადგა, რომელსაც თვით სციპიონი ხელმძღვანელობსო.

შიშმა და ნაღველმა მოიცვა ქალაქი, „როგორ იცვლება ბედი! — ფიქრობდნენ კართაგენელები. — სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ძლევამოსილი ლაშქარი რომის გალავანთან იდგა, ასლა კი მალე დავინახავთ აფრიკის გაჩანაგებას და კართაგენის ალყას“. მაგრამ კვალდაკვალ ახალი ამბავი მოიტანეს — სიცილიიდან სციპიონი კი არა, მისი ლეგატი მოცურდა მცირერიცხოვანი რაზმითო, და კართაგენელებმა უფრო თავისუფლად ამოისუნთქეს.

რომის ხომალდების მოსვლის ამბავი მასინისამაც შეიტყო. იგი ცხენით ლელიუსთან გაიქცა და სთხოვა, სციპიონს გადა-

ეცი, ნუ აყოვნებ, აფრიკაში ომისათვის ამაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს ვერ ნახავ-თქო.

მართალია, მე, მასინისა, მტერმა ჩემი სამფლობელოებიდან გამდევნა, მაგრამ ლაშქარი დიდი მყავს — ქვეითი ჯარიც და ცხენოსანი ჯარიც-თქო. ლელიუსს კი უთხრა, აფრიკაში შენი დაყოვნება არ შეიძლება, საჩქაროდ სიცილიაში უნდა დაბრუნდე: კართაგენის ნავსადგურიდან ფლოტი გამოვიდა, რომელსაც მარტოდმარტო, სციპიონის დაუხმარებლად ვერ დამარცხებო.

მეორე დღეს ლელიუსმა ხომალდები ალაფით დატვირთა და უკან დაბრუნდა. მასინისასთან ლელიუსის საუბარმა სციპიონი ძალზე გაახარა და იმედი ჩაუნერგა. მეომრები ხარბი თვალებით შესცქეროდნენ ხომალდების გადმოტვირთვას, არ მალავდნენ თავიანთ შურს იმ იღბლიანთა მიმართ, რომლებმაც ხელთ იგდეს ეს ნადავლი, და ოცნებობდნენ მალე წასულიყვნენ აფრიკაში.

თარეში ლოკრაში

ბრუტიუმში შავი ჭირი მძვინვარებდა, რომელიც ერთიანად მუსრს ავლებდა პუნებსაც და რომაელებსაც. ამიტომ კონსული კრასუსი უმოქმედოდ იდგა და არ აწუხებდა ჰანიბალს. სამაგიეროდ, სციპიონმა შეაწუხა იგი და საკმაოდაც — მტერს ქალაქი ლოკრა წაართვა. მან იქ გარნიზონი ჩააყენა, რომელსაც მეთაურად თავისი ლეგატი პლემინიუსი დაუნიშნა და სიცილიაში დაბრუნდა. თავიანთი ბატონობის დროს კართაგენელები ქალაქელებს ისე სასტიკად ეპყრობოდნენ, რომ ლოკრელები მზად იყვნენ გამარჯვებულების სიმკაცრე არათუ მოთმინებით, ხალისითაც კი აეტანათ. მაგრამ პლემინიუსმა და მისმა ჯარისკაცებმა ბევრად გადააქარბეს მტერს დანაშაულებრივ სიხარბეში, თითქოს იარაღის ძალაში კი არ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ეს მძლავრი მოწინააღმდეგენი, არამედ ბიწიერებაში. არ არსებობს ისეთი ავკაცობა, ისეთი უკეთურობა, რომის გარნიზონის მეთაურს და მის ხელქვეითებს რომ არ ჩაედინოთ ლოკრის მოქალაქეთა, მათი ცოლ-შვილის, მონების, ქონების მი-

მართ. კიდევ მეტი — გაძარცვეს ყველა ტაძარი, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი პროზერპინას ტაძარი, მაგრამ ქალღმერთმა მალე დასაჯა მკრეხელები: ვინც კი მის განძეულს ხელი შეეხო, ყველა ჭკუაზე შეშალა და ერთმანეთს ცოფიანი ძაღლებივით მიუსია.

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

პლემინიუსს ემორჩილებოდა საგუშაგო რაზმის მხოლოდ ნაწილი, მეორე ნაწილს მეთაურობდა ორი სამხედრო ტრიბუნი — სერგიუსი და მათიენი. პლემინიუსის ერთ-ერთმა ხელქვეითმა რომელიღაც სახლში ვერცხლის თასი მოიპარა, სახლის პატრონები დაედევნენ, ქურდი ალალებდზე გაიქცა და მათიენსა და სერგიუსს შეეჩეხა. როცა საქმის ვითარებაში გაერკვხენ, ტრიბუნებმა უბრძანეს, თასი პატრონებისათვის დაებრუნებინა. ქურდი გადაჭრით უარზე დადგა, დაიწყო ლანძღვა-გინება, რომელიც ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. პლემინიუსის ჯარისკაცები, ამხანაგს რომ იცავდნენ, სერგიუსის და მათიენის ხალხმა სცემა და მიფანტ-მოფანტა. დასისხლიანებულ-დალურჯებული „უდანაშაულოდ დაშავებულნი“ რაზმის უფროსთან მიცვივდნენ. თვალცრემლიანები კენესითა და წყევლა-კრულვით უჩვენებდნენ მას თავიანთ ჭრილობებს, იმეორებდნენ სალანძღავ სიტყვებს, რომლითაც ტრიბუნები და მათი ჯარისკაცები ახსენებდნენ თვით პლემინიუსს. სიბრაზისგან გონდაკარგული პლემინიუსი ქუჩაში გამოვარდა და ბრძანა დაუყოვნებლივ მიეყვანათ სერგიუსი და მათიენი, ტანსაცმელი შემოეხიათ და გაეჯოხათ. მაგრამ ტრიბუნები როგორც შეეძლოთ წინააღმდეგობას უწევდნენ და შველას თხოულობდნენ. მათი ყვირილი უყურადღებოდ არ დარჩენილა. თითქოს ბუკის ხმა ჩაესმათო, ყოველი მხრიდან მოცვივდნენ ჯარისკაცები. რა დაინახეს ცემისაგან ზურგაჭრელებული ტრიბუნები, გონი სულ დაკარგეს, დაივიწყეს არა მარტო ხელმძღვანელებისადმი პატივისცემა, არამედ ყოველგვარი ადამიანური გრძნობაც და ლეგატს ეცნენ. ჯერ მუშტები დაუშინეს, შემდეგ მიწაზე დასცეს და ფეხებით შედგნენ. ბოლოს ცოცხალ-მკვდარს ცხვირი და ყურები დააჭრეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ლოკრაში მომხდარი ამბავი სციპიონმა გაიგო. იგი დაუყოვნებლივ ჩავიდა და უწესრიგობის

მონაწილეები მაშინვე გაასამართლა. თავის ლეგატი კონსულმა მთლიანად გაამართლა, ტრიბუნები კი დამნაშავედ სცნო და ბრძანა, მათთვის ბორკილები დაედოთ და რომში წაეყვანათ, რომ მათი შემდგომი ზვედრი სენატს გადაეწყვიტა. მაგრამ, როგორც კი სციპიონი უკან, სიცილიაში გაემგზავრა, კონსულის მეტისმეტად რბილი განაჩენით უკმაყოფილო პლემინიუსმა გამოათრია ციხიდან ტრიბუნები, აწამა ისე, როგორც კი შეიძლება ადამიანის სხეულმა აიტანოს და ცოცხალ-მკვდარი სიკვდილით დასაჯა. სიკვდილით დასჯილთა გვამები უპატრონო ძაღლებსა და მტაცებელ ფრინველებს მიუგდო საჯიჯგნად. ასევე მხეცურად გაუსწორდა პლემინიუსი ლოკრის წარჩიბულ მოქალაქეთ, რომლებმაც სციპიონთან უჩივლეს მას თავაშვებულობისა და უკანონობისათვის. სწორედ მათ აცნობეს კონსულს რომის გარნიზონში მომხდარი არეულობის ამბავი. ლეგატის თავხედური თავნებობა სახელს უტეხდა თვით მთავარსარდალსაც.

იმავე წელს რომაელებმა ზავი შეკრეს მაკედონიის მეფე ფილიპესთან. აფრიკაში მოსალოდნელი ბრძოლის წინ მათ სურდათ გათავისუფლებულიყვნენ დანარჩენი საზრუნავისაგან.

წელი იწურებოდა. მომავალი წლისათვის კონსულებად აირჩიეს მარკუს კორნელიუს ცეტეგა და პუბლიუს სემპრონიუს ტუდიტანი.

ომის მეთხუთმეტე წელი

რომის დაარსებიდან 550 (204 წელი ჩვენს მრამდთ)

ეს შემდეგ, რაც კონსულებმა თანამდებობები ჩაიბარეს, სენატმა წლის დასაწყისისათვის ჩვეულებრივი საქმეების მოგვარებას მიჰყო ხელი — ნიშნავდა ახალ სარდლებს, ძალაუფლებას უგრძელებდა ძველებს (მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო პუბლიუს კორნელიუს სციპიონიც), განსაზღვრავდა ჯარში გასაწვევთა რიცხვს, რა რაოდენობის ფული სჭირდებოდა სახელმწიფოს ომის შემდგომი მსვლელობისათვის, ნიშნავდა ღმერთებისათვის გულისმოსალობს საღვთო ზეიმებს, მაგრამ რომში ლოკრის ელჩების გამოჩენასთან დაკავშირებით ყოველგვარი საქმიანობა შეაჩერეს.

ლოკრის ელჩები რომში. სენატის ბამოქიება
ლოკრასა და სირაკუზში

ერთხელ, კონსულების ფორუმზე ყოფნისას, ძაძით მოსილი გაუკრეჭავ-გაუპარსავი, თმადაუვარცხნელი ათი კაცი, — ზეთის ხილის რტოებით ხელში, ნიშნად იმისა, რომ მფარველობას

ითხოვდნენ, — ტრიბუნალის წინ შესაბრალოსი ყვირილით პირ-
ქვე დაემხნენ. კონსულებმა სთხოვეს ამდგარიყვენ და ეთქვათ,
ვინ იყვენ და საიდან მოვიდნენ. მოსულებმა უპასუხეს, ლოკ-
რელი ბერძნები ვართ, ლეგატ კვინტუს პლემინიუსის და მისი
მეომრებისაგან ისეთ წამებას განვიცდით, რასაც რომაელი
ხალხი თვით კართაგენელებსაც კი არ უსურვებენო.

ელჩები დაუყოვნებლივ სენატს წარუდგინეს და ელჩებს
შორის უხუცესმა წარმოთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიც
დაწვრილებით აღწერა თავისი თანამოქალაქეების უბედურება
და ჭარში მომხდარი განხეთქილება. პლემინიუსის არ-
სებაში, ამბობდა იგი, არაფერია ადამიანური, გარდა გარეგნო-
ბისა, მას არც რომაელის სცხია რაიმე, გარდა სამოსისა და
ლათინური ენისა. იგი ნამდვილი მხეცია, ურჩხულია და რაც
ყველაზე უფრო საშინელია, მთელი მისი ხალხი — რიგითი
მეომრებიცა და უმცროსი მეთაურებიც, — ისეთივე მხეცებად
აქცია, როგორც თვითონაა. ყველანი გვქურდავენ, გვცე-
მენ, გვძარცვავენ, გვჩეხავენ, გვჭრიან, გვხოცავენ, გვტაცებენ
ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ქმრებს ცოლებს გვართმევენ,
მშობლებს ხელიდან შეილებს გლეჯენ. განსაკუთრებული დაჟი-
ნებით აღნიშნავდა ელჩი მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულ
რომაელთა ღვთისმოშიშობას. თქვენ ისე თავგამოდებით სცემთ
პატივს თქვენსა და სხვის ღმერთებს, რომ განა შეიძლება დაუს-
ჯელად დატოვოთ პროზერპინას შეურაცხმყოფელი? — ამბობ-
და იგი. — იცოდეთ, ქალღმერთს ყოველთვის შეუძლია სამა-
გიეროს გადახდა, გახსოვდეთ, მისი რისხვა შეიძლება თავს
დაატყდეს არა მარტო უშუალოდ შემბლალაეებს, არამედ
მთელ თქვენს სახელმწიფოს.

— პუბლიუს სციპიონს თუ მიმართეთ თქვენი საჩივრით? —
ჰკითხა კვინტუს ფაბიუს მაქსიმემ.

— მივმართეთ, — უპასუხა ელჩების მეთაურმა, — მაგრამ
კონსული მთლიანად ომის სამზადისითაა გართული. იგი აღ-
ბათ უკვე აფრიკაშია, ან სადაცაა, ზღვას გადალახავს. გარდა
ამისა, ჩვენ კარგად ვიცით, როგორ განწყობაშია იგი თა-
ვის ლეგატთან: პლემინიუსმა ტრიბუნებზე ნაკლები დანაშაუ-
ლი როდი ჩაიდინა, მაგრამ სციპიონმა იგი დაიხსნა, გაამართლა,
ტრიბუნები კი ციხეში ჩაყარა.

ელჩები კურიიდან გამოვიდნენ და სენატორებმა ერთიმეორის მიყოლებით დაიწყეს თავიანთი აზრის გამოთქმა. ისინი სასტიკად გმობდნენ არა მარტო პლემინიუსს, არამედ სციპიონსაც. ყველაზე მკაცრად ფაბიუსს მაქსიმე გამოვიდა. მან წინადადება წამოაყენა: პლემინიუსი ბორკილდადებული ჩამოვიყვანოთ რომში და, თუკი ლოკრელთა დასმენა დადასტურდა, სიკვდილით დაესაჯოთ; პუბლიუს სციპიონი სენატის უკითხავად თავის პროვინციის დატოვებისათვის თანამდებობიდან გადავაყენოთ და სიცილიიდან უკან გამოვიწვიოთ; ლოკრელებს საჯაროდ გამოვუცხადოთ, რომ მთელი წყენა რომის სენატისა და ხალხის ნების წინააღმდეგ მიაყენეს. შემდეგ კი დავუბრუნოთ თავიანთი ქონება და ცოლ-შვილი. პროზერპინას განძეულობიდან მოტაცებული ფულიც მოვძებნოთ და ქალღმერთს დავუბრუნოთ. თან რომის სახელმწიფოს სახელით დამატებით ამდენივე მივცეთო.

სციპიონს მარტო პლემინიუსის ავკაცობის გამო როდი ესხმოდნენ თავს. მას უსაყვედურებდნენ ქეშმარიტი რომაელისა და მეომრისათვის შეუფერებელ საქციელს: დადის გიმნასიებში, ესწრება პალესტრებს, კითხულობს არაფრისმაქნის ბერძნულ წიგნებს. იგი აღარც კი ფიქრობს კართაგენსა და პანიბალზე, თვითონაც წახდა და ლაშქარიც წაახდინა ზედმეტი გარყვნა-სიამოვნებით, უსაქმურობითა და ჯარისკაცთა თავნებობის დანაშაულებრივი მხარდაჭერითო.

სციპიონს დამცველებიც საკმაოდ ბლომად გამოუჩნდნენ. ბოლოს და ბოლოს ყველას აჯობა კვინტუს მეტელუსის აზრმა. იგი ყველაფერში დაეთანხმა ფაბიუსს, მაგრამ სციპიონის უკან გამოწვევას სასამართლოსა და გამოძიების გარეშე არ ურჩევდა, მით უმეტეს, რომ, როგორც ლოკრელები ამბობენ, მას სერიოზულად ვერაფერში დაადანაშაულებდნენ, გარდა თავის ლეგატისადმი მეტისმეტი შემწყნარებლობისა. სენატმა დაადგინა, უახლოეს სამ დღეში სიცილიაში გაეგზავნათ პრეტორი მარკუს პომპონიუსი ცამეტ მრჩეველთან ერთად, რომელთა შორის უნდა ყოფილიყო ორი სახალხო ტრიბუნი. თუკი გამოირკვეოდა, რომ თავაშვებულობა ლოკრაში პუბლიუს კორნელიუს სციპიონის ბრძანებით ან, თუნდაც მისი თანხმობით ხდებოდა, მაშინ პომპონიუსი მას უბრძანებდა, დაუყოვნებლივ

დაეტოვებინა პროვინცია, ხოლო თუკი სციპიონს ამ დროისათვის აფრიკაში წასვლა მოესწრო, სახალხო ტრიბუნები დაედევნებოდნენ და უკან ჩამოიყვანდნენ.¹ თუკი პრეტორი დანარჩენ წარგზავნილებთან ერთად გამოარკვევდა, რომ სციპიონი პლემინიუსის ბოროტმოქმედებაში გარეული არ არის, არავითარი ცვლილების მოხდენა საჭირო აღარ იქნებოდა.

სციპიონმა სენატის გამოძიების ამბავი წინასწარ გაიგო და იმ დროისათვის, როცა პომპონიუსი ჩავიდა, ბორკილგაყრილი კვინტუს პლემინიუსი უკვე რეგიაში იყო დატუსაღებული. უპირველეს ყოვლისა, პრეტორმა და მისმა თანამგზავრებმა განრისხებულ პროზერპინას გულის მოსაღობად გასწიეს და ზუსტად შეასრულეს სენატის დადგენილება ტაძრის გაძარცვული განძეულობის დაბრუნების თაობაზე. შემდეგ პომპონიუსმა რაზმები ქალაქიდან გაიყვანა, სიკვდილით დაემუქრა იმათ, ვინც ქალაქის ბინებიდან რაიმე ნივთს წაიღებდა, გარდა საკუთარი იარაღისა და იმ ტანსაცმლისა, რომელიც ტანზე ეცვათ, შემდეგ ლოკრელებს უთხრეს, ჯარისკაცების ბინები დაიარეთ, საკუთარი ნივთები თუ იპოვოთ, წაიღეთ, ხოლო რასაც ვერ მონახავთ, პრეტორს მოახსენეთ.

გამოაცხადეს, ლოკრის თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც უკანონოდ და უსამართლოდ მონებად გადაექციათ, შეუძლიათ შინ დაბრუნდნენ, ხოლო ვინც ამას წინ აღუდგება, სასტიკად დაისჯებაო. შემდეგ მოიწვიეს სახალხო კრება და პრეტორმა ლოკრელებს გამოუცხადა, ვისაც პლემინიუსის წინააღმდეგ საბრალმდებლო სიტყვით გამოსვლა სურს, რეგიაში გამოცხადდეს, ხოლო მათ, ვისაც თვით მთავარსარდლის მხილება უნდა, თავიანთი რწმუნებულები აირჩიონ და მე, პომპონიუსი მათ სიამოვნებით მოვეუსმენო.

ლოკრელები პრეტორს, რომის ხალხსა და სენატს მადლობას უხდიდნენ. პლემინიუსის წინააღმდეგ მოწმედ ყველას უნდოდა გამოსვლა, ხოლო სციპიონის წყენინება არავის სურდა,

¹ ვარაუდობდნენ, რომ შესაძლებელი იყო სციპიონი არ დამორჩილებოდა პრეტორის განაჩენს, მაგრამ სახალხო ტრიბუნებისადმი უჩიობას, რომლებიც ხალხის უმადლესი და წმიდა ხელისუფლების ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენდნენ, ვერცერთ ვითარებაში ვერ გაბედავდა.

მაგრამ იმიტომ კი არ აკეთებდნენ ამას, რომ მისი მადლიერებისა და მეგობრობის იმედი ჰქონდათ, ასეთი ძლევამოსილი კაცის მტრობას ერიდებოდნენ. ამასთანავე, ამბობდნენ ლოკრელები, უშუალო დანაშაული ჩვენს ტანჯვაში მას არ მიუძღვის, იგი მხოლოდ გულგრილი იყო ჩვენი ტანჯვა-წამების მიმართო.

ასეთმა პასუხმა ძალზე გაახარა პომპონიუსი, რადგან გადაარჩინა იგი მძიმე, აუცილებელ საქმეს — დაეწყო გამოძიება სციპიონის წინააღმდეგ. მან პლემინიუსი და მისი მთავარი თანამონაწილეები რომში გაგზავნა, თვითონ კი სირაკუზში წავიდა, რათა საკუთარი თვალთ ენახა, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს დარხეული ხმები სარდლის ცხოვრების უღირსი საქციელისა და ჯარის აღვირახსნილობის თაობაზე.

ცილისწამებისგან თავის დახსნა სციპიონმა სიტყვით კი არა, საქმით გადაწყვიტა. მან სირაკუზში შეკრიბა მთელი ლაშქარი, ხოლო მთელი ფლოტი სანაოსნოდ მოამზადა. მრჩევლებთან ერთად პრეტორის ჩამოსვლის მეორე დღეს მან აჩვენა ქვეითი ჯარის ვარჯიში, ხოლო ხომალდებმა ნავსადგურში გაითამაშეს საჩვენებელი საზღვაო ომი. შემდეგ სენატის წარმრგზავნილები იარაღის სახელოსნოებსა და პურის ბეღლებში წაიყვანეს. ისინი ნანახმა აღაფრთოვანა, რაც არც სციპიონისათვის დაუმაღავთ და არც მოგვიანებით, რომში სენატისათვის. სენატმა დაადგინა, რომ სციპიონს დიდი ხნით არ გადაედო აფრიკაში გალაშქრება და პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა.

სიფაქსის ღალატი და მისი მოულოდნელი შედეგი

სენატის დადგენილება მეტისმეტად დროულად მოვიდა: მდგომარეობა ისე შეტრიალდა, აფრიკაში გალაშქრების დაყოვნება მართლაც აღარ შეიძლებოდა. საქმე ის იყო, რომ კართაგენელებმა შეძლეს მეგობრობა აღედგინათ მეფე სიფაქსთან, რომლის ერთგულების იმედი ყველაზე მეტად ჰქონდა რომის

მხედართმთავარს. პასდრუბალი, ჰისგონის შვილი, სიფაქსთან ურთიერთსტუმართმოყვარეობის ვალდებულებით იყო დაკავშირებული (ესპანეთიდან დაბრუნებული პასდრუბალი მეფის პირველი სტუმარი როგორ გახდა, და იქ სციპიონს როგორ შეხვდა, ზემოთ გიამბეთ). პასდრუბალმა გადაწყვიტა, განემტკიცებინა ეს კავშირი და ნუმიდიელს ცოლად თავისი ასული შესთავაზა. სიფაქსი დათანხმდა. მას ყური ჰქონდა მოკრული, რომ პასდრუბალის ქალიშვილი სოფონიბე ძალზე ლამაზი იყო, ხოლო ბარბაროსთა შორის ქალის სილამაზისადმი ნუმიდიელზე მგრძობიარე სხვა ტომი არ არსებობს. საქორწილო ზეიმზე პირად კავშირს საერთო, სახელმწიფოებრივი კავშირიც დაუმატეს: სიფაქსმა და კართაგენელებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, აწ და მარადის მეგობრები და მტრები საერთო გვეყოლებათ. მაგრამ პასდრუბალს ახსოვდა, რომ სიფაქსმა რომაელებსაც ასეთი ფიცი მისცა.

პასდრუბალი ფარულად მოქმედებდა სოფონიბეს დახმარებით, რომელიც გაგიჟებით, უგონოდ შეიყვარა მეფემ. პასდრუბალმა დაარწმუნა ნუმიდიელი, სიცილიაში ელჩები გაეგზავნა და გაეფრთხილებინა სციპიონი, ჩემი უწინდელი დაპირების იმედი ნულა გექნება და ჯობს აფრიკას არ გაეკარო, თორემ იძულებული ვიქნები, იარაღს მოვკიდო ხელი ჩემი მეუღლის, კართაგენელი მოქალაქის ასულისა და აფრიკის მიწის — პუნთა და ნუმიდიელთა საერთო სამშობლოს დასაცავად.

სციპიონმა პასუხი მოსწერა, ურჩევდა მეფეს განზრახვა გადაეფიქრებინა და ელჩები საჩქაროდ გაუშვა, რომ მათი მოსვლის მიზეზი ლაშქარს არ გაეგო. მაგრამ ნუმიდიელები დაინახეს ქალაქის ქუჩებში, დაინახეს მთავარსარდლის სახლის ახლოს და ჯარისკაცებს შორის შეშფოთებული ჩურჩული გაისმა. სციპიონი მიხვდა, რომ სიმართლის დამალვით უფრო შეუწყობდა ხელს მის გამქლავებას და მან გაბედული, აშკარა ტყუილი თქვა, — შეკრებაზე გამოაცხადა, სიფაქსი ლოდინით დაიღალა და ლალატით გვემუქრება, თუკი რომაელები უმოკლეს დროში აფრიკაზე არ გავილაშქრებთო.

— თუმცა, ჩვენც ყველაფერი მზადა გვაქვს, — დაამთავრა თავისი სიტყვა სციპიონმა, — ამიტომაც აი ჩემი გადაწყვე-

ტილება: მთელ ფლოტს, საბრძოლოსა და სატვირთოს, დღეს-ვე გავგზავნით სირაკუზიდან ლილიბეუმში, ხვალ იქითვე გაეშურება მთელი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი და ღმერთების შემწეობით დავიწყებთ გადასვლას.

მალე ყველა ხომალდი და ყველა მეომარი, რაც კი სიცილიაში იყო, ლილიბეუმში მოგროვდა. ქალაქი ძლივს იტევდა ურიცხვ ხალხს, ნავსადგური—ხომალდებს. ყველას ისეთი სურვილი ჰქონდა, ზღვა გადაელახა, თითქოს საბრძოლველად კი არ მიდიოდა, არამედ ჭილდოებისა და საპატიო საჩუქრების მისაღებად. მაგრამ ამ მრავალ ლეგიონს შორის, სციპიონმა მხოლოდ ორი აირჩია. ორივე ლეგიონი იმ მეომრებისაგან შედგებოდა, რომლებიც კანესთან განადგურებას გადაურჩნენ. სციპიონი, მათ მიმართ არავითარ ზიზღს არ გრძნობდა, პირიქით — თანაგრძნობითაც კი ეკიდებოდა, რადგან თვლიდა, რომ ამ გაუთავებელი სამარცხვინო დამამცირებელ სასჯელს ისინი დაუმსახურებლად იხდიდნენ, რადგან კატასტროფის მიზეზი სულაც არ იყო მათი სიმხდალე. ამას ისიც ემატებოდა, რომ მთელს ჯარში თითქმის არავინ შეედრებოდა მათ საბრძოლო გამოცდილებითა და ცოდნით. სციპიონი დათვალეირების დროს კრიჭაში ჩაუდგა კანეს ლეგიონებს. სათითაოდ ყველა, რომლის მკლავის ძალა, ფეხების სიმარდე და სხეულის გამძლეობა აეჭვებდა, ლეგიონიდან გამოჰყავდა, ხოლო მათ ნაცვლად მოხალისეები შეჰყავდა, რომლებიც ერთი წლის წინათ იტალიიდან თან ჩამოიყვანა.

სულ რამდენი ჯარი გადაიყვანა სციპიონმა აფრიკაში (მოკავშირეთა მაშველი რაზმების ჩათვლით), ზუსტად არავინ იცის. სამაგიეროდ, ფლოტის რაოდენობა ცნობილია: ორმოცი საბრძოლო ხომალდი და ოთხასი სატვირთო. გემებში ჩასხდომა და მათი დატვირთვა მალე დამთავრდა, რაც მკაცრი წესრიგის დაცვით მიმდინარეობდა. წყალი და სურსათ-სანოვავე თვენახევრის სამყოფი წაიღეს, მოხარშული საკვები — ნახევარი თვის სამყოფი. როცა ყველა მეზღვაურმა და ჯარისკაცმა თავთავისი ადგილი დაიკავა, სარდალმა გემებზე ბრძანება დაგზავნა, თითოეული ხომალდიდან ქალაქის მოედანზე გამოცხადდეს უფროსი, მეშტურვალე და ორი მეომარიო. მათი საშუალებით გაცემულ იქნა უკანასკნელი განკარგულება: ზღვა-

ში გასელის წინ ქარისკაცებმა დაიცვან სანიმუშო სიწყნარე და სიმშვიდე, ტყუილად არ იყილონ, არ იკინკლონ და არ იჩხუბონ, რომ მეზღვაურებს შეეძლოთ თავიანთი მოვალეობის დაუბრკოლებლად შესრულება. მეზღვაურებს ახსოვდეთ, რომ მწყობრის შუა ადგილს დაიკავებს სატვირთო ხომალდები, მარჯვნიდან მათ დაიკავს ოცი საბრძოლო ხომალდი თვით სციპიონისა და მისი ძმის ლუციუსის მეთაურობით, მარცხნიდან კიდევ ოცი ხომალდი გაიუს ლელიუსისა და კვესტორ მარკუს პორციუს კატონის მეთაურობით. ღამლამობით სატვირთო გემებზე მხოლოდ თითო ფარანი აინთოს, საომარზე — ორ-ორი, სარდლის ხომალდი კი ყველა დანარჩენისაგან გამორჩეული იქნება სამი სასიგნალო შუქით.

მეორე დღეს ფლოტმა ლუზა აუშვა. მის გასაცილებლად მოვიდნენ არა მარტო ლილიბეუმის მცხოვრებლები, არამედ ძთელი სიცილიის ქალაქების წარგზავნილები. მოვიდნენ კუნძულის ნაცვალის პრეტორ მარკუს პომპონიუსის მეთაურობით. მოვიდნენ ლეგიონერებიც; რომლებიც სიცილიაში რჩებოდნენ. ღამაში და მრისხანე იყო ეს სანახაობა — უზღვავე ხომალდი ზღვაზე და უზღვავე ხალხი ნაპირზე. მაცნემ სიჩუმე შოითხოვა და როცა ყველანი გაჩუმდნენ, სციპიონმა ლოცვა წარძოსთქვა და ძველი ჩვეულებისამებრ ზღვაში შეწირული ცხოველის შიგნეულობა ჩაყარა. გაისმა საყვირის ხმა. ხომალდები ნავსადგურის გასასვლელისაკენ დაიძრა.

ბადასხდომა აფრიკაში

ზურგის ქარი ქროდა და მიწა სწრაფად მიეფარა თვალს. შუადღისათვის სქელი ნისლი ჩამოწვა და ქარიც შესუსტდა. ნისლი მხოლოდ დილისათვის გაიფანტა. ქარი ისევ გაძლიერდა, ხომალდებმა სწრაფად გაკურეს და მალე აფრიკის სანაპიროც გამოჩნდა. მეშტურვალემ სციპიონს მოახსენა, ჩვენგან რვა კილომეტრის დაშორებით ყურეა, სადაც რომის მთელი ფლოტი დაეტევო, მაგრამ სარდალმა ბრძანა, სხვა უფრო მონებრებულ და კართაგენტან ახლომდებარე ნავსადგური მო-

ძებნეთო, და ცურვა განაგრძეს. დაახლოებით, იმავე საათზე, როგორც წინა დღეს, ისევ ჩამოწვა ნისლი, მან მიწა დატარა და ქარიც ჩადგა. დაღამებამდე ნიჩბებს უსვამდნენ, შემდეგ შეჩერდნენ და ღუზა ჩაუშვეს, რომ ერთმანეთს არ დაჯახებოდნენ. ისეთი ბურუსი იდგა, ანძებზე სინათლეც კი არ ჩანდა. ბოლოს მზე ამოვიდა და ნისლი გაფანტა.

— რა ეწოდება ამ კონცხს? — ჰკითხა მეშტურვალეს სციპიონმა და ნაპირის შორიახლოს შვერილზე მიუთითა.

„ლაპაზი“, თუკი ადგილობრივი კილოდან ჩვენს ენაზე გადმოგთარგმნით, — უპასუხა მეშტურვალემ.

— ეს ღმერთებისაგან კარგის მაუწყებელი ნიშანია, — თქვა სარდალმა. — იქით გასწით.

რომაელებმა ზღვის პირას დასცეს ბანაკი. თუმცა ბრძოლა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ აქამდე არნახულმა არეულობამ მოიცილა მინდვრები, სოფლები და ქალაქები. მთელ გზებზე გაიჭიმა ხალხის მწყკრევიები, მიჰყავდათ ბავშვიანი ქალები, მიერეკებოდნენ საქონელს, — გეგონებოდათ, მთელი აფრიკა აიყარაო. ლტოლვილები თავშესაფარს ქალაქის სიმაგრეებში ეძებდნენ და იქაც ვაიუბედურებას ტყავდნენ. თვით კართაგენში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა სციპიონი გამოჩენილიყო. დაცვის უფროსმა ბრძანა კარიბჭე ჩაეკეტათ, გუშაგები დააყენა გალავანსა და კოშკებზე. ღამით მთელი ქალაქი ფხიზლობდა, თვალი არავის მოუხუჭავს.

ღილით მხედართა ათასკაციანი რაზმი რომის ბანაკისაკენ გაემართა დასახვერად. სციპიონს უკვე მოესწრო ფლოტი მეზობელ ნავსადგურ უტიკაში გაეგზავნა და თვითონაც ქვეყნის სიღრმეში შეჭრილიყო. რომის ცხენოსნები შეხვდნენ კართაგენელთა რაზმს, ადვილად გააქციეს და ბევრიც დახოცეს. ნაპირზე გადასხლომიდან მეორე დღეს რომის ბანაკში მასინისა მივიდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მან მეფობა დაკარგა. სანამ იგი კართაგენელების მხარეზე იბრძოდა ესპანეთში, მამამისი, გალა, მოკვდა და ძალაუფლება სხვამ ჩაიგდო ხელში. მასინისას უნდა დაებრუნებინა ტახტი, მაგრამ კართაგენელებმა სიფაქსი დაარწმუნეს, მასინისა ძალზე მოუსვენარი, საშიში

მეზობელია და სანამ სუსტია, თავიდან მოიშორე, თორემ დრო-თა განმავლობაში ყველა ნუმიდიელს დაიმორჩილებსო. და-იწყო ბრძოლა, რომელიც მასინისასთვის უკიდურესად უიღ-ბლო გამოდგა, მაგრამ არც სიფაქისისათვის მოუტანია მას სა-ბოლოო გამარჯვება. სამჭერ გაანადგურა მან მტერი და სამჭერ-ვე მოახერხა მასინისამ რალაც სასწაულით სიკვდილს გადარ-ჩენოდა და ახალი ჯარი შეეკრიბა. იგი სციპიონთან სულ ორა-სი მხედრით მივიდა, რომლებიც მესამე დამარცხებიდან ჯერ კი-დეც წელში ვერ გამართულიყვნენ.

სციპიონმა ბანაკი უტიკაში გადაიტანა. აქ მას აცნობეს, მტრის ცხენოსანი ჯარის ერთი რაზმი, დაახლოებით, ოთხი ათ-ასი კაცი, ქალაქ სალეკში დგას, რომელიც უტიკიდან ოცდა-ორი კილომეტრითაა დაშორებულიო.

— ზაფხულში ცხენოსანი ჯარი ქალაქში შერეკო?! — შეს-ძახა გაოცებულმა სციპიონმა. — ასეთი მეთაურის ხელში მტერი ჩვენთვის საშიში არაა, თუნდაც ათჯერ მეტი იყოს!

მან დაუყოვნებლივ წინ მასინისა გაგზავნა ნუმიდიელებთან ერთად, რომ მტერი გალაენიდან გამოეტყუებინა და ბრძოლა-ში ჩაეთრია, თვითონ კი ცოტა ხნის შემდეგ რომის ცხენოსა-ნი ჯარით უკან მიჰყვა.

მასინისას მხედრები ჩინებულად განასახიერებდნენ ხან გა-ბედულებას, ხან შიშს, ხან გალავანთან მიიჭრებოდნენ, ხან უკ-ან იხევდნენ: ბოლოს და ბოლოს თავისას მიაღწიეს და მტრები შეაგულიანეს. კართაგენის რაზმის უფროსი აქეთ-იქ-ით დარბოდა სალეკში, აღვიძებდა გამუდმებული ძილისა და ლოთობისაგან დაფიქვინებულ მეომართა ერთ ნაწილს, აკავებ-და მეორეთ, ბრმად და უწესრიგოდ რომ გარბოდა კარიბჭისა-კენ. თავდაპირველად მასინისამ ადვილად მოიგერია მტრის მცირერიცხოვანი შეტევა, შემდეგ ძალები გათანაბრდა, ბო-ლოს კართაგენელთა მთელი რაზმი მინდორზე, სიმაგრის გად-შოდმა გამოიშალა, მაშინ მასინისამ ნელ-ნელა იწყო უკან და-ხევა. იგი ბორცვებისაკენ იხევდა, რომელიც მინდორს გარს ერტყა: როგორც წინასწარ დათქვეს, ამ ბორცვების უკან სცი-პიონი იყო ჩასაფრებული. თავშესაფრიდან უცებ გამოცვივდ-ნენ რომაული მხედრები და თვალის დახამხამებაში გადათელეს პუნები, რომლებიც ბრძოლითა და მასინისას. დევნით იყვნენ

დადლილნი. შეტაკების დროს რომაელებმა დახოცეს არა ნაკლები ორი ათასი მეომრისა, ხოლო გაქცეულთა დევნის დროს კიდევ ორი ათასი.

სციპიონმა სულეკში გუშაგთა რაზმი დააყენა და თავის ბანაკში დაბრუნდა. მაგრამ სანამ დაბრუნდებოდა, შვიდი დღე აოხრებდა მეზობლად მდებარე ქალაქებსა და სოფლებს, იტაცებდა ნადავლს. შემდეგ იგი თავს დაესხა უტიკას: მას სურდა ეს ქალაქი ამოსავალ წერტილად და საყრდენ პუნქტად გაეხადა შემდგომი საომარი მოქმედების დროს.

გალავანთან მიიტანეს სააღყო მანქანები, რომლებიც სიცილიიდან წამოიღეს და იქაური დახელოვნებული ოსტატების მიერ იყო დამზადებული. რომის ხომალდებმა ლუზა აუშვეს და უტიკას ზღვიდან შემოერთყენენ. ალყაშემორტყმულები მთელ იმედს მარტო კართაგენელებზე ამყარებდნენ, კართაგენელები კი თვითონ იყვნენ უმწურო მდგომარეობაში, თითქმის განწირულნი და პასდრუბალთან — პისგონის შვილთან შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდნენ, ემუდარებოდნენ, მამულის დასახსნელად მალე წამოდი და რომაელების წინააღმდეგ შენი სიძე სიფაქსი აამხედრეო. პუნმა მხედარმთავარმა შეკრიბა ოცდაათი ათასი ქვეითი და სამი ათასი ცხენოსანი ჯარი, მაგრამ სიფაქსის გარეშე სციპიონის ბანაკთან მოახლოვებას ვერ ბედავდა. ალყიდან მხოლოდ მეორმოცე დღეს მიუახლოვდნენ მოკავშირეები უტიკას შეერთებული ძალით. სიფაქსის ჯარი ორმოცდაათი ათასი ქვეითისა და ათი ათას მხედრისაგან შედგებოდა.

სციპიონი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა. შემოდგომა იწურებოდა და იგი საზამთრო ბინების სამზადისს შეუდგა. მაღალ კონცხზე რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო გადაჭიმული, ლეგიონები დაბანაკდნენ. კონცხის ჩრდილოეთი კიდევ მეზღვაურებმა დაიკავეს, რომლებმაც თავიანთი ხომალდები ხმელეთზე ამოათრიეს. ქვეითების სამხრეთით ცხენოსანი ჯარი განლაგდა, კიდევ უფრო სამხრეთით, კონცხისა და მატერიკის გამყოფ ყელთან მიწის ზვინული აღმართეს და თხრილი გაიყვანეს. იტილიიდან, სიცილიიდან და სარდინიიდან ბლომად შეზიდეს პური და სხვა სურსათ-სანოვაგე.

ასევე მიიტანეს ტანსაცმელი ჯარისკაცებისათვის — თორმეტი ათასი ტუნიკა და ათას ორასი ტოვა.

იმ წელს წარმატებით იბრძოდა ჰანიბალის წინააღმდეგ ბრუტიაში კონსული პუბლიუს სემპრონიუს ტუდიტანი ყოფილ კონსულ პუბლიუს კრასუსთან ერთად.

მომავალ წელს კონსულებად აირჩიეს გნეუს სერვილიუს ცეპიონი და გაიუს სერვილიუს გემინი.

ომის მეთექვსმეტე წელი

რომის დაარსებიდან 851 (203 წელი ჩვენს მრამდთ)

ს საზამთრო ბინებში ყოფნის დროს სციპიონი შეეცადა სიფაქსთან მოლაპარაკება გაება. მეფემ მიიღო სციპიონის მოციქულები და უთხრა კიდევ, რომ მზადაა რომთან კავშირი განაახლოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი მტრულად გადაკიდებული ორივე ქვეყანა სხვისი სამფლობელოებიდან გავაო. თუ სციპიონი აფრიკას დატოვებს, იმავე დღეს კართაგენელები იტალიიდან ჰანიბალს გაიწვევენო. ყოვლად უაზრო ეს პირობა რომის სარდალს, ცხადია, ყურში არც შეუშვია, მაგრამ მოლაპარაკება არ შეუწყვეტია, რადგან მტრის ბანაკში შესასვლელი ღიად დაეტოვებინა.

ციცხლი — რომაელთა მოკავშირე

კართაგენელთა საზამთრო ბინები, თითქმის მარტო ხისა იყო, ნუმიდიელები კი ზამთარს ლერწმის კარვებში ატარებდნენ, რომლებიც აქეთ-იქით იყო მიმოფანტული, ზოგი მათ-

განი ბანაკის სიმაგრის გარეთაც იყო გაშლილი. ეს რომ სციპიონმა გაიგო, იმედი მიეცა, მტერი ცეცხლით გაენადგურებინა. აი რატომ იყო, რომ ელჩებს ელჩებზე უგზავნიდა სიფაქსს. თითოეულ ელჩს მსახურის სახით თან მიჰყავდა ყველაზე გამოცდილი და ყველაზე მამაცი ლეგიონერები.

სანამ ელჩები მეფეს ესაუბრებოდნენ, მათი ვითომ მსახურები ყველგან დაძვრებოდნენ, ათვლიერებდნენ შესასვლელ-გასავლელებს, ქოხების განლაგებას, ყარაულების ადგილ-მდებარეობას, ზომავდნენ ჰასდრუბალისა და სიფაქსის ბანაკებს შორის მანძილს, ფიქრობდნენ, როდის ჯობდა დაერტყათ, დღისით თუ ღამით. „მსახურები“ ყოველთვის იცვლებოდნენ. ამგვარად, რომის საკმაოდ ბევრმა ჯარისკაცმა მოასწრო მტრის განლაგების გაცნობა.

ბოლოს რომაელებმა ნუმიდიელებს განუცხადეს:

— ჩვენი იმპერატორი შენგან გადამწყვეტ და გარკვეულ პასუხს ითხოვს. გაზაფხული მოახლოვდა: ან ზავი უნდა დაედოთ, ანდა საომარი მოქმედება დაიწყეთ.

ხახგრძლივი მოლაპარაკებით მოტყუებულ სიფაქსსა და ჰასდრუბალს, ექვი არ ეპარებოდათ, რომ სციპიონს მშვიდობა სწყუროდა, ამიტომაც უწინდელ თავიანთ წინადადებებს ახალი, კიდევ უფრო უაზრო წინადადებები დაუმატეს. ამან სციპიონს სასურველი საბაბი მისცა, რომ მოლაპარაკება შეეწყვიტა. მან მეფის ელჩებს შეატყობინა, მე სულით და გულით გამიხარდებოდა ზავის დადება, მაგრამ ჩემი მრჩეველები მაძალებენ, ჯერ მეფემ კართაგენელებთან ურთიერთობა გაწყვიტოსო და სხვა დათმობაზე არ მიდიანო.

მტრისთვის გზა-კვალი რომ აერია, რომაელებმა თავი ისე მოაჩვენეს, ვითომ უტიკის ალყის განახლებას აპირებდნენ: ნავსადგურში ისევ შევიდნენ საალყო მანქანებით დატვირთული ხომალდები, ორიათასიანმა ქვეითმა ჯარმა დაიკავა ქალაქის ზემოთ აღმართული ბორცვი. მაგრამ იმავე დღეს, ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე, ლეგიონები ბანაკიდან გამოვიდნენ და, დაახლოებით, შუა ღამეს უკვე მიზანთან იყვნენ, სციპიონმა ლელიუსსა და მასინინას უბრძანა, დაეწვათ სიფაქსის ბანაკი, თვითონ კი ჰასდრუბალის ბანაკი აირჩია.

განაპირა ქოხებს თვალის დახამხამებაში მოედო ცეცხლი.

ალი წამში მეზობელ ნაგებობებზე გადავიდა. მალე კვამლსა და ალში გაეხვია მთელი ბანაკი. რა თქმა უნდა, ღამით ავარდნილმა ხანძარმა შიში და აურზაური გამოიწვია, მაგრამ მის ნაძღვილ მიზეზს ვერავინ ხვდებოდა. შეუიარაღებელი ნუმიდელები გარეთ გამორბოდნენ და ცეცხლის ჩაქრობას იწყებდნენ, აქ კი მტრის მახვილით იღუპებოდნენ. ბევრი ცოცხლად, დააწვა და ბევრი ბანაკის ვიწრო გასასვლელში გაისრისა.

კართაგენელებმა მეზობლებთან ხანძარი დაინახეს, თან ყვირილი და კვნესა შემოესმათ. ეს ამბავი მართლაც უბედურ შემთხვევას მიაწერეს და მისაშველებლად ასევე უიარალოდ, ჭგროდ გამოცვივდნენ. მაგრამ თხრილისა და მიწის ზვინულს გადაღმა სციპიონის ხალხს ჩაუცვივდნენ ხელში. ისინი ყველას კლავდნენ არა იმდენად გამძვინვარების გამო, რამდენად შიშის გამო, უკან არ დაბრუნებულ იყვნენ და განგაში არ აეტეხათ. შემდეგ გუშაგების მიერ მიტოვებული ჭიშკრიდან რომაელები პუნთა ბანაკში შეიჭრნენ და ისიც ისევე აგიზგიზდა, როგორც ნუმიდელებისა.

მტრის მთელი ლაშქრიდან დაახლოებით ორი ათასი ქვეითი და ხუთასი ცხენოსანი გადაჩა თავის ბელადებიანად. მტრის წართმეული იარაღი სციპიონმა მადლობის ნიშნად ცეცხლის ღმერთს ვულკანუსს შესწირა და დაწვა.

კართაგენში სუფეტებმა (ისინი რომის კონსულების მსგავს ხელისუფლებას წარმოადგენდნენ) სენატი შეკრიბეს. სენატორების ერთი ნაწილი რჩევას იძლეოდა, მტერს ზავი ვთხოვოთო, მეორე ნაწილი ამბობდა, იტალიიდან პანიბალი სასწრაფოდ გამოვიწვიოთო, მესამე ნაწილი, რომელიც ამჟღავნებდა არა პუნების, არამედ უფრო რომაელების ხასიათსა და განსაცდელის ეამს სიმტკიცეს, წინადადებას აყენებდა საკუთარი საშუალებებითა და ძალებით ომი განვაგრძოთო. ამ უკანასკნელმა აზრმა, რომელსაც ერთხმად დაუჭირა მხარი ბარკიდების პარტიამ, გაიმარჯვა. ქალაქში და ახლომახლო სოფლებში ახალი გაწვევა გამოცხადდა. არც სიფაქსი მისცემია სასოწარკვეთას: ახალგაზრდა მეუღლე ტირილით ევედრებოდა, მამაჩემი და სამშობლო მტრის ანაბარა არ დატოვოო. სოფონიბეს ცრემლებმა ალერსზე ნაკლებად როდი შეძრა მეფის გული. მან თავის სახელმწიფოს მთელ ახალგაზრდობას კვლავ იარაღისაკენ მოუწოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სიფაქსი და ჰასდრუბალი ისევ შეერთდნენ, მათ, დაახლოებით, ოცდაათი ათასი მეომარი ჰყავდათ.

სციპიონი, რომელსაც ისევ უტიკისთვის უნდა შემოერთყა ალყა, საჩქაროდ დაიძრა მოწინააღმდეგის შესახვედრად. სამი დღე გრძელდებოდა წინასწარი, წვრილ-წვრილი შეტაკებები, მეოთხე დღეს გაიმართა ბრძოლა, ნუმიდელი და კართაგენელი ახალწვეულები უმწეონი აღმოჩნდნენ ბრწყინვალედ გაწვრთნილ რომის ჯართან და თითქმის მთლიანად გაიკლიტნენ. სიფაქსმა და ჰასდრუბალმა ისევ გაქცევით უშველეს თავს.

იტალიაში, ჰანიბალთან, სენატის ელჩები წავიდნენ, ახლა კართაგენში ამას უკვე აღარავინ უწევდა წინააღმდეგობას.

ხოლო სციპიონმა გამარჯვების მეორე დღეს ლელიუსი და მასინისა ცხენოსანთა მთელი ჯარით სიფაქსს დაადევნა. აღმოსავლეთი ნუმიდია — მასინისას მამისეული სამფლობელო, საიდანაც სიფაქსმა იგი განდევნა — სიხარულით შეეგება უწინდელ ხელმწიფესა და მის მოკავშირეებს. სიფაქსმა თავის მამაპაპეულ სამფლობელოებს შეაფარა თავი, მაგრამ აშკარა იყო, რომ იგი დიდი ხნით მშვიდობიანად ვერ იქნებოდა: სიმამრი და ცოლი წამდაუწუმ აგულიანებდნენ, ისევ სცადე ბედით, უჩიჩინებდნენ, შენი სამეფოს ძალები ამოწურული როდია, მხოლოდ ოდნავ მიადგა ვნებაო.

და, მართლაც, ახალი ლაშქრით, ქვეითებითა და ცხენოსნებით, იგი მტერთან შესახვედრად დაიძრა. თითქოს იმისთვის მიდიოდა, რომ ერთხელ კიდევ ეგემნა დამარცხება, ამჯერად საბოლოო და გამოუსწორებელი. სიფაქსმა არა მარტო ჯარი დაკარგა, არამედ პირადი თავისუფლებაც. ბრძოლის ველზე იგი ტყვედ იგდეს, რომ მომავალში — კარგა ხნის შემდეგ — პუბლიუს სციპიონის ტრიუმფალური სვლა დაემშვენებინა.

სიფონიზუსა და მასინისას სევდიანი ამბავი

მასინისამ მოისურვა დაუყოვნებლივ გაექუსლა სიფაქსის დედაქალაქში, ცირტაში, და დაიქაღნა, ქალაქს მოულოდნელად ავიღებო. ლელიუსმა მასინისა გაუშვა. ნუმიდელმა ცხე-

ნოსნებმა ცირტას მიაშურეს და თან ბორკილდადებული სიფაქსიც წაიყვანეს. მასინისამ გუშაგების მეშვეობით ქალაქის ხელისუფალნი გამოიძახა და მოსთხოვა, ქალაქი ჩამაბარეთო. მაგრამ არც მომხდარი ამბის დაწვრილებითმა თხრობამ გაჭრა, არც რჩევა-დარიგებამ, არც მუქარამ. მაშინ ბორკილგაყრილი სიფაქსი წინ გამოიყვანეს. ამ საცოდობამ ცირტელების სიჭიუტე გატეხა. გალავანზე ტირილი და მოთქმა-გოდება გაისმა და კარიბჭეც გაიღო. მასინისამ კარიბჭეში მცველები ჩაიყვანა, რომ არეულობით არავის ესარგებლა, არ გაქცეულიყო და თვითონ ცხენი მეფის სასახლისაკენ გააჭენა.

იგი ცხენიდან ჩამოხტა, ეზოზე გადაირბინა და ზედ სახლის ზღურბლზე სოფონიბე დაინახა. მდიდრულ ტანსაცმელსა და იარაღს რომ შეხედა, სოფონიბე მიხვდა, ვინც იდგა მის წინაშე, ფეხებში ჩაუვარდა, მუხლებზე ხელები შემოხვია და უთხრა:

— მე შენს ხელთა ვარ, მაგრამ თუკი ტყვეს შეუძლია შეწყალების თხოვნა, გაფიცებ მეფურ ღირსებას, რომელიც სულ ახლახან მეც გამაჩნდა, გაფიცებ ნუმიდიელის სახელს, რომელსაც სიფაქსთან ერთად ატარებ, ნუ ჩამაგდებ რომაელების ხელში! როგორც არ უნდა მომეპყრა, მე მზადა ვარ ყველაფერი ავიტანო და მოვიტმინო, რადგან ეს იქნება ბრძანება ჩემი თანამემამულისა, იმავე აფრიკის მიერ ნაშობი ადამიანისა, რომელმაც მეც გამზარდა და, თუკი შენ არაფრით არ ძალგიდს აცილო სოფონიბეს რომაელთა თვითნებობა და ამპარტავნობა, მოკალი იგი.

ამ იშვიათი სილამაზის ქალს რომ უყურებდა, მის მუდარას რომ ისმენდა, მის ცრემლებს საკუთარ ხელებსა და მუხლებზე რომ გრძნობდა, მასინისა მარტო თანაგრძნობით კი არა, სიყვარულითაც განიმსკველა. ტყვემ დაიპყრო მძლეველი. იგი ქალს დაჰპირდა, თხოვნას შეგისრულებო და სასახლეში შევიდა. მასინისას აღარაფერი ახსოვდა, დაჯდა და ფიქრს მიეცა, მიცემული სიტყვა როგორ შეეასრულო. სიყვარულმა, ბოლოს, თავზეხელაღებული და ურცხვი გეგმა ჩააგონა. იმავე დღეს მან სოფონიბესთან იქორწინა, რათა ლელიუსი და თვით სციპიონი აცხულებინა, სოფონიბეს როგორც მტრის მეუღლეს კი არა, როგორც რომის ხალხის მოკავშირის ცოლს ისე მოპყრობოდნენ.

მეორე დღეს ცირტაში ჩასული ლელიუსი ისე განარისხა მომხდარმა ამბავმა, რომ თავდაპირველად გადაწყვიტა, სოფონიბე დაუყოვნებლივ სციპიონის ბანაკში გაეგზავნა, მაგრამ შემდეგ ცოტათი დაწყნარდა და დათანხმდა, ყველაფერი მთავარსარდლისთვის მოეხსენებინა, რათა თავად მის გადაწყვიტა, ვისი ბედი გაეზიარებინა ტყვე დედოფალს — სიფაქსის თუ მასინისასი.

სიფაქსი და სხვა წარჩინებული გვარის ტყვეები დაუყოვნებლივ მიჰგვარეს სციპიონს. მთელი ბანაკი გზაზე გამოეფინა, თითქოს ტრიუმფალურ სვლას ესალმებიაწო. თითოეული, როგორც შეეძლო, ისე განადიდებდა სიფაქსს, მისი გვარის სიდიადეს, მისი სახელმწიფოს სიძლიერეს, რითაც დიდების შარავანდედით მოსავდა მასზე მოპოვებულ გამარჯვებას. ტყვე მხედართმთავრის კარავში შეიყვანეს. სციპიონს მოაგონდა ამ კაცის ამასწინანდელი დიდებულება, მეგობრობა, მასთან რომ აკავშირებდა და უეცარი სიბრაღული იგრძნო. რომაელის უხერხულობა არ გამოპარვია ნუმიდელს და მხნეობა შესძინა. სციპიონმა ჰკითხა, როგორ შეგეძლო ჩვენი ხელშეკრულებისთვის გელალატა და ამას რომ აკეთებდი, რა მიზანს ისახავდიო. სიფაქსმა გაბედულად უპასუხა:

— მე უგუნურად მოვიქეცი, მაგრამ უგუნურობა გამოვიჩინე გაცილებით ადრე, სანამ რომის წინააღმდეგ იარაღს აღვმართავდი: უგუნურობა ჩემი სახლის ჰერქვეშ კართაგენელ ქალთან ერთად შემოვიდა, რომელიც ცოლად შევირთე. საქორწილო მაშხალების აღმა დასწვა სიფაქსის გონება და ძალა. ამ ქალმა მახეში გამაბა და დამაბრმავა, იმდენი იჯახირა შეუსვენებლად, სანამ იარაღი არ აღმამართვინა ჩემს მეგობარსა და სტუმარზე. ახლა ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი დაიღუპა, სანუგეშებლად მხოლოდ ერთი რამღა მრჩება — იგივე ჰირი, იგივე ცოფი შევიდა სწორედ იმ კაცის სახლსა და გულში, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მძულს. მასინისა არც ჰკვიანია სიფაქსზე და არც მტკიცე ნებისყოფის, ახალგაზრდობის გამო კი ბევრად უფრო გაუფრთხილებელია და ჩემზე ძალიერ მიეზღვება სამაგიერო სოფონიბეს სიყვარულისათვის.

ეს გესლიანი და ცბიერი სიტყვები სიფაქსს სიძულვილმა კი არა, ეჭვიანობამ თქმევინა, მაგრამ სციპიონს ცეცხლი წაუ-

კიდა და როცა ლელიუსის წერილი და მასინისას მიმართ მისი ბრალდება წაიკითხა, თავისი ლეგატის მრისხანება მასაც გადაედო. მიუხედავად ამისა, ლელიუსი და მასინისა მთელი დასავლეთი ნუმიდის დამორჩილების შემდეგ მასთან ბანაკში რომ გამოცხადდნენ, მან ორივე ერთნაირი გულკეთილობით მიიღო და საშხედრო საბჭოზე ერთნაირად მხურვალედ შეაქო. საბჭო რომ დაითხოვა, სციპიონმა მასინისას სთხოვა დაჩენილიყო და უთხრა:

— მე მგონია, მასინისა, შენ ჩემთან იმიტომ გასურდა შეხვედრა ესპანეთში, ხოლო შემდეგ ასე დაჟინებით მიწვევდი აფრიკაში, რომ სციპიონში ბევრი კეთილი თვისება დაინახე. იცი თუ არა, მათ შორის რომლით ვამაყოფ ყველაზე მეტად?.. თავდაპერილობით! მე მინდა, მასინისა, რომ შენს ღირსებასაც მიემატოს იგი. დამიჯერე, ჩვენი წლოვანებისათვის მტრის მახვილი და შუბები იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც სიამოვნების წყურვილი, ვინც მას ალაგმავს და დათრგუნავს, იგი უფრო სახელოვან გამარჯვებას მოიპოვებს, ვიდრე სიფაქსზე ჩვენი გამარჯვებაა. მე არაფერს გეტყვი ისეთს, შენ რომ გაგაწითლოს, ჯობს თვითონვე განსაჯო: სიფაქსი დამარცხებულია და რომის ხალხის წარმატების წყალობით ტყვედაა ჩავარდნილი, მაშასადამე, თვითონ ისიც, მისი მეუღლეც, ტახტიც, მიწებიც, ქალაქებიც, ხალხიც, ამ ქალაქებში რომ ცხოვრობს, — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც სიფაქსს ეკუთვნოდა, რომის ხალხის ნადავლი გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეფე და დედოფალი რომში უნდა ჩაეიყვანო, რადგან რომის სენატისა და ხალხის გარდა არავის აქვს უფლება განსაზღვროს მათი მომავალი. სძლიე საკუთარ თავს, მასინისა, რომ ერთადერთი შეცდომით, ერთადერთი დანაშაულით ჩრდილი არ მიაყენო შენს ურიცხვ საგმირო საქმესა და დამსახურებას.

სციპიონს რომ უსმენდა, მასინისა არა თუ წითლდებოდა, ცრემლებსაც კი იწმენდდა. მან თქვა, მუდამ რომის მთავარსარდლის მორჩილი ვიქნებიო, მაგრამ სთხოვა, იმ ფიცზე დაფიქრდი, ასე წინდაუხედავად სოფონიბეს რომ მივეციო. სციპიონმა არაფერი უთხრა და თავგზააბნეული და აფორიაქებული ნუმიდელი მისი კარვიდან გამოვიდა. იგი ჩაიკეტა თავის კარავში. ბევრს კარგა ხანს ესმოდა მისი ხმამალალი კვნესა.

ბოლოს მან თავის ერთგულ მონას უხმო, რომელთანაც მოულოდნელი უბედურებისათვის საწამლავი ინახებოდა, უბრძანა, საწამლავი ღვინოში ჩაეყარა და სიფონიბესათვის მიეტანა.

— უთხარი, რომ მასინისა მთელი არსებით, როგორც ეს ერთგულ მეუღლეს შეჰყვების, ცდილობდა შეესრულებინა თავისი მთავარი და პირველი დაპირება, მაგრამ უშედეგოდ. იგი განიარაღებული და შებოქილია იმ კაცის მიერ, ვინც მასზე ძლიერია. მიუხედავად ამისა, თავის მეორე დაპირებას იგი მაინც შეასრულებს — რომაელები სოფონიბეს ცოცხლად ხელში ვერ ჩაიგდებენ. დაე, გაიხსენოს მან თავისი მამა — დიდი მხედართმთავარი, თავისი სამშობლო, ორი მეფე, რომელთაც ცოლიც იყო და, დაე, თავისუფალი მოკვდეს.

• მონამ სიტყვა-სიტყვით გადასცა სოფონიბეს თავისი ბატონის დანაბარები. მან უპასუხა:

— მე მადლობის გრძნობით ვღებულობ ამ საქორწილო ძღვენს, რა ხან მასინისამ სხვა რამით თავის მეუღლის გახარება ვერ შეძლო, ოღონდ ახსოვდეს, რომ მე უფრო გამიადვილდებოდა სიკვდილი, სამარის პირას გამართული ეს ახალი საქორწილო გარიგება რომ არ მომხდარიყო.

ხელიც კი არ ათრთოლებია, სახეზე ნაკვეთიც არ შეტოკებია, ისე აიღო საწამლავით სავსე თასი და ბოლომდე დასცალა.

მომხდარმა ამბავმა სციპიონი შეაშფოთა, უზომოდ შეწუხებულმა მასინისამ საკუთარ თავს სხვა გამოუსწორებელი ვნება არ მიაყენოსო, მან მაშინვე იხმო თავისთან ნუმიდიელი და დამშვიდება დაუწყო, თან მსუბუქად, ფრთხილად კიცხავდა. მეორე დღეს მასინისა მძიმე ფიქრებიდან რომ გამოეყვანა, სციპიონმა მოიწვია კრება და მთელი ჯარის წინაშე პირველად უწოდა ნუმიდიელს მეფე, თავზე ოქროს გვირგვინი დაადგა, აჩუქა ოქროს თასი, ტახტი, რომელზედაც რომის კონსულები და პრეტორები სხდებიან, მისცა სპილოს ძვლის სკიპტრა, ტრიუმფატორის ტოგა და ოქროთი და ძოწით ნაქარგი ტუნიკა.

— ჩვენ არ გვაქვს უფრო დიდი და მშვენიერი პატივი, ვიდრე ტრიუმფის პატივია, — თქვა მან, — მასინისა უცხოელთაგან ერთადერთია, რომელიც რომის ხალხს ამ პატივის ღირსად მიაჩნია.

მასინისა დამშვიდდა, მხნეობა შეემატა, ყველაზე სანუკვარ-

მა იმედმა გული გაუნათა — მთელი ნუმიდია საკუთარი ძალა-
უფლებისათვის დაემორჩილებინა.

სციპიონმა თავისი ბანაკი კართაგენს ძალიან მიუახლო-
ვა. უხუცესთა საბჭომ, რომელიც უკვე ყურს აღარ უგდებდა
ბარკიდებს, რომის სარდალთან ელჩები გაგზავნა. ელჩები,
თავისი ქვეყნის ჩვეულებისამებრ, სციპიონის წინაშე პირქვე
დაექმნენ და მას მორჩილად, დამცირებულად ზავი სთხოვეს.
სციპიონმა ასეთი მოთხოვნები წამოაყენა: დაებრუნებინათ
ტყვეები და მოღალატეები; გამოეყვანათ ჯარები იტალიიდან
და რომის გალიიდან (სადაც ორი წლის წინ ბალეარის კუნ-
ძულებიდან გადავიდა მაგონი). უარი ეთქვათ ესპანეთზე, სიცი-
ლიასა და სარდინიაზე. ჩაებარებინათ მთელი საბრძოლო ფლო-
ტი, გარდა ოცი ხომალდისა; რომის ბელღებში ჩაეყარათ ხუ-
თასი ათასი მოდიუსი ხორბალი და სამასი ათასი მოდიუსი ქე-
რი; ორმაგი ჯამაგირი მიეცათ რომის ლაშქრისათვის.

კართაგენელებმა გადაწყვიტეს, ყველაზე მთავარი დროის
მოგება არისო, რომ იტალიიდან პანიბალის ჩამოსვლას დალო-
დებოდნენ. ამიტომ ყველაფერზე სიტყვაშეუბრუნებლად დაე-
თანხმნენ და სციპიონის სურვილის თანახმად, ელჩები რომის
სენატში გაგზავნეს. ელჩები გაგზავნეს აგრეთვე მაგონთან, მაგ-
რამ გაგზავნეს მალულად — უბრძანებდნენ, რაც შეიძლება
სწრაფად დაბრუნებულიყვნენ აფრიკაში.

ელჩებმა მაგონი ზღვის პირას, გენუის მახლობლად იპოვეს.
იგი მძიმედ დაჭრილიყო ახალ ბრძოლაში, რომელიც წაეგო და
დიდი ზარალიც ენახა. მაგონი დაემორჩილა სენატის ბრძანე-
ბას, ჯარის ნარჩენები ხომალდებზე დასხა და გზას გაუდგა:

მაგრამ პუნებმა ვერ მოასწრეს სარდინიას გასცლოდნენ,
რომ მათი მეთაური კრილობისაგან გარდაიცვალა.¹

¹ ეს ის მაგონი იყო, პანიბალის ძმა, რომელიც კანესთან გამარჯვების
შემდეგ მაშველი ძალების სათხოვნელად კართაგენში გაემგზავრა, მაგრამ
სენატმა იგი პასდრუხალის დასახმარებლად ესპანეთში გაგზავნა, სადაც
მან, დაახლოებით, ათი წელი დაჰყო.

დაახლოებით იმავე დღეებში ელჩები ჰანიბალთანაც მივიდნენ. ჰანიბალი უსმენდა მათ და კბილებს აღრქიალებდა, ლამის ტიროდა. როცა ელჩებმა ლაპარაკი დაამთავრეს, შეჰყვირა:

— ჩინებულა! უწინ ნელ-ნელა მეწეოდნენ უკან, მაშველი ძალებისა და ფულის გარეშე მტოვებდნენ, ახლა აშკარად მიწვევენ. ჰანიბალი რომის ხალხმა კი არა, კართაგენის სენატმა დაამარცხა თავისი შურით. იტალიის ომის უსახელო დასასრული იმდენად არ გაახარებს პუბლიუს სციპიონს, რამდენადაც ჰანონს, რომელმაც თვით კართაგენიც კი არ დაინდო, ოღონდ ძირფესვიანად დაენგრია ჰამილკარ ბარკას სახლი!

ისე, ჰანიბალი კარგა ხნის წინათ გრძნობდა, საითკენაც იხრებოდა ომის სასწორი და ზომალდები მზად ჰყავდა. ჯარის უმეტესი ნაწილი, რომელიც ბრუტიუმის ქალაქებში საყარაულო რაზმებად იდგნენ და აღარაფერში გამოადგებოდნენ, დაითხოვა. მხოლოდ საუკეთესონი, ნარჩენი ჯარისკაცები წაიყვანა თან აფრიკაში. მათი რიცხვი შეიძლებოდა მნიშვნელოვნად უფრო მეტი ყოფილიყო, მაგრამ იტალიური წარმოშობის ბევრმა მეომარმა ზღვის გადაღმა წასვლაზე უარი თქვა და თავი შეაფარა იუნონას ტაძარს ლაცინიუმის კონცხზე, იქ კი თვით ქალღმერთის ტაძარში პუნებმა ისინი ერთიანად ამოხოცეს.

გვიამბობენ, იშვიათად რომელიმე განდევნილი ისე დატანჯულიყოს სამშობლოსთან განშორებით, როგორც ჰანიბალი იტანჯებოდა მტრის მიწა-წყლის მიტოვებით. იგი წამდაუწუმ გასცქეროდა იტალიის ნაპირებს და წყევლიდა ღმერთებს ადამიანებსაც და საკუთარ თავსაც იმისათვის, რომ რომზე არ გაილაშქრა იმ ჯარით, კანესთან გამარჯვების შემდეგ მტრის სისხლით რომ იყო მთვრალი, იმისათვის, რომ ტრაზიმენის ტბასთან და კანესთან, დაახლოებით, ასი ათასი მტრის გაჟლეტის შემდეგ მთელი თხუთმეტი წელი ფუჭად და ლაჩრულად ტკეპნიდა ადგილს კაზილინუმს, კუმასა და ნოლას შორის.

რომმა უკვე იცოდა, რომ იტალია მტრებისაგან განთავი-

სუფლებული იყო და მრავალდღიანი ღვთისმსახურებითა და მსხვერპლშეწირვით მადლობას უხდიდა ცის ბინადართ. სწორედ ამ დროს ჩამოვიდნენ კართაგენელი ელჩები. სენატში მათ იგივე თქვეს, რაც სციპიონს უთხრეს. ყველაფერში დამნაშავე ჰანიბალია, რომელმაც თვითნებურად დაიწყო და თვითნებურად განაგრძო ომი. სენატი და კართაგენის ხალხი კი, სიზარტლე რომ ითქვას, მტკიცედ იცავენ უწინდელ ხელშეკრულებას, რომელიც ორმოცი წლის წინათ დაიდო. სწორედ ამ ხელშეკრულებას უნდა დაეუბრუნდეთ ახლაცო, — დაამთავრეს თავიანთი სიტყვა კართაგენელებმა. ხნიერმა სენატორებმა მათ გამოკითხვა დაუწყეს ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებულ სხვადასხვა წერილმანებზე, მაგრამ ელჩებმა უპასუხეს, ჩვენ არაფერი გვახსოვს და არც შეიძლება გვახსოვდეს, რადგან ახალგაზრდები ვართო (მართლაც, თითქმის ყველანი ორმოცს არ იყვნენ მიტანებულნი). ამ დროს სხვადასხვა მხრიდან გაისმა ყვირილი, ეს პუნთა ჩვეულებრივი მზაკვრობააო. როცა ელჩები კურიიდან გამოიყვანეს, სენატორები ერთხმად მიემხრნენ მარკუს ვალერიუსის აზრს, რომელიც წარსულში ორჯერ იყო კონსული. კართაგენელთა მოციქულები ელჩებად კი არა, ჯაშუშებად მივიჩნით და დაუყოვნებლად გავაძევოთ იტალიიდან, სციპიონს კი მივწეროთ, ომი გააგრძელოსო.

კართაგენელები წავიდნენ. მათ ლელიუსი მიაცილებდა, უფრო სწორად, ბადრაგობდა. ლელიუსი იმ დროს რომში იმყოფებოდა. კართაგენელი ელჩები მასთან ერთად ჩავიდნენ აფრიკაში და რომის ბანაკში მოხვდნენ. სციპიონმა ლელიუსის ჩამოტანილი წერილი რომ წაიკითხა, გამოაცხადა, სენატის დადგენილებით, დაზავება შეწყვეტილია და ბრძოლა ახლდებაო. მაგრამ ზაფხული უკვე იწურებოდა და იძულებულნი გახდნენ, საომარი მოქმედება მეორე გაზაფხულისათვის გადაეღოთ.

იმ წლის მნიშვნელოვან ამბებიდან უნდა აღვნიშნოთ კვინტუს ფაბიუს მაქსიმუს გარდაცვალება. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. სახელი „მაქსიმე“, რაც „უდიდესს“ ნიშნავს, მას მამამისისა და პაპისაგან ერგო, მაგრამ მან გაამართლა ეს სახელი და უფრო მეტად აამაღლა თავისი გმირობითა და დი-

დებით. ბევრნი კითხულობენ, ბუნებით იგი მართლაც ზანტი იყო, თუ იმდროინდელ პირობებში ომის გაძლოლის საუკეთესო ხერხი აირჩიაო? ზუსტი პასუხი არ არსებობს, სამაგიეროდ, ერთი რამ სავსებით ზუსტად ვიცით: თავისი სიზანტით ამ ადამიანმა — ერთადერთმა — იხსნა და მკვდრეთით აღადგინა ჩვენი სახელმწიფო.

ომის მეჩვიდმეტე წელი

ომის დაარსებიდან 552 (202 წელი აწინ მრამდი)

მრევე ახალ კონსულს, მარკუს სერვილიუსს გემინსა და ტიბერიუს კლავდიუს ნერონს, სურდა სამართავად აფრიკის პროვინცია მიეღო. მაგრამ სენატმა დაადგინა ხალხს შეკითხოდხენ, რომ ხალხს თვითონ გადაეწყვიტა, ვის ეხელმძღვანელა ომისათვის აფრიკაში. სახალხო კრებამ ერთხმად გადაწყვიტა: პუბლიუს კორნელიუს სციპიონს — რითაც დაადასტურა სენატის გასული წლის დადგენილება, რომ სციპიონს საკონსულო ვადა ომის დამთავრებამდე გაგრძელებოდა. მაგრამ სენატს არც კონსულებისათვის შეუშლია ხელი კენჭი ეყარათ და აფრიკა ტიბერიუს კლავდიუსს ერგო. მან მიიღო ხუთრიგანიჩბებიანი ორმოცდაათი საბრძოლო ხომალდი და ნებართვა, ზღვა აუცილებლობის შემთხვევაში გადაეცურა. მეორე კონსულს სამართავად ეტრურია გადასცეს.

კართაგენის გარშემო ადგილები რომაელი ჯარისკაცებითა და რომაული იარაღით იყო სავსე, ამიტომ ჰანიბალმა თავისი ლაშქარი ზამასკენ წაიყვანა, რომელიც კართაგენიდან ხუთი დღის სავალზეა. იქიდან მან მტრის ბანაკში მზვერავები გაგზავნა. გუშაგებმა ისინი დაიჭირეს და სციპიონს მიჰგვარეს. სარდალმა გამოიძახა სამხედრო ტრიბუნები და ბრძანა, პუნები ბანაკში გაატარეთ — შიში ნურაფრისა ექნებათ, ყველაფერი საკუთარი თვალთ ნახონო! შემდეგ ჰკითხა, კმაყოფილი ხომ ხართ, რაც გინდოდათ ყველაფერი ხომ დაზვერეთო. ბოლოს გამცილებლები გააყოლა და ჰანიბალთან გაუშვა. მათმა პატაკმა პუნი განაცვიფრა, მაგრამ იმ დაწვრილებითმა ცნობებმა კი არ განაცვიფრა, რაც მზვერავებმა საკუთარი თვალთ ნახეს, მაგალითად, როგორ მოვიდა მასინისა ათი ათასიანი რაზმით, არამედ საკუთარ უპირატესობაში რომაელთა თავდაჯერებულობამ, მათ მიერ მოწინააღმდეგის უგულვებელყოფამ. მან სციპიონს შეიკრიკი გაუგზავნა და სთხოვა, შეხვედროდა. საკუთარი თაოსნობით გააკეთა ეს, თუ კართაგენის ხელისუფალთა მითითებით, არ ვიცი.

სციპიონმა წინადადება მიიღო. რომაელები კართაგენიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით განლაგდნენ. ორივე ბანაკს შუა სრულიად სწორი ადგილი შეარჩიეს, რომ არ ჰქონოდათ ჩასაფრების შესაძლებლობა. ორივე მხედართმთავარი ერთდროულად გამოჩნდა. მათ ბადრაგი მინდვრის მოპირდაპირე ბოლოებში დატოვეს და ზუსტად შუაგულში შეეყარნენ ერთმანეთს. თითოეულს მხოლოდ თითო თარჯიმანი ახლდა. ერთმანეთს შეხვდა არა მარტო თავისი დროის, არამედ ყველა დროისა და ყველა ხალხის ორი უდიდესი მხედართმთავარი, როგორც კი ადამიანთა მეხსიერებას შემოუნახავს. ისინი დიდხანს დუმდნენ — ურთიერთალტაცების გრძნობამ ორივეს ენა წაართვა, — ბოლოს ჰანიბალი ალაპარაკდა. დიდხანს და გულახდილად ლაპარაკობდა. მან ჩამოთვალა თავისი და მტრის გამარჯვებები, ნანობდა წარსულ შეცდომებს, უკვირდა ბედის დაცინვა, რამაც აიძულა შებრალება და ზავი ეთხოვა იმ კონსულის ვაჟისათვის, რომელიც რომაელთაგან პირველი ცდი-

ლობდა გადაელობა მისთვის გზა ომის პირველ წელს. იგი ზო-
უწოდებდა კეთილგონიერებისაკენ, მაგრამ გამოსხატავდა ექვს—
შეიძლება თუ არა კეთილგონიერი იყოს ის, ვისაც სიყმაწვი-
ლიდანვე სულ ერთთავად წარმატება ეთანამგზავრებაო.

— მაგრამ წარმატება ცვალებადია, — განაგრძობდა პუნი, —
ამის საუკეთესო მაგალითი თავად მე გახლავართ. დიდი ხანი
არაა მას შემდეგ. რაც ჩემი დროები მდინარე ანიენსა და
თქვენნი დედაქალაქის გალავანს შორის იყო აღმართული. ახლა
მე დაობლებული ვარ, ორი ძმა დაგკარგე, დაობლებულია ჩე-
მი სახელმწიფოც, რადგან ორი უმამაცესი მხედართმთავარი
დაკარგა. კართაგენი თითქმის ალყაშია და მე ვცდილობ, მას სა-
ფრთხე ავარიდო, რითაც ეს-ესაა თავად ვემუქრებოდით რომს! გა-
მარჯვების იმედს მძვიდობა სჯობს. რადგან მშვიდობა შენს ხელ-
თაა, გამარჯვება კი — ღმერთების ხელშია. შესაძლებელია, შენ
ამ წამს სიამაყით იგონებ შენს ძალას, მაგრამ ნურც ზედისწერის
ძალა დაგავიწყდება და ნურც ბრძოლის ცვალებადობა. ორივე
მხარეს დაუნდობელი ბრძოლა და ადამიანთა მსხვერპლი ელის
მხოლოდ და ვინ დაგვიდგება დღეს ხვალინდელი ბრძოლის
წარმატების თავდებად? უფრთხილდი, ერთ საათში არ დაკარ-
გო ყოველივე ის, რაც ადრე მოიპოვე, არ დაკარგო მომავლის
ყველა იმედი. რა თქმა უნდა, ზავის პირობებს გამარჯვებული
აყენებს, მაგრამ მე წინასწარ ვამბობ, რომ ჩვენ გითმობთ ყვე-
ლა მიწას, რისთვისაც დაიწყო ეს ომი: ესპანეთს, სიცილიას,
სარდინიას და ყველა კუნძულს აფრიკისა და იტალიის სანაპი-
როებს შორის. მე კარგად ვიცი, რომ თქვენ არ ენდობით პუ-
ნის სიტყვას, განსაკუთრებით ამასწინანდელი საზავო წინადა-
დების შემდეგ, რომლებიც მოკლებული იყო გულწრფელო-
ბას. მაგრამ ახლა ზავს ითხოვს პანიბალი. ეს სახელი იყოს
თქვენს წინაშე თავდები: არც ერთი კართაგენელი არ იტყვის
უარს იმ შეთანხმებაზე, რომელსაც პანიბალი დადებს, ზუს-
ტად ისევე, როგორც არავინ თქვა უარი ომზე, რომელიც პა-
ნიბალმა წამოიწყო და გააჩაღა იმ დრომდე, ვიდრე ღმერთებ-
მა ზურგი არ შეგვაქციეს.

სციპიონმა მოკლედ, მკაცრად და მტკიცედ უპასუხა:

... მე მშვენივრად მესმის და არასოდეს მხედველობიდან
არ გუშვებ არც ადამიანურ სისუსტეს, არც ზედის ძლევამო-

სილებას. და არასგზით დაზავების თხოვნაზე უარს არ ვიტყვო-
დი, შენ რომ იტალია ნებაყოფლობით დაგეტოვებინა, სანამ
რომელები აფრიკაში გადმოვიდოდნენ. მე იძულებით, ლამის
ხელი ჩაკვიდე და ისე გადმოგიყვანე ბრუტიუმიდან და ამი-
ტომაც არავითარი ვალდებულება შენთან არ მაკავშირებს.
მიუხედავად ამისა, მე მზად ვიყავი მშვიდობიანი მოლაპარაკე-
ბა დამეწყო და დავთანხმდი შენთან შეხვედრას. მაგრამ რა
გამოვიდა? თურმე იმ ძველი პირობებიდან, რომელიც თქვენმა
სენატმა უკვე მიიღო, შენ თითქმის ნახევარის გადმოცემაზე
უარს ამბობ და სამოწყალოდ გვაძლევ იმას, რაც ისედაც
ჩვენს ხელთაა. როგორც ჩანს, მშვიდობა თქვენთვის აუტანე-
ლია — მაშ ვიომოთ!

თავისიანებთან გაბრუნებულმა ჰანიბალმა და სციპიონმა
ბრძანეს უკანასკნელი ბრძოლისათვის მომზადებულებიყვნენ, რო-
მელიც გამოავლენდა გამარჯვებულს არა ერთი დღით და არა
ერთი წლით, არამედ სამარადისოდ — გამარჯვებულს ჯილდოდ
აფრიკა ან იტალია კი არ ერგებოდა, არამედ მთელი მსოფ-
ლიო.

ბრძოლა ზამასთან

მეორე დღეს, დილაადრიაწ ორივე მხედართმთავარმა გა-
მოიყვანა და მოაწყო თავ-თავისი ლაშქარი. იმ სიტყვების
გადმოცემა, რომლითაც ისინი ჯარისკაცების გამხნევებას ცდი-
ლობდნენ, საჭირო არ არის, რადგან ადვილი მისახვედრია,
რაზე ლაპარაკობდა თითოეული მათგანი: ჰანიბალი თავის
ურიცხვ გამარჯვებებზე, სციპიონი — უკვდავი ღმერთების
დახმარებასა და მორჩილებაზე, კართაგენის განძეულობასა და
შინ მალე დაბრუნებაზე.

მარცხენა ფლანგზე სციპიონმა იტალიის ცხენოსანი ჯარით
ლელიუსი დააყენა, მარჯვენაზე ნუმიდიელებით — მასინისა.
შუაში ლეგიონები ჩადგნენ, მაგრამ ქვეითი ჯარის ხაზი მთლი-
ანი არ იყო: მანიპულებს შორის ადგილი ცარიელი დარჩა. ამ
გასასვლელთა ის ნაწილი, რომელიც მტერთან ახლოს მდებარე-
ობდა, სციპიონმა მსუბუქი ქვეითი ჯარით შეაესო და ბრძა-

ნება გასცა, როცა შეტევაზე სპილოები გადმოვა, ქვეითებმა გაიწვი-გამოიწვიონ, სპილოებს გზა მისცენ და ორივე მხრიდან ერთდროულად ხელშუბები ესროლონო.

ჰანიბალმა მწყობრის წინ ოთხმოცი სპილო დააყენა — ყველაზე მეტი რომელიც გნებავთ წინა ბრძოლებთან შედარებით. სპილოების უკან პირველი საბრძოლო ხაზი მსუბუქმა ქვეითმა ჯარმა შექმნა, რომელშიც შედიოდნენ ლიგურიელები, გალები, ბალეარები, მავრები, მეორეში შედიოდნენ კართაგენელები, აფრიკელები და მაკედონელთა რაზმი, რომელიც მეფე ფილიპემ გამოგზავნა. მესამეში — იტალიელები, უმათვრესად ბრუტიუმელები. ფლანგებზე, რომაელების მსგავსად, ცხენოსანი ჯარი იდგა. მარჯვნივ — კართაგენისა, მარცხნივ — ნუმიდისა.

სხვადასხვა ტომისაგან შემდგარი ამ დუნდგო ხალხს ერთხელ კიდევ მოუწოდეს უფროსებმა და დაპირებებით აავსეს. ბალეარელ დაქირავებულებს ისინი ორმაგ და სამმაგ ხელფასს პირდებოდნენ, ლიგურიელ მთიელებს — იტალიის ნაყოფიერ მიწებზე, გალებს — მათი დაუძინებელ მტრებზე, რომაელებზე ანგარიშსწორებისათვის ყოველგვარ უფლებებს, მავრებსა და ნუმიდელებს — მასინისას ტახტიდან ჩამოგდებას. კართაგენელებს კი თვით ჰანიბალმა შეახსენა, რომ ისინი თავიანთ სამშობლოს კედლებს, საკურთხევლებსა და ტაძრებს, შვილებს, მშობლებს, ცოლებს, წინაპართა საფლავებს იცავდნენ, რომ მათ ან სრული განადგურება და მონობა ემუქრებოდათ, ანდა, სამყაროზე ბატონობა — მესამე გზა არ არსებობსო!

სანამ ამ სიტყვებს წარმოთქვამდნენ, უცებ რომაელთა ბანაკში ერთდროულად გაისმა ყველა ბუკისა და საყვირის ხმა და ისეთი ერთსულოვანი ყიჟინა, რომ სპილოები დაფრთხნენ, შებრუნდნენ და თავისიანებს დაერივნენ. პირველ რაზმში, მის მარცხენა ნახევარში დიდი აურზაური ატყდა. მასინისამ მაშინვე ისარგებლა ამით და ქვეით და ცხენოსან ჯარს შორის შეიჭრა და გააშიშვლა მტრის მარცხენა ფლანგი. თუმცა სპილოს რამდენიმე გამრეკმა შეძლო, თავისი ცხოველები მტრისკენ შეებრუნებინა და ისინი უშიშრად შეიჭრნენ რომაელთა რიგებში, მაგრამ მსუბუქმა ჯარმა მოახერხა სარდლის ბრძანების შესრულება და სპილოებს ხელშუბები და შუბები დააყარა. სპილოები უკან გაქანდნენ, თავისიანები გადათელეს და მარჯვენა

ერთაზე მდგარი კართაგენელთა ცხენოსანი ჯარი გააქციეს. მანამ სანამ ქვეითი ჯარის ნამდვილი ბრძოლა დაიწყებოდა, მტრის ორივე ფლანგი ცხენოსანთა ჯარის საფარის გარეშე აღმოჩნდა.

ეს ბრძოლა პუნებისათვის პირველ წუთებიდანვე უიღბლო გამოდგა. რომაელებს წინ ქვეითი ჯარის მანიპულები ეყენათ (მსუბუქად შეიარაღებულები, როგორც ვთქვით, მხოლოდ მათ შორის ცარიელ ადგილებს ავსებდნენ). ერთსულოვანი ყიყინით რომაელებმა იოლად დაფარეს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მტერთა გნიასი და ლეგიონერებმა ადვილად გადათელეს ჰანიბალის მსუბუქი ქვეითი ჯარი. მეორე საბრძოლო ხაზს შეეშინდა, არ დაერღვია საკუთარი მწყობრი და უარი თქვა ლტოლვილთა მფარველობის გაწევანზე. კართაგენელები, აფრიკელები და მაკედონელები მეტად შემჭიდროვდნენ, აღარ გაუშვეს უკან და მიწდვრის კიდისაკენ უკუაგდეს. იმათ, ვინც ჯიუტობდა და მაინც ცდილობდა გაერღვია მწყობრი, უწყალოდ ხრცავდნენ, ამის შედეგად მეორე საბრძოლო ხაზის წინა არე გვაშეხვდა და იარაღებით ისე გაიჭედა, რომაელთა შეტევა შეჩერდა: ნეონრები მკვდრებს აწყდებოდნენ, სისხლის გუბებში ფეხი უსხლტებოდათ, ღროშები შეირყა, საბრძოლო წესრიგი ღიშალა.

სციპიონმა ბრძანა უკან დაეხიათ და თვალის დახამხამებაში წყობა შეცვალა. რომაელთა მეორე და მესამე ხაზი ფლანგებზე გადაიყვანა (იმიტომ, რომ უშედეგოდ აწვებოდნენ პირველ ხაზს, შველით ვერაფერს შევლოდნენ, მხოლოდ აძლიერებდნენ არეულობას). დაჭრილები ზურგში გაგზავნა, აი, მაშინ კი გაიმართა ნამდვილი ბრძოლა, ბრძოლა თანაბრად შეიარაღებულ ორ ღირსეულ მოწინააღმდეგეს შორის, თანასწორნი რომ იყვნენ სამხედრო გამოცდილებითაც და სამხედრო ღიდეებითაც. მაგრამ რომაელები ჭარბობდნენ და სულიერადაც უფრო მხნედ გრძნობდნენ თავს: -- მათ ხომ უკვე გააქციეს მტრის სპილოები, გარეკეს ცხენოსანი ჯარი, გაანადგურეს მსუბუქი ქვეითი ჯარი, -- ამას ისიც დაემატა, რომ ლელიუსმა და მასინისამ პუნებს ზურგში დაარტყეს და ცხენოსანთა ამ იერიშმა გატეხა მტრის უკანასკნელ წინააღმდეგობა.

იმ დღეს კართაგენელებს, მათ მოკავშირეებს და დაქირა-

ვებულებს დაეღუპათ ოცი ათასზე მეტი კაცი, დაახლოებით ამდენივე ტყვედ ჩავარდა. რომაელებმა ხელთ იგდეს ას ოცდაათოთხმეტი საბრძოლო დროშა, თორმეტი სპილო. გამარჯვებულებმა დაახლოებით ათას ხუთასი მეომარი დაკარგეს.

ჰანიბალი უვნებლად გადარჩა და კართაგენში დაბრუნებულმა სენატს აუწყა, წაგებულია არა თუ ბრძოლა, წაგებულია მთლიანად ომი და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ხსნა მსოლოდ ზავში უნდა ვექებოთო.

სამშვიდობო მოლაპარაკება

როგორც კი ბრძოლა დამთავრდა, სციპიონმა ხელთ იგდო ჰანიბალის ბანაკი, გაძარცვა იგი და ნადავლით დატვირთული ზღვისაკენ, უტიკისაკენ დაიძრა. მან გამარჯვების მახარობლად ლელიუსი დაუყოვნებლივ გაგზავნა რომში, თვითონ კი ზღვაში გავიდა და კართაგენისაკენ გაემართა. იქითკენ გაემართა სახმელეთო ჯარიც ლეგატ ოქტავიუსის მეთაურობით. რომის ფლოტი კართაგენის ნავსადგურთან ახლოს იყო, როცა მას ელჩების ხომალდი შემოხვდა. ხომალდი შალის წითელი და თეთრი ლენტებით და ზეთისხილის რტოებით იყო მორთული. ხომალდზე ათი წარჩინებული კართაგენელი იმყოფებოდა. სციპიონმა მათ არავითარი პასუხი არ გასცა და უბრძანა ქალაქ ტუნეტში¹ გამოცხადებულიყვნენ, რომლის მახლობლად აპირებდნენ რომაელები დაბანაკებას.

ტუნეტში ჩავიდა არა ათი, არამედ ოცდაათი ელჩი. სამხედრო საბჭოზე სციპიონის ყველა თანაშემწე და თანამებრძოლი მოითხოვდა კართაგენის დანგრევას, მაგრამ მთავარსარდალმა განუმარტა მათ: ალყას დიდი დრო და შრომა დასჭირდება: ამასთანავე დიდია საშიშროება, რომ ამ შრომის ნაყოფი ჩვენ არ გვერგება, თუკი სენატი და ხალხი აფრიკაში ახალ სარდალს დანიშნავენო. პუნებს განუცხადეს, მუხანათობისათვის სასჯელად ზავს მეტად მკაცრ პირობებში დაგიდებ-

¹ ახლანდელი ტუნისი. ეს ქალაქი კართაგენიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა.

თო, სახელდობრ: კართაგენელები დაიტოვებენ არა ოც საბრძოლო ხომალდს, არამედ მხოლოდ ათს, რომაელებს გადასცემენ ყველა საბრძოლო სპილოს და ახალს აღარ გაიჩენენ. რომაელების თანხმობისა და ნებართვის გარეშე არ იომებენ არც აფრიკაში და არც მის საზღვრებს გარეთ. ხელშეკრულებით კავშირს დადებენ მასინისასთან, ორმოცდაათი წლის განმავლობაში გადაიხდიან ათ ათას ტალანტ¹ ვერცხლს, სციპიონს წარუდგენენ ასარჩევად ას მძევალს არა ნაკლებ თოთხმეტი წლის და არა უმეტეს ოცდაათი წლისა.

როცა ელჩებმა სახალხო კრებაზე ჩამოთვალეს გამარჯვებულთა ეს მოთხოვნები, გამოვიდა ერთ-ერთი წარჩინებული მოქალაქე, სახელად ჰისგონი, და კრების მონაწილეებს ურჩია, უარი ეთქვათ ასეთ დამამცირებელ ზავზე. ხალხი, რომელიც ერთდროულად მემამბოხეცაა და მშინშარაც, მას მოწონებით შეხვდა, მაგრამ ჰანიბალმა მიირბინა ორატორისათვის განკუთვნილ ამბღლებულ ადგილს, მხრებში ხელი ჩაავლო ჰისგონს და ძირს ჩამოაგდო. ამ აშკარა ძალადობამ, რომელიც უცხო იყო თავისუფალ სახელმწიფოში, კრება აღაშფოთა. ხალხი მრისხანედ გუგუნებდა და შეშინებული და გაღიზიანებული ჰანიბალი თავის მართლებას შეუდგა.

— ცხრა წლიდან სამშობლოს გამოვემშვიდობებ და მისგან დაშორებით ოცდათექვსმეტი წელი გავატარებ. სამხედრო ხელოვნება, როგორც ვფიქრობ, ცუდად არ შემისწავლია, მაგრამ სამოქალაქო წესები და კანონები თქვენ უნდა მასწავლოთ. ! მან ჰისგონს ბოღიში მოუხადა და ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი უწინდელი მოსაზრება. იგი ამტკიცებდა, რომ კართაგენისათვის აუცილებელია ზავი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, თუნდ უსამართლოც.

ელჩები სციპიონთან დაბრუნდნენ და აუწყეს, რომ კართაგენი იღებს მის პირობებს. გამოაცხადეს დროებითი ზავი სამი თვით, რომ ამ ხნის განმავლობაში კართაგენელები წასულიყვნენ რომში და სენატს დაემტკიცებინა სციპიონის მიერ დადებული ხელშეკრულება. კართაგენის ელჩებს სციპიონმა ლუციუს ვეტურიუს ფილონი გააყოლა.

¹ ტალანტი — წონის საზომი, 26,2 კილოგრამი.

სანამ პუნი ელჩები რომში მიემგზავრებოდნენ, მარტიც დადგა. კონსულთა და სხვა უმაღლეს ხელისუფალთა სამსახურის ვადა სახელმწიფოში დამთავრდა, მათ აღგილებზე კი ჭერჭერობით არავინ იყო არჩეული. ბევრჯერ შეიკრიბა ხალხი, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ დაიშალა, რადგან ცა საავდრო ღრუბლით იფარებოდა, ატყდა ჭექა-ქუხილი, იკლაკნებოდა ელვა, რაც ღმერთების განრისხების ნიშანი იყო, ხოლო როცა ღმერთები განრისხებულნი არიან, ადამიანებმა არავითარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღონ. სენატმა დიდი აღტაცებით მოუსმინა ფილონს, ხოლო ელჩების მიღება იმ დრომდე გადასდო, სანამ ახალი კონსულები თავიანთი მოვალეობის შესრულებას არ შეუდგებოდნენ.

არჩევნები შედგა. ხალხმა კონსულებად აირჩია: გნეუს კორნელიუს ლენტულუსი და პუბლიუს ელიუს პეტუსი.

ომი დასთავრდა

ქონსულ გნეუს ლეტულუსს ძალიან უნდოდა აფრიკის პროვინცია მიეღო და ყველა საქმეზე უარს ამბობდა, სანამ სენატი მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა. მაგრამ, როგორც წინა წელს, ხალხმა და შემდეგ სენატმაც დაადგინა, აფრიკაში ძალაუფლება ისევ პუბლიუს სციპიონმა დაიტოვოსო.

ბოლოს და ბოლოს კართაგენელი ელჩები სენატის წინაშე წარსდგნენ. ისინი თავიანთი სახელმწიფოს ქეშმარიტად უწარჩინებულესი მოქალაქეები იყვნენ. ამ ხანდაზმული ადამიანების, მათს სამოსზე უმაღლესი ღირსების აღმნიშვნელი ნიშნების შემხედვარე სენატორებმა თავისთვის ჩაილაპარაკეს: „პო, ამჯერად მოწინააღმდეგე მართლაც ითხოვს ზავს“. ლაპარაკი დაიწყო ელჩების მეთაურმა, ბარკიდების პარტიის ცნობილმა მტერმა, რომელიც რომთან ომის შეწყვეტას მოითხოვდა განუწყვეტლივ. ამიტომ მისი სიტყვა მეტ ნდობასა და თანაგრძნობას იმსახურებდა. ზოგიერთ ბრალდებას კართაგენის მიმართ იგი უსიტყვოდ აღიარებდა, ზოგიერთს არ იზიარებდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი რომაელებს სთხოვდა, კართაგენელებისაგან ცუდ მაგალითს ნუ გადაიღებთ — ბედრ კარზე მოგადგათ და ასეთ ღროს ზომიერნი და თავდაჭერილ-

ნი იყავით, ნუ გააღიზიანებთ უკვდავ ღმერთებს ქედმაღლური თვითკმაყოფილებით.

ღანარჩენი ელჩები თავიანთი ქალაქის წარსულ დიდებას მის ახლანდელ დამცირებულ მდგომარეობას აღარებდნენ და მხოლოდ 'შებრალებას ითხოვდნენ. ცოტა ხნის წინათო,—ამბობდნენ ისინი,—თითქმის მთელი მსოფლიო ჩვენი იარაღის მორჩილი იყო, ახლა ჩვენ ქალაქის გალავანს გარდა აღარაფერი გაგვაჩნია. თვით ქალაქსა და ჩვენი ოჯახის ღმერთების საკურთხეველს მხოლოდ მაშინ შევიწინარჩუნებთ, თუ გამარჯვებულები 'მეგვიწყალებენ და თავიანთ რისხვას დააოკებენო.

ამ ხვეწნა-მუდარამ, ეტყობა, რომაელებზე იმოქმედა; მხოლოდ ერთი სენატორი ადგილიდან წამოხტა და დაიყვირა:

— რომელ ღმერთებს დაიფიცებთ ახალი ზავის დადების დროს, როცა ჩვენი წინანდელი კავშირის მოწმე ყველა ღმერთი მოატყუეთ?!

ელჩთა მეთაურმა დაუყოვნებლივ უპასუხა:

— იმავე ღმერთებს, რადგან ჩვენცა და თქვენც დავრწმუნდით, როგორი უღმობელნი არიან ისინი ხელშეკრულების დამრღვევთა მიმართ.

სენატი მზად იყო მიეღო დადგენილება ზავის თაობაზე, მაგრამ საქმეში ისევ ჩაერია პატივმოყვარეობითა და სციპიონისადმი შურით აღვსილი კონსული ლენტულუსი. საჭირო გახდა დახმარება ხელახლა სახალხო კრებისათვის ეთხოვათ. ხალხმა თავისი ნება ისევ დაადასტურა: კართაგენთან ზავს პუბლიუს კორნელიუს სციპიონი დადებსო.

ამგვარად, კართაგენელი წარგზავნილები შინ დაბრუნდნენ და ზავი დაიდო. პუნებმა რომაელებს გადასცეს სპილოები, მოღალატეები, ტყვეები და ფლოტი. სციპიონმა ბრძანა ყველა ხომალდი — ხომალდი კი ხუთასამდე მოგროვდა — გაეყვანათ ნავსადგურებიდან და დაეწვათ. როცა კართაგენელებმა გაშლილ ზღვაში ავარდნილი ეს შორეული ხანძარი შენიშნეს, ისეთ სასოწარკვეთილებამაში ჩაცვივდნენ, თითქოს ხომალდები კი არა, თვით ქალაქი იწვოდა.

საჭირო იყო ხარკის გადახდა — ათი ათასი ტალანტის ოდენობით, რომელიც გამარჯვებულებმა დააკისრეს. ომისგან გაამოფიტული სახელმწიფოსათვის ამ ხარკის გადახდა ერთობ

ძნელი აღმოჩნდა. კურიაში გაისმოდა კენესა-ტირილი, მხოლოდ ჰანიბალი იღიმებოდა.

— რა გაცინებს? — დაუყვირა ვილაყამ. — დღეს ხომ შენი წყალობით ვღვრით ცრემლებს!

ჰანიბალმა უპასუხა:

— აღამიანის სულის დანახვა ისეთივე ადვილი რომ იყოს, როგორც მისი სახისა, მაშინ შენ მიხვდებოდი, რა სიცილია ეს სიცილი, — ეს სიცილია გულისა, რომელმაც მწუხარებისაგან გონი დაკარგა. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ჩემი სიცილი, იგი უფრო დროულია და მართებული, ვიდრე თქვენი საზიზღარი ცრემლების როცა ჩვენ იარაღი წაგვართვეს, ჩვენი ხომალდები დაწვეს, ჩვენს მტრებთან ბრძოლა აგვიკრძალებს, — აი, მაშინ უნდა გეტყვირათ! მაგრამ, ჩვენ საერთო უბედურებას იმდენად განვიცდით, რამდენადაც იგი ჩვენს საკუთარ საქმეს შეეხება, რადგან ჩვენთვის ფულის გაღებაზე უფრო მწვავე ტკივილი არ არსებობს!

მას შემდეგ რაც სციპიონმა მშვიდობიანობა დაამყარა ხმელეთსა და ზღვაზე, იგი თავისი მეომრების დიდი ნაწილით სიცილიაში გადავიდა, სიცილიიდან კი იტალიაში წავიდა. ტრიუმფმა, რომელიც მან მოაწყო დედაქალაქში შესვლის დროს, თავისი ბრწყინვალეებით დაჩრდილა ყოველივე, რაც კი რომს ოდესმე უნახავს. რომაელ მხედართმთავართა შორის პირველმა მან მიიღო დაპყრობილი მიწის მიხედვით მეტსახელად „აფრიკელი“.

31 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაიუს იულიუს ცეზარის შვილობილმა, შემდეგში იმპერატორმა ავგუსტუსმა, საბოლოოდ დაამარცხა ტახტის მაჰიებელი მოქიშპეები და რომის სახელმწიფოს ერთპიროვნული ბატონ-პატრონი გახდა. რომის რესპუბლიკა დაემხო, წარმოშვა რომის იმპერია.

თითქმის იმავედროულად ჩრდილო იტალიის მკვიდრმა, ოცდაათი წლის პატავიელმა (ახლანდელი პადუა) ტიტუს ლივიუსმა დაწერა თავისი უზარმაზარი თხზულების პირველი სტრიქონები, რომლითაც დავალებულია მთელი შემდგომი ეპოქები დღევანდელ დღემდე თავისი წარმოდგენებით რომის რესპუბლიკაზე, გაოცებულია და პატივისცემით გამსჭვალული იმ ხალხის მიმართ, რომლებმაც მდინარე ტიბრის ეს პატარა უჩინო ქალაქი ძველი დროის უძლიერეს სახელმწიფოს დედაქალაქად აქციეს.

თვით ლივიუსზე მეტისმეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება: ახალგაზრდობაში იგი ცხოვრობდა რომში, იყო ძალზე განათლებული, სახელმწიფოსა და სამხედრო საქმეებს არასოდეს ეტანებოდა, მხოლოდ ლიტერატურით იყო გატაცებული. ლივიუსს ეკუთვნოდა თურმე მსჯელობანი განყენებულ, ფილოსოფიურ თემებზე, რომელნიც ორ ან რამდენიმე პირს შორის საუბრის ფორმით იყო გადმოცემული. ჩვენამდე არცერთ მათგანს არ მოუღწევია. ლივიუსის მთავარი შრომა რომის გიგანტური ისტორიაა დაწყებული მისი დაარსებიდან ძველი წელთაღრიცხვის მე-9 წლამდე. ანტიკური ლიტერატურის ნაწარმოებები იყოფოდა „წიგნებად“: თითოეული „წიგნი“ იმდენი სიტყვისა და ფრაზისაგან შედგებოდა, რამდენიც ძველი გამოცემლების — გადამწერთა მიერ დამზადებული პაპირუსის გრაგნილზე დაეტიოდა. ლივიუსის თხზულებები ასეთი ას ორმოცდაორი „წიგნისაგან“ შედგებოდა. ეს, დაახლოებით, უდრის

ოცდახუთ ისეთ ტომს, რომელიც ახლა თქვენს ხელთაა. ჩვენს დრომდე ას ორმოცდაორი... „წიგნიდან“ მხოლოდ ოცდათხუთმეტი გადარჩა, დანარჩენები დაიკარგა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების დამდეგამდე.

ლივიუსის „წიგნები“ გაერთიანებული იყო ათწიგნებად — დეკადებად (ალბათ ძველი გამომცემლების მიერ), არსებობდა თოთხმეტი სრული დეკადა და მეთხუთმეტის დასაწყისი. შემორჩა პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე დეკადის ნახევარი. ამ წიგნში მოთხრობილია მესამე დეკადის ემბეზი და დასათაურებულია ასე: „ბრძოლა ჰანიბალთან“. სათაური ჩემ მიერაა შერჩეული, რადგან ლივიუსს არც დეკადები, არც ცალკეული „წიგნები“, არც „წიგნის“ ნაწილები საერთოდ არა აქვს დასათაურებული. რას უწოდებდა ავტორი თავის შრომას მთლიანად, ჩვენ ზუსტად არ ვიცით — ალბათ „მატიანეს“ და, მართლაც, მოვლენები მკაცრი თანმიმდევრობითაა გადმოცემული წლიდან წლამდე (რა თქმა უნდა, ყველგან არა. როცა საუბარი ეხება უძველეს დროს, სადაც ნამდვილი ამბავი ლეგენდებთან, აშკარა გამოგონილთანაა გადახლართული, თანმიმდევრობის დაცვა შეუძლებელი ხდება).

ტიტუს ლივიუსი თანამედროვეთა შორის დიდად სახელმძღვანელო პიროვნება იყო. მას იცნობდნენ არა მარტო დედაქალაქში, არამედ იმპერიის განაპირა მხარეებშიც. მოგვითხრობენ, რომ მისი ტალანტის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი ჰადესიდან (ახლანდელი ქალაქი კადისი ესპანეთში) რომში მხოლოდ მისი ნახვის მიზნით ჩასულა, იმპერატორი ავგუსტუსი მისი მფარველი და მეგობარიც კი იყო, მაგრამ მისი გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ (იგი გარდაიცვალა ჩვენი წელთაღრიცხვის 17 წელს) იმპერატორმა კალიგულამ ბრძანება გასცა, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებიდან ამოეღოთ ლივიუსის ყველა ნაწერი — დამლული მრავალსიტყვაობისა და ფაქტების დაუდევრად მოპყრობის გამო. კიდევ უფრო მკაცრად ასამართლებდნენ ლივიუსს ქრისტიანი ხელისუფალნი რომის პაპმა გრიგოლ I (VI ს.) მისი შრომა დააწვევენა, „კერბებისადმი ცრურწმენით“ არის გაყენითილიო. თავისთავად ცხადია, ამდენი დევნა ხელს შეუწყობდა ლივიუსის ისტორიის ბევრი დეკადის უგზო-უკვალოდ დაკარგვას.

შემდგომი ეპოქები ლივიუსს სხვადასხვანაირად ეპყრობო-
და: წუხდნენ მისი ისტორიის ნაწილების გაქრობაზე, განსაკუთ-
რებით იმ ნაწილების გაქრობაზე, რომლებშიც აღწერილი იყო
ლივიუსისათვის ახლობელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათას-
წლეული — სამოქალაქო და შინაომების პერიოდი. კალიგულ-
ას მსგავსად მას ბრალს სდებდნენ მრავალსიტყვაობაში, მა-
ღალფარდოვნებაში, ისტორიისადმი დაუდევრად მოპყრობაში,
საძნედრო საქმის, გეოგრაფიისა, იმ ქვეყნებისა და სახელმწი-
ფოების (მათ შორის კართაგენისაც) არცოდნაში, რომლებსაც
ბრძოლა უხდებოდა რომთან. აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი
ორატორული ხელოვნებით, ლამაზი სტილით, მისი რწმენის
სიწმინდითა და სიდიადით. გასულ საუკუნეში ყოველ გიმნა-
ზიელს უჩიჩინებდნენ ამ ნაწარმოებს, მაგრამ გიმნაზიის კედ-
ლებიდან გასულთ მოწყენისა და ზიზღის გარდა იშვიათად თუ
გაპყროლიათ სხვა გრძნობა. ჩვენს საუკუნეში, როცა ლათინური
საბოლოოდ მოდიდან გავიდა, ლივიუსს საერთოდ აღარ კით-
ხულობენ, თითქმის აღარც ახსოვთ, მხოლოდ ყურმოკვრით თუ
იციან.

მაშ, რა საჭიროა დავუბრუნდეთ ლივიუსს? რაში გვჭირდე-
ბა იგი ჩვენ? იმისათვის, ხომ არა რომ გავეცნოთ დიდი ხნის
ქვეა-ქუხილივით გადავლილ ომის ისტორიას, რომელსაც ჩვენ
მეხუთე კლასში „გავდივართ“? ან ისეთი რა აუცილებელია ამ
ომის ასე თანმიმდევრული ცოდნა? წარსული დრო ხომ საე-
სეა ისეთი მოვლენებით, რომლებიც უფრო მეტად გვაღელვებს,
ვიდრე მეორე პუნიკური ომი!

მაგრამ, თუ წაიკითხავთ ამ წიგნს, დარწმუნდებით, რომ იგი
არაა დამხმარე სახელმძღვანელო ახალგაზრდა ისტორიკოსისა-
თვის, რომ, მიუხედავად უამრავი ომის, შეტაკების, ლაშქრო-
ბის, იერიშის და მოწინააღმდეგეთა ბანაკებისა, მთავარი მაინც
ომი არ არის. თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს მარტო მეცნიე-
რება კი არა, ლიტერატურაა — ნატიფი სიტყვიერებაა, როგორც
წინათ იტყოდნენ, ბელეტრისტიკაა, როგორც დღეს ფრანგული
სიტყვის მოშველიებით განმარტავენ. ამ წიგნის კითხვისას
თქვენ, ალბათ, დარწმუნდით, რომ ლივიუსს, უპირველეს ყოვ-
ლისა, დანაკარგის ჩაოდენობა, სურსათ-სანოვაგისა და საჭურ-
ვლის გადასაზიდი გზები, მოწინააღმდეგეთა სტრატეგია და

ტაქტიკა კი არ აინტერესებს, არამედ ხალხი, მათი ქცევა, ნებისყოფა, მამაცობა, სიმტკიცე, სისუსტე. ამ წიგნში მთავარი ადამიანის აღწერის ცდაა, ცდა იმისა, რომ ზედმიწევნით ზუსტად გამოიცნოს, ჩასწვდეს მის ხასიათს, რათა შემდეგში შეაფასოს, რა ძალუძს, როგორ იყენებს იგი ამ თავის შესაძლებლობებს.

ჟტიკური მეცნიერება განუყოფელი იყო ხელოვნებისაგან. ბერძენი პეროდოტე (ჩგ. წელთაღრიცხვამდე V საუკუნე) — მხოლოდ „ისტორიის მამამთავარი“ კი არა, როგორც მას უწოდებდნენ ძველად, ბერძული პროზის მამამთავარიცა და გასარცარი მთხრობელიც იყო. პლატონს (V-IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძენეთის უდიდეს მოაზროვნეს, ფილოსოფიაზე ნაკლებად არ გაუმდიდრებია საბერძნეთისა და მთელი მსოფლიოს ლიტერატურა. რომში ლივიუსის დროს თვლიდნენ, ისტორიკოსი კარგი ორატორივით მჭევრმეტყველიც უნდა იყოს, ამას იმ საუკუნეში ამბობდნენ, როცა რომაულმა მჭევრმეტყველებამ უმაღლეს მწვერვალს, უდიდეს სიძლიერეს მიაღწია თანაბრად, როგორც რომის მოედანზე სახალხო კრების დროს, ასევე სენატში. ისტორიისაგან მაშინ გრძნობებზე პოეზიისნაირ ზემოქმედებას მოელოდნენ და მოითხოვდნენ კიდევ.

აი როგორ უნდა ვიმსჯელოთ პატავიელ ტიტუს ლივიუსზე — რომის ხალხის მემატიანეზე — როგორც სიტყვის ჯადოქარისა და ადამიანთა სულების თვალმახვილ დამკვირვებელზე.

მჭევრმეტყველური ჯადოქრობა ყველაზე თვალნათლივ წარმოთქმულ სიტყვებში ჩანს. ჩვენამდე მოღწეულმა ლივიუსისეულმა „წიგნების“ მათიანემ ოთხასზე მეტი სიტყვა შემოგვინახა. რა თქმა უნდა, ყველა სიტყვა ლივიუსს ეკუთვნის, თუმცა იგი უთუოდ ეყრდნობოდა რალაც ცნობებს თავისი გმირების ჭეშმარიტი გამონათქვამების შინაარსის გადმოცემის დროს. განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს რომ მხედართმთავრები თავისი ჯარისკაცების გამხნევეების უამს ისე არ ლაპარაკობდნენ, როგორც პუბლიუს კორნელიუს სციპიონი (მამა) ტიციუსსთან ომის დაწყებამდე (ომის პირველი წელი), ანდა რომაელი მხედარი ლუციუს მარციუსი (ომის მეშვიდე წელი), ანდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი (შვილი) თავისი პირველი ესა

პანური კამპანიის დაწყების წინ (ომის მეცხრე წელი). სინამდვილეში, ალბათ უფრო უხეშად აგინებდნენ თავიანთ მტრებს და ასევე უხეშად აქეზებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს მოსალოდნელ ნადავლზე, ანდა მშიშრებს უცილობელი სიკვდილით აშინებდნენ. საეკვოა, რომ მაშინ სენატში გაისმოდა ისეთი ნატიფი, მშვენივრად დახვეწილი სიტყვები, რომელსაც ლივიუსი ფაბიუს მაქსიმუსა, ანდა მარკუს ვალერიუსს წარმოათქმევინებს. და რა თქმა უნდა, პირდაპირ გამონაგონია სიკვდილის წინ კაპუაში კაპუელი სენატორის ვიბიუს ვირიუსის (ომის მერვე წელი) წარმოთქმული სიტყვა, როცა ის სასიკვდილოდ ემზადება და ამასვე მოუწოდებს თანამემამულეებს.

გამონაგონი ანდა ნახევრად გამონაგონი სიტყვები ნამდვილი ისტორიული პირებისა ლივიუსის აღმოჩენა როდია. მას თხზავდნენ ანტიკური სამყაროს ისტორიკოსები თვით ჰეროდოტედან დაწყებული. მაგრამ ლივიუსისთანა სიტყვის სხვა უკეთესი ოსტატი არ არსებობს. ასეთი შეხედულების იყენენ ძველად და ამასვე ადასტურებენ ჩვენი დროის მეცნიერებიცა და მკვთხველეებიც. ლივიუსის სიტყვები ორატორულ ხელოვნებაში უბრალო ვარჯიში არაა, არც იმის სურვილია, რომ გამოაბრწყინოს თავისი ქვეშარიტად ულამაზესი, ძლიერი და ბრწყინვალე მქვერმეტყველება. არც არასოდეს იშველიებს იგი მქვერმეტყველებას რომელიმე მოვლენის გადმოცემისას. ლივიუსის ყოველი სიტყვა წარმომთქმელი პიროვნების სახე და სულიერი სარკეა, ლივიუსის სიტყვებში ადამიანები ისევე თვალნათლივ წარმოგვიდგებიან, როგორც პიესის გმირები თეატრში. ზოგი გახსნილია მაშინვე და მთლიანად, ზოგი — ნელა, ზოგი თანდათან, ზოგი — ნაწილობრივ, ასე რომ ჩვენ (ალბათ ავტორიც) ბოლომდე როგორღაც გაცეებულნი ვრჩებით.

ავიღოთ, თუნდაც, სტიპიონი, ესპანეთისა და აფრიკის დამპყრობი, ჰანიბალთან ომის დამსრულლებელი. ნათელია, რომ ლივიუსი აღფრთოვანებულია ამ კაცით, მასში ხედავს ქვეშარიტად დიდ ადამიანს, რომელსაც კი იცნობს რომის ისტორია. მაგრამ როცა მის სიტყვებს კითხულობ — იმასაც, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ესპანეთის პირველი კამპანიის დროს და იმ სიტყვას, რომელიც წარმოთქვა სუკრონის ბანაკის მემამბონებთან (ომის მეცამეტე წელი), მახინისასთან საუბრისას, რო-

მელსაც სოფონიბე წაართვა (ომის მეთექვსმეტე წელი) და სხვა, ყოველთვის გრძნობ რაღაც სიყალბეს, თვალთმაქცობას, პირმოთნეობას, თითქოს მაღალფარდოვანი სიტყვებით ცდილობს მოატყუოს სხვაც და საკუთარი თავიც. ეს ბუნდოვანი შეგრძნება უფრო განმტკიცდება თუ გავიხსენებთ თვით ლივიუსისგან დადასტურებულ სციპიონის დემონსტრირებულ, საგანგებო ღვთისმოშიშობას, რითაც ისე მოხერხებულად შეეძლო ემოქმედა ხალხის ცრურწმენებზე (ომის მერვე წელი), ანდა ესპანეთის ქალაქ ილიტურგიის მიმართ მის მხეცურ ანგარიშსწორებას (ომის მეცამეტე წელი).

მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, ერთ საერთოსა და მეტად მნიშვნელოვანს, შესაძლებელია, თვით ლივიუსისთვისაც და მისდამი ჩვენი დამოკიდებულებისთვისაც მეტად მნიშვნელოვან კითხვას ჩავუფიქრდეთ: რომის შემატიანის თვალთ რა იყო კეთილი და რა ბოროტი? ამ საკითხზე იგი ჩვენნაირი შეხედულებისაა თუ განსხვავებულის?

ლივიუსის ისტორიაში სციპიონიცა და ავტორის სხვა საყვარელი გმირებიც თავიანთ მსჯელობაში ყოველთვის ეყრდნობიან „საერთო კეთილდღეობას“, „სახელმწიფოს კეთილდღეობას“. ლივიუსი ჭეშმარიტი და მხურვალე პატრიოტია. რომის აყვავება და სიძლიერე — აი მისთვის ყველაზე დიდი კეთილდღეობა. ძალიან კარგი, თითოეული ჩვენთაგანიც ხომ თავისი ქვეყნის ბედნიერებისა და სიძლიერის მოსურნეა. მაგრამ, მოდით, თანმიმდევრულად გადავხედოთ, როგორ უნდა გავიგოთ და ვიმსჯელოთ „სახელმწიფოს კეთილდღეობაზე“.

ყველაფერი, რასაც რომის სახელმწიფოსათვის სარგებლობა მოაქვს, — მშვენიერი და სამართლიანია, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ის რაც რომის რესპუბლიკას ვნებს, — უმსგავსობა და უსამართლობაა. ვფიქრობ, არ სჭირდება მტკიცება იმას, რამდენად უადამიანო და ყალბია ასეთი შეხედულება. იგი შორეული და ბნელითმოცული წარსულიდან, ველურობის ეპოქიდან მოდის, როდესაც დაყოფის მხოლოდ ერთი წესი არსებობდა: „კარგი“ და „ცუდი“. „კარგია“ — თუ მე ვძარცვავ მეზობელს, „ცუდია“ — თუკი მეზობელი მძარცვავს მე.

როცა რომის ხალხის მოკავშირე საგუნტელები გადაწყვე-

ტენ, ცეცხლს მისცენ თავიანთი სიზღვიდრე, რომ პუნებმა ხელთ არ იგდონ და თვითონაც დაილუპნონ, ოღონდ არ იგემონ ტყვეობა და მონობა, როგორც ჩანს, ლივიუსი ამას ამართლებს, ყოველ შემთხვევაში არც ერთი სიტყვით არ კიცხავს, ხოლო როცა ამავე გზას დაადგებიან ქალაქ ასტაპის მცხოვრები ესპანელები, ლივიუსი ამას უწოდებს რომის მიმართ ყოველად „გაუმართლებელ, უაზრო და უშინაარსო“ სიძულვილს.

როცა ჰანიბალი ტყვედჩაგდებულ რომის მოქალაქეებს მონებად ყიდის, ხოლო მათ მოკავშირე იტალიელებს უსასყიდლოდ ათავისუფლებს, იგი მუხანათი და ბოროტმოქმედია, რომელიც რომის მოკავშირეებს მოღალატეობისაკენ აგულიანებს, ხოლო, როცა სციპიონი ასევე იქცევა ესპანეთში, ესპანელ ტომებს პუნებისგან გამორთმეულ მძევლებს უბრუნებს, ათავისუფლებს ტყვე ესპანელ მეომრებს, ეს არის ქვეშარიტად რომაული გულმოწყალებისა და დიდსულოვნების ნიმუში.

რომის გარნიზონი კამპანიის ქალაქ კაზილინში შიშობს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჰანიბალის მხარე არ დაიჭიროს და ალყაფის კარი არ გაუღოსო. ღალატის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი რომაელებს არ გააჩნდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ შემთხვევისათვის, მოქალაქეები პატარიდან დაწყებული დიდით გათავებული მთლად ამოჟლიტეს. ლივიუსი კი გამტყუნების მაგივრად ამართლებს კიდევაც რომაელებს. ეს სისხლისღვრა „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის“ მოხდაო, ამბობს (ომის მესამე წელი).

კოხსულ ვარონს, კანეს კატასტროფის დამნაშავეს, რომელიც ქალაქ კაპუის ელჩებს ხვდება და რომის გამოუვალ მდგომარეობას უმხელს, ლივიუსი უადგილო გულახდილობისათვის ამტყუნებს, ხოლო კონსულის უსინდისო სიცრუეს, ელჩებს რომ ჩააგონა, თითქოს ჰანიბალი ხილებს და ტივებს ადამიანთა გვამებისაგან აშენებდა, საკუთარ ჭარისკაცებს კი ადამიანის ხორციით კვებავდა, დაუძრახველად ჰყვება. თუ სიმართლე მავნებელია სახელმწიფოსათვის, ცილისწამება — სასარგებლო, დე, სიმართლე მიიჩქმალოს, ჩაკვდეს, ცილისწამებაში კი იზვიმოს!

მაგრამ ლივიუსი მარტო პუნთა მუხანათობას რომ წყევლიდეს და ყველგან თავის თანამემამულეების მუხანათობას,

ულმობლობას იწონებდეს, მის მატრიანეში მარტო უმართებულო შეხედულებები და მორალი რომ ზეიმობდეს, მაშინ ვერც სტილის სილამაზე, ვერც თავშესაქცევი და დაძაბული თხრობა, ვერც მისი ადამიანთა სულში წვდომის უნარი ვერ მოაახლოვებდა მას ჩვენთან. ლივიუსმა შეძლო გამოერღვია უმართებულო შეხედულებათა წყვილი და ჩვენკენ ისწრაფვის, ჩვენც ამიტომ უნდა გადავდგათ მის შესახვედრად ნაბიჯი.

მოთხრობა იმ საზიზღარ სასაკლაოზე, რომელიც რომაელებმა ლუციუს პინარიუსის ხელმძღვანელობით მოაწყვეს სიცილიის ქალაქ ჰენაში /ომის მეხუთე წელი/, ლივიუსი თავის თავს ეკითხებოდა: რა ვუწოდოთ ამას—ბოროტება თუ თავდაცვის აუცილებელი საშუალება? ყველაფრიდან ჩანს, რომ პინარიუსი მისი შეხედულებით უფრო დამნაშავეა, ვიდრე „საერთო კეთილდღეობის“ გულშემატკივარი.

ლივიუსი, საერთოდ, ყველაფერში როდი ეთანხმება თავისიანებს და ყოველთვის როდი აქიაქებს და ლანძღავს სხვებს. იგი სათანადო პატივს მიაგებს ჰანიბალისა და ჰასდრუბალის სამხედრო ტალანტს, მათს ვაჟაკობასა და სულის სიმხნევებს. რომის სენატისა და წინაპართა წეს-ჩვეულებების თავჯანის მიუხედავად, იგი წინააღმდეგია იმ სასტიკი და ძალზე ხანგრძლივი დასჯისა, რომელიც თავს დაატეხეს იმათ, ვინც კანესთან გადარჩა. იგი არ ინდობს თავგედებს, პატივმოყვარეებს, მტაცებლებს, საზოგადოების რომელ ფენასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. არ დუმს მათს სიბილწეზე, პირიქით ხმას იმაღლებს, არ მალავს წვრილმანებსაც კი, და ამიტომაც, რომ ლივიუსის იდეალი—რომის რესპუბლიკა — სათანადო ღირსებითა და პატივისცემით წარმოგვიდგება დღესაც.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ თავის რესპუბლიკურ იდეალს, თავის შეხედულებებს — თავისუფლებისადმი სიყვარულს, ტირანიისადმი სიძულვილს, კანონის პატივისცემას, პირადი ინტერესების საზოგადოებრივისადმი დამორჩილებას — ლივიუსი მაშინ იცავდა, როცა რესპუბლიკა უკვე აღარ არსებობდა და რომს ავგუსტუსი მართავდა. ავგუსტუსთან ლივიუსს კეთილი, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, თუმცა ლივიუსი მაინც განადიდებდა პომპეუსს, იულიუს ცეზარის მთაგარ მტერს (პომპეუსი სენატისა და რესპუბლიკური თავი-

სუფლების დამცველის როლში გამოდიოდა), უფრო მეტიც — ცეზარის მკვლელებს ის არასოდეს კიცხავდა და მათზე ყოველთვის თანაგრძნობითა და მოწიწებით წერდა.

ლივიუს მეცნიერს ჩრდილავს ლივიუსი მწერალი, მხატვარი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს რომ მის ნაშრომს მეცნიერებისათვის არა აქვს მნიშვნელობა. საქმე მარტო იმაში როდია, რომ ლივიუსი ხშირად ჩვენი ცოდნის ერთადერთი წყაროა წარსული მოვლენების გარკვევის საქმეში, მთავარი ისაა, რომ თვით ლივიუსს ესმოდა ისტორიკოსის მოვალეობა.

რომის საუკეთესო ორატორმა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ მარკუს ტულიუს ციკერონმა ისტორიას „დროის მოწმე, ქუშმარტების ლამპარი, ცხოვრების ცოცხალი მენსიერება, ცხოვრების დამრიგებელი“ უწოდა. ასე უყურებდა ისტორიას ლივიუსიც.

იგი არ ყოფილა მკვლევარი, არ უძებნია უძველესი დოკუმენტები, არ მოუნახულებია წარსული ბრძოლის ადგილები. მთელი მისი ცოდნა გადმოდებულია წინაპართა შრომებისაგან, ხოლო როცა მათში ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობა ხედებოდა, ხშირად ვერ წყვეტდა, რომელი მათგანი გაეზიარებინა, მაგრამ მაინც საკუთარი გემოვნებისა და მიდრეკილებების შესაბამისად არასოდეს ამახინჯებდა სინამდვილეს. განსაკუთრებით დიდია მესამე დეკადის ისტორიული ღირებულება, იმიტომ რომ აქ ლივიუსი საიმედო წყაროებს ეყრდნობა, თუმცა მესამე დეკადასაც იგივე ნაკლი სჭირს, რაც ლივიუსის მატთანისთვისაა დამახასიათებელი საერთოდ: ბრძოლები არაა ზუსტად აღწერილი, ზოგიერთი ცნობა მცდარია, არის მრავალი ტოპოგრაფიული შეცდომა, არანაკლები შეცდომაა რომის დიდებულებსა და უბრალო ხალხს შორის ბრძოლის ამსახველ ამბებში, აგრეთვე კართაგენის წეს-წყობილების, კართაგენის არმიის ხასიათის აღწერაში (ლივიუსს მამიტურად მიაჩნდა, რომ მტრის სახელმწიფო რომის სახელმწიფოს წააგავდა, კართაგენის ჯარი — რომის ჯარს), მაგრამ ჩემი მიზანი იყო, გასაგებად მომეთხრო, ესე იგი, საკითხავად ხელმისაწვდომი გამეხადა ძველი დროის მწერალი, ამიტომ ვკვეცავდი გაქიანურებულ, ზოგჯერ მეტისმეტად დაძლელ ადგილებს, აქა-იქ თხრობათა თანმიმდევრობას ვცვლიდი, ვამარტივებდი, თუმცა არ ვისწორებდი და არ „ვა-

უჭკობესებდი“ სტილს, როდესაც მეტისშეტად ღვარჯნილი და თავსამტკრევი ხდებოდა.

თუმცა, არც თუ ისე დიდია ლივიუსის უნებლიე შეცდომები და არც ჩვენ ვიცით იმაზე მეტი და იმის გარდა, რაც გაგვანდო მან. ვინც მოისურვებს ამაში დარწმუნდეს, აიღოს ისტორიის სახელმძღვანელო, სკოლის კი არა, უნივერსიტეტის, ანდა, თუ სურვილი ექნება, მუყაითობა და მოთმინება ეყოფა—პუნიკური ომების პერიოდის რომისა და კართაგენის ისტორიის სპეციალური წიგნები. მე ვიმედოვნებ, რომ ამ შემთხვევაშიც, დეტალებზე დაკვირვებისას, მეცნიერული ჭეშმარიტების ახალგაზრდა მკვლევარი არ დაივიწყებს მთავარს—ორი ათასი წლის წინათ შექმნილ ბრწყინვალე წიგნს, რომელიც დღესაც გვალელებს, გვსაყვედურობს, მოითხოვს, ერთისიტყვით, არ დაივიწყებს წიგნს, რომელიც კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს.

ს. მარკიზი

ბ ს ს ი — სპილენძის რომაული მონეტა.

ბ ა ლ ი ს ტ ა — ლოდნატყორცი. ეს სამხედრო მინჯანა სხვადასხვა ზომის და ნიძლიერისა იყო. ბალისტის მიერ გასროლილი ლოდის წონა 90 კგ. აღწევდა, ლოდის გასროლის მანძილი — 400 მეტრს.

ბ ა რ ბ ა რ ო ს ი ბ ი — ბერძნული სიტყვაა, აღნიშნავდა უცხოელს, რომლებიც ბერძნულად არ ლაპარაკობდნენ. რომელებმა ეს სიტყვა ბერძნებისაგან ისესხეს და, რა თქმა უნდა, „ბარბაროსებისაგან“ საკუთარი თავი გამორიცხეს. თავდაპირველად ამ სიტყვაში შეურაცხყოფელი არაფერი იყო.

ბ ი ლ ო ნ ა — ომის ქალღმერთი იტალიაში, ომის ღმერთ მარსის მეუღლე.

ბ ი მ ნ ა ს ი ბ ი — ასე უწოდებდნენ ბერძნები მოედნებს და ნაკვობებს, რომლებიც განკუთვნილი იყო სპორტული გარჯიშებისათვის; რბენისათვის, ხტომისათვის, შუბის ტყორცისათვის და ა. შ. აქვე იკრიბებოდნენ ყოველგვარ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ თემებზე სასაუბროდ.

ბ ი ლ ფ ო ს ო რ ა ბ უ ლ ი — ღმერთ აპოლონის ტაძრის სამისწო დელოში (შუა საბერძნეთი), ერთ-ერთი ყველაზე განთქმული რელიგიური ცენტრი არა მარტო საბერძნეთში, არამედ მთელ ძველ სამყაროში.

ბ ი ნ ა რ ი უ ს ი — რომაული ვერცხლის მონეტა, რომელიც ღირებულების მიხედვით სპილენძის თექვსმეტ ასს უდრიდა.

ბ ი ძ ბ ა ტ ო რ ი — უმაღლესი მბრძანებელი, რომელიც განსაკუთრებით მძიმე, კრიტიკულ ვითარებაში ინიშნებოდა სახელმწიფოს ხსნისათვის, ანდა, სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებული, მკაცრად განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად (მაგალითად, კონსულთა არჩევნების ხელმძღვანელობისათვის). დიქტატორი ინიშნავდა კ ო ნ ი უ ლ ი, მაგრამ აუცილებლად ი ე ნ ა ტ ო ს არჩევითა და რეკომენდაციით, დიქტატორი აღჭურვილი იყო განუსაზღვრელი საშოკალაქო და სამხედრო ძალაუფლებით. დიქტატორის დროს (მისი ვადა იქნის თვით იყო განსაზღვრული) სახელმწიფოს ყველა დიდებული, დაწყებული

კონსულიდან, ძალაუფლებას კარგავდა. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ სახალხო ტრიბუნები. დიქტატორი თვითონ ინიშნავდა თანაშემწეს, რომელსაც ცენოსანთა უფროსი ერქვა.

მ დ ი ლ ი — კვესტურის (იხ. კვესტორი) შემდეგ რიგით მეორე არჩევითი სახელმწიფო თანამდებობა რომის რესპუბლიკაში. ედილი ოთხი იყო. ისინი ხელმძღვანელობდნენ საპოლიციო სამსახურს რომში, საზოგადოებრივ სამშენებლო სამუშაოებს და სანახაობის მოწყობას (თეატრალურ წარმოდგენებს, გლადიატორთა ბრძოლებს და ა. შ.). ამ თანამდებობაზე პრეტენზიის გამოცხადება შეეძლოთ ოცდაჩვიდმეტ წელს გადაცილებულ ადამიანებს.

მ დ მ ბ ი — რომულ კალენდარში მე-15 დღე მარტში, მაისში, ივლისსა და ოქტომბერში და მე-13 დღე დანარჩენ თვეებში.

მ მ კ ა რ ა ტ ო რ ი — მთავარსარდალი, რომელსაც სახალხო კრების საგანგებო დადგენილებით მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი სამხედრო და სასამართლო ძალაუფლება — განაგებდა ჯარისკაცთა ბედობლას, აღკვეთილი იყო მისთვის მინდობილი პროვინციის ყველა მცხოვრების გასამართლებისა და დასჯის უფლებით. ეს სიძვევა საპატიო ტიტული იყო, რომელსაც მეომრები ანიჭებდნენ თავიანთ სარდალს ბრძოლის ველზე დიდი გამარჯვების მოპოვების შემდეგ. სიტყვა „იმპერატორმა“ „მეფის“, „სახელმწიფოს უმაღლესი მმართველის“ მნიშვნელობა მიიღო პუნიურ ომებიდან დიდი ხნის შემდეგ — ახალი ერის პირველ საუკუნეებში.

მ უ ნ ო ნ ა (პერა საბერძნეთში) — იუპიტერის მეუღლე, ღმერთებისა და ქალღმერთების დედოფალი.

მ უ ჰ ი ტ ი რ ი — რომის უზენაესი ღვთაება. თავდაპირველად იგი იყო ზეცისა და სინათლის ღვთაება, დროთა განმავლობაში გახდა ლაშქარის მფარველი და ქომაგი, რომელიც ამარცხებდა მტრებს და გამაჯვებით ასაჩუქრებდა რომაელებს. იუპიტერის ტაძარი კაპიტოლიუმზე. ითვლებოდა რომის სახელმწიფოს მთავარ სალოცავად.

მ ა კ ი ტ ო ლ ი უ მ ი, კ ა კ ი ტ ო ლ ი უ მ ი ს ბ ო რ ა კ ი — ერთ-ერთი გორაკი შვიდ გორაკთაგან, რომელზედაც გაშენებული იყო ძველი რომი. მასზე იდგა რომის მთავარი ტაძრები — იუპიტერ კაპიტოლიელისა (ყოვლადკეთილისა და ყოვლადძლიერისა), იუნონასი და მინერვასი.

მ ა ტ ა ვ ლ ტ ა — ისარსატყორცი სახმედრო მანქანა. კატაპულტის ისრების სიგრძე 135 სანტიმეტრს აღწევდა. ყველაზე მძლავრი კატაპულტები ისრებს 400 მეტრის მანძილზე ტყორცილიდნენ. კატაპულტებს ორიდან ექვს კაცამდე ემსახურებოდა.

კ ვ ე ს ტ ო რ ი — პირველი და ყველაზე დაბალი სახელმწიფო საარჩევნო თანამდებობა რომის რესპუბლიკაში. კვესტორები (პუნიკური ომების დროს ისინი რვანი იყვნენ) განაგებდნენ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს. კვესტორთა ნაწილი რომში რჩებოდა, დანარჩენი მხედართმთავართა ან მათ მოადგილეთა თანაშემწეებად მიდიოდა პ რ ო კ ი ნ ც ი ე ბ შ ი. სამსახურის ადგილი კვესტორებს შორის კენჭისყრით ნაწილდებოდა. კვესტორობა არ შეიძლება მიეღო ოც-დარვა წელზე ახალგაზრდა კაცს.

კ მ ი რ ი ნ უ ს ი — სახელი, რომელსაც უწოდებდნენ რომის ღმერთადქცეულ დამაარსებელსა და პირველ მეფეს რომულუსს.

კ ლ ი მ ე ტ ი — ღარიბი ან მღაბიო კაცი, რომელსაც იცავდა მდიდარი ან დიდგვაროვანი პ ა ტ რ ო ნ ი. კლიენტი ვალდებულიებას იღებდა ერთგული და მორჩილი ყოფილიყო თავისი პატრონისა. ეხმარებოდა მას საჭიროების შემთხვევაში, აძლევდა ხმას არჩევნებში. პატრონსა და კლიენტს არ შეეძლოთ ერთმანეთისათვის სისამართლოში და გამოსულიყვნენ ერთმანეთის წინააღმდეგ მოწმეებად. კლიენტისა და პატრონის კავშირი მემკვიდრეობითი იყო და თაობიდან თაობაში გადადიოდა. ცალკეულ ადამიანებისდაგვარად მფარველობა შეიძლება ეთხოვა მთელ ქალაქებსაც. ასე მაგალითად, მარკელუსთა გვარი სიცილიის პატრონი იყო არანაყლებ ორი საუკუნის განმავლობაში. ლივიუსი ესპანელ ტომებზე ლაპარაკის დროს, რომაელთა მაგალითისამებრ, კლიენტს უწოდებს იმას, ვინც უშუალოდ დამოკიდებულია თავის უფრო ძლიერ თანატომელზე.

კ ო ლ ო ნ ი ა — იხ. მოკავშირეები.

კ ო ნ ს უ ლ ი — უმაღლესი სახელმწიფო საარჩევნო თანამდებობა რომის რესპუბლიკაში. კონსული ორი იყო. მშვიდობიანობის დროს ორივე რომში რჩებოდა და სახელმწიფოს მართავდა, თავმჯდომარეობდა სენატში. ომიანობის დროს — წარებს სარდლობდნენ. კანონით კონსულის ძალაუფლება არ შეიძლებოდა მიეცათ ორმოცდასამი წლისაზე ნაკლები ასაკის კაცისათვის.

კ ო კ ო რ ტ ა — იხ. მოკავშირეები.

კ უ რ ი ა — შენობა, სადაც სხდომებს ატარებდა სენატი. ასეთი შენობა რომში რამდენიმე იყო. ამ სიტყვით ზოგჯერ აღნიშნავდნენ თვით სენატსაც.

ლ ა თ ი ნ ე ბ ი, ლ ა თ ი ნ თ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ ი, ლ ა თ ი ნ თ ა მ ო - ქ ა ლ ა ქ ო ბ ა — იხ. მოკავშირეები.

ლ ა რ მ ბ ი — ოჯახის მფარველი რომაელი ღვთაებები. თითოეულ სახლს ჰყავდა თავისი ლარები, რომელთაც მუდამ მსხვერპლს სწირავდნენ.

ქ მ ბ ა ტ ი — მხედართმთავრის ან მოადგილის თანაშემწე, რომელიც სენატის მიერ იყო დანიშნული. ჩვეულებრივ, იგი იყო თავისი უფროსის ახლო მეგობარი და დანიშვნა მისი თანხმობით ხდებოდა, ხშირად კი — პირდაპირი თხოვნით. თითოეულ პროვინციაში ინიშნებოდა რამდენიმე ლეგატი, ზოგჯერ — ათამდე. თითოეულ ლეგატს პატივისცემის ნიშნად სამი ლიქტორი დაჰყვებოდა.

ქ მ ბ ი მ ნ ი — (სიტყვა წარმოსდგება „ლეგიოსაგან“, რაც გაწვევას ნიშნავს) — უმაღლესი სამხედრო შენაერთი რომის არმიაში. იგი შედგებოდა 3000 მძიმედ შეიარაღებულ ქვეითისაგან, რომელიც ბრძოლაში, ჩვეულებრივ, სამ საბრძოლო ხაზად იყოფოდა: წინ 1200 გასტატი (შუბოსანი), მათ უკან 1200 პრინციპი (მეწინავე) და ბოლოს, 600 ტრიარიერი (მესამე რიგის მეომრები). გასტატები ლეგიონის მეომართა შორის ასაკით ყველაზე უმცროსნი იყვნენ, ხოლო ტრიარიები — ყველაზე უფროსნი და გამოცდილნი. ისინი ბრძოლაში ებმებოდნენ მხოლოდ მაშინ, თუკი პირველ ორ ხაზს მტერი უკუაგდებდა, მძიმე ქვეითი ჯარის თითოეული ხაზი იყოფოდა ათ მანიპულად (ანუ მცირე რაზმად), ხოლო გასტატებისა და პრინციპების თითოეული მანიპული ორ ცენტურიად (ანუ ასეულად). ცენტურიის თავში (ხოლო ტრიარიებთან — მანიპულების. თავში) იდგნენ ცენტურიონები (ასისტავეები), რომლებსაც სამხედრო ტრიბუნები ნიშნავდნენ - რიგითი ჯარისკაცებისაგან, მძიმე ქვეითი ჯარის გარდა, ლეგიონში შედიოდა 1200 მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი. ისინი იწყებდნენ ბრძოლას, მტრებს ესროდნენ ხელშუბებს, შემდეგ იხევდნენ ფლანგებისკენ ანდა მესამე საბრძოლო ხაზს უკან. ლეგიონის ცხენოსანი ჯარი შედგებოდა 300 მხედრისგან და იყოფოდა ათ ტურმადად, რომლებშიც ოცდაათ-ოცდაათი მეომარი იყო თითოეულში, ლეგიონის ყველა მეომარი რომის სრულუფლებიანი მოქალაქე უნდა ყოფილიყო. კართაგენის ლაშქარს ლივიუსი წარმოგვიდგენს რომის ლეგიონის ნიმუშის მიხედვით — ლაპარაკობს მანიპულებზე, ტურმებზე და ა. შ.

ქ მ ბ ტ მ რ მ ბ ი — მომსახურენი, რომლებიც იცავდნენ რომის უმაღლესი თანამდებობის პირებს და ასრულებდნენ მათ განკარგულებებს. კონსულის ეს საპატიო დაცვა თორმეტი კაცისგან შედგებოდა, პრეტორის — ექვსი კაცისგან, დიქტატორისა — ოცდაათისგან. ლიქტორს მხარზე გადებული პქონდა წითელი ღვედით შეკრული წნელების კონა. ეს შეკვრა სახელმწიფო ძალაუფლების ერთ-ერთი ნიშანი იყო.

ქ ა ნ ი კ ე ლ ი — იხ. ლეგიონი.

ქ ბ რ ს ი — ომის იტალიური დეტაება, რომელსაც რომაელები აიგივებენ ბერძნულ ომის ღმერთ არესთან. რომში მარსს თითქმის ისეთივე

მხურვალე და ღრმა პატივით ეპყრობოდნენ, როგორც თვით იუპიტერს. რომაული წელიწადის პირველი თვე, მარტი, მას ეძღვნებოდა.

მარსის ველი — დიდი ველი, რომის ძველი გალავნის უკან, მდინარე ტიბრის ნაპირზე, იგი მიუძღვნეს ომის ღმერთს მარსს. იქ იმართებოდა სამხედრო მეცადინეობა და ხშირად ტარდებოდა არჩევნები.

მინერვა — რომაული ღვთაება — ხელოსნობის მფარველი. მას აიგივებდნენ ბერძნულ ათენასთან, სიბრძნისა და ყოველგვარი მშვიდობიანი შრომის ქალღმერთთან, რომელიც იცავდა თანხმობასა და წესრიგს სახელმწიფოში, ამასთანავე მინერვა-ათენა დაუცხრომელი, ძლიერი მეომარია.

მოკავშირეობა — რომის მიერ დაპყრობილი ანდა ნებაყოფლობით დამორჩილებული ხალხები და სახელმწიფოები. რომი ღებდა მათთან საკავშირო ხელშეკრულებებს, რითაც აკისრებდა სხვადასხვა, მაგრამ უმთავრესად სამხედრო ვალდებულებებს: მიეცა რომისთვის მამული ქარები. მოკავშირეთა ქვეითი ჯარი ადგილს იკავებდა ლეგიონების საბრძოლო მწყობრის ფლანგებში და ამიტომ იყოფოდა ორ „ფრთად“. პირველი „ფრთა“, დაახლოებით, 15000 კაცის რაოდენობით, ესე იგი ლეგიონზე ცოტათი მეტი, თავის მხრივ იყოფოდა ათ კოჰორტად, 400—600 კაცი თითოეულში. კოჰორტები შედგებოდნენ თანამემამულეებისგან და სხვადასხვა იტალიური ტომების სახელის მიხედვით ასეც ერქვათ, მაგალითად, პელიგნთა კოჰორტა, მარუცინების კოჰორტა, მარსების კოჰორტა (ყველა ესენი რომის აღმოსავლეთით, შუა იტალიაში მოსახლე მთის ტომებია). კოჰორტები დაყოფილი იყო ცენტურიებად. ცხენოსანი ჯარისკაცი, რომელიც „ფრთას“ ეკუთვნოდა, უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე ლეგიონის ცხენოსანი ჯარი. მოკავშირეების ლაშქარს თორმეტი ბრეფექტი სარდლობდა, რომლებიც შეესაბამებოდნენ თორმეტ სამხედრო ტრიბუნს ორ ლეგიონში. ბრეფექტებს ნიშნავდა კონსული, ისინი ყოველთვის რომის მოქალაქეებისაგან ინიშნებოდნენ. იტალიელ მოკავშირეთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკიათ ლათინის მცხოვრებლებს — ლათინელებს (ლათინებს). უძველეს დროში მათი კავშირი რომთან თანასწორუფლებიანი იყო, მაგრამ პუნიური ომების დროისათვის ლათინთა ქალაქების უმნიშვნელო ნაწილმა მიიღო რომის მოქალაქეობის სრული უფლებები, ხოლო დანარჩენები რომის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ. მაგრამ ყველაფერში, გარდა პოლიტიკური უფლებებისა, ლათინელი მოქალაქეები რომელიც მოქალაქეების თანასწორნი იყვნენ. ლათინთა მოქალაქეობას ატარებდა კოლონიების უმეტესობაც — ახალშენები, რომლებიც დაარსდა რომის მიერ ხელახლა დაპყრობილ იტალიის მხარეებში, თუმცა კოლონისტებს კრებდნენ არა მხოლოდ ლათინთა შორის, არამედ თვით რომაელთა შორისაც.

მ ბ ი ღ რ მ ბ ი — რომის ცხენოსანთა ჯარში, როგორც წესი, შვიდარი პლებები მსახურობდნენ. თანდათანობით მათგან ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ფენა, რომელსაც საშუალო ადგილი ეკავა სენატორებსა და უბრალო ხალხს შორის. პუნიკური ომების ეპოქაში მხედართა ფენის ფორმირება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, მაგრამ მხედრებს უკვე საკმაო წონა და გავლენა ჰქონდა რომის სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროში.

ნ მ ა ტ უ ნ ი (საბერძნეთში პოსეიდონი) — რომაული ზღვის ღვთაება.

პ ა ლ მ ს ტ რ ა — სკოლა საბერძნეთში, სადაც ასწავლიდნენ ჭიდაობას და მუშტიკრივს.

პ ა ტ რ ი ც ე ბ ი — იხ. პლებსი.

პ ა ტ რ ო ნ ი — იხ. კლიენტი.

პ ე ნ ა ტ ე ბ ი — რომაული ღვთაებები, რომლებიც იცავდნენ ოჯახის ერთიანობასა და კეთილდღეობას. ლარებისგან განსხვავებით, რომლებიც არასოდეს ტოვებდნენ სახლის კედლებს, პენატები მიჰყევიდნენ ოჯახს, თუცა იგი სხვა საცხოვრებელ ბინაში გადასახლდებოდა.

პ ი რ ვ ე ლ ი პ უ ნ ი ა უ რ ი ო მ ი (264—241 წლები ჩვენს ერამდე) — რომის პირველი ომი კართაგენთან, რომელიც, ძირითადად, სიცილიაში და ზღვაზე მიმდინარეობდა. იგი დამთავრდა კართაგენელთა დამარცხებით, რომლებიც სიცილიიდან გააძევეს. ომის ბოლო ექვს წელს სიცილიაში სარდლობდა პანიბალის მამა პამილიარ ბარკა.

პ ლ ე ბ ს ი, პ ლ ე ბ ე მ ბ ი—V-IV საუკუნეებში ჩვენს ერამდე რომში მიმდინარეობდა ბრძოლა მოქალაქეთა ორი უთანასწორო ჯგუფს—მცირერიცხოვან და დიდგვაროვან პატრიციებსა (ესე იგი წარჩინებულ მამების შთამომავლებსა) და უბრალო ხალხს, პლებს შორის. როგორც ჩანს, პატრიციები წარმოსდგებოდნენ ქალაქის მკვიდრი მცხოვრებლებისგან, ხოლო პლებები სხვა ადგილებიდან მოსულ ახალმოსახლეებისგან. ბრძოლა მიმდინარეობდა პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ თანასწორუფლებიანობისათვის და დამთავრდა პლებეთა თითქმის სრული გამარჯვებით ჯერ კიდევ პუნიკური ომების დაწყებამდე.

პ ა უ რ მ ბ ა — მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი ფორმა ძველ საბერძნეთსა და რომში. მიწაზე ან საკურთხეველზე საცხე ფიალას თავს წაუქცევდნენ, გადასახავდნენ რამდენიმე წვეთ სასმელს. პურებას ყველაზე ხშირად ღვინით ასრულებდნენ, შეიძლებოდა თაფლითაც, რჩითაც, ზეთითაც, ანდა ამ სითხეების ნარევითაც.

პ რ ი მ ო რ ი — მეორე (კონსულს შემდეგ) უმაღლესი საარჩევნო სახელმწიფო თანამდებობა რომში. პრეტორი ოთხი იყო: ორი განაგებდა სასამართლოს (ერთი არჩევდა რომაელ მოქალაქეთა საქმეებს და ეწოდებოდა ქალაქის პრეტორი, მეორე — რომაელ მოქალაქეთა დ უცხოელთა შორის საქმეებს), ორნი მიემგზავრებოდნენ მოადგილეებად პროვინციებში ან ომის დროს სარდლობდნენ ჯარებს. მომხდარა, რომ დედაქალაქში დარჩენილა მხოლოდ ერთი პრეტორი. პრეტორობის მიღების კანონიერ ასაკად მიჩნეული იყო არანაკლებ ორმოცი წელი.

პ რ ი მ ე პ ო ტ ი — იხ. მოკავშირეები.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა — თავდაპირველად ეს სიტყვა ნიშნავდა სენატის დავალებას, უფრო ხშირად — დავალებას მხედართმთავრისადმი, ეწარმოებინა საომარი მოქმედებანი განსაზღვრულ ადგილებში; შემდეგ — თვით ადგილს, საომარი მოქმედების ადგილს; და, ბოლოს, — დაპყრობილ ტერიტორიას, რომელსაც მართავდა რომის ნაცუალი პირველი ასეთი ტერიტორიები გახდა სიცილია, სარდინია და კორსიკა, რომლებიც პირველი პუნიური ომის შედეგად იქნა დაპყრობილი.

პ რ ო ზ მ რ პ ი ნ ა (პერსეფონე საბერძნეთში) — მიცვალებულთა მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელი. იგი მიწისქვეშა სამყაროს ღვთაებამ პლუტონმა (პადესმა) მოიტაცა და ცოლად დაისვა. ცერერამ (დემეტრემ), პროზერპინას დედამ, შეელა შესთხოვა იუპიტერს (ზევსს) და ღმერთების მეფემ ბრძანა, რომ პროზერპინას წელიწადის ერთი ნაწილი დედასთან გაეტარებინა, ხოლო მეორე ნაწილი — ქმართან, მიწისქვეშეთში. პროზერპინას კულტი და მისი მითი რომაელებმა ისესხეს სიცილიელი ბერძნებისაგან, სადაც, როგორც ძველად სწამდათ, მოხლა პერსეფონეს მოტაცება.

ბ უ ნ ი ბ ი — ლათინურ მეტყველებაში დამახინჯებული ბერძნული „ფონიკესი“ — ფინიკიელები. ლივიუსი ასე უწოდებს კართაგენელებსაც — ფინიკიელი კოლონისტების შთამომავალთ ჩრდილოეთ აფრიკაში, და კართაგენის დაქირაებულ ლაშქარსაც, რომელიც სხვადასხვა ტომისა და ხალხების ჯარისკაცებისაგან შედგებოდა.

ს ა კ ო რ თ ი ხ ი ვ ე ლ ი — მისი შესატყვისი ლათინური სიტყვა „სამსხვერპლოს“ ამალეებული ადგილის აღმნიშვნელია. ასეთ ამალეებულ ადგილზე წვადნენ ზვარაკს ღმერთების საამებლად, მათი რისხვის დასაცხრობად. საკურთხეველებს ღია ცის ქვეშ მართავდნენ, რომ კვამლი „უკვდავ ცის მეუფეებთან“ დაუბრკოლებლივ ასულიყო.

ს ა მ ხ ე დ რ ო ბ ა ნ ა კ ი — რომის ქარის სადგომი, რომელსაც ყველა წყის დაკვით შლიდნენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჯარისკაცებს მხოლოდ ერთი ღამე უნდა გაეთიათ. ორი ლეგიონის ბანაკი

(მოკავშირეთა მშველ რაზმებთან ერთად) წარმოადგენდა ოთხკუთხედს, რომლის გვერდები დაახლოებით 630 მეტრი იყო ლევიონებისა და მოკავშირეთა თითოეული ქვეგანყოფის ეკავა მკაცრად განსაზღვრული ერთი და იგივე ადგილი. გარედან ბანაკს შემოვლებული ჰქონდა მესერიტ გარშემორტყმული თხრილი და მიწის ზინიანი. თუკი ბანაკი ხანგრძლივი დროით უნდა გაეშალათ, მიწის ზინის უფრო მაღალს ავლებდნენ, დგამდნენ კოშკებს. კარვები ტყავისა იყო, თითოეულში ათ-ათი კაცი ეტეოდა. საზამთრო ბანაკებში იდგა ქოხები, რომლებიც დახურული იყო ჩალით ანდა კარვის კალთებით.

ს ა მ ხ ი დ რ ო ტ რ ი ბ უ ნ ი — ლევიონის უფროსი, რომელსაც რომში ხალხი ირჩევდა. თითოეული ლევიონის სათავეში ექვსი სამხედრო ტრიბუნი იდგა, რომლებიც მორიგეობით სარდლობდნენ. ისინი გამოცდილი სამხედრო პირები იყვნენ, რომელთაც არანაკლებ ხუთ კამპანიაში მაინც უნდა ჰქონოდათ მონაწილეობა მიღებული.

ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ა — უმაღლესი ხელისუფლების ორგანო რომის რესპუბლიკაში. ხალხი იღებდა კანონებს (რომელიც შემდეგ უნდა დაემტკიცებინა სენატს), ირჩევდა მაღალი თანამდებობის პირებს, გამოჰქონდა სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

ს ო ნ ა ტ ი — უმაღლესი სახელმწიფო საბჭო რომში, რომელიც განაგებდა სახელმწიფოს ყველა საქმეს. იგი შედგებოდა სამასი კაცისაგან (უმთავრესად ყოფილი კონსულებისაგან, პრეტორებისაგან და სხვა უმაღლესი საარჩევნო თანამდებობის პირებისგან). სენატის შეკრებისა და მასთან თათბირის უფლება ჰქონდათ დიქტატორს, კონსულებს, პრეტორებს და სახალხო ტრიბუნებს. სენატორთა ღირსების აღმნიშვნელი ნიშნები იყო: ოქროს რგოლი, ტუნიკის წინამხარეს ფართო მეწამულისფერი ზოლი, რომელიც კისრიდან წელამდე ეშვებოდა, და განსაკუთრებული ფეხსაცმელი, რომელიც სპილოს ძელის ან ვერცხლის ნახევარმთვარით იყო დამშვენებული. სახელმწიფო სენატი კართაგენში (რომელსაც ლივიუსიც სენატს უწოდებს) შედგებოდა ოცდაათი კაცისაგან და სახალხო კრება ყოველწლიურად ხელახლა ირჩევდა.

ტ ო ზ ა — რომაელთა ძირითადი ზედა სამოსი, ქსოვილის მთლიანი ნაკერი, რომელსაც ტანზე იხვევდნენ. მარჯვენა ხელი თავისუფალი რჩებოდა, მარცხენას — ტოვა ჰფარავდა. ტოვა თეთრი შალის ქსოვილისაგან მზადდებოდა. მაღალი თანამდებობის პირთა (კონსულთა, პრეტორთა და სხვ.) ტოვას მეწამულისფერის ფართო ზოლი ჰქონდა შემოვლებული. ასეთსავე ტოვას ატარებდნენ თავისუფალი მოქალაქეების არასრულწლოვანი შვილები.

ტ რ ი უ მ ფ ი — უმაღლესი სამხედრო ჯილდო, რომელსაც უნაშნავდა ს ე ნ ა ტ ი მთავარსარდალს განსაკუთრებული დამსახურების (ომის ძღვევამოსილად დამთავრების, რომის სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოების) გამო. ტრიუმფის დღეს მთავარსარდალი თავის ლაშქარს წინ წაუძღვებოდა და საზეიმოდ შედიოდა დედაქალაქში. წინ მიჰქონდათ სამხედრო ნადავლი, მიჰყავდათ დიდგვაროვანი ტყვეები. ტრიუმფატორი ოთხ თეთრცხენშებშულ ვეტლში ჯდებოდა და აღიონდა იუპიტერ კაპიტოლიელის ტაძარში, მადლიერების ნიშნად სწირავდა მსხვერპლს, ხოლო შემდეგ აჯილდოვებდა და ითხოვდა ქარისცაცებს.

ტ უ ნ ი ძ ა — რომაული ქვედა სამოსი.

ტ უ რ მ ა — იხ. ლეგიონი.

ფ ო რ უ მ ი — ბაზრის მოედანი რომში, რომელიც შემდეგ გადაიქცა ქალაქის პოლიტიკური და საქმიანი ცხოვრების ცენტრად. იმ ლათინური სიტყვით ლივიუსი აღნიშნავს იტალიის, ესპანეთის, სიცილიის, აფრიკის და სხვა ქალაქთა ცენტრალურ მოედნებსაც განურჩევლად.

ქ ვ ა ს ა ტ უ ო რ ც ე ნ ი — საომარი სატყორცნი მანქანა, რომელიც ისროდა პატარა ქვებს, ტყვიის ბირთვებსა და ისრებს. მსგავსად შუასაუკუნეების ხელთოფის, არბალეტისა, ფორმით ცოტათი წააგავდა შხამიან ქვეწარმავალს, მორიელს.

ც ი ნ ტ უ რ ი ო ნ ი, ც ი ნ ტ უ რ ი ა — იხ. ლეგიონი.

ც ი რ მ რ ა — ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების იტალიური ქალღმერთი, რომელიც რომაელთა წარმოდგენაში შეერწყა ბერძნულ დემეტრეს, პერსეფონეს დედას (რომაელთა პროზერპინას).

ს ა რ ჩ ე ვ ი

რ ო ბ ო რ დ ა ი წ ა ო ო მ ი

იმათი ამბავი, ვინც ესპანეთში ჯარს ჰანიბალამდე მეთაურობდა	4
ზნე, ღირსება და მანკიერება ჰანიბალისა	6
ჰანიბალი საგუნტს ეპარება	7
საგუნტის ალყა დაიწყო	9
რომაელი ელჩები ჰანიბალთან და კართაგენში	11
საგუნტოს დაცემა	13

ო მ ი ს კ ი რ ვ ე ლ ი წ ე ლ ი

ომი გამოცხადდა	19
მეორე ელჩობა კართაგენში	20
მოკავშირეების ამოო ძებნაში	21
სალაშქრო სამზადისი	23
ჰანიბალი გზაში. იბერიდან როდანუსამდე	24
როდანუსის გადალახვა	27
როდანუსიდან ალპებამდე	30
ალპების ალპების	32
ალპებიდან ტიცინუსამდე	38
ბრძოლა მდინარე ტიცინუსთან	42
ბრძოლა ტრეზიასთან	45
გამოზამთრება. ქარიშხალი აპენინებში	51
ახალი კონსულები — გაიუს ფლამინიუსი და გნეუს სერველიუსი	53

ო მ ი ს მ ე ო რ ე წ ე ლ ი

ძნელი გზა ქაობებში	57
ტრაზიმენის ბრძოლა	60
ძრწოლა და სასოწარკვეთილება რომში	63
დიქტატორი კვინტუს ფაბიუს მაქსიმე	64
ზანტი ფაბიუსი და უგუნური შინუციუსი	66

ჭანიბალი მახეს მოხერხებით აღწევს თავს	69
ფაბიუსი რომში. მინუციუსის ავბედითი წარმატებები	70
ბედი სკის მინუციუსს და ამართლებს ფაბიუსს	73
რომი ცხოვრებას განაგრძობს	76

ო მ ი ს მ ი ს ა მ ი ჯ ი ლ ი

კონსული კონსულის წინააღმდეგ	79
„მიტოვებული ბანაკი“	82
კანეს მისადგომებთან	84
კ ა ნ ე	86
რომაელები დამარცხების შემდეგ	89
კართაგენელები გამარჯვების შემდეგ	90
რომის ქარის ნარჩენები კანუზიუმში. შეთქმულება	92
სასოწარკვეთილება და მხნეობა რომისა	93
ტყვეების ელჩობა	95
კაპუას ღალატი	99
კაპუელი დეციუს მაგიუსის გამბედაობა	102
კამათი კართაგენის სენატში	104
ნოლა — პირველი წარმატება კანეს შემდეგ	105
კაზილინუმი ალყაში	108
ხოცვა-ჟლეტა ტყეში	111

ო მ ი ს მ ი ო თ ხ ა ჯ ი ლ ი

მაკედონის ელჩების თავგადასავალი	113
ბრძოლა კუმასათვის	116
ჭანიბალი კელავ ნოლას კედლებთან	118
რომაელისა და კამპანიელის ორთაბრძოლა	121
ცელილები სიცილიაში	122
არჩევნები რომში	126

ო მ ი ს მ ე ხ უ თ ე ჯ ი ლ ი

მოხალისე მონები თავისუფლებიან	129
ჭანიბალის ტყუილბრალოდ ლაშქრობა ტარენტუმისაკენ	132
თავისუფლება სირაკუზში	138
შეთქმულება. დამნაშავეთა და უდანაშაულოთა დასჯა	136
ხანმოკლე თავისუფლების დასასრული	131
შტურმს არკიმედე იგერიებს	144
ბრძოლა სიცილიისათვის	147
დანაშაული თუ თავდაცვის აუცილებელი ზომები	149

ო მის მ ი ძ ე ს ე წ ე ლ ი

ფაბუს მაქსიმეს ცხოვრებისეული სიბრძნე და რომის მფლობე- ლობაში არპის დაბრუნება	154
ძმები სციპიონები ესპანეთში	156
ნუმიდიელი სიფაქსი — რომის ხალხის აფრიკელი მოკავშირე	158

ო მის მ ი შ ვ ი დ ე წ ე ლ ი

ხალხი თაღლითებს სჯის	160
ღარდა კი კანესთან ხსნა გაქცევაში ეპოვათ?	162
ტარენტუმელების შურისძიება	163
ციხესიმაგრის ალყა. ფლოტი სასაღებზე	168
როგორ მოიმარაგეს კაპუელებმა პური	170
ტიბერიუს სემპრონიუს გრაქუსის სიკვდილი	173
კიდევ ერთი ორთაბრძოლა კაპუის გალანთან	176
ორი სამარცხვინო და დანაშაულებრივი დამარცხება	178
სირაკუზის დაცემა	182
ორმაგი ტრაგედია ესპანეთში	194
რომაელი მხედრის ლუციუს მარციუსის გმირობა	199
მარცელუსის უკანასკნელი ბრძოლა სიცილიაში	204

ო მის მ ი რ ვ ე წ ე ლ ი

გნეუს ფულვიუსის გასამართლება	208
კაპუის ალყა გრძელდება	210
კართაგენელები რომის კარიბჭესთან	213
კაპუის დაცემა. ლბინი ვიბიუს ვირიუსთან	217
ამბოხებული ქალაქის დასჯა	220
ახალგაზრდა სციპიონი ესპანეთში სარდლად ინიშნება	223
ტიტუს მანლიუს ტორკვატი უარს ამბობს კონსულობაზე	226

ო მის მ ი ც ხ რ მ წ ე ლ ი

კაპუელები რომს წვავენ	229
ძლეულთა დავა მძლეველთან	230
სენატორები მაგალითს იძლევიან	234
მანიბალის მხეცობამ რომს მოკავშირეები დაუბრუნა	236
ომის დასასრული სიცილიაში	238
ბუბლიუს სციპიონის პირველი ესპანური კამპანია	239
ახალი კართაგენის იერიში	243
დავა ჭილდოსათვის მეზღვაურებსა და ლეგიონებს შორის	247
მძევლები	248

სციპიონი კლტიმერ ალუციუსს უბრუნებს საცოლეს, ხოლო რომის წარს ათას ოთხასი მხედარი ემატება	249
ახალი შეთქმულება კაპუაში. არჩევნები რომში	252

ო მ ი ს მ ი ა თ ი წ ი ლ ი

ლათინთა ამბოხი	256
დამარცხების კვალდაკვალ — გამარჯვება	258
ჰანიბალი ტარენტუმს კარგავს	262
პუბლიუს სციპიონის მეორე ესპანური კამპანია	265
მარცელუსი ხალხთან თავს იმართლებს	270

ო მ ი ს მ ი თ ი რ თ მ ი ტ ა წ ი ლ ი

მარკუს კლავდიუს მარცელუსის დაღუპვა	273
ჰანიბალი თავისივე დაგებულ მახეში ებმება	275
მარკუს ლივიუსი დათანხმდა მიედრო კონსულობა	277

ო მ ი ს მ ი თ ო რ მ ი ტ ა წ ი ლ ი

ჰასდრუბალი იტალიაში	281
ჰანიბალი სუსტდება; ბრძოლა გრუშენტთან	284
ნანტომი აპულიიდან უმბრიაში	286
სამაგიეროს გადახდა კანეს გამო	290
მღელვარება და ზეიმი რომში	295
კვლავ ესპანეთში	297
ლივიუსისა და კლავდიუსის ტრიუმფი	301

ო მ ი ს მ ი ე ტ ა მ ი ტ ა წ ი ლ ი

ხოტბა ჰანიბალისა	304
კართაგენელები ესპანეთს კარგავენ	305
მტრები სანადიმო სუფრასთან	310
მძლეველთა შურისძიება და ზეიმი	313
„გახსოვდეთ ჩვენი თავისუფლება!“	317
წარისკაცების ამბოხი	320
პაემანი მასინისასთან	326
შემოღგომა ესპანეთსა და რომში	327

ო მ ი ს მ ი თ ო თ ხ მ ი ტ ა წ ი ლ ი

ახალგაზრდების კამათი მოხუცებთან, იქცეს თუ არა იფრიკო ომის ასპარეზად.	330
სციპიონი სიცილიაში	334
თარეში ლოკრაში	336
	397

ოქის მათხუთმეტი წელი

ლოკრის ელჩები რომში. სენატის გამოძიება ლოკრასა და სირაკუზში	339
სიფაქსის ღალატი და მისი მოულოდნელი შედეგი	343
გადასხდომა აფრიკაში	346

ოქის მეთექვსმეტი წელი

ცეცხლი — რომელთა მოკავშირე	351
სოფონიბესა და მასინისას სეველიანი ამბავი	354
პანიბალი იტალიას ემშვიდობება	360

ოქის მძრვიდმეტი წელი

სციპიონისა და პანიბალის შეხვედრა	364
ბრძოლა ზამასთან	366
სამშვიდობო მოლაპარაკება	369

ოქი და მთავრდა

რომაული მატთანე (ს. მარკიუსის ბოლოსიტყვაობა)	375
ლექსიკონი (შემდგენელი ს. მარკიუსი)	385

ს. ბ. № 520

რედაქტორი მანანა ზუბადალაშვილი
მხატვარი გ. გელაშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანაშვილი
კორექტორი ქ. გუნცაძე
გამომშვეები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ისაწყობად 07.07.80. ხელმოწერილია დასაბეჭდად
04.01.81. ანაწყ. ზომა 5,5X9. ქაღალდის ზომა 84X108¹/_{კვ.} ნა-
ბეჭდი თაბახი 21. საბ. ქაღალდი № 1. სააღრ-საგამომცემლო
თაბახი 18,36. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2355
ფასი 1 მან. 70 კაპ.

Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили 5.
გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილი-
სის ო. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Госу-
дарственного комитета Грузинской ССР по делам
издательств, полиграфии и книжной торговли, пр.
Дружбы 7.